

114/2
1927



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

აბაშა


საქართველოს ენობრივი
მუზეუმი

№ 3

1927

პროლეტარებო ყველა ჩვენიცა, შერთდით!

КОЛЛЕКЦИЯ
Мая. Федосеева
Трибуна



69 83 55542

Handwritten signature in blue ink, possibly reading 'თინათინა მარცხოვანი'.

№ 3

წელიწადი მეოთხე.

კომუნისტური სალიტერატურო, სამხატვრო
და სამეცნიერო ჟურნალი

მ ა რ ტ ი

თბილისი: სახელგამი: 1927





მოვდივართ!

სრ. ხაქართველოს საგზოების მეოთხე ყრილობას —

...ამბოხებული ჩიბოთი იშბბჱის,—

მთულა ვულისყური ჩიპოთს!..

ა. შასატაძე.

სრ. საქართვე. საბჭოების მე-4-ე ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვიდან.

შემოტეხილია ჩინეთის კედელი! —
და შეგვიმტვრიეს მკერდიც რა ხანია;
— მოსულ მტრების ქუსლით გათელილო
შენ წუხილს სხვები ისევ შეჰხარიახ...

აქ ყოველ კუთხიდან დაგეშილ მოსულან
რომ ხორცი მოთხარონ, — მიწას დარღვეულს!
გულივით ამართულ მშობლიურ მთებში —
ფრჩხილებით ეძებენ, — ჩამარხულ მადნეულს...

და ყოველ ჩვენგანს თითები აღრჩობენ,
რომ შემოსალტულან ყელზე გველებათ! —
მაგრამ ჩვენი მუხლი არ მოდუნებულა
და წამოჩოქილი გულიც წამოდგება!

შორეულ ზღვებიდან მოვარდნილო შენ, —
მზე-უხილველო, — თოვლის კანიანო;
დღეს ვერ შეგერგება ჩვენი მიწის რძე
ჩვენ სისხლით გაშრდილო ადამიანო!

წლობით შეგუბული ტკივილი მძაფრია! —
მოვდივართ! — ბრძოლებში გვამხნევენს კომუნა,
და მზისფერ დროშების ჩამოტარება
ჩვენს ქალაქებშიდაც თვალებს მოუნდათ...

მოვდივართ! — და თქვენმა ხორცმა ინანოს
თუ ჩვენი მოსვლა ველური იქნება, —
თუ უფრო ძალუმი ბრძოლების რისხვა
ვიწრო თვალებიდან გადმოგვდინდება!..

აღმოსავლეთიდან მოვიდა ხალხი —
რომ მოიტანა მზე და სიციცხლე! —
ეხლა ჩვენ მოვდივართ, — და გულით მოგვაქვს.
რევოლიუციონური ბრძოლების ცეცხლი!..



არ უპირდაგი მე ამ მოტივზე

თითქო კვდებოდა ტფილისის ღამე
 სარაჯიშვილის ხმებით სტიროდა
 თარს ამოქონდა გულის ბალღამი
 მტკვარის მარჯვენა სანაპიროდან.
 ასე მღეროდა მაშინ მეტივე
 ფიქვის შეკრული თეთრი გედებით
 და უეცარი ძველი მოტივი
 გულზე წვებოდა წებოს ლოდებით.
 რა მბაღია—ან რა მებაღა
 მე ვარ ტიტველი—მთა შავ-ნაბაღა.
 მაგრამ გული რომ—მაინც მომტირის,
 თითქო ჩააგდეს ცეცხლის საკირეს?..
 ტივებზე რომაა სუფრა გაშლილი
 ღვინით გაოეშილს... ველევი კინტოს.
 მე მიჩვენია ჯორჯიაშვილი,
 რომ გრიახნოვი კიდევ დაფლითოს.
 ყოველი კვირა ჩემთვის ბზობაა
 და ტფილისია იერუსალიმი.
 ოქროყანიდან რამდენი გზობა
 ვირს მოსდევს ბავში ქრისტეს ღიმილით.
 არ ვარ მდიდარი... ღმერთი და რჯული
 მეც ეს ბავში ვარ მზით გარუჯული
 რა მბაღია—ან რა მებაღა
 მე ვარ ტიტველი—მთა შავ-ნაბაღა.
 დღეს მეც ხომ ვაქებ ინდუსტრიის ქარს
 მეც მინდა ძველი ქვეყნის დაღეწა
 სანთლის ფრთა ჰქონდა მაშინაც იკარს
 და გული ფრთაზე მალე დაეწვა.
 და მაპატიეთ მეც რომ მოვტირი
 ტფილისის რძიან ბალახის დილას.
 მე მეხარბეზა მართლა მესტვირე,
 არსენას ლექსით რომ გამოხრდილა.
 და თუ ჯერ ვზივარ ძველებურ ტივზე
 ვტირი შეკრული ფიქვის გედებით
 არ შევჩერდები მე ამ მოტივზე—
 მე თვითონ ვცხოვრობ ამ იმედებით...

მონადირის თაგული

შევდექი, გამოჩნდა თვალწინ
მაღალ კლდეების ყელი;
ამ კლდიდან ესროდა არწივს,
თვალსწრაფ მონადირის ხელი.

დაქრეს, ნაპრაღზე დაკიდულს
გულიდან სისხლი ედინა;
და სისხლი გავდა ნაკადულს,
მოსხლეტილს მაღალ ქედიდან.

წუთით გაყუჩდა ფრთა-მალი,
სასოწარკვეთამ განაბა;
ულონოთ ფრთებზე დავარდნილს
მიუსწრო მოკლე დანამა.

დიდხანს ისმოდა ხევიდან
დაქრილ არწივის კივილი;
პირველ ყოფილი ხმებითა
შემასმევიდა ტკივილი.

და ეს მოთქმანი ხევშია,
თურმე რამდენსა შეიძლებს...
ჟენო არსის ხმებშია,
მიწის კანონი შევიგოძენ.

მას აქეთ სხეულში დამრჩა,
ეს გრძნობა აუვსებ ხრამად...

.....
სიცოცხლის გარდა, როგორც სჩანს,
არ არის კანონი სხვა რამ.

ფიქრები

ვიცი, ბევრი ჰყავს სულს ნათესავი,—
ერთიც რომ იყოს,— ის ერთიც კმარა,—
მტკივან გულიდან ვინაც ჩემსავით
მწველი ოცნება სისხლივით ღვარა;
გულით უძღურმა, რწმენით ღარიბმა,
ვინც ეს ცხოვრება ველარა ჰზიდა,
და ჩემთან ერთად სვა მწუხარება
ადუღებული ცრემლის თასიდან;
ვინც მწარე ბედ-ქვეშ ბევრი ითმინა,
მაგრამ ნუგეში ვერ მოისმინა.

ვინც განწირული ხშირად ყოფილა,
ვისაც სინათლე მუდამ სწყუროდა,
ვინც ბნელ მიწაზე ძირს დამხობილა,
რომ ცის ლაქვარდი გადმოხუროდა,—
და ვერ დაითრო მზის ბრწყინვალეობით,
მიწა ჩასთვალა შავ ბალდახინად,
და ანთებული შიშით თვალები
ცივ ვარსკვლავების თოვლით გაჰყინა:
ვისაც აწვალებს გული მგზნებარი
და ჟრუანტელი გაუგებარი.

მინდა ეს ლექსი მათ წინ ავანთო,
როგორც ჟინჯილილი მოულოდნელი,
რომ გაქრეს ფიქრი უშარავანდო
და გამინათდეს გზა ბოლონდელი;
გამოჩნდეს სივრცე მზით შენაფერი,
და ბოლოს მაინც იხილონ თვალთა

ნანატრი ქვეყნის შორი ნაპირი
და შთაგონების ბრწყინვალე კალთა.
კმა-იყოს ჩემთვის სულ ცოტა რამე,
ოღონდ დავშრიტო გულის ვარამი.



სხვა ვინ ყოფილა გრგვინვის მსმენელი,
ერთხელ სიკვდილის შიში სწვეოდეს,
და გულს ჭრილობა აუცდენელი
შავ ლაქასავით არ დასჩნეოდეს!
ვინ გადურჩება დაუთარსავი
სიკვდილს, თუნდ იყოს რკინით ნაგები,
თუ სასიკვდილო ჭრილობასავით
მზესაც აჩნია შავი ლაქები,—
თითქო მზეზედაც, ცელ-ამოწვდილი,
დგას და დროს უცდის სიკვდილის ჩრდილი!..

აქ დიდი ხანი არვის ჰქონია,—
ვჩქარობთ, თუ ცოტა შემოგვეხანა,
და არის წამი, როცა გვეგონია,
რომ სასაფლაოს ჰგავს ეს ქვეყანა.
მაგრამ უეცრად ამ ყალბ წამიდან
გული იპოვის სანუგეშო გზებს:
ასე ყოფილა დასაბამიდან,—
ყვავილი ხარობს დამპალ ნეშოზე;
საფლავში ჩადის გახრწნილი თესლი,
რომ ამოვიდეს სხვა, უკეთესი.

როცა ლურჯ ჰაერს მზე დააჩნდება,
როგორც სხივების კორიანტელი,
ყოველ ფოთოლზე სხივი დაჯდება
და აენთება თითო სანთელი,—
სიხარულისთვის უნდა კმაროდეს
ამ დროს ფოთლების გაშრიალება,
რომ დავიჯეროთ და გვიხაროდეს,
რომ ბნელში სხივი არ იმალება;
და ჩვენი წილი ვსვათ სიხარული,
მზის აუზიდან გადმოღვარული.

ცა ვინ გაზომა მრუდე სარკითა?
ვინ სთქვა ჯერ სიტყვა უკანასკნელი?

ნისლიან ფიჭვის ჩამქრალ სარკმლიდან
უნდა მოსჩანდეს ქვეყანაც ბნელი.
თვალი ბრმავდება სიმწუხარეში,
მუდამ ნალველით გამომზირალი:
ცრემლით დატვირთულ თვალთა კაფებში
შედის ქვეყანა მხოლოდ მტირალი;
სმენა ეჩვევა წარსულის ძახილს
და ჩრდილი ჰფარავს მომავლის სახეს.



დე ამოივსოს დროთა არხები
საუკუნეთა გამშრალ ძვლებითა,—
მოგვაქვს სინათლით სავსე ძარღვები
ბნელში დამარხულ უფსკრულებიდან;
და თუმც ბევრია ჯერ დაფარული
ვარსკვლავთა შორის მფრინავ სულისთვის,—
მოვსულვართ ბრძოლით და სიყვარულით,
ვივლით ბრძოლის და სიყვარულისთვის,—
ვიდრე არსებობს გარდუვალ წესად:
ცაზე იაროს მზემ ოქროს მწყემსად.

როცა იქ მწყემსი, ცეცხლის მთესავი,
ცის ლაქვარდს შეჰკრავს ოქროს ღილებით,
აქ ჩემი გულიც ნუშის ხესავით
შემოისება თეთრ ყვავილებით
და დაიღვრება მყივარ ლექსებად,—
თითქო სინათლე მზისგან გადმოვთა
და ჩემს ოცნებას შემოვსევა
მრეკავ სიტყვების ნათელი გროვა.
ვამბობ: იქვებმა თუ არ მოშხამეს—
კარგია ქვეყნად დღეცა და ღამეც!


„ბ ე ლ ა დ ს“


დღეს ერთხელ კიდევ გადავფურცლე ჩვენი წარსული
და ვერ მოვინახე ერთი ხანაც მაინც ისეთი,
როდესაც ქართველს ნორმალურად უცემდა გული,
სისხლით არ ქონდა შეღებილი გული და მკერდი.
და ვსთქვი: ოქტომბერს საქართველო რომ არ გაეთბო,
მაისის დროშა თებერვალს რომ არ დაეჩრდილა,
ჩვენი ქვეყანა გაყვებოდა რომელ ცის მნათობს,
ის დალუბებისგან ვილას უნდა გადაერჩინა?!

დღეს აქ სიცოცხლე იჭედება შრომის მკვლავებით
და შრომის ზღვაში მზეს იპყრობენ შრომის გულები:
ნოე! შენს დროს კი საქართველს გულზე ეწერა:
„ტანჯვა, შიმშილი და ომებით განადგურება.
გახსოვს? სოფლები მოითხოვდნენ მიწას, უფლებას,
დემოკრატიის სახელით შენ ტყვია არგუნე,
სისხლში ჩაახრჩვე დაჩაგრულთა თავისუფლება“
და აჯანყება თეთრი ჯარით გაანადგურე.

დღეს განახლებულ საქართველოს გულზე იშლება
დიდი ზაპესი და ქარხნების მთელი სერია;
ბრწყინვალე შრომის გამარჯვების ცოცხალ ნიშნებად
ჩვენი მხედრობი კომუნიზმის ჰიმნებს მღერიან.

ახალ სიცოცხლეს ძარღვებით სჭედს აღმოსავლეთი
და ძველ ქვეყნისთვის დასავლეთიც აღვივებს კოცონს:
ბრძოლის ტალღებში გზას იკაფავს დიდი ჩინეთი,
შენ კი პარიზში გეგმებს თხზავ და ფანატიკოსობ.
სირცხვილი იმას, წითელ დროშას ვინც უღალატა,
მუხანათურად ერის ბედით ვინც ივარჯიშა,
სირცხვილი იმას, ვინც ანტანტის დამპალ კარებთან
შველას თხოულობს და სურს მისწვდეს ვერაგულ მიზანს.
მოკვდა აგვისტო. შენ გიწოდეს ყოფილი კაცი,

აღარ გაქვს ნდობა, არ გყავს ხალხი, არ ხარ ბელადი,
 ყოფილ პარტიას, საქართველოს და მის ათასებს
 ურჩევნია დღეს საბჭოების უბრალო ლანდი. 

 მაინც არ სცხრები, საქართველოს უგზავნი სიკვდილს 

 და თუ საბჭოებს გართულება მიეცა სადმე,
 ურჩევ ქართველ ერს ბრძოლისათვის გაიღოს სისხლი
 და თავის მოძმე წითელ მოსკოვს რომ აუჯანყდეს.
 შათი საქმეა, ვინც ოცნებას თან გადაყვება,
 საქართველო კი შეუდუღდა მოსკოვს და ლენინს
 ქართველი ხალხი მტრის წინაშე ერთად აღსდგება,
 მისთვის ერთია ჟორდანია და ჩემბერლენი.
 დიდი „C. C. C. P.“ აშენებული კომუნართა სისხლით და ძვლებით
 ლენინის დროშას არ დაუთმობს ქვეყნად არავის
 და თუ დაგვჭირდა ჩვენ ზაპესსაც გადავაქცევთ ბარიკადებად,
 დე, ოქტომბრისთვის ჩვენი სისხლით შეიღებოს მტკვარი, არავვი.
 როცა ბერლინი კვლავ აღმართავს ლიბკნეხტის დროშას,
 და პარიზიდან დაიჭუხებს ჩვენი კაშენი,
 ეს გამარჯვება თქვენს არმიას მთლად გადათოშავს
 და ეს იქნება საბოლოო მძლე განაჩენი.
 სად არის ნოე! ძველი დროშა, ძველი პროგრამა!
 გამძაფრებული ენერჯიკ მესამე დასის?..
 შავი აგვისტოს პირველ ავტორს და მოლაღატეს
 არ გაგიღიმებს არასოდეს მშრომელი ხალხი.

სისხლი

რომანი

(დასასრული)

XI

არ დასცალდათ ცაცასა და არჩილს შერიგება მოეთავებიათ და, რაც მოსალაპარაკებელი ჰქონდათ, დაესრულებიათ: იმ საღამოს შალვას მამა, ნოდარ რამაძე, ტფილისიდან დაბრუნდა და სახლში დიდი ამბავი დატრიალდა:

მშვიდობით დაბრუნების მოსალოცავად და უმაღლესი მთავრობის წინაშე წარსდგომის შთაბეჭდილების გასაზიარებლად მაღალი წოდების დეპუტატს ერთი მეორეზე ესტუმრენ თავადაზნაურობის წრის მოღვაწენი, ქალაქის თავი, უმაღლესი მოხელენი.

ნათესავეებმაც მოიკითხეს. ნაცნობებმაც.

ეტლი ეტლს აწყდებოდა შემოსავალ კარებთან.

კნეინა ნინუცა დიასახლისის მოვალეობის ასრულებას შეუდგა.

ჩაისათვის სუფრა ძველებურ აივანზე გაიშალა.

განათდა სახლი. ბალი.

დაფაცურდენ მსახურნი.

ცაცას დიასახლისის მისაშველებლად მოუწოდეს.

შალვა და არჩილი კი ცალკე ოთახში განმარტოვდენ.

გვიან ღამემდის არ შეწყვეტილა მისვლა-მოსვლა-ნოდარ რამაძისას. საღამოს ჩაის მსუბუქი ვახშამიც მოჰყვა. დაიწყო აუცილებელი სადღეგრძელოები. საგულისხმიერო სიტყვები და სხ.

ცაცამ მაინც მოასწრო არჩილი გაეფრთხილებია, რომ ბიძამისის ჩამოსვლის შემდეგ ისინი ვერც ხვალ მოახერხებდენ სახლში თავისუფლად მოლაპარაკებას. ხოლო რაკი ერთმანეთისათვის სათქმელი კიდევ ბევრი ჰქონდათ, ცაცას აზრით, უმჯობესი იქნებოდა დილიდანვე სადმე ქალაქ გარედ გასულიყვნენ.

ამაზე შეთანხმდენ კიდევაც.

ცაცამ ადგილიც კი დანიშნა, სადაც დილის სრულ ათ საათზე ერთიმეორეს უნდა შეხვედროდენ.

იმ ღამეს არჩილს შალვას ოთახში გაუშალეს ლოგინი. არც შალვა იყო საუბრის გუნებაზე და არც მისი სტუმარი. არც შალვა სასწრაფო სტატიას ამზადებდა გაზეთისათვის და არც სტუმარი გაზეთებში იჩხრიკებოდა. ხოლო აივნიდან მომავალი ხმაურის ხელს უშლიდა და წერილი ვერ დაემთავრებია. ბუზღუნობდა. ჯავრობდა.

მისი ყურადღება რომ არ მიექცია, არჩილმა ლოგინის გაწყობისთანავე ბოდნიში მოიხადა მეგობრის წინაშე, დაღლილობა მოიმიზეზა და დაწვა.

ვასოსაგან წამოღებული წიგნაკი გაშალა, პაპიროსი გააბოლა და ვითომ ძილის წინ კითხვას შეუდგა. ისეთი სახე გაიკეთა, თითქოს ქვეყანაზე სხვა აღარაფერი არ აინტერესებდა.

მიუხედავად ამისა, შალვამ მაინც ჰკითხა, თუ რა წიგნს კითხულობდა ასე გატაცებით. მერე მიუახლოვდა. სათაურზე დაუხედა. ძალიან გაუხარდა.

— ჰე, ბიჭო, ციხე, იქნება, შიგნიდან გატყდესო! — უთხრა წაქეხებით.

მაგრამ არჩილმა ამ ქარაგმულ შენიშვნას ყურადღება განზრახ არ მიაქცია.

— ხვალ ამდის მათხოვეს... წაკითხვა უნდა მოვასწრო. — უბასუხა მოგონებული გულგრილობით: წიგნისათვის თვალი არ მოუცილებია და სახის გამომეტყველება არ შეუცვლია.

ახლა შალვასაც მოერიდა მისი. ამ საგანზე სიტყვა არ გაუგრძელებია. ისევ თავის საქმეს დაუბრუნდა.

წიგნში კი იცქირებოდა არჩილი დიდი ყურადღებით და სტრიქონებში თვალებს აროჩინებდა, როგორც წესი და რიგია, მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვა რასმე ფიქრობდა და ძალიან დაშორებულიყო იმ აზრებს, რომლებიც წიგნის ავტორსა და მის მეგობარს შალვას აინტერესებდნენ.

ცაცასთან მოულოდნელი შეხვედრით გამოწვეული გრძნობისათვის არჩილს ჯერ კიდევ ანგარიში ვერ გაეწია და უეცარად მომხდარი შერიგების მნიშვნელობა ვერ აეწონ-დაეწონა.

მთელი ეს დღე რალაც უცნაური შეიქნა არჩილისათვის. გაუგებარი კონტრასტების სახით მოეწვინა იგი მას დილიდანვე და თავს ერთმანეთის მოწინააღმდეგე განცდები დაატეხა.

თვითონ არჩილიც ვერ იდგა თავის ღირსების სიმალლეზე. ისე ვერ იქცეოდა, როგორც რევოლიუციონერს შეეფერება.

ყველაზე უფრო ეს ცაცასთან თავდაუქერლობაში გამოაშკარავდა.

ასე გამოდის, რომ არჩილს საკუთარი ნებისყოფა არა აქვს და იგი შემთხვევასა და სხვის ნებაზე არის დამოკიდებული.

მეტიც: ერთს აკეთებს, მეორეს კი ფიქრობს: ერთს გადასწყვეტს, სულ წინააღმდეგი კი გამოუდის.

რომ უკვირდება ყოველსავე ამას ახლა არჩილი, ისე ეჩვენება, თითქოს უმცროსი კლასის მოწაფე იყოს, რომელმაც თვითონ არ იცის, რას მიედებ-მოედება.

რას იტყოდა, მაგალითად, ნიკო, რომ მას არჩილის საქციელისთვის დღეს თვალი ედევნებია? ის ნიკო, რომელმაც არჩილის რევოლიუციონერობაში ეჭვი

Коллекция
И.А. Дегос
Тришук

შეიტანა ფოთში, და რომლის მიხეზითაც იგი ასე სასწრაფოდ ქუთაისს/გამოემ-
გზავრა დიდის ამბით.

გინდ, ანდროც? სამსონაც ან ერასტო?

ამათ ალბად იმის წარმოდგენაც კი არ შეუძლიათ, ^{არაა მასტროს კაცია}
ნამდვილად არჩილი!

არჩილმა ხომ ისე დასთმო ისინი ცაცას მოთხოვნის უმაღვე, რომ არც კი
დაფიქრებულა.

სამარცხვინოა პირდაპირ.

ნეტაუი, როგორ მოიქცეოდენ მის აღგილას ანდრო ან სამსონა?

არჩილი დარწმუნებულია, რომ ამათ ვერც კი შეუბედავდა ვინმე მსგავსი
რამის მოთხოვნას.

— დიად, ცაცასაგან სჭირს არჩილს, რაცა სჭირს!

დღეს ასე ჰსურდა ცაცას, და არჩილიც ასეთი იყო. ხვალ, იქნება, ამავე
ცაცამ სხვანაირად ისურვოს... და მაშინაც დაჰყვება ალბად ნებას არჩილი.

ამის შემდეგ რა უფლება აქვს მას რევოლიუციონერის სახელი ატაროს და
გვერდში ამოუდგეს ნიკოსა და ვასოსთანა რკინის ხალხს!

ასე ფიქრობს არჩილი და გულზე თანდათან ჯავრის შხამი უგროვდება.
ერთსა და იმავე გვერდზე გადაკეცილ წიგნაკს მისჩერებია, ხოლო თვალწინ
განვლილი დღისა და ცაცას ამბავი გადაშლია.

რა თქმა უნდა, ის არასოდეს არ აპატიებს თავისთავს, რომ ასე იოლად
შეურიგდა ცაცას და თავი მახეში გააბმეინა.

ნუ თუ მან მართლა იწამა ცაცას გულწრფელობა ამ საღამოს?

განა არ შეეძლო ცაცას, სწორედ ასეთივე ამბავი იმავე ლევან პატაშვილთან
დაეტრიალებინა?

რა იცის არჩილმა, რომ „იქ“ უარესიც არ ხდება?—

რაც დღეს ბულვარში ნახა, ნამდვილად ნახა, კი არ მოსჩვენებია.

ესეც არ იყოს, არჩილს მიხვედრის თვალშიც კარგად უჭრის და ამ საღამო-
საც, ბალში, ძალაუნებურად ბევრი ისეთი რამ გამოარკვია, რაც წინად სულაც
არ უგულისხმია.

აი, ცაცას კოცნაც რომ ავილოთ,—გაბედული, თავზეხელაღებული, გი-
ჟური,—ესეც დიდი საბუთია მისთვის.

რა დასაჯერებელია, რომ ასე გახელდეს ყმაწვილი ქალის სისხლი, თუ ის
ცოდვის შხამით მოწამლული არ არის?

მაგრამ სხვა წვრილმანიც არა ნაკლებ საყურადღებოა და მნიშვნელოვანი:
პირველი:

ჩუმი გაცინება შეხვედრისას.—ცბიერი. მზაკვრული. ნამდვილი ქალური,
რომლის მნიშვნელობას განსაკუთრებით ახლა ხვდებოდა არჩილი.

მეორე:

მაშინაღური დადასტურება არჩილის მიმართვისა: „საძაგელო“. ცაცას
პასუხი:

„ჰო, საძაგელი ვარ... მაგრამ შენი ბრალია!“

უთუოდ მრავალის მეტყველი რამ არის. მასში უნებლიე, უცნაური აღსარება იმალება, რომლის შინაარსს სავსებით ააშკარავენ გასამართლებელი საბუთის დართვა ფრაზის მეორე ნაწილში: „მაგრამ შენი ბრალია!“

აქ, ბრკელებში, უთუოდ სინდისის მხილებასთან გვეტყვის წამყვანი:

„ლევან პატაშვილი ჩემი კარგი მეგობარია... მხოლოდ“.

ეს ქალური თვალთმაქცობის პირდაპირ კლასიკური გამოხატვაა.

განსაკუთრებით საგულისხმეოა სიტყვის „მხოლოდ“ მნიშვნელობა და ის საოცარი მახვილი, რომელიც აჯდა ამ სიტყვას მთელი წინადადების წარმოსთქმის დროს.

აქ მოცემულია შესანიშნავი მაგალითი ფსიქოლოგიური ცდისა: დაჯერება როგორც სხვისი, ისე საკუთარი თავისა იმაზე, რაც ფაქტს ეწინააღმდეგება.

„მხოლოდ“.

და ზედ მარხვილი, რომელსაც უნდა შეეშინებია არჩილი და მისთვის ხმა ჩაეკმინდა...

უეჭველია: მთელი ამ ფრაზის დანიშნულება ის იყო, რომ შით ავტორს საქმის ნამდვილი სახე დაეფარა.

ჰმ... „კარგი მეგობარი“... რომელიც „მხოლოდ“. ის დამატებას საჭიროებს...

საშინელებაა, კაცმა რომ დაუკვირდეს.

მეოთხე:

პირობის წამოყენება: ან ასე, ან ისე.

საშინელი შაბლონი ქალური ფუქსავატობისა. ასეთი რამე ბუნებით „სხვა-ნაირ“ ქალებს სჩვევიათ ხოლმე.

აი, სანამდის მისულა ცაცა!

მეხუთე:

ქალაქგარედ გაწვევა.

ამ შემთხვევაში გამოაშკარავებულია ოსტატური ხერხი, რომელიც არ შეიძლება ვარჯიშის შედეგი არ იყოს...

სწრაფი ორიენტაციის უნარი, უთუოდ შეძენილი მსგავს დაბრკოლებათა გადალახვის დროს:—

გათვალისწინება. მიხვედრა. გადაწყვეტა. ნიშნის მოგება.

ერთი სიტყვით: ქალი მთელი მისი სულისა და ხორცის საშიში ატტრიბუტებით...

და ასე მიყოლებით დიდხანს განაგრძობს არჩილი ცაცას ჩხრეკას თავისი გამანადგურებელი კომენტარებით.

თითქოს შურს იძიებდეს, არ ზოგავს, არ ინდობს და ყოველ „ახალ აღმოჩენაზე“ რალაც უცნაურ სიხარულს განიცდის.

მაგრამ ერთდროულად იქვის ნემსებისგან გული ეჩხვლიტება და თანდათან ტანჯვის აღში ეხვევა.

ნუ თუ მას ასეთი ცაცა უყვარს?

დიდხანს წვალობს.



წიგნს იატაკზე დააგდებს. პირით კედლისკენ მიბრუნდება. თვალებს დახუჭავს. — ფერად-ფერადი ფანტასტიური სხივები ახლა თვალებს შიგნით გაუციალებენ. უცნაურ საახებათ შერკონებიან. მერყეობენ და მღვდლებიან, დაიფანტებიან და მთელ ტანზე ცეცხლად შეეკიდებიან.

გაივლიან საათები, შინაგანი თაკარი მაინც არ უნელდება. შალვაც მორჩება წერას. დაწვება. სინათლეს ჩააქრობს. სტუმრებიც წავლენ. სახლში ღამის სიჩუმე დამკვიდრდება. არჩილს კი კვლავ საშინელი აზრები მაჯლაჯუნასავით ჰგუდავენ. ჰკრუნ-ჩხავენ. ჰკაწრავენ...

დიდიხნის მერე:

უყვარს თუ არა იგი ცაცას?

მართალია თუ არა ყოველივე ის, რასაც ფიქრობს, რასაც განიცდის, რაც ეჩვენება, ჰგონია?

თუ მართალია, მაშინ?

საშინელ მიჯნასთან მიჰყავს ამ კითხვას. — უფსკრულია მის წინ: — თუ მართალია, მაშინ?

შიში შეიპყრობს.

გადააქარბა არჩილმა. ჩვეულებრივად სახლვარს გადასცდა, თორემ შეუძლებელია, რაც წარმოიდგინა, მართალი იყოს.

ახლა ის უნდა, რომ თვითონ იყოს მტყუანი, ცაცა კი — მართალი.

ტვინი უღულს. ღამის სისხლის მიღები დაუსკდენ.

— ცაცა! — წარმოსთქვამს ჩუმად. რაღაც ვედრებით. ხვეწნით. თითქოს შებრალებას ითხოვდეს.

გული აუჩვილდება.

კიდევ გაიმეორებს ცაცას სახელს. დათუთქვით. თითქოს იხმობდეს, დახსნას სთხოვდეს.

პასუხად ელამი თვალები ბნელს შავად გაჰკვეთენ. მიუახლოვდებიან. შემოაცქერდებიან.

„არჩილ... კმარა!“ — მოესმება არჩილს.

ბალიშიდან თავს წამოსწევს. ფართოდ გააღებს თვალებს.

ხელებში ცაცას ხელის სითბოს იგრძნობს, ამ საღამოს ბალში რომ განიცადა.

— ცაცა! — იტყვის ერთხელ კიდევ და ხელს ჰაერში გაათათურებს: ეძებს ცაცას. უნდა ხელი მოჰკიდოს. მისი სიახლოვე იგრძნოს. სითბო. მისგან მართალი გაიგოს.

მაგრამ ამაოდ.

ბალიშიში პირქვე ჩაემხობა მომწყდარი. მორქალული.

ერთხანს აზრი შეუწყდება. მაჯისცემა შეუჩერდება.

არ შეუძლია მეტის ატანა.



ასე დარჩება ერთხანს გამომწყვარივით.

როცა გონს მოვა, წარმოუდგება, თითქოს ცაცას სახლში მის წინააღმდეგ გასულიყოს.

ქურონალი „მნათობნი“ № 3.

55542

6983



გაუგებარი ძალა იყოს ამხედრებული, ყოველი ცნობის გარეშე მყოფი, შეუბრა-
ლებელი, როგორც პირველყოფილი სიმძაფრე, და ბრმა, როგორც სიცოცხლის
პირველი ჩანასახის ნება და ლტოლვა.

და რასაც წინად მხოლოდ ხედებოდა არჩილი, რაც ღმრთობის მხედრობით ში-
შის სახით ელანდებოდა და რასაც მისი არსება მუდამ ებრძოდა, ახლა გარკვე-
ულ და ცხად აზრად გამოიკვეთა მის შეგნებაში:—

ეს იყო ცაცა, როგორც მისი ბედისწერა გარდაუვალი.

XII

ასე გათენდა უძილო ღამე.

არჩილი განთიადს აპყვა. ტანთ ჩაიცვა გაუხმაურებლად და ოთახიდან
ფეხაკრეფით გავიდა.

თავი მძიმე ჰქონდა ტყვიასავით და ტანი დათენთილი.

მხოლოდ ბალში დილის სიომ ოდნავ მოასულიერა.

ყოვლად მშვიდი და ნაზი იყო ქუთაისის გათენება.—მტრედისფერი. მორ-
ცხვი. უბიწო.—ახლად არტახებშეხსნილ ჩვილ ბალღით უმანკოდ სუნთქავდა.

თითქოს შეელოცოს არჩილისთვის, გულის წყლული მოუაბა, მოუშუშა.

არჩილმა ხარბად ჩაითქვა მისი ჰაერი. ღრმად ამოისუნთქა,—გულზე და-
ლექილი მოშხამული წკირები ამოაყოლა.

შეება რამ იგრძნო.

მერე რიონის ნაპირისკენ დაეშვა. აქ ხელპირი დაიბანა. კოშმარების ზი-
წვები მოიშორა.

კლდეზე ჩამოჯდა დასასვენებლად. მოხალისდა.

მის წინ რიონი აღლუმზე გამოსულივით მხუილით გარბოდა. ახალგაზ-
დური გატაცებით მიაგორებდა თავის ლაგვარდისფერ ტალღებს. ზოგჯერ ჩაი-
გუგუნებდა შეტორტმანებით. ზოგჯერ კიდევ მარჩხას აკეთებდა და საკუთარი
მდინარებით გახარებული კიშმიშზე შემდგარ ფაფარ-გაშლილ კვიცივით აქიხვი-
ნებულებოდა.

სიცოცხლის ვნება შეეფრქვია მისგან არჩილს. ძარღვებში დაუარა. გაიტა-
ცა და აკისკისებულ ბუნების ხალისში ჩაიყოლია.

დაავიწყდა წუხანდელი ღამე. წამოდგა. გაიმართა და გათენების უჩინარ
ორკესტრს ხმაშეწყობით შეეხმაურა.

და თითქოს მის სულშიც გათენებულებოდა, ისე ჩაუდგა თვალეში დილის
ლაგვარდის ფერი და გულში კი—რიონის აქიხვინების გამოძახილი.

ცაცას კოცნა ახლა ისევ აჯდა ტუჩებზე, როგორც გახარება, და ანას წი-
ნად პირზე შემხაბუნებული რიონის ჯადო წყლის ცხოველყოფელობა.

როცა არჩილი ოთახში დაბრუნდა, კარგა გათენებული იყო. შალვა ამდგა-
რი დახვდა.

მიესალმენ ერთმანეთს.

შალვამ წუხელ დამთავრებული წერილი წაუკითხა არჩილს. მერე აზრი
კითხა მოსმენილის შესახებ.

არჩილმა მოუწონა. შეაქო.

— რა მოგდის, კაცო? იმ „სოციალიზმს და ეროვნებას“ ხომ არ მოუნათ-
ლიხარ?— გაუკვირვა წერილის მოწონება შალვამ. — აქ მე ავტონომიის იდეას
ვიცავ, არჩილ!

ეს რა მარცხი მოუვიდა არჩილს? ალბად წერილის შინაარსისათვის ყური
არ უგდია. თვითონაც ეოცა ეს ამბავი.

მაგრამ მაინც უკან არ დაიხია. ბავშვივით გაუცინა მეგობარს და ასე
უთხრა, განსაკუთრებული მნიშვნელობის დატანებით:

— მერე რა?.. კი არ მეშინია, შე კაცო!

— ძალიან მიხარია! აკი გითხარი: ციხე შიგნიდან გატყდება მეთქი... წუ-
ხელ რომ წიგნს კითხულობდი, ის უთუოდ თქვენი პარტიული ციხის გაბზარვას
მოასწავებს.

— ჰო... სამწუხაროდ ის წიგნი არ დამიმთავრებია.

— მაშ, ეს ამბავი ნამდვილად სასწაულია, არჩილ?.. ა? შენ და ავტონო-
მია!! რას მივაწერო, არ ვიცი... სისხლი ხომ არ ამეტყველებულა შენში, ძველი,
ქართული... ათასოვან წელთა მომწელებელი... გარდაუვალი, მარადი?— და შალ-
ვამ ცდით შეხედა თვალებში არჩილს.

— მოიცა, კაცო... გასაგებად მელაპარაკე... შენ ისე შეჭხარი ავტონომიას,
თითქოს თვითონ სოციალიზმი გეჭიროს ხელში!.. გაუსწორებელი ხარ... მაგრამ
ახლა მაგის გუნებაზე არა ვარ: სხვა რამ მინდა გითხრა... იცი, გუშინ ცაცა და
მე შევრიგდით.

— მოგილოცავთ... ან აქამდისაც რა გქონდათ გასაყოფი?

— დაიცა... კიდევ რა გითხრა: გადავწყვიტე ფოთს თავი დავანებო და...

— აი, ეს მესმის!.. შენ, კაცო, ძალიან ნიჭიერი ხარ... ხომ იცი... და
მართლაც ცოდვა ხარ: პროპაგანდისტობა რა შენი საქმეა... გეყოფა... ახლა,
ძმაო, ისევ სწავლას დაუბრუნდი... ძალიან კარგი რამ გადაგიწყეტია... მაშ უნი-
ვერსიტეტში მოდიხარ!

— კი... მაგრამ წელს იქნებ კიდევ ვერ მოვახერხო... ორგანიზაციას ასე
უცბად თავს ვერ დავანებებ...

— ჰეე... ეს კი არ მომწონს... სოციალ-დემოკრატების მეტი რაა ჩვენში, რომ
პარტიას შენ დააკლდე მაინცა-და-მაინც... რევოლიუცია კი, ჩემო არჩილ, კარგა
დიდხანს არ დაბრუნდება... ისტორიაა... მერე კიდევ რუსეთის. შენ მე დამიჯე-
რე: რაკი გადასწყვიტე, მორჩი... აი, მე ამ ათ დღეში გავემგზავრები... ერთად
წაეიდეთ.

ისაუბრეს ერთხანს. მერე ჩაიც შემოუტანეს. დალიეს.

შეათე საათი იყო.

ცაცას ხმაც გაისმა სახლში.

ქუჩაც ახმაურდა.

გაზეთები ჩამოატარეს.



— ახალი დეპეშები. ახალი დეპეშები! — შემოაძახა დაჩვეულმა მეგაზეთემ შალვას ოთახშიც.

იყიდეს.

პირველმა შალვამ გადაათვალიერა.

— ჰო-ჰო... კაცო, შენს ფოთში, მგონია, რაღაც უბედურება დატრიალებულა... ექსპროპრიაცია... ნახე! — მიმართა მან არჩილს და დეპეშები გაუწოდა.

— რა? — და არჩილმა რაღაც გაუბედავად ჩამოართვა დეპეშები.

— აი, წაიკითხე...

დეპეშა ჭალადიდსა და პატარა ფოთს შუა მატარებელზე მომხდარ თავდასხმას იუწყებოდა.

არჩილს რამდენჯერმე ეცვალა ფერი: ჯერ გაწითლდა. ანთო. მერე თანდათან ბინდი შეაწვა სახეზე. — შეყვითლდა. შეფითრდა.

დეპეშის კითხვა ბოლომდის არც დაეთავებია, რომ ტყვიამოხვედრილივით შეჭყვირა:

— ა?... სამსონა გაჰყოლია და... მოუკლავთ კიდევაც... როგორ დავიჯერო!! — თავში ხელი იტაცა. სკამზე მოკეცით დაეშვა.

— რა იყო? შენი ნაცნობია? — ჰკითხა მისი შეყვირებით გაკვირვებულმა შალვამ. მივიდა, დეპეშა ჩამოართვა და ხელახლად დაკვირვებით წაიკითხა ბოლომდის.

ამბავი მოკლედ იყო მოთხრობილი: ჭალადიდიდან რამდენ ვერსტზე მოხდა თავდასხმა. რა დროს. სროლა. თავდამსხმელთა უკუქცევა. მერე: სროლის დროს მოკლული სამსონ ტაბაძის აღმოჩენა ტყეში, მისი ვინაობის აღნიშვნით — ფოთში კარგად ცნობილი ტერორისტი, თავდასხმის ორგანიზატორი. დეპეშის ბოლოში: ბოროტგამზრახველთა დევნა და სუფსის მიდამოებში მეორე თავდამსხმელის შეპყრობა, — მიხელა-იმერელის სახელწოდებით.

დეპეშის შინაარსმა და არჩილის შეცხადებამ შალვას ის ეჭვი დაუბადა ძალაუნებურად, თითქოს მთელი ეს საქმე ფოთის ორგანიზაციის მიერ ყოფილიყო მოწყობილი, თვითონ არჩილის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით.

— თქვენი პარტიის მოწყობილი იყო? — გაუმჟღავნა მან კიდევაც ეჭვი არჩილს და მცდელი თვალეებით შეხედა.

— არა. — გადაჭრით უპასუხა არჩილმა. მაგრამ უცებ ისევ წამოწითლდა სახეზე, თვალეები აარიდა მეგობარს და დაბნეულად შეუბრუნა კითხვა:

— ჩვენი პარტიისაო, მკითხე? საიდან სჩანს?

— ვინ არის მოკლული... ტერორისტი იყოო, რომ სწერენ? იცნობდი?

— როგორ არა!... ჩემი... ჩემი... — მაგრამ ვერ დაათავა. თვალეებზე ცრემლი მოადგა. — მერე რა ბიჭი, შალვა! რა ბიჭი, რომ იცოდდე! — ძლივს სთქვა და შალვასგან პირი მიიბრუნა. ოთახის კუთხეში მიდგა. ყელზე მოწოლილი ასლოკინება დააცხრო.

— ეს მეორე კი ვინ არის, რომ შეუპყრიათ? — ცოტა ხანს შემდეგ ჰკითხა ისევე შალვამ.

— ვინ მეორე კაცო? რომ არ წამიკითხავს! ამაში სწერია? — დეპეშა ხელი-
დან გამოჰგლიჯა. — სად სწერია?

შალვამ თითით უჩვენა ის ადგილი, სადაც მიხელა-იმეორის წყობის
ამბავი ეწერა.

არჩილმა წაიკითხა.

შალვა ამ შემთხვევაშიც არჩილის აფეთქებას მოელოდა, მაგრამ პირუკულმა
მოხდა: წაკითხვისთანავე არჩილი უცებ მოეშვა. რაღაც უცნაური დანაღვლიანე-
ბის ლანდმა მოულოდნელად სახეზე გადურბინა: თითქოს ის არ გამართლებო-
დეს, რასაც ფარულად მოელოდა.

— უცნობია? — შეეკითხა კიდევ შალვა.

— ვიცნობ: ფოთელი მუშაა... — უპასუხა უგულოდ და ოთახში გაიარ-გა-
მოიარა.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ცუდი ამბავია! — დაარღვია ბოლოს შალვამ სიჩუმე.

— საშინელებაა... — ჩამოართვა სიტყვა არჩილმა და შუა ოთახში შესდგა. —
განა იმისთვის გამოვეშურე აქეთ, რომ... — ტუჩზე იკბინა. ისევ გაიარა. — მაგრამ
იმ... იმ... — ვერ სთქვა. პირი ბრაზისაგან მოექცა. ნიკაპი აუკანკალდა. — იმ
იდიოტმა გზა ამიბნია. აზრი შემიცვალა. ჩემი ბრალია... პო, ჩემი ბრალია, რომ
ვასოს დაუჯერე!...

მაგრამ აზრი არ დაუმთავრებია, უცებ შალვას წინ შესდგა მთელი ტანით
შეკანკალებული. გიჟივით გადიტრიალა თვალები და, თითქოს დეპეშაში ამო-
კითხულზე უფრო საშინელი რამ მოგონებოდეს, შიშისაგან ჩამწყდარი ხმით
შეჰკივლა:

— ვაიმე, ანდრო?!... იქნება, ანდროც შეპურობილია... ერასტოც... სხვე-
ბიც... მთელ უბანს დაარბევინ, რაკი სამსონა გარეულა...

სთქვა და ისევ უცბად გაჰკმინდა ხმა. თითქოს აზრი გაუწყდა. დაბნევით
მიმოიხედა, შიშის ზარდაცემულივით, თითქოს ზებუნებრივი ძალის შეხება
ეგრძნოს, და გარეშე მკაცრი ნებისყოფა მთელ ტანზე რკინის სალტად შემორ-
ტყმოდეს.

მოიკრუნჩხა. მოიკეცა. ასე მივიდა სკამთან და ზედ დაეშვა მომაკვდავივით.

— ეს კიდევ სხვაა... სხვა ბედი... სხვა ბედისწერა... — მისტიური ხმით
გულს შიგნით ჩაილაპარაკა.

„ნეტავი რომელია ჩემი: ის, წუხელ რომ ცაცას სახით მომეჩვენა, თუ
ეს“... — გაიფიქრა და ხელის გული სახეზე აიფარა.

ასე დარჩა ერთხანს.

მერე შერიგებული, დაწყნარებული ხმით მიმართა შალვას:

— შალვა, ცაცას უთხარი, მისი ფოთში დაბრუნება აუცილებელი იყო-
თქვა... და წავიდათქვა... ასე უთხარი, თუ ძმა ხარ...

ადგა. ერთი უცნაურ გაღიმებით შეხედა მეგობარს და კუთხეში კედელზე
ჩამოკიდებულ თავის მუშურ ტანსაცმელთან მივიდა. ჩამოხსნა. გახდას შეუდგა.

— მატარებელი ფოთისკენ თერთმეტზე გადის. უნდა მივუსწრო... დაგვიანე-
ბა შეუძლებელია...

შალვას კი არაფერი ესმოდა იმისა, რაც მის მეგობრის თავს ხდებოდა. უკიდურესად შეწუხებული და დაბნეული შესცქეროდა მას, უკვე საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ დებეშის მოტანილი დიდი ხეტი, მისი სტუმარი და მეგობარი, არჩილ დადიშიანი იყო...

— მე კი არ გირჩევ, არჩილ, დაბრუნებას... რაკი საქმე ასეა, ძალიან საშიშია შენი ახლა ფოთს ჩასვლა: აუცილებლად დაგიჭერენ. — უთხრა მან არჩილს შეგვიანებით.

— ანდრო თუ დაჭერილი არ არის, უნდა მივუსწრო. თუ დაჭერილია, მაინც უნდა მივუსწრო, რომ ვუშველო... — უბასუხა არჩილმა.

— არაფერი მესმის ძმაო, რასაც ლაპარაკობ... მაგრამ მაინც უნდა გითხრა: შეიძლება ძალიან უჭირდეთ იქ, მაგრამ შენი წასვლა მაინც უაზრობაა... თავს დაილუბავ. ორიოდღე დღე მაინც შეიცადე აქ და მერე წადი... — ერთხელ კიდევ შეეცადა შალვა მეგობარი გონზე მოეყვანა, მაგრამ ამაოდ.

არჩილი ორ-სამ წუთში უკვე მზად იყო და გასავალი კარებისაკენ მიეშურებოდა.

შალვას მეტი აღარაფერი დარჩენოდა სათქმელი. უხმოდ, უსიტყვოდ მიაცილა მეგობარი სახლის კიბემდის და უკან დაბრუნდა.

მაგრამ ოთახში რომ შევიდა, შეფიქრიანდა.

— სადგურამდის მაინც გავყვები შორი-ახლო. ამ სახით, შეიძლება აქაც რამე შეემთხვეს... — სთქვა, საჩქაროდ აიღო ჯოხი, დაიხურა ქუდი და არჩილს დაედევნა.

სახლიდან გამოსვლისა და მიხედ-მოხედვისთანავე დაინახა შალვამ არჩილი, იგი ტფილისის ქუჩასთან შემაერთებულ შესახვევით აჩქარებული მიდიოდა.

შალვაც ამ გზას დაადგა. მოაზრებული ჰქონდა, თავი ახლოს დაეჭირა მეგობრისგან და თვალი ისე ედევნებია. — მუშურ ტანსაცმელში გამოწყობილ არჩილთან ერთად გავლა სახიფათოდ მიემჩნია. —

ტფილისის ქუჩის მოსახვევში ხედვის არედან დაეკარგა მეგობარი. გაიქცა. თვითონაც მოუხვია. გახედა: — დამაშორებელი მანძილი შეემოკლებინა.

ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა, რომ უკეთ ეთვალთვალნა.

ასე განაგრძეს რკინისგზის სადგურისკენ სვლა.

მაგრამ გაიარეს თუ არა მცირე მანძილი, უცებ მოულოდნელი ამბავი დატრიალდა.

არჩილი ვიღაც პოლიციის ბოქაულის ფორმაში გამოწყობილმა კაცმა გააჩერა, და მათ შორის ფიცხელი ლაპარაკი შეიქმნა.

შალვას შიშმა გულისცემა შეუჩერა.

— არჩილ დადიშიანი! სტუდენტი-აგიტატორი! გადაცმული! დიახ, კარგად გიცნობთ! — ჰყვიროდა პოლიციელი. — თქვენ დაპატიმრებული ხართ!

ტანში გასცრა შალვას. შესდგა. ნიაყურა. მაგრამ არჩილის ხმა ვერ გაიგონა. სახეზე კი შეატყობ, რომ იგი რაღაცას ენერგიულად ელაპარაკებოდა ბოქაულს. შალვა კი მას ვერ შეენიშნა.

— გთხოვთ მომყევით! პასუხს იქ გავებთ, სადაც ჯერია. — ახლა უფრო ხმამაღლა იყვირა პოლიციელმა და რევოლვერის ბოხჩას ხელი წაატანა.

გამვლელებიც შესდგენ შორი-ახლო.

— ფაეტონ!—დაიძახა ბოქაულმა.

ფიცხლად ჩასვა შიგ არჩილი და თვითონ გვერდით მოუღვრა აწოლებული რევოლვერით ხელში.

— ვინ არის? ვინ არის?—გაისმა შეგროვილ ხალხში.

— არჩილ დადიანი.—მოჰკრა ყური შალვამ ვილაცის ხმას. ერთ წამში რამდენიმე ათეულმა პირმა გაიმეორა ეს სახელი სხვადასხვანაირი წართქმით.

მაგრამ შალვა რამაძეს აქ აღარ შეუგვიანებია. პირველსავე თავისუფალ ეტლში ჩაჯდა და მეეტლეს უბრძანა ბოქაულის ფაეტონს დადევნებოდა.

პოლიციელმა ეტლი ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს წინ დააყენებინა. პირველად თვითონ ჩამოხტა. მას არჩილიც მიჰყვა. სამმართველოს შესაველთან შესდგენ: ბოქაულმა პირველად შესვლა არჩილს შესთავაზა.

ამ დროს შალვას ეტლმაც ჩამოიარა შენელებული ნაბიჯით. არჩილმა მისკენ მიოხედა. გაუკვირდა შალვას ნახვა. არ მოელოდა აქ.

მეგობრებმა ერთმანეთს შეხედეს.

შალვას უკიდურესი შეშინება და შეწუხება ვერ დაეფარა. თვალები ისე გაფართოვებოდნენ, რომ პენსნუს ზომას გადასცდნოდნენ.

სამაგიეროდ არჩილმა მტკიცე სიმშვიდე დაანახვა შალვას. თვალეში უბედურებასთან გაპირისპირებით გამოწვეული ვაჟკაცური სიამაყე ჩაიყენა და ისე შეხედა მეგობარს.

მერე, თითქოს მიუხედაო მის ამ ადგილას მოულოდნელი გამოჩენის მიზეზს, შეუღიმა მადლობის ნიშნად და ამ სახით დინჯად შესდგა ფეხი ჟანდარმთა სამმართველოში.

შალვამ კი თავისი ეტლი ბალახენის ქუჩისკენ გააქანა. მას ის შიში აწუხებდა, რომ არჩილის დაჭერას ფოთის გზაზე მომხდარ მატარებელზე თავდასხმას უკავშირებდა.—სახლში იმისთვის მიიჩქაროდა, რომ მამის გავლენისათვის მიემართა და ამ გზით ეშველა მეგობრისათვის.

სახლს უახლოვდებოდა, როცა წინ ცაცა შემოეყარა.

შალვამ ეტლი დააყენა და ცაცას მასთან მოსვლა ანიშნა.

— არ მცალია...—შედგომით უპასუხა ცაცამ.—სად იყავი?—ჰკითხა მერე და გზის გაგრძელება დააპირა.

— მოდი მეთქი... არ გესმის!—დაუძახა ახლა შალვამ და ისეთი სახე ჟღერდა, რომ ცაცა ძალაუნებურად მიუახლოვდა.

— დაჯექი აქ... დაბრუნდი.—იმავე ხმით განაგრძო შალვამ.

— რა მოგივიდა? გითხარი: არ მცალია მეთქი.—უპასუხა გაჯავრებით ცაცამ და ხელის საათზე დაიხედა.—აი, ათს გადაცილებულია... მომელიან!..

— იცი... არჩილი დააპატიმრეს...—უთხრა შალვამ, გადმოიწია ეტლიდან, მოჰკიდა ცაცას ხელი და გვერდში მოისვა.

— რას ამბობ? ხომ არ გაგიჟდი?—და ცაცამ თავისი დიდრონი თვალები შეანათა შალვას.

— მამა ხომ არ წასულა სადმე? ახლავე უნდა მივადებინოთ ხომები, რომ გაანთავისუფლებიოს... სანამ ციხეში გადაიყვანდენ, ჩემი აზრით, მანამ უნდა შეველა.

— მართალს ამბობ, შალვა?..—ფერი ეცვალა ახლა ცაცას.—როგორ? სად?

— აი, შევიდეთ სახლში... ყველაფერს გეტყვი... საქმე, მგონი, ძალიან სერიოზულია... ყოჩაღად კი ეჭირა თავი... ისე არ სტოვებს შთაბეჭდილებას, და გმირი კი ყოფილა... ძალიან მომეწონა, იცოდე... მის მაგიერ მე შემეშინდა...

სახლში რომ შევიდენ, შალვამ დაწვრილებით უამბო ცაცას, თუ რა პირობებში მოხდა მისი მეგობრის დაპატიმრება. დეპეშაც წააკითხა და არჩილის გაუგებარი საქციელი გააცნო. თავისი ეჭვებიც გაუმხილა საიდუმლოდ.

— შენ ახლავე გაიქეცი ვასოსთან, ცაცა... შეატყობინე. იქნება, იმანაც რამე ზომა მიიღოს.—დაასრულა შალვამ.

ცაცამ სიტყვის ამოუღებლად ბოლომდის მოუსმინა შალვას. მერეც კარგა ხანს იყო დადუმებული. ბოლოს წარბები შეეკრა უეცრად და შალვას ჰკითხა:

— ფოთში მიდიოდა... მუშის ტანსაცმელში გადაცმული?

— ჰო... აკი გითხარი. შენ დაგიბარა, ჩემი გამგზავრება აუცილებელი იყო...

— იცი, შალვა, მე მაგ შენი არჩილისათვის ფეხსაც არსად არ გადავდგამ. თავი მომაბეზრა სწორედ... კმარა... მეტი არ შემიძლია... ეს იცოდე: ჩემს რუსეთში გამგზავრებას ერთი დღითაც არ გადავდებ... რომ ჩამოახრჩონ კიდევ. შენ კი როგორც გსურდეს, ისე მოიქეცი... „აუცილებელი იყო“... მეც ჩემი აუცილებლობა მაქვს... არც კი ვინაღვლებ, აი!—მოულოდნელი გაანჩხლებით სთქვა ცაცამ, გადამეტებული სიმკაცრით, ბრაზ-მორეულად. მაგრამ იმავე წამში თვალბში ცრემლი ჩაუდგა და მკერდი გულზე მოწოლილმა ჯავრმა აუტოკა.

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ იგრძნო, რომ თავს ვერ შეიკავებდა, და გაჭრით გავიდა შალვას ოთახიდან...

შალვამ კი გაბოლებული პაპიროსი მოათავა ჩაფიქრებული სახით. ნამწვი საფერფლეში ჩაჯიჯგნა. მერე პენსნე გაისწორა. ხალათის კალთა უკან დაიხვეტა და ჩქარი ნაბიჯით მამის ოთახისკენ გაეშურა.

მიუხედავად შალვა რამაძის მიერ მიღებული ზომებისა და მამამისის საქმეში ჩარევისა, არჩილ დადიშიანი მოკლე დაკითხვის შემდეგ იმავე დღეს, საღამოს, ეანდარმთა სამმართველოდან საგუბერნიო ციხეში გადააგზავნეს.

როგორც კი გაიგო ეს ამბავი შალვამ, დაუყოვნებლივ დაამზადებინა სახლში ქვეშაგები, საცვლები და სხვა პირველი საჭიროების საგნები, დააბარებინა ეტლი და თავისი ხელით წაუღო მეგობარს ციხეში.

XIII

არჩილ დადიშიანს ციხეში ამხანაგები დიდი ამბით შეეგებენ.

სანამ მას ციხის კანტორიდან ზემო სართულში აიყვანდენ, საღაც პო-

ლიტიკურები იყვენ მოთავსებულნი, და კამერას მიუჩენდენ, მთელმა ციხემ უკვე იცოდა მისი ამბავი.

ზემოსართულის დერეფანში კი შექუჩებით შეხედენ, საერთო უმცირესობით, თითქოს დაპატიმრებას ულოცავდენ.

ციხის ამხანაგების უმრავლესობას უპირველესად ყოვლისა ის აინტერესებდა უფრო, თუ რომელ კამერაში იყო გამწყვდებული მათი ახალი ამხანაგი.

— კამერა № 4.—გაისმა რუსი ზედაძხედველის ხმა.

ახლა არჩილს ამ კამერის ტუსალები შემოეხვივნენ. ჩაიყენეს შუაში და გრძელი და ვიწრო, ესრედ წოდებულ „პოლიტიკურთა დერეფნის“ ბოლოსკენ გააქანეს, სადაც ეს მეოთხე კამერა იმყოფებოდა.

იმ ჟამად პოლიტიკურებს ის შეღავათი ჰქონდათ ქუთაისის ციხეში, რომ მთელი დღის განმავლობაში მათი კამერები ღია, დაუკეტავი რჩებოდა, და ისინიც თავისუფლად მიმოდიოდენ კამერიდან კამერაში და დერეფანშიც განუწყვეტლივ დასეირნობდენ.

— მეოთხე კამერაო?! მაშ, არა გიშავს, ამხანაგო!—შიაძახეს არჩილს გასამხნეებლად სხვა კამერის ამხანაგებმა.—„ადმინისტრაციული“ ყოფილხარ... შეიძლება, აქედან სულ მალე გახვიდე!

ქუთაისის ციხის ტუსალებს თავიანთი ნიშნები ჰქონდათ: ამა თუ იმ კამერაში მოთავსების მიხედვით ხედებოდენ, თუ პატიმარი რომელი ხარისხის დამნაშავედ იყო ჩათვლილი.

კამერები კი მრავალნაირი იყო:

„სასიკვდილო“—ციხის ქვედა სართულში, განცალკევებული, პატარა, ნახევრად ბნელი. უსკამო. „უნარო“.

„საგამომძიებლო“—„სეკრეტების“ სახელწოდებით. „პატიოსანი სადგომი“.

„საკატორლო“—კატორლა-გადაწყვეტილთათვის.

„საადმინისტრაციო“ (საერთო. „უვნებელი“).

არჩილის კამერა № 4 მოდიდო ოთახს წარმოადგენდა ციხის ეზოში გამავალი ორი ფანჯრით. იგი ნორმით თორმეტ ტუსალს იტევდა. მაგრამ ამ ჟამად მასში ორმოცი პოლიტიკური იყო მოთავსებული.—ამ საშინელებას ციხის ოფიციალური ენა „ნორმაზე ზედმეტს“ ეძახდა უბრალოდ.

კამერაში არჩილს საპატიო ადგილი დაუთმეს ამხანაგებმა. ფანჯარასთან ახლოს „ნარის“ ფიცარ ნახევარი მიუზომეს სიგრძე-სიგანით და აქ „დაასახლეს“. ზოგმა ლეიბი შესთავაზა, ზოგმა კიდევ—საბანი.

დატრიალდენ, პატივისცემას შეუდგენ. გაამხნევეს.

არჩილი კი მთელ ამ ამბავს ისე უცქეროდა, როგორც დიდი პატარების თამაშს შესცქერის ხოლმე.—მთელი პირისახე უღიმოდა და თვალებში ყველასადმი სიყვარულისა და უაღრესი პატივისცემის შუქი უციალებდა.

მალე არჩილთან სხვა კამერებიდანაც წყება-წყება დაიწყეს ამხანაგებმა დენა.—ვინც იცნობდა, ესალმებოდა. ვინც არა—ახლა ეცნობოდა ხელის ჩამორთმევითა და სახელისა და გვარის მორცხვი წარმოთქმით. ზოგი მისი გვერდით ჯდებოდა, ზოგი ახლო-მახლო დგებოდა.—დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდენ.

„სად დაგიქირეს? როგორ? ვინ? საშიშარი ხომ არაფერია?“ წამდაუწუმ ეკითხებოდნენ ნაცნობები.

ბოლოს კამერის კართან ბორკილების ჩხარაჩხურიც კამერაში მალალი ტანის, ახოვანი ტუსალი შემოვიდა. მის გამოჩენაზე იქ თავმოყრილები ფეხზე წამოიშალნენ, გაიწ-გამოიწიეს და შემოსულს არჩილისკენ გზა დაუთმეს. იგი ცოტა მოშორებით შესდგა არჩილის წინ, თვალეზზე ხელი ჩამოიფარა გაკვირვების ნიშნად და ასე შეხედა ახალ პატიმარს.

— არჩილ!— მიმართა მერე ისეთი ხმით, თითქოს ახლა ეცნოს.

არჩილმა პირველ შეხედვაზე ვერც კი იცნო ბორკილიანი ამხანაგი. მერე უცებ ადგილიდან წამოხტა და მისკენ გაექანა.

— თომა!— შეჰყვირა და მკერდში ჩაეკრა. გადაეხვია.

— შენც?... რა მოგივიდა, ბიჭო?— ალერსით ჰკითხა თომამ და თავიდან ფეხამდის დაათვალიერა.

თომა არჩილის ძველი მეგობარი იყო, მოწაფეობის დროიდანვე. გეგუთის ქუჩაზე ერთ სახლში ჰქონდათ ბინა, როცა არჩილი გიმნაზიაში სწავლობდა, ხოლო თომა— სემინარიაში.

ქუთაისის სემინარიაში მომხდარმა მოწაფეთა ისტორიულმა გაფიცვამ დააშორა ისინი ერთმანეთს.— თომა მეორე კლასიდან გამორიცხეს, რის შემდეგ ის ჯერ სოფელში სცხოვრობდა დედ-მამასთან, ზემო-იმერეთში. მერე არალეგალურ პარტიულ მუშაობას შეუდგა და „პროფესიონალ რევოლუციონერთა“ რიცხვში მოექცა.

ახლა თომა სამხედრო სასამართლოში იყო მიცემული და ციხეში ცალკე „სეკრეტში“ იჯდა ბორკილებ-აყრილი, როგორც დიდი დამნაშავე: წიფის ომის დროს მთავრობის ჯარის ერთი რაზმის იარაღის აყრა ბრალდებოდა და რაზმის მეთაური ოფიცერის მოკვლა.

— წამო ჩემთან... სანამ ჩაგვეკეტავდნენ. ამბები მინდა გკითხო.— უთხრა მან არჩილს მოკითხვის შემდეგ, ილლიაში ამოსდვა ხელი და, კამერის წინაშე ბოდიშის მოხდით, დერეფანში გაიყვანა.

პირველი საღამო და მერე ღამეც არჩილს მოსვენების საშუალება არ მისცეს ციხეში.— არ ეშვებოდნენ ამხანაგები.

როცა დაღამდა და კამერები ჩაირაზა, არჩილის კამერა, თითქოს ჯურღმულში ჩაძირულიყოს, ბოლგართხულ, ვიწრო და დაბალ კედლიან მალაროს დაემსგავსა.

ექვსშაურიანი პატარა ლამპა კედელზე ეკიდა მომალლოდ, „ნარებს“ ზემოდ, და მისი მკრთალი სინათლე ისე ადგებოდა თავზე ტუსალებს, როგორც „სულიწმიდის მოფენა“.

ყველაზე უფრო კამერაში, ეს ლამპა მის ორივე მხრით გრძლად და შავად ამოჭრილ წარწერას ანათებდა:

„მე თეოფანე მაკალათიამ ვიწამე კონცენტრაცია და კაპიტალი 22 ივნისს“

არხანგელსკში გამამგზავრეს გაუმარჯოს შეიარაღებულ რევოლუციას და/კეშ-
მარიტებას“.

კამერის ჰაერი ძალზე შეხუთული იყო.

მოდიდო ზომის „პარაშკა“, მისი აუცილებელი როლისათვის სრულად გამზადებული, თავმოყვარეობის ჯალათივით კუთხეში ატუხულიყო და გარშემო ლანდი და მყრალი სუნი დაეყენებია.

თანბაქოს ბოლს ორმოცი კაცის ტანჯვა, ორთქლი, სუნთქვა და დაუბანელი ტანის სუნი შერეოდა.

ზოგი ტუსადი წამოწოლილიყო, ზოგი ფეხმორთხმით იჯდა. ზოგიც ციხის ნახელოვანევე კრიალოსანს ათამაშებდა ხელში და ასე დაქანაობდა ნარებ შუა.

როცა ყველანი დალაგდნენ და შედარებით სიჩუმე ჩამოვარდა, არჩილს სთხოვეს მოხსენება გაეკეთებია „მიმდინარე მომენტზე“.

არჩილი დაპირდა ამხანაგებს, რომ ამ თემაზე ის ხვალ გაუკეთებდა მათ მოხსენებას. ახლა კი თავის ტკივილი და დაღლილობა მოიმიზნებდა.

— უკაცრავად ვარ... მაგრამ არა ვარ რაღაც კარგად...— გულსა და თავზე მითითებით უთხრა და ისეთი შეწუხებული სახე უჩვენა, რომ უმაღლეს თავი გაანებეს.

არჩილს მართლაც სტკიოდა გულიც და თავიც.

ცნობისმოყვარე ამხანაგებისაგან რომ თავი დაეფარა, შალვას მიერ შემოგზავნილი ქვეშაგები შუა გაკეცა სიგრძეზე, მისთვის მიზომილ ნარზე დააფინა და ზედ გაუხდელად მიწვა.

მის მარჯვნივ უცნობი ამხანაგი იწვა, გრძელ თმისანი, გარკვეული ფილოსოფიური სახის მქონე.

იგი მთელი საღამო, განსაკუთრებით კი დაწოლის წინ, ისეთი საიდუმლო ღიმილით ადევნებდა თვალებს არჩილს, რომ ეტყობოდა, დიდი სურვილი ჰქონდა მასთან გამოსაუბრების.

სანამ მიწვებოდა თავის ადგილზე, არჩილმა უნებურად შეავლო თვალი მეზობელს. მაშინვე მიუხვდა განზრახვას, მაგრამ სად წაესვლებოდა?— მარცხნით დაწოლილ ამხანაგს ჩასძინებოდა, და ზრდილობამ ნება არ მისცა ზურგი მის აშკარად მოდარაჯე მღვიძარ მეზობლისთვის შეეჭტია.

ისდა შესძლო, რომ პირაღმა დაწვა და მაშინვე თვალები მილულა.

— უკაცრავად, ამხანაგო...— დაბალ ხმაზე ბოდიშით მიმართა მას მეზობელმა.— ერთი რამე უნდა გკითხოთ... თუ შეიძლება?

— ბრძანეთ, ბრძანეთ.— არ მიხვდა, ისე უპასუხა არჩილმა.

წინასწარ მოკლედ ჩაახველა უცნობმა, თითქოს ხმა გაიწმინდა და მიღებული ნებაართვით წათამამებულმა დაიწყო:

— თქვენ უთუოდ წაკითხული გექნებათ ენგელსის „ანტიდიურინგი“... ეს ისე, თორემ... რა თქმა უნდა... წაკითხული გექნებათ... ჰო-და, ამ წიგნის ზოგი ადგილი ჩემში დიდ ეჭვებს ჰბადებს და... ზოგი რამის განმარტება უნდა გთხოვოთ...

არჩილს თვალები გაუფართოვდნენ. არ ჯეროდა, რაც ესმოდა. თითქოს

ექვის შესამოწმებლად, თავი მიატრიალა უცნაური მეზობლისკენ და დაუფარავი გარკვევით შეხედა.

— უნდა გამოგიტყდეთ რომ განსაკუთრებით ერთმა ანტიდურინგს შემაწუხა.— თითქოს არჩილს არ შეეხედოს, ისე დამშვიდებულად განსაკუთრებით მეზობელმა.— აქ, ციხეში, ვერც ერთმა ამხანაგმა ვერ ამიხსნა, ვერ განმიმარტა... საქმე იმაშია, რომ...

— არ შეიძლება, ხვალისთვის გადავდოთ, ამხანაგო... — გააწყვეტინა ლბილად არჩილმა.— ძალიან მეძინება... — და მის თვალწინ, რაც შეიძლება, მაგრა დახუჭა თვალები.

— საერთოდ ძალიან მაინტერესებს ფილოსოფიური დიალექტიკის საკითხები მარქსისტული მეცნიერების მიყენებით გაშუქებული...ა?... მე დიდი ხანია მარქსისტი ვარ და... შეიძლება ითქვას... ერთნაირი პიონერი ამ დარგში ჩემი თაობის ხალხს შორის... ეს სხვათა შორის... ჰო, იმას ვამბობდი... საქმე იმაშია შეთქი, რომ... თუმცა, იქნება, მართლა გეძინებათ და გიწლით?..

— ძალიან მეძინება... უკაცრავად ვარ... თვალები არ მემორჩილებიან...

— ჰო... მესმის... დადლილი ხართ... შთაბეჭდილება და სხვა... ციხეში პირველად ხართ?

— დიად...

— ასე იცის: პირველ ღამეს მეც ძალიან დამეძინა... მერე და მერე კი, ვერა... თუმცა არ ვნაღვლობ, წარმოიდგინეთ: რაც გარედ წაუკითხავი დამრჩა, სულ აქ წავიკითხე... თუმცა ეს „ანტიდურინგს“ არ შეეხება. ამ წიგნს დიდი ხანია ვიცნობ... გარედაც ვფიქრობდი, რომ ენგელს ზოგი ადგილი ვერ აქვს მაინცა-და-მაინც, სწორე დაწერილი... წმინდა მარქსისტული თვალსაზრისით რომ მიუდგეთ... თუმცა, ჰო, ამაზე მერე... ახლა უთუოდ დაიძინეთ... თორემ ერთხელ თუ ძილი გაგიტყდათ, მერე მშვიდობით... ციხეს, წარმოიდგინეთ, თავისი კანონები აქვს, როგორც, თუ გინდა ამ დიალექტიკასაც. „ტეზა“, „ანტიტეზა“ აქაც დიდებულად მიუდგება... ხეხე... ეს დიალექტიკა, მართლაც და, დიდებულ მოგონებაა, თუ... მართალია... და ტყუილი არ არის. ესე იგი, ტყუილი არა სიყალბის აზრით, არამედ სინამდვილის... ტყუილი ძალიან კარგი მართალიც შეიძლება იყოს... როგორც მართალი—ტყუილი... რაკი წაკითხული გაქვთ „ანტიდურინგ“, უთუოდ გამიგებთ... მე იმის თქმა მინდა, რომ...

მაგრამ აქ სასაუბრო ტონიდან არჩილის მეზობელი უცებ დაბალ ჩურჩულზე გადავიდა და ახლა სრულიად მოულოდნელად თავისთავთან დაიწყო ლაპარაკი. ტანში ერუანტელმა დაუარა არჩილს.

ერთხანს ასე უსმინა ყალყზე შემდგარი ნერვებით.

მერე შიშმა შეიპყრო და წამოდგომა დააპირა. აუტანელად მოეჩვენა.

მაგრამ ნერვები შეიკავა, ისევ თავის ადგილზე დარჩა.

უცნაური მეზობელი კი, ახლა, მონოტონური გაბმით და „სანისა“ და „შინის“ წამდაუწუმი ცვლით განაგრძობდა ჩურჩულს.

მერე უცებ შესწყვიტა. პაუზა გააკეთა.

— გძინავთ?—საიდუმლოდ ჰკითხა არჩილს, — მომილოცავს... პირველმა
ლამემ ასე იცის... აკი გითხარით...

ამის შემდეგ უცებ, მანქანასავით აშრიალდა და არჩილის სმენა „ეროვნულზე“
გადაბმით მიყოლებულმა, საოცარმა: „ერთიორისამიოთხიხუთიექვსიშვიდი“ მა
დაატყვევა.

— აჰა... — შეებით სთქვა არჩილმა. დამალულად გადახედა მეზობელს. — მიხვ-
და, რომ „ანტიდიურინგის“ კრიტიკოსი ძილს ნახეს უგებდა.

ამ გარემოებამ ნერვები დაუწყნარა არჩილს.

რალაც ძალაუნებურად და მწარედ გაეცინა გუნებაში.

მერე გაუხარდა, რომ ახლა საშუალება ეძლეოდა თავის ფიქრებს დაბ-
რუნებოდა.

პირველი კითხვა, რომელზედაც მას პასუხი უნდა მიეცა, და რომელიც
დაპატიმრების წამიდან თავში უკაკუნებდა, ხოლო რომლისათვის აქამდის ვერ
მოეცალა, იყო: — რა მოხდა?

ამ „რა მოხდას“ ქვეშ არჩილი ისეთ დიდსა და უსაზღვრო რასმე გულის-
ხმოდა, რომელიც მთელ მის წარსულ ცხოვრებას მოიცავდა და მომავალს კი
სრულიად გარკვეულს გეზსა და დანიშნულებას აძლევდა.

მთავარი აქ ბედისწერის უინტიმესი შეგრძნობა იყო, რომლის გასაღებს
იგი იდუმალ ეძებდა გუშინდელსა და დღევანდელ თავგადასავალში, ჯერ ცა-
ცასთან, მერე კიდევ დეპეშის ცნობას და მის დაპატიმრებასთან დაკავშირებით.

მაგრამ ერთდროულად:

— „ასერთიასორიასამიასოთხიასხუთი“...

ჩაესმოდა ყურში შეუწყვეტელად და ტკბილი შხამის მაგვარი რამ შეუ-
წყვეტლადვე შიგ ძარღვებში ეწხაპუნებოდა. თვალებს უმძიმებდა და ძილის
ჯარს მთელ ტანზე უსევდა.

ერთხანს ებრძოლა არჩილმა ამ შხამის გავლენას.

ერთი გვერდიდან მეორეზე გადაბრუნდა.

ფიქრები ხან ასე გააფრინა, ხან ისე.

საყვარელი სამსონაც კი მოიგონა, რომ გულის ტკივილი გამწვავებოდა,
მერე ანდროც, რომ მასთვის შიშისაგან სიფხიზლის ძალა შემატებოდა.

მაგრამ აშაოდ...

„სამასერთიასამასორიასამასსამისამასოთხი“ — უსისინებდა ყურში მეზობელი.

შენალოცი გველივით გაიკლაკნა არჩილი. უმაღვე აზრიც შეუწყდა და
ფიქრიც.

ძილის შხამმა მოსწამლა.

XIV

წვიმიანი კვირა გათენდა, — ქუთაისის ჩვეულებრივი ბაზრობის დღე.

ისე სცრიდა, თითქოს ციდან აბრეშუმის დახვეწილი ძაფი გადმოშვებული-
ყო და წყება-წყება დედამიწაზე ეფინებოდა, წვრილი, თეთრი და შრიალა.

დასავლეთიდან „ზღვაური“ უბერავედა და აგორავებულ ღრუბლების დიდ ქარავანს ქუთაისის შემოჭრული ცით აღმოსავლეთისკენ მიერეკებოდა.

ცივი სუსხი იდგა.

მიუხედავად ამისა, ქუთაისის გარეშაშო მდებარე სოფლებსა და ხეობებს დაძრულიყო ხალხი და ნაირ-ნაირი დატვირთული ქალაქისკენ მოეშურებოდა. — ზოგი — ურმებით, ზოგი ტვირთ-აკიდებული ცხენებით, მამაკაცები — ზურგზე ძარებით, დედაკაცები და გოგო-ბიჭები — კალანჩხებით, დოქებით და რადარანაირი შეკრულებით.

ქვითკირის გზით სხვა ურმებთან ერთად ჭყინტი სიმინდით დატვირთული ორი იმერული ურემი შემოვიდა და ორპირის ქუჩით ქალაქისკენ გაემართა.

უკანაზე შავი კაცი იჯდა, გრძელი სახრით ხელში, სიმინდიან ძარზე ზურგით მიწოლილი. თავსა და ბეჭებზე ყაბალახ გადახურული.

წინა ურემს კი ფეხ-და-ფეხ ყმაწვილი გლეხი მიუძლოდა, მუხლამდე აკაპიწებული, რომელსაც თავზე შეკეცილი უბრალო ტომარი წამოეგო წვიმის წინააღმდეგ და ზურგიც მით დაეფარა.

როგორც თვითონ მეურმეები, ისე ხარებიც და ურმებიც ტალახში იყვნენ ამოსვრილები და წვიმით გაწუმპულები.

უხმოდ მოდიოდნენ. მოიჩქაროდნენ.

მესხეთის ქუჩის შესახვევთან, უკანა მეურმის ჩვენებით, წინამ თავისი ურემი დააყენა და მოიხედა. ახლა უკანა დაწინაურდა და მესხეთის ქუჩაზე გადაუხვია. მას მეორეც მიჰყვა.

ასე იარეს, ვიდრე ერთ მესერ შემოყოლებულ ეზოიან სახლთან არ დადგენ.

აქ შავი კაცი დინჯად ჩამოვიდა ურმიდან და საიდუმლო მნიშვნელობით მეორეს გადახედა. ყმაწვილი გლეხი დაუყოვნებლივ მიიჭრა მასთან, ურმიდან სიმინდიანი ძარი გადმოიღო და მხარზე შეადგა. შავმა კაცმა ერთი ფეხი ცერზე შეიყენა, თითქოს ტვირთის მიზეზით, და ესე კოჭლობით ძარიანად ეზოში შევიდა, მიიშალა.

ყმაწვილმა ერთხანს მონადირესავით გააყოლა თვალეხი მიმავალს. მერე, როცა იგი სახლში შევიდა, იქაურობა შეათვალიერა: გარშემო სახლებს შეავლო თვალი, ქუჩა გაზომა აქეთ-იქეთ და გამვლელ-გამომვლელთაც ახედ-დახედა.

მაგრამ შავს მეურმეს არ დაუყოვნებია სახლში. მალე დაბრუნდა ცარიელი ძარით, რომელიც გოდორივით თავზე წამოეხურა.

ყმაწვილმა თვალეხის განსაკუთრებული, შეტევისებური მიმართვით შეხედა დაბრუნებულს და მერე ისე გაუცინა, თითქოს ფარულად მიესალმა.

— შენი რიგია! — უთხრა მოსულმა და თავის მხრითაც შეცინებით მიესალმა ყმაწვილს.

მეტი სიტყვა არ დაუგდიათ.

ყმაწვილმა გლეხმა შეუგვიანებლად დასტაცა ხელი თავის ურმის ძარს და თვალის დახამხამებაზე ნაფოტივით მხარზე მოიგდო. კიშკარში შევიდა.

— სულ პარდაპირ. კარს გაგიღებენ. — მიაძახა მას დარჩენილმა.

— ვიცი!

არ გასულა ხანიც, რომ ეს მეორე მეურმეც უკან დაბრუნდა: ცარიელი ძარი ილღიაში ამოჩრილი, თავზე ისევ ტომარი წამოცმული.

— მორჩი? — ჰკითხა დახედრილმა.

დაბრუნებულს არ უპასუხნია. გაუცინა მხოლოდ და ძარი უჩუბუნებლად ამის შემდეგ ამათ აღარ შეუგვიანებიათ. სასწრაფოდ გარეკეს ხარები და ქალაქისკენ გზას დაადგენ.

სიმინდიანი ძარის ეზოიან სახლში პირველი შემტანი იყო: ნიკო, მეორე კი: — ანდრო.

ცარიელი ძარებით კი უკან დაბრუნებულები იყვნენ: — ორი ჩვეულებრივი მუხიანელი გლეხი, ურმების ნამდვილი პატრონები და ნიკოს ერთგული მეგობრები.

ქალაქის ტყეში ომის გადახდის შემდეგ ნიკო და მისი ამხანაგები რიონის ნაპირებს აფარებდნენ თავს და ასე, მდინარის გაყოლებით გურიისკენ წამოსულიყვნენ.

სუფსის მიდამოებში მდევრების ერთი შემოტევა კიდევ მოეგერებიათ, რომლის დროს დიდი გაჭირვება უნახავთ: — ნიკო ანდროს საარაკო გამბედაობასა და საკვირველ სიმარჯვეს უხსნია ტყვეობისაგან, ხოლო მიხელა-იმერელი მტერს ხელთ ჩავარდნია. — გადარჩენილებს — ნიკოს, ანდროს და დათას — ათასი ვაივა-გლახის შემდეგ მუხიანამდის მოუღწევიათ და აქ ნიკოს ნაცნობ გლეხის ოჯახში თავი შეუფარებიათ.

აქედან ნიკოს ქუთაისში გადაეწყვიტა ჩამოსვლა ანდროს თანხლებით, ხოლო დათა დროებით მუხიანში უნდა დარჩენილიყო.

წინალამით კი ნიკომ ორი მეგობარი მუხიანელი გლეხი ქუთაისს გამოისტუმრა, კოტეს მისამართი მიცა მესხეთის ქუჩაზე — ძველი პარტიული ამხანაგისა და პირადი მეგობრის. მასთან საიდუმლო წერილიც გამოატანა და სათანადოდ დაარიგა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

მეორე დღეს კი, გათენებამდის, ის და ანდრო, ვითომ ჰყინტი სიმინდის სავაჭროდ, მუხიანიდან გამოემგზავრენ წინალამით წამოსული გლეხების ურმებით — და ასე, ზემოდ აწერილი გზითა და სახით, უვნებლად ქუთაისში ჩამოვიდნენ.

— სამშვიდობოს ვართ, ანდრო!

იყო პირველი სიტყვა, რომლითაც ნიკომ მიმართა ანდროს, როცა იგი ნიკოს მეგობარმა და ოთახის პატრონმა კოტემ სახლში შემოიყვანა.

სუფთა, კოხტად მოწყობილმა ოთახმა, ცოტა არ იყოს, დააბნია ანდრო. არ იცოდა თავის შიშველი, გატალახიანებული ფეხები სად და როგორ დაედგა.

ლიპილით შეხვდა ნიკოს და კედელთან მორცხვად აეტუზა.

— იცი, კოტე, რა ბიჭი მოგიყვანე? გაიცანი... მაგისტანა ამხანაგი ჯერ კიდევ არ შემხვედრია... თვალის ჩინივით მოუარე, იცოდე... ამან გადამარჩინა!

წვერ-ულვაშებ-გაპარსულმა კოტემ ჯერ თეატრალური პოზით შეათვალიერა ანდრო. მერე მიუახლოვდა, უბრალოდ ჩამოართვა ხელი, გულითადად გაუცინა და უთხრა:



- სასიამოვნოა... დაბრძანდი.
- რა დაბრძანდი, კაცო?!— ჩაერია ნიკო.— ჯერ ტანთსაცმელი გამოგვიცვალე. ჩაგვაცვი, დაგვახურე... ხომ ხედავ, რას ვგვევართ!
- ფული თუ არა, ტანთსაცმელი მაინც წამოგვღოთ... სამოვარზე შენ იყავი, და არა მე...— უხუმრა ნიკოს ნასპინძელმა.
- ამას ხომ ხედავ?— მაღლა ამართა დაჭრილი ფეხი ნიკომ და კოტეს ისე უჩვენა.— ექიმი უნდა მომგვარო...
- წადი და საავადმყოფოში დაწექი... ალბად, დოსტაქარი დაგჭირდება. კიდევ წაეხუმრენ ერთმანეთს. მერე კოტემ ხალათები და შარვლები მოაგროვა. ზოგი ოთახში მოიძებნა, ზოგიც სხვა ოთახებიდან გამოიტანა. ერთი წყვილი ნიკოს დაუდვა წინ, მეორე— ანდროს გადასცა.
- მე ვიცი, თქვენ უჭმელებიც იქნებით!
- მაშ, პარკეტიან რესტორანებში ვძლებოდით, შენმა მზემ... თუ რამე მოგეპოვება სახელდახელოდ, დააჩქარე, თუ ძმა ხარ.
- კოტე ოთახიდან გავიდა.
- ნიკო და ანდრო კი გადაცმას შეუდგნენ.
- ანდრომ ჯერ თავისი სმიტის და ვისსონის რევოლვერი ამოათრია შალვრიდან— ჟანგი მოჰკიდებოდა წვიმისაგან იარაღს და თოფის წამლის სუნი უდიოდა. ზედ რომ დახედა, სახეზე ფარულმა ტკივილმა გადაურბინა ანდროს. ჩუმად, მაგრამ მწარედ ამოიოხრა.
- კოტეს გადატვი... გაგიწმენდს... შეგინახავს.— უთხრა ნიკომ.
- მე თვითონ გავწმენდავ... ოღონდ რამე ჩვარი... ნაფთი... ან ზეთი თუ არის...
- ძალიან კი გვემსახურა! კარგი გამოდგა, არა? სუფსაში გამოვადგა განსაკუთრებით!
- კარგი რევოლვერია.
- ტყუილა კი არ ეშვებოდი. თავს არ ანებებდი... მაჩვენე.
- ჩამოართვა იარაღი ნიკომ. გასინჯა.
- არ გააცუდებს...— ჩაილაპარაკა სერიოზულად, როცა ბურთი დაატრიალა და ჩახმახი მომართა.
- ვინ მოგცა?— ჰკითხა მერე, როცა უბრუნებდა.
- ვაჩუბდა ანდრო. მალულად შეხედა ერთი და მერე თვალები აარიდა.
- წაართმევი ვისმე...— ეხუმრა ნიკო.
- ძმად ნაფიცის ნაჩუქარია...— ფარული წყენით მიუგო ანდრომ.
- სამეფრელოში?
- არა.
- მაღავ, მგონია...
- დაუგვიანა ანდრომ პასუხი. გაუძნელდა სამსონას დასახელება. მაგრამ მაინც უთხრა ბოლოს:
- სამსონამ მაჩუქა... ფოთში.
- უაღრესად ნაღვლიანი ხმა ჰქონდა. ჯავრისაგან სახეც აკანკალებოდა.

გაკვირვებით შეხედა ნიკომ. უცებ მოულოდნელმა აზრმა გაურბინა თავში და ისე წამოხტა თავის ადგილიდან, თითქოს ქალაქიდან ტყეში წამოხტის წინ ანდროს მიერ მისი ჩვენებით განასროლ რევოლვერს ხელში მისი ყურთან დაეჭექოს.

და ის-იყო, სიტყვა უნდა მოწყდომოდა პირზე, და რაღაც ეკითხნა ამხანაგისთვის საიდუმლოდ, რომ ანდროს სახის გამომეტყველებამ ენა ჩაუგდო. და ადრე.

თვალეები კი კიდევ ერთხან მაინც ვერ მოეცილებინა მისთვის.

ნიკოსთვის მხოლოდ ეხლა შეიქნა ცხადი, რომ ანდრომ ქალაქიდან ტყეში სწორედ ამ რევოლვერით მოულო სამსონას სიცოცხლე.

ნელ-ნელა დაჰხარა მან თვალეები ანდროს წინ. მერე სახეზე უაღრესი განცდის გამოხატვით პირი მიიბრუნა მისგან.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

კოტა ხანი და ორივენი ისევ გადაცმას შეუდგენ უხმოდ.

მერე კოტეც დაბრუნდა. საჭმელი შემოიტანა. ოთახში დამკვიდრებულმა სიჩუმემ გააკვირვა.

ჯერ ნიკოს შეხედა. მერე ანდროს.

— ნუ გეშინიათ, ხალხო... ჩემს ბინაზე უცხო არავინ არ არის.

მაგრამ მისთვის ხმა არავის გაუცია.

საჭმელი მაგიდაზე დადგა: დაქრილი მოხარული ხორცი. კეცის ქაღი და ბოთლი ღვინო.

— მიირთვით...

მძიმედ მიუახლოვდა ნიკო მაგიდას.

— ანდრო...—მიმართა ანდროს.—მოდი, ძმაო... ჭამე.

დაჯდა. ქაღი გასტეხა. მერე მოზრდილი ლუკმა მოსტეხა, შიგ ხორცის ნაკერი ჩასდო და ჭამას შეუდგა.

— ამხანაგო, მიირთვი.—შესთავაზა საჭმელი თავის მხრით კოტემაც ანდროს.

ახლა ანდროც მოუჯდა მაგიდას. ხორციდან თავი შორს დაიჭირა, ხოლო ქაღს კი მოსტეხა და შესჭამა.

— ხორცი მიატანე, ანდრო...—უთხრა ნიკომ.—მთელი კვირა არაფერი გიჭამია.

ანდრომ ნაწყენივით შეხედა ნიკოს.

— არ მინდა.—რაღაც მოჭრით უპასუხა, საყვედურიანი ხმით. თავი ძირს დაჰხარა, რომ ნიკოსთვის არ ეცქირა, და ასე განაგრძო ქაღის ჭამა.

ნიკომ იჭვიანი თვალეები შეავლო ანდროს. მერე თითქოს მიუხედაო გულის ნადებს, უცებ შესწყვიტა ჭამა, ხორციან თეფშს ხელი ჰკრა და მოიშორა.

— რაშია, კაცო, საქმე... რატომ არ გინდათ? ხორცს მიწუნებთ? ცუდი არ გეგონოსთ!—მიმართა მას კოტემ შეურაცყოფილად.

— არა... აქ სულ სხვა ამბავია, კოტე... შენ ვერ გაიგებ!.. ლამის გამაგიყოს ამ მეგრულმა.—უპასუხა ნიკომ ოდნავ გაჯავრებით, მაგრამ მყისვე შესცვალა სალაპარაკო საგანი და კილოც გამოიცვალა.

— დავანებოთ ამას თავი... კოტე, მოდი, ახლა აქაური ამბებიც მოთხარი... როგორ მიდის საქმე... ჩვენ, როგორც ხედავ, გადავრჩით და ეს არის... აგერ ვართ... თქვენ რას შერებით?

— თქვენი მარცხის ამბავმა შეგვაწუხა... კაცო, მიხელა... მხოლოდებში დაიჭირეს?

— ჰო, უკვე იქნებოდა დებეშებში... წარმოიდგინე... კინალამ ყველანი დავიღუპეთ... აი, ეს რომ არ ყოფილიყო.— ანდროზე ჩვენებით უპასუხა ნიკომ.— დაწვრილებით შემდეგ გიამბობ... შენ დღეს „დიდ ვასოსთან“ უნდა მიმეგზავნო და გამიგო: მიხელა იქ, ციხეში ხომ არ ჩამოუყვანიათ. ეს დროზე უნდა ვიცოდე... მაგას ციხეში ვერ დავტოვებთ.

— გაცემის შიში ხომ არ გაქვს?

— არა... მიხელა—კლდეა. მაგრამ... ხომ იცი, არ გადარჩება, თუ დროზე არ ვუშველეთ... ციხის გატეხაც რომ დაგვჭირდეს, როგორმე უნდა ვუშველოთ.

— იმის გარდა სხვაც ბევრია, ძმაო, საშველი და დასახსნელი: ათზე მეტი ამხანაგი სამხედრო სამართალშია მიცემული. უმრავლესობას დახრჩობა მოეწონება!

— უნდა გატყდეს, კაცო, ეს ციხე ბოლოს! სხვა გზა არ არის!— დაჰკრა ნიკომ ხელი მაგიდაზე.— რას აკეთებთ, რომ აქ წამომჯდარხართ? ასე არც ერთი ჩვენგანი ცოცხალი არ დარჩება... გუშინ—ის, დღეს—შენ, ხვალ—კიდევ მე... სანამდის!..

— გატყდეს და გატყდეს... ითავე!

— ბიჭი არ ვიქნები, თუ არ ვითავო!— მტკიცე გადაწყვეტილებით განაგრძო ნიკომ.— შენ რა გგონია?.. თუ მოვინდომებთ, ვერ ვიზამთ? რა მიუვალი გგონია ეს ციხე? ურია ციციამშვილის აშენებულია!

შეხურდა ნიკო.

კოტემ კი სიჩუმე არჩია.

ანდროც სდუმდა. ოღონდ გაკვირვებით კი შესცქეროდა ნიკოს.

— ჰო, კიდევ რა უნდა გთხოვო, იცი.— შეანელა ხმა ნიკომ.— გამიგე არჩილ დადიშიანი ამ ქამად სად არის?.. ეს ამხანაგი მისი მეგობარია, უნდა ნახოს...

— მაგას გაგება არ სჭირია, ნიკო... მესამე დღეა, რაც ციხეშია.

— როგორ? დაიჭირეს?

— მაშ, თვითონ ხომ არ ჩაჯდებოდა? ქუჩაში შემთხვევით უცვნი პოლიციელს, გადაცმული რომ მიდიოდა...

ამის გაგონებაზე ანდრო ზეზე წამოჭრილიყო და რაღაც გაშავებული სახით მისჩერებოდა კოტეს, თითქოს განადგურებას უპირებდა.

სუნთქვა შესწყვეტოდა.

— ჯერ მაგ თქვენს საქმეს უკავშირებდნენ დადიშიანის დაჭერას... მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ცხრაას ხუთი წლისათვის შეიპყრეს... არა უშავს: „ადმინისტრაციულიების“ რიცხვშია.— დაასრულა კოტემ.

ანდროს აღელვება რომ დაინახა, ნიკომ ნელა მოჰკიდა ხელზე ხელი. მოფერებით წაუთათუნა.

— დაჯექი, ანდრო...— უთხრა თვალებში შეხედვით.— რა ვუყოთ მერე... ყველაფერი შემთხვევაა.

ანდროც ხმის ამოუღებლად დაჯდა.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— იქნება, მოხერხდეს არჩილის ნახვა ციხეში?.. — იკითხებოდა მერე.

— რატომ არა?.. დღეს კვირაა... სწორედ ნახვის დღეა. ვასოს უნდა თქმა.

ისევ წამოდგა ანდრო. ახლა შესაბრალების სახე ჰქონდა, საწყლად გამო-

შეტყველი.

კოტეს მიუახლოვდა გაუბედავად.

— მე მინდა ვნახო... ძალიან საჭიროა. — უთხრა შეხვეწნით.

— ადვილი საქმეა, ამხანაგო. — უპასუხა კოტემ.

— დადიშიანის ძიძის შვილიათქვა, სოფლიდან ჩამოსული სანახავად თქვა... კარგი პასპორტიც აქვს. უთუოდ ანახვებენ. — ჩაერია ნიკო. — „დიდ ვასოსაც“ ასე უთხარი... მე კი არ მახსენო ამასთან ერთად, იცოდე..

ნიკოს მალე ორი პარტიული ამხანაგი ესტუმრა კოტეს ოთახში.

მაგრამ სანამდის მათ შორის საუბარი გაიმბებოდა, კოტემ დასტოვა ისინი და ანდროს თანხლებით ვასოსთან წავიდა.

წამოსვლის წინ ანდრომ თავისი რეეოლვერი ნიკოს ჩააბარა და ცოტა არ იყოს, მასთან პირველი დაშორებით შემკრთალი, კოტეს გაჰყვა.

ვასოსთან ოთახში არ შესულან. შესავალ კართან გამომდგარ ამხანაგს კოტემ გადასცა ანდროს თხოვნა და მისი ახალი ვინაობა, ნიკომ რომ წამოსვლის წინ გამოუგონა.

— სანდრო გერგაძეა. — გააცნო პასპორტის მიხედვით.

ვასომ უბის წიგნაკში ჩაიწერა ეს სახელი და გვარი.

— არჩილის ნახვის მსურველი დღეს ძალიან ბევრია... ამას რომელიმე სხვა პატიმარ-ამხანაგის ნახვის ნებართვა ექნება... ციხეში რომ შევა, მერე არჩილსაც ნახავს. სრულ პირველ საათზე ციხის კარებთან მომიცადოს. ქალაქს მე თვითონ გადაეცემ: იქ ვიქნები იმ დროს. — უპასუხა ვასომ მოსულებს და ანდრო კარგა დაკვირვებით შეათვალიერა, რომ მისი სახე დამახსოვრებოდა.

ანდრომაც ჩვეულებრივი, ფარული, უცები, მაგრამ მკვეთრი შეხედვით, აღიბეჭდა თავში ვასოს სახე და მთელი მისი პატარა, მაგრამ ენერგიის ნაჭერივით დაუდევრად მოძრავი ფიგურა.

როგორც კი გაათავა პასუხი ვასომ, კოტემ ახლოს მიიწია მასთან და სახის საიდუმლო გამომეტყველებით ყურთან ჰკითხა:

— მიხელა იმერელი ხომ არ ჩამოუყვანიათ ციხეში... არაფერი გაგიგია?

ვასომ მაქოსავით გამოასრიალა კოტესკენ თვალები და მხოლოდ სულ მცირე წამით შეაჩერა ამხანაგის სახესე, მერე მის იქით გაიხედა სადღაც სივრცეში, დიდმნიშვნელოვანად შეკრა სახე და სამი მოკლე სიტყვა მოწყალებასავით ესროლა:

— აქ არის, ციხეში...

(გაგრძელება იქნება).

ტფილისი *)

რომანი

(დასასრული)

თავი მეთერთმეტე

სურაიანი აივანი

ეს ბაყალი ბილწი ცხოველივით დაეუფლა ჩემ სიყვარულს, გარყვნა იგი თავისი უწმაწური ანეკდოტებით და მე ვბრაზობდი, მოთმინებიდან გამოვდიოდი: რათ მივიყვანე საქმე აქამდე, რათ ვაძლევედი ამდენ ხანს მე ამის ნებას, თუ თითონ ჩემშიც არ იყო ეს სიბილწე?

აქამდე საერთო სიყვარული ჩვენ თითქოს გვაახლოვებდა ერთმანეთს, დღეიდან ყოველივე ეს უნდა გათავებულყო.

მე ვეჭვიანობდი, გაბრაზებული პაპიროსს მოუთმენლად ვეწეოდი, ელაპარაკობდი ხმამაღლა, უტევდი ამ ბაყალს და გაოცებული გამვლელები თვალს მადევნებდნენ. მე არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი იმათ (რა საქმე მქონდა მე მათთან!), მივდიოდი ისევ ისე დაფიქრებული და ვეძახდი გეოს ღორსა და გახრწნილ ლეშს.

ქუჩაში სიციხე იყო. შუადღის მზემ დამაჭირა და მე ვიგრძენ როგორ შემოძვრა ჩემ ფიქრებში კვიმატი აზრი და როგორ იზრდებოდა იგი თანდათან (ალბათ: მორიელი):—ჩემ სიყვარულში, ალბათ, იმთავითვე იყო რალაც ღორული და ბილწი და ეს ბაყალ გეოსავით მსუქანი ღორი იწვა ტალახში, ოხრავდა ქონით დამხვრჩალი და ოცნებობდა თეთრ სერაუიმებზე. იწვა ტალახში და ცად აფრენას ლამობდა, თავს რატომღაც საწინებელს სცემდა და, როცა მე წარმოვიდგინე, როგორ მიფრინავდა იგი დიონისოს ჩიჩილაგივით თეთრ წვერებით ანგელოზებთან ერთად ბილწი და ვნებით ახორხოტებული, — გამეღიმა.

სამი რამ მიყვარს მე: დედა, ტფილისი და მანანა.

ტფილისი მიყვარს მე დედასავით და ამიტომ მიხარია რომ მას ჰქვია:

*) იხ. „მნათობი“ № 1 და 2, 1927 წ.

დედაქალაქი და ამ დედაქალაქში არის დარგული აქუყუნებული მანანას ნარგისის თვალები.

ტფილისში სცხოვრობს ერთი კოჭლი პოეტესა, ის ქართლელია, მანანას შორეული ნათესავი და მას ჭირივით ეზარება ეს იმერლები, ასე დაუსრულებლად რომ მოძვრებიან წიფის გვირაბიდან და აღავსეს ტფილისი: კომისრებით, ყალთაბანდობით და საქმიანი ხალხით.

ის უნიჭოა და მისი ლექსების წაკითხვას მე მირჩევნია ერთი გირვანქა საპნის გადაყლაპვა.

როცა მან „ტფილისის აპოლოგია“ წაკითხა, გზაში გამაჩერა და დამცინავად შემეკითხა:

— როგორც ვხედავ, თქვენ ძლიერ უნდა გიყვარდესთ ტფილისი.

მე ყურადღება არ მივაქციე მის დამცინავ კილოს, ვერც წარმოვიდგენდი, იმიტომ რომ მე არ მესმის ყოველივე ეს, გაუგებარია და ვლაპარაკობდი ტფილისზე ვატაცებით, სიყვარულით და მხოლოდ მაშინ მივხვდი, როცა სახლში მოველ და მისი სიტყვები გამახსენდა.

გული მომივიდა, შემრცხვა მის მაგიერ და განსაკუთრებით მე იმისი მრცხვენოდა რომ ჩვენში კიდევ არის ასეთი ხალხი და რომ მე ასე ვატაცებით ველაპარაკებოდი ამ ფეხმოქცეულ და გონძლორა პოეტესას ჩემ სიყვარულზე.

მე ბრაზით ვიხსენებდი მის ფსევდონიმს და მიხაროდა რომ მას „ჯეჯილის“ ფსევდონიმი ჰქონდა: „ცუგრუმელა“.

ის ახლა მასწავლებლად არის რომელიღაც ტექნიკუმში და ლანძღავს „იმერლებს“.

და ახლა ეს პოეტესაც ისევე შემოიჭრა ჩემს სიყვარულში, როგორც ბაყალი გეო, და მე ვფიქრობ რომ ეს ქალი ცოტა ამ ბაყალზე უარესიც უნდა იყოს.

ტფილისი ჩემი გულია, ის სცემს ჩემ მკერდ ქვეშ და მე უბით დამაქვს ეს ქარით ახვეტილი და უბინაო პოეტებით აწანწალებული პროსპექტები, მუშათა სასახლეები, რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, ქუჩაბანდები, ძველისძველი ეკლესიები, თეატრები, რედაქციები და ეს ზურგგადაცვეთილი მთები, ასე რომ ამართულან, არის ჩემი დადგმული სიყვარული, და ყოველ ქუჩაში, ყოველ მუშათა მივარდნილ უბნების ჯურმლულებში ჰფეთქს ჩემი გული, იმიტომ რომ მე აქ აღვიზარდე და ამაზე დიდი ქალაქი არ მინახავს, მე პროვინციული ვარ და სოფლის მასწავლებელივით შეყვარებული.

ტფილისზე ღვთის თვალივით არის გადმოსული მანანას მადლიანი ნარგისის თვალები.

მითხარ, გოგონავ, მამაშენი რომ ეგრე ღარიბია,

ეგ შენი ორი ძვირფასი ნარგისის თვალი სადაური საქმეა?..

არ მინდა, თავს ვიქნევ და ვიშორებ.

მთაწმინდაზე ვარ.

არ ვიცი როგორ მოვხვდი აქ.

ორგვლივ მყუდროებაა, მზე აქერს თეთრ ეკლესიას და გვალვიან მყუ-

დროებაში ორ დიდს ტრადიკულად დაღუპულ პოეტს დასტირის უხმოდ ორი ქართველი ქალი: თეირანს ნინა ჭავჭავაძე და წიწამურს „მწუხარე საქართველო“.

ცაში დგას წითელი ვარსკვლავი და ხუთივე ჭიშკარს უფიცებს ცხელ ძუძუსავით დაკიდებულ თაკარა სიცხეს.

შუბლგატეხილი დიმიტრი ყიფიანი დასცქერის ტფილისს და აკაკის ზეცაკისკასობს ფირუზივით.

შუადღის ბული ადგას ქალაქს და ქალაქი გუგუნებს გვალვით, ქარხნებით, ტრამვაებით, ავტომობილებით, სადღაც უდროვით ჰყივის მაშალი და ზაჰესიდან დილუამის ველზე მოჭკრის წეროებივით გამოქნეული რკინის სვეტების გრძელი დაუსრულებელი ქარავანი.

საფლავის ქვაზე ჩამოვჯექი და მე უეცრად ისე მომინდა მანანას ნახვა, რომ მეგონა შევიშლებოდი.

სად იქნება ის ახლა?

ალბათ, მეტეხშია. დღეს ნახვის დღე არის და ის უეჭველად მამის სანახავად იქნება.

მე ბევრჯერ გამიცვილებია იგი და კარგად ვიცოდი თუ რა ქუჩებით უყვარდა სიარული.

გადავწყვიტე სადმე შევხვდე.

ბესიკის დაღმართს დავყევი.

მივდივარ ნელა, არ მეჩქარება და ასე ნელი სიარულით ისე მიველ სირაჯხანაში რომ არაფერი შემიტყვია.

მეტეხის გამასწორებელ სახლის წინ იდგენ მნახველები, — თითქმის ყველა ქალები და რალაცას ყაყანობდენ. მანანაც იქ იყო. ის იდგა მათგან მოშორებით უცნაურად მორჩილი და თავჩალუნული. ვიღაც ხნიერი ქალი თანაგრძნობით უცქეროდა და მე შემებრალა მანანა. ის ისე საცოდავი იყო რომ გულში რალაც ამოგორდა, ბოლმა ყელში მომაწვა და მე არ ვიცოდი როგორ მომეხერხებინა მასთან მისვლა.

მერე მან ღრმად ამოისუნთქა, თავი მალლა აიღო და აქეთ იქით მიიხედ-მოიხედა, თვალი მომკრა, სახე გაუბრწყინდა და მერე ჩაქრა.

ხალხს თავი მიანება და ჩემსკენ გამოეშურა.

ის მოდიოდა ღიმილით და მე მივხვდი, რომ ეს ღიმილი ნაძალადევი იყო. როცა მომიახლოვდა, მე დავინახე რომ თვალები ნამტირალევი ჰქონდა.

— გამარჯობა ბატონო დუდე!... — სთქვა მან წყნარად, ხელი გამომიწოდა და მერე განაგრძო: — აქ რა გინდათ?

მე არ ვიცოდი რა მეპასუხა. ბოლოს გადავწყვიტე, თვალებში პირდაპირ შევხედე და უპასუხე:

— თქვენი ნახვა მომინდა... ვიცოდი აქ იქნებოდით... და წამოველ...

მანანა ჩემ სიტყვებზე ახლაც ისევე შეკრთა, როგორც წუხელ, როცა მე ის თმახუჭუჭა უსაქმო პოეტი წამეკიდა, ფერმა გადაჰკრა და თვალებში შემომხედა, თვალები პირდაპირ გაუსწორე, ვერ გაუძელ და ორივემ თავი დაეხარეთ.

— რა დაგემართათ, მანანა?... რათა ხართ ასე დაღვრემილი?...

მანანამ, თითქოს ის ამ სიტყვებს მოელოდაო, თვალეზზე ხელი აიფარა, კედელს მიეყუდა და ტირილი დაიწყო.

ტიროდა ის უხმოდ, სთრთოდა მთელი ტანით და მე არავინ უფრო მენუგეშებინა. ვიდრე ენაჩავარდნილი და უცქეროდი მუნჯად კრიჭაშეკრული მის ათრთოლებულ ლბილ მხრებს. კოფტა ზურგზე მჭიდროდ შემოსჭეროდა და თხელ მარკიზეტში ილანდებოდა მისი ბრეტერებით აკრული ვარდისფერი მხრები.

უმწეო თვალეზით მივიხედ-მოვიხედე და დავინახე როგორ გვიცქეროდენ ჩვენ გამვლელები თანაგრძნობით.

— ნუ, მანანა, ნუ... დამშვიდდი, მანანა, კმარა... ეს არაფერია... არაფერია, ღმერთმანი... ვლავარაკობდი მე და თვითონ არ მესმოდა რა იყო ეს „არაფერი“.

გაყუჩდა.

არ სტიროდა.

იდგა კედელზე მიყრდნობილი.

მერე თავი აიღო: თვალეზი ცრემლებით ჰქონდა დართვილული და ცხელი ტუჩები წითლად აფუებული. საცოდავად გაიღიმა, კიდევ უფრო დაიღრიჯა და ცრემლები მოიწმინდა.

— წავიდეთ!—სთქვა მან საცოდავი მორჩილებით და უსასოოდ მკლავში წამეტანა, ზედ დამეყრდნო და მოდიოდა ისე ნელა, ისე იმედიანად, თითქოს მე მისი უკანასკნელი იმედი და მანუგეშებელი ვიყავი.

მოდიოდა ის დაფიქრებული და ცდილობდა როგორმე ტროტუარად დაფენილ ყველა ქვაზე სათითაოდ დაედგა ფეხი, თითქოს სთვლიდა ამ ქვებს და გულში რალაცა ჰქონდა ჩათქმული. მერე თავი აიღო, გამიღიმა და ისევ წავიდა ფიქრებში.

ტრამვაები ხრიალებდენ, ვატმანები ზარას მოუთმენლად რეკდენ და ქუჩაში ისმოდა ბორჩალოელ მეურმეების ყაყანი.

აბანოებიდან მოდიოდენ ეტლებით გოგირდის ცხელი წყლისაგან სახე-ალუბული აავშებვეული ქალები და ასდიოდათ გოგირდის სუნნი.

მე გული მეღეოდა, სანამ გავიგებდი თუ რა სჭირდა მანანას, მაგრამ ახლა, როცა ის ასე იყო წასული საკუთარ ფიქრებში, ძნელი იყო გამოკითხვა, ვერ ვბედავდი და უცქეროდი როგორ ეკიდა იგი ჩემ მკლავზე მოწყვეტით.

— ეტლით წავიდეთ, მანანა, შორი გზაა...—როგორც იქნა, დავარღვიე ეს აბეზარი სიჩუმე.

შეკრთა, აბნეული თვალეზი ააცეცა, მერე გამოერკვა და შემეკითხა:

— რა ბრძანეთ, ბატონო დუდე?

— ეტლით წავიდეთ.

ხმა არ ამოუღია. მიცქეროდა უაზრო თვალეზით, მერე ისე, თითქოს ახლა მიხვდა, თავი უარის ნიშნად გაიქნია და უცნაურ სიჯიუტით მიპასუხა:

— არა, არ მინდა, ფეხით ვიაროთ.—სთქვა მან ბავშვივით მიზეზიანათ.

— რა კარგია რომ მოხველით... მე ისე მარტო ვიყავი!..

გაჩუმდა.

თვალეებში ჩავხედე და ამ თვალეებში იყო უსაზღვრო მორჩილება, სევდა და უცნაური ქალური სიტყბილე.

გაწითლდა, თავი დაღუნა და მოდიოდა ასე გაყუჩებული.

— ბატონო დუდე!.. დაიწყო მან უეცრად ისე, თითქოს ეს მე არ შემეხებოდა, მაგრამ ვერ შესძლო, ცრემლები ყელში მოაწვა, ნერწყვი გადაყლაპა და მერე ისევ თავიდან დაიწყო:

— ხვალ მე მოსკოვში მივდივარ, დუდე... მამაჩემი მოსკოვის გამსახლში გადაჰყავთ... გაიგონეთ... ახლა კმარა... მე თქვენ გიკრძალავთ, ვესმისთ, გიკრძალავთ ამაზე ლაპარაკს... გითხარით, რომ გცოდნოდათ... ახლა თქვენ ყველაფერი იცით და გეყოფათ... ეს ჩემი უკანასკნელი დღე არის აქ, ტფილისში და მინდა, რაც შეიძლება ნაკლებად იყოს იგი ჩემთვის მოწამლული... რომ იცოდეთ, დუდე, რომ იცოდეთ, როგორ დავიღალე... მე მეტი არ შემიძლია, დუდე... არ შემიძლია და რა ვქნა!..—სთქვა მან უსაზღვრო მწუხარებით, ხელი გამიშვა და წინ გადამასწრო.

არაფერი არ მიგრძნვია ამ სიტყვებზე.

მიდიოდა ის თავდახრილი, მერე ნაბიჯს მოუკლო, მხარში გამისწორდა და გამომყვა მკლავზე დაყრდნობილი.

— ხვალ მანანამიდის... ხვალ მანანა მიდის... დღეს ჩვენი უკანასკნელი დღე არის... მერე ვერ ვნახავ... ვერ ვნახავ... ვიზეპირებდი ამ სიტყვებს, მაგრამ სიტყვები, რომელთა შინაარსიც ჩემთვის ასე საბედისწერო იყო, არ აღწევდა ჩემ შეგნებამდე და მე აღვიღად უცქეროდი ჩემ წინ მიმავალ ვიღაც მსუქან ქალს და ჩემს ყურადღებას მისი ბამბასავით გაპენტილი პუდელი უფრო იპყრობდა, ვიდრე ეს სიტყვები.

ვარგა ხანს ვიარეთ ჩვენ ასე ჩუმად, ბოლოს, როგორც იქნა, სიჩუმე დავარღვიეთ.

ჩვენ ვლაპარაკობდით თანამედროვე პოეტებზე, პროზის ახალ პრობლემებზე, ახალ ყოფაზე და ასე გავერთეთ ლაპარაკში.

მანანა მოდიოდა თავდახრილი და ყურადღებით მისმენდა, ხანდახან თავს აიღებდა და გაოცებულ თვალეებს ეჩინებოდა მომანათებდა.

მისთვის ახალი იყო ყოველივე ეს და მე ვლაპარაკობდი გატაცებით.

მანანას მოსწონდა ტოლსტოი, პუშკინი, ლორენც სტერნი და სტენდალი.

მე ვლაპარაკობდი ტოლსტოის გენიაზე, მის უძნელეს მეთოდზე, უბრალოებაზე, და უეცრად შემეშინდა: მე მომაგონდა რომ ეს ჩემთვის საინტერესო თემა, იქნებ, არც ასე ეინტერესებოდა მანანას და შევეკითხე:

— მგონი, თავი მოგაბეზრეთ, არა, მანანა?..

— არა, პირიქით, მე ძლიერ მიყვარს ტოლსტოი და განსაკუთრებით სტენდალი. — სთქვა მან და შეჩერდა, მერე ისევ მოძიბრუნდა და რალაც ბავშური დაჩემებით განაგრძო: იცით, მე მეზარება სახლში წასვლა... ახლა მე ისე მეშინიან მარტო ყოფნის... მე მინდა ეს უკანასკნელი საღამო თქვენთან გავატარო... — სთქვა მან უცნაური სინაზითა და მოკრძალებით, თვითონვე შერცხვა და სახე აელეწა.

მე ხელში წავეტანე, მინდოდა მადლობის ნიშნად რამე დამწვინებოდა მეთქვა, მაგრამ ვერაფერი მოვახერხე, ხმა ამიკანკალდა და გავჩუმდი.

— იცით, რა გითხრათ... ბოტანიკურ ბაღში წავიდეთ... აქ რუსთაველიც არის და გრილა კიდევ. — ძლივს ვსთქვი და თან ვბრაზობდნენ ჩემს სიტყვად არ შემორჩილებოდა.

მანანა ერთ წუთს ჩაფიქრდა და მერე დამეთანხმა.

— ყაბული მაქვს! — სთქვა მან შესაქცევად და გაიღიმა.

ასე წაველით ჩვენ ბოტანიკურ ბაღში.

მანანა მომხიარულდა.

ცელქობდა გზაში და სუროებში დამალულ შაშვებს უთვალთვალედა.

ცოტა ხანს შემდეგ ჩვენ ზინთიან ნაძვებ ქვეშ ვისხედით და ვსადილობდით.

მანანა ანტრიკოტის ნაჭერს ზარმაცად შეექცეოდა და თან ფიქრობდა: ალბათ, ხვალინდელ მგზავრობაზე.

ოდნავი სიო ჰქროდა და გრილოდა.

მე ენაჩავარდნილი ვიჯექი, ჩანგლით კართოფილის ნაჭერს ვატრიალებდი და ყურებში ხმაურობდნენ სიტყვები:

— მე მინდა რომ ეს უკანასკნელი საღამო თქვენთან გავატარო...

როცა სადილობას მოვრჩით, მანანამ ნაყინი მოითხოვა, მე არ ვქამ, ყელის კატარრი მაქვს, ამიტომ ლუდს ნელა შევექცევი და პაპიროსს ვეწევი.

როცა ეს უთხარი, ის შეწუხდა და უცნაური მზრუნველობით მიჩვენდა რომ თავს გავფრთხილებოდი.

ჩემ წინ დევს „საბკოთა“ პაპიროსების თეთრი კოლოფი, უცქერ ამ კოლოფს, თუთუნს ვაბოლებ და თვალს ვადევნებ როგორ ბავშივით შესაქცევად სჭამს იგი ნაყინს.

მერე, როცა სადილს მოვრჩით, ჩვენ ავდექით, მოენახეთ მყუდრო ადგილი ხეივანში და ხის ძირას დავსხედით.

ვლაპარაკობდით, ვიცინოდით.

მე ვცდილობდი როგორმე გამერთო იგი და თან გული მიკენესოდა რომ ხვალ საღამოთი მანანა ტფილისში არ იქნებოდა და რას უნდა დამსგავსებოდა მაშინ ჩემი ცხოვრება!

მერე მე მიზეზიან ბავშივით დავიჩემე რომ ჩემთვის აუტანელი იქნება უმისოდ ცხოვრება და მე არ ვიცი რა დამემართება, რომ მე მასთან მინდა ვიყო.

მანანა მიცქეროდა დაღვრემილი და მის თვალებში იყო განუზომელი მწუხარება.

კბილით ნაძვის პატარა თათს მოუთმენლად ჰკენებდა და მე დავინახე რომ მის შიშველ მკლავზე კოლო იჯდა და სისხლსა სწოვდა.

ხელი დავკარი და მოვაცილე.

მანანამ გამიღიმა, შემხედა ანთებული თვალებით... და ისევ სიჩუმე.

მე თვითონ არ მესმის როგორ მოხდა, მანანა აკანკალებულ ხელებით სთხვებდა წამეტანა, თითქოს ვინმე მოსდევსო, თავისკენ მიმიზიდა, უცრად მაკოცა ტუჩებში, მერე ხელი მკრა და აჩქარებული ნაბიჯით წინ წავიდა.

მე ანგარიშის გაწევაც ვერ მოვასწარი, ისე ელვის სისწრაფით მოხდა ეს და ვხედავდი მხოლოდ როგორ მიდიოდა ის წინ და როგორ თრთოდა მისი ბეჭები.

უკან ავედევნე, მაგრამ მან ხელები მუდარით აასავესა და მანიშნა რომ მოვცილებოდი.

მე მივხვდი რომ ის ჩემი იყო, რომ ის ახლა ჩემგან იყო დამოკიდებული და მე განვიცდიდი უცნაურ კმაყოფილებას, თითქოს ნიშნისმოგების გრძნობასაც რომ ის მოტყდა და მეტი ბრძოლა არ შეუძლია.

— მაცა, დუდე, მაცა!.. — დაიძახა მან უსასოოდ და მე ვიცოდი რომ ის ახლა ივსებოდა მოხეტქილ გრძნობებით, ის უცდიდა როდის აღივსებოდა იგი პირამდე ჩემი სიყვარულით, რომ მერე დამორჩილებული და ბრძოლით დაოსებული დანდობოდა ჩემს ნებას და ასე ალერსიანი გაყუჩებულიყო ჩემს მკლავებში.

მე მაინც მიველ და მკლავში ხელი ამოვდე.

ის მოეშვა, მკერდზე მომეყრდნო და მე ვკოცნიდი მის ხორცისფერ ცხელ ტუჩებს.

მკერდით მკერდზე ამეკრა, სუნთქავდა მძიმედ და მე ანთებულ თვალებით ვიცქირებოდი მის მიბნედილ თვალებში თამამად...

...გამოერკვა.

თითქოს მხოლოდ ახლა მიხვდა ყოველივეს, ხელები უმწეოდ აასავესა, მომიცილა და მოდიოდა ასე დაფიქრებული.

მე მივყვებოდი ხელა და ჩემს გულში უკვე არ იყო ის უიმედობა და მოუთმენლობა.

მერე მობრუნდა და თვალებში შემხედა: თვალებში იყო ისევ ის უკარებლობა და გამიელვა:

— ნუთუ ისევ თავიდან უნდა დაიწყოს ყოველივე?... — და შეშინებული თვალებში ჩავაცივდი.

ის იყო ცივი, სასტიკი და დაუნდობელი.

— კმარა... დუდე... მე მიყვარხარ... როგორ არა გრცხვენია, როგორ არა გრცხვენია.... ინტელიგენტი ხართ და.... — ძლივს სთქვა და ისევ მოეშვა.

როცა ბალიდან გამოველით, უკვე ბინდდებოდა.

სახლამდე ისე მივაცილე რომ გზაში არცერთს ხმა არ ამოგვიღია.

კარებთან შეჩერდა.

ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ წყნარად სთქვა:

— შეიძობით, დუდე!.. — და ორივე ხელი ხელში მორჩილად ჩამიწყო.

ის კიბის საფეხურზე იდგა და მე თვალებში ქვემოდან შევცქეროდი.

— შეიძობით, დუდე!.. ხვალ საღამოთი სადგურზე მოველი... ხომ გამაცილებთ?... დაივიწყეთ ყოველივე, დუდე, დაივიწყეთ!... ალბათ, ბედი არ გვეწე-

რა...—დაიძახა მან სასოწარკვეთილად და თვალებში შეციებულ თვალებით ჩამაცივდა.

მე აკანკალებული ხელებით მისი ხელები ტუჩთან მივიტანე... ვერ ერთს ვაკოცე მერე მეორეს და მერე როგორღაც ნელა და უბრალოდ დავიქეცი.

— არასოდეს, მანანა!.. არასოდეს არ დამავეიწყდებით!...

მკლავები მომწყდა და მხრებზე მძიმედ დამეკიდა.

კედელს მივეყუდე.

კარგა ხანს ვიყავი ასე, მერე, როცა გონს მოველ, თავზე ქუდი ღრმად ჩამოვიფხატე და არ გამოვმშვიდობებხვიარ, ისე გავიქეცი.

შესახვევთან მოვიხედე: ელექტრონით განათებული მანანა კარებში იდგა და მიცქეროდა.

მოვბრუნდი, მაგრამ მან უეცრად კარი გაიხურა და თვალს მიეთარა.

მის კარებთან კიბეზე დავეცი და ვიყავ ასე, ვბუტბუტებდი...

ავდექი, ვხედავ: ბაყალი გეო დგას ხილის დუქნის წინ განათებული და სისხლიან თვალებით მიცქერის.

თვალთ დამიბნელდა, მხრები ავიჩჩე და წავველ ასე საცოდავი, ოთხათ მოლუნული ლასლასით და თან ვჩურჩულებდი:

— მძორო!.. მძორო!.. — ბაყალი გეო მაინც იდგა უტიფრად დუქნის წინ და მიცქეროდა.

ბნელ ქუჩაბანდში შეუხვიე.

სიარული არ შემეძლო და დაოსებული ტროტუარზე ჩამოვჯექი. ირგვლივ სამარისებური მყუდროებაა და ქუჩაში არავინ არის. მე ვიგრძენი განუზომელი სიმარტოვე და ყველაფერი ამობრუნდა რაღაც უცნაურად.

ავდექი.

თავბრუ მეხვევა.

— რა ვქნა, მთვრალი ხომ არა ვარ!.. რათ მესხმის ასე თავბრუ? ან რა უნდა აი იმ აივანს, ასე დაბლა რომ დაწეულა და ფრთიან გველივით რომ მოცურავს ჩემკენ?.. რათ მიწვდის მე ის ხელებს, რა ატირებს ასე და რად მემუდარება, რომ მის ნებას დავუყვე?.. მას სწყურია, უსაზღვროდ სწყურია, რომ მე მესამე სართულში ამიტანოს და იქიდან ხელში აყვანილ ბავშვივით გადმომახედოს... იქ მანანაა, იქ მთვარეა და შეყვარებულების ბუტაფორიული კომფორტი. ის მე შეყვარებული ქალივით მემუდარება რომ მის სურაიან ცისფერ კალთაში ჩავწვე ბავშვივით და წავიდეთ ცაში, მაგრამ მე მეშინია, ბაყალი გეო მეწვევა ძირს და ხელებს უმწეოდ ვასავსავებ.

— ეი, ვინ ხარ შენ?.. გზა მომეცი!...—ვეძახი მე აივანს და ვხედავ, რომ ის სიოწამლობერილ ძვირფას ნაქსოვ რიდესავით ირწვევა და მის მოაჯირზე ქალის მკლავივით ჰკიდია აბრეშუმის ტანისფერი თხელი ქალის წინდა, წინდა ირწვევა ჰამაკივით, ბაყალს გულზე მზე ანთებულ თარფივით უსვენია და ცად აღის.

გეო ირწვევა ჰამაკში და ღვინით გადაბრეცილ თვალებით ღიღინებს:

მითხარ, გოგონავ, მამაშენი რომ ეგრე ლარიბია,

ეგ შენი ორი ძვირფასი ნარგისის თვალი სადაური საქმეა?..

— რა ვქნა მე ახლა, რა?... — ვჩურჩულებ მე ერთსა და იმავეს გაზვიადებულ-ლივით, ვჩურჩულებ დიდხანს და ვატყობ რომ ხმა თანდათან ემკარგება. გსვი-რი, მაგრამ ნიათი არა მაქვს, ვკივი რომ მომეშველონ, მომეხმარონ მე ისევე შე-ქირვებულს, მაგრამ მშველელი არავინ არის.

თავზე თმებს ვიგლეჯ და ასე შუა ქუჩაში გამოტოლი ვბლავი და ყელს ვი-ლადრაავ...

მოდიან ირგვლივ ნივთები, მანქანები, დიზელები, ოწინარები და მე ჩამორ-ჩენილსა და ქალაქით დამფრთხალ საცოდავ კაცს მიყუფენ, მგლეჯენ ხორცს ქო-ფაკებივით და ჩემი სული ძიგძიგებს ბოროტად აღრენილ ნივთებით შეშინებული...

თავი მეთორმეტი

ზედნადები და ნიადაგი

გამოვერკვიე.

ეს ბნელი ღამე!

მეჯავრები შენ, ბნელო ღამე!

ეს ღამეები დაეუფლა ჩემ სულს და მე უსაზღვრო წყურვილით ველი რო-გორ შემოვა ჩემი ოთახის ფანჯარაში აწკრილებულ ტრამვაებით ფხიზელი დი-ლა და როგორ გადაჰყვება ეს ბებერი გრენადერი ღრუბლის წვერებით ხელწა-სულ მთვარეს მთების გადაღმა.

ეს ღამეები ყორან რიფსიმეს საბატონოა, იქ დგას როკაპების მთა ტაბა-კონი და კაბააკარწახებული შავი ღამეები ვნებაატეხილ ქვრივი ქალივით უვლი-ან დაეღურს.

ჩემი დიასახლისი, კნეინა რიფსიმე, კუდიანია, მე კარგად ვიცი ეს, იმიტომ ატარებს ის გაშლილ კრინოლინს და კუდს მოხერხებულად მალავს. ის პრინციც, ურთხმელის წითელ ჩარჩოში რომ კედელზე უკიდია, ისიც ტაბაკონის პრინცია.

ახლა... ახლა ამ ღდინძაღლმა და მუცელშხამიანმა მორიელმაც მიშოვა ყე-ლი და მარწყვეს სისხლში შხამსა და სამსალას. და ბერი საბა, ერისკაცობაში სულხან ორბელიანი, მარიგებს ჭკუას და მეუბნება უცხო არაკებს. რა ვქნა მე ახლა? თუ ასე გაგრძელდა მე ვიცი: — შევიწლები. ქვა ხომ არა ვარ, მეც კაცი ვარ, ადამიანი და თუ ასე გაგრძელდა, ხომ ადვილად შეიძლება, რომ მე ერთ-მშვენიერ დღეს ხელი ჩავიქნიო და ჭკუაზე შევირყე.

ნეტავ შვიდი დღე კი არა, შვიდი წელიწადი, მთელი ჩემი სიცოცხლე წაე-ლო იმ ბებერ ყორანს და მე ახლა მოსვენებული ვიქნებოდი.

ჩემ წინ გადაშლილია ტფილისი დედის კალთასავით და შორს ანათებს ზაჰესი.

ცა ვარსკვლავებით არის მოჭედილი და ცაში ხდება მრავალი უცნაური ამბები. მე რომ ვარსკვლავთმრიცხველი ვიყო, აი თუნდაც ისეთი, ულუბეგ ხიჯი რომ იყო, მოემართავდი სტროლაბს, მოენახავდი ძაღლის ვარსკვლავს სა-ტურნს და შევაფურთხებდი.

მე მყავდა მორღუ. ის ბრძენი იყო, თეთრი წვერებით და მან მოსწამლა ჩემი ტვინი კაობებით დალორწილ ლეგენდებით. მან იცოდა ყოველი ვარსკვლავის ბედი და იღბალი. თვალთ აკლდა, კითხვა არ შეეძლო და მე მომისვამდა გვერდით ჯირკოზე კერიასთან და მაკითხებდა ეტლის წიგნს ხსნასა ლა.

მორღუმ მასწავლა მე მთვარის ანგარიში და მზის მობრუნების ამბავი.

— ბაბა, რამდენია წრეულს ზედნადები?

— ორი, ბაბა!..—მიუგებდი მე.

— ზედნადები და ნიადაგი...—სთვლიდა ის თავისთვის ხმამაღლა, ანგარიშობდა თითებზე მთვარის ჰასაკს და, თუ კვიმატი დღე არ იყო, ჰკოდავდა უღელზე წამოქცეულ მოზვრებსა და ულაყებს ან-და ვენახებს სხლავდა.

ეს იყო იქ, სამეგრელოში, სადაც ბაყაყებს მოჰქონდათ გობებით დაბალი ბნელი ლამეები და წრომი ეძახდა ტყეებს ლამეებიდან.

ეს ხოფში იყო.

იქ დგას მე-X—XI საუკუნეებში აშენებული ბაზილიკის ტიპის მონასტერი. მე-XVI საუკუნის მიწურულში და მე-XVII საუკუნის დასაწყისში ის გადაკეთებულ იქმნა და უკანასკნელად მე-XIX საუკუნეში ის ხელახლა იქმნა შეკეთებული.

ამ მონასტერში ვხედავდი მე ბავშობისას ძახთაპირ ხატს, აქედან მომდევნა მე იგი ტფილისში და ახლა ჰყეფს ფუნიკულორზე.

ხუთბოლოიანი წითელი ვარსკვლავი ანათებს ტფილისს და ძახთაპირი ყმუის მთის წვერზე დაყუნტული.

მე ახლა ვდგევარ აქ მთაწმინდაზე და შევცქერი ზეცას.

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,

ჩემო სამშობლო მხარეო!..

შორს ზედაზენის მთები მოსჩანს ბნელი ლართივით.

მღვეის ნამუხლარი რძის ორთქლივით გაშლილა ცაში.

ცხრათავიანი მღვეი როყინითა და კბილთა ღრჭენით აედევნა ირმის ნახტომს, მოუსხლტა ფეხი, დაეცა მუხლით და ჩამოეშვა ?სხვრევით ზედაზადენის კალათებზე არაგვის პირად. მის ნამუხლარზე გაქანდა ყეფითა და წაწყანით ძახთაპირი, დაეწია შტონაყარ ირემს და ყელგამოლადრული ირემი ჩამოიმსხვრა დედამიწაზე: შუალამე დამბლასავით დაეცა დედამიწას და სულთმობრძავ ირმის ბლავილში დადუმდა ტფილისი.

რატუშის საათმა პირველი დაჰკრა, მას აჰყვა სხვა საათებიც და ასე დრომ ენა აიდგა.

თავი მეცამეტი

ქილილა და ღამანა

ასე იტყუის ულუღბევ შაჰრუხას შვილი, რომელი არს შვილი შვილი თეიმურისი, რომ მე ნიადაგ ჩემი დღენი სწავლასა დამცოდნარობაზე დავალამე და რომ ბოლოს მე ღთწ მომცა შეძლება და ვარსკვლავნი გავყავ

და ვიანგარიშე ჩემსავე ოსტატთა თანა, რომელსა ეწოდა სახელად ერთსა ყაზიზადა რომი, მეორესა მოლა ჯიმშიდ. პირველად რომ შინდოდა დამეწყო ამ წიგნის გამოღება, მოლა ჯიმშიდ მიიცივალა და მეც ვეცხვი—წიგნი არ დაწერილიყო, ჩემი ოსტატი ყაზიზადა რომიც მიიცივალა. —მასწავლა მოლა ალი იყო მაჰმადი ბაზიერის შვილი, მე და იმან ეს წიგნი დაეასრულეთ და გავათავეთ...

სახვეწარი ჩვენი ეს არის, რომ რომელმაც ამ წიგნში მრუდი და საწუნარი ნახოს, შეგვინდოს. და თვით გაასწოროს. პირველი კარი ქორანიკონების ცოდნისათვის არის. ერთი ამბავი არის და შვიდი თავი. პირველი ამბავი არის წლისა და მთოვარის ქორანიკონების თარგმნის ცოდნაა. ცის ვარსკვლავთ ჩინელთა ყოველთავე უფროსი მზე და მთოვარე უთქვამს. ერთ წელიწადს ამას ეტყვიან. როს მზე ერთის წინწკლიდამ გამოვიდეს, ცის ერთი მოვლა გაათავოს და ისევ იმ წინწკალზედ მოვიდეს, ვითამ ვერძის პირველიდამ. ამას მზის წელიწადს ეტყვიან, და ერთი მთოვარის ცის მოვლაც არის, რომ იმასაც ერთს წელიწადს ეტყვიან, ვითამ მზე და მთოვარე რომ ერთს ადვილს შეიყრებიან ესენი ამგვარად...

საბა-სულხან ორბელიანი:

ვერძი:—პირველი ზოდია ცისა.

ლომი:—ზოდიაქო.

ფასკუნჯი:—ეთიოპიას გვარობს, ტანითა მსგავსი ლომისა, ნიკარტი, ფრთე და ფერხი—მსგავსი არწივისა, ნაკრტენ მრავალი; რომელიმე არს ოთხფერხი და რომელიმე ორფერხი, პილოებს აიტაცებს, ცხენთ მაზიანებელი არს, სხუა გვარიცა არს, სრულიად არწივის მსგავსი და ფრიალდიდი.

კურო:—კარი გამოუყვერაფი.

ზოდიაქო:—ესენი არიან სახელნი და ნიშანნი სახელთა მათთანი და რომელთა თთვესა მიითუალავს მზე მათ:

- ვერძი მარტსა. 20 მიითუალავს მზესა.
- კურო აპრილსა. 20 მიითუალავს მზესა.
- ლომი ივლისსა. 23 მიითუალავს მზესა.

მზით გავარვარებულ სვეტიცხოველის თეთრ კედელზე ხეთიშობლის სურნელებით აბლავლებული ქვის კურო შუთურბა ბულრაობს მზის ტბორში, ეხვევა წმიდა ნინოს გრილ თმებში და ნაკრტენ მრავალი ფასკუნჯი ფრთებით მზეს იჩრდილებს და არიდებს თავს მზის საათში ჩავარდნილ და დატრიალებულ თაკარა სიცხეს.

გვალვა ლოკავს ტაძრის თეთრი შირიმის ქვისაგან ნათალ კედლებს, ღმუის კედელში გაქვავებული ლომი ხმითა ხიფითა, მაგრამ ქვა აღრჩობს მის მძვინვარებას და განრისხებული ნადირთა მეფე იბერტყავს ფაფარს, ტორს სცემს კედელში და უბღვერის ფლოქებში და რქებში სისხლმოწოლილ კურო შუთურბას...

ჯერედ იყვნეს ორნი აზავერნი, ერთისა ფურის ნაშობნი, რომელნი მბრუნავისა ეტლისა კუროსა მათი ქიდებისა ღონე არ ჰქონდა, ზოდიაქოსა ღომი მათისა ძლიერებისა შიშითა მშიერს კატასავით ძლიერსა ჰანგისა უსუსურობის ნუნათა დამალვიდა.

ლ ე ქ ს ი

ტანად პილოსა ოდენი, მებრძოლად ღომის სახენი,
საქვრეტლად ტურფად ლამაზი, სლვით მსგავსი ვერა ვნახენი.

ერთსა სახელად შუთურბა ერქვა და მეორეს მანდაბა.

შუთურბა და მანდაბა რა წამოიზარდნეს, მიანებეს თავი დედასა თვისსა და გზას გაუდგენ. იარეს, იარეს, ბევრი იარეს თუ ცოტა, — ერთ მაღალ მთას მიადგენ, — ნახეს: მთაზე ცის კაბრა იყო დაბჯენილი. ავიდენ ზევით და ნახეს ერთი რქანაყხარ ირემი, რომელსაც ცაში რქები მიებჯინა და იდგა გაშეშებული, მუხლები უკანკალებდა და რქები მეტის სიმძიმის ქვეშ კრაქუნობდენ.

შუთურბა ხარ ირემთან მივიდა და უთხრა:

— რას შერები, ძმობილოვო?

ირემმა უთხრა:

— მაღალმა ღმერთმა მისი სახელის აუგად ხსენებისათვის სასჯელი ესე მომაგო: კუროს ზოდიაქო ჩემს რქებზე შეაჩერა, ეტლი ჩემ თავზე დააბრუნა და კუროს შიშით თავი ვერ გამინებებიაო.

მანდაბა ახალგაზდა იყო, მუხლებში ღონე ერჩოდა, რქები ბრძოლის ეინით ეფხანებოდა და უთხრა ირემს:

— აბა ერთი გამოეცალე მაგ ცას, ძმობილო, და ვნახოთ ეგ კურო რას იზამსო.

ირემი უარზე იყო, მაგრამ მანდაბა არ მოეშვა. მაშინ ირემი გამოეცალა და ზურგზე შტოვებ გადაყრილი გაფრინდა დათოვლილ კავკასისაკენ, იალბუზზე ფეხი შედგა და ისე მსუბუქად იყო რომ ეგონა: ცად გაფრინდებოდა.

რა ირემი ცას გამოეცალა, ზესკნელი შეტორტმანდა, ზოდიაქომ ზანზარი იწყო, მბრუნავი ეტლი შეჩერდა და ურჩობით განრისხებული კურო დაეშვა ცის კალთაზე ბულრაობით, ზმუილით, ტორს ცაში სცემდა და მტვერს ღრუბლებად აყენებდა.

მანდაბამ დაიფშვინა, ნესტოებიდან წამოვიდა ცხელი ნასუნთქი და მოსწვა ბალახი, რქები ტინის კლდეზე აიღესა და კუროსაკენ გაეჭანა.

ასე შეიბნენ აზავერი და კურო. მათი რქების ცემა დედამიწაზე ქუხილად ისმოდა და დაღვრილი ოფლი სისხლის წვიმად მოდიოდა.

ქედფიცხელი იყო მანდაბა. ახალგაზდა სისხლი თავში აუეარდა, რქები გახურდა და შუბლს ცხელი სპილენძივით სწვავდა.

კურომ, რა იხილა, მანდაბა ღონით მას არ ჩამოუეარდებოდა, უკან დაიხია და ხერხს მიმართა: ხარს ზოდიაქოში იტყუებდა, რომ იქიდან მოსხლეთით დასცემოდა თავის რაყიფს.

როცა კურომ მანდაბა ზოდიაქოს სანახებში შეიტყუა, — მოსხლტა ად-

Коллекция
Художественно-педагогическая
Библиотека

გილს, რქებით დაასკდა და შუბლგაროფილი აზავერი დაეშვა ძირს და სულგანართხული დედამიწაზე დაეცა.

შუთურობამ, რა თავის ძმის სიკვდილი იხილა, სისხლიდ დაეცა გაიშვა, ერთი შეპბლავლა და კუროსაკენ წავიდა.

ბრძოლით დაღლილი და გამარჯვებით დამთვრალი კურო ფშვინავდა ცაში და ბულრაობდა.

შუთურობა კუროს მიეწია და მცირე ვამისა ბრძოლის შემდგომ რქები მკერდ ქვეშ ამოჰკრა, ზევით აიქნია და მკერდგაფათრული კურო დაცურდა ბლავილით ცის ტატნობზე, ფაზისის ჭალაკებში დაეცა მუხაწმინდას და ზედ შერჩა ოქროს საწმისად.

შუთურობა ჩაესახლა კუროს ზოდიაქოში და ასე: ერთი ჩარეჟით აჯობა დედამიწამ მაღლით ცასა.

ზოდიაქოს ლომსა არც აზავერი ენახა და არც ხარის ხმა ასმოიდა.

შუთურობას ყვირილი, რა ლომსა შეესმა, დიდად შეეშინა და მის განკრძალვას იყო. მისი შიში რომ სხვა ნადირთ არ შეეტყო, აღარსად წავიდის, არცაღა ერთის ადგილთ მიმოვლიდის.

მის ახლოს, ვაზის ძირას ორნი ეშმაკი ტურა იყვნეს, ერთისა სახელი ქილილა იყო და მეორისა—დამანა; ხერხიანი და საქაჯოთა საქმეთა შინა სრულნი, მაგრამ დამანა უახოვნესი იყო და მედიდურებისა და სახელისა მძებნელი.

და ასე: ორი ფრიად განსწავლილი ტურა იწვა თორმეტ მტევნიან ვენახის ძირას (ერთი მოწყვეტილი მტევანი იქვე ვაზის ძირას გდია) სვეტიცხოველის კედელში და ზოდიაქოში ნადირთა მეფის ცხოვრებას ყურს მიაპყრობდენ.

დამანამ იაზრა, რომე ლომსა შიშისა რამე საქმე გულთა ჩავარდნიაო და ქილილას უთხრა:

— ნადირთ ხელმწიფის მოწყენას შენ რას ამბობო, რომე ლხინი და შვება გაუშვა და ერთს ადგილს მარტოებით არისო?

ქილილამ უთხრა:

— შენ მაგის ძიებას რასა სდევ, ანუ რა მართებულია შენი მაგ საქმის კითხვაო?

თქვა ტაეპი:

რა ხარ შენ, ვინა, რომ გაცოდინა, თემთ საიდუმლო ზედ მოგიხდინა?..

— ჩვენი სიტყვა ხეომწიფეს როდის მოეხსენების. მათი სიტყვის თქმა თავისა თავის ქების წადილია და რომელიცა ქებასა სცდილობდეს და თავისსა საქმესა არ დასჯერდებოდეს, მას ეგრე მოუხდება, როგორც ერთს მაიმუნს მოუვიდა.

დამანამ ჰკითხა:

— როგორ ყოფილაო?

ქილილამ თქვა არაკი:

— ნათქვამია, ერთმა მაიმუნმა ერთი მხერხავი ნახა, ერთს ძელზე იჯდა და მას ხერხავდა, ორი სოლი ჰქონდა მას ძელის ნახერხში, ხან ერთს ჩაარქ-

შევდის და ხან მეორესა, რათა მისი გაკვეთა გაიადვილოს და ხერხის ტარებასა გზა ხსნილად ჰქონდეს. და რა ხერხსა ძელისა ნაკვეთი მოუჭირებდა, წინ სოლს ამოიღებდის და უკანა დაარტყმევდის. მაიმუნი ამას გულს მოდგენდეს და სინჯავდა, ხუროს საქმე რამ გაუკვირდა, ადგა და წავიდა. მაიმუნმა რაღაცა მოუჭირებდა, უკაცური ნახა, წავიდა ნახერხის მხარეს დაჯდა და სასირცხო ასო ნახერხში ჩაეკიდა. მას ნარქობს სოლს, ხუროს ბაძით, ჰიდება დაუწყო, სხვაგან დარქობა უნდოდა. რა სოლი მოგლიჯა, ძელის ნაპობმან პირი პირს მოუჭირა და მაიმუნის სასირცხო შიგ დაჰყვა. მაიმუნი, ტკივილისაგან შეიწრებულნი, ტირილით იტყოდა.

და ხოქვა ლექსი:

ამ სოფელს ვინცა მუშაკობს, კეთილ არს დაუშრომელად,
მისს არ დასჯერდეს, სხვისა ქმნას, დაუგმონ გაუზომელად.

— ჩემი საქმე ხილის ჭამა იყო, არა თუ ხერხის ხმარება; ჩემი მუშაკობა ქერქთა შეძრობა იყო, არა თუ სოლთა დარქობა და სოლთა კვეთებაო!

თქვა ტაეპი:

ვინც უქმნელი ქნას, ჩემებრ შეიქმნას.

— მაიმუნი, რა ამ დაჭირებაში იყო, ხურო მობრუნებული მოვიდა და მოხმარების ნაცვლად სიკვდილსა მისწია.

ამისთვის უთქვამთ ტაეპი:

ქია რად ბაძავ ხუროსა?—ხამს ხილი წაიხუროსა.

— ესე არაკი იმისთვის ვთქვი, შეიტყო, რომ ყოველმა სულიერმა მისი შემსგავსებული საქმე უნდა ქმნას და თავისი ფერხი მაგალითიდან არ გადადვას.

შვენიერად უთქვამთ ფისტიკაური:

ერთი იგავი მახსოვს მოყვრისა, ცნობილთა ბრძენთა ტკბილად ნათქმისა:
საქმე ყოველი კაცისა არის, არა თუ კაცი ყოველის საქმისა!

— საქმე ესე შენგან საქმნელი არ არის და დაეხსენ, მცირედი საზრდო და ცოტაჲ გასაძლებელი მოგცემია, იყოფინე, შენი საფერი საქმე იცანო.

დამანამ უთხრა:

— რომელსაცა ხელმწიფეთაგან დიდ-ყოფა უნდა, მცირედის საზრდოთი არ იქმნების. რომელიცა მცირესა საზრდოსა დასჯერებია, იგი კაის კაცად არავის შეურაცხია. ძაღლსავით ერთ ძვალზე სიხარული და მსუნაგ კატასაებრ თავის შეპყრობაზე განცხრობა რა სახელია? მე მინახავს ლომსა ყურდგელი შეეპყრას და, რა კანჯარი ენახოს, ყურდგელი გაეშვას და კანჯარს მისტევებოდეს.

არ უგდო ყური დამანამ ძმობილს, ლომს დაუმეგობრდა და ფრიად დიდი წარმატება მოიპოვა, მაგრამ არც ამას დასჯერდა გულხარბი დამანა და ლომისა და შუთურებას დაძმობილება განიზრახა. რა მიზანს მიაღწია, ნახა რომ ლომს დამანა დაავიწყდა და დღემუდამ შუთურებას წარჩინებაში იყო. დამანას გული შურით აღივსო: არავის ქვეყანისა მარნისაგან ერთი თასი ვერა შეუსვამს, რომ

სიმთვრალისაგან უშიშად მოესვენოს და ცოდვას ამპარტავნების საყუარში თავი არ ამოეყოს.

დამანას პირს ბრაზის დორბლი სდიოდა, კბილთაგან — ბორბოტი ვესლი და ლოშქრი, მისი სიცოცხლის გამქარვებელი.

ქილილა არას ზრუნავდა, იწვა სვეტიცხოველის ქვის ვენახის ჩრდილ ქვეშ და განცხრომას ეძლეოდა; ერთ დღეს გულმა არ მოუსვენა და ურჩია დამანას, რომ შუთურბას მტრობას დახსნოდა.

დამანამ ყური არ შიაპყრო და საქაჯოთა ხერხსა იგონებდა მათი წაკიდებისათვის.

ენა გაიმწარა და მწარე სიტყვა ხან ლომს მიუტანა და ხან კუროს, წაპკიდა ისინი და ერთ დღეს, როცა ოქროს გავალაკიანი მზე აქცევდა გვალვის ლოშქრსა და ალხს, ლომი და კურო გამოვიდნენ ზოდიაქოთაგან და შეიბნეს.

ლომმა სძლია კუროსა თათუესა ივლისსა და მოჰკლა იგი.

ქვეყანაზე იყო ერთი ფასკუნჯი. მისი შიშით ყოველნი მფრინველნი ცის სიმრგვლეთა შინა განუსვენებელ იყვნის, საგონებელ იყო, კუროსა ზოდიაქოთა ციოთაგან მოიტაცებსო.

ლ ე ქ ს ი.

ვერძი მისისა შიშითა ცაში ვერ ძოვდეს მშვიდობით,

ნუ თუ მესისხლე მარინი მწყესად დაუდგეს რიდდობით.

ფასკუნჯი იგი იყო უჩქარესი და ფრიალ ონავარი.

მთვარის კალოდამ მარცვალთა და ცისაგან ვარსკვლავთა მრისხანე ჭანგითა მოიტაცებდა.

და რომ ქვეყანაზე ყოფილიყო მშვიდობა და ზავი, ღმერთმა გააქვავა ფასკუნჯი იგი ეთიოპიისა და სვეტიცხოველის კედელში დაამწყვდია.

ფასკუნჯმა რა შუთურბას ნედლი ხორცის სიაბლოვე იგრძნო, გაუსხლტა ფრთებზე დოწოლილ ქვის ხუნდებს, შუთურბა ძლიერისა ჭანგით აიტაცა, მაგრამ მძიმე იყო კურო, ვერ ზიდა, გაუვარდა და ახავერი იგი დაეცა მზის კალოზე.

ყოველ აღდგომა დღეს ცბრათვალა კირკიტი მზე ათამაშებს მას ვერძით გულში, ეხუტება თმაგაფოფრილი, იკრავს მკერდში, ჰკოცნის და მერე აღერსით დაღლილი ჰკიდია ვერძი ცოდვასავით მთელი ღამე ცაში და ანათებს ქვეყანას.

იტყვის წინასწარმეტყველი დავით: მე ვთქვი განკვირვებასა ჩემსა რამეთუ ყოველი კაცი ცრუ არს: და თვით უფალი ბრძანებს არავინ არს სახიერ გარნა მხოლო ღ: არა თუ ამისთვის არის ბრძანება ესე ვითარმედ ღი კაცი ცრუ არს ნუ იყოფინ: არამედ ვერვის ძალუცს თვინიერი მის მიერ მოვლინებულთა: სწორობით ცნობად საქმეთა უფლისათა: და არცა ვინ არს ჭეშმარიტებით მცნობელ ამისა, რომელ არა იპოვა ამასა შინა სიცრუე: არამედ რავდენტა მიეცა სიბრძნე და გულისხმის ყოფა, და მათ წყალობა იგი პატიოსანი უპატიოთა ზედა საქმეთა არა იშრომეს: და

კედლის საათი კაკუნობს და სთვლის დაღეჭილ დროებს.

თავში ტრიალებენ ახირებული სახეები და მოსვენებას არ მაძლევენ.

რა არის ყოველივე ეს, რათ ირევა ჩემ თავში ამდენი სინდონიანი ლანდები, ან რათ მიდის მანანა ტფილისიდან, როცა მე უტფილისოდ ცხოვრება არ შემძღვლია! რა უნდა ამ მორიელს, მოსვენებას რომ არ მაძლევს? ის ხომ ამ დილით გავსრისე მე ჩემი ფეხით, ამის მოწმე ის სტუდენტი ფილოლოგი იყო. მერე ის ჯვარზე იყო გაკრული და სალამანდრა დასტიროდა მას ღვთიშობლის ნიშნით გადაფენილი.

იქნებ ესეც სიზმარი იყო! რა ვიცი მე, რა არ ხდება ჩემ თავს! სად არის სინამდვილე და სად მოჩვენება, ვერ გამირკვევია. ახლა ეს აგურიც მკიდია მძიმედ თავის მაგიერ და არ ვიცი რა ვქნა, — მეშინია თავის ბალიშზე დადება, — სად გაგონილა რომ აგურს ბალიშზე სდებდენ, ისედაც ექვის თვალით მიცქერიან და ხომ მთლად გადარეული დამიძახეს!

სად იყო ეს მორიელი? მე ის ფეხით გავსრისე ამ დილით, ამის მოწმე ის ფილოლოგი სტუდენტი იყო. მე გადავწყვიტე წავსულიყავ მასთან და მეკითხა, ახსოვდა თუ არა მას, მე რომ მორიელი მოვკალი.

ახლა ღამის ორი საათია, იმ სტუდენტს, ალბათ, სძინავს, მაგრამ ის ხშირად ათენებს ღამეებს თავის სანსკრიტულ ტექსტებზე, ის სადიპლომო შრომას ამზადებს და ახლა არ ეძინება.

ავდექი და დერეფანში გავეღ.

მიველ მის კარებთან და ყური მიუგდე: სტუდენტი რალაცას იზეპირებს, მგონი, სანსკრიტულ არსებითი სახელების ბრუნვებას და ეს უცნაური სიტყვები ახმაურდენ ჩემ ყურებში.

დაუკაკუნე.

— ვინ არის?

— უკაცრავად. ერთი წუთით, თუ შეიძლება? მე ვარ, — დუდე ათინაძე.

— მობრძანდით!.. — დაიძახა მან და მომესმა როგორ ახმაურდა გაწეული სკამი.

კარი შევალე და კუბოსავით პატარა დახუთულ ოთახში შევეღ.

კედლებზე გაკრული იყო სანსკრიტული, ბერძნული, სვანური და ფრანგულ ზმნების უღვლილებათა ცხრილები.

ტახტთან ბაღლინჯოებისაგან და ბუზებისაგან დასვრილი „Eccce Homo“-დან ამოღებული ფრიდრიხ ნიცშეს პორტრეტი ეკიდა და კედლიდან მორჩევით იცქირებოდა.

მაგიდაზე იდგა პრიმუსი, გარუჯული ჩაიდან, ნესტისაგან ჩაქვავებული სამარილე და კიტრის დამჭკნარი ნაფცქვენები.

— დაბრძანდით! — სთქვა სტუდენტმა, სკამი მომაწოდა და ბეცი თვალებით მომაშტერდა.

— მადლობ! მე მხოლოდ ერთი წუთით შემოვეღ. თქვენ ზოგეხსენებათ, რომ ადამიანის ცხოვრებაში ბევრი უცნაური ამბები ხდება. მაგალითად შეიძლება უეცრად სახლმა დაიწყოს ბორგვა და ის სახლი, ახლა ჩვენ რომ შიგ ვართ,

შესაძლებელია დაეთრევა ქუჩა-ქუჩა ნაწანწალასავით, დედას იგინება და ჰკოცნის პროსტიტუტებს... თქვენ, ალბათ, გიკვირთ მე რომ ასეთ უცნაურ ნივთებს გეუბნებით, მაგრამ აბა შეაღეთ თქვენ ტვინის კუნჭულში სულ ზნეობის კანონები და ის ფარდა, ასე რომ არის ჩამოფარებული, ჰკარით თითი და სულ პატარა ხერხელი გააკეთეთ და თქვენ ნახავეთ რომ იქიდან, მეც არ ვიცი საიდან, წამოვა უცნაური სინამდვილე და ეს სინამდვილე არ იქნება ასლი იმისა, რასაც ჩვენ ვხედავთ უბრალო თვალთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ფროიდი ამას ქვეცნობიერებას უწოდებს, ჩემთვის კი ეს არის ნამდვილი ცნობიერება და მას მხოლოდ მონტაჟი სჭირია...

სტუდენტი გაოცებულ თვალებით მიცქერის, ეს მე მახარებს, რაღაც უცნაურ სიამოვნებას იწვევს ჩემში და მინდა კიდევ უფრო უცნაური ამბები უთხრა და ეს კვახივით შუბლი, ბალნით რომ ასე აქვს ამ სტუდენტს შემოსილი, მინდა შევახეთქო ამ უცნაურ ამბებს.

— აი, მაგალითად, მე ამაღამ აივანი მეაღერსებოდა შეყვარებულ ქალივით და უნდოდა რომ ჩვენ ერთად წავსულიყავით მთვარესთან, მაგრამ მე არ დავნებდი, ყველა აივნებმა რომ ასე მოინდომონ ჩემთან აღერსი, სად წავა!.. მე მხოლოდ ერთი რამ მინდა შეგეკითხოთ, თქვენ მეცადინეობთ და მე არ მინდა ხელი შეგიშალოთ...

— რატომ, ბატონო, რატომ იკადრებთ...

— მომითმინეთ, — გავაწყვეტინე მე მოუთმენლად, — მე მინდა გკითხოთ... დღეს დილით მე მორიელი მოვკალი დერეფანში, ხომ გახსოვთ?

— დიას, მერე?

— მერე? მერე არაფერი!.. მინდოდა და მოვკალი!.. შორჩა და გათავდა! შეიღობით ბრძანდებოდეთ!.. მე ვფიქრობ რომ არ არის წესი ადამიანი სხვის სულში იჭრებოდეს და მის ინტიმურ ცხოვრებაში ხელებს აფათურებდეს!.. — ვთქვი მე და კარებისაკენ გამოვემართე.

— ბატონო დუდე!.. — დაიძახა მან განცვიფრებულმა და უკან ამეღევნა.

ხელი ვანიშნე, — შეჩერდა.

— ლაპარაკი ზედმეტი არის!.. — უთხარ მე უხიაგად, კარები გამოვიხურე და უეცრად მომაგონდა კვიცი, გვარზე რომ ხტის და გამეცინა.

— რას იზამ, მეგობარო სტუდენტო, კვიცი გვარზე ხტის! — ვამბობდი მე და მივდიოდი ბნელ დერეფანში ჩემი ოთახისაკენ.

მე ვიციხოდნი, ვკვდებოდი სიცილით და თვითონ არ მესმოდა რა მაცინებდა ასე, მაგრამ, როცა ისევ ჩემ ოთახში შეველ და ტახტზე წამოვწექი, შემეშინდა. ფროიდი ამბობს რომ შიში დაბადების განცდაა. თუ ეს მართალია, მე მაშინ ახლა ვიბადები და ეს კომოდი, ასე რომ კვენესის, — ჩემზედ არის მშობიარედ.

— რათ მეშინია მე ამ კომოდის, რათ მეშინია!.. — ვიძახი მე და ვძიგძიგებ შიშით აკანკალებული. შემაცივა. თავზე დავიყარე საბნები, პალტოები და ყველაფერი. თავი შარვალთ წავიკარ და მაინც მცივა, ცოტა ხანს შემდეგ სიცხე მომცა, პირი მიშრება და ვხედავ ჯვარზე გაკრული მორიელი ჰკვენესის გულ-

საკლავად, თვალთაგან ცრემლი მდინარესავით სდის და ცრემლში განზანილს ტანზე შხამი და ლოშკრი ხვითქად ასკდება და ბზინავს ყვითლად.

იქნებ, ეს ახალი ქრისტია, სიყვარულის მაგიერ ირონიკულად რომ უნდა მოსწამლოს ეს ქვეყანა და ეს ევროპიელი კლერკი და ტაკიმასხარა მისი მოწაფე პეტრე მოციქულია სამჯერ, რომ უარპყო იგი და სამჯერვე რომ მიიღო ამ უარისყოფით.

მაშინ ზეგ მესამე დღე არის, რაც ის ჯვარს ეცვა და რომ აღდგეს, რა ექნა მაშინ, როგორ შეეხედე ამ ახალ აღდგომის უჩვეულო ცერემონიალს.

ქრისტემ თვითონ შესვა სიმწრით სავსე ბარძიმი, მორიელი კი მე მასმევს შხამსა და მიწამლავს სიყმაწვილეს.

ეს, ალბათ, იმიტომ რომ ჩემს ირველივ ცხოვრობენ: პროსტიტუტები, ჭურდები, სპეკულიანტები, ებრაელები, სტუდენტები, დალალეები და ვინ იცის კიდევ რა პროფესიის ხალხი არ ცხოვრობს ჩემ მეზობლად და ოთახში შემოდის იოდოფორმის სუნი, ტვინი მძიმდება ასეთ ჰაერში და ფიქრები მახინჯ ბავშვბივით იბადებიან.

დერეფანში ბნელა და დერეფანში დგას აბანოს ქიის, თაგვებისა და საპნიან დამპალ წყლის სუნი.

ახლა ეს შაქრის ვერძიც მთელი ღამეები დნება ცაში და გულს მიღონებს ბატონ ჰენეს ამღულრებული ტირილი.

თუ ეს მართალი არ არის—რათ შემოწმება მე მაშინ ის ბეცი სტუდენტი ფილოლოგი? მე ვირვეი და თავი ვერ გამირთმევია სად თავდება სინამდვილე და სად იწყება ბოდვა.

ახლა სიცხეც მომცა და ეს სინამდვილიდან გამოსული ფაქტები ლაქიებივით ახვევია ამ ლანდებს და ზრდილობიანი მორიდებით ასაბუთებენ მათ არსებობას. ლანდები თავაგდებულ ქრელ პროსტიტუტებივით ირწევია ჩემს ტვინში, ახველებენ კლექიანად და კაბააკარწახებულნი თავდაღმა გადადიან ფაქტებში და სინამდვილე მიდის მტკვარივით და უტლაშუნებს ჩემ ტვინს მღვრიე ტალღებით.

დერეფანში დევს აგური: ბინძური, გახეხილი და ეს აგური არ სცილდება ჩემ ფიქრებს. აგურ ქვეშ მე ოთახის გასაღებს ვინახავ, მეზარება მისი ტარება, ფეხები ზამთარ-ზაფხულ ცივი მაქვს და, როცა ფეხები მთლად გამიშეშდება, დიასახლისი გახურებულ აგურით მითბობს ფეხებს.

მე მომაგონდა ყვაფი რიფსიმე და ფეხზე წამოვიჭერი.

კანკალმა ამიტანა. სიცხე მაქვს და მაინც მაკანკალებს.

აივანზე გავედი და შუბლი აივნის რკინის გრილ სვეტს მივადე.

დაეშოშმინდი.

თავი მტკივა, მიველ პირისაბანთან და წყალი გადავივლე.

მინდა დავიძინო.

უკვე ღამის სამის ნახევარია, ლოგინში კედლისკენ გადავბრუნდი, გვერდში რალაცამ მიჩხვლიტა. ხელი მოუსვი,—ქალის თმის დასამაგრებელი სარკი მომხვდა.

— კიდევ ფაქტი!... — დავიღრიალე მე შეშლილივით და მაინც გავიფიქრე:

რა საჭიროა ეს პსევდოკლასიკური აღმოჩენა და ეს სიტყვა: „ფაქტი“ კირი-
ვით რომ მეზარება, მაგრამ ამ დროს კარი ნელა შემოიღო და ოთახში ყვავის
დამამ შემოიხედა.

ლოგინს ავესნატე.

— გნებავთ რამე? — შემეკითხა დამა უცნაური ერთგულებით, სახეზე ოდნა-
ვი ღიმი ჰქონდა გადაფენილი და თავი ავტომატიურად დაიქნია.

მე ვიდექი და ისე უცქეროდი მას, თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

— არაფერი, ჩემო ბატონო!... — უპასუხე მე ალერსიანად შეშინებული
ხმით და თავი დაუკარი.

ყვავის დამამ კარი გაიხურა.

თმის დასამაგრებელი იატაკზე ეგდო და მე დავხედე.

— იქნებ, ჩემ ნაცნობ პროსტიტუტს დარჩა! — ვიფიქრე მე და დავწვდი, ხელში
ავიღე თუ არა, კარი გაიღო და ისევ: — ყვავი!...

— გნებავთ რამე? — შემეკითხა ის ისევ ისე გამოძახილივით ერთგულად მიყ-
რუებული არაადამიანური ხრინწიანი მოხუცებული ხმით და თავი ავადმყოფ
ყორანივით ავტომატიურად დაიქნია.

— არაფერი, ჩემო ბატონო!... — მიუგე მე და თმის დასამაგრებელი დამნა-
შავესავით, ისე თითქოს ქურდობაში მომასწრესო, სახატეზე ჩამოვდე.

ყვავმა კარი მიიხურა.

— რის მეშინია, კაცმა რომ იკითხოს!... — ვფიქრობ მე და თან ჩემ თავზე
ებრაზობ.

ჩარლი ჩებლინს თავი გახეულ შპალერში გამოუყვია, იკრიკება ყოვლად
უადგილოდ და კვდება სიცილით.

იქვე ფოსტალი ეგდო, დავწვდი და ვესროლე, ფეხსაცმელი მოხვდა კედელს,
დავარდა ძირს და... კედელში არავითარი ჩებლინი არ არის...

— ხომ არ ვიშლები? იქნებ, ეს თმის დასამაგრებელია მისი მოსვლის
მიზეზი.

სახატესთან მიველ, თმის დასამაგრებელი ჩამოვიღე და ყვავის დამა ვახსენე:
კარი გაიღო.

— გნებავთ რამე?... — შემეკითხა ის ისევ ისე.

— არაფერი, არაფერი, ჩემო ბატონო!... — წამოვიძახე მე ხარდაცემულმა
და თმის დასამაგრებელი ისევ თავის ადგილას დავდე.

— არ ღირს... არ ღირს... შე ღორის თავო!... — დავიბლავლე მე, ჩავემხე
ლოგინში და სიცილი ამიტყდა, დიდხანს ვიციხოდი მე შეშლილივით ბალიშებ-
ში თავჩარგული, ბოლოს დავმშვიდდი.

— რა არ ღირს, შე მართლა რეგვენო და ღორის თავო!... — რა არ
ღირს? — ვთქვი მე, თავი ავიღე და ვხედავ მაგიდაზე მოდის სულ პატარა ცერის
ოდენა ჩარლი ჩებლინი ოთხად მოკეცილი, ზურგზე მორიელი აზის და არწყევს
შხამსა და სამსალას.

და ჩებლინი იგი წმინდანის ნიშნით არის მოსილი.

— ვინ ხარ შენ?... — შევეკითხე.

— მე ვარ კაცი, რომელიც ვალუნა საკუთარმა ირონიამ და თავისივე შხამით მოიწამლა. მაგიდას მივეარდი, მაგრამ ჩეპლინი გაჰქრა, ეხედავ მაგიდაზე დედას წერილი დევს, გავხსენი და კითხვა დავიწყე:

ერეკენული
გინგულითუქა

თავი მეთხუთმეტი

დედის წერილი

ჩემო საყვარელო და სასოება შვილო დუდე!...

*უ—ად ყოვლისა მოგიკითხავ პირზე კოცნით და დიდი სიყვარულით.

„სხვა როგორ ხარ, ჩემო იმედო და გულის გამახარებელო შვილო. შენი ჯავრით არ ვარ აგი ბერი ქალი და ესაა, დღეს შენზე ფიქრში ვალამებ და ლამეს ვათენებ. რა იქნა, შე კაცო, ამისთანა, ერთი ხელის სიფართო ქალაღდის ნაგლეჯზე ორი სიტყვა რომ დაწერო და გამომიგზავნო. შენ არ გაგიჭირდება და ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნება, თუ გინდა აღდგომა გამთენებოდეს. სხვა, რავე ხარ, შვილო? ჭკუით იყავი... ახლა გლახა დროია და თავს მოუარე. ავით არ გახდე და თვალი არ დამივსო, შვილო, შენ დეგენაცვლა შენი დასამიწებელი დედია. თუ გლახათ შეიქნა, მაშინვე მომწერე და ჩამოვალ. სხვაი ვინ მყავს, შვილო, შენ მაგიერი! რა ვქნა, მე რომ სიცოცხლე არ გამმწარებოდა და ბედი არ დამწვოდა, ჩემ შვილთან უნდა ვიყო, მარა ხომ იცი, დია, სახლი გაქს და კარი, თუ თვითონ არ უბატრონე, მთლად გაპარტახდება ყველაფერი. კერიას ჩაქრობა დიდი ცოდვაა, შვილო, და რა ვქნა მე საცოდავი ბერი ქალმა. ყველაფერს მოვლა უნდა და პატრონობა. ძროხაა ოჯახში, თხა და ქათამი. ახლა მარგლა დაიწყო და შენ რომ ორი გროში გამომიგზავნე იმით ვამარგლიებ ყანებს. იქნება, ერთი-ორი ინჯრა ჭადი მაინც მოვიწიო. ერთი მამახეციერი იმას მომასწრებდეს, შენ დაცოლშვილებულს გნახავდე და მერე მომკლა არ ვჩივი. რაია, შვილო, ითხოვე ერთი კაი გვარიშვილის ქალი და შეეწყვე. ცოდვა ხარ, შვილო, მოვლა შენ არ გაქვს და პატრონობა. რავე ხარ არ ვიცი, ან თავს ვინ გაბანებებს, ან ვინაა შენი პატრონი! რავე არ მოგწყინდა სულ ამ რესტორაციებში საკმელის ქამა. საქამდი უნდა იყო ასე? მონახე ვინცხა შენი შესაფერი ქალი და მე, შვილო, თუ გინდა, სამხად სახში დავწობი და ისე გემსახურებით. ამას გითელის შენი ძიძიაც. რაცხა ორი დღის სიცოცხლე შემრჩენია და ნუ ჩამაყოლებ ამას მიწაში ჯავრად. რათ ღირს, შვილო, უძირო კაცის სიცოცხლე, გამხმარი ჩალის ფასად არ ღირს. შენი ძიძა ჯერე ცოცხალია, რა უჭირს ბედნიერია, თავზე შვილები და მოსწრებული შვილიშვილები ასევეა, მარა შენი ჯავრი არც იმას ასვენებს. შენი ძიძიშვილები აღიღარა და ფორონცია კარგათ არიან, იგენს შემოევლო ჩემი თავი. იგენი რომ არ მყავდეს რა მეშველებოდა ამ ბერი ქალს. შარშან ზამთარში იმის მოტანილმა შეშამ გამიტანა, ოდა მან დამითოვლა და გზები იმან გამიხრილა. ყანები მისი ხარებით დამიხნა და ახლა მარგლაშიც იგი მებმარება. ფორონციეც ასეა, შვილო. ისე კვირე არ გეიარს, არ მნახოს, ოდა არ დამიხვეტოს, სარეცხი არ დამირეცხოს და საკერავი არ დამიკეროს.



„თუ ნასთველევამდი მივაწიეთ მე და შენმა ძიძამ, შალის წინდების მოქსოვა გვინდა შენთვის, ცივი ფეხი იცი, შვილო, შენ გაგიყვება შენი დასამიწებელი დედია. ახლა სხვა დროია, ბალშენიკობაა და ყველაფერი სხეფერათაა. ღმერთი არაა და პრისტავი. ვერაფერი ვევიგე ამ ახალი მთავრობის! შენი ბედდამწვარი მამა რომ ცოცხალი ყოფილიყო, ახლა, იქნება, მინისტარი ყოფილიყო, მარა ჭირმა მოსპო იგი ნიკოლოზა ხემწიფე და მეისპო კიდევაც, იგი რომ არა, ახლა ცოცხალი იქნებოდა. აღილარა, რაცხა გლახკომი გახსნენ, იმის თავმჯდომარეა. ბიძია ყარამანი გითვლის: ჩემი ბიძიე, იქნება, რამეფერათ ერთი კაი ბოლოკის თესლი მიშოვნოვო.“

„რაა, შეკაცო, რას გავს აგი, მთლად რომ დაივიწყე შენი 'სამშობლო და ერთს არ ჩამოხვალ. ჩამოდი, გეიარე, გამეიარე, მე გამიხარდება, თვალი გამომიჩნდება, ხალხს ეჩვენე, მოყვარეს ესიამოვნება და მტერს თვალი დოუდგება, სულ მე რავე ვიფორთხო ამ ბერი ქალმა ამხელა გზაზე.“

„გუშინ აღილარა მეუბნებოდა, შენ პოეტობა დაგიწყია. რაცხას სულ ქეწერდი, მარა რა ვიცოდი მე თვალ დასაესებმა. აქანა სამკითხველოა და აღილარამ მომიტანა შენი წიგნი. წავიკითხე მარა ვერაფერი ვევიგე. რაია, შვილო, აგი ჩვენი სასიკვდილე ბატონი რომ აგიწერია. ძაან ვაგულისებულია, რას მერჩის, ისედაც მიწასთან ვარ გასწორებული და გაზეთში გაწერას რას მემართლებო. მე სულა არ მომწონს, შვილო, შენი პოეტობა, რამე ხელობას მოკიდე ხელი და იგი აჯობებს.“

„ჩამოდი, შვილო, შენ რომ ჭყინტი ყველი და პიტნიანი ნადული გიყვარდა, იგი მაინც არ გენატრება? ტერეზიას ბიჭი შეეძინა და შენ გიცდის საგიორგობოთ, ნათლიად უნდებხარ. ფორონციე, შვილო წრეულს ნასთველევზე გათხოვდება, ვინცხა ზუგდიდელი პარტიული კაცი თხოულობს. სხვა კარგათ იყავი. ყველამ მოგიკითხა დიდი სიყვარულით და პირზე კოცნით. მე მაციებდა, მარა ახლა არაფერი მიჭირს, აღილარამ ქინაქინა ამომიტანა ზუგდიდიდან და იმან მიშველა.“

„ჩამოდი, ჩემო ხვითოს კაკალო ბიჭო, ჩამოდი და იყავი აქანა. რაც საწერი გაქ, იმას აქანაც დაწერ. ჩვენი ძველი კაცები ბევრ ამბებს მოგიყობიენ.“

„ჩვენი ეკლესია კოსომოლებმა რომ დაკეტენ, ახლა ისევე გახსნენ და ყოველ შაფათ-კვირას წირავს ჩვენი მელიტონ ღვდელი. მარა შით არავინ დადის. ეკლესიაში ცაცხვი იდგა, შვილო, იგიც კოსომოლებმა მოჭრენ, შიგ დიდი ღრუ ქონია და იმ ღრუში ორკაპიანი შუბი ნახენ და ამბობენ წმინდა გიორგისააო. ხალხს ძალიან შეეშინა. სხვა რა მოგწერო, იყავი კარგათ და მამაზეციერმა უფალმა ღმერთმა და სამასსამოცდასამმა წმინდა გიორგიმ დიდი ხანი მოგცეს და კარგათ გამყოფოს.“

გწერს შენი მოსიყვარულე დედია“.

ყველაფერი გაჰქრა ჩემს ირგვლივ, არ არის არავითარი მორიელი და არავითარი აგური, ეს წერილი გრილი სიოსავით შემოვიდა ჩემს გახურებულ თავში და გულს მომეშვა.

— ჩემო დედია, ჩემო ტკბილო დედია!.. — ვჩურჩულობ მე და დავცქერო უცნაური ხელით დაფხაჭნილ წერილს.

დედაჩემი იყო რევოლიუციონერი მუშის ცოლი და ზემოთაღწერილობაში რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებში ტრიალებდა და მაინც ისევ ისეთი სოფლელი ქალი დარჩა, უბრალო ცრუმორწმუნე, ჩამორჩენილი და საკვირველი.

წერილი იქვე მივაგდე და დავიწყე პასუხის წერა.

გულში უცნაური სურვილი დამებადა: გაუხიარო დედას, ჩემი ტკივილები, დედა თუ გამიგებს, იმისი მოსიყვარულე გული თუ მიმიხვდება, თავი მისკდება სიციხისაგან და ასე გაბრუებული თავით ვწერ:

თავი მეთექვსმეტი

წერილი დედას

„ჩემო ტკბილო დედა!

„მაპატიე, დედა, რომ ამდენ ხანს წერილი არ მოგწერე. რა ვქნა, დედა, ჩემი ცხოვრების გზები ისე აიბნა, რომ თავი ვერ გამირთმევია. რომ იცოდე, დედა, როგორ მინდა ახლა შენთან ყოფნა. უბრალო სოფლის მუშად გაგეზარდე ის მერჩია, დედა, და ამ ქალაქს არ მოვეწამლე. ვიქნებოდი ჩემთვის, ვთოხნიდი სიმინდს, მეყოლებოდა შვილები და ახალ მთვარეზე ვკოდავდი მოზვრებს. ვიანგარიშებდი ზედნადებსა და ნიადაგს და, როცა თავი ტკივილს დამიწყებდა, ჩვენ ნიკოია დალაქს, თუ კვიმატი დღე არ იქნებოდა, სისხლს გამოვაშვებინებდი. ახლა, დედა, აქ რევოლიუციაა, ყოველი დღე ისტორიული დღე არის და ეს დღეები, ჩვენ სუსტ ხერხემლიანებს, გვემხობა თავზე საცხეველივით. ეხ, რამდენი ღამე გამითენებია, დედა, მე თეთრად და მაშინ, როცა თქვენ ქათმის დაბუდრებასთან ერთად იძინებთ, მე თვალზე ამოლამებული და უძილო ღამეებით ფერმიხდილი გამოვდივარ პროსპექტზე, დავძრწი და მელანდება უცნაური ამბები. რა ვქნა არ ვიცი, ახლაც წამომესია ეს მოჩვენებები და საშველს არ მაძლევენ. მორდუმ იცოდა ჩემი წამალი, ჩემი გრძნეული და ბრძენი მორდუმ თუ მომარჩენდა, ის გამომილოცავდა, ის შემომიტევდა მე, მაგრამ ის მოკვდა. რა ვქნა მე ახლა? მე ვდგევარ გზაჯვარედინზე და არ ვიცი საით წავიდე. შენ რომ იცოდე, როგორ შეშინია მე საცოდავსა და უბადროუს. ახლა ცხოვრება ისე ძნელია, დედა, ისე ძნელი!.. უწინ ცხოვრება მიდიოდა თავისით, ახლა ჩვენ უნდა გავწიოთ იგი და ფეხდაფეხ ავყვეთ, ამას მაგარი ხერხემალი უნდა... შენ არ მოგწონს, დედა, მე რომ პოეტი ვარ. შენ დედა ხარ ჩემი და გული გიგრძნობს რომ ეს არ არის კეთილი გზა, რა ვქნა ახლა მე, გვიანაა, უკან დაბრუნება არ შეიძლება. სჯობდა შენთვის დამეჯერებინა და ტელეგრაფის ანბანი მესწავლა, მაგრამ მე მაშინ ჭკუა არ მქონდა და სხვანაირად ვფიქრობდი. მე აქ მეჩვენება უცნაური ამბები. მოტორებმა მოკლეს ირმა ხარი და წმინდა ქრისტეფორე ძალღივით დაუუნტულა ჩემ სულში და სტრის წარსულზე. ახლა მანდ ისე კარგია. შუკებში

დგას თხებით შეფენილ ანწლებს მძაფრი სურნელება, სიმინდის ^{ყინები} შრი-
ლობენ ზღვასავით გადაღურჯებულნი და მზე ძროხის თვალივით ^{ჭკიდია} ცაში.
მე კი აქ რალაც ფრაზებისათვის ვეწამები, ნაფიქრებს ახალს ^{სტრუქტურის} ხმაურა
და მეშინია ანთებულ ლამპის. რა ვქნა მე ახლა, დედა, რა ^{სწრაფად} წავარ თავს,
ასე აგურივით რომ მათია მძიმედ და სულ რომ მტკივა!.. დავიღალე... მე მალე
ჩამოვალ დედა. მივატოვებ ამ ტფილისს, მანანა არ იქნება აქ და მოვისვენებ
შენს კალთაში. ფორონციას გიტარას უყიდი, ადილარას საჩოხე შალს და ვერ-
ცხლის ქამარს, ბიძაჩემს ბოლოკის თესლს და შენ და ძიძას საკაბეს. ტფილისი
სულივით ჩამიდგა პირში და ვერ ვცილდები, წამიყვანე, დედა, თორემ მე ვიცი,
როგორც ორჯერ ორი, ისე ვიცი რომ დავიღუბები. ტფილისმა გამიხმო ტვინი
და მანანამ შექამა ჩემი გული. რომ იცოდე როგორ მენატრება შენი პიტნიანი
სულგუნი და ნადული. შენი მოსიყვარულე გული, ჩვენი ფართო ეზო და სუროთი
და ფითრით დაბურღული მსხალი, ზედ რომ კოდალა და ჩხართვები ჯდება
ხოლმე ზამთარში. მე ტფილისში დამალამდა, დედა, მანანას სიყვარულმა დამთხა-
რა აქ თვალები და ასე ბრმა და საპყარი გემუდარები წამიყვანე ამ ჯოჯოხეთი-
დან, მიშველე...

— რა არის ეს?.. წერილია, თუ წყალში ჩავარდნილი ადამიანის ყვირილი?
განა შეიძლება, ასეთი წერილი მისწეროს კაცმა მოხუცებულ დედას!.. ხომ
გადაირია საცოდავი ქალი!..

— შერე დავწერ!..— ესთქვი მე ხმამალლა და კალამი მაგიდაზე მივაგდე-
საათს დავხედე: გათენება კიდევ შორს არის.

— ღმერთო, რა ნელა მიდის ეს დრო, რა გაათენებს, რა გაათენებს!..— ვკენე-
სი მე ლოგინში პირქვე ჩამხოზილი და კბილით ბალიშის პირს ვეტანები და
ვგლეჯ.

ისევ სიცხე მაქვს, ტვინი მიერუს და ოთახში ისევ იდგამენ სულს ეს ლან-
დები, მე ლოგინზე ვგდივარ და ლოგინი ირწევა ისე, როგორც ბალდახინი, დე-
დაჩემი თავს მადგას და დამტირის მეგრული მოთქმით...

თავი მეჩვიდმეტი

ა რ დ ვ ა

მე ვწევარ, მინდა მოვისვენო, მაგრამ ეს აბეზარი ფიქრები მეხვევიან ირ-
გვლივ ბუხებივით, მკბენენ ტვინში და არ მასვენებენ.

გულში ყრუ ტკივილია, თავდავიწყება და სადღაც ამ თავდავიწყებულ
სიპარტოვეში ზის თმაგაშლილი დედაჩემი და სტირის გულსაკლავად, მოსთქვამს
თავისი უბედური გაჩენის დღეს.

— დედა!..— ვეძახი მე, — ჩემო დედა!.. ნუ სტირი, დედა, ნუ, თორემ
გული მიღამდება და არ ვიცი რას ვიზამ!..— ვევედრები მე სასოწარკვეთილი
ხმით და დედა ჩუმდება, ჩემ ლოგინს უახლოვდება და თვალცრემლიანი უსაზ-
ღვრო თანაგრძობითა და სიყვარულით მეკითხება:

— რა გტკივა, შვილო, რა გაწუხებს, შენ მოგიკვდა შენი დასამწიფებელი დედა!..

მე გული ამიჩუყდა, თავი ბალიშებში ჩავრგე და ტირილი დასაწყისში ერთ ახალგაზდა ყმაწვილს ჰყავდა სატრო. ქვეყანას ერიოა იგი, მაგრამ ქალი გოროზი იყო და ავი. არ უნდოდა მას დედამთილი და ერთ დღეს მან თავი მოიავადმყოფა.

ვაჟმა არ იცოდა რით ეშველა საყვარელ ქალისთვის და ჰკითხა, რა მოარჩინდა მას ამ უკურნებელ სენისაგან. მაშინ ქალმა მას დედის გული სთხოვა წამლად.

ბევრს ემუდარა ვაჟი რომ სხვა რამე ეთხოვა მისთვის, მაგრამ ვერ მოსტეხა იგი და ასე მივიდა შვილი დედასთან წელმოწყვეტილი და მიწასთან გასწორებული.

დედა მიხვდა, რომ შვილს რაღაც ჯავრი ახმობდა და ვერ უტყდებოდა. კარგა ხნის მუდარის შემდეგ იგი გამოუტყდა დედას, მოხუცს ცრემლით აღევსო თვალები მკერდი მოიღელა და სთხოვა შვილს რომ, თუ მისი ბედნიერება ამისაგან იყო დამოკიდებული, წაეღო მისი გული.

შვილმა მოჰკლა დედა და, როცა მას შეხვეული გული მიჰქონდა უგულო სატროსთან, გზაში ფეხი რაღაცას წამოჰკრა და დაეცა. დედის გული შედრკა და შვილს შეშინებულმა მიაკივლა:

— ხომ არაფერი გეტკინა, შვილო?..

მე განგებ ვიგონებ ამ ამბავს, ვამბობ, რაც შეიძლება უბრალოდ, და რამდენად უბრალოა იგი, იმდენად უფრო დიდი სიყვარული და განუზომელი თავგანწირვა მცლანდება მასში.

ვიცილებ დედაზე ფიქრებს.

ახლა გვიან არის, საცაა გათენდება და მე ჯერ არ მძინავს. ვტრიალებ ლოგინში, ხან ბალიშს ვაბრუნებ, ხან საბანს ვიხდი, მაგრამ ჩემი საშველი მაინც არ არის.

ავდექი და დავდივარ ოთახში.

კედლები ჩამოიხუთა და ეს ექვსკუთხედი მოსაწყენი კედლები იწურებიან დამურას ფრთებივით გულჩათხრობილად და მე მზად ვარ სასოწარკვეთილებისაგან თავით შევასკდე ამ კედლებს.

ეს გულიც რომ სტირის! აღბათ, — ეს ჩემი გული იყო, დედა რომ მეგონა. მკერდზე ხელს ვიჭერ, მინდა გაეაყუჩო, მაგრამ არაფერი გამოდის:

— რა გატირებს, შე ტიალო, რა?.. — ვეკითხები მე და მესმის, კარგათ მესმის, როგორ მიზის დედა გულში და როგორ გულსაკლავად მოსთქვამს იგი.

მე მომაგონდა, რომ ხვალ მანანა მიდის ტფილისიდან, მერე ვერ ვნახავ, ვინ იცის, იქნებ კიდევ გათხოვდეს იქ და მე თმებში ხელებით ჩაფრენილი დავრბივარ ოთახში.

გარეთ მტკვარი ისევ მზუის, ისევ ოხრავს ტრამვაის ელექტრონის ცენტრალური სადგური და გულში არის სევდა განუზომელი, არ ვიცი ვის შევ-

ჩივლო, ვინ მიშველის და, ვფიცავ სინიდისს, რომ მე ამას ყურის ტკივილი მირჩვენია.

კედლის საათი რეკს: ერთი, ორი, სამი, ოთხი...

უკვე ინათა.

კედლებიდან მოძვრებიან უცნაური ლანდები და ოთახში დაფორთხავენ. ნივთებმა აიღგეს ენა, სხედან ჩემ ოთახში დაყუნტულნი და სტირიან თავის გაჩენის დღეს.

აი ეს სკამი დგას კუთხეში კედელს მიყრდნობილი და ქვითინებს რომ ის ისევ ტყეში არ დგას მხარგაშლილ წიფელად, გარეული ტახი არ სჩუგნის მის ძირს და არ სკამს წიწიბოს. აი ეს მაგიდა, ზედ რომ წიგნები ყრია, ერთ დროს ამაყად იდგა. დაბურულ ტყეში, გაფოტრილ მკერდზე ჩამოსტიროდა ზინთი და ავრცელებდა ირგვლივ მამრუბებელ სურნელებას. აი ეს რკინის ლოგინი, ზედ რომ ვერ ვიძინებ და ამდენი უძილო ღამეების მოწმე რომ არის, ერთ დროს იწვა ის მიწის მუცელში და ყურს უგდებდა დედამიწის მაჯისცემას, მერე ადამიანებმა მიაგნეს მას, გააღვიძეს იგი მყუდრო ძილიდან და დატყვევებულ მაჩვივით ჩააგდეს უზარმაზარ ლუმელში, გადაადულეს და დადგეს ჩემს ოთახში.

ასე სტირიან ნივთები, მოსთქვამენ და ყველას გული სტკივა თავის დაკარგულ პირველყოფაზე.

მათი სულები სხედან ჩემს ირგვლივ და სულში ისე ჩამომტირიან, როგორც გვალვაში ქურის ირგვლივ შემომსხდარი ბაყაყები.

გარეთ გუგუნობს ტფილისი, ტფილისი—ჩემი გული, და ეს ქალაქი ვარ მე. მე ვწევარ გაშლილ პროსპექტებით, გათელილ ტროტუარებით და ტროტუარებზე, —ჩემ მკერდზე,—დადიან: პროსტიტუტები, ქურდები, კაცის მკვლელები, ფუნქულიორზე ჰკიდია ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავი და იცავს ტფილისს ყოვლისაგან ავისა და ჩემს გულში, —ტფილისში, ჩამოშვებულია იმისი, —იმისი ღვთის მადლივით ნარგისის ძვირუფასი თვალეები და ეს მადლი წავა ხვალ ტფილისიდან და რა მეშველება მე, ვინ არის ჩემი გამკითხავი!

მეც წავალ, გავყვები მანანას, მაგრამ რა ვქნა რომ არ შემეძლია, როცა ტფილისმა უზარმაზარ სიბრძნის კბილივით გაიდგა ფესვები ჩემ გულში და ვერ ამომიფხვრია მისი სიყვარული, როცა ის მედავება მე მანანას სიყვარულში და ასე, ჩემი გული ორად არის გაპოზილი!

მე ახლა ვდგევარ ჩემ სატუსალო საკანივით პატარა ექვსკუთხედ ოთახში და ეს ოთახი ღამურასავით ჩამოეკიდა სულში და ტვინს მიბნელებს.

— იცით, მე მეზარება სახლში წასვლა. მე შინდა ეს საღამო თქვენთან ვიყო!...

ასე მითხრა მე მან და მე ახლა თითებს ვიკბენ ბრაზითა და ბოლმით, რატომ არ უთხარი მე იმას რომ უმისოდ სიცოცხლე არ შემეძლია, იქნებ, დარჩენილიყო, რატომ არ უთხარი რომ მისი წასვლა არ შეიძლება, რომ მე მოვკვდები, იმიტომ რომ მე მონუსხული ვარ მისი სიყვარულით, მისი თვალეებით.

და აი, ვხედავ: როგორ ვდგევარ მე სადგურის პერონზე. არის ჟრიაშული, კოცნა, ცრემლები, გამოთხოვება, კონდუქტორმა დაუსტვინა, მატარებელმა ცივი

Коллеция
И.И. Мещеряков
Хр. № 1000

ხმით დაიკვილა და კრაქუნით, ოხვრით დაიძრა ადგილიდან. მანანა ფანჯარაზე გადმომდგარი და მშორდება ჯერ ნელა, მერე მატარებელმა აუჩქარა და ვაჟონი მიჰქრის, მიჰყავს მანანა, მე მოვწყდი ადგილს, თმებს ვიგლეჯ თაგზე და მივკივი გასროლილ მატარებელს:

მეგობრებო

— მანანა!.. მანანა!..

— რა მაყვირებს, კაცმა რომ იკითხოს?.. ვეუბნები ჩემ თავს ჩემივე ყვირით გამორკვეული.

შუბლზე ხელი ავიფარე:— ცეცხლი მედება, ყურები წივიან და ყურებში ჰკილია ეს უზარმაზარი კედლის საათი და კაკუნობს ტეინში, საშველს არ მაძლევს.

მივვარდი საათს, მოსამართი გასაღები, რაც ძალი და ღონე მქონდა, გადავწიე, ჭახრაკი გასკდა, საათმა მომაკვდავივით დაიხრიალა და გაჩუმდა.

ჩამოველ სკამიდან.

დავდივარ ოთახში.

ახლა კიდევ უფრო დასამარდა ჩემი ოთახი, მიცვალებულის კუბოს დაემსგავსა. მე ვწევარ ამ კუბოში და ვიღრჩობი.

— მიშველეთ!.. მიშველეთ!.. — ვბლავი მე, პერანგის საკინძეს ვიგლეჯ და უეცრად ვხედავ როგორ შემოდის ჩემ ოთახში მორიელი, თეთრ ხელთათმანიანი ხელი ჩარლი ჩებლინისთვის გადაუხვევია და მოდიან ჩემკენ ფოქსტროტის ცეკვით. მე ხელებს ვასავსავებ, მაგრამ მორიელი მაინც მოდის ჩემ ლოგინისკენ, ის დაღლილია და ვნებით დაყურსული. უნდა ჩემ ლოგინში ცოლივით დაწვეს და შემუდარება რომ მივეალერსო.

რა ჰქნას მან, გულაბზიანმა და მუცელშხამიანმა, მასაც ხომ აქვს ვნება შხამად დაგუბებული, — მაშ რა უყოს ამ ვნებას?..

და აი ის მართლა წვება ჩემ ლოგინში, იხდის აბრეშუმის თხელ წინდებს, ტანთ ხატის ზეთის სუნი ასდის, ვნებით დაყურსული მკერდში მომეხუტა და ჩამასო გესლი, მე მტკივა, ვკვნესი, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ, — ჩამიწყდა და ბრონხიტთან თხასავით ვხავი.

ჩარლი ჩებლინი დგას კატელოკ მოხდილი და იკრიჭება, კვდება სიცილით.

მაგრამ ამ დროს იღება კარი და ოთახში შემოიბრძინა გაფოფრილი მანანა და დედაჩემი, აი მოიბრძინეს ჩემთან, გულზე გასნატული მორიელი ამაგლიჯეს, მიკოცნიან გახსნილ კრილობას და მე სულს ვითქვამ, ვტირი გულაჩვილებულ ბავშვივით. დედას კალთაში თავს უღებ და ისანი მეალერსებიან, მკოცნიან და ცრემლილ თვალებში, გულში მიკრავენ და ვგრძნობა მორეული ვბუტბუტებ რალაც სისულელეს.

ახლა კედლის საათზე ზის ყვაფი რიფსიმე და არიგებს ჩემს გაესხებულ დღეებს და ეს დღეები იშლებიან ჩემ წინ უცნაურ მარაოსავით. რიფსიმე ჩხავის, თავს ავტომატიურად იქნევს და ოთახში შემოდის უცნაური ხალხი...

მივდივარ პროსპექტზე, ირგვლივ აივნები მაძლევენ მდაბალ სალამს, სახლები ილუნებიან და ეს სახლები ჰგავს რალაც უცნაურ წარღვნის ხანის პირუტყვებს (დინოზავრებს, ბრონტოზავრებს, იხტიოზავრებს და ათას ზავრებსა და

ხვითქებს) და მე ისე ვარ, თითქოს ტფილისში კი არა, რომელიღაც ღიდ ფან-ტასტიურ ზოოლოგიურ ბაღში ვიყო.

მე მივდივარ პროსპექტზე და უეცრად მესმის, როგორ მორბის ჩემკენ სახლი, სადაც მე ვცხოვრობ, დედის გინებით, კედლების ჭნევით, მობლავის საყვირივით, ქოშინობს, იღლიაში ჩემი ექვსკუთხედი ოთახი ამოუდვია, ფანჯარაზე ყვავი რიფსიმე გადმომდგარა და ჩხავის დათარსულად. მე მივხვდი: მას უნდა დამიჭიროს, ჩამამწყვდიოს ისევ ჩემს ბნელ ექვსკუთხედ კოლოფივით ოთახში, — შემეშინდა და ხარდაცემულად მივრბივარ პროსპექტზე, მოსახვევში შემოუხვიე, ალაყაფში შევასწარ და ვხედავ რომ მე ისევ ჩემ ოთახში ვარ.

ყვავი ისევ ზის დასტანდაზზე, ფრთებს აფათქუნებს და ჰკივის გაფოფრილი:

— ჯერ სად ხარ, ბატონო დუდე, ჯერ სად ხარ!..

და მე ვხედავ რომ ჩემს ოთახში კი არა, სადღაც სამიკიტნოში ვარ, ირგვლივ ცეკვავს ხილი მრავალფერი და ამ ფარდაგვით ჭრელ ხილეულში აწყვია ღვინით სავსე რუმბები და რუმბებს შორის წევს ბაყალი გეო და მისი ღირწი ყოჩი ხვაშნავს ხილეულს ქვირითივით.

მეფე თეიმურაზი კაბაგაშლილ ბროწეულს კალთაში უწევს და უკოცნის ლალის ტუჩებს. ყოჩი ეყვანს აწკარუნებს და ამ წკარუნზე წამოიშალა ეს ხილი ბავშებივით ურიაშულთ და მორბიან ჩემკენ მხიარულ ქვილით და მე გონება გამინათლდა.

— ხომ გიყვარვარ, დუდე?.. — მეკითხება მანანა გულზე მოყრდობილი უცნაურად მორჩილი ხმით და ვნებით დაყურსული მკერდში მეხუტება.

— ნუ წახვალ, მანანა, ნუ წახვალ, თორემ, ხომ ხედავ, — არ შემიძლია!.. — ვემუდარები მე და მანანა მკოცნის თვალეში, შუბლში, ტუჩებში, ტანში ჟრუანტელი მიელის და ირგვლივ არის ხილთა ჭრელი ფერხული.

ყველა სათითაოდ მორბის მანანასთან და საყვარელ ბავშებივით კალთაში თავს უდებს და მანანას ყველასთვის მზად აქვს ტკბილი სიტყვა და ალერსი.

და როცა ასე ვარ მე მანანასთან ერთად ბედნიერი და ვტკბები მისი ალერსით, უეცრად ცაზე გადმოდგა სახლი იგი ავი, მე რომ ვცხოვრობ და სიცოცხლე რომ მაქვს მოწამლული, იქნევს გარბილებსა და ბუბრის თავებს მოღერებულ მკლავებივით და აგინებს ძირსა და მოსავალს მხიარულად აქრიაშულელებულ ხილეულობას.

ყველაფერი ჰქრება, მე ისევ ღვინის სარდაფში ვარ, მანანა ხარდაცემულ თვალეებით კედელს ატმასნვია და უცქერის რუმბებში ვნებითა და ღვინით აბორგებულ გეოს.

იქვე რუმბ ქვეშ ამოდებული აგური ჰყეფს ძაღლივით და იღრინება.

მე მაგონდება პლატონის „ცბენურობა“ და ვფიქრობ, რომ ეს აგური არის იდეა ამ სახლის და თუ ის არ მოვიცილე, ეს სახლი მე ისე არ მომასვენებს.

აგურქვეშ ზის მორიელი და არწყევს ლოშქრს.

ბაყალი დგება, რუმბივით უხარმაზარი და გასიებული მიდის ბარბაცით მანანასაკენ. ხელები გაუწვდია და ხმა უკანკალებს.

— მანანა, მანანაჯან, ნუ მომკალ რაღა ეს ამოტოლა კაცი, ხომ ხელავ, ძალი არა მაქვს. ბარემ დანა დამეც გულში და გაათავე!.. ხომ წყალში ვდგევარ, — ცეცხლი მიკიდია!.. — ამბობს ის და ვნებაატეხილი, დაოსებულ ვეება ისევე რუმბებში, ეხვევა უზარმაზარ კოლოტს, სტირის სასოწარკვეთილი და ოხრავს ბუტბუტით:

— მომკალ, მანანაჯან, მომკალ!.. — ბუტბუტებს იგი უაზროდ, მერე, თითქოს თვალეში რაღაც აზრი გაუჩნდა, ბოროტი ცეცხლი აენტო მის სიღრმეში და უეცრად დაჭრილ ნადირივით წამოიჭრა ბლავილით:

— კარგი, რაღა, ზაპლა, ნუ წაილე და!.. — და მანანასაკენ გაექანა, მოპხვია ხელი, უნდა რუმბებში წააქციოს, მაგრამ მანანა არ ნებდება, ებრძვის მას, კისერში ჰკბენს და ეს კიდევ უფრო აღიზიანებს გეოს. მთვრალია ის ღვინით, მთვრალია სიყვარულით, თავს ვერ იკავებს, დაბარბაცდა და ორივე ერთად გადაგორდენ რუმბებში. ჰგორავენ, იბრძვიან, რუმბები უზარმაზარი მუცლებივით იზილებიან, ერთი რუმბი ვერ უძლებს გეოს სიმძიმეს, სკდება დამპალ ფაშვივით, და შავი ღვინო მოსკდა ღვარივით, — ბაყალი და მანანა წითლად შეიღებენ და გაგრილებულნი დგანან ისინი ახლა ერთი მეორის პრისპირ ღვინის ტალახში აქლოშინებულნი სისხლიან ხორცებივით. სარდაფში დადგა ღვინის სუნი, ტვინი ბრუვდება ასეთ ჰაერში, მანანა ვერ უძლებს მამრუებელ სურნელებას და დამთვრალს მუხლთ ეკეცება, ზარბოშიანი ღვინის ტალახში წვება მოწყვეტით და გეო უახლოვდება მას გატყავებულ ცოცხალ ღორივით სისხლისფერი და აი, როცა დადგა გადამწყვეტი წუთი, — საიდანღაც გაჩნდა თეიმურაზ მეფე, ჩასცა გულში ხანჯალი და სისხლი და ღვინო აიზილა ერთიმეორეში.

მანანა გამოერკვა, ფეხზე წამოიჭრა და დედალი ხობობივით აკრიახებული გულზე მომასკდა.

— დუდე, დუდე, გენაცვალე, დუდე!.. — ჩურჩულებს იგი და მკერდში მეხუტება. მემუდარება რომ დავიხსნა იგი ამ ჯოჯოხეთიდან.

რატომღაც მე მომაგონდა ფრანგული ზღაპრის სანდრილიონა, წავაძრე ფეხზე ოქროს ქოში და ღვინოში დასვრილ ფეხებს უკოცნი.

— ჯერ სად ხარ, ბატონო დუდე, ჯერ სადა ხარ!.. — ჩხავის ყორანი და ისე, როგორც კრილოვის იგავ-არაკში (ნისკარტში ყველით), თავის ოთახში ფარფატით გადაფრინდა.

მე ავედევნე და მის ოთახში შევარდი. კედელზე ჰკიდია პრინცის სურათი აკაეუს ჩარჩოში, სირანუშა ფშვინავს ძილით გაგუდული და ყვავი რიფსიმე შლის ძველებურ როკოკოს სტილის მრგვალ მაგიდაზე პასიანსს.

იქვე გდია წიგნის საჭრელი ვერცხლის დანა, ხელი დავტაცე და მკერდში ჩავასუ და მე ვიგრძენ როგორ ქალაღივით გაიხა მისი ხორცი. ყვავმა ერთი დაიჩხავლა და ვოლტერის სავარძელში უსხეულო ტანისამოსივით ჩაიშმუშნა.

გამომეღვიძა.

მივიხედ-მოვიხედე: ოთახში ბინდებია.

წამოდგომა მინდა, მაგრამ ვერ ვახერხებ.

ქურონალი „მნათობი“, № 3.



ქართული

- წენი მტკივა და თავი ტყვიასავით მაქვს.
ჩემ წინ ჯაბა ზის.
- როგორა ხარ, დუდე?..— ირგვლივ ურუხანტელია ზღბ...
ისევ ბურანში მივდივარ...
- ...თვალეები გაეახილე:— ისევ ჯაბა. ვილაც სათვალეებიანი კაცი თავს მადგას. მივხვდი:— ექიმი უნდა იყოს.
- ხომ არ მოვმკვდარვარ, ბატონო ექიმი?..— ვეკითხები მე დამცინავად. ექიმი კმაყოფილია, მაგრამ მისი თავი არა მაქვს, რაღაც სასიამოვნო თავდავიწყებას განვიცდი.
- მომილოცავს, თქვენ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის იყავით... ახლა არაფერი გიშავთ...
- რათ იწუხებდით მერე თავს ასეთ უმადურ საქმეზე!..— უპასუხე მე გესლიანად, მინდოდა კედლისაკენ გადაებრუნებულიყავ, მაგრამ ვერ მოვახერხე, — ჯაბა მომეხმარა.
- როგორა ხარ ახლა, დუდე!..— ვეკითხება ჯაბა.
- რა მიშავს, ჯაბა, კარგად... ნუ გეშინია, ჯაბა, ნუ გეშინია, ძალლი კოჭლობით არ მოკვდება!..
- დღეს მერვე დღე არის, რაც უგონოდა ხარ!..
- რას ამბობ, ჯაბა?— დავიკვილე მე და ზარდაცემული მკლავებში წავეტანე:— მერე... რა ვქნა მე ახლა ჯაბა, რა?.. მანანა წავიდა, მანანა წავიდა და მე ვერც გავაცილე!..— ვკვნესოდი მე და ჯაბა მამშვიდებდა, მეფერებოდა.
- დაწყნარდი, დუდე, დამშვიდდი... არსად არ წასულა... მამამისს ანთავისუფლებენ... ის მალე მოვა შენ სანახავად... შენი თვალით ნახავ... მოვეშვი ისევ ბურანში წაველ.
- როცა გამოვერკვიე, უკვე ღამე იყო. ოთახში ენთო ელექტროს ღამბა. თავთით მანანა მიჯდა და ჩემს შუბლზე ხელი ალერსიანად ედო.
- გინდა რამე, დუდე?..— შემეკითხა ის მზრუნველობით და თვალეებში ჩამომხედა.
- მე ვერ გაუძელ მის ნარგისის თვალეებს, სიხარულით თვალეები დავხუჭე, — არ მჯეროდა: იქნებ, სიზმარი იყო, მერე გაეახილე, — ისევ — მანანა.
- მანანა!.. მანანა!..— ვჩურჩულებდი მე, ვეტანებოდი ხელეებით მის ხელეებს, მის მკლავებს, მის თმებს, მოვწიე ჩემსკენ და მის ტუჩებს დავეკონე, მერე მან ხელი კისერში სათუთად ამომლო და თავით მკერდში მიმიკრა.
- ეხლა მე სასაცილოდ არ მყოფნიდა ეს მორიელი, ეს ძახთაპირი და ათასი უცნაური მოლანდებანი. მიხაროდა რომ ჩემი რომანი ასე ამერიკულად თავდებოდა, ვგრძნობდი რომ განვახლდი, ალდექი მკვდრეთით და ახალი ვნერგითა და სიხარულით უნდა დამეწყო ჩემი ახალი იმედიანი ცხოვრება...
- კარგა ხანს ვიყავით ჩვენ ასე და მანანამ მიაგზო რომ მისი დეიდა, კნენარიფსიმე, შავი ყორანი, მე რომ სულს მართმევდა ამ შვიდი დღედაღამის განმავლობაში, — ეხლა ცოცხლებში არ სწერია, — ის მომკვდარიყო.
- ის უკვე საბი დღე იყო, რაც გავსვენებინათ, და ჩემს გაკვირებას საზღვარი

არ ჰქონდა, როცა მანანამ მითხრა რომ ის ვოლტერის საფარიძელში ენახათ შვედარი სწორედ ისე, როგორც მე დამეხიზმრა. წინ მრგვალი როკოკოს სტილის მაგიდა ედგა გაშლილ პასიანსით და მაგიდაზე ეგდო წიგნის საჭრელი ვერცხლის დანით განგმირული ქალაღდი: ყვავის დამა...

თავი მეთვრამეტე

მანანასთან

სალამო იყო.

მე ჯერ კიდევ საკმაოდ არ ვიყავი მოკეთებული.

თავბრუხვევა დამჩქმდა.

მე მივდიოდი მანანასთან.

ჩემი გული აღსავსე იყო სიხარულით და მზად ვიყავ ყოველი გამწვლე-ლი გამეჩერებინა ქუჩაში და შეამბო მისთვის, თუ რა უსაზღვროდ ბედნიერი ვი-ყავი მე.

მას შემდეგ, რაც მე გამოვერკვიე,—არ მინახავს იგი,—სცხვენოდა. დღეს სალამოთი დამიბარა მან სახლში და რამდენი უახლოვდებოდი მის ბინას,—მუხლები მიკანკალებდა.

სიცხე იყო აუტანელი და დაგვიანებული მოქალაქენი მიჰქროდნენ ბარგით დატვირთული ეტლებითა და ავტომობილებით სადგურზე სააგარაკო მატარებელზე.

როცა გეოს დუქანს ჩაუარე, მან შურით გადმომხედა, მაგრამ მაინც გაუხარდა ჩემი ნახვა და მომესალმა.

— ვახ, დუდეჯან!.. როგორა ხარ?.. — შემეკითხა ის და მერე განაგრძო: — მოდი ერთი, დუდეჯან, ხილი მიირთვი, ჩემგან ფეშქაშად იყოს რალა!..

როცა ავად ვიყავი, ის მიგზავნიდა ხილს მოსაკითხავად, ერთხელ მინახუ-ლა კიდევ, მაგრამ ივრძნო რომ ჩვენ შორის საერთო არაფერი იყო და წავიდა.

მას მერე არ მინახავს.

ახლა ის კიდევ უფრო შორს იყო ჩემგან,—როცა, ჩემს გულში ასე დიდი ბედნიერება იყო მზესავით ჩამოშვებული, მისი სისხლიანი ხახე, სიხმარში რომ ვნახე, არ სცილდებოდა ჩემს გონებას და მე მეზიზღებოდა იგი.

ფეშქაშზე მადლობა გადაუხადე და უარი უთხარი.

როცა მანანას სახლის კიბეზე აველი და კარებს მივადექი, გულმა უცნაური ტოკვა დამიწყო, ერთი პირობა უკან კინალამ გამოვბრუნდი.

კარებს უკან მომესმა როგორ უკრავდა მანანა როიალზე. ყური მიუგდე: — მეგრული ნანაა. მელოდია ტკბილად მეწვეთებოდა ყურებში და მე მომაგონ-და დედა, ძიძა, მეგრული ფაცხა, იაიას წქალი, წითელბატონები და გული უც-ნაური სიტკბოთი აღიესო.

მე მესმის როგორ ჩერდება იგი და ეძებს ტონს, ის სცდილობს ახალი ჰარმონიზაცია მოუენახოს ამ მელოდიას.

კარებს დაუკაკუნე, როიალის ხმა ნახევარ ტონზე შეწყდა და მესმის როგორ ადგა იგი და როგორ წამოვიდა კარებისაკენ.

მე ვდგევარ კარებთან და ვუიქრობ: როდის მერე დაინტერესდებიან მეგრულ მელოდოებით და მე მივხვდი რომ ეს ნანა მე მეკუთვნოდა და ტანში სიხარულის ერუანტელმა გამირბინა.

კარი გაიღო.

— ვინ ბრძანდებით?..— შემეკითხა ის, რადგან ღერეთანში, სადაც მე ვიდექი ბნელოდა და ვერ გამარჩია.

— მე ვარ, მანანა!..— მიუგე მე და უეცრად გაჰქრა ყოველივე, მე სრულიად დამშვიდებული ვიყავი და არ ვგრძობდი იმ მღელვარებას, აქამდე რომ არ მასვენებდა.

— ახ, დუდე, მობრძანდი!..— წამოიძახა მან და მე ვიგრძენ როგორ გაწითლდა იგი და როგორი სიხარულით იყო აღსავსე ეს წამოძახება.

ოთახში შეველ.

ოთახში კიდევ უფრო ცხელოდა, ვიდრე გარეთ და ეს რბილი სავარძლები თვალებს მტკენდა ამ სიცხეში.

ერთხანს ჩვენ ჩუმად ვიყავით, მერე ისევ მანანამ დაარღვია ეს სიჩუმე:

— როგორ ხართ ახლა, ბატონო დუდე!..

— რა უშავს, კარგად, მხოლოდ, თავბრუსხვევა დამჩემდა!..— მიუგე მე.

— სააგარაკოთ წადით, მოისვენეთ და კარგად შეიქნებით!..— სთქვა მან სულ უცხოდავით და მე გული მეტკინა.

— სახლში არავინ არას?..— შევეკითხე მე ცოტა ხანს შენდევ.

— არა, მამა სადღაც წავიდა!.. მე თქვენ გელოდით!..— სთქვა მან და სახე აელეწა.

— მანანა!..— დავიწყე მე, მაგრამ გავჩუმდი.

— რა გნებავთ?..— შემეკითხა ის, როცა მე გავჩუმდი, და შემატყო რომ ხმას არ ამოვიღებდი.

— შეიძლება ასე უბრალოდ მოგმართოთ?..

მან საყვედურით შემომხედა და მე შემრცხვა ჩემი სიტყვების.

— თქვენ რაღაცას უკრავდით... კიბეზე ამოსვლისას მომესმა... მგონი, ჩვენბური ნანა იყო. დაუკარიო!— შევეხვეწე მე ბავშვით მიზეზიანად.

— მე ის სრულიად შემთხვევით გავიგონე და მომეწონა!..— სთქვა მან, ადგა და როიალისკენ გაემართა.

როიალთან მიველ და თავს დავადექი.

ამომხედა, ალერსიანად გამიღიმა.

— აი სკამი, — დაჯექით!..— სთქვა მან და სკამი ახლოს მიიდგა.

მე დავეჯექი.

ის უკრავდა და მისი სახე ხან მომიახლოვდებოდა და ხან დამშორდებოდა. ვერ მოვითმინე და, როცა მან სულ ახლო მოიტანა სახე, — ვაკოცე...

ვკოცნიდი გაგიყებით, ყელი გამიშრა და ხმას ვერ ვიღებდი. მანანა მთლად ჩაიშმუშნა და მკერდში მომეკრა. ვკოცნიდი კისერში, ტუჩებში,

თვალეში და მე არ მაკბაყოფილებდა ეს ალერსი, მინდოდა კიდევ უფრო სასტიკი ვყოფილიყავი და რაიმე ტკივილი მიმეყენებინა მისთვის. მანანა ხმას არ იღებდა, სუნთქავდა მხოლოდ მძიმედ და ხანდახან ოდნავი კვნესა აღმოჩნდებოდა...

თავი მეცხრამეტი

ი ს მ ა ი ლ

ქუჩაში გამოველი, უკვე გვიან არის.

მე მივდივარ ქუჩაში ისე რომ არაფერს ვხედავ.

ირგვლივ სამარისებური მყუდროებაა.

შუა ქუჩაში დგას მეეზოვე და ღიღინებს ღამის მყუდროებაში რაღაც იეზიდურ ნაღვლიან სიმღერას და ის ისე კარგია ამ მოწყენილობაში, ისე ობოლი, რომ გულმა მისკენ გამწია: ის ხომ ჩემი მოყვასია! დგას იგი შუა ქუჩაში თეთრ ფეშტამალ აფარებული, ღიღინებს და ფიქრობს, ალბათ, იქ, ქურთისტანში მიტოვებულ მშობლიურ სოფელზე... იქაურ მთებზე, ცხვრის ფარაზე და ლალ ცხოვრებაზე.

როცა ჩაუარე, მან თავი აიღო და შემეკითხა:

— რამტოლი საათი არის, ამხანაგო?..

მეეზოვემ შემხედა, მიხვდა რომ ჩემი გული სავსე იყო ბედნიერებით და ფართოდ გამიღიმა.

— ძილი მოგერია, ამხანაგო?.. გაგიკირდა?..—ვეკითხები მე ალერსიანად და მეეზოვე კიდევ უფრო იღიმება და ფიქრობს, ალბათ:

— რა კეთილი ხაზენი არის ეს ხაზენი!..

მის შაგვრემან ჩაბნელებულ სახეზე აკიაფდა შავი თვალეები.

— რა ვქნათ, ამხანაგო, ზნელია, ზალიან ზნელი!.. ეხლა ზილი კარქია!..

— ამბობს იგი და კიდევ უფრო ფართოდ იღიმება.

მე პაპიროსს ვაწოდებ.

— მოსწიე, ამხანაგო, ძილს გაგიფრთხობს, თუთუნის კარგია, როცა მარტო ხარ მიტოვებული ღამეებში...

მეეზოვე მადლობას მიხდის და პაპიროსს იღებს.

მე მინდა რამე უთხრა და ვეკითხები:

— სამშობლო არ გენატრება, ამხანაგო?..

— მე სამშობლო არა მაქვს... ჩემი სოფელი ქურთებმა აიკლეს!.. — ამბობს ის ნაღვლიანად, პაპიროსს აბოლებს და პაპიროსის სინათლეზე ბრწყინავს მის გულზე დაკიდებული ნომრიანი ბალთა.

— შენი სახელი, ამხანაგო?—ვეკითხები მე ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— ისმაილ.—მომიგო მან და პაპიროსი უდარდელად გააბოლა.

— ისმაილ!.. ისმაილ!..—გავიფიქრე მე და მომაგონდა: მე მყავდა უწინ, მენშევიკების დროს, როცა ინდოელები დადიოდნენ თავის დოლბანდებით ტფილისში, ერთი პენჯაბელი მეგობარი. ის ინგლისელების არმიაში მსახურებდა, იყო განათლებული და სახელად ისმაილი ერქვა.

ის ხშირად მოდიოდა ჩემთან, მოჰქონდა ფეშქაშად ინგლისური სოკარეტები, შოკოლადები და ჩვენ ვლაპარაკობდით „მაპაბლარატზე“, მაპატმა/განდიზე და რაბინდრანატ თაგორეზე.

ის შავი იყო, შოკოლადის ფერი, მსხვილი ვნებიანი ტუჩები და იცი-
ნოდა, ელაუდა თვალის მომჭრელი თეთრი მაგარი კბილები...

სად არის ახლა ის?

ვინ იცის, რამდენი საღამოები გაგვიტარებია ჩვენ ერთად!..

გამოვერკვიე.

შეეხოვეს პაპიროსი უკვე მოეწია და მიცქეროდა.

— იცი, ისმაილ, მე ერთი ამბავი მომაგონდა!.. მე მყავდა ერთი ამხანაგი, იმასაც ისმაილ ერქვა. ეხლა ის აქ არ არის... ის შორსაა, ძლიერ შორს... ევპ!..

— დაიზინე, ხაზინ, დაიზინე!.. ამხანაგი ხალიან კარგია, ხილიც კარგია!.. — სთქვა მან და თვლებში პირდაპირ შემხედა.

მე კიდევ დაუტოვე რამდენიმე პაპიროსი, გამოვემშვიდობე, ხელიც კი ჩამოვართვი და სახლისაკენ გავენართე.

— რა ჯანდაბა დამაძინებს მე ახლა ამოდენა სიხარულით!.. — ვფიქრობდი მე და სახლისკენ მივდიოდი...

ვაილოზი

ახლა დუდე ათინაძე ცხოვრობს ტფილისში.

მისი ცოლი მანანა საექიმო ფაქულტეტზე არის ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

იმ ღამეს, როცა მათი ჯვრისწერა იყო, გეოს დუქანს ცეცხლი გაუჩნდა და შუალამით გეოს დუქანი შუა ტფილისში ისე იწვოდა, როგორც ხილთა ქება.

მას მერე არავის უნახავს ბაყალი გეო.

ერთ დღეს, როცა დუდე ათინაძე სახლში იჯდა და ახალ რომანს ამზადებდა სტამბაში ჩასაბარებლად, მანანა უნივერსიტეტის კლინიკიდან სახლში უცნაურად ანთებულ თვლებით დაბრუნდა.

მანანას ფეხმძიმობა ოდნავ გტყობოდა. ალერსიანი ქმართან მივიდა და უთხრა:

— იცი, დუდე, დღეს რა ვნახე?

— რა?.. — შეეკითხა დუდე მოუთმენელი ხმით უკმაყოფილომ, რომ მუშაობა შეაწყვეტინეს.

— დღეს ილია დარაჯმა ჩვენი პროზექტურისთვის რკინიგზის საავადმყოფოს დარაჯისაგან ერთი უპატრონო მკვდარი იყიდა...

— მერე?..

— მერე... მე ვნახე ის და ვიცანი... ის ბაყალი გეო იყო, გამხდარი, სახე-დაღარული!.. — სთქვა მან და თვლებზე ცრემლი მოადგა.

დუდე იჯდა მაგიდასთან, კალმის ტარი ტუჩთან მიიღო და ჩაფიქრდა.

ჩამოვარდა დუნილი.

გარეთ თოვლი მოდიოდა, ხეები თოვლის თეთრის მტევნებით იბარდნებოდა და შეციებული ბელურა სარკმლის მინას მოასკდა.

— იცი, დუდე, მე შემეცოდა გეო!.. მისი გვამი ათ შაურად იყიდა ილია დარაჯმა... ასეთია გაუმზადებელ მკვდრების ფასი... — სთქვა მანანამ, გაიწოდი-ნა და დუდეს აკოცა.

დუდემ ცოლს ხელი შემოაჭვია და იყო ასე დაფიქრებული.

გარეთ ზამთარი იყო და ოთახში ბუხარი დუღუნებდა...



მეფისქვილე

3098

XIII

ერთ დღეს, როდესაც ცხოველმა მზემა
დასაველისაკენ იწყო ტევება
და უზარ-მაზარ მთების ჩრდილები
ხეში ჩამოწვა უძრავ მღვევებად,
მოხუცი იგი სახე მცინარე
მოიჭრა ჩემთან ტკბილი ხმიანი...
და მითხრა:— შვილო სანადიროთა
დროა წავიდეთ, ნუ მაგვიანებ! —
მეც მოვემზადე. მყის საჭურველი
მოვირტყი წელზე, ვით მონადირემ.
გულში კი ვნატობ: ო, რა იქნება,
რომ ერთხელ მაინც მოვკლავდე ირემს!
შევეყვით ბილიკს ვიწროს და ირიბს,
ფეხ-აჩქარებით ვიარეთ ბევრი.
ქვემოთ სალი კლდის ნაპრალი ხშირი
მოსჩანდა, როგორც უძირო ქვევრი.
მივდივართ ასე. ბოლოს მთის ფერდზე
ვხედავ: ბალახს სძოვს დედალი შველი.
სტყორცნა მოხუცმა, მაგრამ ამაოდ.
ახლა მე ვსცადე უცდელი ხელი.
მოემართე შვილდი. მიზანის წერტილს
გულის კანკალით ვსტყორცნე ისარი,
და—რა ვიხილე! შველის წინა ბეჭს
დაესო, როგორც მიწაში სარი! —
დაეცა შველი. მაგრამ უეცრად
წამოხტა ისევ, გასწია მთისკენ,
სად ჯადოქარი და უღმობელი

იყურებოდა კლდეების სისქე.
 გამოვუღებო, მივსდევთ მოწყვეტით.
 შეელი კი მიჰქრის თავგანოდებით.
 ხან კი საბრალო ღრმა კრილობისგან
 ამოიოხრებს მძიმე გოდებით —
 და მაშინ ჩვენცა დავსქყვილებთ ქუშად,
 რომ უფრო დავსცეთ შიში და ზარი.
 მაგრამ უეცრად, მოულოდნელად
 იქ, სად იღება ამ მთების კარი,
 და ჰქუხს ჩანჩქერი გულშემზარავი —
 მყის შეაფარა საბრალომ თავი.
 მაგრამ მითხარით, რა გადურჩება
 მონადირის თვალს ხარბსა და მსუნავს?..
 მივსდიეთ უკან. ბოლოს კლდის ძირას
 თავს წავადებთ ნადირის ბუნავს.
 აქ თბილი სისხლი ბლომად ესხურა
 კლდის მახვილ ქიმზე გადაზრდილ სუროს.
 რა დაგვინახა, შეკრთა საბრალო,
 მაგრამ არ ჰქონდა გაქცევის ღონე.
 ისევ თავის ნუკრს უკანასკნელად
 თავდავიწყებით გადაეკონა:
 ოჰ, გტოვებ შეილო ობლად,
 ვინ მოგაწოვებს ძუძუს?
 საბრალო დედა შენსა
 ხომ ხედავ გული უწუხს?!
 აღარ ვარ, ჩემო კარგო
 რაც რომ ვიყავი გუშინ.
 მარმარა ისრის წვერი
 მწვავედ ტრიალებს გულში,
 გემშვიდობები, ჩემო!
 მიმყვება შენი სევდა.
 გაიხარდ-გაიხარე,
 ნუ დაივიწყებ დედას!
 ვფიქრობდი, ამ უხვ მთების
 გულ-მკერდს აღმართულს ცამდე,
 გაძოვებ, მაგრამ მორჩა,
 ვერ მივალწიე წადილს.
 მიმუხთლა ბედმა... ამ ტყის
 ველარ ვიხილავ რტოებს.
 საბრალო დედა შენი
 ოჰ, რა ცუდ დროზე გტოვებს!



და ეს ვარამი მწარე
 გულს მგზნებარე ცეცხლს უჩენს.
 მიდის მთავარი სული,
 რძით ვერ გინამავ ტუჩებს.
 რა იქნებოდა ბედო,
 ამ ტყეში მეც მერბინა,
 მეც მქონებოდა ცის ქვეშ:
 სიცოცხლე, თბილი ბინა?!
 მაგრამ საწუთრო ავი
 შხამს თურმე ყველას ასმევს.
 ზოგს ისარს მტყორცნის გულში,
 ზოგისთვის გრეხავს თასმებს.
 მე კი ისარი მტყორცნა,
 ისარი მონადირის,
 აი მიტომაც გული
 სისხლის წვეთებით სტირის.
 გემშვიდობები შეილო,
 საბრალო შენი დედა.
 აწ ვერ იხილავ მშობელს
 გადმომდგარს ამ სერზედა.
 ველარ მოგაწვდის ალერსს,
 ვერც ტკბილ რძით სავსე ჯიქანს.
 დაიმსხვრა სულ მთლად უცებ
 იმედით სავსე ქიქა.
 ახლა რაღა ვარ, ვკვდები,
 სიხარულს მოკლებული,
 აღარც თვალები მიჭრის,
 თან და თან მწყდება გული.
 კელში წყურვილი მიჭერს
 სულ მთლად ამოშრა ხახა.
 ოჰ საყვარელო მთებო,
 შემდეგ ნუ თუ ვერ გნახავთ?!
 ნუკრი ჯერ კიდევ ჩვილი
 ისმენდა სიტყვებს დედის.
 გულს უფატრავდა დაშნით
 მშობელის მწარე ბედი...
 და ისიც გულმოკლული
 ცრემლს ჰღვრიდა უხვად ცხარეს.
 და ამ მდულარე ტირილს
 ისმენდა მთელი მხარე.
 ვერხვს რტო ძირს დაეხარა,





ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითქო მოსთქვამდა გნოლიც,
 და მთის მწვერვალზე ახლა—
 აღარ ელავდა ბროლი.
 — ოჰ, ნუ დამტოვებ დედა,
 მსურს მარად შენი ცქერა.
 უშენოდ მგელი შემკამს
 ან და წამიღებს ძერა!..
 ვინლა მაწოვებს ძუძუს,
 ვინლა დამიწყებს ალერსს?
 ვინ შემიციოდებს ბედკრულს?
 ვინ დამიკოცნის თვალებს?
 წვიმა გულს შემიწუხებს,
 გამიყინდება სისხლი,
 ბუნაგსაც ვით მივაგნო,
 როს მთას დაჰბურავს ნისლი?!
 ქარო, ავ-სუსხით ნუ ჰქრი,
 მარტო ვარ მკერდ-შიშველი!
 ასე სტიროდა ნუკრი,
 როცა კვდებოდა შველი.
 დედა კი მომაკვდავი
 თავის განიერ თვალით,
 ფითქო ნუკრის თავს გვთხოვდა:
 — ნუ მოჰკლავთ, შეიბრალებთ!
 მინდოდა, ჩვილი ნუკრი
 გადამერჩინა მაინც;
 მაგრამ ამოდ, ცეცხლი
 უკრთოდა მოხუც რაინდს.
 ის წამს მივარდა ნუკრთან
 ყელს გამოუსვა ყამა.
 და თბილი სისხლი ბალახს
 დაესხა დილის ნამად.
 უცებ გათავდა წამი...
 მოკვდა ნუკრიც და შველიც.
 მთის ფერდობზე კი ისევ
 ჰქროდა ნიავი ნელი.

XIV

დავბრუნდით უკან. გულს აკლდა მოხუცს,
 რომ ცოტა იყო ნანადირევი.
 შველსა და ნუკრზე როგორ შეჩერდეს,
 როცა მას სურდა მოკვლა ირემის.



აბა, ეს ერთი შველი რა არი,
 როგორ დასჯერდეს ამაზე გული!
 ისიც ხომ ჩემი ნატყორცნი ისრით
 იყო ღრმად ბეჭვზე გამოფატრული.
 მივდივართ ასე. საღამოს ჟამი
 რუხი მტრედის ფრთის შრიალით მოდის.
 ამოდის მთვარე. კამკამებს ღამე,
 ტყის გულში სევდით იძახის ჭოტი.
 არე ძვირფასად ნაქანდაკევი
 მთვარის მკრთალ შუქზე სუსტად ელავდა,
 თერგი კი ჰგავდა თავის სისწრაფით
 ტუსაღს, გაქცეულს სახრჩობელადან.
 მთა ისევ იდგა დედალ მღვვივით
 წარბებ შეკრული და გულმოსული,
 რომ მოხდა თითქო აღრევა სისხლის
 და სხვა ნაყოფით არის ორსული.
 ამ დროს, ჩვენთვის სულ მოულოდნელად,
 თითქო მთამ ზურგზე მოისხა თეჭა,
 რომ უცებ, ჭიმის ერთი კუთხიდან
 თოფის ხმამ ძღვევით გამოიჭეჭა.
 მყის მოვიხედე. ჩემი მოხუცი
 ეგდო მიწაზე გადაშხეართული,
 ღრმა კრილობისგან მოსჩქეფდა სისხლი
 როგორც ანკარა მთის ნაკადული.
 მთის ორწოხში კი მრისხანე თიმურ
 იდგა და ცეცხლის ხმაზე ჰყვიროდა:
 — „ხომ ავისრულე ჩემი წადილი,
 რაც გულზე მაწვა წამების ლოდით!“
 და ამ სიტყვების შემდეგ გაიჭრა
 მთისკენ, რომ ჩემგან თავი დაეცო,
 სად კლდის ნაპრალებს უძრავად ედოთ
 კუპრივით შავი მსუქანი თეძო.
 თურმე მოხუცი და ის თიმური
 მტრობდენ ერთმანეთს აფ-მოსისხარად,
 და რა იხელთა დრო ავაზაკმა
 მოჭიშპის ჯავრი ამოიყარა...
 კვდება მოხუცი. ცეცხლის თვალებმა
 უცებ დაჰკარგეს მახვილი ცქერა,
 და განიერმა მკერდის ბუდემაც
 უკლო თანდათან ღონიერ ძგერას.
 ბოლოს საბრალომ ტანის ცახცახით



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩამჭიდა ხელი, გადამეხვია;
დამქრალ თვალთაგან ნადენი ცრემლი
იყო მღუღარე, მლაშე და ღვრია.
მითხრა:—ოჰ, შვილო! ხომ ხედავ, ვკვდები.
ალარ სცემს გული, ღონეც წამერთო;
კეთილ ხალხისთვის არ მსურდა ცუდი,
ჰოი, მოწამე შენა ხარ, ღმერთო!
მაგრამ ბოროტის მურტალმა ხელმა
ტყვიით ღვიძლი და გული არია;
და ჰა, მდინარე ეგ მეწამული
შენი აღმზრდელის სისხლის ღვარია.
ვკვდები, საცაა ამოვა სული.
გემშვიდობები, ჩემო ძვირფასო,
მე იმედი მაქვს, რომ შენი გული
მომაკვდავ გულის მიხვდება პასუხს...
გთხოვ, ნუ შეარჩენ უპირო ჯალათს
ჩემ სისხლს, ჩემ სახელს და ჩემს წახდენას.
გველადაც იქცეს, ნუ შეგაშინებს
იმისი შხამი, იმისი კბენა,
და ჩემს დამღუპველს, დაღვრილი სისხლი
შეანანე და უქციე შხამად.
თუ შეასრულებ ამას, გადიხდი
შენი აღმზრდელის ზრუნვას და ამაგს.
— ჰოი, მოხუცო, ვფიცავ ცის ნათელს,
ვფიცავ ქვეყანას, ცას უპირქუბოს,
ვფიცავ შენს თვალებს, ზრუნვას და ამაგს,
ვფიცავ საკუთარ მშობლების კუბოს,
ვფიცავ თვით ჩვენი ხევის ადათებს,
სახელს, რომელიც ჩემთვის ჯერ ისევ
დაუმტვერავი ქვეყნის ქუჩისგან—
წმინდაა, როგორც ყინული მთისა;
ვფიცავ რაც კი გვაქვს ჩვენ საფიცარი,
მასაც, რაც ჯერ არ გამიგონია,
ვფიცავ დილით მზის სპეტაკ ამოსვლას,
ამ მოთებს, ამ კლდეებს მკვრივს და ღონიერს,
ვფიცავ თვით ქვეყნის უბედურებას,
და ბედნიერ წამს სატრფოსთან ალერსს,
შენს სულს, შენს სახელს, შენს სპეტაკ ხსოვნას,
გრძნობებს თვით ცეცხლზე უუმხურვალეს,—
რომ შენი მკვლელი, სადაც უნდ შენხვდეს,—
მათხოვრის კონკით თუ მდიდრულ ფარჩით—



თუ ცოცხალი ვარ—არ გადავარჩენ—
იყოს თუნდ კარგად, იყოს თუნდ ავად,
იყოს თუნდ ლოცვად ხელაპყრობილი—
წამს მივვარდები, რომ შიშველ მახვილს
იმისი სისხლით დავბანო პირი!

— ოჰ, მჯერა შეილო... მშვიდობით ჩემო...

წინ, ლამპრად... გენტოს ჩვე...ნი... წა...რსუ...ლი...

და ამ სიტყვებზე—ერთ ამოსუნთქვით
მყის განუტევა საბრალომ სული.
დავემხე პირქვე. დიდხანს ვტიროდი,
სახეს უგრძნობლად ვისრესდი ქვიშით.
ქარს კა ხევის ყრუ ნაპირებისკენ
მიპჭონდა ჩემი მოთქმა და ვიში.

XV

კელავ ობლად დავრჩი. დიდი ხანია
იგი მოხუცი რაც რომ დავმარხე.
მაგრამ თიმური თითქო დაინთქა,
არ სჩანდა მისი წყეული სახე.
ერთხელ, როცა მზე მიმალულიყო
და წერილი თქორი სცვიოდა ციდან,
ჩაფიქრებული და ნაღვლიანი
ვბრუნდებოდი რა ნადირობიდან,
შევხვდით ერთმანეთს მე და თიმური.
ცეცხლით აგვენთო ორთავეს თვალი.
მე შეუძახე:—თუ ვარგხარ თიმურ,
დამხვდი, ხომ ხედავ მოედღვარ ხმალით!
მან მყის იშიშვლა ეღვარე ხმალი
ისე, რომ თითქოს იძრაო ხევი;
ვუტევ და მიტევს. ვიბრძვით ორთავე;
ეს ორი ტლანქი ბაყბაყი მღვევი.
უცებ, ვით რისხვა, მოულოდნელად
გადატყდა ჩემი მარმარა მხმალი.
აქ ბედმა თითქო განგებ მიმუხთლა,
თითქო დამივსო ორთავე თვალი;
მაგრამ ვიშიშვლე ბასრი ხანჯალი
პირ-კურთხეული ხორასნის რკინა,
თიმურს ჰგონია ეჭამე ჯაბანი,
და ახლა უფრო გაბედვით გრგვინავს.
ვიბრძვით კელავ ფიცხად. არც ერთის გული
არ ტყდება ბრძოლით, არ ტყდება დალლით.
თიმურ ჰყრის დორბლებს ავი ბრაზისგან,



თითქო ეგ არი—გაცოფდა ძალი...
 ბოლოს ვიმარჯვე, დავეც ხანჯალი,
 გადავსქერ ყელი—ყალამი ისლი—
 ისე, რომ ჩემს მკვრივ ორლესულ მახვილს
 არ მოსცხებია მტარვალის სისხლი.
 ამ დლიდან უკვე გავიქერ ტყეში,
 როგორც ყაჩაღი, როგორც ფირალი,
 ველარ ეჩნდებოდი სამშობლო ხევში
 და უხეშ ბედზე ვიყავ მტირალი.
 აუტანელი იყო ეს ყოფა:
 მუდამ ნალველი და მარტოობა.
 და ასეთ ყოფის ავი სიმძიმე,
 ჰკვეთავდა გულში ყოველგვარ იმედს.
 შემდეგ, როცა მთას მეც შევეჩვიე
 და არად მიჩნდა ნაპრაღის კიდე,
 ნადირობისას გავიცან ფილო,
 მან მეგობრულად, ძმურად მიმინლო,
 მაგრამ ეს ძმობა იყო ხანმოკლე,
 თქვენმა შემთხვევამ ჩვენ დაგვაშორა.
 და დღეს ის მხოლოდ მტერია ჩემი,
 ეცდება გული გამიპოს ორად.
 აქ ჯიბუ მკვირცხლად წამოხტა ზეზე
 მუდაყანს მკერდზე გადაეხვია.
 და მოხუც გულის ტკბილი ალერსი
 ვაჟს ფანტელივით გადაეფრქვია.
 უთხრა: — გთხოვ დარჩე ამიერიდან
 ჩვენთან ქაბუკო, ვით ღვიძლი შვილი.
 შეწუხებას კი არ მოერიდო,
 გაგვინაწილე ჭირი და ლხინი!
 და ამ სიტყვების მტკიცე დასტური
 იყო მოხუცის მხურვალე კოცნა,
 თითქო ცივმა მთამ, მკერდ გაყინულმა
 მხურვალე მზის გულს სხივები სტყორცნა!
 მიუახლოვდა მუდაყანს დინჯად
 მზიაც, გულში ღრმა ეშხის ჭრილობით,
 ადათისამებრ თმა მიაკრიჭა,
 აქ ვაჟმაც ფიცი დასდო შვილობის...
 დამშვიდდა ჯიბუ, დამშვიდდა მზიაც,
 თითქო ჩადგაო ძლიერი ვნება,
 დრო შუალამეს გადასულიყო,
 ცოტა და აკლდა ლურჯ გათენებას.

მზიამ ლოგინი გაშალა სწრაფად,
 აქ ყველა მისებრ იყო დაღლილი.
 დაწვინენ. წისქვილის დარდიმანდ ხულას
 შემოეხვია მთვლემარე ძილი.
 სძინავს სუყველას... მაგრამ არ სძინავს
 მყვირალ თერგს თავის აურ-ზაურით.
 მას უერთდება ხევის წისქვილი
 განუწყვეტელი მჭახე ხმაურით, —
 და ეს არული ღამის წყვდიადში
 მიიწევს მთისკენ ნისლის ქულებად,
 თითქო იქ არი შვების მწვერვალი
 და გულის სატრფოც იქ ეგულება!



XVI

დღენი მიჰქრიან, როგორც ცხენები,
 მათ რა დაჰლაღავს ქვეყნების მოვლით!
 ზამთარი არის. მთების ფენები
 დაბურულია უძრავი თოვლით.
 ხოლო კლდეების პიტალო ქედი
 სად თოვლის ფიფქი ოდნავ ვერ შერჩა—
 ერთი შეხედვით მგზავრს მოაგონებს
 პატარძლის თავზე დახეულ ლეჩაქს.
 აი, ამ მთის ძირს მოყვება ვაჟი,
 ჯიხვი ჰკიდია ზურგზე მკვირვ რქებით.
 უდაბნოსაებრ სიჩუმე მთაში.
 თოვლის ნამქერში აღარ ჩანს ქვები.
 ეტყობა: ვაჟი მონადირეა,
 მის გულს არ ხვდება გრგვინვა და ეხო.
 ცალ ხელში თოფი, ცალით გზას ზვერავეს,
 რომ კლდის უფსკრულში არ გადიჩქოს.
 თუ ქიმზე ფეხი მოუსხლტა უცებ
 კვლავ მეორე ქიმს მოეჭიდება,
 თოვს მთაში. ირგვლივ სიბნელე სუფევს
 თოვლის ფანტელი ფრინავს ჩიტებად.
 ვაჟის ღიღინი ტკბილია მეტად,
 შიგ რაინდული ცეცხლები ჰკვესავს,
 საღამო არის. მთები დგას სვეტად,
 ვაჟის ღიღინი აღვიძებს კლდესაც.
 ეგ მონადირე მუდაყან არის,
 იგი არ უფრთხის ნამქერს და ღვარებს.
 შიდის წინ კუმტად. ბოლოს მიაღვა



ხევში წისქვილის დარაზულ კარებს.
 — ჰეი, ვინ არი სახლში, არ გესმის?
 — შენ თვით ვინა ხარ, პასუხი გამე!
 — მე ვარ მუდაყან. გამიღე კარი!
 და არ გასულა არც ერთი წამი
 ურდული გვერდზე გადაიწია—
 ვაჟს შეეგება ღიმილით მზია.
 — მუდაყან, ჯიხვიც მოგიტანია!
 — მაშ, უმწვადებოდ დაგტოვებდი ჩემო ქალაო?!
 — ასეთი ჯიხვი როგორ მოჰკალი?
 — შენთვის თუნდ კოცონს დავუქრო ალი!
 — მოდი ცეცხლისკენ, ნუ თუ არ გცივა?
 — მე ისიც მათბობს,
 შენ თვალთაგან ღიმი რომ ცვივა!..
 — შენი პასუხი გულს მოხვდა მწარედ!..
 — ჯერ ის მითხარი, ჯიბუ სად არი?
 — აი, ახლახან ხევის რუს გაჰყვა,
 რომ შეაკეთოს წისქვილის ღარი!..
 და ამ სიტყვებზე ქალმაც და ვაჟმაც
 იგრძნეს სიამე სულ სხვანაირი.
 გარედ ძლიერი ქარ-ბუქი იყო
 და საშინელი ცივი ჰაერი.

XVII

შუა წისქვილში ღაღარი ცეცხლი
 ელავდა ალის ფერადი ღიმიით.
 ღველფში კი წითელ დიდრონ ნაკვერცხლებს
 საბრალო ჯიხვის ნამავდა ცხიმი.
 ჯიბუ ჯერ კიდევ არ მოსულიყო,
 კვამლი სწვდებოდა ჩარდახს და დვიროს.
 მზია მუდაყანს მოუჯდა გვერდით,
 რომ ვაჟის გული მოინადიროს.
 ხან ტლანქ მკლავებზე ესმება ვნებით,
 ხან კი სწევს კაბის კალთებსაც ზევით,
 საიდან მოსჩანს ლოთქო წვივები
 და ბარძაყები თავ-ბრუ დამხვევი.
 ხან კი გაიხსნის გულის საღილეს,
 აქ, მკერდი ბროლად აელვარდება.
 ხან კი სიწითლე, მეტი ვნებისგან
 ეფრქვევა ლოყებს კოკორ ვარდებად.
 მუდაყან თითქო თავს იჭერს ახლაც,



მაინც აიღო მგზნებარე აღმა,
 ძლიერი ვნების გამოსაწვევად:
 ახლა ვაჟს ეშხით მიმართა ქალმა:
 — მუდაყან, ხომ გწვავს ჩემი თვალები?
 — მწვავს, როცა ჰკრთიან მეტ ელვარებით!
 — ჩემი თმა-წარბიც ხომ გაჯადოებს?..
 — გულში სისხლს კუმშავს და ცეცხლს მათოვებს!
 — ხომ გიხარია, როცა მზია შენს ახლოს არის?
 — მიხარია და ჩემს სიხარულს არ აქვს საზღვარი!
 — მე ვჯობივარ თუ ხვეის ყველა ქალები ერთად?
 — ჩემზე რომ იყოს, მე დაგსომდი იმათ ქალ-ღმერთად!
 — ხომ ძლიერ მოგწონს ჩემი ყელი, ჩემი გულ-მკერდი?
 — რა სათქმელია, ხარ უმანკო ღულუნა მტრედი!
 — ჩემი მკლავები, თეძოები—რას გეუბნება?
 — ნულარ იჭერო, აუშვიო მხურვალე ვნება!
 — მაშ, ხომ გიყვარვარ უსპეტაკეს ნაზ სიყვარულით?
 — მიყვარხარ, ჩემო, და ამ გრძნობით სავსეა გული!
 — რომ მომიტაცონ, სწორე მითხარ, არ გეწყინება?
 — ავრე რომ მოხდეს, გულში სისხლი გაიყინება,
 მაგრამ შენს თავს მე ღვთის რისხვასაც არ მივანებებ,
 სხვამა რად გთელოს, გთხოვ მოენდო ისევ ჩემს ვნებებს!
 — მაშ, რას უდგებარ, შენია მზია!
 აქ, ქალს ვაჟი მძლედ გადაეხვია...
 გათავდა წუთი. სიტკბო. მძლე ხენეშა.
 ორთავე არის ვნება დამცხრალი.
 მაგრამ ჰოი, ავ-საკვირველებავ,
 ვისია ავი მზვერაფი თვალი?!
 საიდან გაჩნდა? ან აქ რა უნდა?
 იქნებ კარზე სურს დააგოს მახე?
 იქნებ ეს არი ავი ზმანება,
 ანდა ეშმაკის წყეული სახე!
 ეს ჯიბუ არის... საბრალო ჯიბუ...
 თითქო კარს ადევს რკინის ურდულად.
 აქ უძრავად დგას, ამ აეხორცობას
 თვალცრემლიანი უცქერს ქურდულად.
 რა ჰქნას? გაალოს კარი ასეთ დროს,
 შერისხოს ორთავ ქალიც და ვაჟიც,
 თუ სულ გაიჭრეს ამ ყრუ ხევიდან
 და სული სადმე დალიოს მთაში!
 ბოლოს მოკვეთით გადასჭრა გულმა,
 როს ზედ მრისხანედ მოაწვა ზვაფი:

— „სჯობს, რომ გავშორდე ამ წუთისოფელს
წისქვილის კოდში დავიხრჩო თავი“!...
და ამ ავ-აზრის გავლების შემდეგ,
თვალი მოავლო სამშობლო მხარეს,
სად ნაგემები ჰქონდა მას ბლომად
წუთები ტკბილი, წუთები მწარე.
— „მშვიდობით, ჩემო ძვირფასო ხევო,
თქვენც ჩემო მთებო, აზრდილო სვეტად.
უჩემოთ ალბად დაგწყდებათ გული,
თქვენ შემბრალებთ მეუღლის მეტად!
ჩემო წისქვილო, შენი მოხუცი
აწ ვერ იხილავს თქვენს სწრაფად ტრიალს,
მოვარდა მძლავრი გრიგალი უცებ
და ბედი ძირში გადამიმტვრია.
მშვიდობით ჩემო, შენი კედლები
ჩემებრ მოხუცი, თვალე ირიბი—
შეინახავენ ტკბილ ხსოვნას ჩემზე,
მოხუცს, მღუღარედ დამიტირებენ!“...
ამ მწველ სიტყვების შემდეგ მოხუცი
გადახტა უცებ წისქვილის ღარში...
და შიგ ჩაინთქა... დოლაბების ხმა
იყო ამ ავი შემთხვევის მარში.
ქარი კვლავ ზმუის მშიერ ხარივით,
არ წყდება ფართე ფანტელთა თოვა;
საბრალო ჯიბუ ასეთ ღამეში
საყვარელ მხარეს გამოეთხოვა.

XVIII

გათენდა დილა. ქარბუქი უცებ
ჩადგა... მზეც დინჯად მოგორავს ცაზე.
მაგრამ დაღუპვა ბედკრულ მოხუცის
არვინ იცოდა ამ ქვეყანაზე.
მზიამ ეგ ხევი სულ მოიარა,
მაგრამ ვერ ჰპოვა მოხუცის გვამი.
და დაეჭვების მწველი იარა
ჰკლავდა წუხანდელ განცდილ სიამეს.
ვაჟიც დაეჭვდა. დაეძებს მოხუცს,
ათვალეირებს ხევს მკრელი თვალით,
მაგრამ არსად სჩანს საბრალო ჯიბუ
აღარც მკვდარი და აღარც ცოცხალი.



XIX

გავიდა ზამთრის ავი ღლეები,
 მან გაზაფხულიც გადაიყოლა.
 ზაფხული არის. მწვერვალი მთების
 მარმაშია მზეზე ენთება ბროლად.
 წისქვილი ძლევიტ ხმაურობს ისევ,
 მზიამ დასტოვა ჯიბუზე გლოვა,
 და ბედმა მის გულს სხვა სიხალისე,
 და სხვა იმედი ჩამოათოვა.
 აგერ, მუდაყან. მზიაც მის გვერდით...
 მათ გადმოჰყურებს ამაყი მუხა.
 ჰყვავის მყინვარის ფიქალი მკერდი,
 წყალვარდნილებიც საშინლად ჰქუხან.
 მთაში კი დაძრწის ველურად ფილო,
 როგორც დამფრთხალი მამალი ჯიხვი.
 იმისი სახე დათვის მოგაგონებს,
 და მრისხანე ხმა—მერანის ჭიხვინს.
 მან ბევრი სცადა, მაგრამ ამაოდ,
 ვერ შეურხია მუდაყანს ბეწვი,
 და ახლა შურით ძარღვები, სისხლი
 ბრაზისგან უფრო სტკივა და ეწვის.
 მაგრამ გული კი შხამით აღსავსე—
 იკვებებოდა იმედით მაინც;
 ღონე თუ არ სჭრის, სჯობს ხერხმა გასჭრას,
 თორემ რით დასძლევ მღვევივით რაინდს!
 და ჰა, დროც დადგა. ამაყ მუხის ქვეშ
 ხედავს: მუდაყანს, მის გვერდით მზიას.
 გული აეესო გესლით და შხამით—
 თვალებს ბურუსი გადაეხვია
 და მყისვე თოფი შემართა ფეხზე,
 წამს ამოიღო მიზანში გული,
 იქეჭა თოფმა. მყისვე მუდაყან
 დაეცა პირქვე მკერდ-გაფატრული.
 ფილო გაიქცა. მზია თმას იგლეჯს,
 გულ-გახეთქილი წავივით წივის;
 მაგრამ ამაოდ, ადრინდელივით
 აღარ ელავდენ თვალები ცივი.

XX

ავ მარტობამ მოიციო ხევი,
 მზია ნალველით დარჩა კვლავ მარტო;





მას ხომ სიცოცხლე არ უხარია!
 დღეს არც ამ მთების მშვენიერება ართობს...
 მოხუცი აღარ აბოლებს ჩიბუხს.
 ვაჟიც დაინთქა ცხოვრების გზაზე.
 აღარც მუდაყან და აღარც ჯიბუ,
 არც სხვა იმედი ამ ქვეყანაზე!
 ფიქრობს და დარდობს, მაგრამ ოჰ, უცებ,
 როს გულს მოაწვა ნალველის ალი —
 ვერ აიტანა და ჯავრისაგან
 შეცდა ქკუაზე საბრალო ქალი.
 და ჰა, დღეს იგი თმა აჩეჩილი
 დახტის ამ ხევში ნალველ ალესით,
 ხოლო მთები კი აღრინდელივით
 ხვდება თბილად და ტკბილი ალერსით:
 — ქალო, ასე გულ დამწვარი
 ნეტავ რაზე სტირი?
 — ჰოი, მთებო, დიდი არის
 ჩემი გულის ქირი!
 — ქალო, ასე ფეხშიშველი
 რად დარბიხარ ხევში?
 — ჰოი, მთებო, ჩემი გული
 გატყდა, როგორც თეფში!
 — ქალო, შენი ბროლის სახე
 შეიბრაღე მაინც!
 — ჰოი, მთებო, ველარ ვხედავ
 ჩემ საყვარელ რაინდს!
 და დღეს ასე ბედ გამტყდარი
 იცინის, ხან სტირის,
 თმა-დაშლილი, ცეკვით უვლის
 ტოტებ დახრილ ტირიფს.

XXI

მიწყდა სიცოცხლე. მხოლოდ მყინვარი
 დგას ისე, როგორც მანამდე იყო,
 და მის წვეროდან ამდგარი ღვარი
 რწყავს ამ ხეობის თვალ უწვდენ რიყეს.
 ქედანიც თითქო მიუუჩებულა,
 აღარც ტოროლა ნავარდობს ისე...
 თითქო ლიბრედი ნისლების ქულა
 ახშობს ამ ხევის ძველ სიხალისეს.
 ოდესღაც ცეცხლით აღსავსე ხევი



ქართველთა
წიგნწერის კავშირი

აღარ ხმაურობს ამთაგორებით;
წისქვილიც თითქო ბედ-დანახევი
სდგას გულ-მოკლული, სდგას დაღონებით...
ხოლო როცა მზე გადაიხრება
და ხევს აღარ სწვავს მცხუნვარე ალი —
ჰკვნესის ჭოტი ძველ უბედურებას
ეგ, ხევის ერთი ჭირისუფალი...
და ამ კვნესაში თითქო დასტირის
მკვდართა საფლავებს თვალები მწუხრი...
თერგი კი მთების კალთებში ჰყვირის:
ჭოტო, ავ კვნესით ნუ შემაწუხებ!
მაგრამ ჭოტს თერგის სულაც არ ესმის,
იგი თავის ჯავრს სტირის და კვნესის.

ტფილისი
1926

მტრობა და სიყვარული

I

სნოს ხეობაში სალამოს ბინდი დაზარმაცებულ თალხი ფიქრით ჩასვენებულა.

ქვეყნის თავზე ტრიალით გაბეზრებული მზე დასავლეთის გადასაცდენზე დაქანებულა. მისი ოქროს თვალეები უკანასკნელად ევლებიან რჩეულ მწვერვალებს და ჰპირდებიან მეორე დღის ნაადრევ სალამს.

სიშორისაგან ორბის ტოლად ქცეული არწივი ნებიერად ტრიალებს ცაში. ტრიალებს და ქვეყანას თავზე აქსოვს უხილავ გვირგვინს ამაყ ფრენისას.

განგების მტკიცე ხელს ერთი გოლიათური კლდე ზედ შუაზე გაუგლეჯია. ნახევარი ერთ მხარეს აუყუდებია, ნახევარი—მეორე მხარეს და შუაში გაუქუნებია სნოს მოღრვიანცელე, დამფრთხალი ხევი. მისი განგაში დასაბამიდან უწყვეტლივ ესმის ამ არემარეს და ეთვისება როგორც ნანა, ან ბავშური ცელქი ტიკტიკი. აქ დამკვიდრებულ მყუდროებას თუ არ აშფოთებს ან ქარიშხალი ან ცათა გრგვინვა, მაშინ სნოს ხევის ხმაური თვით იქცევა ამ მყუდროების შეხმატკბილებათ და უწყინარად რჩება სმენისათვის, როგორც მთების ზურგს უკან უტყვათ დასვენებული აჩრდილები.

სწორედ ასეთი მყუდროება სუფევდა ეხლაც—სნოს მდინარიდან ნანინათქმული.

ამ დამცხრალ გარემოში ყველაზე მედიდურად იცქირებოდა გაღმა მხარეს აყუდებული კლდე.

ეს კუთხე ითვლებოდა ყველაზე იშვიათ საჯიხვეთ. მაგრამ განთქმულიც იყო ის—როგორც მიუდგომელი საუნჯე.

ბევრ მონადირეს უცდია ბედი—მაგრამ სათაკილოდ ხელცარიელი დაბრუნებულა. ბევრს ვერც ჯიხვი მოუკლავს და თავიც წაუგია ამ მიუდგომელ კლდეთა უღრანებში. მხოლოდ ზოგიერთ რჩეულს რგებია წილად აქაურ ნადავლით შინ დაბრუნება. მაშინ მისი სახელი სოფლიდან სოფელში გაისმოდა ქება-დიდებით. ბავშვები ეგებებოდნენ აღტაცებით. ქალები უმღეროდნენ სააშიყო ლექსებს. კაცები კი შეჰსვავდნენ რაინდულ სადღეგრძელოს.

და რამდენადაც ძნელი იყო ამ ხიფათიან ადგილებში ნადირობა, იმდენად უფრო საცდუნებელიც იყო იგი თავმომწონე ვაჟკაცებისათვის.

აგერ ეხლაც გამოდმა კლდის დახლეჩილ გვერდებზე გამოჩნდა ერთი მოხევე. ის აქედან სცდილობს ჩაუსაფრდეს გაღმა კლდეებში მოთარეშე ჯიხვებს. თოფი მხარზე გადაუგდია. წელსაც უმშვენებს ხავერდით მოსაღრჩინებელი. ორივე ხელით მაგრად ებლაუჭება კლდის ნაპრალებს. ფეხებით ჯერ სვეტებს მოსაქიდ ადგილს და მხოლოდ შემდეგ გადასდგამს სულ ნელა, ნელა.

საკმარისია ერთი ფეხის გადაბრუნება და შემდეგ სახსენებელიც აღარ ჩაჰყვება ამ უღრან ხევში, საიდანაც იცქირება მხოლოდ შიში უფსკრულისა და მოისმის სნოს მდინარის მთიური ვაგლახი.

რამ აიძულა ეს მოხევე ასეთ საბედისწერო ადგილას რომ წამოსულა სანადიროდ? ახალგაზრდულმა სითამამემ? თავის თავთან სანადირომ? სახელის მოხვეკამ?—ეს ისეთივე საიდუმლოა იმ მოხევისა, როგორც მისი ფეხის გადადგმა, ხელების ბლაუჭი და უჩინრად მიპარვა რომელღაც ბედისაგან განწირულ ჯიხვზე.

ასე წვალებით მიდის მოხევე. მას სამიზნო ადგილად ამოუჩემებია წინ გადაქანებული კონცხი, რომელიც ოციოდე ნაბიჯით არის დაშორებული.

მიდის. უახლოვდება.

კიდევ ხუთიოდე ნაბიჯი!

კიდევ ორი ნაბიჯი!

აჰა, გადასდგა უკანასკნელი ნაბიჯიც და იმის პირისპირ მეორე მხრიდან უეცრივ გაჩნდა ერთი ვაჟკაცი.

ორივენი წამიერთა გაშეშდნენ იმ კლდესავეთ, მათ რომ აშორებდა ერთმანეთისაგან თითო მკლავის გადაწვდენით.

— კობავ! შენ ბედის წერას აუტანიხარ!

— შენ თვითონ აუტანიხარ წერას, ბედშაო მარტიავ!

— შენ იარაღი მაიმარჯვე და მაშინ ნახავ, ვისაც დაუბნელდება შავათ ეს მზიანი დღე!

შენზე ნაკლებ ვაჟკაცს—თავიმც ნუ მზმია მხრებზე! გადმაიღვე თოფი ჩქარა! კობაც და მარტიაც სასწრაფოდ შეეცადნენ მხარიდან თოფის გადმოგდებას, მაგრამ ვერ მოახერხეს: თუ ორთავე ხელს მოაშორებდნენ კლდეს, მაშინ უფრო ადრე მოელოდათ ძირს უფსკრულში ჩაღუბვა, ვიდრე მტრის ტყვია მიეწეოდა. მაგრამ ცალ-ცალი ხელითაც ვერ იქნა და ვერ მოახერხეს თოფის მომარჯვება.

— თუ თოფს ვერ ხმარობ, კობავ, ხანჯალს გაიკარ ხელი!

— შენ თუ ხანჯლით გირჩევის გულის გაპობა, მაშ რაის მაყოვნებ!

ორთავემ გაიკრეს ხანჯალზე ხელი.

ჰაერში შეპრიალდა ორი მუხანათი იარაღი და მუქარით აღიმართა ვაჟკაცის ხელით—მორე ვაჟკაცზე.

ორივე გააფთრებული მოხევე მარცხენა ხელით კლდეს ებლაუჭებიან—გადვარდნისა ეშინიათ. ხანჯალ ანთებული მარჯვენით კი ერთი ერთმანეთს ეკვეთებიან. მაგრამ მათი იარაღი მოწინააღმდეგის მკლავის იქით ველარა სწვდება. შუაში აყუდებული კლდე კი ნებას არ აძლევს სასიკვდილოდ მიუახლოვდნენ ერთი ერთმანეთს.

ხანჯალი ხანჯალს ეხეთქება—სასოწარკვეთით დაიწკრიანებს, ახლათ აღი-
მართვიან მალლა, გაიელვებენ ბრუნდეთ ჰაერში და ახლად ეკვეთებიან. ერთმა-
ნეთს ვაჟკაცის გულით წაქეზებულნი. მიზანს აცდენილი, ერთმანეთს ხანდახან
კლდეზედ დაენარცხება და ცეცხლის ნაპერწკლებათ იელვებს ხოლმე იმისი მარ-
ცხი. ასევე აკვესებენ მათი თვალები. იმათი გულიც.

ელვა, ჭახუნი, წკრიალი და კლდის კერპ შუბლზე დაკვესებანი მეორდებიან
დაუღალავათ, გაშმაგებით. ვაჟკაცი ვაჟკაცს ვერაფერს ავნებს: იარაღი იარაღს
სწვდება, მაგრამ მკერდს ვერა.

ცეცხლოვან დაკვესებასა, ელვასა და მუქარასთან ერთად ქშინავს ორი
მოხევის გულიც. მაგრამ შუაში ჩამდგარი კლდე ვერ გაურღვევიათ და ერთმა-
ნეთს ვერ ჰკვეთებიან.

უნაყოფო ბრძოლით გაბოროტებულნი უფრო თავგანწირვით ხმარობენ
იარაღს. ლამის შეაღწეონ ფოლადი ფოლადს და ერთმანეთს კი ვერას აკლებენ.

ცეცხლი აენტო ორთავეს გულში. უფრო გამეტებით ეკვეთა მარჯვენა მარ-
ჯვენას. არ არის დაზოგვა. არც დაღალვა. არის მხოლოდ სურვილი მოწინააღმ-
დეგის მოსპობისა, შუაზედ გაპობისა.

ამ სისხლის წყურვილში, გაშმაგებაში, დავიწყებაში—მიზანს აცდენილი
კობას ხანჯალი ერთხელ კიდევ დაენარცხა კლდის უტეხ შუბლზე და უეცრივ
ტარშიც გადატყდა.

ამის დანახვაზე მარტიამაც შორს გადასტყორცნა თავის ხანჯალი:

— ბედით წამხდართან მე რაისლა ვაქნევ ამ ჩემს იარაღს!

— რაილა ვაჟკაცობაზე დაგიღვია თავი, მარტიავ, მაშ ხელდახელ გაე-
სწორდეთ ეხლა!

— რაისთვი მახურავს ქუდი თავზე, თუ შენამც არ გაგისწორდები!

ეს ორი გამგელებული ვაჟკაცი მისწვდენ ერთმანეთს ხელით ხელში. ჩქარა
ორმა მკლავმა მძლავრად ჩაბლუჯა თავისავით გაომებული მოწინააღმდეგის ორი
მკლავი. არწივის კლანჭებივით ჰბოჭვენ ერთმანეთს. ეწევიან, იბრძვიან, შფოთა-
ვენ, ქშინავენ და ერთმანეთის გამძლეობით უფრო მეტად გახელდებიან.

ისინი ფეხქვეშ ველარა გრძნობენ მკვიდრ ნიადაგს. ორთავე განწირულნი
არიან ძირს უფსკრულში ჩასალუბავად. ჰხედავენ საფრთხეს—იმათ ქვევით საბე-
დისწეროდ გარღვეულს. ამიტომ კიდევ მძლავრზე მძლავრად ეჭიდებიან ერთმა-
ნეთის ფოლადის მკლავებს.

და ასე თავგამეტებულათ დაბლუჯული ორი ვაჟკაცი უცნაური ხურჯინი-
ვით გადაკიდულან იმათ შუა აღმართულ ვიწრო კლდის კეხზე.

— შეგანანებ, კობაე, ჩემთან შეხვედრას!

— შენი ხელით წამხდარ ვაჟკაცს ხომ აღარც გამეველების დედამიწაზე!

— სიტყვა კი გაქვს ბარაქიანი, თუ ძალმა არ გიმტყუნა!

— დიაცურ სიკვდილს ვამჯობინებ შენგან დაჯაბნას!

— მაშ, გამაგრდი, კობაე!

— შენ თვითონ იმარჯვე, ბედშაო!

და უკანასკნელი ძალღონით კიდევ დასძაგრეს ერთმანეთი: აჯანჯლალევენ,

როსტოვი
 ХА. Мадоев
 Жулькина

ჭკუმშავენ. თვალს თვალში უყრიან. ჭირის ოფლში იწურებიან. ისევ მანაკენ და ლომებრ კბილებს აკრაჭუნებენ.

ამ დროს უეცრივ გაისმა ფოლადის ზარივით გადმოსროლილი ხმა — აჰაუ! გონით თუ გამოსულხართ, ბედშაენო! რაის სჩადიხართ?

ერთმანეთის დაუზოგაობაში უნებლიეთ გამოფხიზლებულმა კობამ და მარტიამ აჰხედეს მალლა და თვალი მოჰკრეს მოხუც გირგოლას.

— გულს ართობთ, თუ მართალ მტრობთ ერთმანეთს! ლომისა თუ გაგწყრომიათ ორთავე ბედშაეებს!

ორივე მოხევე გაშეშდენ შელოცვილივით.

— რაის გაყუჩეთ სული? თოლები ისე დაგიდგათ, რომ ნამდვილ მტერს ვერ ხედავთ და ერთუროს გადახკიდებიხართ! თუ ძალი გერჩით, ქისტებთან სცადეთ, ორი სოფელი რომ დაარბიეს აგერ თვალდათვალ.

კობამ და მარტიამ რაღაც უცნაურ ძალის ზეშთაგონებით გაუშვეს ერთმანეთს ხელი და გარინდული მისჩერებიან მალლა მდგომ გირგოლას.

— რაის არ უბნობთ კაცურებ! ჭკუიდან თუ გამოსულხართ ღვთივ შეჩვენებული!

— რაი სთქვი, გირგოლაუ? ერთობ საწყენ რაისღაც უბნობ!

— ქისტებმა ორივე ჩვენი სოფელი დაარბიეს, და! საქონელი რაც ნახეს, სულ წაასხეს. რამდენიმე კაციც ტყვევ ქნეს!

მოხევეებს თითქოს დაავიწყდათ, რაც წუთის წინ ამღელვარებდა იმათ გუნებას. სიჩქარით, ფოფხვით და ოფლის წურვით ორთავე ამოვიდნენ მალლა და მისჩერებიან გირგოლას დაბნეულები.

— მართალ სთქვი, გირგოლაუ, რაი მოხდა?

— ვითხარით, ქისტები დაგვეცვენ მეთქი! ეხლა სნოს სათავეს გაცილებულ იქნებიან. შენი ძროხებიც სულ წაასხეს, კობავ! შენიც, მარტიავ!

— მერე მტერს მტრულებ არავინ დაუხვდა?

— ბარემ დაუხვდენ, მაგრამ რაის გახდებოდნენ ცოტანი ბევრთან! კაი ვაჟები სულ კარშიდ არიან გასული თქვენსავით. ერთი და ორი კი რას გაჩდებოდა!

— ჰაი დედასა! მაშ მოხევენიც აღარ ვყოფილვართ, თუ არ შევანანეთ იმ აბრაგებს ასეთი ვერაგობა!

— მე სულ ჩამავიარე სოფლები. ყველას შევატყობინე. მდევარი უკვე ფეხდაფეხ მისდევს. არც თქვენ ჩამორჩეთ! ბევრ არიან და ჩვენგანაც ბევრი დასჭირდება კაი ქუდოსანი.

— უკან ჩამორჩენილს ნურც გაუხარია თავის ტოლებში!

— მანდილიმც ხურებოდეს და ვაჯკაცებშიც ამოშლილიყოს მისი სახელი. მოხუცმა გირგოლამ შეისწორა წელზე ხანჯალი, ხელშიც მოიმარჯვა ობოლი შვინდის გრძელი ჯოხი და გაუდგა მგლური ნაბიჯით კლდეებზე ჩაკლაკნილ ბრუნდე ბილიკებს.

კობა და მარტია ერთის წამით უხერხულად უცქერიან ერთმანეთს.

— ეხლა დრო აღარ არის. მერე გავსწორდეთ!

— ჰაი, ჰაი, რომ დრო აღარ არის! ჯერ თემის მტრებს გავუწვდეთ და შერეც მოვურიგდები შენისთანა კაი ბიჭს.

— მარტიავ! გეუბნები იმ ქალს ხელს ვერავინ ახლებს უკმაყოფილო!

— ნუნუ ჩემია, ჩემი! და დედამც შემერთოს ცოლად თუ სხვას დავანებო!

— ვნახოთ!

— ვნახოთ!

— აბა ჯერ ქისტებზე სცადე შენი კაი ვაჟკაცობა!

— თუ ყველაზე წინ მავალს მარტია ჩამორჩეს, ნურც ღირსებია დამტირებელი!

ორთავე მოხვევე საჩქაროდ გაუდგენ სხვა და სხვა გზით სნოს სათავისკენ, რომ შეერთებოდნენ უკვე წინ წასულ მოხვევთა მდეგრებს.

ვინ იტყვის, რომ ერთი მოხვევე სჯობია მეორე მოხვევეს თავმომწონებით და გულოვნობით? ყველანი თანაბარ არიან! ყველანი თავანკარ არიან!

განსხვავდებიან ერთმანეთისაგან— ახალგაზრდობით და ხნოვანობით.

მოხუცობით მუხლდაკოდილი მოხვევენი უკან მისდევენ ქისტების რაზმს და სცდილობენ იმის დაწევნას.

ახალგაზრდა მოხვევენი კი დაწინაურდნენ, უყელონ ქისტებს ერთად-ერთ გადასავალზე— თავიანთ ქვეყნისკენ.

ამ ჯგუფში ურევიათ კობაც და მარტიაც.

შუალამე იქნებოდა, როცა ამ რაზმმა მიაღწია შერჩეულ ადგილას და ჩასაფრდნენ ნადავლის მომლოდინე ვეფხვებივით.

ნელა მიდის ღამე ბნელი, ღამე ნატეხი.

ვაჟკაცის თვალები ანათებენ გზას ვიწროსა და ფათერაკიანს.

ნიავეც სადღაც გადაჰყოლია ნახტომს დამფრთხალი ნადირისას.

ვაჟკაცების გულისცემა ესმით მხოლოდ ისევ ვაჟკაცებს.

დაღალულან კლდეებიც ქარისაგან, ნგრევისაგან, სიმძიმისაგან.

მხოლოდ მათ ხერხემლებში სულგანაბული ვაჟკაცები არ იღლებიან მტრის მოლოდინით.

მარცხდება ღამეც.

აღმოსავლეთის თალხი ჩადრი ჯადოსნურის გამოფხიზლებით დადნა, დაირღვა.

იმის სანაცულოდ გადაეფარა ნათლის ლეჩაქი. ჯერ ფრთა ფარფატა მტრედის ფერი ჩქარა გადიქცა ვარდისფერ ეშხათ და სილამაზეთ.

მაგრამ განთიადს უყვარს ცეცხლი, უყვარს ანთება, და აჰა წითელ დაირის ქიმი კიდევ გამოჩნდა ცის მოაჯირზე. აენტო, იწვის ცის ცალი კალთა. ცეცხლი მოედო ირგვლივ სიმაღლეს. ახლო მწოლარე გრძელი ღრუბლებიც ამ ცეცხლში დადნენ, იცვალეს სახე... ელავენ წითლად, ელავენ ყვითლად, ლურჯათ, ნარინჯათ, ხურმუხტის ფერად.

წითელი დაირა დიადურ ვნებით უფრო და უფრო მოცურავს მაღლა.

ცეცხლი მწველი, ცეცხლი მგზნებარე აღარა ჰზოგავს მთელ ცის ნახევარს.

ანთებული აღმოსავლეთის ამ გამარჯვებით—გადაწვას ელის თვით დასხვ-
ლეთიც. მაგრამ წუთებს რამდენი რამე შეუძლიათ განგების სვლაში!

უეცრივ შენელდა ეს ხანძარი—ცას რომ ასე სწავდა სიწველით.
ოქროს ფერი მადლი გადაეწო კიდიდან კიდეს და მზის მოვლენის მახა-
რობელი პირველი ისარი, ბრწყინვალე ისარი ზედ საქონრეზე სწავდა მოხუც
სარქალს—მედიდურ მყინვარს. უხსოვრობისაგან მიძღვნილს ვერცხლის მუზა-
რადს—უდნობს და უცვლელს—როგორ უხდება ეს ოქროს გვირგვინი!

რა დიდებულია ეს პირველი ამბორი, პირველი სალამი, რომელსაც უძღვ-
ნის ამომავალი მზე მის დასახვედრათ გამზადებულ და თავაწეულ დედამიწას!

მაგრამ განთიადის სილამაზე და ჯადოსნობა თვალს ვერ აუბამს ბრძოლად
გამოსულ მოხვევებს.

აგერ ბელადმა შეამჩნია მტრის მოწინავე მზვერავი.

ჩქარა გამოჩნდა საქონლის ჯოგიც.

მარტიამ იცნო ყველაზე წინ მომავალი თავისი ქოტა-ხარი. თავნება ბე-
ლადივით ამაყად მოუძლოდა მთელ ჯოგს და მის სილამაზეს აკლდა მხოლოდ,
რომ კოხტა რქებზე ორი წმინდა სამთელიც ანთებულიყო.

ჯოგი ახლოვდება. მას უკან მოსდევს მთელი რაზმი შეიარაღებულ ქისტე-
ბისა. რამდენნი არიან? ორმოცი? სამოცი? ასი? თვალს არა სცალია მათ და-
სათვლელად.

აჰა, გადმოდგა მათი მზვერავიც მოხვევების სწორად.

შეამჩნია. აპირებს უკან დახევას. მაგრამ მიზანში ამოღებულ ტყვიას სხვა
ვინ გაჰქცევია უფრო ყოჩაღი, რომ ის გაექცეს! მკერდ-განგმირული ერთი შეტ-
რიალდა ჰაერში და უგონოთ გადიჩეხა ქვევით ფლატეში. ხევიდან ხევი, კლდი-
დან კლდეში კი მოედო სასტიკი გვრგვინვა თოფისა და ვაი-ვაგლახით გადაი-
ღუპა უფრო შორს მთებში.

შეფორიაქდა ქისტების რაზმი. მაგრამ ისინიც ჩვეულ არიან ბრძოლას და
ხიფათს. ელვის სისწრაფით მოსძებნეს საფარი კლდეებში, ხრამებში და შეემზა-
დენ გულდაგულათ თავიანთ დამხვედრის დასახვედრად.

გაშმაგებული მოხვეენი დაეწვენ ქვევით და შეეცადენ იოლად მტერის გა-
ნადგურებას, მაგრამ ქისტებიც მზათ დაუხვდენ.

მოხვევებიც დაფანტულად ჩასაფრდენ იმედიან ადგილას და გაჩაღდა სას-
ტიკი ბრძოლა საფარიდან საფარში.

თოფის გრგვინვა, აცდენილი ტყვიის ზუზუნი და მსროლელთა ველური
შეძახილი დიდხანს აყრუებდა ერთმანეთის გამოძახილში დამახვილებულ კლდეებს.
დიდ ხანს ისმოდა მღვეურ გოდებათ ადამიანის გულში, გულს იქით სადღაც და
ჰქრებოდა ახალ ქუხილის უფრო სასტიკ და მძლავრ ხმაურში.

უპატრონოდ მიტოვებული საქონელი ერთიან დაიბნა ამ აურ-ზაურში. დამ-
ფრთხალ მოხვრებს კუნტრუშით აჰყვენ დინჯი ხარებიც და მოედვნენ უთადარი-
გოდ წიბოებ ჩამტვრეულ გოლიათ კლდეებს.

მებრძოლნი ერთმანეთს ედავებიან შეუპოვრობაში, გმირობაში, იარაღის
სწორად ხმარებაში.



ან ქისტებმა უნდა გადაიარონ დამარცხებულ მოხვევებზე, ან მოხვევებმა უნდა გაჰქელონ ქისტების რაზმი. სხვა გზა არა აქვს არცერთს მხარეს სამშვიდობოსკენ გასასვლელი.

ბრძოლა გაგრძელდა.

მზე უკვე ცერათ წამოდგა ცის საფეთქელზე.

ორთავე ბანაკში გაისმის რამდენიმე ვაჟკაცის თავდაპერილი კვნესა.

საფრებში გამაგრებულნი ერთი ერთმანეთზე საბოლოოდ ვერას აკლებენ. დაიღალენ მოხვევნი კუტათ ბრძოლისგან და გადასწყვიტეს, სახელდახელო იერიშზე გადასულიყვენ.

წამოიშალენ თუ არა საბუდრიდან მიმინოები, მათ გუნდში უეცრივ გაისმა ვაჟკაცის გმინვა—თითქოს კლდეს მკერდი გადაეპოვო.

ქორულებს გადმოავლო თვალი კობამ მკვნესარე მებრძოლს და იცნო მარტია. მტრის ტყვიას ორივე მუხლიდან მოეკვეთა ლომგული ბიჭი და უძლურად მისვენებულა კლდის ბრუნდე ქიმზე.

კობას სასიკვდილოდ ეგონა იგი დაჭრილი. მის გულში გაიღვიძა რალაც რაინდულმა სიბრალულმა. თანაც შერცხვა, რომ მოქიშპე საქვეყნო საქმისთვის ბრძოლაში ასე მუხანათურად ჩამოაცილეს გვერდიდან და ნუნუ უდაოთ იმისი იქნება.

მაშ ნუ იფიქრებს მარტია, რომ კობას სულმოკლედ უხარია თავის მოქიშპის სიკვდილი.

— მარტიაუ! დედამც, შემერთოს ცოლადა, თუ შენი ბადალი სისხლი არ ავიღევი!

ეს წამოიძახა ხანჯალ გაშიშვლებულმა ბიჭმა და ხტუნაობით გადაეშვა ქისტებისაკენ.

მარტიამაც შემოიხედა კობას ძახილზე. რა დაინახა მისი რაინდული თავგამოდება მტრად გადაკიდებულ მოძმისათვის, თითქოს თვალიდან რალაცა ბინდი გადაეწმინდა.

— მათ უფრო ძმად ნაფიცობა შეჰფეროდათ, ვიდრე მტრობა ქალის გულისთვის.

გულში იგრძნო მარტიამ რალაც სიამე და ღრმა ტკივილიც. სულ დაავიწყდა ორთავე მუხლის მძიმე ჭრილობა.

ჭურციკიჭით მიხტიან კლდეებზე მოხვევე ბიჭები. ზოგიერთ ადგილას კიდევ გაჩაღდა ხელჩართული ფიცხელი ბრძოლა.

აჰა, კობაც მიუახლოვდა თვალში ამოღებულ ქისტების ბელადს. მაგრამ მოპირდაპირემ წამსვე სახეში მიახალა დამბაჩის ტყვია და ელდა ნაკრავი ვაჟკაცი დაემხო პირქვე.

გათავდა ბრძოლა.

დამარცხებას გადარჩენილი ქისტები სათითაოდ მიიპარებიან ჩრდილოეთით.

მოხვევებმა ჩამოლალეს დაბნეული საქონელი, მოჰკრიბეს ბრძოლის ველზე

შეწირული რამდენიმე თავისიანი და გადაჰკიდეს ხარებზე—სოფელში ჩამოსასვენებლად. ქისტების მკედრებიც მიაბარეს მიწას (რადგან მკვდარ მტურსაც სჭირდება პატივისცემა). დაჭრილებს ხომ საგანგებო ყურადღებით მოექცენ ყველანი.

მარტიასთვის ორთავე მუხლი გაერღვია ბერდანის ტყვიას. მონუცმა დოსტაქარმა მაშინვე გადასკრა სახსრებში და ჭრილობის ზევით კი მაგრათ მოუქირა ირმის მოქნილი თასმები, რომ სისხლად აღარ დაცლილიყო.

კობაც ორივე თვალში იყო მძიმედ დაჭრილი. მასაც დაადო დოსტაქარმა ბალახ-ბულახი, შეუშრო სისხლი და შეუხვია ნუგეშისცემით.

ორივე დაჭრილებს გაუმართეს ნაბდების საკაცე და ისე წყნარად მოსვენეს თავთავიანთ სოფელს.

II.

ახალწლის წინა დღეა.

სოფლის ბოლოს, თავის ქოხის წინ ჩამომჯდარა კუტი მარტია.

ისიც კუტია და იმის პირდაპირ აყუდებული გვირგვინას მთაც.

განსხვავება ერთშია მხოლოდ: მარტიას გული აქვს და მთას კი არა.

მაგრამ ვინ იცის! ეგებ მთასაც აქვს თავისი გული და მარტიას კი უგულლო ჰგონია!

მაშინ როგორ ეგვანებიან ერთმანეთს—მთა და მარტია:

ერთიც კუტი და მეორეცა.

თუ გვირგვინას მთას ეწვევა ხალისიანი გაზაფხული და სხვა მთებიდანაც ჩამოუქროლებს ფრთოსანი ნიავი—არც მარტიაა დავიწყებული.

აგერ გამოჩნდა ყელმოღერებული ნუნუც.

თოვლის კედლებ შორის ვიწროდ ჩაწოლილ ბილიკზე მოდის ქვეყნიერად გამარჯვებული დედოფალივით.

იმის გზაზე მდგომ ნაძვის ხეს, რომ სული ედგას—ისიც შეჰნატრებდა მის ტანის მოკვეთილ მოყვანილობას. და თუ მთებიდან გადმოკარგული ჯეირანი შეავლებდა თვალს, ისიც დაჰხრიდა თავს ნუნუს ამაყურ თავის წინაშე.

დაე, გათანაბრდეს ცხოვრება. მოისპოს ბატონობა და მონობა. ნუნუ კი დარჩება დედოფლად და მბრძანებელად ერთმანეთზედ რჩეულის ვაჟკაცებისა.

გასწორდება მთა-და-ბარი. ნუნუ ქალი კი დარჩება გვირგვინოსან მწვერვალად ვაჟკაცურ სიყვარულის მთაგრეხილებში.

მოდის ნუნუ და იმას თიანდაზათ წინ ეფინება საიდუმლო სიმღერა მარტიას გულისა.

— ქალაუ! შენს გზაზე დამიდგა თოლები. რაისთვის არ მიბრალე მე ბედშავს!

— გიბრალე, გი, მარტიაუ! დედაისი ავით ას და საშველი არ შექნა, გუშინაც შენახე.

— არ გიყორვარ ქალაუ, არა!

— თუ არ მიყორხარ, მაშ ეს რა არის!

ნუნუმ ძღვენით სავსე გუდა გადასდო განზე და ტყის უწვრილნი/დედო-
ფალივით გრძნეულ მკლავებში ჩაიხვია ბიჭი მარტია.

— მჯერა ნუნუისი, მჯერა!

— რაი გჯერა, რა?

— რომ გიყორვარ! ძალუმ გიყორვარ!

— მაშ გეყოფა! მეტს აღარ დაგსჯი!

ნუნუ შევიდა ქობში. ცეცხლი გააღვივა შუა კერაში. შემდეგ წვალეებით მარტიაც შეიყვანა სახლში და მოასვენა ორპირად გაშლილ ირმის ხამ ტყავზე. მარტია უცაბედ მოგონებაში გადასრიალდა, როგორც თავმინებებით დაქანებული მარხილი.

— ჰაუ, ბეჩაუ ჩემო თავო! შარშან ამ დროს ნადირობ ვიყავი და კიდეც მოვკალ ჩლიქ-დაუცვლელი ერთი ჯიხვი.

— მაგრამ შარშან ამ დროს შენ არა გყავდა ნუნუ!..

— დასტურ მომივე სიტყვა, ქალაუ! შენ მირჩენიხარ ჩემ ნადირობას, ჩემ მუხლებს, ჩემ თოლებს, ჩემ სიცოცხლეს!

— მარტიაუ! ქვეყნად რომ მეგულეობდეს ისეთი დოსტაქარი, მე მოვაქრევენბდი ფეხებს და შენ გაგიმთელებდი, მაგრამ...

— დამირჩეს შენი თავი, ნუნუისი! ძალუმ ბედნიერთ ვსთვლი ჩემ თავს, რაი შენ გიყორვარ, ჩემო ყველავე!

— ბეჩავ! რაისთვი არ უნდა მიყორდე! ჩემი გულისთვის სიცოცხლეს სწირავდი. და მე ხომ ქვა არა მაქვს გულის მაგიერ!

— ბედმა ძალუმ დამსაჯა, რომ ფეხები წამართვა, მაგრამ ძალუმაც დამასაჩუქრა—ნუნუ რომ ჩემი გახდა.

ნუნუმ წამოაგლო სავსე გუდას ხელი, მიითრია მარტიასთან და ყველაფერი ამოალაგა რიგრიგათ:

— ეს ბრაწა ვაშლი—სტეფანწმიდიდან ამოვატაინე! ეს უცეცხლო თაფლი—ჩვენი გეჯიდან ამოღებული! ეს ხშიადის ბასილა—ჩემი ხელით კეცში გამოცხობილი! ესეც წმიდა სამთელი! აბრამიანს გაგიწყობ შენ ბრუნდე ტაბაკაზე—რომ მნახველი გაოცდეს!

— მე ვიცი ვინც არის ჩემი ახალწელიწადი, ჩემი აბრამიანი, ჩემი უცეცხლო თაფლიც და წმიდა სამთელიც!

ნუნუმ გააწყო ყველაფერი თავის ლაზათზე.

— აჰა, მოვრჩი, მარტიაუ!

— მაშ მოდი, ჩემო ყველავე, გვერდით მომიჯექ! მინდა, შეასედ დავიჯერო ჩემი ბედის კეთილი მონიჭება.

ნუნუ მოვიდა. მოეხვია. მიუალერსა.

— ქალაუ! მაინც ჩემი ხარ ჩემი, სხვა არავისი!

— შენი ვარ შენი, მარტიაუ!

ოთხი გრძნეული მკლავი ანდამატურის მიმზიდველობით გადაეჭვდენ ერთი



ეროვნული
ბიზნისი

ურთმანეთს და საყვარულის უხილავმა ხელმაც საიდუმლოების ზეწარი გადაათარა გონება-დაკარგულ ორ თავის მონას.



იმავე დღეს, საღამო ჟამზე, სოფლის მეორე მხარეს უსინათლო კობაც მოე-
ლის თავის სიხარულს, თავის ნატვრის თვალს.

აფსუს, რომ შორიდანვე არ შეუძლია, შეაგლოს თვალი თავის დედოფალს!
რა ბედნიერია იმის გვერდში ხრუტუნა კატა! ის ლამეც ჰხედავს. კობა
ბიჭისთვის კი დღეც სიბნელეა!

— ეგებ კიდევაც მოდის, ვისაც ელის, მაგრამ შორს არის!

— ეგებ მტერიც უცქერის მას და სიბრაღულით ხმას აღარა სცემს!

— ეგებ მოყვარეც შორიახლოა და გულმოკლული განზევე მიდის!

— დაე, მტერზე მტერიც ჰყოლოდა, ოღონდ თვალეები კი შერჩენოდა.

— მაგრამ ვინცა ჰყავს, ის ხომ სჯობია ორთავ თვალის ჩინს!

— ოო, ის არ გაიცვლება ამ ქვეყნიურ არცერთ სიკეთეზე!

და აჰა, კიდევ გაისმა მოკისკისე ხმა ციურ საგალობელზე უფრო უტკბესი
უჩინო კობასთვის.

— მოვედი, მო, კობაისი! ნულარ მოიწყენ!

— ნუნუ, ნუნუ! შენამც ვავიხარია სიცოცხლეში, როგორც მე გამახარებ
ხოლმე შენის მოსვლით!

— მე დავივიწყებ დედას, დავივიწყებ ნათესავეებს, მაგრამ შენ როგორ
დავივიწყებ, ჩემო ყველავე!

— ნუნუსი! მითხარი, მი! ჩემზე ბედნიერი და ჩემზე უბედური კაცი თუ
მოიპოვება ვინმე ქოყანაზე!

— მარტიაი?

— ჰო, მარტიასი! ისიც ერთობ განაწყენია ბედისაგან! მაგრამ მე უფრო
ბედშავი ვარ!

— რაისთვი, კობაუ?

— მარტია მარტო კუტია. თოლებით კი ქოყანა ისევ იმისია. მე თო-
ლები არ მამადია და ამიტომ კუტიცა ვარ.

კობას რაღაცა ფიქრით სახე გაუბრწყინდა.

— მაგრამ არა!.. დაე, უსინათლოც ვიყო! დაე, კუტიც ვიყო! მაინც მე
მრავალზომ უფრო ბედნიერი ვარ ვიდრე მარტია: მე ნუნუ მყავს!.. მარტიას კი
არაფერი გააჩნია ამის ბადალი! საწყალი მარტია! რა რიგ მებრალების!

და კობას სახე დაითუთქა სინიღისით შეწუხებულ ადამიანურ სიბრაღულით.
ნუნუ უცნაურად მოიკუნტა. სცდილობს, დაიმალოს თავის სულში.

— კობაუ! ის ხომ შენი მტერი იყო. რაისთვი გებრაღვის?

— დასტურ დიაცურია პასუხი შენი! მარტია ეხლა ქვასაც კი შეებრაღვის,
არამც თუ ადამის ძეს.

— მეც მებრაღვის, მეცა, კობაისი, მაგრამ რაი ვქნა! ორთავეს ხომ ვერ
შაგიყვარებდით!

— ჰო! ნუნუ მე მერგო წილში! განგებულეზამ მარტო მე დამასაჩუქრა. მარტია კი დაივიწყა ბედის მწერალმა.

— საწყალი მარტია!

— საწყალი მარტია!

— თუ ეგრე გებრალვის, მაშ წავალ მასთან!

— ვერა, ქალაუ! მე ვერ გელევი ცოცხალი თავით!

— ვერც მე გელევი კობაისი, ვერც მე! აფსუს, არ შეგიძლიან დაინახო თუ რა ზომ ბედნიერი ვარ შენთან ყოფნით.

— ნეტავი ერთხელ, კიდევ ერთხელ გაანათებდეს ქვეყანა ჩემთვის, დაგინახავდე მხოლოდ ერთხელ—როგორ მიზიხარ გვერდში და შემდეგ სულიც რომ განვუტევეო—ალარ ვინაღელი.

ნუნუმ უსურვაზის საშურველი მკლავები ცეცხლის სალტებად შემოჰხვია კობას მხარბეჭზე. ვაჟკაცმა იგრძნო სიცოცხლის ფასი ამ ქვეყანაზე. ძარღვებშიაც აღუღდა სისხლი ხვალი ლომისა. რა არის ქვეყანა? სიცოცხლის წყვევა? ანაც სიბრმავე? ყველაფერი ეს დაძლეულია წამიერ დავიწყებით, ღეთაებრივ დავიწყებით!

მაშ განზე!

უდროვოთ არ გამოვაფხიზლოთ წუთიერთ დამთვრალნი!

ნუნუმ ასე უცნაურად გადახლართა თავისი ბედი მარტიასთანაც და კობასთანაც.

რომელს დასთმობდა ნუნუ ცხოვრებაში? რომელს გასცვლიდა ერთი-მეორეში?

ამის საპასუხოდ ნუნუ ან დამუნჯდებოდა დიდ მუხის ქვეშ მდებარე საფლავის ქვასავით, ან მოგცემდათ მხოლოდ ერთ პასუხს:

— არც ერთს! არასდროს!

სანამ საღსალამათად იყო ორივე ვაჟკაცი, ნუნუ დიდ არჩევანში იყო და მაინც ვერ გადაეწყვიტა თავისი ბედი:

მარტია კობას სჯობდა და კობა—მარტიას.

მაგრამ მარტო ნუნუს ვინა ჰკითხავდა ასეთ არჩევანს!

ორთავე მოხვევს ეს გოგო მიაჩნდათ მხსნელათ და დამლუბველათ თავიანთი სიცოცხლისა.

ეგებ უკულმა შეტრიალდეს გაზაფხულით აქოთებული თერგი.

დადნეს მყინვარის მარადიული თეთრი გვირგვინი, კობა და მარტია კი ცოცხალი თავით ერთმანეთს არ დაუთმობდენ თავიანთთვის დედოფლად ქცეულ —ჯადოქარ ნუნუს.

მაგრამ ქისტებთან ბრძოლამ ორთავე დაასახიჩრა.

ორთავემ დაჰკარგა სრული უფლება ისეთი მოხდენილი ქალის წადავებაზე —როგორიც ნუნუ.

კუტმაც და ბრმამაც—ორთავემ განწირულათ იგრძნეს თავი. ეგონათ—



ნუნუ ისე გაუქრებოდათ თვალსა და ხელ შუა, როგორც მიზანში ამოღებული ჯიხვი უნებლიე ნახტომით გადარჩენილ მონადირის ხიფათისაგან.

ორთავემ ცალკ-ცალკე უბედურათ წარმოიდგინა თავისი მარტია და ჩაგვრით გულმოკლულებს—ერთმანეთიც კი ებრალებოდათ.

მაგრამ ვინ იცის, რა იფარება ქვესკნელის გულში!

ვის შეუძლიან ჩაიხედოს ან ქალის გულში!

მარტია ისევ იფიქრებდა ფეხების აღდგენას და კობა კი—თვალის ჩინის სრულ განახლებას. მაგრამ ნუნუს კი თავის ტოლად ველარც ერთი ვერ იგულებდა.

მაგრამ მარტიაც კუტად დარჩა. კობაც—უსინათლოდ და სასწაული კი მაინც მოხდა:

ნუნუმ ორთავე გააბედნიერა.

რათ მოხდა ასე?

ეგების უზომო სიბრალულმა შთააგონა სილამაზითა და გრძნობით ნაქარგი უმაღლესი თავდადება?

ან ეგებ აქ მცირეოდენად მაინც გამომქლავნდა ქალურ ბუნების უცნაური საიდუმლოება? ამ ბუნებას ხომ უყვარს ზოგჯერ ცეცხლთან თამაში, უფსკრულის პირად ხეტიალი და გაურკვეველ ბედისწერასთან გაუგებარი შეკამათება?

ან ეგებ ეს არის პირველი გაუბედავი სიტყვა საუკუნოებით გულში ჩამარხულ ჭეშმარიტებისა, რომ სიყვარული არის ერთიც და მრავალიც?

ხომ უყვარს მშობელს რამდენიმე თავისი შვილი?

ხომ უყვარს დას რამდენიმე თავისი ძმა?

ეგებ ნუნუს გამიჯნურებაშიც სუროს მოქნილი ტოტებივით ჩახვეულა მშობლიური და მასთან ერთად და-ძმური გრძნობაც?

ნუნუმ იცის, რომ ნაძვის ხე იზრდება ერთ სვეტად—სწორად და მაღლა. მაგრამ იმათ კარის წინ რომ ნაძვია—ის შუა წელიდანვე ორ ტოტად გაყოფილა და გაზრდილა სხვაზე უფრო სწორად და მაღლა. ტყეში სხვაგან არსად არ შეუმჩნევია ასეთი ნაძვი.

ეგებ ნუნუც უცნაური ორტოტა ნაძვია ხალხის დიდ ტყეში? ვინ მიხვდება? ვინ გაიგებს?

ნუნუმ იცის მხოლოდ: კობას მარტიაში ვერ გასცვლის და მარტიას—კობაში.

რა გრძნობა დაუფლებია ასე მპყრობელად ნუნუს არსებას?

სიყვარული? სიბრალული? მადლი?

ან ეგებ ყველა ერთად?

ვერა! ნუნუ ვერავის აუხსნის თავის სიყვარულს! სიტყვისა და აზრის მძლეობას ჯერ ვერ მოუქსოვია ისეთი წმინდა ბადე, რომ სტყორცნო ამ უცნაურ გრძნობას და გააბა შიგ ყველას დასანახად, ყველას გასაცნობად.

ამიტომ ნუნუ ამ ორ ძლიერ გრძნობას ისევე ფარულად ინახავს, როგორც თავის ორ კრძალულ სიმდიდრეს—ორ აღგზნებულ მკერდს.

მას კობა და მარტია მიაჩნია თავის ორ უუუუნა თვალად. და როგორც მი-

კი შენ მარტო მე გამაბედნიერე. ბეჩავი კობა კი, ალბათ თავის თოვლებთან ერთად თავის ნუნუსაც დასტირის.

— მე რაი ვუშველო ბედით დაჩაგრულს?

— ქალები უღვთო ხართ, უღვთო!

— როგორ, მარტიაუ?

— შენ ისე მშვიდათ უბნობ, თითქოს კობას შენი გულისთვის ერთხელაც არ დაუკვნესიაო.

— მერე მე რაი ვქნა?

— შენ ქვა გაქვს გულში. მე უფრო მებრალების კობა ბიჭი, ვიდრე შენ.

— მეც მებრალების, მაგრამ რაის გავაწყობ!

მარტია ჩაფიქრდა. ძალიან ჩაფიქრდა.

— საწყალი კობა, შენი ერთი ხელის გადახვევნაში ალბათ სიცოცხლეს ანაცვალედა.

— თუ ეგრე გებრალების, ვაჟავ, მაშ გაგანებებ თავს და კობასთან წაველ...

— მაგას ვერ დასტურ, ქალაუ!

— მაშ ორთავეს ხომ არ შეგიყვარებთ?

— ორთავე ძნელ ას...

— ცხო რაი ვქნა?

მარტიაც ფიქრობს: სხვა რა მოეთხოვება ნუნუს?

— განა მოახერხებდი ჩემთან ერთად კობაის შაყვარებასაც?

— როგორ შაიძლების? ორაი სიყორული სად გაგონილა!

— რომ გაგონილიყოს, შაიყვარებდი?

— ნუ მარტიაისი, ნუ! მე შენ მიჩვენებარ ყოლას!

და ქალი უფრო ახლო მიეკრო ცეცხლთან გახურებულ ვაეის გულმკერდს.

— კობაის მადლობა სამარეში ჩამყვების. როცა ქისტებთან ბრძოლაში დავიჭერ, მეგონა კობას გაეხარდებოდა. ის კი მგელივით გადავარდა ქისტებში ჩემი სისხლის ასაღებად. ღირსეული ქუდოსანი ყოფილა, იხაროს იმის მშობელმა.

— მეც მომწონს კობაისი.

— სტყუი!

— რისთვის გგონია?

— თუ მოგწონდეს, შაგებრალების კიდევაც!

— მებრალების, ძალუმ მებრალების, მარტიავ!

— თუ გებრალების, უნდა ვიყორდეს კიდევაც!

ქალი ცოტა შეკოკმინდა. გულშიც გადაიტანა რაღაცა ბრძოლა და შემდეგ თამამად წამოიძახა:

— კიდევ მიყვარს...

— სტყუი, ქალაუ!

— მიყვარს, ღვთის მადლმა!

მარტიას არ სჯერა თავის ყურით განაგონი.

— როგორ გიყვარს ქალაუ?





- შენსავით, მარტიაუ, შენსავით!
- არ მიჯერის!
- ვფიცავ ლომისას!
- დასტურ?
- დასტურ!

მარტია დაიბნა. აღარ იცის, ცეცხლი კერაში ანთია თუ იმის გულში.

- გონით თუ გამოხველ, ქალაუ!
- რისთვის? აკი შენ თვითონ მახელებდი კობაის სიყვარულად!
- ნუ მატყუებ, ქალაისი!
- მე არ გატყუებ! კობაიც მიყვარს! ისიც შენებრ კაი ვაჟია და შენებრ

ბედით განაწყენი.

- ჰაი, გველო, გველო! დიაცი დიაცურ მოქცეულხარ! მაგრამ შეგანანებ!
- აქ მარტია გააფთრებით სწვდა ნუნუს ყელში. ნუნუმ იგრძნო გამხეცებული

ვაჟკაცის მრისხანება და სულგამწარებით გაუსხლტა ხელიდან.

მარტიამ დაავლო ანთებულ მუგუზალს ხელი და წელში სდრუზა შეშინებულ ქალს.

ნუნუ გარბის. უკან აღარ იხედება. გაშმაგებული მარტია კი მუგუზალს მუგუზალზე ესვრის გაქცეულ ქალს.

ჩქარა მიეუარა ნუნუ ფერდობს და ჩირგვებს. იმის კვალზე კი დარჩენ მხროლავი მუგუზლები და მარტიას გაშტერებული თვალი.

ორ დღეს ნუნუ არ სჩვენებია ძე ადამიანს. მესამე დღეს ეწვია კობას. ვაჟმა მიუაღერსა. უსაყვედურა კიდევ სამი დღის უნახაობა. შემდეგ ჩვეულებრივი გუნებით განავრძო ბაასი.

— ამ ბოლო დროს მარტიაზე ფიქრი აღარ მასვენებს, ქალაუ. ნეტავი როგორ არის?

— მე რაი ვიცი. რომ მომკვდარიყო, ალბათ გაიგებდი.

— რა რიგ დაუნდობარი ხარ, ქალაისი!

— აბა მე რაის ვკითხულობ მარტიას ბედს!

— მე თითქოს გული საგულეს აღარა მაქვს. სულ მარტიაზე ფიქრი მაწუხებს.

— მე სრულიადაც არ შენაღვლის იმისი ყოფა.

— სასტიკი ხარ, ქალაუ! არ გეკადრების.

— ასეთი ვარ შობით და ღვთივ.

— არ გეკადრების, არაუ!

— რატომ თვით მარტია არა სწუხს შენზე?

— ეგები სწუხს, რაი ვიცი!

— გნახავდა.

— კუტ ას. იგი ვერ მოვა ჩემთან.

— შენ კი როგორღა მიხვალ უსინათლო!



- შენ გამოძღვები და მიმიყვან.
- რა გინდა მასთან?
- ვნახო.
- მე მეჯავრების მარტია!
- ნუ, ქალაუ! ის ღირს ას სიბრალოლის.
- მეჯავრების! მეჯავრების!
- იმას კი როგორ უყვარდი გონ გამოსულათ!
- მე არ მინდა მისი ხსენებაც!
- ნუ ხარ, ქალაუ, ავსული! ბედით დაჩაგრულს არ უწყრებიან ეგრე სასტიკად.
- მარტია მძულს! მეზიზღება!
- შენ გეზიზღებოდეს! მე კი უნდა ვნახო იგი!
- რაისთვის გჭირდება?
- მე ბედნიერი ვარ შენით, ის კი უბედურია. მაშ მე უნდა მივიღე მასთან და არა იგი—ჩემთან.
- მერე?
- ვეტყვი, რომ თოლებით ბრმა—გულით არ დაებრმავებულვარ. მარად უამს ვწუხვარ მასზე.
- მერე?
- მერე ვეტყვი, რომ ნუნუ ბედმა მე მარგუნა წილში. კიდევაც მრცხვენის მის წინ ჩემი ბედნიერების, მაგრამ ვინ შესცვლის განგებულობას და ქალის გულს! ამასთან ერთად მე შევფიცავ სამარადისო ძმობას და სიყვარულს!
- არ გირჩევდი!
- გული მეუბნების—ებლავ წავიღე მასთან.
- მარტო როგორ წახვალ?
- შენ წამიყვან.
- მე არ გამოგყვები!
- თუ გიყორვარ.
- ნუ დამაფიცებ!
- მაშ მარტო წავალ.
- გზაზე დაიმტვრევი!
- თუ არ გებრალვი, დაე, დავიმტვრე!
- რა ძალა გადგია?
- უცილობელ უნდა ვნახო ჩემი ძმა მარტია.
- წა!
- წავალ!
- კობამ დაავლო ჯოხს ხელი და გასწია. არ გაეგლო მცირე მანძილი და უკვე წააწყდა იქვე ახლო ჩარღვეულ უძირო ხრამს. ნუნუ სასწრაფოდ გაექანა და წიოკობით შეაჩერა იგი.
- არ გეუბნები, დაიჩეხები მეთქი!
- მაშ გამიძეხ წინ.

— მიგიყვან მარტო კარებამდის. სახლში არ შემოვალ.

— მეტი არ მინდა.

ნუნუმ მოჰკიდა ხელი და ნელნელ გაუძღვა მარტიასკენ. რამდენიმე ხნის სიარულის შემდეგ უკვე მიაღგენ სოფლის გარეთ ეულად მდგომ მარტიას სახლს. ნუნუ განზე გადგა. კობამ დააკაკუნა.

— ვინ არის?

— მე ვარ, მე!

— ვინ შენ?

— რა დაგმართვინია, მარტიაუ? ველარ მიცანი შენი კობა?

— გააღე კარი, თუ კობა ხარ!

კარი გაიღო.

— შემოდი ქერქვეშ!

ნუნუ კანკალებს. გრძნობს რაიმე საბედისწეროს?

კობა შედის სახლში.

მარტია რაღაცას ფათურობს თავის გარშემო დაყრილ კონკებში.

— რაისთვის მოსულხარ, ვერაგო?

— მარტია, ნუ სცოდავ! მე საძმოთ მოვსულვარ!

— სტყუი, ბეჩავო! შენ საძმოთ როგორ მოხვალ, როცა ჩემი ცოლის ლატს დიაცურ იფერებ.

— რაის უბნობ, მარტიაუ?

— განა არ გესმის, შე ლაჩარო!

— გონით ხომ არ გამოხველ, ვაჟავ! შენ ცოლი სადა გყავს? რარიგ გილალატებდი?

— ნუნუ მაშ ვისი ცოლია, ვისი?

— მარტიავ! რას უბნობ! ნუნუ ჩემი ცოლია, ჩემთან შეფიცული!

— მაშ მართალია!? აღარც შენ ჰფარავ!?

— რა მაქვს დასაფარი, ნუნუ ჩემი ცოლია!

— ოო, ვერაგო, ვერაგო! მოდი ახლოს, ჩემთან!

— აბა სისხლი მე თვითონ მქონია ასაღები, თუ ჩემ ცოლს შენაც ქმრობდი. სადა ხარ, კუტო?

— აქა ვარ ზრმაო, აქა!

მარტიას ხელში დაუჭერია ხანჯალა დანა და ცოფიანი ვეფხვივით მილოლავს კობასკენ.

კობაც დაეძებს მოსისხლე მტერს თავისი ჯოხით. აჰა, კიდევაც მიაგნო და გამეტებით შემოჰკრა მარცხენა მხარში.

მარტიამ იხელთა დრო და კობას მარჯვენა მუხლში ჩაუსრიალა ბასრი დანა. კობამ ამოიკვნესა და, ტკივილით გაშმაგებული, მთელი სიმძიმით დაეცა მარტიას.

მარტიამ ისევ მარჯვეთ ამოიტრიალა დანა და ახლა მკერდში ჩაურქო თავზე დაწოლილ კობას.

ვაუკაცმა ერთი კიდეც ამოიგმინა ლომურებ. სულგამწარებით ამოიძრო
 მკერდიდან დანა და გამეტებულის ძაღლონით ჩასცა მარტიას შიგ ყანყარტოში.

ამ გააფთრებულ ბრძოლაში გაისმის აწიოკებული ქალის კრჩხბღბ...
 — რას ჩადიხართ, ბედშავეებო! იწამეთ ღმერთი!

მარტიამ ერთი მძლავრათლა ამოიხრიალა და მოწყვეტით გაიშხლართა
 მიწაზე.

კობა წამოდგა. ძაღლონე მიღეული მიეყუდა კედელს. სისხლად მოთქრია-
 ლე მკერდზე მიუფარებია ხელი და უკანასკნელ სიტყვებათ ისმის ვედრება:

— ნუნუ! მარტიას მიხედე!

მაგრამ სად არის ნუნუ? ცოცხალია თუ მკვდარი?

— ...ნუნუ, მარტიას მიხედე!

ნუნუ კი უჩინრად აჰკვრია გამურულ დედაბოძს.

ისიც ბოძია— უტყვი და უძრავი...

სალი

რომანი

(გაგრძელება)

III

ექვსი წლის შემდეგ სალი კიაზოს და მარიამს მძიმე ტვირთად აღარ ეჩვენებოდათ, მით თავსაც იქცევდნენ.

ბავშვი გამხდარი იყო, მაგრამ მარდი, სოფლის ბავშვებთან დღეებს აღამებდა. თუ კიაზოს, ან გიორგის ცხენს თვალს მოჰკრავედა, მაშინვე შინისკენ გამოიქცეოდა.

თუმცა გიორგი იშვიათად მოდიოდა ამათ სოფელში, ისიც გზად, მაგრამ მასპინძლების და მეტადრე ნათლულის ალერსიანის მოქცევის გამო კვირეობით რჩებოდა. სალის აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როდესაც გიორგის კალთაში უჯდა, ჰკოცნიდა, ზღაპარ-ლექსებს ეუბნებოდა. გიორგიც ახალუხის ჯიბეს შიუშვერდა. ეტყოდა:

— აბა, ცუცუნო, ხელი ჩაყავი და რაც იპოვო, შენი იყვეს.

სალიც თამამად ხელს ჩააქანებდა, მაქარლამით სავსე დიდ პარკს ამოიღებდა...

— ახლა მეორე ჯიბეში...

ბავშვი მეორე ჯიბიდანაც წითელ ვაშლებს აღაგებდა, წასვლის დროს კიდევაც გაეტირებოდა, რადგან იცოდა დიდ ხნობამდის ვერა ნახავდა.

— აი, რა მოგიტანე!—უთხრა ერთ დღეს კიაზომ, როდესაც ოთახში გამტვერიანებული შემოვიდა, აკოცა, უბიდან ნახატებიანი ანბანი ამოიღო, მისცა.

სალიმ მაშინვე წიგნს ფურცვლა დაუწყო. ნახატებში ყველაზედ მეტად ბავშვის ყურადღება კატამ და მამლის სახლმა მიიქცია.

ჰაწია სარკმლიდან მამალს თავი გადმოეყო, სახლის წინ დასკუპულ მელას ათვალაიერებდა.

— შიამბე, აქ რა სწერია?..

სალი ხან კისკისებდა, ხან სახეზე ზრუნვა-შიში აღუჩნდებოდა, როდესაც კიაზო კატისა და მამლის ამბავს ეუბნებოდა.

— პაპა, აკი შენც იმ კატასავით სანადიროდ მიდიხარ ხოლმე? — წამოიძახა სალიმ. ამას მოჰყვა კიაზოს გულიანი ხარხარი.

— მე რომ მელიამ მომიტაცოს, მიშველი? ტუჩებ-დაშველებით შეგვიტყობა ბავშვი.

— რა თქმა უნდა.

— შორს რომ იყვე?..

— კატაც შორს იყო, მაგრამ მამლის ყვილი მაინც გაიგონა. სალის კმაყოფილებისგან თვალები გაუბრწყინდა, კიაზოს კისერზე ორივე ხელები შემოხვია აქეთ-იქით ლოყაზე აკოცა, მუხლიდან ჩაუცურდა და გარქცა სოფლის ბავშვებისკენ, რომ ლამაზი წიგნი იმათთვისაც ეჩვენებინა...

რაც სალი ფეხზე შედგა, ლაპარაკი დაიწყო, ხშირად აქეთ-იქით მოსიარულე კიაზოს სახლისკენ მოუხაროდა. იცოდა კიბის თავში, ან ეზოში მასრასავით წინ დახვდებოდა საალერსოდ ხელებ გაწვდილი სალი.

კიაზო ქალსა და სიძეში მოტყუვდა, ოთარი ეჯავრებოდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამისი ქონება ბედოვლათ სიძის ხელში შეუბრალებლად გაიფლანგებოდა.

— რალა გინდა, ჩემო თავო, ბედნიერი ხარ! რა მრჯიდა, რა მაცოდვილებდა! იმ ერთი ქალის მეტი რალა მებადა! არ მერჩივნა ჩემისთანავე უსწავლელისთვის მიმეცა და ერთმანეთი გვეცნო? რა გასაკვირველია, რომ სიყრმითვე უცხო ქვეყანაში გარდახვეწილს ჩვენი არა ესმოდეს რა. ბეცსავით აქეთ-იქით დაბორილობს, ყოველი კუთხე მისთვის გაუგებარია! რაც ქალაღდის თამაშს გადაურჩება, ნადიმებში ეღუპება. გამოსულელებული ჩემი ქალიც აპყოლია. მე იმას ველარა ვცნობ მარიამ, მახსოვს ოთარს თითქო მოკრძალებული შვილი ჩავაბარეთ?! შეეკითხა ერთხელ კიაზო ცოლს.

— ჰმ! მოკრძალებული და აგრე! ხელი რომ ანელო, შიშასგან ფითრდებოდა. ერთხელ გული ისე მომიყვანა, მაშინ თორმეტი წლისა იქნებოდა, იმოდენა ქალი საკუჭნაოში შეპარულიყო, შესადღვებად მოძნადებულ მაწვნის ქილებისთვის თავები მოეხადა. მოთმინებიდან გამოსულმა, ამ უწესო ქცევისთვის ახლად მოპარსულ თავზე ერთი ქოთანის მაწონი დავასხი და ძროხას ავალოკვინე. ის იყო და ის, მას შემდეგ ნატოსთვის ჩემი სიტყვა კანონი იყო.

კიაზომ ცოლს შეხედა, მაგრამ არა სთქვა რა.

— შენც მეტიმეტად ჩააცივდი ოთარს. განაგრძო მარიამმა.

— კარგი და ავი ერთ ბარაში კი არ უნდა გაუტარო. შენ ხომ ეგრე ამბობ და ის კაცი კი ქვეყანაში ცნობილია. გუბერნატორი, მთავარმართებელი, სასამართლო, ბანკი, მის წინ ყველგან კარი ღიაა. ხომ არა გნებაეს, რაკი შენი სიძეა, ოთარი ყმად გაგიხდეს? ახირებული სურვილია!

— აგრე იყვეს ბატონო, მაგრამ ე შეიძლება რო ეცუცნება, ამაზე რალასა ბრძანებ?

— უხარჯოდაც არა იქნება რა.

— კეთილი. რახან შენ კმაყოფილი ჰყევხარ, ძალიან მოხარული ვარ, მაგრამ

მაინც ვიტყვი, როცა უდიდესი ბოლო ელის. მამალმა სთქვა, მე კი ვიფიქრებო და გათენებამ თვითონ იცისო.

— კარგია, გეთაყვა, მაგაზე ლაპარაკი შევწყვიტოთ, სხვა რაიმე არ იყვეს რა, სალი ადამიანობაში შედის, საწყალი ისეც დედ-მამას ნადირსავით უფროთხის და რაღა მაგ სიტყვების გაგონება უნდა?

— ჰოო და მეც ასე იმიტომ ვლაპარაკობ ბავშვთანაც, რომ ავი და კარგი შევაგნებინო. რახან მიკისრნია, მინდა ჩემებურად აღვზარდო. დანარჩენებზე შენ იზრუნე.

— აფსუსს, პაწია არჩილავ, გავიწყდება, რომ შენი ნამდვილი მემკვიდრე ის არი? მოაგონა ღიმილით მარიამმა.

— ამ ზამთრისთვის ს—ს სახლი ცალკე უნდა დავიჭირო, შენი სიძის გამოისობით, რომ წინ არ შევეფეთო, ფეხი ველარ ჩამომიდგამს ქალაქში, და ზამთრობით ყოველთვის სოფელში ჯდომა კი მომბეზრდა.—სიტყვა ბანზე აუგდო კიაზომ.

* * *

მოისმა ცხენების თქარა-თქური. ბავშვებში მოთამაშე სალიც გამოიქცა, შეიღმა ცხენოსანმა ბავშვს თვალწინ ჩამოურბინა. ცხენებს მხედრები ძლივს თავს უჭერდნენ, ყველა სამხედრო ტანისამოსში იყო. მოწინავე ცხენოსანს შარვლის გვერდებზე წითელი პრტყელი ზოლი ასდევდა, წითელ ქუდში თეთრი ბუმბული ერჭო.

მხედრები სახლის აივანთან შეჩერდნენ თუ არა, ცხენებიდან ჩამოცვივდნენ, მოწინავეს საჩქაროდ სადავე ჩამოართვეს. გენერალმა კიბე აირბინა, კიაზო და მარიამი ღიმილით მოეგებნენ.

სალი ქვევით დარჩა, ცხენოსნებს ცქერა დაუწყო. მხლებლებმა ერთი ცხენოსანი განზე გააყენეს, მხედარი გაფითრებულიყო, თვალები დაეხუჭა, ხელები არა ჰქონდა. ბავშვმა ფეხაკრეფით გარს შემოუარა, ხელები უპოვა, უკან წელზე მსხვილი თოკით შეკრული. კაცი დროგამოშვებით მძიმედ კენესოდა, პატარა ბოხჩაც ცხენზე მიეკრათ. სხვა მხედრები კი ერთმანეთში ოხუნჯობდნენ, ოფელში გაცურებულ ცხენებს მარქათად ატარებდნენ. გაფითრებულ კაცს უნაგირი არ უჩნდა, ძეძვზე იჯდა, ასეთი ძეძვი სალის ვენახის ღობედ ენახა. ეკალზე მჯდომარის ფეხები ცხენის ფერდებისთვის მაგრა მიეკრათ.—ეს ასე რად არი?—შეეკითხა სალი. პასუხი არავინ მისცა.

— ეს ვინ არი?—გაიმეორა.

— მაიმუნი — ღრეჭით უპასუხა მხლებელმა კაცმა, რომელმაც ერთად ერთმა იცოდა ქართული.

— საცა შენი საქმე არ არი, იქ ცხვირს ნუ ჰყოფ. წადი აქედგან!—შეუტია ალექსამ.

— მითხარით, ვინ არის, და წაეალ.

— ხომ გითხრეს..

— მაიმუნი არ არი. მაიმუნს კული აქვს. იმ დღეს თათარი დაირაზე ათამაშებდა თუმცა იმასაც ჯაკვი ჰქონდა.—დაუმატა ფიქრიანად სალიმ, კვლავ.

მიაჩერდა შებოჭილს, რომელსაც პატარა, განიერი ცხვირი ზევით აქცვლებოდა. სიმინდის ფუჩეჩის ფერი თხელი თმა ვიწრო შუბლზე ჩამოწეწოდა, ბეჭებში მოხრილიყო.

სალის ამისთანა სახე არ ენახა, მაგრამ რაც უფრო აკვირდებოდა, მით უფრო აღმოჩნდა, რომ მაიმუნი მაინც არ იყო.

ჩაფიქრებული სალი სახლისკენ წამოვიდა, კიბე აიარა, ოთახის კარი ფრთხილად შეაღო. სტუმარი სკამზე იჯდა სარკმელთან, სოფელს გაჰყურებდა. უქუდო, თმა თეთრი, მზისგან ალექსილი სახე, მკვეთრი ხმა, მაყურებელს შესაფერად გილზე აყენებდა.

— ხმალი მოიხსენ, რამაზ! — თავაზიანად სთხოვა კიაზომ.

— არა ღირს.. მალე უნდა წავიდე.. ამაღამ ქალაქში თუ არ ჩავედი, არ იქნება. — უაპსუხა მან.

— შენ არ მომიკვდე, დღეს არ გაგიშვა. ძლივს ჩემს სახლში დაგინახე.. მოსვლა შენი იყო, წასვლა ჩემი. — ღიმილით უთხრა მარიამმა..

— არც მაგაზე გაწყენებ. კიდეც რავდენსამე საათს მოვიცდი, მაინც დაღალული ვარ. რამაზმა ხმალი მარიამს გადასცა.

— იცოცხლე, ჩემ საყმოს თავი ვაცნობე! იქამდის გავბოროტდი, გონება ამერია. კიდეც ჯარის კაცებმა შემაჩერეს, თორემ, ქრისტეს საფლავს გეფიცებით, კინალამ იქაურობა გადავწვი. მათრახების ძალა რომ იგემეს, მერე ძალღებსავით ფეხებს მილოკავდნენ ის წუწკები.

რამაზმა უღვაშებზე ხელი გადაისვა, თვალები მრისხანედ გადაატრიალა, მაგრამ, როდესაც კარებთან ატუხული ბავშვი დაინახა, ხმა დაუშვა. ბავშვი თვალს არ აშორებდა.

— ალბად ეს ოთახისაა. მოდი ჩემთან. გოგონა! — მიუაღერსა რამაზმა.

სალი არ ინძრეოდა, ისევ დაკვირვებით უყურებდა.

— რას გაშტერებულხარ, შვილო? იახელ ძიას! — დაუძახა მარიამმა.

ბავშვი ჯერ წინ წადგა, შემდეგ თითქო რალაზედაც შეკრთაო, კიაზოსკენ წავიდა. — ერიჰაა! რა უზრდელი ყოფილა ეს ჩემი ბიძაშვილი! — შესძახა რამაზმა, სალი არ მოეწონა.

— მეცა მყავს შენოდენა გოგონა. ნახე ჩემი რუსუდანი! მეჯავრება სოფელი. რაც უნდა დიდი კაცი იყვე, თუ სოფელში ჩარჩი, სოფლის ფერი დაგედება. ამ ბავშვს ერთის შეხედვითვე ეტყობა — გლეხებშია გაზრდილი!

— უიმათოთაც რომ არ ვარგივართ, რა ვქნათ?

— ჩემო კეთილო, სიძევ! შენც რომ გლეხებში ტრიალებ, იმიტომაც მოგდის ეგ აზრები. მაინც როგორა ფიქრობ? გლეხები ჩვენთვის არიან, თუ ჩვენ გლეხებისთვის? ერთი მითხარი, ბატონი რის ბატონია, თუ მას ყმა არ ემონება?

ამ დროს კიაზოს სალიმ ყურში წასჩურჩულა რალაც, კარზე გაიყვანა, მოაჯირს მიაყენა.

— პაპა, ის ვინ არის? — შეეკითხა ათრთოლებულის ხმით და შებოჭილ კაცისკენ ანიშნა.

— ჯარისკაცია. — უპასუხა შემკრთალმა კიაზომ, რომელსაც ერთადერთი სა-
ნახავეი.

— რად არის ისე?

კიაზომ ჩაახველა და, რომ ბავშვს კვლავ რამე არ ეკითხა, საჩქაროდ ალექ-
სას გაუბრუნდა, უბრძანა ჯარისკაცებისთვის ცხვარი დაეკლა, ბატონებისთვის
კი სამარხო გაეკეთებინა. ერთხელ კიდევ გახედა შეკრულ ჯარისკაცს და ოთახში
შემოვიდა, სალიც უკან გამოჰყვა.

— მარიამ, აბა შენებურად დატრიალდი, აივანზე სუფრა გააშლევინე, —
უთხრა ცოლს, თან ცდილობდა მხიარულად ყოფილიყო, მოღუშული შუბლი კი
წინააღმდეგს ამბობდა. როდესაც რამაზთან მარტოდ დარჩა, დააპირა გამოე-
კითხა დასჯილის ამბავი, მაგრამ კარგა ფიქრის შემდეგ არჩია ჯერჯერობით
ჩუმიად ყოფილიყო და ამ საკითხის გადაწყვეტა ისევ მარიამზე გადაიტანა. ის
უფრო მოახერხებდა, რადგან ქალი იყო და ახლო ნათესავი და, როდესაც მა-
რიამი გარედგან შემობრუნდა, მიხვდა ფერი რად შეკრთომოდა, ტუჩები რად
უთრთოდნენ. ცოლ-ქმარმა ერთმანეთს შეხედეს.

* * *

გრძელ აივანზე სუფრა გაიშალა, რამაზმა გაბღვირა იმ მხარეს, საითაც
მსხვერპლი ეგულებოდა.

— ცხენზე რომ დაკრულია, იმ ძაღლს არა აქამოთ რა, თორემ!.. — ბრძანა
გენერელმა, თითი დაუქნია ალექსას, რომელსაც სავსე საწვინე მოჰქონდა სუფრა-
ზე. შეშინებულს, ხელები აუცახცახდა, კიაზო რომ არ შეშველებოდა, შეიძლებო-
და იქ მყოფნი დამდულრულიყვნენ...

— მარიამ, ეს სოკო რითია გაკეთებული? — შეეკითხა უცბად ნორბილებუ-
ლის ხმით დიასახლისს.

— ნუ გეშინიან, რამაზ, შენი წმინდა ბერობა არ დამვიწყებია. ვიცი, ხორ-
ცის ქამის წინააღმდეგი ხარ და იმიტომაც დღეს საყველივრო გავაკეთებინე.

— სოკოს ერბო ხომ არა აქვს?

რამაზმა ფიქრიანად წვეწვს კოვხით სინჯვა დაუწყო.

— კიდევაც რო ჰქონდეს, მერე რა არი? განა საყველივროც აჰკვეთე? დღეს
ხუთშაბათია.

— ჰოო, ანგარიში ამერია. ოთხშაბათი მეგონა. საყველივროს როგორ
შეველევი, თუ მარხვა არ არი. ოცი წელი იქნება რაც ხორცის ქამა აკვეთე,
საყველივროც დიდ მარხვას გარდა ოთხშაბათ პარასკეობითაც. მოხუცი ვარ,
სულხედაც უნდა ვიფიქრო თუ არა! ხორცს რომ ვუყურებ, მეზიზღება, ასე მგო-
ნია, ადამიანის ხორცსა ვჭამ მეთქი.

მარიამმა უიმედოდ გადახედა ღვინის ბოთლს. იცოდა, რომ რამაზ ღვინო-
საც ერიდებოდა, დღეს კი განზრახვის შესასრულებლად დიდი საჭიროება იყო,
სტუმარს სასმელი დაეღია.

— მოდი, რამაზ, რაც იყვეს, იყვეს, ერთი ჭიქა ღვინო ჩემი სადღეგრძელო
გადაჰკარი. ღიმილით შესთავაზა დიასახლისმა.

რამაზმა უარის ნიშნად ხელი გაუქნია, პირში დიდი ლუკმა ჩაიღო. სტუ-

მარს თანდათან დალაღვა ემატებოდა, მშვიდდებოდა. მარიამმა ცოლშვილი მოაგონა, მეტადრე ორი ვაჟი — პეტრე და პავლე. რამაზს თვალები გაუბრწყინდნენ. სალის გაუღიმა, რამდენჯერმე ლოყაზე საჩქმეტადაც წასწვდა, მაგრამ სალი მის ხელს იცილებდა. გენერალმა ვერ შეამჩნია შუადღემ როგორ გადაიწვია, უნდოდა შეეყვირა, რომ ცხენები მოერთმიათ. დალაღვამ დასძალა და ოთახისკენ თვალის მოსატყუებლად წავიდა.

— არ შეიძლება! სანამ ჩემსას არ შევასრულებ, მოსვენებას არ მივცემ! — გაუელვა თავში მარიამს. სალის ხელი წაავლო და რამაზისკენ წავიდა. სტუმარი უკვე იწვა, თვალები მოეხუჭა.

— რამაზ, ხომ არა გქირდება-რა? — შემოსძახა ამ დროს კარებიდან მარიამმა.

რამაზმა ზარმაცად თავი გადმოიღო, თვალებზე ხელი მოისვა, თითქო უნდოდა მომდგარი ძილი როგორმე მოეშორებინა.

— შენისთანა გულუხვ დიასახლისთან განა კიდევ რამე დამქირდება? — უპასუხა მთქნარებით.

— რა ვიცი, იქნება მეხათრები? რაკი იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს, იქნება გავიწყდება, რომ ასეთი მახლობლები ვართ? — განაზებით წარმოსთქვა ქალმა და რამაზის ფეხთით სკამზე ჩამოჯდა, სალიც გვერდით მოიყენა.

— რას ამბობ, ქალო? როგორ თუ მავიწყდება?!. აი, ეხლაც რომ გიყურებ, ასე მგონია დედაჩემი გაცოცხლებულა და თვალ წინ მიდგას მეთქი. ასეთი მსგავსებაც კმარა, რომ სამუდამოდ მახსოვდე.

მარიამმა გაიკისკისა.

— მაშ რახან აგრეა ნათქვამი, საქმით უნდა დამიმტკიცო. არ მახსოვს შენთვის მეთხოვოს რამე, ეხლა კი... — ქალს ხმა აუთრთოლდა.

— ბატონი ხარ, თუ შესაძლებელი იქნება...

— შეუძლებელს არც მე გთხოვ.

— მაშ მიბრძანე.

— შეკრული კაცი მაჩუქე.

ჯერ არ გაეთავებინა სიტყვა, რომ გენერალს სახე უცბად შეეცვალა, აელანდა, თვალებში მრისხანებამ გაუელვა და მსწრაფლ წამოჯდა.

— ეგ რა მითხარი, ქალო?... თითქო შეუძლებელს არა გთხოვო? — შეპყვირა.

— შეუძლებელი არ არი...

ქალის ნაზმა და დაფინებულმა ხმამ მჭუხარე ხმა შეათრთოლა.

— საქმეს ნუ შირევ!..

მარიამს რამაზის შემოძახილი წინანდებურად ცივად და მედგრად აღარ ეჩვენა, ყინული გაბზარულიყო.

— იცი ეგ შეკრული ვინ არის? გამოპარული ჯარისკაცია, რომელსაც შემთხვევით შევეფეთე და რომ არ დამეჭირა, სამხედრო წესრიგი დაირღვეოდა. ყველა ჯარისკაცი გაპარვას გაიადვილებდა, მხედრობას უწესობა დაშლიდა. ჩემი მოვალეობაა ამალამვე ქალაქში ჩავიყვანო და დავსაჯო.

— ეგ უკვე დასჯილია, გთხოვ მაჩუქო უბედური.

— არ შემიძლიან! — შემაგრებულის სიბრაზით დაიჩურჩულა გენერალმა, ჩურჩული სისინსა ჰგავდა.

— კიდევ გთხოვ...

— არაფრის გზით!

— მაშ რაში ერთი აირჩიე: ან მე, ან ეგ... ამ თხოვნის შეუსრულებლობა და შენი ჩემგან სამუდამოდ დაკარგვა ერთი იქნება... შეხედე ამ ბავშვს, წინ რომ გაფითრებული ვიდგია. ღვთის მორწმუნე კაცი ხარ, იცი ბავშვის ვედრება რა სიწმინდეა? ამას კიდევ მიუმატე შენი პეტრე და პავლე, რომელნიც ჩემის პირით გეხვეწებიან...

მარიამი ზეზე წაშოდგა. მეტად აღელვებული იყო. თვალს არ აშორებდა რამაზს რომელიც, თითქო დარცხვენილი, ხმა გაკმენდილი იყო.

— ოოხ!. რად იცით ქალებმა ასე სულში ხელის ჩაწვდენა?! რა გაგიხდა ერთი ვილაც ოხერი ნუშკა რუსი, განა ამ ამბებად ღირდა?! — შესძახა ბოლოს და შუბლზე ხელი შემოიღო.

— ვინც უნდა იყვეს, ადამიანია. ამას მოითხოვს კაცთმოყვარეობა...

— შვილებს გეფიცები, მარიამ, შენს მეტი ვერავინ გამიბედავდა მაგაზე კრინტის დაძვრასაც. მაგრამ... შენ... შენ... როგორ მოვიარო?... ეჰ, რაც იყოს იყოს: დამითმია, წაიყვანე!.. ამას ლა გთხოვ, მოაწყე ისე, ვითომ არც კი გამიგია, თორემ ჩემი ნების სისუსტის ვისთანმე გამხელა ჩემი სიკვდილი იქნება...

რამაზს წარმოუდგა გუშინდელი თავისი სიძლიერე, ხალხის აწიოკება. შეადარა ცეცხლის მათრახის მჭერალ მთავარ გაბრიელად მოვლენილი რამაზი დღევანდელ რამაზს, რომელიც ამ წუთებში მარიამის წინ თავდახრით იდგა და თავშემაგრებით ამოიოხრა.

მარიამი ხმას არ იღებდა, თავისის საქციელით დაღლილი იყო, თვალეზზე ხელები მიიფარა, განცდა ცრემლით გააღხო. საღიმ სახიდან ხელები ჩამოუშალა, გაუღიმა. რამაზიც ტახტზე ჩამომჯდარი ფიქროიანად იატაკს დაჰყურებდა.

— შეკრულს ხელები ბავშვმა გაუხსნას, — მისძახა მარიამს, რომელიც ოთახიდან გადიოდა.

სალი დასჯილთან გაჩნდა. ცხენებს წინ ქერით სავსე გოდორი ედგათ. ჯარისკაცები სუფრას შემოსხდომოდნენ. დასჯილის ცხენს განმარტოებით თავი თოფრაკში ჩაეყო, საქმელს ახრამუნებდა. ყოველ მის განძრევას მხედარის დაკვნესება თანა სდევდა.

მარიამმა უბრძანა, ტყვე ცხენიდან მოეხსნათ. ჯარისკაცებისგან ცივი უარი მიიღო:

— მაპატიეთ, ქალბატონო, სანამ გენერალი არ გვიბრძანებს, ჩვენ ხელის ხლება არ შეგვიძლიან, — უთხრა ერთმა მათგანმა. ეტყობოდა ჯარისკაცი არ იყო, რამაზს შინა მოსამსახურედ ახლდა. დანარჩენები რუსები იყვნენ.

— რაკი ჩემ სახლში ნაწამები ადამიანი მოგიყვანიათ, მოვალე ვარ გაჭირვებისგან ვიხსნა, — შესძახა მედიდურად ქალმა.

— თქვენი ნებაა, მაგრამ... მაინც თქვენს ბრძანებას ვერ ავასრულებთ, სანამ... — წაილაპარაკა იმავე კაცმა და დაღონებულმა მარიამს შეხედა..

მაშ გადექი განზე. ჩემი ოჯახის ბატონი მე ვარ და გენერლის წინაშეც მე ვაგებ პასუხს. ალექსი, ჩამოხსენი!..

ჯარისკაცებმა გაოცებით შეხედეს ერთმანეთს. სალი ეცხენეს — გარშემო დაძვრებოდა. როდესაც შებოჭილი ცხენიდან ჩამოიღეს, ზღვარულთები შემოხეოდა, წვივები სისხლში ამოსვროდა. სალიმ თოკს წვევა დაუწყო. თოკი მსხვილი გამოდგა. ალექსიმ დანით ჩასჭრა. ამ დროს ბავშვს ხელში საკმლით სავსე ჯამი ეჭირა. საკმლის სუნმა მშიერ კაცს ცხვირში მიუღიტინა, თვალეები დააჭყიტა, მარტო ეხლა იგრძნო ქალი და ბავშვი სასიკეთოდ მოვლენოდნენ...

— ნუ გეშინიან, ამხანაგო, ქალბატონმა დაგიფარა, — უთხრა დამტვრეულის რუსულით რამაზის მხლებელმა.

ჯარისკაცმა ხელების ხმარება სცადა, მაგრამ აქეთ-იქით ჩვრებსავით უსიციოცხლოდ გადაუცვივდნენ...

— ალექსი, რაც შეიძლება მოხერხებით დააწვინე, რაც მოგთხოვოს მიეცი, — გასცა ბრძანება მარიამმა. ფეხაკრეფით წავიდა რამაზისკენ, რომელიც უკვე დამშვიდებული ხერინავდა.

კიაზო ვითომ ვერ ამჩნევდა ცოლის ქცევას, თვალეებით მადლობას ეუბნებოდა.

* * *

სალი ჯარისკაცს აღარ შორდებოდა. ისიც ძაღლონეს იკრებდა, ბავშვს და ალექსის რაღასაც ეუბნებოდა, მაგრამ არა ესმოდათ-რა.

ძილის შემდეგ რამაზი კარგ გუნებაზე აღვა, აივანზე ყველანი მხიარულად ლაპარაკობდნენ. სალიც ძიას აღარ ეუცხოებოდა, ეტიტინებოდა. რამაზიც გულიანად ხარხარებდა, ბავშვს თავზე ხელს უსვამდა.

წყნარი სალამო იყო. მზე ჩასვენებას ეპირებოდა. ღორ-ხბო კყვირილ-ბლავილით მოეშურებოდა სახლში დარჩენილ წვრილფეხობისკენ, რათა მათთვის დღისით მონაგროვი საზრდო მოეტანათ.

რამაზი დაუდევრად უყურებდა, აღმაცერად გახედავდა მასპინძლებს. ატყობდა ამ სურათით დიდი კმაყოფილები იყვნენ. რამაზი ამ გარემოებაში ყოფნას თავს არ აკადრებდა. თუმცა თვითონაც სოფლების პატრონი იყო, მაგრამ ყველა ეს შემოსავლისათვის ეგულებოდა.

— გლეხებში ცხოვრება?!. ხი-ხი-ხი! ხითხითებდა გულში თავადი.

— ივან!

— ჩავო იზვოლტე, ვაშე სიატელსტვო? — თავლიდან მსწრაფლ გამოვარდა დაფეთებული ჯარისკაცი და საფეთქელზე ხელ-მიღებული, ერთ ადგილს გაშეშდა.

— ცხენები!..

მარიამი და კიაზო ბევრს ეხვეწნენ დარჩენილიყო, მაგრამ სტუმარმა მასპინძლებს თხოვნა აღარ გაამეორებინა. გამოეთხოვა, სალის აკოცა, შეახტა თეთრ ცხენს, რომელიც ძლივს ეჭირათ.

რამაზის წასვლა ყველაზე მეტად სალის იამა. მართალია, ბოლო ხანებში ძია დატკბა, მაგრამ როდესაც ბავშვს თვალწინ უდგა დაკუტებული, სისხლში

მოსვრილი ადამიანი, გულში აღშფოთება არ უნელდებოდა. სალიმ ისიც გაიგო რომ რამაზი მისი მამის ბიძაშვილი იყო, მარიამის დეიდაშვილი, მაგრამ მისდამი სამდურავი ბავშვის არსებაში მაინც არ შესუსტებულა.

მეორე დღეს სოფლის ბავშვებმაც გაიგეს ყველაფერი და მთელი სოფელი დასიდა. ვასილა რუსს გარს ეხვეოდნენ. ბავშვებს დიდები მოსდევდნენ, უნდოდნენ ენახათ თუ დავრდომილი ბატონიანთ ბოსლის კარებზე როგორ წვალობდა.

დედაკაცებს მოჰქონდათ კოჭებით მაწონი, კვერცხები, ხილი.

— ვაჰ შენ დედასა, შვილო! — ამბობდა მისი დამნახავი მამა, გულში მუშტებს ირტყავდა.

ხუთი წელიწადი იყო, რაც მისი თედო ჯარისკაცად რუსეთისკენ გადაელუპათ. მას აქეთ მამამ იმისი ასავალ-დასავალი არ იცოდა. მამას წუწუნს უერთდებოდა სხვა დედაკაცების წუწუნიც, ჩივილი, ცრემლი.

ვასილა მიხვედრილი იყო, რომ თანაგრძნობისთვის მოსულიყვნენ, თვითონაც უღიმოდა, თავს უქნევდა.

ამ სურათის მაყურებელ სალის უცბად გვერდიდან წამოურბენდნენ ტოლები, მძიმე შთაბეჭდილებიდან ანთავისუფლებდნენ. მის ნორჩ გონებას თვალ წინ უყენებდნენ ახალ სხვა სანახაევებს: გაჭიმული, თვალუწვდენი ველ-მინდვრები, მორაკრაცე მდინარენი, ატეხილი ქალა, მხიარული შემოძახილი, ყველა ეს სალის აფხიზლებდა.

ვასილა მორჩა, წყლულები მოუშუშდა, სიარული დაიწყო, ბოსტანში მებალეებს ბარვაში მიეხმარა.

ერთხელ ჯერ მზეს არ მოესწრო სხივების ფართედ გაშლა, რომ სალის ძილში მოესმა:

— გაიღვიძე, შვილო! რავდენი ხანია ვასილა გელის.

— რა იყო, ძიას მიჰყავს? — იკითხა თვალების ფშვნეტით ბავშვმა. ზეზე წამოვარდა.

— არა, თვითონ მიდის. ამბობს, სახლში უნდა წავიდვო.

სალი წუთს კიბესთან გაჩნდა. ვასილას სავსე პარკი მხარზე გადაეკიდნა, კიაზოს ძველები ჩაეცვა, კიბის ქვედა საფეხურზე ბავშვს ელოდა.

— ნუ, ბარიშნია, ბლალოდარიუ ზა მილოსტ.. ეელაიუ ვამ დობრავო ზდოროვია, პროშჩაიტე! — წარმოსთქვა, თავი დედამიწამდე დაიღო, ხელზე აკოცა, შემდეგ მარიამის მუხლს წაეტანა, მაგრამ მარიამმა არ გაუშვა.

ვასილას სახე უბრწყინავდა.

— წადი, შე საწყალო, წადი! გაფრთხილდი კი გზაში, ვისმეს არ წააწყდე. — ეუბნებოდა მარიამი. ვასილას კი ხელში დიდი კეტი ეჭირა და უკვე მტკიცედ მიაბიჯებდა.

* * *

შემოდგომის ჰაერი მეტადრე დილით საგრძნობად ისუსებოდა. კიაზოს კარზე ეტლი იდგა. ლობესთან მიბმული ეფვნებიანი ცხენები, თივას ახრამუნებდნენ.

აივანთან სამი საბარგო ურემი სანოვაგე ავეჯით იტვირთებოდა, მეურმეებს ილღიაში პურები ამოეჩარათ, ყაბალახით თავშეხვეულები მოუსვენრად ფაციფუცობდნენ. ურემის თვლებს საპონს უსვამდნენ, ტანზე ალაგ-ალაგ ჩოხა ამოეგლიჯათ, ლურჯი ამერიკის ნიფხვის ნაფლეთებიდან ტიტველ კუნთები უჩანდათ.

— მაამოო! მაამოო!.

— ხიოო! ხიოო!

ბატონიანი საზანთროდ ქალაქისაკენ იბარგებოდნენ.

— აღარ უნდა გამოხვიდე, ადამიანო? როდემდის გელოდოთ?— შესძახა სტეფანემ ბაბედას ბოსელში. ბაბედა გამოჩნდა, ცხრა ადგილას ფალასებით დაკვრებული შავი კაბა ტანზე ძლივს შემოსუსოდა, შავი შალის დამდნარი ნაგლეჯი თავზე წამოეხურა. ხნოვანებისგან წახრილი ბეჭები ძლივს მალლა აიწია, კოშკსავით აშენებულ ურემს შეხედა.

— სანამ მანდამდე ავალწევდე კიდევაც სული გამცვივა, შვილო!— ჩაიჩიფჩიფა ბაბედამ, კოხტა ეტლისკენ ნალვლიანად გაიხედა. ეტლი ბატონების წასაყვანად მოსულიყო, ყურში ეფენების ჟღარღნი ესმოდა.

— ნუ გეშინიან, დიდედო! თუ აქამდის გაგიძლია, ახლაც ფიქრი არ არი.— უთხრა სტეფანემ და მოხუცს უშველა.

როგორც იყო, ბაბედამ დამძიმებული მუხლები ძლივს ურემის კალებზე ვით აიტანა, გადაბრუნებულ მაგიდებში ჩაჯდა. ბიჭებმა კბილები კრიჭეს.

— პაღია, თოკები მაგრა გადაუჭირე, თორემ თუ გზაში სადმე დაიძრა ეს ამოდენა ხორგი, მაშინ ნახავ ამ ჩვენ ბებერს რა მოუვა!

სიტყვებს ხარხარი მოჰყვა. ბაბედას ესმოდა ბიჭების ლაზღანდარობა, მაგრამ ყურს იყრუებდა, არ უნდოდა ისეც ჯველობისგან თავწასული ახალგაზრდობა მეტად გაელიზიანებინა.

— გიო, შოლტი წაბლას!— შესძახა მეურმემ. წინა ურემი, საიდანაც ბაბედა ყარყუმით გადმოიყურებოდა, რხევით და კრიალით დაიძრა, მას მიჰყვა მეორე, მესამე. ყვეარი შარაზე გაიშალა.

— ფრთხილად იარეთ, გზაში არა დაჰკარგოთ რა! ვინძლო ქალაქში თვალნათლივ ჩამოხვიდეთ!— მზრუნველობით ეუბნებოდა კიაზო აივანიდან. თვითონაც სამგზავროდ მომზადებულიყო. სალი გვერდით უდგა, თვლები უბრწყინავდა იმ მოლოდინით, როცა ველ-მინდვრებზე ეტლით გაგრიალდებოდა, ნახავდა დებსა და ძმას. მაგრამ ამავე დროს გაახსენდებოდა, რომ სოფელს სტოვებდა, უცბად სახე ეკვლებოდა, უღონდებოდა.

— რა ეუყოთ რო მიედივართ! მივდივართ ცოტა ხნობით, ისევ მალე მოვალ... მოვალ.— თავს ინუგეშებდა ბავშვი.

ცა მოღრუბლულიყო, ნაწვიმარ დღეებისგან ატალახებული დედამიწა ოდნავ შემშრალიყო, კობიკნარები სევდის ამწლელად თვალში ეჩხირებოდა. სოფლის ბავშვები სალის შენატროდნენ, რომ პრიალა ეტლში ჩაჯდებოდა. ეტლი დაიძრა. აწკარუნდნენ ხარები. ცხენები ყუნცულ-ყუნცულით წავიდნენ.

სალი კიაზოსა და მარიამის შუა იჯდა. მალე ეტლს სოფელი უკან დარჩა. გამოჩნდა სამი ერთად შეტყუპული მუხა, სოფლის მინდვრების მოსაზღვრე. სა-

გაზაფხულო დახნული მიწები ერთი მეორისგან ცალკევდებოდნენ ჯერ კიდევ მოუჭრელ ნაგვიანევ სიმინდებისგან. კიაზოს და მარიამის სამკვლობელო თვალწინ აღმა-დაღმა გულლიად გაშლილიყო.

— იმ დღეს ფერდაზე რომ ლაპარაკობდი, კიაზო, ექვსჯერ წყევუბა მარიამმა და ხელი გაიშვირა გორაკისაკენ, სადაც სასაულაო მოსჩანდა.

— სწორედ ეგ არი... თუ ცოტა მაინც გვალვიანი ზაფხულია, ყოველთვის მომცდარია. მაგის პირდაპირ კი ნერვის მიწაა, კარგი ხოდაბუნია.

— ისევ ქიტესას უჭირავს?

— უჭირავს. სოფელში კაცი არა სჯობიან. ღალის მოცემაში კი ქინკულიანობს. კაცი თურმე ასე ყოფილა: რაც მეტი აქვს კიდევ მეტი უნდა. მაგრამ მოთმინებასაც ბოლო ეღება. თუ კიდევ გამაწვალა ჩამოვართმევ.

სალი ისმენდა ცოლ-ჭმრის ლაპარაკს. ეჩვენებოდა თითქო თანამგზავრნი შეცვლილიყვნენ. ბავშვი მათ ველარ სცნობდა. ეს ის კეთილი კიაზო აღარ იყო, რომელიც ხშირად ეფერებოდა სალის, არც ის დიდება, რომელიც ზრდიდა, უფრო ხილდებოდა. იყვნენ ბატონები, რომელთაც ხშირად მორიდებით და კრძალვით იხსენიებდნენ ხოლმე სალის წინ გლეხები.

— ე ბავშვთან მაინც ნუ ლაპარაკობთ და ისე რაც გინდათ ქენით. — ეუბნებოდა ერთხელ ქიტესა თავის დედაკაცს, რომელიც ბატონებს რალაზედაც უჩიოდა.

— შენც მოგიცლია, კაცო, თითის სოგრძე ბავშვს რამედ აგდებ! გავიწყდება, რო ჩემის ძუძუთია გაზრდილი? ამას უნდა მოვერიდო?

— მაშ არ იცი, უნდა მოვერიდო? ეხლავე ჩემხელა ენა აქვს. გავიწყდება, რო ბატონის შვილია?!

დედაკაცი ხმაჩაკმენდილი უყურებდა სალის. სალიც შეშინებული მიჩერებოდა ქიტესას, რომელიც შეშაზე ტყეში წასასვლელად ურემს მართავდა.

ბავშვი თინათინის კალთაში ეხეოდა, თითქო ქიტესასგან თავს იფარავდა.

— სალი ბატონის შვილად არ მიძაჩნია. ეს დედა-დაკარგული წიწილია, სოფლის ნამცეცებით გამოზრდილი. იმედი მაქვს სოფელს არ უღალატებს. საცა სოფელი, ესეც იქ იქნება.

ამ სიტყვებით თინათინმა კაბის კალთას გადასწია. ორმა თვალმა გაუბედავად შეანათა. მაგრამ, როდესაც აღერას შეაუდა, ბავშვმა საჩქაროდ ხელები კისერზე შემოაჭდო. კარგა ხანს მიაშტერდა და უსიტყვოდ შეკრუცა არასდროს მათვის არ ემტყუნა.

სალის უხაროდა, რომ კიაზო გზაში იყო. სანამ დაბრუნდებოდა, კიდევაც გადაავიწყდებოდა. თინათინიც წინანდებურადვე მოკიდოდა მარიამთან, თებროს სალისთან, სალიც თავისუფლად ირბენდა სოფელში. ბავშვს ცხოვრება სხვაურივ ვერ წარმოედგინა.

— შენ რალას ჩააცივდი ამ გუცასა, ქა?... სხვა მეტი ვეღარა ნახე? ჯანჯლარით ლამის თავპირი დაგვამტვრიოს? — შესძახა უცბად გულმოსულმა მარიამმა, როდესაც ეტლის თვლებმა ხორგზე გადიარეს.

— გზას დახედე და მერე სთქვა. მეეტლე რა შეაშია! — უპასუბა კიაზომ,

სახეზე ქუდი ჩამოიფხატა, ხმადაბლა აღიღინდა. სალის მოეწონა გრძნობით სა-
ვსე ღიღინი, ეტლის თანაბარი რწევა, მინდვრებიდან მოქიქიქე ნიავე.

— ხაბარდაა! — უცბად შეჰყვირა მეეტლემ. ეტლი აყირავდა, ურმის, ღერძს
ეტლის თვალი წამოედო, მეეტლემ ვილასაც მათრახი გადაუტრიალდა. მთელი ქუზე
წამოვარდა, მეურმეებს ჯავრობა დაუწყო.

— თქვე, ძალღიშვილებო, ვერა გვხედავთ, რო მოვდივართ?

— ეგენი ჩვენები არიან, — შესძახა სალიმ და კიაზოს ხელები დაუჭირა. პა-
ტარა ბიჭები კოფოებიდან გადმოცვივდნენ, ხარებს სახრე დაუშინეს, როგორც
იყო საქონელი განზე გადააყენეს, ეტლს გზა დაუთმეს.

სალიმ ბაბედა დაინახა, აცახცახებულის ხელით შალის ნაგლეჯს ბეჭებზე
რომ იფარებდა, ბატონებისკენ აღარ იყურებოდა.

სალის შეეცოდა მოხუცებული, მიიხედა ეტლის წინა სკამისკენ, მაგრამ
სკამზე კიაზოს ნაბადში შეხვეული ფეხები ელაგა. ამ დროს ეტლი ძალზე გაირ-
ყა, ურმები უკან ჩამორჩნენ, ეტლი ისევ თავისუფლად გაგრიალდა, აღელვებას
მოჰყვა გარინდება, გარინდებას ხარების წკარუნი, ოცნება, ხმა დაბალი ღიღინი...

IV

კიაზო ცისკარას სახლში დაბინავდა, ციხის უბანში.

სახლი ოთხთვალისანი იყო, ოღრო-ჩოღრო ეზოთი, ქვა-ლორღით სავსე,
ბნელ ლამეში საშიში, ხაში ადამიანისთვის კისერ-სატეხი.

სადაც მარიაშის და სალის ოთახი უნდა ყოფილიყო, ერთი კარი ცისკა-
რას ოთახში შედიოდა.

ცისკარას ნათლობის სახელი ელისაბედი, არ იხსენიებოდა, ყველა ცისკა-
რას ეძახოდა, თვითონაც შესჩვეოდა ამ სახელს. ხანში იყო, ტარანსავით გამზ-
მარი, ფერუმარლით წაგლესილი.

წვრილი, გრძელი კისერი ყოველთვის აშფოთებულ პატარა თავს ძლივს
იმაგრებდა. მუდამ შავებში იყო. დიდი ხნის დაქვრივებული, მაინც აბრუს არ
იტეხდა, გაკაპასებული ყველას პირში უდგა.

— იქნება გეგონოთ, ქმარი რომ არა მყავს თავი დაგაბრიყვებინოთ?.. ჰმ!..
აგრემც მიქნია!. ქმარი თავისთვის იყო, მე ჩემთვისა. ის მოკვდა, თავისი წილი
ქვეყანა თან წაიღო, მე კი ჯერ ცოცხალი კიდევ ჩემსას გავიტან! თავის დაქნე-
ვით იტყოდა ხოლმე, როდესაც შეამჩნევდა, თუ ვინმე აბუჩად შეხედავდა.

ჯერ არ იყო ნანათლი, ცისკარა კოჭლობით, ჯოხით ხელში, მუხლებში
ქარებ-დამდგარი, მაინც კარზე გამოვარდებოდა, სულ მცირე რამეზე მეზობლებს
კივილით ძილს უფრთხობდა.

— გათენებულა! ცისკარა ყვირის! — ამ სიტყვებით მეზობლები ლოგინში იშ-
მუშნებოდნენ.

დედაკაცი სიხარულისგან ფეხზე აღარ იდგა, როდესაც მისი ორი ოთახი
კიაზომ დაიჭირა.

— მეშველა... ეხლა კი შექველია ქალსაც გავაზოხვებ... კნიაზებს ქეიფი
უყვართ, იმათ სახლში ავან-ჩავანი არ დაილევს. რა კარგი საქმე მომივიდა, რო

მშიერი უჩიტელი გავიცალე! ქირის სათხოვნელად რო მივიდოდი სოლმე, ფეხები უკანა მრჩებოდა... მე რომ იმას ახლად ნაყიდი კალოშები ძლივ-ძლივობით დავაძერი. ღმერთო შეგცოდე, და იმის შემდეგ არც მე მომიყვებოდა საქმე. გავიდა თუ არა, სახლს საიდანღაც ცეცხლი გაუჩნდა, კინძობა გაცემდა. მას დღეს აქეთ დავიწყველე, ვინც ჩემ თავად, კიდევ სახლში მშიერი მდგური შემოუშვას, ასე და ისე მომივიდეს მეთქი!.. თავადი კიაზო კი პირის კაცია, იმასთან ფული არ დამეკარგება!...

— გვეშველა, შვილო, გვეშველა! ამ ზამთარს ძალიან იოლად გამოვალთ. — ეუბნებოდა ცისკარა თავის ქალს ანუშკას, რომელიც ოცდაათწელს გადაცილებულიყო, მაინც სამქროს ელოდა. ცისკარაც მოუთმენლად ელოდა მდგურებს, მდგურებზე კიდევ მეტად სანოვაგით დატვირთულ ურმებს.

მარიამსა და სალის სახლის პატრონი ჯოხის კაკუნით წინ დახვდა, თავი დაუკრა. ანუშკაც ეტლთან გაჩნდა, მარიამს გადმოსვლა უშველა.

— გაიცანით, ეს ჩვენი სახლის პატრონია, ესეც ამათი ქალი.

— აქეთ, გენაცვალეთ, აქეთ! — ეპატიებოდა ცისკარა მოსულებს, ბურთივით წინ მიუხტოდა.

— დაღალულები ბრძანდებით... აი, აქ ტახტზე მოისვენეთ, სანამ ოთახებს დაალაგებენ.

სახლის პატრონმა მდგურები მიიწვია თავის ოთახში, სადაც დიდი ხანია ელოდა რბილად დაგებულ ტახტი, გაშლილ მაგიდაზე გამართული ჩაი სხვადასხვა მურაბებით, თეთრი პურები, ცივად მოხარშული დედალი. მარიამმა მადლობით ტახტს მიაშურა. ეტლში ჯდომით დახუთულ სალისაც ლაპარაკი ეზარებოდა, თითქმის უაზროდ შეჰყურებდა ანუშკას, რომელსაც მუხლზე დაესვა, აწეწილ თმებს უსწორებდა, მალე ესეც მიეგდო მუთაქაზე და მიიძინა.

* *

დაღამდა. ლამფის შუქმა სალის თვალებში შეანათა, გამოალვიდა, გახედა: გაკრიალეზულ მაგიდაზე სამოვარი ჩუხჩუხებდა, მას მისხდომოდნენ მარიამი, ცისკარა, ანუშკა; კიაზო არა ჩანდა.

ოჰ, ბარიშნაჯან, გაიღვიძე? — აბა მაშ მობრძანდი, ჩაი მიირთვი, მურაბებით პირი ჩაიგემრიელე! — მოესნა ცისკარას დაშაქრული სიტყვები.

სალის, თითქო არ ესმოდა, გაჩუმებული ოთახს ათვალეერებდა, კედლიდან ბავშვს ვარაყიან ჩარჩოში ჩასმული სურათი უყურებდა. სალიმ ეს სახე ანუშკას მიაგვანა, შესხვაფერებით. სურათი ქართულად ჩაცმულ მსუქანი კაცისა იყო. ზურნა ცხვირი, თვალებ ჩაძვრენილი, გულანდე ლაბაბი, თავზე კალმუხის მაღალი ქუდი, წელზე ვერცხლის ბრტყელი ღილებიანი ქამარი, რომელიც დიდ ფაშვს უმაგრებდა. ყველა ეს ბავშვს არ მოეწონა. სარკმელზე გამკვირვალე და ნაქსოვი ფარდები, ხალით დაფენილი ტახტი, ოქრომკედით ნაქარგი ბალიშები, ჩალის სკამები, კედელზე სარკე, სარკის გვერდით კიდევ სურათი, ისევ ის ღიბიანი კაცი. სკამზე გაფაფხული თავს ადგა ცისკარა, ერთი ხელი მხარზე დაედო, მეორეში ქარვის კრილოსანი ეჭირა და განაზეებით იყურებოდა. წინ ფეხთით გოგოსა და ბიჭს მოეკეცათ... გოგო ანუშკა იყო.

ცოტა იქით კედელზე ეკიდა ეფენებიანი ძელისგან ჩაჩუქურთმებული დაი-
რა, თარი, დიპლიბიტო...

სალის სახე უცბად გაუცოცხლდა, როდესაც აგრიალეზე დაჯდომის შემდეგ და ზეზე წამოვარდა, საჩქაროდ სკამი ბუხართან მიიტანა, ჩამოჯდა, ცეცხლს ხელები მიუშვირა. ცეცხლის სიმბურვალე ხელებს უკოცნიდა, უღიტიინებდა, სწვა-
ვდა. სალი თითებს კრუნჩხავდა, უღიმოდა. ბაეშვის გონება გაჰყვა ნაპერწკლებს საკვამლეში, გაიტაცეს იქით, სადაც უფრო სიცივე-სიბნელეში შეხვეულიყო სო-
ფელი. იქ, ხის სდეულში, რომლის დარაბებშიაც შექიქინებდა ქარი, ეხლა უკ-
ვე ტკბილად ეძინათ მის პატარა ამხანაგებს... მათ გვერდით არა ერთხელ ეძი-
ნა თვითონ სალისაც. არა ერთხელ ძილში შესმენია იქვე ბაგაზე დაბმულ საქონ-
ლის ხრამა-ხრუმი, რადგან ბოსლად მობმული კდეული ხარკამეჩით სავსე იყო.

— ფუნეჩ! ფუნეჩ! აქეთ მოიწი, შე საწყალო!

ეწეოდა კოზაკს თევდორე ხალხისკენ, რათა ჩვილ საქონელს არ შესცივ-
ნოდა, ცეცხლთან ახლო ყოფილიყო. შავად მბზინავი ფუნეჩაც ინახებოდა, თევ-
დორეს არ უჯერებდა, ფრთხებოდა, დიდროვანის თვალებით უყურებდა დედას,
რომელიც იქვე მოშორებით ბაგაზე მიბმულიყო.

— ნოეე.—შებღავლა ფუნეჩამ, მაგრამ დედამ ხმა არ გასცა, თითქო სჯე-
როდა, თევდორე მის ფუნეჩას არ გაიმეტებდა, ცუდს არას შეჰყრიდა.

— ჩამოსულხართ, დედა ჩემო?—გაისმა ოთახში. სალი მობრუნდა, დაინა-
ხა: მარიამი და ნატო ერთმანეთს ეხვეოდნენ. მარიამმა ნატოს მუცელს შეხედა,
ჰკითხა:

— კიდევ მზადა ხარ?

— რას ვიზამ?... ალბად ამისთვის ვარ გაჩენილი.—უპასუხა ღიმილით ნა-
ტომ, სახლის პატრონებს სალამი მისცა, სალისკენაც მოიხედა.

— რამოდენა გამხდარა! მოდი ჩემთან.—დაუძახა.

სალი ნელა მივიდა, მოკრძალებით გაჩერდა მის წინ. არ იცოდა როგორ
მოქცეულიყო. ნატომ აკოცა, ახედ-დახედა და ისევ მალე დედისკენ გაბრუნდა,
სალიმაც ბუხარს მიაშურა.

— ჩემი ვერიკო და ბაბუცა გუშინ ოთარმა თბილისში წაიყვანა... ვერი-
კო რომ ნახო, დედა ჩემო, ძალიან მოგეწონება, სულ შენა გგავს.

ნატომ მარიამს ალერსით შეხედა. ცისკარა და ანუშკა ოთახიდან გავიდ-
ნენ, ქალებმა უფრო თავისუფლად განაგრძეს ლაპარაკი.

— ჰო, ჰო, ჰო, რო იცოდე, დედა ჩემო, არჩილასაგან რა გაოგნებულები
ვართ!—დაიწყო ისევ ნატომ.

— დღე თუ ღამ მოსვენებას არ გვაძლევს. ერთხელვე ეშმაკად ოთარმა
ხუმრობით თავის სამგზავრო ჩამადანში ჩასვა და ოთახში გაათრია. ძალიან მო-
ეწონა. მას აქეთ კყავილით კერებსა ჰყრის, სანამ ისევ ჩამადანში არ ჩააგდებს.
სასაცილოა ოთარი, როდესაც ცხენსავით შეებმევა საცვლებისამარა ფეხშიშვე-
ლი და თოკით აქეთ-იქით ეწევა. უბარიან—დიდი ხნის სურვილი შეუსრულდა,
ვაფი ჰყავს, მაგრამ რა გამოვიდა: გულყრა ვერ მოვაშორეთ. ოთარის ჩუმიად სად
არ ვაკითხვინე, მენიკას სიარულისგან ფეხის გულები გადატყავებული აქვს, რო-

მელ მკითხავთან არ იყო, ყველანი ერთსა და იმავეს გაიძახიან: წმინდა გიორგის მიზეზი აქვსო. მეც შანა შევაბი, ვენაცვალე იმის მადლს, რომელსაც კარგად გამიხდებოდეს და იმის კარზედაც მივიყვან.

— ღვდელს პარაკლისი ხომ ახდევინე?—მზრუნველობით შეეკითხა მარიამი.

— ვინ მოსთვლის, რავდენჯერ! ჩვენი ხატების ოთახი ხომ იცი, ყოველდღე სანთლებით გაბრდღვიალებულია. კვირაობით, მორჩება თუ არა ღვდელი წირვას, მერე ხატების ოთახში დგება პარაკლისზე, მაგრამ ბავშვს გულყრა მაინც არ ეშვება.

— არა უშავს რა, მოზარდია, თანდათან გაუვლის. სხვა შვილები?

— ეჰ, ისინი გულის ჭიები არიან.—ხმა დაიდაბლა ნატომ.

— ამდენი შვილსნობა აღარ შემიძლიან. რაც უნდა დიდ ცოდოდ ჩამეთვალოს, ამას იქით ან თავს მოვიკლავ, ან საშველს გამოვნახავ.

— შენი ქმარი?—საჩქაროდ მიატანა მარიამმა.

— მას რა უშავს... ნახევარზე სახლში არ არი. თუ მთაში არ არი, ქალაქში მიდის, ოცნებაშია, იმედებში, ფული აქვს. რაღაც აჭინებულ საქმეებში ფლანგავს, გაიჩინა საქონელი, შეჰყარა ცხენის ჯოგი, ცხვარი. თან ყველა ეს მოსამსახურეებს მოახვია თავს, რადგან თვითონ რო ჰკითხო, სხვაგანაც ბევრი საქმეები მაქვსო. საცა აბრანძულს რე გაჭირვებულს ნახავს, ფული თუ შეესწრო, უხვად ურიგებს. გლეხები არიან და, არამც თუ ღალას ართმევს, ზედ კიდევ ჯიბიდანაც უმატებს, თუ რასაკვირველია თვითონ არ უჭირს. ფული მაღეც ელევა, მაგრამ ვაჭრებიდან სესხულობს, თამასუქებს უწერს და კიდევ რა ვიცი რას არა სჩადის. როდესაც შევეკითხები, მინდა გავიგო რაშია საქმე, შეუბნება, რომ ქალი ვარ და ქალის საქმე ოჯახი და შვილებიაო. მართალია, ცოლშვილის დიდი მოყვარულიც არის, ჩვენთვის არა შურს-რა, თუ აქვს, მაგრამ უბედურობა იმაშია, რო სულ ფულის მადებარია და ჩვენც ბევრჯერ გვიჭირს... ამ ორი კვირის წინად გიორგიმ სამოცი თუმანი ოთარის ჩუმად მომიტანა. საწყალი, ეხლა მძიმე ავადმყოფი ჩამოიყვანეს კაცებმა. ივანე ამბობს, ფილტვების ანთება ძალიან გასჯდომიაო და მორჩენის ეჭვი აქვს. თუ გიორგი მოკვდა, მაშინ ვაი ჩვენი ბრალიცა. უარესი საქმე მოგვივა. სად არ დაახეტებდა საცოდავს, მეტადრე ამ ბოლო ხანებში, სად არ დაარბეინებდა. სრულიად მიგვეფარა თვალიდან, რაც ჩემმა ქმარმა კარცოვთან საქმე დაიჭირა და მთაში გაეზ-გამოება.

აქ სიტყვა გასწყვიტა ნატომ. მარიამმა გაოცებით შეხედა, არ ეჯერა თუ ნატო ასეთის შებრალებით იხსენიებდა გიორგის, რომელსაც ოდესმე გულზევიად შეჰყურებდა. მარიამი ხედავდა: ნატო ზრუნვას ჩაეფიქრებინა, თვალთა ხედვა გაესხვაფერებინა.

— ოთართან არ გამამხილოთ, ჩრდილსავით უკან დავდევ. სადაც ხელი მიმიწვდება, ვცდილობ რაც შეიძლება მეტი ფული გამოეტაცო.—ტყუილად ქალღმერთში წაგებას, ისევ თქვენ მოიხმარეთო—აი რას მეტყვის ხოლმე გიორგი, როდესაც ოთარის ჩუმად ფულს გადმომცემს.—ლაპარაკობდა ნატო.

ჩამოვარდა სიჩუმე. ბუხარში შეშის ტკაცანი, გარედან ეტლების რიხინი,

ხალხის ხმაური ოთახის სიჩუმეში მკაფიოდ ირკვეოდა. ნატოს და მარიამის ჩივილს ბავშვი სულგანაბული ისმენდა.

— მაშ ჩემი ნათლია ავად არი?!—მწვავედ გაიბრძოლა მწვავედ, სკამის ზურგს მიენდო და დაღონდა.

მეორე დღეს, ჯერ მზე არ იყო ამოსული, მარიამი რომ ხატის წინ დაეთნსა შლიდა. ბაბედა ცეცხლს მიცუცქოდა, გაყინულ ხელებს ითბობდა. ბიჭები ოთახებისკენ ბარგს ეზიდებოდნენ. კიაზო განკარგულებას აძლევდა, საკუჭნაო სანოვაგით ივსებოდა, ცისკარა და ანუშკაც სიამოვნებით ეხმარებოდნენ. სალის აღარ ახსოვს სკამიდან როგორ აიყვანეს, ლოგინში როდის ჩააწვინეს, მაგრამ მეორე დღეს დილა ადრიან კარზე გამოხტა.

— დილის რაქე!— მოესმა ქუჩიდან. ბავშვს გარედან მოტანილი რძე არ მოეწონა. თვალ წინ წარმოუდგა ნიშა ძროხა, დატენილის ჯიქანით ბაბედას წინ ფეხებ გადგმული, ხელადაში მოჩხრიალე ორთქლ-აშვებული რძე...

სალიმ ეზოსაც ცხვირი აუკრა, ქვა-ლორღით ამოჩურთულ ადგილს თვალი აარიდა, ცის სივრცეს გაუსწორა და შვებით ამოისუნთქა.

მზის სხივებით ავსილ ლაქვარდზე თეთრი ღრუბლები მოჩანდნენ, ნისლი ზევით იწევდა, გროვდებოდა მალალ მთაზე, სადაც ეკლესია წამომდგარიყო. ვიწრო ბილიკი ასავალს ამოკლებდა. სალის მოეწონა სუბუჭი ნისლი, ბრწყინვალე მზე, ოქროს ფერად მობრწყვიალე ჯვრები. ქალაქში ეკლესიის ზარები სხვადასხვა ხმებზე ირეკებოდნენ.

— რატომ ერთნაირად არ ირეკებიან?— ჰკითხა სალიმ ანუშკას, რომელიც მასთან ერთად კარზე იდგა.

— ქართველების ზარები მძიმედ, ბოხ ხმაზე ირეკებიან, ჩვენი კი წვრილად, მაგრამ ჩქარ ჩქარა.

— რათა?

— სომხებმა ეგრე ვიცით.

სალიმ შეხედა ანუშკას მაგრამ თავს ანგარიში ვერ მისცა, თუ ანუშკა რად იყო სომეხი, ან თვითონ ქართველი!

კვირა დღე იყო. მარიამმა სალი ჯერ საყდარში წაიყვანა, იქიდან ნატოსთან. მარიამს კარებთან ბავშვები დახვდნენ—ძიძა პაწია არჩილათი.

— უი, დიდი ქალბატონი! სენი წირიმე, რო მობრძანდები!— შესძახა სახეგალიმულმა დედაკაცმა, მარიამის ხელს წაეტანა. მარიამმა ბავშვები სათითაოდ დაკოცნა, შემდეგ მოუბრუნდა არჩილას, რომ საგანგებოდ მიაღერებოდა.

— უყურე ქალბატონო, რამოდენი ბიჭი გაიზარდა! ამას ენაცვალა თავისი ძიძა, ამან ჰეე!..

ძიძამ ისე მაგრა ჩაკოცნა ბავშვი, რომ მარიამის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია..

— ვხედავ, ვხედავ, ჩემო ძიძა, შენ ჩემგან კარგი შალის საკაბე გერგება!— უპასუხა მარიამმა და ბავშვთან ერთად მადლობის ნიშნად მასაც აკოცა. ნატო და ციციონო სარკმელთან ისხდნენ, რალაზედაც კამათობდნენ, მაგრამ როდესაც

მარიაში დაინახეს, უცბად გაჩუმდნენ. ნატომ ძიძას უბრძანა ბავშვები ოთახიდან გაეყვანა, მაგრამ ბავშვებმა აღარ დაუცადეს ძიძის განკარგულებას და ფეხფონვე გაცვივდნენ. სალიც მათ გაჰყვა. მეორე ოთახში ბავშვები წაიყვანდნენ, სალის გარს შემოეხვივნენ, მიადგნენ კედლის დიდ სარკეს, რომელიც გაბზარული იყო.

— ეს სარკე გუშინ ცაცკანამ გატეხა, დედამა სცემა. — უფროსი უჩუროს და დარიკომ სალის, მაგრამ ცაცკანა მიუხვდა, დარცხვენილმა თავი ძირს დაილო. ბავშვი ქარვასავით ყვითელი იყო, მუცელ შესიებული, მისი გამხმარი ფეხები სხეულს ძლივს იმაგრებდნენ. სალად არც თინა იყურებოდა. ყველაზე უფროსი ლიზიკა გამხდარი იყო, ჯანზე უფრო დარიკო მოჩანდა.

— ოჰ, ჩამობრძანებულხარ, შე კუდრაქა! — წარმოსთქვა ამ დროს მენიკამ, ჭურჭლით სავსე ფოდნოსი ოთახში შემოიტანა. სალიმ გაულიმა.

— შეხე, დაროს რანაირადა გავს, ძიძა, ერთი სახე არა აქვთ?

— დარო მაგაზე ლამაზია! — დაუდევრად უპასუხა ძიძამ.

დედაკაცების ასეთი მსჯელობა სალის უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა დედის წინ. რაც უფრო უფროსები თამამდებოდნენ, უმცროსები უკან იწეოდნენ. ბავშვები რუსულსაც ლაპარაკობდნენ. ტანზე თუმცა ახლები არ ეცვათ, მაგრამ რაც ეცვათ, მოდაზე იყო შეკერილი, თუმცა დაგლეჯილ ფეხსაცმელებიდან ფეხები იყურებოდნენ.

სალის ბამბაზის ახალი გრძელი კაბა ფეხებამდის წვდებოდა; განიერი სახელოები, მხრებზე გადაშვებული ნაკერავები მოწმობდნენ, რომ სოფლელი იყო; გაოცებით უყურებდა ოთხი წლის თინას, რომელსაც უცბად წამოურბინა სიცელქემ, ფეხი აიკვანჭილა, ასკინკილა ჩამოურბინა და შესძახა:

— ია ვიზუ ცატამ ნოსკამ ნასტუპილა ნა ბლეგნოო!

— ხმა იწყვიტე, შე გასაქრობო! მაინც დიდი დღე არა გაქვს! არ იცი, თქვენი ხუმრობისთვის ქალბატონი რა დღეს დამაყრის ხოლმე? — შეუტია ძიძამ.

ბავშვმა უცბად დარბაისლური სახე მიიღო, ჩამოჯდა პაწია ხის სკამზე, ხელები მუხლებზე დაილაგა და, დაღონებულმა სალის შეხედა.

— შენც რალა დაგემართა, ადამიანო? ბავშვმა ხმა აღარ გაიღოს?! არ კმარა, რო ისეც შეხუთულ ოთახში გამომწყვდეულან?! სოფელში ეზოში მაინც გავილოდნენ... რაი ამ ოხერ ქალაქში ჩამოვიდნენ, საწყლებმა ფერები დაკარგეს. — უსაყვედურა მენიკამ ძიძას და, წარბშეკრული ოთახიდან გავიდა.

— დარიკო, ამას პასმატრი! კარმილიცა ნა გალავე პლატოკ როგორ პალაეიტ! უთხრა ლიზიკამ დარიკოს. დარიკომ ძიძას გახედა და, რომ ხმა მალლა არ გასცინებოდა, უცბად სარკისკენ მიბრუნდა, იწყო თმის სწორება, ბრეცა, ენის ყოფა. ძიძას თავმოსახვევი ჩამოხსნოდა, არჩილა თავპირში ხელებსა სცემდა. ბავშვებს პირზე ხელები მიეფარებინათ, თავშემაგრებით ფრუტუნებდნენ. ცაცკანა სარკმელს მიდგომოდა, თინა სკამზე იჯდა. სალის თვალები ხვდებოდნენ მის თვალებს, ორივეს თვალებში ქორფა სულები მომდგარიყვნენ, ერთმანეთს რალაზედაც შესჩიოდნენ.

— ბეჩა, გიორგი! შენს ამაგს და შრომას ასეთი აბუჩად აგდება არ ეკადრება. რა ვქნა, ადამიანო, თითქო ყველა შეეჩვია გიორგის ასეთ ყოფნასა, მე

კი ჩემი გამოცდილი თვალთ ვატყობ, ის კაცი უკან უკან მიდის, თვალებში სიკვდილი მოდგომია.—წარმოსთქვა მენიკამ, როდესაც ოთახში შემოვიდა და ძიძას თვალთ ძებნა დაუწყო.

— ეს არის ეხლა დიდი ქალბატონი შევიდა. გიორგის ძალიან იაბა მისი ნახვა, მაგრამ რა გამოვიდა, მაგას ისე მაგრა ჩავლებია კლანჭებით ის ოხერი სენი, რომ ეხლა არც დიდი ქალბატონი და ვერც პატარა ველარას უშველიან. ანტონს რაღა დაემართა, აღარ მოდის. დალოცვილმა ძაან იცის, თუ წავიდა სადმე აღარ გაახსენდება, სახლში დარჩენია კიდევ ვინმე თუ არა! ის კი აო იცის, თუ იმის სულს მართო ამათი ცოდო ეყოფა საზიდავად, სხვა რომ არა იყვეს რა.—დაუმატა მენიკამ და ხელი ბავშვებისკენ გააშვირა. მენიკას ტუჩები მაგრა მოეკუმა, თვალები გარინდებოდა.—შეჩვეოდა დაგლეჯილ კაბას, როგორც სიცოცხლის ერთგულ თანამგზავს. არც ის უკვირდა, თუ გუშინდელ მოსულ ძიძას ლამაზი პრილა კაბა კობტად ტანზე, როგორ შემოკვართოდა. ამ უპირატესობას არც თვითონ ძიძა იოცებდა და, როგორც არჩილას ძიძა, კიდევ მეტ საჩუქრებს ელოდა.

— რა ვქნა სენი წირიმე! მეც ერთი საწყალი ქალი ვარ. სახლში შიშველი ქმარ-შვილი დამიდის, სხვის კარზე გადმოვარდნილი ვარ... ფული სახლში იგზავნება; ტანისამოსი ლა მრჩება.

იმ დღეს ტატემ ჩემი მაზლის ცოლისთვის თბილი შალიც კი გამომართვა... იმუქრება თურმე, ბავშვებს ზედ არ შეხედავს, თუ არას გაუგზავნი. აბა რა ვქნა, მეც რის მუშა ვარ! ცოდო არა, ვარ? რა მრჩება წვალების მეტი?—იტყოდა ძიძა, თვალებში მომღვარ ცრემლს მალევით ნოიწმენდდა, რომ არავის შეენიშნა, დიდი ხანია მისთვის ექიმ ივანეს აეკრძალა მღელვარება. არჩილას კეთილდღეობისათვის ძიძა ყოველთვის დამწვიდებით უნდა ყოფილიყო.

და დარიკომ სალის ყურში ჩურჩული დაუწყო. სალიმაც თავი დაუქნია. ძიძა მიხვდა, ბავშვი სალის გიორგისკენ ეწეოდა, შუბლი შეიკრა და შეჰყვირა:

— არ გაბედოთ შესვლა, თორემ ქალბატონს მოვახსენებ!

— ძიძა, მართო სალი შევიდეს, ეს ხომ იმის ნათლულია!

— მე ნათლია-მათლია არ ვიცი!—მოესმათ მკვახე სიტყვები.

— ძიძა, თუ ღმერთი გწამდეს, ქალბატონთან შედი. უთხარი, გიორგი ძალიან ცუდად არის თქო. შეეხვეწა მენიკა ძიძას, რომელმაც სიამოვნებით მიიღო დავალება და ბავშვით ხელში თამამად ოთახიდან გავიდა.

დარიკომ კვალავ წასჩურჩულა სალის, მენიკამ ყური მოიყრუა, თეფშებს წმენდა დაუწყო.

— შევიდნენ, იქნება იამოს, ბავშვების მოყვარულია ის საცოდავი. წაიზუზუნა მენიკამ.

* * *

ოთახი პატარა იყო; გაქვარტლული. ერთად-ერთი გამოსავალი სამხარეულოში ჰქონდა. ცეცხლის ბოლი, საქმლის სუნი თავისუფლად ტრიალებდა, ანგარიშს არ უწევდა გიორგის, რომელიც ტახტზე გაშლილ ლოგინში იწვა. კალარა წვერულვაში გათეთრებოდა. გაყვითლებულს თვალები ჩაცვივნოდა, და-

მდნარი ხელები გულზე დაეღაგებინა, თავთ უღგა ხის სკამი წამლის შუშებით, ფეხთით მოეკეცა მაიკოს. ის იყო მარიაში ოთახიდან გასულიყო... მაგრამ მაიკომ გაიგონა სუბუქი ფეხის ხმა და მოიხედა, დაინახა გამტეხებული ბავშვი, რომელიც მაშინვე იცნო, ხელი დაუქნია, კალთაში ჩაისვა, აკოცა.

— გიორგი, აბა აქეთ მომხედე, ნახე, შენ სანახავად ვინ მოსულა?— ნაღვლიანის ალერსით უთხრა ქმარს მაიკომ. ბავშვი სულ ახლო მიუყვანა. გიორგიმ დამძიმებული ქუთუთოები მალლა ასწია, თვალებს ბინდი გადაჰკროდათ, ცოტალა უკლდათ, სამუდამოდ დახშულიყვნენ. ცოლს ანიშნა, ეშველა.

— მაიკო, მე რომ ამ ბავშვისთვის ჩურჩხელები შეგანახვინე, ისევა გაქვს?— სვენებ-სვენებით შეეკითხა, როდესაც ძლივს მოახერხა გვერდზე დაწოლა.

— ვილას მივცემდი?

— ჰოო და, აბა, მოუტანე.

გიორგიმ ათრთოლებულის ხელით გამოართვა სალის თათი. თვალეში დარჩენილმა სიცოცხლის ნაპერწკალმა გაუელვა, გაფითრებულ ტუჩებზე ღიმილა გადაჰკრა;— ცუცუნო, ჩამოსულხარ? იქნება... ველარ მიცანი შენი ნათლია?— დასუსტებულის ხმით შეეკითხა.

სალი გაშტერებული უყურებდა ავადმყოფს.

— თუ მიცანი.. აბა, სთქვი, ვინა ვარ?

— შენა ხარ... შენა ხარ... ჩემი ნათლია.— გაქიანურებით და ხელების ფშვნეტით გაიმეორა სალიმ, თან კიდევაც თითქო ეშინოდა მომაკვდავისა.

გიორგიმ თავს ძალა დაატანა, უფრო ფართედ გაახილა თვალეები, ორივე ხელი წამოიღო სალისკენ, რომელიც გაფითრებული წინ უღგა..

— არ დაგავიწყდეს, რო დედა ჩემის მოსახელე ხარ... ვინძლო სანთელი არ გამიქრო... თუ ასე მოიქცევი, ყოველთვის ღმერთი შენთან იქნება.— ჩაილაპარაკა ავადმყოფმა, შემდეგ, თითქო დაიღალაო, ჩაჩუმდა; თვალეები კი მაინც არ შორდებოდნენ ბავშვს, რომელიც სასოებით შესცქეროდა. ეჩვენებოდა მამა ღმერთი, რომელზედაც ხშირად ელაპარაკებოდა მარიაში, მიწაზე დაშვებულიყო, ლოცავდა. კუთხეში მიმდგარ მაიკოს ავადმყოფისკენ ზურგი შეექცია, სახეზე ხელებ-მიფარებული თრთოდა. შემოვიდა მამა ბესარიონი, მოიკითხა გიორგი. მამა ბესარიონი უფრო მეტად დაბერებულიყო, თუმცა თვალეები მხნედ იყურებოდნენ. გიორგიმ ცოლს ანიშნა, ბავშვთანერთად თვითონაც გასულიყო; ბესარიონმა ოლარი გაიკეთა. ოთახში ჩურჩული გაისმა, თითქო შემოდგომის ჩამოსაცვივი ყვითელი ფოთლები შრიალებდნენ..

— შემცოდე ვარ, მამაო, როგორც ყველა... მაგრამ თუ როდისმე ცუდი ჩამიდენია—სხვის სასიკეთოდ... ათი წლიდან ბატონის კარზე ვმსახურობ. ჩემი ჯეელობა იმის კარებზე დამიღვევია მარტო მისთვის, რო ის ორიოდე ტალახი მიწა, რომელიც ბატონმა მაჩუქა, არ წამრთმეოდა... მაგრამ მაინც ჩემ ცოლ-შვილს ისევ ლატაკად ვტოვებ... ჯავრად ორი პატარა გოგო მრჩება. ეხლა ისინი სოფელში დაუყრია მაიკოს, დაფეთებული გამოჰრილა... ამ ვერანა სიკვდილმა ქალაქში მომასწრო... მინდოდა სოფელში მომგვედარიყავი, სოფელს გავეპატიოსნე... გეხვეწები, მამაო, ბატონებსა სთხოვე, სოფელში ურმით წამიღონ. თუ აქ

სასწორზე ჩვენებურებს არ შეხვდნენ, სხვა ურემი დაიჭირაონ.. იქამდინ იორკვაში არავინ დამზარდება. არ მინდა იქ, ჩემ ძმებთან საულავი დამეკარგოს... თუ ბატონმა მომისწრო, შემისრულებს ამ სურვილს.. მე მისთვის არც დამეკარგოს... თუმცა... როდესაც შემიმჩნევია, რომ მას ტყუილ-უბრალოდ ფული გაუფუჭებია, ფულის ნაწილი დამიმალავს, გადამიცია როგორც საწყალ გლეხებისთვის, ისე მის ცოლშვილისთვის. როგორც მე თვითონ გაჭირვებულ გლეხს, მიცენია ჩემთან ახლო მდგარი გლეხი, სასწორი იქით გადამიხრია, როდესაც ბატონის ისეც უძირო ჯიბეს არაფერი დასტყობია. ბევრი რამა მაქვს სათქმელი... აღარ... აღარ შემძლია... მეცოდება საწყალი ხალხი, მეცოდება ოთარიც, მაზე მეტად მეცოდებიან მისი წვრილი ცოლშვილი... ეს... აქ... მაზე... ქვა... სული...

ოდნავ დაიჩურჩულა გიორგიმ და ჩაჩუმდა. მამა ბესარიონმა კოვხით ზიარება მიაწოდა. გიორგი გარდაიცვალა.

V

სალის გონებიდან კარგა ხანს არ შორდებოდა გიორგის მომაკვდავი სახე, ლანდად თანასდევდა, გრძნობდა თავზე დალაგებულ მორთოლვარე თითებს.

— ვინა ხარ შენა?... შენა ხარ ჩემი ნათლია! — იმეორებდნენ ძილშიაც ბავშვის ტუჩები და, როდესაც მეორე დღეს მარიაში ჩაეკითხებოდა სიზმარში ვის ელაპარაკებოდა, სალი შეკრთებოდა, ეფიცებოდა, არაფერი ახსოვდა. თუმცა ამავე დროს დარწმუნებული იყო, რომ მართალი იყო ის, რაც, ენახა. სალის დიდი ხანია შეეგნო, რომ ბატონებთან ყველაფრის თქმა არ შეიძლებოდა და მალავდა. ეს ასწავლეს სოფელში გლეხებმა. მაგრამ ბავშვის გონებაში თანდათან გახუნდა საშიში სურათი, რა სახითაც თვალწინ იყენებდა მომაკვდავ ნათლიას და მისი სახე კვლავ გამოირკვა, წაუშლელად აღიბეჭდა გულში ისე, როგორიც მოციინარი და მხიარული იყო გიორგი, როდესაც ჯერ კიდევ სალი, ტკბილულობით და ხილით მოდიოდა ამისკენ.

ქალაქში სალი ბევრს ახალს ხედავდა. ეს თვითვეული ახალი ისე ჰგავდა ერთი მეორეს, რომ ბავშვის თვალში მალე მოსაწყენი ხდებოდა. ქალაქის მცხოვრებნი, ოთარი და ნატო, რომლებზედაც დღე თუ ღამ მარიაში ჩაჩურჩულებდა, რომ მისი მშობლები იყვნენ, ბავშვზე ერთგვარ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. სალი თავისნება იყო, სხვის ნათქვამს არ ჯერდებოდა, თვითონაც სწონავდა. თავიდანვე თანდაყოლილი რაღაც ხმა მიუდგომელ მსაჯულად ასჩენოდა, იმორჩილებდა. სალის ოთარი არ მოსწონდა. უნაროდა, რომ იშვიათად ხვდებოდა, შესახვედრ შემთხვევასაც გაუბოდა.

ნატო მოსწონდა როგორც ლამაზი, ყოველთვის კობტად და მდიდრულად გამოწყობილი ქალი, მაგრამ მის დედობას გული ვერ ითვისებდა.

არ მოსწონდა ბავშვების ოთახში ჩამწყვდევა, უგულო ძიძის ბრძანების ქვეშ მათი ყოფნა. ეცოდებოდნენ პატარა დები, ძმა. შეშინებული, ორივე ხელით ჩავლებოდა კიაზოსა და მარიამის კალთას. მათკენ მიხედვაც კი ეზარებოდა, სანამ თვითონ ბავშვები არ მოვიდოდნენ...

— თქვენი დედაც მოვა? — შეეკითხა ერთხელ სალი დებს, როდესაც დილით ადრე ოთახში შემოგროვდნენ.



— ამას პასმატრი, რას ამბობს! თქვენი დედაც მოვალე გავგიგონოვს? შესძახა ლიზიკამ.

— შერე რა იქნება?.. სალიმ გვერდზე გადილო თვეს და დედასთან ბავშვებს შეხედა.

— ჩვენი დედაა და შენი კი აღარა?..

— ნატო დედა ჩემი არ არი.

— რო იცოდე, როგორა ჯავრობს ხოლმე, თუ ვინმე ჩვენგანი ნატოს დაუძახებს...

— ნუ დაუძახებთ რა. ძალას ვინ გატანო?..

— შენ რაღად უძახი?.

— ხომ გითხარით რათაც!

— მაგოდენა ქალი სად გაიზარდე! აქამდის არ იცი, ვინ არის დედაშენი?

— ვიცი. ჩემი დედა დიდდედაა..

— უკაცრავად. როგორც დედაა ყველასი, ისე დიდდედა. შენ რა წითელი კოჭი ხარ, რომ აგრე დაგიჩემებია?— შესძახეს ბავშვებმა და შეცვივდნენ მარიამთან, რომელიც ნატოს კაბას უკერავდა. სალი მარტო დარჩა. მისმა გულმა ნატოს დედობა იუარა, მარიამის დათმობაზე კი შეყოყმანდა.

— თუ დიდდედაც იმათია, მე?.. ბავშვმა ორივე ხელები გადაშალა, ჩაფიქრდა. კიბეზე ფეხის ხმა მოისმა. ფეხის ხმაზე სალიმ ნატო იცნო, მარიამისკენ გაეშურა.

— დიდდედა, მოდის!

— ვინა, შვილო?

ამ ხმამ ისევ წინანდელი ადგილი დაიჭირა სალის გულში, გამბნევებულმა თამამად შესძახა:

— ჩვენი ნატო.

ძლივს მოასწრო სიტყვის დათაყვება, რომ თვითონვე შეშინდა, გულზე ხელები მიიღო. იგრძნო— ზურგს უკან ნატო უდგა.

— რას შიშქარავ, შენი ნატო ვინ არი?!— მოესმა მწყურალი ხმა. სალიმ თავი ჩაღუნა, მალვით შეხედა ქალს. ნატოს თვალები მრისხანე წინწყლებით აღესილიყვნენ, სალის დაწვას ემუქრებოდნენ. აბუზული ბავშვი ბაბედასკენ ნელა-ნელა წავიდა.

— რავდენჯერ გითხარი, დედაჩემო, ამ ბავშვის თავწასვლას ბოლო მოუღე მეთქი. თითქო მოგკდომოდე და ჩემგან ობლად დატოვებული ჩემს მოსაგონებლად გაგეზარდოს. აბა ხელზე ჩამოთვალე, ამის გარდა კიდევ რავდენი არიან? ეს სხვებზე უკეთესი რითი ბრძანდება? სად გაგონილა, შვილისგან მათი დედის უპატივცემლობა? ალბად მაგას ცეკარაანთ ნათელა ვგონივარ, რომ ასე თავ გასული მეტიკვნიტობს. სახეში შეუპოვრად მიყურებს და სახელს მეძახის! ოლონდაც, რო ღირსი არ არი ამის შემდეგ მაგისი დედა ვიყო. რას მეტყობდი, დედა ჩემო, ამის ხანში შენთვის რო სახელი დამეძახა?.

აღელვებული ნატო სკამზე ჩამოჯდა. მარიამმა საკერავი გვერდზე გადადო,

ქალს სათვალეებიდან გამოხედა. ბავშვები ოთახიდან გაპარულაყვნენ, მიხუცებულმა ამოიოხრა.

— მიკვირს, შეილო, რო შენ თავს მაგას ადარებ. შენს მქრქველს შენს ვილა გააჩნია. ჩენი თვალის ჩინი და ზრუნვა შენ იყავი და შენა ხარ. გზორდი როგორც დრო მომთხოვდა, გიფრთხილდებოდი. მგონი ჩემი მოვალეობა პირნათლად შევასრულე. ბრიყვი და უზრდელი ყოველთვის მეჯავრებოდა, შიშსა და მორჩილებაში მყოფს, რასაკვირველია, ნებასაც არ მოგცემდი სახელი დაგეძახა.

— რატომ ამ ბავშვზედაც არ მიიღე მაგნაირი ზომები?

— ამ ბავშვის საქმე სულ სხვაა. შენ მარტო მე მეკუთვნოდი, მეც შენი სრული მფლობელი ვიყავი. შენთვის რაც უნდა შექნა, პასუხს არავისთან ვაგებდი, მოზიარე არავინა მყავდა.

— მაგაში ვილა ჩამოგეზიარა?..

— აბა რა გითხრა! ალბად დავბერდი და იმიტომ შეჩვენება ასე... მაგრამ მაინც რაღაც გაურკვეველი გრძნობა ნებას არ მაძლევს ეგ ბავშვი მარტო ჩემ სურვილებს დავუმორჩილო. თუნდა ავიღოთ ის გარემოება, რო სალი მეტ დროს გლახებშია, ვიდრე ჩემთან... რა პირით დავუშალო, რო არ მიეკაროს იმათ, როდესაც იმათი წყალობით უდგია სული.

— დიდი რამ მომხდარა თუ ძუძუ უწოვებიან!.. ჩემი შვილები ყველანი ძიძებისგან იზრდებიან. მაგიერად მამული იმათ ქმრების ხელშია, მეტი რაღა უნდათ, გასამჯულოდ არ ეყოფათ?. მაგრამ მაგ ბავშვს თუ სულ გლახებში ყოფნა უწერია, სწორე გითხრა, ისევე სიკვდილი ურჩევნია. ის დრო წავიდა, დედა ჩემო, როდესაც გლახების იქით ხალხს არ ვიცნობდით. უსათუოდ სალი ბავშვებთან უნდა გადავიყვანო, მინდა გავაგებინო ვინ არის, ვისი შვილია, თორემ მეტად ტყე-ტყე იყურება. მე მაგათ ყველას შევიყვან იმ სასწავლებელში, სადაც უფროსები სწავლობენ, მანამ კი ვისმეს მოვამზადებინებ, რომ დროზე მივალეინო, სადაც ნარჩევი ოჯახების შვილები იზრდებიან. ჩვენი სოფლის ეზოც ხელს მაწყობს, გარს გალავანი არტყია, გალავანს გარედ ბავშვები ფეხის გადგმას ვერ გაბედავენ და გალავანს შიგნით ხომ უხეიროებს არაეინ შეუშვებს! სალიც იმათში იქნება, თანდათან ადამიანობაში შევა.

მარიამი გაჩუმებული ისმენდა, იცოდა, სალი ნატოს აგრე ადვილად არ წაპყვებოდა. მარიამს ახსოვს პაწია სალი დიდედას გულმკერდში ხშირად როგორ მაგრა ეკროდა, უალერსებდა. მარიამი არ იმზნევდა, მაშინვე ვილასიც ან რილასიც ეშინოდა.. ეხლა კი განაგრძობდა ხმაგაკმენდილ ყოფნას. ან რა უნდა ეთქვა, როდესაც თვითონვე სწამდა რომ შვილი დედისა იყო.

— აბა ეს კაბა გაისინჯე.— წარმოსთქვა კარგა სიჩუმის შემდეგ გაფითრებულმა მარიამმა.

— ავად ხომ არა ხარ, დედაჩემო?— შეეკითხა შემკრთალი ნატო.

— არც კარგა ვარ... წუხელის ცუდად მეძინა.. ცოტა თავი მტკივა...

* * *

— ამ კვირის სწორს შობაა, ლიზიკა და დარო შობის ხეზე მიმყავს კლუბ-

ში. სალისაც ახალი კაბა შეუკერე. ჩამოვივლით და წავიყვანთ. — უთხრა ერთ დილას ნატომ დედას. სახე უღიმოდა, კმაყოფილი იყო.

— თითო ბავშვს ხუთ-ხუთი არშინი ბამბაზია ეყოფა...

— როგორ თუ ბამბაზია? თუ აბრეშუმში არა, შალისა და მარამაშის იყვეს. სამივეს ერთნაირად უნდა ეცვათ. სალისაც ამ ფულიდან შეუკერე. — დაუმატა ნატომ და ხუთთუთიანი ხელში ჩაუდო.

— სხვა ბავშვები?

— ჩემს საწვალეებლად ესენიცა კმარან, აკვნებიც იქ არ მივიტანო. ისინი ჯერ უფრო პატარეები არიან, მოესწრობიან, არა უშავთ რა, სახლში დარჩნენ და არჩილა გაართონ. გუშინ ოთარისგან ფული ჩამომივიდა, მითვლის — ბავშვებს არა დააკლო რაო. საკაბე შალი უსათუოდ ვარდის ფერი იყვეს. ეხლა ციციხოსთან მივეჩქარები. რაღაზედაც დავუბარებო.

ამ სიტყვებით ნატო კაბის შრიალით კიბეზე ჩავიდა.

ბავშვები მეტად კმაყოფილები ეხვეოდნენ სალამოზე მარიამს, როდესაც ვარდისფერ საკაბეს შლიდა. სალიც გაჩუმებული დაჰყურებდა.

შობის ხე.. ვარდისფერი შალის კაბა!.. ყველაფერი, რასაც ამ წუთებში ხედავდა, უჩვეული იყო. სალის დღემდე უბრალო ჩითის და ბამბაზიის მეტი არა მიჰკარებია რა... ერთხელ მარიამმა და კიაზომ ქორწილში წაიყვანეს. მაშინაც ვარდისფერი კაბა ეცვა, მაგრამ ბამბაზიისა. ბავშვი ბზრილასავით ტრიალებდა დარბაზში, ხალხის ყურადღება მიიქცია. ეხლა რაღა მოელის სალის?

როდესაც მარიამმა მოაგონა, რომ სალი ძვირფას ტანისამოსს ნაჩვევი არ იყო, ნატომ სიტყვა გააწყვეტინა.

— შენ შენი იცი, დედა ჩემო, მე ჩემი. ნუ მიშლი. როგორც სხვა ჩემი შვილები იქნებიან, სალიც ისე უნდა იყვეს. სადაც ისინი წავლენ, ეგეც იქ. — მტკიცედ უბასუბა ნატომ.

მარიამი გაჩუმდა. სალისაც ნატოს სიტყვები ღრმად ჩასწვდა გულში.

ანუშკასა და ცისკარას დახმარებით მარიამმა სამი ლამაზი კაბა კედელზე ჩამოჰკიდა. სახე გატკრივებული ბავშვები კაბებს ყოველ მხრივ ურბენდნენ.

სალიც ერთ მათგანს მისჩერებოდა, მარიამმა ქობის ქვეშ წითელი ჯვარი დაუსვა გასარჩევად. სალი შობის ხეზე არას დროს არ ყოფილიყო, სხვისი ნაამბობის ზეგავლენით გუნებაში ბუნდად აფერადებდა.

შობის წინა დღეს წყნარი სუსხმოკლებული დილა იყო. ქუჩაში ხალხი ჩვეულებრივზე მეტად მოუსვენრობდა.

— აქეთ, შვილო, აი აქ დაუშვი! — მოისმა კიაზოს ხმა. ის მოუძლოდა დატკირთულ მუშას, რომელიც წელში დახრილი ძლივს მოდიოდა.

— აქეთ! აქეთ! — განაგრძობდა კიაზოს კმაყოფილი ხმა.

— გმადლობთ! — უბასუბა მუშამ, როდესაც დახედა ღორსავით გამოსულ-გაშავებულ მეჭეჭებიან ხელის გულზე მაზანდაზე გადამეტებულ გასამრჯელოს.

მუშამ ერთხელ ღონიერად ამოისუნთქა, სიგამხდრისგან გადიდებული თვალები მიაშტერა სავსე გოდორს, საიდანაც დაკლულ გოჭინდაურს ფეხები ამო-

ფარჩხოდათ, ზურგზე კურტანი გაისწორა, აჩქარებით წავიდა. სალი უყურებდა მუშას გაურკვეველ სიბრალოდით.

ბავშვს მთელ ღამეს არა სძინებია. შობის ხე თვალწინ

— გახსოვდეს, სალამოს რვა საათზე სალის წასაყვანად მთვარეებმა გაახსენდა დილით ადრე ნატოს სიტყვები, ბავშვი კაბებისკენ მოტრიალდა და... კედელზე მარტო ერთი კაბა დაინახა... სხვები?... ალბად წუხელის წააღებინეს ლიზიკასა და დაროსთვის... ეს ჩემი იქნება.

— ქრისტე ყველასთვის დაიბადა, ყველანი კმაყოფილები უნდა ვიყუეთ. — ეუბნებოდა მარიამი.

სალის თვალები ისევ კაბამ მოსტაცა. ბავშვის გონება გაჰყვა ორ გაფრენილ კაბას, რომელთაც ალბად ასე სიამოვნებით შეჰყურებდნენ ლიზიკა და დარო. უცბად სალის თვალებს შეხედნენ დაღონებული თვალები, ამ თვალებით თინა და ცაცკანა იყურებოდნენ.

— რატომ თინა და ცაცკანა არ მიჰყავს ნატოს?. განა იმათთვისაც არ დაიბადა ქრისტე?

ამ კითხვაზე სალის პასუხი არავინ მისცა. მის კმაყოფილებისგან აძგერებულ გულის ახლო დაიკვნესა ორმა პაწია გულმა. სალის თვალში დღესასწაული გახუნდა. მოეჩვენა, თითქოს ცაცკანა და თინას თვალებიდან გადმოსცვივდნენ ცრემლები, ჩააქრეს შობის ხეზე აპრილებული სანთლები. მაზე ჩამოკიდებული ზიზილ-პიპილები სიბნელეში დარჩნენ. სალიმ კაბას შეხედა, კაბაც კედელზე ჩვარივით ეკიდა, როგორც კაქკაქების საფრთხობელა სოფლის ბაღებში. მაგრამ ბავშვის თვალწინ უცბათ სურათი შეიცვალა. შობის ხე კვლავ გაბრწყინდა, სამხედრო მუსიკამ დაიგრიალა, დუდუკი ახმიანდა. სალიც დარბაზში გაფრინდა..

დრომ შეუმჩნეველად განვლო. მუსიკა შეწყდა, ბავშვები აირივნენ, პატრონებს ეძებენ. შინ წასულის დროა, სანთლები ქრებიან.. კარებები ხმაურობით იხურებიან. მესაკრავეთა ხელში ყვითლად მოელვარე ლითონები პრილებენ, ვიწრო კარებთან ჯგუფდებიან. სალიც ტალღას მისდევს, დედას ეძებს.... ტალღა ირღვევა; ცივ ჰაერში პირისპირ ხვდება ნატოს, რომელიც ხელსა ჰკიდებს, თავისთან მიჰყავს, ეუბნება:

— აი შენი ბინა, გზა აბნეულო ბავშვო, რით ვერ გაიგე, რო მე შენი ნატო არა ვარ!. მე ვარ ის, ვისაც ეძებს... დედა შენი...

სალი ძალათი მიჰყავთ, სახლში ხვდებიან თინას და ცაცკანას საძილედ მოხუჭული ნამტირალევი თვალები...

ბავშვი მსწრაფლ გამოუბიზლდა ფიქრებიდან, მარიამისკენ გაიქცა.

— დიდედა, მე... მე... შობის ხეზე... ვერ წავალ... დიდედა, მე... შენ... — გაუგებრად ლულულულებდა ბავშვი, რომელმაც თავი კალთაში ჩაუდო მოხუცებულს.

— რატომ?... რა მიზეზია?... ამაღამ ახალ კაბას ჩაიცვამ, ბავშვებთან ერთად ითამაშებ... ტკბილეულობას მიიღებ. — ეუბნებოდა მარიამი, თავზე ხელს უსვამდა, მაგრამ სალიმ სლუკუნის ხმამაღლა ტირილად შესცვალა.

— მაინც და მაინც ნუ გაინაზები! თუ გაწუხებს რამე, სთქვი. ხომ იცი, უხვირო ზღუკუნის მეჯავრება. — ცოტა მწყრალად უთხრა მარიამმა და ბავშვს

თავი აუწია. კრიკა შეკრული სალი მოხუცებულს ნამტირალევის თვალებით უყურებდა.

— მითხარი, რა გაწუხებს? ისეც ბევრი საფიქრებელი და სადარდელი მაქვს, ნუ გავიწყდება, რომ შენს გარდა დედაშენს ხუთი კიდევ ჰყავს. სალიმ უცბად შესწევითა ტირილი, თავი აიღო მაღლა, წელში გასწორდა და წაეიდა საწოლისკენ... ბალიშზე მიგდებული, საგონებელში ჩავარდა, თუ რა საპატოო მიზეზი გამოეძებნა, რომ მომავალ განსაცდელისაგან თავი ეხსნა. ჭურჭლის ჩხაკუნმა სადილობა გაახსენა, საცაა კიაზოც მოვიდოდა, იქნება ნატოსაც შემოეხედა. ბავშვს მთელ სხეულში შიშმა დაუარა და პირი კედლისკენ იბრუნა.

— თურმე შენ აღარ ხუმბრობ, რას წავდებულხარ, შვილო, ადე ზეზე! — ჩაესმა ჩათვლემილ სალის მარიამის ხმა. მარიამის თვალები შეხვდნენ სალის თვალებს...

— ადე, სადილი ჭამე, დღეს პაპა შენმა სახვლიოდ ფორთოხლები მოიტანა. აკი გიყვარს შე კუდრაქავ! — ჩასჩურჩულა ღიმილით მარიამმა ყურში. მარიამის მიფერებაზე ბავშვს თვალები გაუბრწყინდნენ. უნდოდა საჩქაროდ წამოვარდნილიყო, მაგრამ უცბად გაახსენდა მომავალი შობის ხე.. ნატო.. და ბავშვს კვლავ სხეული მოუდუნდა, თვალები მოხუჭა.

— ხომ არა გტკივა რა, შვილო? — შეეკითხა ფიქრიანად მარიამი. ბავშვმა მუცელზე ხელი დაიდო. სიცრუისა თვითონვე შერცხვა და თავი ისევ ბალიშში ჩამალა.

— საღამომდის ბევრი დროა, გავივლის, სადილს აქ მოგიტან, კვრინჩხის შეჭამადი მუცლის ტკივილისათვის მისწრებაა.

მარიამმა სალის ავადმყოფობას სუბუქად შეხედა.

სალი გაფითრდა. სმენამ არ უმტყუნა, ნატოს ხმა შემოესმა:

— ეს რა ამბავია, რომ მაგას ლოგინში ვხედავ? მე კი მაგის წასაყვანად მოვედი. — წარმოსთქვა ნატომ, უკმაყოფილება დაეტყო.

— ბავშვების აქ მოყვანას მაგისი იქ წაყვანა ვარჩიე.. ასე უეცრად რა დაემართა?

— მუცელს იტკიებს.

— მაშ ამაღამ შობის ხეზე ვეღარ წამოვა... მაგის კაბას თინას წაეუღებ. დაუმატა ნატოლადევის ღიმილით ნატომ, დაკვირვებით მიაჩერდა სალის, რომელიც გულალმა იწვა, დაქყეტილი თვალები ჭერისთვის ბიემართა.

— ზეთი ხომ გაქვს, დედა ჩენო?.. მოიტა, დავალევიწო.

ზეთის ხსენებაზე ბავშვი შეინძრა.

— ცოტა დააცადე, იქნება თავისით გაუაროს! ხვალ შობაა, ცოდოა.

— როდესაც ადამიანი ავადა ხდება! წამალი უნდა. აქ შობა ან ახალი წელი რა შუაშია?

ნატოს სალის ავადმყოფობა მეტად აღიზიანებდა და აღელვებდა.

— რა უშავს. ფეხზე შესცივდებოდა, გაუვლის. ანუგეშა მარიამმა.

— ფეხზე შესცივდა თუ თავზე, სულ ერთია, მაგრამ ვხედავ ეს ბავშვი თავისთვის უბედურია.

მარიამმა გაოცებით შეხედა შვილს, ნატოს უკმაყოფილების მიზეზს ვერ მიხვედრილიყო. სალი ლოგინში გაინაბა. მოეჩვენა: თვალებ ბრიალა კატა უბირებდა კლანჭებით ზედ დახტომას. ძალდატანებისაგან ბავშვის თვალები შუშის თვალებით დაცივდნენ, უგრძობლად დახვდნენ ნატოს თვალების პრწყიალს.

— ეშმაკობით ვერას გააწუბ. დღეს იქნება თუ ხვალ მაინც წაგიყვან...

— მარტო კვდარს წამილებ...

ჯიუტად მეტყველობდნენ დედა-შვილის თვალები.



ცემენტი*)

რომანი

III

პარტკომი

1

ამხანაგო უუკ, რომელი მიღის

უზარმაზარ ორსართულიან ყაზარმასავით იდგა შრომის სასახლე სანაპიროზე გრძელ აქურულ ესტაკადასთან შავი სვეტებით, რიგრიგად რომ მიემართებოდა ნავთსადგურისაკენ. ფასადის ორივე მხრივ დაკლავნილი ტინობის გრძელი კედელი მიუყვებოდა აშინასავით და გამონგრეულ კედელში მოსჩანდა გაშიშვლებული ერთიმეორეში დახლავნილი და დაფანგული მავთულები და რონები. სასახლიდან ვაგზლამდე საალაფო სარაიების გრძელი რიგი მიემართებოდა. იქვე მოშორებით ოდნავ მომალლო ბორცვზე იდგა ელევატორის წვეროკინა ძველი კოშკივით. ის იდგა მთის ძირას, თვითონ მთასავით, ცეცხლოვანი და მოსჩანდა ისე, როგორც უზარმაზარი მიუდგომელი ტაძარი.

კედლის გასწვრივ ქვაფენილზე ხრიგინობდნენ ჯაგვები და დამსხვრეულ ვაგონებს შორის ბრწყინავდა რკინიგზის დაფენილი ლიანდაგები და ასე: ისინი ნავთსადგურის უდაბურ კონცხებსა და ზღუდეებს ჰყოფდნენ უზნებად: შორს სასაგაზაფხულოდ დანისლულ სივრცეში ქანაობდა ზღვა და იალქნები თოლიებივით ჰკრთოდნენ ზღვის ფონზე. მსუქანი ზღვის ღორები გორავდნენ ზღვაში და ხარის ქედივით აჩენდნენ ზურგებს.

ნავთსადგური: მოწყენილი. ზღვა: დამშეული... სად არიან ახლა, რომელ ზღვებში დაძრწიან ტყვედ წაყვანილი და გატაცებული გემები!?

შრომის სასახლესთან, იქ, სადაც პირამიდასავით ამართული მაღალი კიბე იწყება, წაბლნარისა და ყვავილნარის ბაღია გაშენებული. ყვავილნარში არ არის ყვავილები და ეს წაბლებიც დგანან მახინჯებივით დაჩეხილნი. ფიცრის ლობე დაქცეულია და საწვავად გატაცებული.

ყვავილების მაგიერ ბაღში ყველგან ჰყრია მზესუმზირას ჩეჩქი და გაძარცულ ხეების ძირას ჩრდილები სოკოებივით მოკუნტულან. ცაში, — მოსჩანს მკაფიოდ: — ირწევა ცად აზიდული დიდი დროშა წითელი ფრთებით და ამ ცეცხლივით ფრთებზე გამოჰკრთის თეთრად გვირილები: РСФСР.

*) იხ. „მნათობი“ №№ 1 და 2, 1927 წ.

შრომის სასახლეში ორი დერეფანი ჯვარედინდებოდა: ერთი პირდაპირ მიდიოდა სხდომათა დარბაზში (ღია კარებში მოსჩანდა წითელი დერეფნი), მეორე კი მარჯვნივ ბნელ ჯურღმულეებად. მარჯვნივ პარტკომის აქტიურობის პროფსაბქო.

ჰაერი თამბაქოს ბოლით იყო გაჟღენთილი. კედლები დასვრილი, ბინძური. იქა-აქ ბათქაში ჩამოქცეულიყო. პლაკატები. შავი და ყვითელი ტყავის ქურთუკიანები პორტფელებით და ხალხი, — უბრალო ხალხი, — ჩამოკონკილი, დაძინებული, ზოგს ფეხზე რალაც ჯღანები ეცვა, ზოგი ფეხშიშველი იყო (თუმცა, მთებიდან ეშვებოდა ცივი მარტი, მაგრამ მაინც თბილოდა). ყველგან, დერეფნებში, ოთახებში ისმოდა სიმღერები, ფეხის ხმა, ყაყანი და საგანგებო დანიშნულების რაზმის შტაბში აჩხაკუნებდნენ ვინტოვკის ჩახმახებს.

გლები მარჯვენა დერეფანს გაჰყვა.

პარტკომის მინებიან კარებთან იდგა ორი კაცი. მინის დაბინდულ ფონზე მოსჩანდნენ ორივე მკაფიოდ. ერთი მელოტი, ოსმალური გრძელი ცხვირით, ზემო ტუჩი მოკლე და ამის გამო პირი ოდნავ ღიად აქვს დარჩენილი, თითქოს ილიმება. მეორე პილპილივით წითელი ცხვირით, შუბლი ვიწრო, შუაზე ნაოჭი და ნიკაპი მუშტივით მსხვილი.

— სირცხვილი, ჩვენი სირცხვილი, ძვირფასო ამხანაგებო!..

ამბობდა ამას ის, რომელსაც პაჭუა ცხვირი ჰქონდა და კი არ ლაპარაკობდა, — წაწყანობდა.

— შეგვჭამა მოხელეობამ... ბიუროკრატიზმმა... ჯერ დახოცილ ამხანაგთა გვამებიც არ დაგვიმარხავს და... ჯერ სისხლიც არ შეხმობიათ და აი... კაბინეტებში და სავარძლებში ჩავჯექით თბილად... ფეხები ლენერლებივით შემოგვიწყვილა... გალიფე... დიახ, ფორმალობა, ქალღმერთები ამა და ამ ნომრით... მერე „მოუხსენებლად ნუ შემოხვალთ“. სულ მალე „თქვენო აღმატებულებამდეც“ მივალთ... იყვნენ ამხანაგები... სად არიან ახლა ისინი?... საწყალი მუშა ხალხი ისევ იტანჯება...

— სცდებით თქვენ, ამხანაგო ეუკ, ძლიერ სცდებით!.. თქვენი აზრი არ არის სწორი. ასე მსჯელობა არ შეიძლება. მთავარი ეს არ არის... მთავარი ის არის, რომ ჩვენ ბევრი მტერი გვყავს, აი რაშია საქმე, ამხანაგო ეუკ... დაუნდობელი ტერრორი არის საქირო, ისე რესპუბლიკა მუდამ სიკვდილ-სიცოცხლის შორის იქნება... აი რაზედ უნდა ვზრუნავდეთ ჩვენ. მე კარგად მესმის თქვენი აზრი, ამხანაგო ეუკ, მაგრამ ყოველივე ამისთვის საქიროა რომ საბჭოთა ხელისუფლებას მაგარი, გარკვეული და შემოწმებული აპარატი ჰქონდეს... დაე იყოს ეს თუნდაც ბიუროკრატიული აპარატი... ოღონდ იგი სწორედ და უცოდველად მუშაობდეს.

— შენც იქით მოექცევი, — არა?... შენც იქით იწევი, ხომ?... მაშ რა ჰქნას მუშათა კლასმა, რა ილონოს?... ეხ, ჩემო ძვირფასო ამხანაგო სერიოფა... რალაც მტკივა შიგნით... სიტყვას კი ვერავის ეტყვი...

— ჩვენ ეხლა მხოლოდ ორი რამ უნდა გვახსოვდეს, ამხანაგო ეუკ: მასებში მუშაობა, — აი რა უნდა გვახსოვდეს ჩვენ... შრომა, შრომა და შრომა... რეს-

პუბლიკის მთელი მუშათა აპარატი მასებმა უნდა გააძღონ პიროვნულ რიგში, პირამდე უნდა აღავსონ. ლენინის სხარტული თქმა მზარეულ ქალის შესახებ ჩვენი ყოფა-ცხოვრების მტკიცე ფაქტად უნდა გადაიქცეს. აი სად არის მტკიცე თავი დამარხული... თქვენ სცდებით... თქვენ ღია კარებს ამტვრევთ.

— ეხ, სერიოჟა, სერიოჟა!.. შენ თავდადებულ კომუნისტს გეძახიან, ჩემის აზრით კი, შენ დაბრმავებული კომუნისტი ხარ. მუშათა კლასს ჩვენ საყვარელით სავსე გული უნდა გადაუშალოთ და, რაც შეეხება მტერს, ჯანდაბას მისი თავი და ტანი! მოგვიგრებია მისთვის კისერი და კიდევ მოუგრებთ. როგორ გინდა შენ ახლა გულგრილად უცქირო ამ პარტიულ მუშაკებსა და მუშებს?.. მოხვდენ მაღალ თანამდებობაზე და უფროდ ამხანაგ-მეგობრების მაგიერ მამაძაღვებად იქცენ... აი რაშია საქმე, ამხანაგო სერიოჟა... აი სად არის მტერი, ჩემო საყვარელო ამხანაგო...

და ამ აწაწკანებულ ჩივილში და მინაში გადატეხილ პროფილში გლებმა თავისი ძველისძველი მეგობარი, ქარხანა „Судостроитель“-ის ხარატი ეუკი იცნო. ოდნავაც არ გამოცვლილა, — ისევ ის არის. და ეხლაც სჩივის და წუწუნებს ის ისევ ისე, როგორც ამ სამი წლის წინად.

მივიდა მასთან, მხარზე ხელი დაადო და მავრა მოუჭირა.

— გამარჯობა შენი, მეგობარო!.. ისევ სჩივი?.. ამხილებ?.. როდის გაათავებ, ნეტავ ვიცოდე, ამდენს მხილებას?.. ახლა წინამძღოლობა და ბრძოლაა საჭირო და არა წუწუნი...

გაოცებულმა ეუკმა თვალები დააქყიტა, ამოიოხრა და გლებს დააშტერდა.

— ამხანაგო!.. ძვირფასო!.. გლებ?.. თავდადებულო მეგობარო!.. ეხ, შენ ჩემო საყვარელო ამხანაგო, სად იყავი ამდენ ხანს!.. ომობდი?..

მოეხვია, გადაჰკოცნა და გლებს სახეში ოფლის მძიმე სუნი მოხვდა.

— სადა ხარ ამდენ ხანს, ამხანაგო, ა?.. როგორა ხარ?.. მეგობარო!.. ძვირფასო!.. რა კარგია, რომ აქ გაჩნდი... ღდინს გავაცლით ახლა ჩვენ იმათ, ღდინს... ყველას თავის ადგილს გამოუნახავთ... რომელმა ქარმა გადმოგაგდო?.. აი, სერიოჟა, ჩემი უერთგულესი ამხანაგი!.. ცეცხლში და ომში გამოწრთობილი!..

— ნუ სცემ, ეუკა, ტყუილ-უბრალოდ მაგ დალაბანდს. ჩივილითა და წუწუნით ჩვენ გამარჯვებას ვერ მოვიპოვებთ...

— ხედავ შენ, სერიოჟა, როგორია?.. ტყავს გააძრობს იმათ, ოხერია!.. აი ვინ გვესაჭიროებოდა ჩვენ, სერიოჟა... ცხრა მთას გადავაბრუნებთ აწი, თუ გინდა ძირ-ფესვიანად...

გლებმა სერიოჟას ხელი ჩამოართვა და ამ ხელის ჩამორთმევაში გლებმა იგრძნო რაღაც სიღბილე და ქალაშვილური მორიდება.

— ინტელიგენტი... ხელთეთრი...

სახეში შეხედა. თმები — ბობრი, ქარვისფერი; თვალები წითელი, ოდნავ მოღიძარი და ასეთივე ღიმილი ოდნავ აწეულ ბაგეებში. ღიმილი, თითქოს დამცინავი და ამ დამცინავ ღიმილში რაღაც ალერსიანი და კითხვითი ნიშანი.

— მე თქვენ უკვე ვიცნობთ შორიდან, ამხანაგო ჩუმალოვ. ამას წინად

გნახეთ, როცა თქვენ ქარხანაში იყავით რეგისტრაციაში გასაქმებულად. თქვენზე კომიტეტის პრეზიდენტში საკითხიც იყო დაყენებული სწორედ დროზე მოხვედრით.

— ხომ ხედავ, მეგობარო?... ჩვენი გენერლები ჯერ კიდევ შორიდან გრძნობენ კობრის მოახლოვებას. შენ ერთი იმათ საომარ წესით მოექცეცი, თორემ ისე საშველს არ მოგცემენ. ჩემი ჩათრევაც კი უნდოდით ერთ საქმეში, მაგრამ ვერ მივართვი. მე უკეთ ვიცი ჩემი საქმე... მე იმათ ყველას ისე ჩავიყვან-მდინარეზე და ამოვიყვან, რომ წყალსაც არ დავალევიან...

— ჟუკ, მოდი ერთი შენ ეს მითხარი, რა არის რომ მთლად ვირთხას დამსგავსებიხარ?

— მე მაგათი ფრჩხილის ოდენაც არ მჯერა. სიტყვით ყველა მუშათა კლასს იცავს და საქმეზე კი მხოლოდ თავის მუცელში იხედებიან.

— მოდი ერთი, ჟუკ, შენი გენერლები მაჩვენე, წამიყვანე!..

— მდივანთან მიბრძანდით, ამხანაგო ჩუმად! იქ სხდომაა, მაგრამ მდივანმა განკარგულება, გასცა რომ თქვენ ტელეფონოგრამით გამოეძახეთ... მიბრძანდით... მდივანის გვარი:—ქიდკი!..

— არა, სერიოზა, მოდი ისევ შენ გაპყვევი, მე კი ისე შემოვალ, ვნახავ ერთი როგორ მიიღებენ...

— მე არა მცალია, ამხანაგო ჟუკ. აგიტპროპში კოლეგის სხდომა მაქვს, მერე კიდევ...

— ეხ, სერიოზა!.. ასეთი განათლებული კაცი ხარ და მაინც წმინდა ბერივითა ხარ: მორცხვი და მორჩილი.

ოთახში პირველად სერგეი კი არ შევიდა, არამედ გლები. იქნებ, იმიტომ რომ ოთახი პატარა იყო, ან, იქნებ, იმიტომ რომ ოთახში მხოლოდ ქალები იყვნენ, გლებმა შესვლისთანავე იგრძნო, რომ ვიწრო ოთახი გაივსო მისი ახლავანი ტანით და არ იცოდა როგორ მობრუნებულიყო ამ სივიწროვეში. ასე ეგონა, მისი ქუდის წვერი ჭერში იყო მიბჯენილი და ეხახუნებოდა.

ფანჯარის პირდაპირ მაგიდასთან ამხანაგი მეხოვა იჯდა, ხელში კარანდაში ეჭირა და ტანთ ლურჯი საყულოვადაკეცილი ბლუზა ეცვა. ის ქალთა განყოფილების გამგე იყო. წითელ თავსაფარში ურჩი თმები არ ეტეოდნენ და გარეთ გამოყრილი მზის სინათლეზე ბზინავდნენ. ზემო ტუჩი ბიჭივით ჰქონდა ბუსუსიანი, წამწამები სართოდნენ და ნაპერწკლებივით ენთებოდნენ. მეხოვამ დიდი, მრგვალი თვალებით ახედა გლებს ოდნავ მოხუშული გრძელ წამწამებიდან და მისი წარბები ფრთებივით შეფრთხილდნენ. მსუქანი და ვარდისფერი ლოყები ისე ჰქონდა ალენილი, როგორც ახალგაზდა მოწიფულ გოგონას.

იქვე მაგიდასთან დაშა იდგა და ლაპარაკობდა ხმაშალლა რაღაცას თამამად. მან მხოლოდ ერთხელ გადახედა გლებს გაბრწყინებული თვალებით, მაგრამ სახე მისი მაინც ისევ ისე უცხო იყო, საქმიანი და უკარებელი. მის ირგვლივ და კედლების გასწვრივ ქალები ისხდნენ. თავი ყველას წითელ თავსაფრით ჰქონდა წაკრული, — დაშას მოხსენებას ისმენდნენ.

ამხანაგი მეხოვა იცქირებოდა ირიბად ისე, თითქოს ყურს არც უგდებდა და თან მზეს კატასავით ეფიცებოდა.

ჟუკმა სიცილი დაიწყო და გლებს სახელოში წაეტანა *მეგობარო გლებ, — აქ დედაკაცების*

— აქ საშიშო გადასარბენი გვაქვს, მეგობარო გლებ, — აქ დედაკაცების გაერთიანებული ფრონტია. დაგკორტნიან ფრჩხილებით დაგკაწრავენ... ფრთხილად იყავი!..

სერგეი უხერხულად ილიმებოდა.

უეცრად ქალები გაკაპასდენ, ჟუკს აუყვირდენ და კაცი ვერ გაარჩევდა, — მართლა ამბოხება იყო ეს, თუ დედაკაცური გათამაშება.

— აი შეხედე... ჭინკების საბჭო... არც ერთი მაგათგან მეტი აღარ ინდომებს ბავშვების კეთებას... ეგ წყულები ბოიკოტს გამოაცხადებენ და რა გვეშველება ჩვენ მაშინ...

დაშამ თავი მაღლა აიღო, გაჩუმდა და გულზე ხელები ჯვარედინად დაიწყო. იცდიდა, როდის გავიდოდენ ოთახიდან მამაკაცები და თან ოდნავ აღზნებულ თვალებით გლებს გადჰხედა. გლებმა ვერაფერი ვერ ამოიკითხა ამ შემოხედვაში გარდა გამიჯვნისა.

ამხანაგმა მეხოვამ მაგიდას ხელის გული გაართყა:

— კმარა ამხანაგებო!.. დელეგატებო, გთხოვთ თქვენ-თქვენს ადგილები დაიკავოთ და წესიერება დაიცვათ. გთხოვთ, ამხანაგო მამაკაცებო, ხელს ნუ გვიშლით. განაგრძე დაშა!

მაგრამ პირველ სიტყვის წარმოთქმისთანავე გააწყვეტინა დაშას:

— ამხანაგო ჩუმად, უკან რომ დაბრუნდეთ, გთხოვთ ჩემთან შემოიაროთ, საქმე მაქვს თქვენთან...

— კეთილი!

ნაპერწყლებივით ენთო მზეზე მეხოვას წარბები. თვალები: მრგვალი, გამსჭვირვალე, ბიჭურად უტიფარი და შიგ თავშეუკავებელ ტკივილებით ენთო ცრემლები.

— საქმე არაფერი მაქვს, მინდა მხოლოდ გაგეცნოთ.

— კარგი!

დაშა ქალაქის საბავშვო ბაგებზე აკეთებდა მოხსენებას.

2

კონკრეტული წინადადება

შეაღეს თუ არა ჟიდკის ოთახის კარი, — სახეში ოფლისა და თუთუნის შიში სუნი მოხვდათ.

აქაც მზე იყო, მაგრამ არა ოქროს ბურბუშელასავით, როგორც იქ, მეხოვასთან, არამედ მწვანე ძაფებად გაზიდული. სარკმელიდან დაწყებული საწერ მაგიდით გათავებული, ელავდა ცეცხლის სპირალები და ამდგარ ბოლში მტვერი ენთებოდა.

ოთახი: პატარა. ხალხი მტვერიან მზის სხივებში იყო გახვეული. ჩეკას თავ-

მჯდომარეს ჩიბისსა და ჟიდკის ტყავის ქურთუკები გაუხსნიათ. ჟიდკიც პირგაპარსული, — ჩიბისიც. ჩიბისს სახეზე თითქოს მტვერი ტალივით აქვს დაფარული და თეთრ წამწამებში მოსჩანს ფოლადის ნემსები: — თვალები. მსკუდრის მტრედაპირ ზის ისე, თითქოს ისვენებს. ჟიდკის სახე სიგრძეზე აქვს ანაოქებული, ცხვირი — აზიური, ნესტოები თრთიან და კანკალებენ. აიხედავს თვალებით და დაიჭერს, თვალებთან ერთად ნესტოებიც ათრთოლდებიან და იჭერენ ჰაერს.

დანსტანდაზზე შვილდივით მოღუნული პროფსაბჭოს თავმჯდომარე ლუხა-ვა იჯდა, მთლად შავი, გარუჯული (პერანგიც შავი, სახეც ყავისფერი, თმაგა-ჩეჩილი), ციებიანივით თვალებ აღგზნებული, სულმთლად ახალგაზდა. იყო ჩუ-მად თავისთვის და ყურს უგდებდა, ისმენდა და ოთხად მოკეცილი ნიკაპს მუხ-ლის თავზე სცემდა.

გლებმა სალამის ნიშნად ქუდთან ხელი განივრად მიიღო, მაგრამ ჟიდკიმ მას ყურადღება არ მიაქცია: განა ცოტა პარტიულები შემოდიან აქ, — სად სცა-ლია მას სალამისათვის! მხოლოდ გაკვირვებულ თვალებით აჰხედა გლებს და ცხვი-რის ნესტო აათრთოლა თავისებურად.

— აი, არიან ტყის მკრელები. არის რაიტყე. ტყის დამზადება.

და ყოველ წერტილზე მუშტს იჭნევდა.

— მერე, რა უყოთ?... შემდეგ?... განა მთელი საქმე იმაში არ მდგომარეობს, რომ შეშა მივაწოდოთ საჭიროებისამებრ? შეშა უღელტეხილს იქითაა, ზღვის ნაპირზედაც არის. შეშის ბეგარა იშლება. სწორი ზომები უნდა იქნას გამონა-ხული სასწრაფოდ, რომ სათბობი მასალა ზამთრის დამლევამდე იქნეს მიწოდებუ-ლი. ჯანდაბას იქით, ყველა ეს შინამრეწველობანი და პლიატივები: საქმეს ორი-ვე ხელით უნდა გაკეთება და ისიც ფართო მასშტაბით. აქ მთელი ენერჯის და-ტიმვა არის საჭირო, მთელი ძალები აქეთკენ უნდა იქნას გადასროლილი. რაი-ტყემ მასზე დაკისრებული ამოცანები არ შეასრულა: ათასი წუბაკი ჩაჯდა იქ, დასახვრეტი ხალხი. მალე იქ მუშებიც აჯანყდებიან, იმიტომ რომ სიმშლით იხოცებიან. ჩვენ შეშა გვინდა და მოგვეციოთ იგი. ერთი კვირის შემდეგ ეკონო-მიური სათათბიროს სხდომა არის დანიშნული და ჩვენც მზად უნდა ვიყოთ. ილაპარაკე, ლუხავა! მუდამ ცეცხლსა ჰყრი პირიდან და ახლა რამ ჩაგიწყვიტა-ვგ ხმა?..

ახალგაზდა ყმაწვილს არც გაუგონია ჟიდკის სატყეები: გულს ცეცხლი ედებოდა.

ჩიბისი არავის უცქეროდა და მის სახეში ვერ ამოიკითხავდი: ფიქრობდა იგი რამეს, თუ ისვენებდა.

ჟიდკიმ მაგიდას მუშტი დაარტყა.

— ჯანდაბას ჩვენი თავი და ტანი!.. დასახვრეტი ვართ ჩვენ ყველანი, და-სახვრეტი, როგორც იდიოტები და დეზორგანიზატორები. მორჩა, ამხანაგებო, გათავდა!..

ფანჯარაზე მუშტის ოდენად მოკუმშულმა ლუხავამ გამხდარი ხელები მუ-ხლზე შემოიხვია, მოსწია და მკერდზე მიიჭირა, მერე აცახცახდა და ასე ცახ-ცახში უცნაური სიცილი დაიწყო ბიჭივით, იცინოდა იგი და თან ქოშინობდა.

— რა დაგემართა, ჟიდკი, ხომ არ გადირიე?.. რომელ გამოუვალ მდგომარეობაზე ლაპარაკობ შენ?.. თუ შენ მართლა გამოუვალ მდგომარეობაში ხარ, ეშმაკმა წაგილოს შენ, მაშინ სხვა გზა არ დაგრჩენია, გარდა ინსტიტუტით შეასკდე ამ მდგომარეობას და გაარღვიო იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში შენ მართლაც დასახვრეტი ხარ და ჩიბისი შეასრულებს ამას სათანადოდ ყოველ მიზეზს გარეშე. არ არის და არც შეიძლება იყოს ქვეყანაზე რაიმე გამოუვალი მდგომარეობა: არის მხოლოდ ამოცანები და ამ შემთხვევაში ეს შენი ამოცანა მე გადავწყვიტე.

— მაშ როგორია შენი კონკრეტული წინადადება?

ჟიდკის ნესტოები აუკანკალდა და ასე კანკალში იტაცებდა ის ჰაერს და იმის გამო ის ისე სჩანდა, თითქოს იცინოდა და სიხარულის დაფარვა არ შეეძლო.

— ამისთვის საჭირო არის საქარბნო მექანიკური ძალის გამოყენება.

სერგეიმ ხელი ასწია და სიტყვა მოითხოვა.

— მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა შეთქვა ლუხავას წინადადების გამო...

ჟიდკის სახეზე ღიმილი გამოიხატა, ნაოჭები უცნაურად ათამაშდნენ და გლებმა ამ ღიმილში მოსიყვარულე დაცინვა ამოიკითხა.

— ამხანაგებო, სერიოზუს კონკრეტული წინადადება შემოაქვს. აბა, განაცხადე!..

— მე მინდოდა რომ ლუხავას წინადადებასთან დაკავშირებით ამხანაგ ჩუმალოვზე მიმეთითებინა. ამ საკითხის განხილვის დროს ჩვენ დიდ დროს მოვიგებთ, თუ ამხანაგი ჩუმალოვი, როგორც ამ ქარხნის მუშა, თავის აზრს გამოთქვამს... ახლა მე მინდა რომ...

ჟიდკიმ ხელის აქნევით გააწყვეტინა.

— მოიცა, მოიცა!.. სერიოზოა. შენ, როგორც ყოველთვის, ახლაც დიდის გრძნობით კითხულობ შენს ლექსს და მაგ მელოტ თავს სიხარულის ვარდი გეფინება.

— მე ახლა აგიტპროპის სხდომაზე მეჩქარება, მერე ონოში, შემდეგ...

ჩიბისს გაელიმა, სერგეის მიაჩერდა და ზარმაცი ზოზინით სთქვა:

— ინტელიგენტი... ეს „შემდეგ“ და „მერე“ მისი პირიდან ისე მოისმის, როგორც ლოცვა. მთელი ღამე არ ასვენებენ წყვეული საკითხები და თეთრად ათენებს... ინტელიგენტები მუდამ პასუხის გაუცემელი ვირებივით არიან პარტიაში; ისინი მუდამ შეეიწროებულად და დამინაშავედ ჰგრძნობენ თავის თავს. კარგია, მეტად კარგი, რომ ისინი მაგარ ხელებში არიან მომწყვდეული.

სერგეი გაწითლდა, დაიბნა და თვალებზე ცრემლი ნამად მოეფინა.

— თქვენც ხომ ინტელიგენტი ხართ, ამხანაგო ჩიბის?..

— დიახ. მეც ინტელიგენტი ვარ.

ჟიდკის სახეზე ალერსიანი და დამცინავი ღიმილი მოეფინა.

— აბა, ამხანაგო ჩუმალოვ... აქეთ მოიწი. რას იზამ, ფეხზე უნდა იდგე, — სკამი არ არის...

გლები მაგიდასთან მივიდა და სამხედრო წესით გაჩერდა.

— მე სამხედრო სამსახურიდან გამანთავისუფლეს, როგორც კვალიფიციური მუშა... ახლა პარტკომის განკარგულებაში ვიმყოფები...

ჟიდკი გლებს უცქეროდა და ხელი ისე ჩამოართვა, რომ თვალი არ მო-
უშორებია. როცა ხელს მის ხელს უჭერდა, ნესტოები აუთრთოლოდა და თვალებში
აღერსიანად უღიმოდა.

— შენ, ამხანაგო ჩუმალოვ, ჩვენი ქარხნის უჯრედის მდივანად ხარ დანი-
შნული. ის გაპარტახებულია. ყველგან მეტომრეობა და სპეკულიაცია არის
გაბატონებული. ყველა კაჟიან ასანთებზე და თხებზე არის გადარეული, იმაზე
ამოუდისთ მზე და მთვარე. ქარხანა დღის სინათლეზე იძარცვება. ალბად, შენ
უკვე შესული ხარ საქმის კურსში. გაამაგრე იგი, განამტკიცე და მიეც მას
შრომის უნარი, — სამხედრო წესის თანახმად.

გლებმა ხელი აუღო.

— კარგი, ამხანაგო ჟიდკი, ვიხამ!

ლუხაევამ სახესთან მიტანილ მუხლებს ნიკაპი ისევ დარტყა და კბილით
პაპიროსს ჰღეჭდა. ოდნავ მოხუშულ წარბებიდან მოცრიატე თვალებით გლებს
უცქეროდა და მისი თვალები ენთო შეცვიებულევით. თვალებში იყო აგრეთვე:
გამომწვევი შეკითხვა და ეს თვალები გლებს სულს უკაწრავდა. მან გლების
საპასუხოდ ჟიდკის ცივად გადასძახა:

— ეს ამხანაგი საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებაში გაგ-
ზავნეთ... შეუძლებელია სხდომის ათასი კერძო საკითხებით ასე შეწყვეტა.

ლაპარაკობდა იგი და თან გლებს ოდნავ მოხუშულ თვალებით უცქეროდა,
მთლად პაპიროსის ბოლში გახვეული. გლებმა თავი მოუთმენლად გაიქნია და
თვალები ლუხაევას გაუსწორა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მკერდში ყრუ ტკივილი
იგრძნო: ისე, თითქოს რაღაც მძიმე დაარტყესო მკერდში.

ჩიბისმა გადმოხედა.

— თქვენ კვალიფიციური მუშა ხართ... სამხედრო კომისარი... რათ დაანებეთ
თავი არმიას იმ დროს, როცა ქარხანა რამდენიმე წლით მაინც იქნება გაჩე-
რებული?

გლები ჩიბისს მოუბრუნდა და ყველას საერთო პასუხი გასცა.

— ჯანდაბას იქით ყოფილა ეგ ქარხანა!.. საძაგელი ადგილი!.. ფარეხია და
არა ქარხანა. მოდი, პირდაპირ ვილაპარაკოთ, ამხანაგებო! რა მშვენიერი ქარ-
ხანა იყო, ამხანაგებო, — დევეგმირი, ლამაზი... მსოფლიო მნიშვნელობის ქარხანა...
თქვენ კი გინდათ რომ ყრონტში ეცეთ მუშებს და ისე გაარეკინოთ ეს თხები
ქარხნის მიდამოებიდან. სად არის მერე წარმოება?... ჩვენ უნდა მოვკვდეთ და
ქარხანა მაინც გავაცოცხლოთ... წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მუშები, მუშები
კი არ იქნებიან, არამედ მელორეები.

ისევ მოხვდა მისი თვალები ლუხაევას თვალებს და ისევ დაიჭირა მან მის
ოდნავ მოხუშულ თვალებში რაღაც ექვი მისდამი და დაინახა — გულის დამწველი
გალიმება და მტრული განწყობილება.

— წითელი დროშის გმირებს, გარდა სიმამაცისა, კიდევ ერთი რამ ესა-
ჭიროებათ: შექმნილ მდგომარეობის რეალური შეფასება.

ჩიბისი იჯდა სკამის საზურგეზე მიყრდნობილი, — ცივი და გულჩაბვეული და

მის ტალივით მტვერგადაკრულ სახეზე ვერ ამოიკითხავდი, ყურს უგდებდა იგი ამ ლაპარაკს, თუ ისვენებდა.

ჟიდკი ნესტოებს ბერავდა, სახე ღიმილისაგან ეღრღინებოდა, ღრუჭუნ-მუშტს მაგიდაზე დასარტყმელად ამზადებდა.

— ლუხავა, მე შენთვის სიტყვა არ მომიცია! იჯექი მანდ! დაუბრუნდეთ ისევ სათბობ მასალის საკითხს.

გლები შეაკრთო ლუხავას სიტყვებმა, რომელიც ისევე გამომწვევი იყო, როგორც მისი ოდნავ მოხუჭული თვალები და გულს სისხლი გადაეცლო.

— ამხანაგო ჩუმალოვ, ჩვენ შეშის ერთი ნამორიც არა გვაქვს, სიმშლით ვიხოცებით. საბავშო სახლებში ბავშვები იხოცებიან. მუშები ორგანიზაციულად სულ მთლად დაშლილია. შენ კი მოდიხარ და ამბობ, რომ ქარხანა ჯანდაბას იქით იყოსო. რა სისულელეს ამბობ შენ? ახლა საკითხი ამაზე არ სდგას. რა შეგიძლია სთქვა შენ ტყის საჭრელებიდან შეშის აქ მოწოდებაზე? რა არის შესაძლებელი, რომ ამ გზით ქარხანა იქმნეს გამოყენებული? ილაპარაკე ლუხავას მიერ შემოტანილ წინადადების მიხედვით.

— შეშა? კარგი, იყოს ამხანად შეშის საკითხი. ერთ თვეში შეშა იქნება! მე გაძლევთ ამის პირობას.

— შენ ის სთქვი, როგორ შეიძლება ამ საკითხის, მყვირალა ფრაზების გარეშე პრაქტიკულად გადაჭრა?

გლები გაჩუმდა. დაფიქრებულ თვალებით ფანჯარაში გაიხედა.

— ეს ასე შეიძლება: ბრემსბერგი—უღელტეხილზე. ვაგონეტები პირსებამდე. ყველა პროფკავშირებში კვირაობები უნდა მოეწყოს. მე მეტი არაფერი სათქმელი არა ნაქვს.

იღრჩობოდა, სდუღდა და შუბლზე ოფლი ხვითქად ასკდებოდა ეშუს, გლებს ხელით ეტანებოდა და სიხარულით ალტაცებული საოცრად იღრღინებოდა.

— იჯექით თქვენ აქ, იჯექით... ის კი, — გაჩვენებსთ როგორ უნდა საქმეს ჯიგრიანად გაკეთება... მიდი, ძვირფასო ამხანაგო, მიდი, მაგათ...

ეშუს ყურს არაფერს უგდებდა, თვალი შეეჩვია მას, არაფერს ამჩნევდა და ის ისე იკარგებოდა თვალთავან, როგორც წვრილმანი რამე, რომელიც მუდამ თვალში გეჩრება, მაგრამ მაინც ვერ ამჩნევ და მისი გულის სიღრმიდან მოხეთქილი ყვირილი არ აღწევდა ყურთა სმენას.

ჟიდკიმ შუბლი შეიკრა, იჯდა და კი არ სწერდა, — ხატავდა ქალაქზე რაღაც ხაზებს. და ამის გამო, რომ მან ჩვეულებრივი დამშვიდებული სახე მიიღო, ის მოხუცს დაემსგავსა.

— შენ გქონდა, მგონი, ლუხავა, ამის შესახებ რაღაც სათქმელი?

ლუხავა სარკმლიდან მარჯვედ ჩამოხტა, გლებს გვერდი აუარა, მერე ისევ მობრუნდა და ფანჯარაზე ჩამოჯდა.

— მე ახანაგ ჩუმალოვის აზრთან ვიყავი ახლოს. მან ის ჩემზე უკეთ გამოხატა. მე შემომამქვს წინადადება, რომ მისი წინადადება უკამათოდ იქმნეს მიღებული და ის მიწვეულ იქმნეს ეკონომიურ თათბირის უახლოეს სხდომაზე მოხსენების გასაკეთებლად.

ჟიდკიმ ფანქარი მაგიდაზე დააგდო, ფანქარი გაგორდა და გლეხს ფერხ-
თით დაეცა იატაკზე. ჟიდკი ადგა, ხელი ხელს შემოჰკრა და მერე ჯიბეებში
ჩაიწყო.

— უტოპიაა, ამხანაგო ჩუმალოვ, უტოპია. დაეხსენ ქარხანას; ახლა
ქარხანა ჩვენთვის კუბოა. ქარხანა კი არა—შეშა, აი რა არის დღეს ჩვენთვის
მთავარი. ქარხანა არ არსებობს, ის დღეს მხოლოდ ცარიელი ქვის სატეხია
ჩვენთვის. ჩვენთვის ის წარსულია და არა მომავალი. ამ ეამად ჩვენ მხოლოდ
შეშის მიწოდებაზე უნდა გვექონდეს სჯა-ბაასი.

— მე არ ვიცი, ამხანაგო ჟიდკი, რა არის თქვენთვის უტოპია. თუ
თქვენ პირველ სიტყვად ქარხანას არ იტყვით, მაშინ მას მუშები იტყვიან. რა
თვალს მიხვევთ, თითქოს ქარხანა მხოლოდ წარსული და მომავალი იყოს. თუ
მუშები თვითონ აწყდებიან ამ ქარხანას,—მაშინ ქარხანაც არსებობს და ის მუ-
შა ხელის მოლოდინშია! რას ლაპარაკობთ თქვენ, ამხანაგებო, რას, ხომ არ
ხუმრობთ? ყოფილა რომელიმე თქვენგანი ქარხანაში? დაუსუნია რომელიმე თქვენ-
განს იქაურობა? ნახეთ თქვენ დიზელები და მუშები? ქარხანა მთელი ქალაქი
არის და მანქანებიც მზად არიან მუშაობის დასაწყებად. რათ არის ისე რომ ქა-
რები და წვიმები ღრღნიან იქ რკინასა და ტინობს? რად არის ყველგან რღვე-
ვა და ტრამა, რათ არის საჭირო რომ მუშები მაინცადამაინც ანტიმონიაში
იყვნენ? როგორ ფიქრობთ თქვენ, შევაფურთხოთ ამ ძველმანსა და თავი მივან-
ბოთ ყველაფერს? მუშა კრუხი ხომ არ არის რომ დღე-ღამე კვერცხების გამო-
სატეხად იჯდეს? თქვენ კი მოდიხართ და თვალს უხვევთ მას, რომ ქარხანა არ
არის, რომ ის ცარიელი ქვის სატეხია მხოლოდ. მას არ სჯერა ეს, გა-
ფურთხებსთ თქვენ და დედას იგინება. მაშ რა ჰქნას, როგორ უნდა მოგექცენ
თქვენ ისინი სხვანაირად? სხვა გზა რომ არა აქვთ! კარგად, ძლიერ კარგად იქ-
ცევიან ისინი, თუ სცარცვავენ ქარხანას და თავის ბუდე-ბუნაგში მიაქვთ ყვე-
ლაფერი. სულ ერთია, მაინც ეწმაკებს დარჩებათ საპატრონოდ. ასე ფიქრობენ
ისინი. თქვენ კი მოდიხართ და ათასი ლამაზი სიტყვებით უმასპინძლებით იმათ.
აი როგორ უნდა იქმნეს საკითხი დასმული, ძვირფასო ამხანაგებო...

ტკივილი, რომელიც აღრჩობდა გლებს სახლში და ქარხანის კორპუსებ-
ში,—ეს ტკივილი იყო აქაც აკენესებული, და ამ ტკივილს არ შეეძლო სიჩუმე,
ტკივილი სწამლავდა ჯანსაღ სისხლს.

ჟიდკი შეკრთა და თვალები უცნაურად დაჰქაჩა.

— შენ, ამხანაგო ჩუმალოვ, ქარხანა რაღაც კერპად დაგისახავს. რა ქარ-
ხანაზე ლაპარაკობ შენ, როცა ირგვლივ ბანდიტიზმი და სიმშვილი არის გაბატო-
ნებული, როცა საბჭოთა დაწესებულებები გამცემლებით არის სავსე? ვის რად
უნდა ახლა შენი ცემენტი და ათასი საამქროები? საძმო საფლავისთვის ხომ არ
გინდა შენ ის? თქვენ აგიტაციას ეწვევით წარმოების დასაპყრობად და ამ დროს
გლები ქალაქს თათრის ურდოსავით აწყვება...

— მე ეს შენზე ნაკლებად არ მესმის, ამხანაგო ჟიდკი! არ შეიძლება სა-
მუშაოსთან შიშველი ხელებით მისვლა და მისი მთლიანად შიშველ ხალხზე და-
მყარება. ეს თქვენი ნასუფრალის აკრეფის მეთოდები ერთხელ და საუდამოდ

უნდა იქმნას გადაგდებული. ახლა პირველ რიგში აღმშენებლობისა და ბრძოლის წარმოება არის საჭირო მეურნეობის აღსადგენად. აი, როგორ უნდა იქმნას საკითხი დაყენებული... წაანალმდეგ შემთხვევაში ყველაფერს თავი უნდა დასაყრდენად და გლეხური თვითგასამართლებაში უნდა გადაეშვა თავდაღმა...

ჩიბისი წამოდგა და კარებისაკენ გაემართა. ვერაფერთარ აზრს მის ტალღადაკრულ სახეზე ვერ ამოიკითხავდი. კარებთან შეჩერდა და სთქვა მონოტონურად, წერტილებზე ხმის ოდნავ ამაღლებით:

— ჩვენი საგანგებო დანიშნულების რაზმი ვერ არის კარგი. თუ ლაპარაკობთ ქარხანაზე, რატომ არ შეიძლება რომ ჩვენი საყაზარმო მდგომარეობის შესახებაც ილაპარაკოთ? კარგი სიტყვებია, ლამაზი, მაგრამ მე ტკბილი სიტყვების მოსასმენად არც დრო მაქვს და არც მოცალეობა. ყოველივე ეს შემდეგისათვის იყოს.

კარი გააღო და ისე გავიდა, რომ უკან არ მოუხედავს.

ჟიდკი კარებს გასცქეროდა და მიხვედრილ თვალებით იღიმოდა.

— ნუ ვიდავებთ ამაზე, ამხანაგო ჩუმალოვ. ახლა საქმე ქარხნის ამუშავებაზე კი არ სდგას, არამედ მასსათა ორგანიზაციაზე.

ჟიდკი ნესტოებით იცინოდა და გლების ხელს ხელს უჭერდა.

— მოდი, ამხანაგო გლებ, ერთი ეს ჟუკიც დაგვიგეშე, თორემ ის სულ მთლად მშიერ ვირთხას დაემსგავსა.

გლებმა ჟუკს მკლავი გადაჰხვია და კარებისაკენ გაემართა. ჟუკიც სცდილობდა ხელი შემოეხვია გლებისათვის ზურგზე, მაგრამ ვერ ახერხებდა.

— ძვირფასო ამხანაგო!.. გლებ!.. მე და შენ, ძამიავ, თუ ასე ვიქნებით, მთასაც კი გადავაბრუნებთ ძირფესვიანად.

უკან კი ისევ ისმოდა ჟიდკის ხმა:

— ამხანაგო ჩუმალოვ, ზედმეტი არ იქნებოდა ბადინთანაც რომ მოგელაპარაკნა, ის აღმასკომის თავმჯდომარეა. ლუხავასაც დაუახლოვდი, შეეცადე დაუამხანაგდე...

როცა ის კარებს მიუახლოვდა ლუხავამ მას იდაყვში ხელი მოჰკიდა. მისი სიტყვები და თვალები ცივბიანივით იყო აღზნებული.

— მე თქვენ შესახებ დაშასაგან ბევრი კარგი გამიგონია. მოდი, თქვენი გეგმა ერთად განვიხილოთ და ჩვენი მუშაობის ძირითად ამოცანად დავისახოთ. საჭიროა არა სიტყვებით მოქმედება, არამედ ფაქტებით. მომავალი მხოლოდ გონებაშია და სინამდვილედ ის კუნთებში იქცევა ხოლმე.

პირდაპირ შეხედეს ერთი მეორეს, თვალი თვალში გაუყარეს და გლებმა ისევ იგრძნო, როგორ გაჰკაწრა მისი გული ლუხავას სიტყვებმა და პირდაპირ მოშტერებულმა თვალებმა.

დაშა... ლუხავა... რატომ არ შეიძლება რომ ეს ლუხავა იყოს ის ნასკვი ამ დაბანდულ მარყუშიში?

კულულებიანი ქალი



გლები მეხოვასთან ოთახში შევიდა. უნებურად მაგიდას ხელებით დააწვა და მაგიდა აქრაჭუნდა საცოდავად. მეხოვამ წარბები შეიხუშა და გაოცებულ თვალებითა და ღიმილის შეკაფებით აჰხედა მას.

— ცოტა შეანელეთ თქვენი იერიში, ამხანაგო ჩუმალოვ. ეს ხომ ზარბაზანი არ არის, — მაგიდაა. ჩვენ აქ სრულიად მშვიდობიან პირობებში ვმუშაობთ.

— უკაცრავად. მე გაშლილ ცხოვრებას მივეჩვიე და აქ კი, — საქათმეა და არა ოთახი.

— რას იხამ, ახალ პირობებს უნდა შეეჩვიოთ. აქ თქვენ სულ მალე რომელიმე სოროში ჩაგაბამენ საბჭოთა მუშაობაზე და თქვენც ისევე, როგორც ყოველი ჩვენგანი, იძულებული იქნებით გასწიოთ ადმინისტრაციული ყვეარი. სულ მალე დაგაფიწყდებათ ეგ თქვენი თოფის წამლის სუნი და მეომარ ვაეკაცობის რომანტიკა. გამოხუნდებით და გაიცრიცებით. თქვენ, მგონი, საქარხნო უჯრედის მდივნად ხართ დანიშნული, არა, ამხანაგო? ერთი მაგასაც ვნახავთ, როგორ გაუსწორდებით თქვენს ურდოს. აქ თქვენ დედაკაცებს კაცი სათოფედაც ვერ წაეკარება: ყველას ღორების, თხების და ნეხვის სუნი ასდის. ყოველი სახლი ნაპარავ ნივთებით არის გატენილი და სახლი კი არა, უფრო საწყობია, ან-და დუქანი. კიდევ ნახევარი წელიწადი და ქარხანა მიწასთან იქნება გასწორებული. მერე რა ქარხანა იყო, ა?..

— ჰოდა, აი ჩვენ გვინდა რომ ეს ქარხანა ავამუშაოთ, აუშვებთ დინამოებსა და დიზელებს. უღელტეხილზე ბრემსბერგს მოვაწყობთ სათბობ მასალის ჩამოსატანად.

— ეხ, თავი დამანებეთ ერთი-და, თქვენ ყველა ერთსა და იმავეს ლაცობთ. სიტყვით, კაცმა რომ შეგხედოსთ, ყველა დევგმირები ხართ, საქმით კი იმას სცდილობთ რაც შეიძლება თბილად მოეწყოთ და როგორმე საბჭოთა ბურჟუები გახდეთ. აქ საქმის დღეები მეტად მოსაწყენია, ამხანაგო ჩუმალოვ! ახლა არმიაში სჯობია. ვითხოვე, მაგრამ არ მიშვებენ. მხოლოდ თქვენი ცოლი არ ჰგონობს ყოველივე ამას, ის ყოველ წვრილმანს ისე აკეთებს, როგორც დიდ საქმეს.

დაშა კედელთან იდგა და ილიმებოდა. ოდნავ ქანაობდა და მის ამ ქანაობაში მოუთმენლობა გამოიხატებოდა.

— არ მესმის, ამხანაგო, რას ლაპარაკობთ მანდ თქვენ ასე ფუჭად, ან რა გინდათ?.. შენ, ეი, მხედარო, ხელს ნუ გვიშლი... წადი, მშვიდობიანად იარე შენ გზაზე, სანამ კისერი არ მოუტეხიათ შენთვის...

ამბობდა ის და თან ილიმებოდა.

— აი, ხედავთ? ხომ გითხარით? საქმის ქალი.

— ეს სრული სიშართლეა: მას არ უნდა ოჯახში ყოფნა და საბოტაჟს აცხადებს. შენანება... წაუხდენია დედაკაცი რევოლუციას...

დაშას გაეცინა, მაგრამ გლებმა ვერც ახლა ამოიკითხა მის სიტყვებში წინანდელი მოსიყვარულე ცოლური სიტყვა.

დედაკაცებიც იცინოდნენ. მათ კინწისკვრით გააგდეს ~~ტყვენი~~ და ერთი მეორეს არ აცდიდნენ, ისე გასძახოდნენ:

— გაჰქრა თქვენი ძალა-უფლება, თქვე პირგაპარსულო თხეო, თქვენა! მოკვდა, წავიდა თქვენი ბატონობის დრო!.. ახლა თქვენ წვერები გაგპარსეს და დედაკაცებს დაემსგავსეთ, დედაკაცები კი მამაკაცებს. წავიდა თქვენი დროება ველარაფერი მოაბრუნებს...

მეხოვამ კიდევ ერთხელ აჰხედა გლებს და მას ისე მოეჩვენა, თითქოს ის ხარბად ჰყნოსავდა მას...

— თქვენ ჯერ ვერა ხართ აქაურობას შეჩვეული. თქვენ ჯერ ისევ ომისა და არმიის იერი არ დაგიკარგავთ. თქვენ ისე ხართ, თითქოს, დღეს თუ არა ხვალ, ომში წახვალთ. მიამბეთ თქვენი თავგადასავალი. რის გამო დაგაჯილდოვეს თქვენ წითელი დროშოვან ორდენით? თქვენ არ იცით, როგორ გაგიყვებით მიყვარს მე არმია... თქვენ არ იცით, ერთ დროს მე სანგრებშიც კი ვიბრძოდი... ეს მანიჩში იყო...

ის იღიმებოდა და ეს ღიმილი იყო მისი საკუთრება, — ეს ღიმილი გლებს არ შეეხებოდა, — და მეხოვას მოჩერებულ თვალებში ფარული ალტაცება გამოჰკრთოდა.

— კარგია, ძლიერ კარგი!.. ის დღეები დაუვიწყარია ჩემთვის... ისევე, როგორც მოსკოვის ოქტომბრის დღეები... მე ის მთელ ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება. გმირობა და ვაჟკაცობა, — აი რა არის რევოლიუციის ცეცხლი...

— ყველაფერი ეს, — კეთილი და პატიოსანი, ამხანაგო მეხოვა... მაგრამ აქაც, მუშათა პოზიციებზეც ხომ ისევე საჭირო არის ეს გმარული თავგანწირვა. აქაც დიდი სიძნელეები არის დასაძლევია: ნგრევა, არეულობა, დავიდარაბა, სიმშლილი... ასე!.. მთა ჩამოიქცა მეწყერივით და ადამიანს ისე დაეცა, როგორც ბაყაყს. აქ ღონე უნდა მოიკრიფო, დადგე ოთხზე და ეს ჩამოწოლილი მთა თავის ადგილას დადგა. შეუძლებელია? აი, გმირობა ამას ჰქვია... გმირობას სწორედ იქ აქვს ადგილი, სადაც შეუძლებლობა არსებობს...

— დიახ!.. დიახ!.. მე ძლიერ მინდა თქვენთან საუბარი, ამხანაგო ჩუმალოვ. მართალს ამბობთ თქვენ: გმირობა შეთანხმებულ და ერთიან შეტევაში მდგომარეობს. მაშინ არც არავითარი შეუძლებლობა არ შეიძლება რომ არსებობდეს...

მეხოვამ ისევე გაიცინა და კიდევ უფრო მკაფიოდ ენთო მის თვალებში ალტაცების ნაპერწკალი.

— ოთხზე დადგე, არა?.. კარგი, ძლიერ კარგი! აი, გამოთქმაც ასეთი უნდა... დახილო მთელი ტანი, დაიძაბო... ამხანაგო ჩუმალოვ, მე მინდა როგორმე თქვენ გესაუბროთ... მე საბჭოთა სახლში ვცხოვრობ... შემოიარეთ ჩემთან როგორმე...

დაშა იღიმებოდა და თან გამომცდელ თვალებით ხან გლებს უცქეროდა და ხან მეხოვას ქალს. მერე ჰმართან მივიდა, მხრებში ხელი ჩასჭიდა, შეაბრუნა და გარეთ გააგდო.

— სახლში წადი ახლა, მხედარო, გეყოფა!.. აქ შენ არც საქმე გაქვს და არც ადგილი.

მაგრამ გლები უეცრად მობრუნდა, მკლავებში ცოცხალი მხეცები და თან გაიტანა. დედაკაცები იცინოდნენ, იცინოდა მეხოვაც. დამამ ქმარის ასეთ უსი-
ცხვილო აღერსზე ერთი შეჰკივლა და მერე ორივე ხელებით მაგრა მოეხვია. გლებმა წუთით ისევ იგრძნო მისი მოსიყვარულე გული და ის ნაცნობი ქალური კისკისი, რომელიც არცერთ უბრალო სიტყვაში არ თავსდება, იმიტომ რომ ამ სიცილის სათავე ღვართქათად აღუღებულ სისხლი არის და ისევ სისხლში გა-
დადის.

— ამხანაგო ჩუმალოვ, თუ იცით თქვენ რა ქალი არის თქვენი დაშა? ხომ არ უამბია მას თქვენთვის თავის თავგადასავალი? მას ბევრი ისეთი რამ გადახ-
დენია თავს, რასაც ვერც თქვენ გადიტანდით...

დაშა შეკრთა, გლებს მკლავებში გაუსხლტა და განზე გადახტა.

— მე სრულებით არ მინდა, ამხანაგო მეხოვა, რომ ჩემ საუკეთესო თუ უბედურ წუთებში, შენ მეხებოდე. ნუ ხუმრობ, ამხანაგო მეხოვა, და მყუდროე-
ბას ნუ მირღვევ...

— საოცარია!.. მე არც მეგონა, რომ შენ ამის დამალვა გინდოდა.

...რათ შეკრთა დაშა ასე? რათ შეეშინდა მას და რატომ დაათარა მეხო-
ვას ქალს პირზე ხელი! რათ არის ასე რომ ყველამ იცის მის გარდა, მისი უქ-
მრობის ხანის ამბავი?

დერეფანში ღია კარებთან ლუხავა იდგა და გლებს ანთებულ თვალებით უცქეროდა.

გლებმა ლუხავას გვერდი აუქცია, — ეშინოდა არ წაჰკარებოდა. ლუხავამ მისი ხალათის სახელოს მოსწია და შეაჩერა.

— ამხანაგო ჩუმალოვ, ახლაც უჯრედის სასწრაფო სხდომა მოიწვიეთ: მოხსენებას მე გავაკეთებ. ხვალ კი ჩემთან შემოიარეთ პროტსაბჭოში და საქმე ერთად განვიხილოთ. ეს უხარმაზარი გეგმა მოითხოვს რომ პირველ რიგში წვრილმანი საქმეები იქმნას გარკვეული. მე შეშაზე კი არ ვლაპარაკობ, არამედ ქარხანაზედაც. მე ამაზე ვფიქრობდი წელან. ჩვენ ყოველგვარ ღონისძიებას უნდა მივმართოთ და ვიბრძოლოთ. არ დაგავიწყდესთ რომ ეს ბრძოლა იქნება — ბრძოლა გამეტებული. აგრეთვე კარგად იცოდეთ რომ ეს ბრძოლა არ არის დროებითი: ეს ბრძოლა მომავლისათვის ბრძოლა იქნება, იმიტომ ჰგონია ის ყველას სისულელე და განუხორციელებელი უტოპია. ჩვენ კარგად ვიცით რომ მომავალი მუდამ განუსაზღვრელ სითამამითა და ძალით უხედება აწმყოს. მაშ ასე, ჩვენ ამიერიდან გადამწყვეტ მუშაობას ვიწყებთ.

ხელი მაგრა ჩამოართვა და ქალთა განყოფილების ოთახში შევიდა.

გლებს დერეფანში მეხოვას ქალი წამოეწია.

— ცოტა მოითმინეთ, ამხანაგო ჩუმალოვ. თქვენ არ გითქვამთ ჩემთვის, რა დაადგინეთ იქ თიღკისთან? მე მინდა რომ საქმის კურსში ვიყო ამთავითვე. ამ ჯურღმულში თანდათან ობი გვეკიდება და ამ ყოველდღიურმა წვრილ-
მანმა მუშაობამ ჩვენ თხუნელებად გადაგვაქცია. რევოლიუცია კი ამას არ ით-

შენს. თუ თქვენ გეგმაში ამ საბჭოთა და პარტიულ ყოველდღიურ წერილმანების ძირიანად ამობრუნება შედის, მაშინ იცოდეთ, რომ თქვენ ამისთვის მაგარი და ბასრი კბილები დაგჭირდებათ. მე კი თქვენთან მიგულვდები, ამისათვის ჩუმად ვგრძნობ რომ თქვენ არ გაიხრწნებით ამ ყოველდღიურობაში და მასზე მაღლა იდგებით: თქვენ არმიაში ნამყოფი ხართ და ეს საკმარისია. აი კიდევ რა, ამბანაგო ჩუმად, მე ერთი რამ მინდა თქვენ გითხრათ: ნუ შეაწუხებთ ჯერჯერობით დაშას... წელან მე სულელურად მოვიქეცი... ის თვითონ მოვა თქვენთან,—აი ნახავთ... რის გაკეთებას აპირობთ თქვენ ახლა?

— ყველაფრის, რაც კი ქარხნის ამუშავებას შეეხება.

— ახლა წადით, მე მეტი არაფერი მაქვს თქვენთან სათქმელი.

გლებს გაუღიმა, ოქროს კულულები შეარხია და აჩქარებული ნაბიჯით ისევ უკან გაბრუნდა.

ქუჩაში მას ეუკი შემოხვდა.

— ა, როგორი არიან, ჩემო ძამია, ეს ჩვენი კოზირები, ა? ხომ ხედავ? მე მაგათ ვაჩვენებ სეირს. ყველა ჯურმლულებში ჩავძვრები და ამოვბერტყავ მაგ მავნე სულებს. მე კარგა მიცნობენ ისინი, ყოველდღე უთვალთვალე მათ საქმიანობას და მოსვენებას არ ვაძლევ... ახლა მე და შენ, ძამია, თუ გინდა, მთებს მოვიკიდებთ ზურგზე... მთელ ბიუროკრატებს პირაღმა ამოვატრიალებთ...

IV

მუშათა კლუბი „კომინტერნი“

I

რ. კ. ვ. უჯრელი

მუშათა კლუბი „კომინტერნი“ ყოფილ დირექტორის სახლში იყო მოთავსებული. ეს სახლი სამფერი უბრალო ქვით იყო გერმანულ წესისამებრ ნაშენები: ყვითელით, ლურჯით და მწვანე ქვით. ის მთის ფერდში იყო გამოზრდილი თავისი ორი სართულით უზარმაზარი, კედლები ძალღყურძენით ჰქონდა შეფენილი და ისე უკარებელად და უკაცრიელად გამოიციქირებოდა, როგორც გერმანული კირკა, ამასთანავე ერთად ის გამოიციქირებოდა მდიდრულად თავისი ნაქარგ აივნებითა და ფერადებით. ეზო: ყვავილნარით და სათამაშოდ დატოვებული ცარიელი ადგილებით. შიგ: უამრავი ოთახები, ერთიმეორეში არეული დერეფნებით და ფანრებით მორთული მუხის ობელისკებიანი ბიზანტიური კენჭის კიბეებით. ოთახებში: ფართლის შპალიერი იყო გაკრული პანნოებით, ჩინებულ ოსტატების სურათებით, უზარმაზარი სარკეებით და სხვადასხვა სტილის დგამით.

სახლის წინ, მთის დაქანებულ კალთაზე ხილისა და ყვავილის ბაღი იყო გაშენებული,— ხეხილი თხებს გადაეჭამათ. მზეზე ბალახი ამოსულიყო და ირგვლივ ზეძირკველზე დაყრდნობილი თუჯის მესერი ჰქონდა შემოვლებული. მარჯვნივ,

მთებს იქით, ცისფერი ჰიგანტური ბუხრები მოსჩანს, მარცხნივაც ^{დასუა} და მალ-
ლა, მთაზე, — ქვის სატეხები და დაქცეული ბრემსბერგები.

ოდესღაც აქ ცხოვრობდა ერთი იდუმალი მოხუცი, ^{მუშეები მას მხოლოდ} მხოლოდ
შორიდან ხედავდნ და არასოდეს არ ჰსმენიათ მისი ყოველისშემძლე ხმა. საო-
ცარი იყო, როგორ ცხოვრობდა ეს მედიდური მოხუცი დირექტორი უწიშრად
ამ ოცდაათოთახიან ცარიელ სასახლეში მარტო, როგორ არ ერჩოდა მას კოშ-
პარები და როგორ იყო რომ მის გულს ოდნავადაც არ ეკარებოდა ათასი სა-
შინელებანი სიმშობისა, სიბინძურისა, პირუტყვიანი ცხოვრება მუშებისა და ეს
მათი საერთო ყაზარმები.

და აი — ომი — რევოლიუცია — კატასტროფები... უმწყო მდგომარეობაში ჩა-
ვარდნილი დირექტორი გაექცა ამ რღვევასა და ნგრევას. მასთან ერთად გაიქ-
ცნენ ინჟინრები, ტექნიკოსები, ქიმიკოსები. დარჩა მხოლოდ ერთადერთი კაცი,
ქარხანის უხუცესი ამშენებელი, ინჟინერი კლეისტი, რომელმაც თავისი თავი ცო-
ცხლად დამარხა თავის სამუშაო კაბინეტში, სამმართველოს მთავარ შენობაში,
დიდი გზის გადაღმა რომ იდგა, ძირს, სახლის პირდაპირ.

... გაზაფხულზე, მაშინ, როცა ქვეყანა ჯერ კიდევ სიცხით იწვოდა: ღრუ-
ბლები, ზღვა, მთები და გავარვარებული პაერი თვალებს სწვავდა, — მუშებმა
ზეინკალთა საამქროში მოიყარეს თავი. საერთო ჯაჯგურში, გუგუნში და თამბა-
ქოს ბოლით გაგვიფულ დარბაზში ზეინკალმა გრომადამ შემდეგი წინადადება
შეიტანა:

— ფრიად შესანიშნავი სასახლე, სადაც ამ ხანად სისხლის მსმელი დირე-
ქტორი ცხოვრობს, გადაკეთებულ იქმნას მუშათა კლუბად და კლუბს ეწოდოს
„კომინტერნის“ სახელი.

ქვემო სართულში კლუბი, რ. კ. პ.-ის და რ. ა. კ. კ.-ის უჯრედები მოა-
თავსეს, ზემო სართულში: ბიბლიოთეკა, გასართობი ოთახი და საგანგებო და-
ნიშნულების რაზმი იქმნა დაბინავებული.

და იქ, სადაც ერთ დროს სამარისებური დუმილი იყო გამეფებული და
სადაც სამუშაოდან მიმავალი მუშა ვერ გაბედავდა იმ ტინობის გზაზე გავლას,
რომელიც პირდაპირ სასახლისაკენ მიდიოდა (დირექციის მიერეს სასტიკად იყო
აკრძალული), ახლა ყოველ საღამომობით ენთო ჩამავალ მზით განათებული უზარმა-
ზარი სარკეები ხანძარივით, — კლუბის მემუსიკენი ლითონის ინსტრუმენტებს ხა-
რებივით აბლავლებდნ და გრილობდნ დალაბანდები. გადაბეწვილ ინჟინრების
ბინებიდან მოკრიფეს ყველა წიგნები და დააწყვეს რიგზე კარედებში დირექ-
ტორის ყოფილ ბიბლიოთეკაში. წიგნები მეტად ლამაზი იყო, ბრწყინავდნ ოქ-
როს ვარაყით, მაგრამ მათი საიდუმლოება იდუმალეებით იყო მოცული: — ყველა
გერმანულ ენაზე იყო დაბეჭდილი.

გრომადა კლუბის გამგედ იქმნა არჩეული და, როცა ის კრებაზე კლუბის
მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებდა, ბიბლიოთეკის შესახებ შემდეგი გა-
ნაცხადა:

— ამხანაგებო, ვინაიდან და რადგან ჩვენ მშვენიერი ბიბლიოთეკა გვაქვს
და წიგნების კონფისკაცია და ნაციონალიზაცია მოვახდინეთ ბურჟუაზიისაგან

Коллекция
ДЛЯ ДОСЛЕДОВАНИЯ
ТРИЗУНА

და კაპიტალისტებისაგან, მაგრამ ყველა ესენი გერმანული წარმოებისა / არიან, ჩვენ კი, პროლეტარულ დისციპლინის მიხედვით, ვალდებულნი ვართ ჩვენი ისინი ვიკითხოთ და, თუ მხედველობაში მივიღებთ რომ მუშები მსხვერპლნი არიან მას წარმოადგენთ, მაშინ ჩვენ ვალდებული ვართ ყველა ენები დაეძლიოთ. ამიტომ ბიბლიოთეკა ყველა წერა-კითხვის მცოდნეთა და უცოდინართათვის ღია არის. ამხანაგებო, მოგიწოდებთ თქვენ კულტურის შესათვისებლად და საბოტაჟს ნუ გამოაცხადებთ.

მუშათა კლუბი „კომინტერნი“, დირექტორის ბინა კი არ არის ახლა, არამედ — კომუჯრედი.

მუშები ისევ თავის ქოხებში ცხოვრობენ. დაცარიელებული ინჟინრების სახლები ჰკვენესოდენ სიჩუმეში და უკაცრიელი ანფილადები აფრთხობდენ მუშებს.

ზეინკალთა საამქროში მუშები კაფის ასანთებს აკეთებდენ და სალამოობით მთებში დაკარგულ თხებს ეძებდენ. დედაკაცები კი მეტომრეებად დადიოდენ სტანიცებში და სოფლებში.

რ. კ. პ. უჯრედის სხდომებზე კი ყოველ ორშაბათ დღეს (ეს დღე პარტიული დღე იყო) მიმდინარე საკითხებში შემდეგნაირ კითხვებს სვამენ: 1) სახალხო გამოკვების სასადილოში ზეთისა და კერძის მოპარვის საკითხი, 2) სასადილოს კერძით ღორების კვების საკითხი, 3) უჯრედის წევრთა მორწმუნოების საკითხი, 4) საქარხნო ქონების ძარცვა-გლეჯა...

გლებმა მუშათა კლუბ „კომინტერნი“ უჯრედის სასწრაფო სხდომა გახსნა. სხდომა მშვენივრად მორთულ-მოკაზმულ დიდ ოთახში იყო დანიშნული. კედლები და დგამი ბრწყინავდა ჩაშავალ მზის სინათლეზე.

კლუბის დარბაზიდან ტლანჭი სკამები მოიტანეს.

გლები მაგიდას ისე უჯდა რომ ყველას ხედავდა და ფიქრობდა რომ ეს მუშები, მის ირგვლივ რომ შეკრებილან, ყველა ერთი მეორეს ჰგავდა. სახეები, თითქოს სხვადასხვა იყო, მაგრამ ამ სახეებში მაინც იყო რაღაც საერთო, რომელიც მათ ასე ამსგავსებდა ერთი მეორეს. მერე მიხვდა: ეს საერთო, — სიმშვილი იყო.

ბევრმა გლები პირველად ამ სხდომაზე ნახა, მაგრამ მაინც ზანტად ესალმებოდენ. გულგრილად, ისე, თითქოს აქამდეც ყოველდღე ხედავდენ მას. უკანასკნელად, როცა მათ ის დაინახეს, ეს იყო მაშინ, როცა მას ოფიცრებმა ქარხნის ალაყაფთან სტაცეს ხელი და ცემა დაუწყეს, — მას მერე არ უნახავთ.

ზოგი მიდიოდა მასთან და ხელს ღონივრად ართმევდა, უღიმოდა თვალე-ბში, არ იცოდა რა ეთქვა და ამბობდა რაღაც ამ გვარს:

— ა?... როგორა ხარ?... როგორ იქნება, ა?..

მერე ისევ თავის ადგილს უბრუნდებოდენ და სხდებოდენ. როცა ჯდებოდენ, ისევ შეხედავდენ გლებს და უღიმოდენ.

აი გრომადაც მოვიდა (თვითონ — პატარა, გვარი — დიდი), გაუცინა და კლეკიანი ჩახლანძული ხმით დაიწყო:

— ხომ ხედავ რომ ახლა სულ სხვა ამბავია, ამხანაგო ჩუმალოვ!.. ერთი შენც შეუტე!.. ჩვენ კომუნისტებში თხებისა და ასანთების შეგნამდე დაეწინაურებინა ზაცია მოხდა და ნუ მისცემ მათ დისკუტიის ნებას. მიდი მაგნიტის...

მერე მუშებს მოუბრუნდა და მხიარულ თვალებით გადახედა.

— აი, ხომ ხედავთ, თქვე რხრებო, თქვენა!.. სიკვდილი გამოიარა და სხვადასხვა... მე აქ საყოველთაოდ ვაცხადებ: წესრიგისათვის სიტყვას არ ვიღებ. რათ მინდა მე იგი, მე პირდაპირ ვქრი, ისევე, როგორც ამხანაგი ჩუმალოვი, ჩემი შიგნეულობა რომ ასე ამოატრიალა... მე მისი წყალობით შევედი რეკაპეს რიგებში...

მუშები ყურს უგდებდნენ გრომადას და იცინოდნენ: რა გრომადას საქმე იყო ასეთი ლაპარაკი! თვითონ ჩუმალოვიც იღიმებოდა. მუშები ბოლში იყვნენ გახვეული და ხმამაღლა ახველებდნენ.

— მიდი, გრომადა, მიდი... დააბზრიალე ეს მთები... მიდი, ამხანაგო..., ნურათრის გეშინია, — ჩვენი აიღებს!..

ლოშაკი კუთხეში იჯდა მოშორებით. მთლად შავი და კუზიანი, ის უზარ-მაზარ ანტრაციტის ბელტივით იდო შავი ამ ცემენტით ნაცრისფერ მუშებში. იჯდა, ხმას არ იღებდა. ტანად ის ყველაზე მორჩილი იყო, მაგრამ მაინც შესამჩნევი და დიდი მნიშვნელობის. მის თვალებში მუდამ კითხვითი ნიშანი გამოჰკრთოდა. არავის უცქეროდა, მაგრამ ყველა იმის მოლოდინში იყო რომ აი ადგება, იტყვის და ყველას დაარტყამს თავში თავის ანტრაციტით შავ სიტყვას ისე, რომ ყველას ენა მუცელში ჩაუვარდება.

დედაკაცები ფუსფუსობდნენ, ერთ ადგილას ვერ ისვენებდნენ, დაატრიალებდნენ თავის დაკონკილ გაფოფრილ კაბებს და ჩიტებივით ყრიაშულობდნენ. მათგან მოშორებით, მაგრამ მათდა შესამჩნევად, კედელთან იდგა ცალკე მათი ბელადი დაშა საქმის მოლოდინში და მისი წითელი თავსაკრავი ენთო ცეცხლივით. ხანდახან ის დედაკაცებთან მივიდოდა და რამეს ეტყოდა, მაშინ დედაკაცები ქუჩდებოდნენ ერთად. ყველა ერთად აჩურჩულდებოდა, თავს ერთიმეორეს არტყამდნენ და ყველა ერთად იცინოდა.

ელოდნენ, — აი საცაა ლუბავაც მოვა მოხსენების გასაკეთებლად სათბობ მასალის კრიზისისა და საერთო რღვევის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების შესახებ. აი, კარიც გაიღო, მაგრამ შემოვიდა არა ლუბავა, არამედ სავჩუკი, ფეხშიშველი და თვალსისხლიანი.

დაოსებული, კუნთებში შეჩერებულ ძალ-ღონით კარებთან კედელს ზურგით აესრისა და იატაკზე ტომარივით დაეშვა. მომშხამავად მოსჩანდა მის ღრმად ჩაცვენილ მორჩილ თვალებში ამღვრეული სევდა და ნალველი.

დაშა სარკმელთან მივიდა და ფანჯრის ორივე დიდი ჩარჩო კარებივით გამოაღო.

— დაწყველილი ხალხია ამ უჯრედში: ყოველ საქმეს ბოლი უნდა უხრჩო-ლონ და ისე განდევნონ. უსაქმური ტვინისათვის — თამბაქოს წვევაც საქმეა! გაიღო თუ არა ფანჯარა, ოთახი ისე აგუგუნდა, როგორც ცარიელი კა-

სრი: ზემო ვერანდაზე ლითონის ბუკები და ლოროტოტოები ~~ბლაოდენ~~ ხარე-
ბივით და გრუხუნობდა დალაბანდი.

საოროებში ჩამძვრალი ხალხი, რომელთაც სულ დაავიწყდათ ~~ქარხნის არსებო-~~
ბა, მისი გრუხუნი, კვარტლი, მტვერი და მანქანების სუნი, — ახლან სულ სხვა მტვე-
რით დაფარულნი — მთის ქარების მტვერით — ეს ქარხნის მუშები, ეს საარტელო
შრომის საამქრო ხალხი, ზურგზე ტომარ მოგდებულნი მიფორთხავდენ მთებზე,
მთის გადაღმური საველე გზებითა და ბილიკებით. მიდიოდენ ისინი ხუტორებში
და სტანიცებში ისე, როგორც ნატურალური გაცვლა-გამოცვლის დროებში,
დევნილნი და პირველყოფილ ადამიანის სიმშლით შევიწროებულნი. საქარხნო შრო-
მის ხალხმა, რომლებსაც დილით მამლების მაგიერ საყვირის ბლავილი აღვი-
ძებდა, ამ ხანების განმავლობაში გაუცნო გემო ლორებისა და თხების ბოს-
ლებს, საქონლის განავალის მძაფრ სუნსა და ქათმის საბუდრების სითბოს. და
ხალხი, მანქანათა და საამქროთა წიაღისა, მიეჩვია ყვირილს ლორებთანა, ქათ-
მებთან ერთად რომ ლორებისათვის და ქათმებისათვის სახალხო გამოკვების კერძი
ეშოვათ და რომელიც შთანთქა სხვის მსუნაგმა ლორმა. ელექტრონი ჩაქრა
ქარხნებში და ყაზარმებში, მტვერისაგან ხმა ჩაუწყდათ ქარხნის საყვირებს, — აკა-
კანდა აქ მყუდროება და უსაქმობა და აღრუტუნდა ლორებით აქაურობაში სოფ-
ლის იდილლია და ასე ჩაიკეტა ოჯახში ანგარიშიანი ქმარი და გამომზოგველი
ცოლი.

და აი აქ, კლუბ „კომინტერნში“, უჯრედში, კომუნისტები თვალებს ით-
ხრიან, წელვებზე ფეხს იდგამენ, მათ ტანსაცმელსა და დაუბანელ ხელებს ასდის ქათ-
მის სკინტლისა, ლორებისა და თხის ფარეხების ნიშადურივით მძაფრი სუნი. ერ-
თად, მჭიდროდ სხედან ისინი ახლა აქ და ლითონის ორკესტრის ხმებით და, არა
შინ სახმარი სიტყვებით, ივსება დარბაზი და აგონებს მათ წარსულს. გლებიც
წარსულიდანაა (თითქოს ეს გუშინ იყო აქ) და მას ასდის მანქანების სუნი, გა-
ვარვარებულ რკინის ალხი და გოგირდის დამწვარი ნაცარი და ფერფლი. და
ისევ —

... ქარხანა... წარმოება... ბრემებერგები... საამქროები...

დაშა ჯერ კიდევ ფანჯარას არ მოშორებოდა, რომ ამ დროს დარბაზში
შემოვიდა მორიდებულად მხრებზე დაყრილ, კულულებით სერგეი. გლებთან მი-
ვიდა და რალაცას საქმიანად ეჩურჩულებოდა.

გლები წამოდგა, თავზე ჩაჩქანის ქუდი მოიხადა და ფანჯარაზე მარჯვედ
მიაგდო —

— ამხანაგებო, აი ლუხავას მაგიერ, — ამხანაგი ივაგინი: ამხანაგი ლუხავა
მტვირთავებთან არის: აჯანყდენ ულუფის გამო... კრებას ვხსნით... გაჩუმდით,
თქვე წყეულებო!.. გეტყვით კიდევ რომ: ასე გავიგონე და ამასვე ამბობს რა-
დიოც... უცხოეთი, ანტანტა მოდის ჩვენთან სავაქროდ და გემებს გზავნის...
ვფიქრობ რომ, ჩვენ ეს საწყენად არ დაგვრჩება, — ბატონი ბრძანდებოდენ! ძლი-
ერ სასიამოვნოა!.. ჩვენც შეგვიძლია ზოგიერთი რამეები დავიმახსოვროთ...

იხუმრა მან და თვითონვე გაიცინა.

გრომადამ ხელები აიქნია და თვალები გაუბრწყინდა.

— ამხანაგებო, ვინაიდან და რადგან ჩვენ დიდებული ქარხნის მუშები ვართ. მაგრამ კისრამდე თხებში და ლორებში ვიძირებით და სხვა... მარა, ამხანაგებო, გვეყო, ამოვძვრეთ ამ ბუნაგიდან... წინადადება, შემოთხვევისათვის: მოვახდინოთ ლიკვიდაცია ყოველივე ზედმეტისა ჩვენი საბავშვო სახლის სასარგებლოდ... და რაკი ჩვენ მუშათა კლასს წარმოვადგენთ...

დალაბანდი. აიმიღვრა დარბაზში ბოლი და მტვერი.

—... ეგ ლორები... ყველა მარჯვე არის სხვის დოვლათზე... ვინ მორბოდა ხუტორებიდან და სტანიცებიდან?.. ყველას ხომ ვერ აუხვალ... განა თვითონ გრომადას ცოლმა არ ჩამოიგლიჯა კალთები სტანიცებში ყიალით?..

— ლიკვიდაცია მოვახდინოთ!.. ჯანდაბას!.. დაადგინე, ჩუმალოვ, უჯრედის სახელით...

— ძმებო, რას ამბობთ, ძამიებო!.. საკმელი არაფერია!.. რათ გინდათ რომ ჩხუბი და უსიამოვნება მოხდეს!.. ძმებო!..

გლებმა ზარა დარეკა და ბრძანა: „სმენა!“.

— აბა გაჩუმდით, ამხანაგებო! ჯერჯერობით ლორებსა და თხებს არ შეეხება ეს შევიწროვება. თუ გიხარიათ, გააბით მათთან ანტინომია, ეს ჩვენ არ შეგვეხება. დადგება დრო და ჩვენ მათ პროლეტარულ წესით მოვსპობთ ხელდახელ, როგორც ბურჟუაზიას...

და ისევ სიცილი და ამ სიცილით დაიმორჩილა გლებმა ისინი, — დარბაზი დაწყნარდა.

— ამხანაგებო, წინადადებას გაძლევთ თავმჯდომარე ამოირჩიოთ.

სიტყვის დათავებაც ვერ მოასწრო რომ დედაკაცებმა თავისი კუთხიდან (წინ დაშა და ლიზავეტა იყო) ერთხმად ასტეხეს ყაყანი:

— დაშა იყოს!.. დაშა ჩუმალოვა!.. დაშა!..

მამაკაცებიც ჰყვიროდენ, მაგრამ ვერ დასძალეს დედაკაცები:

— გრომადა!.. ჩუმალოვი!.. სავჩუკი!..

და სიტყვა „სავჩუკი“ გასკდა შუაზე ხარხარისაგან.

გრომადა მაგიდასთან მიიჭრა და იქიდან ხელების ქნევა დაიწყო. ხელებს იქნევდა და დედაკაცური ხმით უყვიროდა მამაკაცებს:

— ამხანაგებო!.. დედაკაცების წინააღმდეგი მე არაფერი მაქვს... მხოლოდ დედაკაცები არიან თანასწორი არსებანი და სხვა... ახალგაზრდები კი — წინამძღოლად?.. ცოტა მაინც შერცხვესთ... აქ წვერებიანი თავმჯდომარეა საჭირო... ჩვენთვის.

— სად აქვს მერე ჩუმალოვს წვერები?.. ან შენ არ იყავი, რომ ბალანი კატამ აგასლიქა?!

დედაკაცები მაინც ყვიროდენ:

— დაშა ჩუმალოვა!.. დაშა!.. გრომადას ხმის ჩასაწყვეტად იყოს ის თავმჯდომარედ... სავჩუკის წვერები კი ტარაკანების სახვეტად თუ ივარგებს და მუშტები კი მოტკას საცემად, თორემ სხვად რის მაქნისია...

— სავჩუკ... ჩუმალოვ!.. ლოშაკი!..

გლებმა კიდევ რამდენიმეჯერ დარეკა ზარა.

— ამხანაგებო, კენჭს უყრი კანდიდატებს. დაშა ჩუმალოვა პირველი ჩაწერილთა შორის. თუმცა ის ჩემი ცოლია, მაგრამ დედაკაცების წინააღმდეგ მაინც არ წავალ. ვინ არის მომხრე...

დასახელებაც ვერ მოასწრო, რომ დედაკაცები ისევ აყაყანდნენ:

— დაშა იყოს, დაშა... რატომ გზას არ გვაძლევთ, თქვე გასაწყვეტლებო?... თქვენ.

გლებმა პირველმა აუწია ხელი, მასთან ერთად ასწიეს ხელები დედაკაცებმა და სერგეიმაც. მუშებმა ერთი მეორეზე მიყოლებით, ყოყმანით ასწიეს ხელები ხველებით, ქვნიშით.

სავჩუკს ხელი არ აუწევია ისე დაიღრიალა ადგილიდან:

— გარეკეთ აქედან ეგ დედაკაცები!.. ეგ ახტაჯანები, ეგენი!..

გლებმა ისევ დარეკა ზარა და გააწყვეტინა:

— კენჭს უყრი გრომადას... ცოტაა. ლოშაკს უყრი კენჭს... ცოტაა. ადგილი დაიკაე, ამხანაგო ჩუმალოვა.

დედაკაცებმა სიხარულით ტაშს ისე შემოკრეს, როგორც ქათმებმა ფრთებს:

— ყოჩად, ქალებო!.. ჩვენია!.. მიდი, დაუმტკიცე, დაშა, მაგ წვერებ ცანცარა თხებს, რომ ჩვენც შეგვიძლია...

დაშა მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა მაგიდას და გლების გვერდით გაჩერდა.

— ამხანაგებო, მოვიტხოვ სიწყნარეს და პროლეტარულ ერთსულოვნებას. დღის წესრიგი მომეცი, ამხანაგო ჩუმალოვ. სიტყვა მოხსენებისათვის ეკუთვნის ამხანაგ ივაგინს. სიტყვისათვის თხოთმეტ წუთს გაძლევთ.

სერგეიმ გაიციინა და ხელები გაკვირვების ნიშნად გაშალა.

— მეტად მკაცრი რეგლამენტია, ამხანაგო ჩუმალოვა...

— ნუ რატრატობთ, ივაგინ. თუ სალაპარაკო გაქვთ, — ილაპარაკეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ საქმეს შეუდგებით.

— რას იქაჩება თუ იცით ეგ დედაკაცი ორკაპიკიან ტარანასავით... მე ხომ ვამბობდი, რომ არ არის საჭირო დედაკაცები-მეთქი...

— სახლში გარეკეთ ეგ ახტაჯანები, სახლში... თორემ ფანჯარაში გადაუძახებ მაგ უნიფხობებს, მაგათ...

— ამხანაგო სავჩუკ, გაჩუმდი: ანარქიისათვის გარედ გაგიყვანთ... თქვენ ხომ კომუნისტები ხართ, ამხანაგებო?..

დაშა მართალია. ცოტაა საჭირო ლაპარაკი: რა უნდა უთხრა მუშას მოხსენებაში? მისი თავი მეტისმეტად არის გატენილი ათასი ლაპარაკითა და ყბედობით. მან უკეთ იცის, თუ რა უნდა მას. წიგნების ცივი ფრაზები გაუგებარია, უცხოა და ისევე უსიცოცხლო, როგორც სერგეი, რომელიც ისევე გაუგებარია, უცხო და უსიცოცხლო სულითაც და სიტყვითაც, როგორც ის გაუგებარი წიგნები.

— ამხანაგებო!.. ირგვლივ საშინელი რღვევა... დიდი წამება მუშათა კლასისა... ჯერ უნახავი კრიზისი... სამხედრო ფრონტების ლიკვიდაცია... მთელი ჩვენი ძალღონე ახლა სამეურნეო ფრონტისაკენ უნდა იყოს მიმართული... X ყრი-



ლობა ახალ ამოცანებს ისახავს ეკონომიურ პოლიტიკაში... მხოლოდ პროლეტარიატი წირმოადგენს ერთადერთ საიმედო ძალას... რესპუბლიკის წარმოების აღორძინება... კონცესიები და მსოფლიო ბაზარი... — (უპ, ზეს გამოსულუღებულნი ინტელიგენცია!) პროლეტარული ქვეყნის სადარაჯოზე... გავაათკეცოთ ჩვენი ძალღონე და რკინის რაზმებით... ჩვენ გავარღვიეთ ბლოკადა... მუშათა კლასი და კომუნისტური პარტია... (გაათავეთ, ამხანაგო ივაგინ!..) სათბობი მასალის მიწოდება... ქარხნის მექანიური ძალა... ამის შესახებ ჩემზე უკეთ ამხანაგი ჩუმალოვი მოგახსენებთ...

— ამხანაგებო, მოხსენებას მხედველობაში მივიღებთ... დაწყნარდი, ამხანაგო გრომადა...

— მე იმის შესახებ მინდოდა მეთქვა, თუ როგორ ხსნიდა ამხანაგი მომხსენებელი... მამამისი ახლაც არა მშრომელი ელემენტია... ამხანაგი ლუხავა უფრო კარგად სჭრის. თუმცა ამხანაგი სიმპატიურია, მაგრამ მაინც ტყუილ-უბრალოდ დასკუტივობს... გვეყოფა, აი, აქამდისა ვართ სავსე ამდენი ლაპარაკით, მეტი აღარ შეგვიძლია... რას უყურებს რეკაპე?..


— ამხანაგო გრომადა, თქვენ არ იცით წეს-რიგის დაცვა. სიტყვა ეძლევა ამხანაგ ჩუმალოვს...

უჯრედი გაყუჩდა. უცდიან რას იტყვის გლებ ჩუმალოვი. მთავარი ის არის რომ მასში არის რაღაც უხილავი ძალა და ენერგია. და აი ამ მისი ძლიერი სიტყვებით ხვალინდელი დღე სულ სხვანაირად გათენდება.

— ამხანაგებო, ბევრი ლაპარაკი საქირო არ არის. ჩვენ ისედაც ბევრი დრო მოვანდომეთ ღორების მოვლა-მოშენებასა და ასანთების კეთებას. კმარა. ქარხანა ქარხანას კი არ ჰგავს, — უფრო ფარეხია. ქარხანა — სულელია, ჩვენც სულელები ვართ. განა ეს არის ამხანაგებო, საქმე? ადამიანს, ამხანაგებო, ორი ბოლო აქვს: ერთს თუ გავყევით, ჯანდაბაში ამოვყოფთ თავს და, თუ მეორეს გავყვებით, გვერდს აუვლით ამ საჯანდაბე გზებს და სამშვიდობოს გავალთ. და ყოველივე ეს იმისგან არის დამოკიდებული, თუ რამდენ გრადუსიანი ჩერჩეტი ხარ კაცი. ჩვენი ხელები თხებისა და ღორების მოსავლელად არ არის გაჩენილი: ჩვენი ხელები სულ სხვა რამისთვის არის მოწოდებული. ეს ჩვენ ძლიერ კარგად ვიცით. როგორც ხელებია — ისეთივეა სულიცა და ტვინის სამუშაოც. ბოლო მოუღოთ ამ მაღალ გრადუსიან სისულელეს! როგორც ამხანაგმა ივაგინმა სთქვა: ახალი ეკონომიური პოლიტიკა... რა არის ახალი ეკონომიური პოლიტიკა... ეს არის: — დაარტყი კბილებში ეშმაკს საბჭოთა აღმშენებლობით და კისერი მოუგრიბე. ცემენტი — მტკიცე კავშირია. ცემენტით მიეცემთ ჩვენ მსოფლიოს რესპუბლიკის დიდ შენობას. ცემენტი, — ეს ჩვენა ვართ, ამხანაგებო, ჩვენ, მუშათა კლასი. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს ჩვენ. კმარა, რაც ვისულელეთ: ახლა ნამდვილ საქმეს უნდა მოვკიდოთ ხელი.

კაცი ვერ გაიგებდა ამ საერთო ყაყანში თუ რა უნდოდა უჯრედს. სახეში მოწოლილი სისხლი მოსჩანდა თვალეებში. ცმუტავდა გრომადა, ხელებს იქნევდა, სავჩუკი თავის ადგილას ვერ ეტეოდა, ხალხს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა აწვებოდა და სიხარულისაგან გაბოროტებული ხმით ბლაოდა.

გლებმა ნიშნად ყურადღებისა ხელი ასწია, დაშა ზარივით წყრიალებდა და გამწარებული ხმით ყვიროდა:

— ამხანაგო—კომუნისტებო, თქვენ ჯერ კიდევ ჯოგი ხართ!... დაიცავით დისციპლინა... მე შენთვის სიტყვა არ მომიცია, სავჩუკ... 

— ასე, ამხანაგებო... საქმესთან გულდაგულ მივიდეთ. შენთვის სიტყვა თქვენც შეკითხვები, თუ რა აკლია ქარხანას, ძამიებო?... სათბობი მასალა არ არის! მუშებს არა აქვთ სათბობი მასალა. ყველაფერი არარაობამდე მივიდა. საცაა ზამთარიც დადგება და ღდინს გაგვაცლის. მოვაწყობთ ახალი ბრეისბერგი მთაზე... უღელტეხილზე... მივაყაროთ ქალაქს შეშა... საბჭოთა მეურნეობას ყელში წაუჭიროთ: მოგვეცი, თქვე სულძალღებო, ნავთი და ბენზინი-თქო... ანგარიში მოეთხოვათ... ჩვენ ვიცით რომ მარაგი არის. თუ არ არის და მაშინ ჩეკას საშუალებით რეკტრიბუნალში,—აი ჩვენი პირველი დარტყმა. პროფსაბჭოს საშუალებით კვირეულები გავმართოთ. ინჟინრები დავსვათ ნახაზებთან და ამგვარად საქმეს მიუყენოთ. ჯანდაბას იქით ეგ თხები!..

სავჩუკი მაგიდასთან მივიდა და მუშტი ქალღღებებს დაარტყა.

— ჩუმათ, თქვე მელორეებო, თქვენა!..

— ამხანაგო სავჩუკ, წესრიგი დაიცავით!

— რათ მტენი, დედაკაცო, პირში ბურთს? თუ აქ ასანთის მკეთებელსა და მელორეებს მოუყრია თავი, განა მე ნება არა მაქვს რომ ისინი გავამტყუნო და პირში ბურთი ჩავჩარო?!

— ამხანაგო სავჩუკ, უკანასკნელად...

— იი, წყეულო დედაკაცო... გლებ, ამხანაგო, ერთი კარგად წაუთაქე მაგ შენ ცოლს, იქნებ ჭკუაზე მოვიდეს... ჩემი ცოლი იყოს, მე ვიცი რასაც უზამდი... თქვენ კი, ქაჯებო, თხის მწყემსებო... სად არის თქვენი ხელები, თქვენი ყოორყი?... მითხარით, რას აკეთებს ჩეკა ინჟინერ კლეისტის წინააღმდეგ?... მითხარ, გლებ: რა შენი ამხანაგია ინჟინერი კლეისტი, რომელმაც შენ გაგცა და სასიკვდილოდ გაგიმეტა?... ვერ მოვითმენ!.. მოიყვანეთ აქ ინჟინერი კლეისტი!..

— მართალია!.. სპეცი... ინჟინერი კლეისტი... დაპატიმრებულ იქნას და ჩეკაში გაგზავნილი... ვირთხასავეით რომ ჩამძვრალა სოროში.. ჩუმად რომ დაძრწის ქურდივით... განა ინჟინერმა კლეისტმა არ დალია შენი სისხლი?..

...ინჟინერი კლეისტი. ამ ადამიანს ეჭირა ხელში გლების სიცოცხლე და გადასცა იგი ჯალათებს ისე, როგორც ძველი ძონძი. ინჟინერი კლეისტი... განა გლების სიცოცხლე არ ღირს ინჟინერ კლეისტის სიცოცხლედ? ეს მაშინ იყო, ახლა ისევ შეასკდა ერთი მეორეს მათი სიცოცხლე...

კუზიან ლოშაკის თვალი წუთიღ მოხვდა დაშას თვალებს და ხმა არ ამოუღია ისე ასწია ხელი.

— სიტყვა ამხანაგ ლოშაკს ეკუთვნის.

ყველამ კუზიან ზეინკალს მოჰხვდა, კუთხეში რომ იჯდა. ის მუდამ სცემს არა სიტყვით, არამედ ლოდით და მისი სიტყვა მუდამ მძიმეა და ჭკვიანური.

— ჩვენ შფოთის თავები ვართ, ბუშტებივით ვართ ჩვენ: გავიბერებით და გავსკდებით. დააყენე ადამიანი თავის საქმეზე და ადამიანი მთებს მოაბრუნებს.

აი რაშია საქმე... ინჟინერი კლეისტი—არაა შანსი, ის ბზლიტია და შეტი არაფერი,—ის არ არის გრდემლი. იყოს ეგრე, ინჟინერ კლეისტმა უმტერა ჩუმალავს. როგორი ხელით შეეხო მერე ის დაშას? როგორ მოექცა უნინერი კლეისტი, დაშას... რომელიც სიკვდილისაგან იხსნა... შანსი არ არის...

დაშა ადგილს მოსწყდა და ლოშაკს კუზში ხელი ჰკრა.

— ამხანაგო ლოშაკო, კამათი ჩემზე არ არის... ხმა ჩაიწყვიტე... მოხსენების ირგვლივ ილაპარაკე. და თუ სათქმელი არაფერი გაქვს, მაშინ შენ ადგილას დაეტიე.

ლოშაკმა თვალები დააქყიტა და ისე შეხედა დაშას. მერე ხელი ჩაიქნია და ისევ წავიდა ანტრაციტის დიდი ნატეხივით თავის ადგილას.

... ისევ—დაშა... ისევ რალაც საიდუმლოებანი...

გლებმა თავი შეიკავა.

— ამხანაგებო, თუ ეგრე არის, მომეცით ნება რომ მე თვითონ გაუსწორდე ინჟინერს, ახლა თავი გავანებოთ ამ საკითხს...

დაქანცული მუშები ოფლს პერანგის სახელოებით იწმენდდნენ.

დაშამ ქალაღდის ნახევი თვალებთან ახლოს მიიტანა და მერე უჯრედს ქალაღდის ზემოდან გადახედა.

— ამხანაგებო, პარტკომის საკითხს ყურადღებით მოვეპყრათ. შემდეგი საკითხი უჯრედის წევრების მივლინებას შეეხება კოლმეურნეობაში.

ისევ გასკდა ყუმბარა უჯრედში.

— არ გვინდა არავითარი მივლინება!.. კმარა, რაც მიგვავლინეს!.. ბანდიტებთან ხორცად!.. ეს სასიკვდილოდ გავგზავნა და არა მივლინება... ჩვენ პირუტყვები არა ვართ და არც წაეალთ მაგ სასალახოზე...

— ამხანაგებო, თქვენ ხომ უჯრედს წარმოადგენთ და არა „შკურნიკებს“! მე,—დედაკაცი, გეუბნებით თქვენ, რომ არასოდეს არც ერთი წუთით არ შემშინებია რაიმე ასეთის. ეს თქვენც კარგად იცით.

— შენ, ალბათ, გეხალისება და თვითონვე წადი... თან შენი ქათმებიც გაიყოლე, არ დაგაეიწყდეს...

— აი დედაკაცი: შეხედე რას უშვრება უჯრედს... გარეკეთ ეგ ახტაჯანა დედაკაცები აქედან!..

ეს საფრუკის ხმა იყო. მისმა ხმამაც კი ვერ დააყრუა ეს ვახარამაცი.

— გრომადა გავგზავნოთ, გრომადა!.. ქარხკომში რომ შეურგავს ცხვირი, ის წავიდეს მივლინებაში...

— ლოშაკიც, ძმებო!.. ეყოთ ამდენი მუქთახორობა ქარხკომებში...

გლები მაგიდას მოსცილდა და შუა დარბაზში გამოვიდა. გამოვიდა დამშვიდებით, ნელი ნაბიჯით, წვეტიან სახით.

— მე გამგზავნეთ, ამხანაგო კომუნისტებო. ჩემი ცოლიც. ეს ჩემი ცოლი იყო, თქვენ რომ „შკურნიკები“ გიწოდათ... და კარგადაც მოიქცა... მე ეგეთი რამეები ვერ შემაშინებს. სამი წლის განმავლობაში მე ყოველ დღე ვებრძოდი სიკვდილს საკვდრო-სასაციოცხლოდ. ასე იცის თებმა, მიგიბავთ არა თავის ფარეხებთან და ვერ სცილდებით?..

— შერე რა გინდა მაგითი რომ სთქვა?... ვის არ უნახავს ჩვენ დროში სისხლი?

— კარგი. ხომ ხედავთ, მე მაინც ცოცხალი ვარ... მე სიკვდილს თანვსწორივით უცქეროდი თვალებში პირდაპირ. და თუ თქვენ მართლა გინახავს სისხლი, მაშინ ისიც კარგად უნდა იცოდეთ, როგორი დინგი აქვს იმას. მაგარი დინგი აქვს, ძმებო, ძლიერ მაგარი. თუ არ გჯერათ, აი თქვენი თვალთ ნახეთ!..

ერთბაშად ტანზე ხალათი და პერანგი მოიგლიჯა, იქვე იატაკზე დაჰყარა და ლამპის სინათლეზე მისი კუნთები კისრიდან შარვლის წელამდე მოძრაობდნენ ღონივრად და კუნთებს შორის, სიღრმეებში თრთოდნენ შავად მორჩენილი ქრილობები.

— თუ გინდათ თქვენი ხელით ნახეთ!.. აჰა!.. მოდით და თქვენი თვალთ ნახეთ!..

და ის თითს იჭერდა მკერდში, კისერში, გვერდებში და იმ ადგილას, სადაც თითი ჩადიოდა, სისხლის ფრად აჩნდებოდა ნაიარავეები.

— თქვენ გინდათ რომ შარვალიც ჩაეხადო? მითხარით, — გინდათ? აჰა!.. მე არ მრცხვენია. იქაც მაქვს ასეთივე ორდენები. თქვენ გინდათ რომ თქვენ მაგიერ სხვები მიდიოდნენ სამუშაოზე და თქვენ კი იძინოთ თხის ფარეხებში, არა? კარგი! მე წავალ! მე დამნიშნეთ ამ სამუშაოზე...

არავინ არ მისულა გლებთან. ის ხედავდა ცრემლით დანამულ თვალებს, ხედავდა, როგორ ჩაუვარდა ყველას ხმა. უცქეროდნენ ისინი მის ქრილობებით დაღარულ შიშველ სხეულს და დაბნეულნი, გაყრუებულნი იდგნენ ჩუმად.

— ამხანაგებო! ეს ხომ ჩვენი სირცხვილია, თავის მოქრაა!.. სანამ უნდა ვიყოთ ასე სულით დაცემულნი?... ამხანაგებო!..

გრომად იღრჩობოდა მღელვარებისაგან. ხელებს ასავსავებდა, წვალობდა და ვერ გამოეთქვა თავისი გულის ტკივილი.

ერთი წვერმოშვებული მუშა წამოდგა და გულში, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მუშტი დაირტყა. თავი უხანხალებდა და თვალები გადმოეარდნაზე ჰქონდა.

— ჩამწერე!.. მე მივდივარ!.. მე ხომ წუნკალი არა ვარ, მეც კაცი ვარ თუ არა?!.. შერე რა უყოთ, იყოს იქ ის სამი თხა და გოჭიანი ღორები... ტყავი გადაგვძვრა ზურგზე ტომრების თრევით... რა არის აქ სალაპარაკო, რაც მართალია — მართალია...

მას რამდენიმე კიდევ აჰყვა ჩუმად, ხმის ამოუღებლად. დაშამ კი (ის გაშტერებულ თვალებით უცქეროდა გლებს) ხელი ჩაიქნია.

— ამხანაგებო, რითი არის ჩვენი უჯრედი სხვაზე უარესი?... არა, ამხანაგებო!.. ჩვენი მუშები კარგი მუშები არიან... კომუნისტებიც კარგი გვყავს...

და პირველმა დაუკრა ტაში და კბილები ააელვარა. როცა ყველა დაშოშმინდა, დაშამ ყველა გააოცა თავისი დედაკაცური წინადადებით, რომელიც მან ახლა რიგს გარეშე შეიტანა:

— ამხანაგებო! ჩვენ ინჟინრების ცარიელი სახლები დაგვრჩია. წინადადე-

ბა შემომაქვს ამ სახლებში საბავშვო ბაგები გავხსნათ. თავისუფალი პროლეტარი ქალი...

— იყოს ეგრე... მილი... აი დედაკაცები!.. ჰკენკავენ, როგორც დედლები და ჰყვიან, როგორც მამლები... პირდაპირ უდგებიან საქმეს, დიქსურს...

— წინააღმდეგი არავენ არის?.. მაშ მიღებულა... აბა ინტერნაციონალი ვიმღეროთ...

2

ავგუსტ ბეგელი და მოტია ხაჭაუკი

კლუბიდან სახლამდე ახლო იყო—მთა იყო გადასავლელი—სულ ათი წუთის სავალი. გლები და დაშა მხრებით ერთიმეორეს ეტაკებოდნენ და ხელებს ხელებში ხლართავდნენ. მუქი იისფერი, თითქმის შავი სივრცეები იყო გაშლილი ქარხნებს უკან—ზღვა და ქალაქის გარეუბანი—და ეს სივრცეები იყო ბნელი, დამაფიქვრელი და ვერანი, ღრუბლის ჩრდილოებით დახურული და სიბნელეში გაელვებულ ნაპერწკლებით. ცეცხლის ბაწარივით მიემართებოდა შუქურას სინათლე ქარხნისაკენ და შორს, ძლიერ შორს, ზღვაში ციდან ვარსკვლავები წვეთავდნენ და ცა ფარშავანგის გაშლილ ბოლოს უფრო ჰგავდა.

გლები და დაშა მიდიოდნენ ჩუმად,—უნდოდათ ლაპარაკი, მაგრამ მაინც ჩუმად იყვნენ.

ქალაქს იქით, მთებს, უკან ენთებოდა და ისევ ჰქრებოდა რალაც უცნაური ცეცხლები.

დაშა გლების ხელს ხელით შეეხო.

— ხედავ—ცეცხლებს?—ეს თეთრი და მწვანე არმიელები ანიშნებენ ერთიმეორეს. კიდევ ბევრი საზრუნავი გვაქვს ჩვენ მათი გადამკიდე. ბევრ სისხლს დალევენ ისინი კიდევ ჩვენსას, ბევრი მუშაობა დაგვჭირდება.

აი.—სთქვა და ამ სიტყვებში იყო სულ სხვა სულისკვეთება,—არა ის, უწინდელი, მუდამ ოჯახურ მყუდროებასა და ალერსს რომ ეძებდა მასთან. სთქვა მან და ეს სიტყვები არ იყო ის, რისი გაგონებაც მას ასე უნდოდა. როგორ ცხოვრებას ეწეოდა დაშა აქ უმისოდ? რომელმა ძალამ ჩამოაშორა იგი მას? ამ ძალამ გასრისა დაშა და ასე ამგვარად დაშა გახდა დაშაზე დიდი და ეს ძალა იყო გამოუცნობი და მათ შორის გახილული.

დაშა მიდიოდა ჩქარა, დარწმუნებული ბეჯითი ნაბიჯებით: გზა არ მოსჩანდა, მაგრამ ის სიბნელეში მაინც კატასავით არჩევდა ბილიკს.

— აბა ერთი, დაშა, მომიყევი, რა ამბავი მოხდა შენსა და ინჟინერ კლეისტს შორის? რაში იყო საქმე, ან რაზე ჩამოაგდო სიტყვა ლოშაკმა?..

დაშა ერთხანს ჩუმად იყო და მერე ამ ბნელ ლამიდან პირდაპირ შეხედა თვალებში გლებს.

— ის კონტრდაზვერვის შესახებ ამბობდა... განა, არ იცი?

— საიდან შეცოდინება? განა ერთი სიტყვა მაინც გითქვამს შენ ჩემთვის? განა ყოველივე ეს წესია, სხვამ იცოდეს და მე კი არა? მე ხომ შენი ქმარი ვარ, სხვა არა იყოს რა!

დაშამ გაიღიმა, მაგრამ გლებს არ შეუმჩნევია ეს ღიმილი.

— ჰო და აი... მე კონტრდაზვერვაში ვიყავი დაპატიმრებული, მოტია კი შეებვეწა ინჟინერ კლეისტს... მან სიტყვა მისცა და მე თავის თავდობის ქვეშ გამანთავისუფლა... მე მწვანეების საქმის შესახებ ვიყავი დაპატიმრებული.

— როგორ, შენ მწვანეების საქმის გამო იჯექი?... ხომ შეგეძლო შენ ამ საქმეში ბუზივით ჩავარდნილიყავი და დაღუპულიყავ?... როგორ გადაურჩი მერე ასე იოლად ამ ბანდიტებს? აბა ერთი მომიყევი.

— ეს ძლიერ გრძელი არაკია, გლებ. მერე მოგიყვები როდისმე დაწვრილებით. განა მე ახლა მაგისი თავი მაქვს; ხომ არ შემიძლია მე ასე უცებ დავჯდე და ყველაფერი მოგიყვე...

სთქვა და უცებ მოსცილდა გლებს, ნაბიჯს მოუმატა. გლებმა რაღაც არასასიკეთო იგრძნო მის ასეთ საქციელში. გაახსენდა: ასევე ეჭირა მას თავი მაშინაც, როდესაც ისინი საბავშვო სახლში მიდიოდნენ ერთად.

— შენ ეი, დაშა, მე რაღაც არასასიკეთოს მიგრძნობს გული. მე კარგად ვხედავ რომ რაღაცა ხინჯი გიღრღნის შენ გულს... ხომ არ მოგტეხეს შენ როგორმე იმ მაწანწალებმა?..

— გლებ... შენ ხომ ზნედაცემული ადამიანი არა ხარ? მე ასე მახსოვს რომ არ უნდა იყო. მე ვიცი,—ეს შენი სისულელით წამოგცდა... მეორეთ ფრთხილად იყავი და ენას მოუკელი, გლებ...

და ოთახში—სადაც არ იყო არავითარი მყუდროება და იყო მხოლოდ უკაცრიელობა—ის დაჯდა მაგიდასთან, შეხვეულ გახეთიდან წიგნები გამოხსნა, აიღო ერთი მათგანი, გადაშალა, ლამპა ახლოს მიიწია და თავით ხელებს დაეყრდნო.

— ბიჭოს, ერთი ამას დამიხედეთ? რა სიბრძნეებს კითხულობ, შენ?..

წიგნს არ მოსცილებია, ისე სთქვა ბუტბუტით:

— ავგუსტ ბებელს... „დედაკაცი და სოციალიზმი“.

— ოჰო!.. ესენი? ესენი, რაღაა?..

— ეს ამხანაგ ლენინის წიგნია. თუ გინდა, წაიკითხე. ჩვენ კომუნისტები უნდა ვსწავლობდეთ...

დაშა ერთგულად კითხულობდა: ჩურჩულობდა, ნერწყვს ჰყლაპავდა, თავს ატეხდა ძნელ სიტყვებს, ფორხილობდა, ფიქრობდა, თითოთ წარბებს ისრესდა და მერე ისევ კითხულობდა.

ღია სარკმელში ღამის ბუზანკალები შემოფრინდნენ, თამაშობდნენ სინათლეზე, ფართქალობდნენ ღამის ირგვლივ, იტუსებოდნენ გახურებულ ღამის შუშაზე და ძირს სცვივოდნენ. ღია სარკმელში ისე, როგორც ეს ბუზანკალები მოცვივოდნენ დაბინდულ ციდან ვარსკვლავები და წვეთავდა გაოცებული ძახილი წრომისა:—წრომ!.. წრომ?!. ღია ფანჯარიდან მოსჩანდა სავჩუკის ღია სარკმელი და საცოდავად იბუტებოდა იქიდან სინათლე.

გლები წამოდგა და ოთახიდან უქუდოთ გავიდა.

სავჩუკები უკვე წვებოდნენ. სტოლზე ეყარა ნასუფრალი. ალაგება იყო საჭირო, ჭურჭელს დარეცხვა უნდოდა და მერე—ძილი. მოტიას კოფტა არ ეცვა,

ის ლიფის ამარა იყო და ფუსფუსობდა სუფრასთან. ფეხშიშველი და ბანჯგვლიანი საფრუკი კარებთან მძიმედ მივიდა და გლებს გაულო.

— რა ეწმაკმა მოგიყვანა ამ შუალამით? დღისით გონივრულად და ღამით კი რწყილივით დახტი...

ეს საფრუკი იღრინებოდა ალერსიანად.

მოტია მკერდზე ლიფს იფარებდა, კოფტასაც, მაგრამ აფუებული, გათქვირული ძუძუები არ ემორჩილებოდნენ და დამალვას ვერ ახერხებდა.

— შენ შინაური კაცი ხარ, გლებ... შინაურულად ვარ, როგორც ეს გვიან ღამეს შეეფერება...

— ნუ გრცხვენია, მოტია: მე უმაგისოდაც კარგად ვიცი რომ შენ დედაკაცი ხარ და საფრუკს შენ თავს ვერ წავართმევ: — მაგარი ეაქაცია. ერთი მომიყვი, მოტია, როგორ ცხოვრობ შენ საფრუკთან?

— რა, — საფრუკი?... ის აყვირა... ის მე ფეხქვეშ მყავს გაგდებული...

— რას მიჰქარავ შენ, ეი, დედაკაცო!.. ვინ იყო ის, გუშინ რომ მაგრა მიგბეგვე? ასე მალე დაგავიწყდა?

მოტიას თვალები აენთო და კატასავით ონავრულად წამოდგა.

— შენ თითონ მიჰქარავ, შე ბანჯგვლიანო დათვო... აბა მოიგონე, ვის დაუჩქვე გუშინ ცხვირ-პირი?..

გლებს გაეცინა: — მხიარული ხალხია ეს საფრუკები!

— სხვა, როგორაა საქმეები, საფრუკ? ამიერიდან შენ სასტიკად გეკრძალება მოტიას ცემა: ხელები სულ სხვა მუშაობისათვის უნდა გქონდეს მზად...

— ხო, გლებ, ხო!.. ოხ, რომ იცოდე, გლებ, როგორ მინდა მუშაობა!.. ეხ, სამუშაო რომ იყოს... გლებ, ძვირფასო... იყო მუშაობა, — იყო წიწილებიც, აღარ არის სამუშაო და წიწილებიც სიკვდილმა წაიღო...

და თვალცრემლიანი მაგიდისაკენ შებრუნდა.

— მაშ ეგრე, გლებ!.. იცოდე თუ ეს ხელები ახლაც გამიცდა, იცოდე, რომ ვერ გადამირჩები! ხვალ საკასრე სახელოსნოში მივდივარ, — ვნახავ როგორ შეუძლიათ სიმღერა ჩემ გოგონებს... შენი ცოლი, ერთი აბტაჯანა ვინმეა, გლებ! დღეს უჯრედს ისე ატრიალებდა, როგორც მას უნდოდა...

მოტიამ ისევ შეანათა თვალები გლებს და სულში ჩახედა (მხოლოდ ქალებს შეუძლიათ სულში ასე ჩაძრომა).

— მე არ ვიცი რას ფიქრობს დაშა... მაგრამ მაინც არ მესმის როგორ აიღო მან ხელი ასე შვილზე, როგორ მიუგდო იგი სხვებს ლეკვივით? უშვილო და უოჯახო ქალი — ქალი არ არის. მეც მეძახოდა ის თავის აბტაჯანებთან, მაგრამ? მე ხომ სულელი არ ვიყავი, რომ მას ავყოლოდი? მე უფრო ადრე მოვკვდები, ვიდრე ჩემ ძუძუებს გარეთ გავყრიდე.

საფრუკმა მუხლზე ხელი დაირტყა.

— ეს შენი ცოლი ნამდვილი სასწაულია, გლებ!.. ვერ ხედავდი, როგორ თავის ჭკუაზე ატრიალებდა კრებას?

გლებს გულში ისარივით მოხვდა მოტიას სიტყვები. სწორედ ამ სიტყვებს მოელოდა იგი მოტიასაგან. იცოდა თუ არა მოტიამ, როგორ წავიდა მისი ცხოვ-

რება ამ უკანასკნელ დღეებში დაშასთან (მხოლოდ ქალებს შეუძლიათ აღამიანის სულში ჩაძრომა),—უცქეროდა ის გლებს ნახევრად მიმხედარ თვალებით. გლებს, თითქოს არც გაუგონია მოტიას უკანასკნელი სიტყვები ისე, მითხარათა საეჩუქს:

— მართალია: დაშა, ჩემი აქ არ ყოფნის დროს, მოყოჩაღებულა. როგორ გახდა ის ასეთი ქალი უჩემოდ,—არ მესმის: ის ამაყია და არ უნდა რომ ამპარტავნობდეს თავისი ბედით...

მოტიას თვალებში ნაპერწკალივით აენტო გაბოროტება, მაგრამ გაჩუმდა.

— ნუ ლაპარაკობ, გლებ, აქ ასეთ სიტყვებს. შენ დაშა ისეთ სატანჯველში მიატოვე რომ ყოველივე ეს სიკვდილს უდრიდა და ახლა მისი შიშველი ხელებით აღება არ შეიძლება და არც მოხერხდება. ნუ აწვალე, მითხარი,—ხომ აწვალე?—მე ხომ სულელი არა ვარ?.. თუ ის ასეთია,—ვერაფერს უზამ. ხომ აწვალედი შენ იმას, ხომ?.. თქვენ ხომ ისეთი უხიაგნი ხართ, ისეთი რომ... მერე?..—მერე, ხელი დაგწვა, არა? მე არაფერს გეტყვი, თუ თვითონ მას არაფერი უთქვამს თავის შესახებ. არ შეიძლება სხვისი სულის ფრჩხილებით ფხოქნა...

გლებს შერცხვა და უხერხულობა რომ დაემალა,—გაიციხა.

— შეხედე, რა ეშმაკი ქალი ყოფილხარ შენ, მოტია!.. რაც მართალია,—მართალია: დაშა ის არ არის, რაც იყო, და რა პერტურბაცია მოხდა მის თავს, მე არ ვიცი. ვგრძნობ კი, რომ რაღაც ჯურღმული უნდა ჰქონდეს სულში გათხრილი. რა ვიცი, იქნებ წაიფორხილა სადმე საქალო საქმეებში? მითხრას, მე ხომ ყაჩაღი არა ვარ!..

მოტია ისევ ჩაუძვრა სულში გლებს და გლებმა ისევ დაინახა რომ მოტია აქაც მიუხედა მას დამალულ ეშმაკობას.

— გლებ!.. გლებ!.. როგორ არა გრცხვენია, გლებ? შენ გინდა რომ მე გამომცადო, არა?.. წადი, გლებ, სახლში წადი და დაიძინე. ენას ტყუილუმბროლოდ ნუ იღესავ... მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს, რათ ჩაიღინა ეს იმან,—მე ხომ ძლიერ მიყვარს დაშა, გლებ, რათ ჩაიღინა ეს მან, რომ ნიურკა საბავშვო სახლში მისცა? ნიურკა ჩემთან იყო... ყოფილიყო ჩემთან... როგორ შეუძლია დედაკაცს ისე ცხოვრება, თუ ქმარ-შვილი არა ჰყავს?.. თქვენ კი,—უჰ, რა სულელები ხართ ეს კაცები,—თქვენ ამისი გრძნობა ვინ მოგცათ!..

დერეფანში, როცა მოტია გლებს აცილებდა, სიბნელეში ხელი ხელში ჩაავლო, მოუჭირა და მორცხვ გოგოსავით წყნარად გაუცინა.

— ოხ, გლებ... შენ ხომ შინაური კაცი ხარ... შენ არ იცი ჩემი სიხარული.. არ იცი... მე მდიდარი დედა ვიქნები... მდიდარი დედა, გლებ!..

და მერე, როცა კარებთან მივიდა, გლებისადმი სიბრაღულით ამოიოხრა.

— ოხ, გლებ... რა ბედია. გლებ!.. ვერ იცხოვრებ შენ დაშასთან უწინდებურად... ასე გინდათ თქვენ, ახია თქვენზე: ნუ მიატოვებთ აუტანელ პირობებში და ასე არ დაგეპართებათ...

დაშა ისევ ისე დახვდა გლებს წიგნზე თავდახრილი, როგორც დასტოვა: თავი ხელებზე ჰქონდა დაყრდნობილი და სასტიკი, დაფიქრებული, მუშური სახე დაეჩერებინა წიგნზე და ჩურჩულით კითხულობდა.

როცა შემოვიდა, — წიგნს მოშორდა და გამომცდელი თვალები გლებს შეაგება.

— რა გაიგე ამხანაგ საფუკებისაგან?

გლები მიუახლოვდა და სახე ტკივილისაგან დაეღმინა. მოკვნიან ხელი და სთქვა არა ისე, როგორც ის ლაპარაკობდა საზოგადოდ. გლები არ იყო ის გლები, რომელმაც ბრძოლის ქარიშხლები განვლო: ის დაღლილი იყო ახლა სიყვარულის წყურვილითა და დარდით.

— მითხარი, დაშა, მომიყევი ყოველივე, რა გადაგხდა, ჩემი აქ არ ყოფნის დროს... იყავი ისევ ისე ალერსიანი, როგორც უწინ... მე მიჭირს, დაშა, არ შემძლია... შენ ისე უხიაგად გიჭირავს თავი ჩემთან... თითქოს ჩემდა სასიკვდილოდ ბებუთი გქონდეს ილღიაში დამალული...

დაშას ხმა არ ამოუღია, მაგრამ გლებმა იგრძნო, რომ ის შედრკა, მოტყდა. იგრძნო რომ ის მიეკრა თავითა და მხარით მის მკერდს და ისევ იმ სუსტ და საყვარელ ქალად გადაიქცა. მას მოეჩვენა რომ ისევ ავარდა მის ტანს ქალის რძის სუნი და მის მკერდს გაუბედავად მიეხუტა, მიუხედავად იმისა რომ ის თავის თავთან ბრძოლას მაინც განაგრძობდა.

— თუ იყო რამე, — ეს არსებითი, არ არის... ვის არ დაემართება ეს ასე... მოსწყდა და ამოიოხრა. მერე თვალებში ისე ჩააცვივდა, როგორც მოტია და ტკივილისაგან ათრთოლებული ხმით სთქვა:

— იყო... იყო, გლებ... და ისიც არა, ერთხელ, გლებ, რამდენიმეჯერ...

თითქოს უხარმახარმა ხელმა მოკვლიჯა ის დაშას. თითქოს დიდი დაბალანებული მუწუკი გასკდა მის გულში და მხეცურმა ძალამ სისხლით ალავსო მისი მუშტები და სახე.

— მაშ, — მართალია?... იყო, არა?... დაეთროდი ვაჟებთან არა, დაეთროდი, ხომ, ბინძურო დედაკაცო?... შე ძუკნავ, შენა?..

გაცოფებულმა მუშტი მოუღერა, თვალები გადმოქაჩა და გონება დაბნელებული გამძვინვარებულ ხარისხით მისკენ გაექანა, მაგრამ უეცრად დაშა სკამიდან წამოდგა მტკიცედ, გაჩერდა ფეხზე და ანის გამო ის კიდევ უფრო მტკიცე და ქედმაღალი გადიქცა, ვიდრე გლები. და უეცრად არა დედაკაცური სუსტი ხმით, არამედ მთელი გულით მოჰკვეთა გლების პირუტყვი გაბოროტება.

— მე შენ გამოგცადე, გლებ. შენ არ შეგიძლია რომ ადამიანი იყო. შენ ჯერ კიდევ არ შეგიძლია, რომ მე ადამიანურად მომისმინო ყოველივე... მაშ აი: მე ეს იმიტომ ვსთქვი რომ გამეგო, რაც შვილი ბრძანდები. შენ მე მოტიასთან დამასმინე, — შენ გგონია, არ ვიცი? მე კარგად ვიცი, რაც გინდა შენ... შენ — კომუნისტი ხარ... მაგრამ შენ მაინც პირუტყვი ხარ, — შენ ქალი მონად გინდა, შენ გინდა რომ ის შენი სათელავი არსება იყოს მხოლოდ... შენ — კარგი მეომარი ხარ, მაგრამ ცხოვრებაში შენ ცუდი კომუნისტი ხარ.

სთქვა მან და ლოგინის გასაშლელად გაემართა.

(გავრძელება იქნება)

თარგმანი ლემნა შენგელაიასი



თეთრი ღვინო ლა-ვილლეტისა *)

(Le vin blanc de la Villette)

საუბარი ნავთსადგურში

როდესაც ბენენი და ბრუდიე აღიოდნენ მონმარტრის ერთ-ერთ ქუჩით, დილის ცხრის თუ ათ საათზე, მზე ღიმილით ესალმებოდა მათ. ცა მტრედისფრად მოსჩანდა სოლის ქუჩის ბალების ზევით, სახლის კედლები კი, დაღარულნი და ნასხურები თქროთი, ახლად გამოღებულ სოფლის პურს გავდენ.

როგორ მოულოდნელსა და მძაფრ ნეტარებას განიცდიდნენ ისინი თვითეულ ნივთისაგან! მაგრამ ეს გრძნობა არ აკმაყოფილებდა მათ, რადგანაც აღვიძებდა მათში ახალ სიამოვნებათა წყურვილს. და ბენენი, რომელიც ჭამდა თვალელებით რომელიმე ვარდისფერ კედელს, ჩვეულებრივად ამბობდა:

— ხომ არ გავემგზავროთ ნავთსადგურში?

ნაშუადღევს, როდესაც ბენენი და ბრუდიე ეშვებოდნენ სენ-ჟორჟის კვარტალის დაკლაკნილ ქუჩით, ჰაერი გაჟღენთილი იყო წვიმის მტვერით, რომე-

*) ამ მოთხრობების ავტორი ჟიულ რომენი არის ცნობილი წარმომადგენელი გერედ წოდებულ უნანიმისტების სკოლისა, რომელსაც ეკუთვნოდა მარსელ მარტიენე, ჟორჟ დიუამელი და სხვები. მათ შორის სრულიად ორიგინალური ადგილი უჭირავს რომენს. მისი ნამდვილი გმირია არა პიროვნება, არამედ კოლექტივი, ანუ ჯგუფი. პიროვნება იმდენად თანაშობს რაღაც რომენის თხზულებებში, რამდენად ის არის ცოცხალ და მომქმედ ჯგუფის შენადგენელი ელემენტი. მეტად დამახასიათებელია რომენისათვის მისი კრებული: „პარიზის ძალები“. აქ ავტორმა სცადა სრულიად განთავისუფლება პიროვნებისაგან, რომ დაეხატა ჯგუფების ცხოვრება: ქუჩების, მოედნების, ბალების, თეატრის, კინემატოგრაფის, დამოუკიდებლად იმისაგან, თუ როგორ ითვისებენ კერძო პირები ამ ჯგუფების ცხოვრებას. ჟიულ რომენი კარგად გრძნობს თავისი ამოცანის სიმძნელეს. მაგრამ ის გატაცებულია „უმაღლესი არსების“ — ჯგუფის ფსიქოლოგიით. რომენს სწამს კოლექტივის მომავალი, მისი განუითარება დამოუკიდებლად პიროვნებისაგან და ეს რწმენა უდიდესი პათოსით და ოპტიმიზმით ანოყიერებს რომენის შემოქმედებას. იმ მოთხრობების შესახებ, რომელნიც მოთავსებულია კრებულში „თეთრი ღვინო ლა-ვილლეტისა“, პროლეტარიატის პოეტი ვერზარნი ამბობს: „ამ მოთხრობებში მე ვნახულობ ახალს, გაბედულს და ნათელ სილამაზეს... და მესმის იმ ქვეყნის რიტმი და გრგვიწვა, რომელიც უნდა დაინგრეს“.

პირველად ეს მოთხრობები დაიბეჭდა 1914 წ., რამოდენიმე თვით უფრო ადრე მსოფლიო ომის დაწყებამდე.

ლიც ზევიდან კი არ ეშვება, და ზევით კი არ აღის, არამედ იბადება თითქოს ქუჩის ბრბოსაგან და სახლებიდან, იფრქვევა სართულების სიღრმიდან, როგორც სევდიანი სიმღერა. მაშინ ბრუდიე დადუმდებოდა, ბენენი კვ ეკითხებოდა მას:

— რაზედ ხარ დაფიქრებული, მეგობარო?

— მე იმაზე ვფიქრობ, რომ ახლა ცუდი არ იქნება ყოფნა ლა-ვილლეტის ნავთსადგურებზე. თუ მეგობრები ცენტრში იმყოფებოდნენ, ისინი მიდიოდნენ აღმოსავლურ სადგურისაკენ, ვიწრო ქუჩებით მიაღწევდნენ მას, მოხვდებოდნენ რეკოლლეს ქუჩაზე და გამოდიოდნენ არხზე! ეს არის მშვენიერი და შორეული ქვეყანა, ფრინველებივით ჭრელი ნაკვები დგანან ჩუმ აუზებში. ქარხანას აუმაართავს ზეცისაკენ შავი თუჯის შვიდი მილი. ეს მიწები დგანან გამვლელის წინ, როგორც ბრძანებათა მთელი რიგი და ბადებენ აზრს აბსოლიუტურ ძალა-უფლების შესახებ, რომელიც არ უწევს ანგარიშს ჩვენს კეთილდღეობას.

არხის მარცხენა ნაპირზე გზა მიდის კირისა და დაბალ სახლებს შორის, სადაც დაბინავებულან პატარა სამიკიტნოები. შემდეგ რაბები, მათთან მდებარე დამქქნარ პატარა ბალებით. არხი ფართოვდება, წყალი ქვევით იწევს. სჩანს აუზი, რომელიც მიმალულა გვირაბთან, როგორც თხუნველა თავის სოროს წინ.

ბენენი და ბრუდიე გადასჭრიდნენ გარეგან ბულვარს და დოკებამდე მივიდოდნენ, იქ ნავთსადგური სრულიად განცალკევებულია; ის ცხოვრობს თავისი განმარტოებული და ძარღვებ-დაჭიმული სიცოცხლით. პარიზი დარჩა სადღაც უკან; იგი არ არსებობს, კიდევ მეტი—ის დავიწყებულია. არის მხოლოდ წყლის სივრცე, რომელსაც უნდა ჩაყლაპოს ცა, სანაპიროების უხეში გზატკეცილი, რომლებზედაც ფეხსაცმელის ლანჩება სრესავენ უცხოეთის მარცვალს, ასაწევი ონკანები, ჩრდილით და არონატებით სავსე ბუდეები. ერთმანძიანი ხიდის ზევით, რომელიც აუზზეა გადაკიდული, საათი აღნიშნავს დროს.

როდესაც ბენენი და ბრუდიე მოდიოდნენ აქეთ ბიუტიდან, ისინი მოხვდებოდნენ პირდაპირ ბიჩის მოედანზე და დოკებთან. ისინი სხდებოდნენ სკამზე დაეყრდნობოდნენ ასაშვებ ხიდის მოაჯირს; მაგრამ რომელიმე გემი მოითხოვდა გატარებას; ისინი უნდა წასულიყვნენ; და როცა ხიდი აღიოდა ზევით თითქოს დევნილი ოთხი მუშტით, ბენენი ეუბნებოდა ბრუდიეს:

— რა კარგი იქნებოდა ახლა ლეინის დაღვევა საელჩოში.

მათ მოსწონდათ საელჩო თავისი მდებარეობით, რადგანაც მას ჰქონდა ინტიმური კავშირი ნავთსადგურთან და დაშორებული იყო ამ ქვეყნის ყველა საგნებს. იქ მათი სული განიცდიდა კმაყოფილებას. რომელ არა სასიამოვნო მოვლენას უნდა მოენახა ისინი და აეშფოთებია საელჩოში?

საელჩოს მუშტრები მუდამ იცვლებოდნენ. ყოველ შემთხვევაში ბენენი და ბრუდიე ვერ არჩევდნენ სახეებს და ნიშნებს, რომელნიც ასხვავებენ ერთ ადამიანს დანარჩენებისაგან. მაგრამ რიცხვი მსმელთა მუდამ ერთი და იგივე იყო. წარმავალ მუშტრების სახეებიდან იკვეთებოდა ერთი უცვლელი სახე. მუშტრების ჯგუფი განუწყვეტლივ იდგა ბუფეტთან; სხვები ისხდნენ მაგიდის ირგვლივ, კედელთან; დანარჩენები კიდევ ბინავდებოდნენ სინათლის ახლო და კარტს თა-

მაშობდნენ. დარბაზში ყოველთვის დაინახავდით მტვირთავს, მენახშირეს, შლიუ-ზოვშიკს, მედელეენეს, და მუდმივ მუშტარს, რომელსაც არეკვნიდა კაცობრივი პროფესია.

— საელჩო, — ამბობდა ბენენი, — საშუალებას მაძლევს გავიგო, თუ რა არის უკვდავება.

მუსაიფი არ ფერხდებოდა მონაწილეთა მუდმივ ცვლისაგან. ამით საუბარს არ აკლდებოდა უშუალოება და სიცხოველე. ურთიერთობა, შეიძლება ითქვას იყო უფრო მკვიდრი და ურყევი, ვიდრე თვით ადამიანები, და მათ არ ექვემდებარებოდა. მუსაიფი, დაწყებული ერთ მენახშირესთან გრძელდებოდა მეორესთან, და მსმენელი არც კი ამჩნევდა, რომ მისმა მოსაუბრემ დასტოვა დარბაზი და დაუბრუნდა თავის ნავს, ან თავის ცხენებს. სულ ხშირად მოთხრობას, შეწყვეტილს რაიმე შემთხვევით, იოლად განაგრძობდა ვინმე სხვა.

ბენენს და ბრუდიეს არსად არ მოსწონდათ ასე თეთრი ღვინო.

ერთხელ დაიპატიჟეს ერთ ბოთლზე ხორბლის ორი მტვირთავი. მიუსხდენ მაგიდას კედელთან. როდესაც ბოთლი დალეული იყო, მტვირთავებმა უბასუხეს იმავე მასპინძლობით. მუსაიფი უფრო გაცხოველდა.

ერთი მტვირთავთაგანი — ნაკეთებიანი ფიგურა — შემდგარი საფუძვლიან, მაგრამ უხეშად გათლილ და სიჩქარით შენავებულ ნაჭრებთან — გამოტყდა, რომ ბავშობაში ღვთის მორწმუნე იყო და კიდევაც ეხმარებოდა ღვდელს წირვის დროს. ზოგი რამ ამ ღვთის-მორწმუნეობიდან მას ახლაც დარჩა. ამას წინად — და ეს თვითონ მისთვის მოულოდნელი იყო — ის შევიდა დილით მაძლე-ნის საყდარში და დიდი დაკვირვებით და სიხარულით მოისმინა საჯვარისწერო ლოცვები.

— მათ რომ თავის დროზე დაეცავენინეთ და არ გამოვეშვი, — დაასკვნა მან, ნაძლევსა ვდებ, ბერად გამხდიდენ.

— ნუ თუ ეს მართალია, მეგობარო! — წამოიძახა მეორე მტვირთავმა, საკმაოდ გამხდარმა შავგვრემანმა, — განა ჯარში სამსახურმა შენ სერყანტად გაგზადა?

— ეს სულ სხვაა! ეს სულ სხვაა!

გაჩაღდა კამათი. მოყავდათ საბუთები, და უფრო მეტად მოგონებები. თვითუღმა გამოსცადა ჯარის გავლენა ადამიანზე.

— გაჩერდით! დაიძაბა ბენენმა, — მე პაციფისტი ვარ და არა ზედმეტად ჩამორჩენილი ადამიანი. მაგრამ თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა იყო მიზეზი ერთი უდიდესი სიხარულისა ჩემს სიცოცხლეში.

პარიზის აღება

ეს იყო 1906 წელს, აპრილის დამლევს. მე ვიხდიდი სამხედრო ბეგარას პიტრეიეში. ალბად, არც ერთი თქვენგანი არ იცნობს ამ ქალაქს. ესე იგი არასდროს არ ყოფილა იქ. მე კი ვცხოვრობდი იქ და, მართალი გითხრათ, ახლაც კი მგონია, რომ იქედან არ წამოვსულვარ. პიტრეიე არ არის თვალსაჩინო ადგილი. თქვენ შეგიძლიათ ათჯერ გაიაროთ მის ახლოს და მაინც ვერ მიხედებით რას წარმოადგენს იგი. ნუ წარმოიდგენთ რაიმე საშინელებას; სრულებითაც

არა! ქალაქი არც პატარაა, და არც დიდი, ნახევრად შემორკალული კედლით, მხოლოდ ნახევრად. საცოდავი არსებობა! ქუჩები არ არის სრულიად ცარიელი: დროგამოშვებით გაივლის რომელიმე მცხოვრები. გამვლელები უფრო სხანან ორ, თუ სამ ქუჩაზე, და ყოველივე მათგანი პირველობის ინტენსივობით თვალსაჩინო ადგილზე ფოსტის კანტორაა, რომლის კარებზე გამოფენილია სამპროცენტო რენტის კურსი. ყველაფერი ეს ჰგავს ძალს, რომელიც იყო ავტომობილის ქვეშ და კიდევ დიდხანს ამის შემდეგ საცოდავად დიშუს მრუდე ზურგით და გაჭყლევითი თათებით.

პიტივიეში იყო თითქმის ახალი ყაზარმები.

მე არ ვიცი უფრო სევდიანი სანახაობა, ვიდრე ახალი საავადმყოფო, ახალი ყაზარმა, ახალი საბურობილე. ყველგანაა არა გულწრფელი თვითკმაყოფილება, სიწმინდის და მორთულობის ყალბი შთაბეჭდილება, რაც იწვევს ჩემში ზიზღს. ასეთ საძაგელ სანახაობიდან მე გული მერევა. თუ შეხვედრიხართ თქვენ მეტროში, ან სხვაგან ქალებს, რომელნიც სხეულის რომელიმე ნაწილზე ატარებენ ბინტს ქერძაფით და ბევრ სურნელს ხმარობენ, რომ დამალონ საავადმყოფოს სუნი. საზიზღარი განცდაა. ასეთი იყო ჩემი ყაზარმა.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ ვიტანჯებოდით ჩვენ. მე ერთი თვის შვებულება შექონდა გადატანილ ავადმყოფობის შემდეგ.

მარტის შუა რიცხვებიდან აპრილის შუა რიცხვებამდე მე ვსარგებლობდი პარიზით, როგორც კი შემეძლო, და ვბრუნდებოდი ყაზარმაში თავბრუდასხმული, კიდევ არ მოსული გონზე, და იძულებული ვიყავი თვალები მომეტშენიტა, ხელზე მეჩქმიტა ჩემთვის. მე მოვემხადე მოსაწყენ ამბებისათვის, როგორც ვარჯიშობა ყაზარმის ეზოში მცხუნარე მზის ქვეშ, ან და გაზომილი სიარული აქოთებულ ქარხლის მინდერებში, სადაც სამი კილომეტრის მანძილზე ვერ დაინახავთ ვერც ხეს, ვერც ძროხას, ამავე დროს ფიქრობ, რომ გაზაფხული კარგია ყველგან, მთელ დედამიწაზე, მხოლოდ აქ კი არა.

ხუთ საათზე მე ჩვეულებრივად ვჩნდებოდი ჭიშკართან, უდარდელად ჩაუვლიდი მორიგ სერჟანტს და სწრაფად გავეშურებოდი პაწაწინა ოთახისაკენ, რომელიც მე დავიქირავე ქალაქში ათ ფრანკად თვეში: რალაც შკაუის მსგავსი ფანჯრებით, რომელიც, მიუხედავად ამისა, შეადგენდა ჩემთვის უდიდეს ნეტარებას.

ჩემი ოთახი იყო ყაზარმის ახლო, ქალაქის განაპირას. მე მივდიოდი პირდაპირ ოთახისაკენ, ან ვჩერდებოდი ერთი წუთით დუქანთან, რომ მეყიდა ძეხვი, ან რძე.

მაგრამ ამ დღეს, 29 აპრილს, მე დავაპირე პირველად წავსულიყავი გაზეთის საყიდლათ. რამოდენიმე ხნის განმავლობაში ლაპარაკობდნენ პირველ მაისზე, რომლისთვისაც ემზადებოდნენ სერიოზულად. ყოველთვის, როცა, მე შვებულების დროს პარიზში ვიყავი, უკვე იანვრიდან და დეკემბრიდანაც მე ვხედავდი პისსუარების კედლებზე ფურცლებს წარწერით: „დაწყებული პირველ მაისიდან, ჩვენ ვმუშაობთ მხოლოდ 8 საათი“, და ასეთი რამეები. აპრილის მეორე ნახევრის განმავლობაში ორივე მხარე ეწეოდა სერიოზულ მზადებას. თქვენ გაგონდებ-

ბათ? ბურჟუებს ეგონათ, რომ დადგა ქვეყნის აღსასრული, ხალხი კი ვერობდა, რომ ეს იქნება მხოლოდ დასაწყისი. ვინც მოუთმენელი იყო, ის დოქტორს ვერ უძლებდა. უკვე დაიწყო სააღმშენებლო მუშების და ოფიციალურების გაფიცვა. მდიდრები მთელი ყუთებით ყიდულობდნენ სარდინებს საერთო გაფიცვის მოლოდინში, ან და ცდილობდნენ დამალულიყვნენ ყრუ პროვინციულ კუთხეებში. მთავრობა არწმუნებდა ყველას, რომ ის დაიცავს წესიერებას, რა ფასაც არ უნდა დაუჯდეს ეს. მაგრამ ყველამ იცოდა, რომ შეტაკება აუცილებელია, მით უმეტეს რომ ამ დროს უნდა მომხდარიყო საარჩევნო კამპანია. ერთი კვირის შემდეგ უნდა განეხლებინათ პალატის შემადგენლობა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა საინტერესო იყო 29 აპრილის გაზეთი. უკვე რამოდენიმე დღის განმავლობაში იმართებოდა „მოსამზადებელი უზარმაზარი მიტინგები“, სინდიკატების სხდომები, სოციალისტურ პარტიების კამათი, ჯარების გადაყვანა. გაფიცულებიც არ იყვნენ მშვიდათ. პირველ მაისს—ყოველი მიტოვება პარიზის ყაზარმისა იქნება აკრძალული: გათენებიდან ჯარისკაცები უნდა იყვნენ თოფ-ქვეშ; მერიები უნდა დაეკავებინათ ჯაჭებს, ქუჩებში უნდა დაეყენებინათ ცხენოსანი პატრულები; და კიდევ რა?

რაც შეგვეხება ჩვენ, პიტვიეს ფეხოსან ჯარს, ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ ერთი დღე და ლამის განმავლობაში აკრძალული გვექნებოდა ყაზარმის დატოვება.

ბევრი ჩვენგანი პარიზელი იყო, მონმარტრიდან, სენტ-ანტუანის წინა უბნიდან, ან ლა-ვილლეტიდან, და ხელისუფლებას უთუოდ ეწინოდა, რომ ჩვენ არ გაუწევდით წინააღმდეგობას პროლეტარულ გამოსვლას.

მე მინდოდა წამეკითხა პარიზის გაზეთი და ჩქარი ნაბიჯით მივდიოდი უახლოეს საწერ ქალაქის მალაზიაში.

იყო ექვსის ხუთი თუ ათი წუთი. მე გამოვედი ყველაზე ადრე; ამ საღამოს ჩემი ფეხსაცმელები ჯარისკაცისა, შეიძლება ითქვას, ანახლებდნენ კურონის ქუჩას.

მოულოდნელად მესმის, რომ ვიღაც მომდევს და ყვირის: „პსსსტ!“ მე ვიხედები უკან და ვხედავ მაკადინეობიდან განთავისუფლებულ მწყობრის პრაპორშჩიკს, რომელსაც ვეკუთვნოდი მე. ამ პრაპორშჩიკს ჰქონდა „კარგი ბიჭის“ სახელი, რაც იშვიათია პრაპორშჩიკისათვის!—და ამის გარდა მე არავითარი დანაშაული არ მიმიძლოდა. მიუხედავად ამისა, თვითნებური, ვისაც ჯარისკაცად უმსახურია, წარმოიდგენს, რომ შეხვედრა ქუჩაში მწყობრის უფროსთან, ექვსი საათის ხუთ წუთზე, არაფერ კარგს არ მოასწავებს. წარმოიდგენ არა სასურველ სურათებს; შენ თავს კარცერში ხედავ.

— ბენენ,—მითხრა მან,—თქვენ შეგიძლიათ სამსახური გამიწიოთ. მე სული მოვითქვი. მას ჰქონდა აღუღებელი სახე, მაგრამ ის კეთილად იყო განწყობილი, როგორც ყოველთვის. ის თითქო კმაყოფილი იყო იმით, რომ მე შევხვდი.

— მე თქვენ გენდობით: თქვენ სერიოზული ადამიანი ხართ და ყველაფერი გესმით. აქ ისეთი ჯოჯოხეთია! არ ვიცი, სად წავიდე. თქვენ ნებას მომ-

ცემთ გავაკეთო ნახევარი საათის ეკონომია. ისმინეთ. აი თქვენ/ოფიციალური მოხსენება კორპუსის უფროსისათვის. წაიღეთ ჩქარა ფოსტაში მოითხოვეთ, რომ გავზავნონ რიგს გარეშე. გალანძღეთ ქალიშვილი, ~~თუ ეს უნდა იქნება.~~ იქვე ფოსტაში მოუცადეთ პასუხს. უთხარით, რომ პასუხი ~~მხოლოდ~~ მწებობით ფორმაში. დაჯინებით მოითხოვეთ და რაც შეიძლება ჩქარა მომიტანეთ მე.

— ყაზარმაში?

— დიახ! ყაზარმაში. მე კი მივქრი როტის უფროსთან. ის კიდევ არ არის გაფრთხილებული. ბრძანება ეხლახან არის მიღებული. საბედნიეროთ, ბატალიონის უფროსი თავის ადგილზე იყო. ბატალიონი ამაღამ მიემგზავრება პარიზში. აბა, ნახვამდის!.. ფულის გადახდა არ არის საჭირო. მართლა! თუ შეხვდებით ამხანაგებს ქალაქში, უთხარით, რომ დაუყონებლივ დაბრუნდენ ყაზარმაში... მე ვფიქრობ, რომ მცირე რიცხვმა მოასწრო გასვლა. მეც დავიჭირე ხუთი, თუ ექვსი.

მე მივდივარ ფოსტაში, ამაყი იმით, რომ ასეთ პასუხსაგებ საქმისათვის მან უპირატესობა მომცა მე ხუთი თუ ექვსი ჯარისკაცის წინაშე, რომელნიც მას ვხაში შეხვდნენ.

დებეშა არ იყო დახურული; მელანი კიდევ არ გამშრალა. მე ვკითხულობ: „ბრძანება მიღებულია. ბატალიონის დაუყონებლივი მობილიზაცია სწარმოებს. საჭიროა თუ არა განთავისუფლებულთა მწყობრის წამოყვანა. გთხოვთ დაუყონებლივ გვიპასუხოთ.“

ბატალიონის უფროსი დეშანი.“

როცა მე წავიკითხე ეს, გული ამიტოკდა, მე სწრაფად გამოვეცოცხლდი და გავექანე. მე სიამოვნებით ვხედავდი გამელელების გაკვირვებულ სახეებს. ამის გარდა მე მინდოდა დამეჩქარებინა დიდი ამბები.

და მართლაც, წვერიან ჯარისკაცის გამოჩენამ, რომელსაც ქალაქი ეჭირა ხელში და სახის ტრაგიული გამომეტყველება ჰქონდა, კურონის ქუჩა შეატორტმანა, ალბათ, ერთად ერთხელ მთელ მის სიცოცხლეში.

ფოსტა არის ორი ქუჩის კუთხეზე. მე ვხას გადამიჭრის მეშვიდე როტის წარმოსადგენი კაპრალი. მას ჰქონდა სრულიად მშვიდობიანი სახე და მან არაფერი იცოდა მომავალ ამბების შესახებ.

— კაპრალი! ბატალიონის მობილიზაცია ხდება.

ის შეკრთება.

— რა?

— დიახ. ერთი საათის შემდეგ ჩვენ გავენგზავრებით პარიზში. მე მიმაქვს დებეშა კორპუსის უფროსისათვის.

ის ირიბულად უცქერის ქალაქს. მე შევდივარ ფოსტაში. მას, ალბად, უნდოდა უფრო დაწვრილებით გამოეკითხა. მაგრამ მას ყველაზე უფრო ეწინააღმდეგებოდა დაგვიანების და აი ისიც მირბის. მე ვნეტარებდი.

ტელეგრაფის ფანჯარასთან იდგა მოხუცებული. მე უახლოვდები:

— ოფიციალური დებეშა... ჯარის კორპუსის უფროსს... გავზავნეთ დაუყონებლივ! მე აქ მოუცდი პასუხს. თქვენ გადმომცემთ მას.

ქალიწვილი ოდნავად აღევლებულია; ის ითვლის სიტყვებს, კითხულობს მისამართს, ფართედ გაახელს თვალებს და გადასცემს ქალალდს მის უკან, მაკდონალდს მარე მოხელეს.



მე მესმის როგორ ხმაურობს აპარატი.
 „დიდებულია! საქმე გაიჩარხა!“ ვამბობ მე.
 ქალიწვილი მიყურებს და გაუბედავად:

- თქვენ გადაიხდიო?
- არა, მე არ უნდა გადავიხადო. დებეშა ოფიციალურია.
- თქვენ დარწმუნებული ხართ?
- დარწმუნებული ვარ.

ის ღგება, ბჭობას მართავს მეორე მოხელესთან. ყველანი მიცქერიან ერთ-გვარი გაკვირვებით და სიფრთხილით, როგორც ასაფეთქებელ ნივთიერებას, და ერთ სიტყვასაც არ შეუბნებიან. მე ვტოვებ ტელეგრაფის ფანჯარას.

მე იქ გავატარე ნახევარი საათი, თუ საზღვარი მეოთხედი საათის რაღაც გაურკვეველ აღელვებაში. სასაცილოა ამის თქმა: დრო აღარ არსებობდა ჩემთვის. რაღაც ძალა ინთქებოდა ჩემი სხეულის ყველა ნაწილებიდან. მე არ შემეძლო ერთ ადგილზე გაჩერება. ბოლთას ვცემდი კანტორაში. რაღაც მაწვებოდა შიგნიდან. მე გამოწვევით ვიხედებოდი ირგვლივ. ვგრძნობდი, როგორ ელვარებს ცეცხლი ჩემს თვალებში.

ერთ ხანს მე არ მქონდა არავითარი გარკვეული აზრი. შემდეგ მოვისურვე: „ოღონდ კი გავემგზავრებოდეთ სხვებთან ერთად!“.

ამ მომენტში მე გარკვეულად ვიგრძენი დიდი ამბების დასაწყისი. გაზეთის მიხედვით მე ვფიქრობდი, რომ იქნებოდა გამოყენებული მხოლოდ პარიზის გარნიზონი. ამის შესახებ სწერდენ კიდევ წინა დღით. ოცი თუ ოცდახუთი ათასი კაცი ეს ცუდი არ არის. მაგრამ ირკვევა, რომ მოხსნილი იქნებიან ადგილებიდან ჯარები, პროვინციაში მყოფნი. პარიზისაკენ მიდიან ყველა სამხედრო მატარებლები. იმართება ნამდვილი ლაშქრობა პარიზის წინააღმდეგ, ვარსშემორტყმა პარიზის, შემორკალვა იმ წრის, რომელიც პარიზის ირგვლივაა.

უკანასკნელად მოვიდა პასუხი. მე მაძლევენ ფურცელს. მე იქვე არ წამიკითხავს იგი. გამოვდივარ კანტორიდან. ვკითხულობ:

„წამოიყვანეთ ყველა, გარდა ავადმყოფებისა და სუსტებისა“.

მე ვარ ყაზარმასთან. როდესაც შემოუარე მის კედელს, ისმოდა ბატალიონის ხმაური და ის ჰგავდა გაურკვეველ გაფანტულ კაკუნს, რომელიც ახლავს ზაფხულის დღეებში მოვარდნილს შორეულ სეტყვას.

მე გადავქერი ეზო. მთელ შენობაში იყო ალიაქოთი, აჩქარებული მზადება, გარდა შუა ნაწილისა, სადაც დაბინავდენ განთავისუფლებულნი.

შევდივარ მწყობრის კანცელარიაში. იქ იყვნენ როტის და ბატალიონის უფროსები და უნტერ-აფიცრები. ყველანი იხედებიან ჩემსკენ.

- მიიღეთ პასუხი?
- დიახ.

მე გამომტაცეს ქალალდი ხელიდან.



— ჩვენ მივემგზავრებით! ამბობს როტის უფროსი.

უნდა გენახათ ისინი. ისინი განიცდიდნენ უკიდურეს ალმწობას, მაგრამ არავითარ უხეშობას არ იჩენდნენ.

ისინი იყვნენ გულკეთილი თქვენთან, გეპყრობოდნენ მეგობრულად.

ეს იმდენად უჩვეულო იყო ჩემთვის, რომ ერთი წუთით მე გავიფიქრე, ხომ არ არის აქ ანგარიში—გესმით? ეხლა მე ამას არ ვფიქრობ.

ბატალიონის უფროსმა მითხრა:

— თქვენ კარგად შეასრულეთ დავალება. ჩინებულთა! თქვენ გავვიწიეთ სამსახური.

როტის უფროსმა:

— გასწით მალე! მოემზადეთ! გააფრთხილეთ თქვენი ამხანაგები. საკი-როა, რომ მუშაობა გაჩაღდეს.

მე გამოვდივარ. მომყვებიან სერჟანტები. ავრბივართ კიბეზე, ხტომით ავი-არე ყველა საფეხურები.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორი ჯოჯოხეთი დატრიალდა ყველგან. ჩვენ ვიგვიანებდით მთელი ერთი საათით შედარებით სხვა როტებთან, მივემგზავრებოდით კი მათთან ერთად.

თაროებზე დაწყობილი ნივთები უკულმა მოჰქრიან საწოლებზე. სხვათა შორის გავწმინდეთ თოფები. ჩვენი კაზმულობა ქერზე ყრია. მცირე ნივთებს ვესვრით ერთმანეთს, როგორც ბურთებს. ჩანთებში ვალაგებთ იმას, რაც ხელში მოგვხვდება. ვბეკნით და ვასწორებთ ნივთებს მუხლით. თოკებს ვჭიმავთ ორივე ხელებით. სერჟანტები დადიან განყოფილებიდან განყოფილებაში, არ ყვირიან, პირიქით გვეხუმრებიან გულკეთილად. რასაკვირველია აქ ადგილი აქვს მაგარ სიტყვებსაც, მაგრამ ეს ხომ ყაზარმაა. მხოლოდ არავითარი უკიდურესობა.

შვიდის ორმოც წუთზე ჩვენ ქვევით ვიყავით, მთელი ოთხი როტა და ჩვენი მწყობრი პირამიდებად დაწყობილ თოფების უკან.

ჩამოვარდა უცხო სიჩუმე. რიგებში არ ლაპარაკობდნენ. როტების უფროსები არ სჩანდნენ; უნცროსი აფიცრები იდგნენ თავის კამანდებთან, ხელები ზურგზე ეწყობთ ეზოს მეორე კუთხიდან ისმოდა ცხენის ჩლიქების თქარუნი, რომელიც აღვირით ეჭირა ორდინარეცს.

თანდათან ეშვებოდა საღამო. ქალაქიდან მოჰქროდა მსუბუქი ნიავი.

ასეთ მხოლოდინში ვიყავით ჩვენ, ალბად, საათის სამი მეოთხედი.

მოულოდნელად:

— თოფით! თავის ადგილებზე!

გაკვირვება, გუგუნი, წყენა. რიგები იშლებიან, ჩვენ ნელა ვბრუნდებით. სერჟანტები გვეუბნებიან:

— დაწევით, თუ გნებავთ, მაგრამ ნუ გაიძრობთ. ჩვენ გავემგზავრებით მხოლოდ დილით—ორის ნახევარზე.

ზოგიერთი გაიშხლართა კოიკაზე. არავის დაუძინია. ლაპარაკობდნენ, ეწე-

ოდენ თამბაქოს, კითხულობდენ გაზეთებს. ზოგიერთებმა ხელმეორედ გადაა-
ლაგეს ნივთები თავის ჩანთებში.

პირველის ნახევარზე ჩვენ ვეძახით სამზარეულოს მორიგეებს, ისინი ბრუ-
ნდებიან ყავადნებით. თქვენ იცით: სასმელი, შეზავებული რომით. სხვათა შორის
ცხელია და სასიამოვნო.

— ადექით. კოიკებისაკენ! გახსენით ჩანთები!
და აი ისინი გვირიგებენ პატრონებს, ორ პაკეთს კაცზე, სრულიად ახალი
პაკეთები, ტყვიები II.

ეს შეადგენდა თექვსმეტ პატრონს თვითივე კაცზე.
ჩვენ ვდუმდით; არასდროს არ იყო ჩვენი ყაზარმა ასეთი გაჩუმებული.
პაკეთები გავხიეთ. ჩვენ ფრთხილად ვებებით ცივ პატრონებს ჩანთების
ფსკერზე და თითებს ვუჭერთ მათ წვეტიან ბოლოებს.

ორის ნახევარზე გაისმის ბრძანება: „გასწიეთ ქვევით!“
ვეშვებით. არავის ძილი არ უნდა. იმისათვის, რომ გვექონოდა წარმოდგე-
ნა დროზე, საათს ვუცქერდით. ჩვენ ვიყავით თავბრუდასხმული, და იმავე დროს
ჩვენი აზრები განირჩეოდნენ საკვირველი სიცხადით.

მე ვგრძნობდი კანკალს, მაგრამ სხეულზე კი არა, არამედ თავის ქალაზე.
ორ საათზე ჩვენ გავემწკვრივეთ გრძელ რიგად სრულიად შავ საბარგა რონო-
დების წინ, რომელნიც იყვნენ მაღალი და უსაფხურო.

ჩვენ ავდიოდით რონოდებში დანიშნული წესით. ცალკე მწყობრების ფა-
რნები სუსტად ანათებდნენ. რონოდებში იყო დაბალი და ვიწრო ხის სკამები,
რომლებზედაც ჩვენ დავსხედით ისე მჭიდროთ, რამდენად კი შეიძლებოდა ეს.
ხუმარებიც კი არ იღებდენ ხმას. ერთი უნტერი რალაცას ბუზლუნებდა თავის-
თვის, მაგრამ გულმოუსვლელად.

ეს რა არის: ჩვენი რონოდებიდან უცბად წაიღეს ფარნები. ყველაფერი მო-
ცული იყო საშინელი სიბნელით. არ ვიცი რისი შედეგი იყო ეს: ნერვიულ აღ-
შფოთებისა და დაღლილობის, თუ კიდევ სხვა რამესი. არ ვიცი, გრძნობდნენ თუ
არა სხვები იმას, რასაც ვგრძნობდი მე; მაგრამ მე მინდოდა ქვითინი, დაფრქვე-
ვა ნამდვილ უტყუარ ცრემლებისა. მე არ მქონია მიზეზი შიშისათვის. მართ-
ლაც, რა უნდა ექნათ ჩემთვის. მაგრამ ცრემლები აწვებოდნენ ჩემს თვალებს, და
ტუჩები მიკანკალებდნენ.

მოულოდნელად გაისმა სიგნალი ვორნისტისა, ერთად ერთი, ცივი და ფა-
რთე, რომელიც თითქოს შედიოდა თქვენს ტანში. მატარებელი დაიძრა.

გათენდა მაშინ, როდესაც ჩვენ კიდევ გზაში ვიყავით. სინათლე ძლივს შე-
მოდიოდა რონოდის საპაერო ხვრელებში. ჩვენ ერთმანეთზე ვიყავით მიყრდნო-
ბილი და გვეძინა ნახევრად. კისერი გავვიშეშდა. ბორბლების მოძრაობა ხვდე-
ბოდა წელის დაბლა ნაწილს და შემდეგ გადადიოდა ხერხეშალზე.

მატარებელი გაჩერდა სამჯერ თუ ოთხჯერ, ალბად, მინდორში. ჩვენ მივ-
დიოდით, შეიძლება, საათის სამი მეოთხედი შეუჩერებლივ, მაგრამ მატარებელი
ისევ დადგა და უკვე აღარ იძვრის.

მესმის, როგორ ამბობს ზოგიერთი:

— ეს პანტრიუშია.

ვინც სკამის კიდევ იჯდა, ის ცდილობდა საჭაერო ხვრელებში რამე დაენახა. მაგრამ ხვრელები ირიბულად იყვნენ ამოჭრილი, რომელიც ხვრელების ფარდულებში; ამ ხვრელებში თითქმის არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა.

მიუხედავად ამისა ზოგიერთი დაჯერებით აცხადებდა:

— დიახ, ეს პანტრიუშია.

სხვები, ეურჩებოდნენ:

— პანტრიუში? არასდროს! ჩვენ ვართ ვილნეე-სენ-ჟორჟის სადგურზე.

ბოლოს და ბოლოს არაფერი შეუძლებელი არ იყო იმაში, რომ მატარებელი გაგზავნეს ვილნეე-სენ-ჟორჟის მიმართულებით. მაგრამ ვილაც ავტორიტეტულად ამტკიცებდა:

— ვილნეე-სენ-ჟორჟი? სრულიად არა! ჩვენ ვართ ნუაზი-ლე-სეკში! მე ვიციანი გზა.

უპასუხებდნენ მხოლოდ მხრების აწევით. მე ვიჯექი სკამეიკის შუა ნაწილზე და არ შემეძლო აღგომა. მაგრამ მე ვგრძნობდი: „ჩვენ პარიზში ვართ“. მე მითხრეს, რომ ერთმა ქალმა, რომელსაც უნდოდა განთავისუფლებულიყო თავის კატისაგან, წაიყვანა იგი კალათით პიუტოდან ვერსალში და იქ დატოვა. მაგრამ კატამ გაიგნო გზა. ჩვენც არა ვართ მოკლებული ასეთ ყნოსვას.

უცბად გაისმა საყვირის ყრუ და მოკვეთილი ხმა. მე ვავიგონე ბრძანება, ხმაური კარების, რომლებსაც აღებდნენ. შემოდის დიდ ნაკადებად დღის სინათლე.

ჩვენ ჩამოვდივართ თითო თითო. საჭირო იყო გადმოხტომა ნაშევარი მეტრის სიმაღლიდან. როცა მე გადმოვხტი, ვიგრძენი, როგორ აწკარუნდა ჩემს მუცელზე თექვსმეტი პატრონა.

მე ვიხედები ირგვლივ და ვხედავ ვეებერთელა მოედანს, რომელზედაც ბლომად დაჯგუფებულან მრავალი რონოდები: თითო-თითო, ორ-ორი, სამ-სამი, როგორც რქიანი საქონელი ბაზარში; სარდაფები, ბარაკები, ყველგან, სადაც კი გაწვდება თვალი; კასრები, ურიცხვი ყუთების მთა, და ზევით რქინის ხიდი ასმეტრიანი მანძებით, რომელსაც შეუძლია გადასჭრას ერთბაშად სამი მდინარე; და ყველგან—გესმით—ყველგან: რონოდებს შორის, სარდაფების წინ, ხიდის მანძების ქვეშ, ჯარები, ცხენოსანი და ქვეითა; წითელი შარვლები, ცისფერი მუნდირები, თეთრი საყელოები სილრმეში, ნახშირის გორის წინ, კირასებიც კი სჩანან.

და მშვიდათ მდგარნი პირამიდებში თოფები, — როგორც ყავახანის მაგიდებზე სპირტოეკები. და მთელი ზღვა ცხენებისა.

ჩვენ ვიყავით განადგურებულნი, განცვიფრებულნი. ასეთ სანახაობას ჩვენ არ მოველოდით.

აქ მზათ იყო მთელი ჯარი ბრწყინვალე იარაღით, ოცდაათი აპრილის დღის ექვსი საათის მზის ქვეშ.

ჰორიზონტზე სჩანდნენ პარიზის ქარხნების აკვამლებული მილები, რომელნიც ხვალ არ აკვამლდებიან.

ცაზე მიჰქროდენ ღრუბლები.

ჩვენ ვიყავით თითქმის პარიზის შესავალთან; ჩვენ ჩუმად მივებრეთ მას. ჯარიზმა კი არაფერი იცოდა ამის შესახებ.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენს სურათმა ჩვენზე. მე ბედნიერი ვიყავი და იმავე დროს სევდას განვიცდიდი. მე ვიწვოდდი მოუთმენლობისაგან და მზად ვიყავი გრძნობა დამეკარგა. მე მთვრალი ვიყავი მთელი ჩემი სხეულით, ნერვიული აღშფოთებით ატაცებული. ნივთები მრავლდებოდენ და იზრდებოდენ ჩემს წინ.

შორიდან მოიხმა სირინოზის წივილი, მე კბილები დავაკრაქუნე. მე, მგონი, არ მციოდა.

მაგრამ იწყება ამ დიდ სივრცეზე გადამოძრავება. შორით სჩანან ესკადრონები, რომელნიც სხდებიან ცხენებზე და ადგილიდან იძვრიან. ყველა კირასები, რომელნიც იდგნენ ნახშირის მთის წინ, ერთი მეტრის სიმაღლეზე ზევით იწევენ.

ჯარისკაცებმა წაიღეს თოფები. ჩვენი ბატალიონის წინ იყო დიდი ცარიელი ადგილი. მის შუა გულზე გამოდის მუსიკანტების გუნდი—მედაფდაფენი და გორნისტები; შემდეგ გამოდიან სხვა გუნდები; და ორკესტრი აქაა მთელი თავისი შემადგენლობით.

— ორმოცდა მეექვსე პოლკის ორკესტრი, — ამბობენ ჯარისკაცები.

— ხომ არ უნდათ კონცერტი გაგვიმართონ ასე ადრე?

ჩვენი პოლკის მუსიკანტები დაეწყვენ და მარცხნივ მიდიან.

— ჩუმად! ისინი გვტოვებენ! ნეტავი სად მიდიან?

იმავე დროს ყოველი მხრიდან ჩნდებიან სხვა პოლკების ორკესტრები; ყოველ ტიუკიდან ძვრებოდა ტრომპონი; თითქოს თვითყული ჩანა დაფათ იქცეოდა.

ისინი ეწყობიან კოლონად. თუ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ეს, როცა აქ ზიხართ. ოთხი თუ ხუთი პოლკის ორკესტრი, ერთი მეორეზე. ჩვენ გულმოდგინეთ ვიცქირებოდით, და უცბად გაისმა ბრძანება:

— დადგით!

ჩვენ ვიწყებთ მარშით სიარულს; ერთ ხანს ადგილზე ვართ, რომ გავატაროთ სხვა ბატალიონები.

უკანასკნელად მივდივართ სრული ნაბიჯით. ჩვენ უნდა მივყვეთ პოლკის სამ დანარჩენ ბატალიონებს— ორმოცდა მეექვსე პოლკი შესდგებიდა ოთხ ბატალიონიდან; მთელ პროცესიას მეთაურობს მუსიკანტების ჯარი.

ჩვენს უკან ეწყობიან დრაგუნები; ალბად მთელი პოლკი. მე მოვიხედე და დავინახე ქვეითა ჯარი, რომელიც გაიმართა დრაგუნების იქით. კალონნას მოსდევდა არტილერია, რომელსაც უნდა გაეარა ხიდ-ქვეშ დაგროვილ ყუთების იქით. მე აღარ ვგრძნობდი ჩემს თავს. ძალა უნდა დამეტანებინა ჩემთვის, რომ არ მემდერა რომელიმე მარში. მე არასდროს არ ვმღეროდი მწყობრში. მარშიროვკის დროს სიმღერა მე მიმაჩნდა იდიოტურ საქმედ; ასეთ შემთხვევებში მე ბრაზი მერყვია; განა ლაქიობა და რეგვენობა არ არის— იმღერო იმიტომ, რომ



ასიამოვნო უფროსებს და დაანახვო მათ, რომ ჯარი კარგ გუნებაზეა და კმაყოფილია? მაგრამ ამ შემთხვევაში მე ყურადღებას არ ვაქცევდი მისი მზაკობას. ის ჩემთვის არ, არსებობდა. ჩვენ შევდიოდით პარიზში; მე ვუხარებოდა სიხარულიდან.

ხანდახან მე გამოვფხიზლდებოდი რამოდენიმე წუთით. მე ვებასებოდე ჩემ საკუთარ თავს: „ჩემო კარგო, შენ იდიოტი ხარ. რა გიხარია, უზრდელო? თითქოს კარგი საქმე მოგელოდეს!“. მე არ ვიყავი გულმოსული გაფიცულებზე, პირიქით, მე რომ ჯარისკაცი არ ვიყო, ალბად, გამოვიდოდი პირველ მაისს ქუჩაში.

ჩვენ გამოვდივართ ამ გაუთავებელ საბარგო სადგურიდან. პირველად მივდივართ უსახლო ქუჩებით. მათ შემოვლებული აქვთ უსაზღვრო ყორეები და ქუჩები თითქმის ცარიელი არიან. იყო შვიდეს ოცი წუთი.

დროგამოშვებით გვხვდებოდა მუშა, ქარხანაში მიშავალი. თავდაპირველად მუშა დაიწყებდა თითქოს ხუმრობას. თვალს გვიშვებოდა ჩვენ. მაგრამ ჩვენ არ უპასუხებდით, ან მკაცრად ვუცქეროდით. მაშინ ის უცქერდა თოფების და ხმლების კილომეტრს, რომელიც ზომიერი მარშით უახლოვდებოდა პარიზს, დილის ექვს საათზე, და ჩვენ ვგრძნობდით—აქ რომ ყოფილიყო შესახვევი ქუჩა, ის შევარდებოდა იქ, როგორც დევნილი ძაღლი; მაგრამ იყო მხოლოდ უსაზღვრო ყორეები, და ის მიდიოდა დაშვებული თვალებით, ყორეზე მიკრული.

უკვე ათი წუთი გავიდა, რაც ჩვენ გზას შევუდევით. კალონა უახლოვდებოდა სენას მარცხენა ნაპირს ერთ სანაპიროთი, რაპეს თუ ბერსის პირდაპირ. ჩვენ შევედით ხილზე. როდესაც ჩვენ მოუხვიეთ, მე დავინახე ჩემ ადგილიდან მუსიკანტები, რომელნიც მეთაურობდნენ მსვლელობას და უკვე გაეარათ ხიდი, შემდეგ კალონის კუდი, რომელიც ლასლასით მიდიოდა მარცხენა ნაპირის ქუჩით. როგორც კი შევიდა ჩვენი მწყობრი მარჯვენა ნაპირზე, ჩვენ გავიგონეთ ბრძანება, რომელიც აღწევს ჩვენამდე შორ კალონნიდან. ბრძანება გადადის ერთი როტიდან მეორე როტამდე. ჩვენი უფროსი იხედება უკან და ყვირის: „მხარზე!“.

ჩვენ გამოვდიოდით ქარხნებით და სახლებით გარემოცულ ბაღში. გამვლენები მრავლდებოდნენ. მამაკაცები და დედაკაცები სათითაოდ მიდიოდნენ სამუშაოზე. ჯარისკაცების ფოლადისებურ კალონის გვერდით, რომელიც მკვიდრდებოდა პარიზში, ისინი გავდნენ გამხმარ ფოთლებს, რომელთაც ქვაფენილიდან მოიტაცებს ქარი და სადღაც მიაქვს. მე ვფიქრობდი: „ნეტავი არ იყოს ასე ადრე! მე მზადა ვარ გადავიხადო ოცი სუ, რომ შევიდეთ ქალაქში ფანფარების ხმაურით“.

მაგრამ მე ტყვილად ვოცნებობდი ამაზე. ერთი ქარხნის წინა კედელზე საათი გვიჩვენებდა ორს—ნ საათსა და 35 წუთს. „არ შეიძლება ასე ადრე კეთილ ბურჟუების გაღვიძება“.

მე ვგრძნობდი დაღლილობას. წინა დღით ჩვენ გვქონდა მეცადინეობა, რომელიც მთელი საღამო გავგრძელდა; და, რასაკვირველია, მგზავრობას საბარგო რონოდაში არ შეეძლო ჩვენი ძალების აღდგენა. მე კიდევ ვგრძნობდი სიმთ-

ვრალეს, მაგრამ სხვანაირად, ახლა ეს იყო არა ნერვიული აღშფოთება, არამედ სიმძინე წელში და ფეხებში. ჩემი ჩანთა პირამდე ავსებული, სჯიჯნიდა ჩემ ზურგს, და თოფი მხარზე ძალიან მაწუხებდა მე. ალბად, ასეთ გრძნობას ვანიცდიდენ სხვებიც. მაგრამ ყველას მხნედ ეჭირა თავი. მწყობრის ხაზები დამაკმაყოფილებელი იყო.

რიგებში ნაბიჯების ტაქტი თითქმის უნაკლო იყო. ეს ლამაზიც კი იყო: ამდენი ფეხის ხმაურობა გზატკეცილზე. ყოველი ნაბიჯი მოგაგონდებოდა საღეწ მანქანის დარტყმას. თქვენ იცით: ხანგრძლივი ლიწინი და ხანგრძლივი ღმუილი. ამის შედარება შეიძლებოდა კიდევ გაუმჯობესებულ პურის საჭრელთან, რომელიც შემოდებულა ზოგიერთ საცხოვრებელში. დიდ, ოთხგირვანქიან პურს დააყენებენ მკვეთარის ქვეშ, დააწვებიან ხელეულს... აი, ისეთივე ბრაზიანი ხმაური, მაგრამ ათასჯერ უფრო ძლიერი.

გამოვდივართ ლიონის ქუჩაზე. გაიარა რამოდენიმე ფიაკრმა და შუშის კარებიდან იცქირებოდენ უცნობი სახეები.

კალონნის თავი, თითქოს აქ არაფერიაო, გამოდის ბასტილიის მოედნის შუაგულზე, ვადასჭრის მას, თითქოს ეს იყო სამეცადინო პლაცა და ეშვება სენტ-ანტუანის ქუჩისაკენ. გამვლელები ჩერდებოდენ. ტრამვაები ჩერდებოდენ. ტრამვაების იმპერიალეებზე მგზავრები გადმოეყუდებოდენ მოაჯირს და ცდილობდენ ჩაეხედათ ლიონის ქუჩის სიღრმეში. მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ ისინი, როგორც არ უნდა დაღუნულიყვენ და როგორც არ უნდა ეცქირათ, მაინც ვერ დაინახავდნენ კალონნის ბოლო ნაწილს.

უცბად, როდესაც ჩემმა მწყობრმა მიადწია მოედნის შუაგულს და მივიდა კალონნასთან, ჩვენ გავიგონეთ გრგვინვა, თითქოს ჩვენს წინ ინგრეოდა მთელი უბანი. პირველად ჩვენ ვერ მოვისაზრეთ, რა ხდებოდა. ეს საშინელი ხმაურობა მოდიოდა სენტ-ანტუანის ქუჩიდან და ისმოდა მოედანზე, რომელსაც ის ერთბაშად ავსებდა; ჩვენ ძლივს ვსუნთქავდით. შევტორტმანდით ყველა: ჯარები, დრაგუნების ცხენები, შეჩერებული გამვლელები.

მაგრამ ხმაურობა რიტმიული იყო; ნაბიჯის თანაბარი, ის იყო ხელმძღვანელი ნაბიჯის. ჩვენ მივხვდით: „დაფები“.

ოთხი პოლკის დაფები ერთბაშად გვრგვინავდენ სენტ-ანტუანის ქუჩაზე. ჩვენ ვუახლოვდებოდით ამ ქუჩის შესავალს. სენტ-ანტუანის ქუჩის ხვრელი შემოგებლად პირდაპირ სახეში.

მე აღარ ვგრძნობდი საკუთარ თავს. მე არ ვიცოდი, მქონდა თუ არა ჩანთა, თოფი, ფეხები. არასდროს არ მეგონა მე ჩამი თავი ასე ღონიერი. ექვსსართულიანი სახლები სრულიად ბატარად მეჩვენებოდენ. ყველა ისინი თითქო ექანებოდენ აქეთ-იქით. მე მეგონა, რომ შემიძლია წავაქციო ისინი ერთი შეხებით. მე მეგონა, რომ მთელი ქუჩა დაინგრევა დაფების გრგვინვისაგან.

მაგრამ ჩვენ არ ვიყავით დაკმაყოფილებული. ჩვენ გვესაჭიროებოდა საკრავები. დაფები არხევდენ პარიზს, ნაწილებად კუნავდენ მას ქვევიდან, შიგნიდან, როგორც პატრონების აფეთქება. ჩვენ გვწყუროდა საკრავები, მათი გამვირავი ხმა, რომელიც თავხედათ ეუფლება ნანგრევებს.

ხედე. ჩვენს უკან არავინაა. დანარჩენმა ნაწილებმა მიგვატოვეს. ჩემი მზობლები ამზობდნენ:

— ეს დაბინავებაა. ჩვენ მივდივართ რეიში.

ხუთმეტი წუთის შემდეგ ჩვენ ვიყავით დიდი შენობის წინა კარზე, ჩვენ ეზოში შევედით, ჩვენ ზურგს უკან დაკეტეს კიშკარი.

როგორი მღვიმეა! მე კიდევ ნახსოვს ასულა მყრალ და სოველ კიბეზე, რომელიც გატენილი იყო ტყავის, ოფლის და ფეხსადგილების სუნით. ჩვენ გავიარეთ გრძელი, დაბალი ოთახები აუარებელ ხალხით, რომელიც სინათლის პირდაპირ შავად სჩანს. ჩვენ ისევ ავდივართ კიბეზე. მალლა სართულებში ჭერი კიდევ უფრო დაბალია.

უკანასკნელად ჩვენ მოვხვდით თითქმის თავანზე, სადაც უფრო ნაკლებად საზიზღარი, მაგრამ უფრო დახავსებული სუხი იყო. ერთმანეთთან დაწყობილი ჩალის მატრაცები ფარავდნენ მთელ იატაკს, ასე რომ ეს თავანი ახდენდა მატრაცების მალაზიების შთაბეჭდილებას.

სერჟანტები ეუბნებიან კაპრალებს:

— აი აქ დააბინავეთ თქვენი კაცები. გაანაწილეთ ტახტები.

ჩვენ გადავხედეთ ერთმანეთს. თვითნებულ ჩვენგანს მიუთითებენ მატრაცს და წინადადებას გვაძლევენ ჩვენი ნივთები მოვათავსოთ მატრაცსა და კედელს შორის. რომ გააძლიერონ კარგი შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენ მივიღეთ გვეუბნებიან:

ერთი საათის შემდეგ იქნება იარალის გასინჯვა.

ამის გარდა ჩვენ თითქმის არ შეუწუხებივართ. მაგრამ თქვენ უნდა წარმოიდგინოთ ეს უვარგისი შენობა, რომელიც ახლა გატენილი იყო ჯარისკაცებით! ჩვენ დავხეებოდით გაუნათებელ დერეფანში, ვენარცხებოდით კედლებს, და იმ წუთშივე უკან ვიხევდით, ვინაიდან ვგრძნობდით თითებზე საზიზღარ, ქონიანსა და ცივ სისოვლეს, რომელიც ხშირად არის მილების კედლებზე, მაგრამ ყველაზე უფრო აუტანელი იყო პირსაბანი.

პატარა, მოგრძო ოთახი, ბნელი, როგორც ღუქის უკანა ბინა სანტიეს ქუჩაზე, გატენილი, როგორც მეტროს რონოდა სალამოს შვიდ საათზე. ერთ კედელთან იყო ღარი. ათი დიდი ჟანგიანი ონკანი აწვდიდა მას შარდისფერ სენას წყალს. ღარის ქვის კედლების დანახვა შეუძლებელი იყო. იმათ ფარავდა რაღაც ერბოს მსგავსი ძველი ქუჭვი, რომელიც ბრწყინავდა მიუხედავად განათების სისუსტისა. და როცა ჯარისკაცების ბრბო უკანასკნელად მიგვიშვებდა ონკანთან, წყალის ნაკადი თქვენს თითებს შორის იყო წებოიანი, როგორც წვიმის ჭია.

ჯარისკაცები საყვედურს აცხადებდნენ: „ჩვენ აქ დილამდე ჩაკეტილი ვართ. ნაკლები იმედია, რომ ჩვენ გაგვიშვან ნავახშუმებს. კარგი სიამოვნებაა, რაღა“!

ყაზარმაში იყო ორმოცდა მეექვსე პოლიკის ორი კანტინა და კიდევ ორი ოთხმოცდა მეცხრესა. რადგანაც ჩვენ ვეკუთვნოდით ორმოცდა მეექვსეს, ჩვენ არ გვეკონდა უფლება შევსულიყავით ოთხმოცდა მეცხრე პოლიკის კანტინაში.

ჩვენი თოფები გაწმენდილი იყო, და არ იყო სხვა სამუშაო, რომ მასზე დავეყენებინეთ. მაგრამ მთავრობის აზრით დაუშვებელია, რომ ჯარისკაცები მთელი დღე უსაქმოდ იყვნენ ყაზარმაში, ლაპარაკობდნენ და თამბაქოს ეწეოდნენ.

შეიძლება უფროსებს ეშინოდათ, რომ ჩვენ ავაშფოთებთ კოტმანქოს და შემდეგ უარს ვიტყვით ხალხის წინააღმდეგ გამოსვლაზე.

ასე თუ ისე ჩვენთვის იყო მოწყობილი ეზოში საყაზარმო ვარჯიში, — ყალბი და იდიოტური გამოგონება; უნტერები აგზავნიდნენ იქ ყველას, ვისაც კი დაინახავდნენ შიგ, შენობაში.

მე თავის დროზე გავიპარე და დავიწყე ხეტიალი სართულებში, სადაც დაბინავებული იყო სხვა ბატალიონები. მე დავეხეტებოდი დერეფანში. ის იყო ბნელი, ქუჩუიანი, სხვა და სხვა ნივთებით სავსე; მაგრამ იქ შეიძლებოდა დაკარგვა, და უცნობად გადაქცევა. ასე გრძნობს თავის თავს ბოროტმომქმედი პარიზის შუაგულში.

რა დიდი განსხვავებაა შედარებით პიტვიეს ყაზარმებთან, სადაც არ არის არც ერთი დასამალავი კუთხე, სადაც მუდამ ამჩნევ ცარიელ დერეფანის ბოლოში სერჯანტს, რომელიც უთუოდ დაგიძახებს და გეკითხება, რად დაეთრევი აქ.

მე ჩავედი ქვედა სართულში, სადაც აუარებელი ხალხია. შევდივარ კანტინაში. იქ იყო სივიწროვე და ხმაურობა, როგორც გარეუბნის რომელიმე სამიკიტნოში. ვხედავ ჩემს მეგობარს ჩვენი მწყობრიდან, რომელიც დაეძებს თავისუფალ ადგილს მაგიდებთან.

— შენც გამოიპარე?

— როგორც ხედავ!

— ადგილი ვერ იშოვე?

— ვერა. მაგრამ გვერდით არის თავისუფალი ოთახი, სადაც ჩვენ შეგვიძლია მოვეწყოთ. მაგრამ იქ შესვლა არ შეიძლება... იქ თამაშობს კარტს ჩვენი მწყობრის სამი სერჯანტი. მე არ მინდა, რომ ეზოში გამგზავნონ მაიმუნობისათვის.

— მაშ როგორ მოვიქცეთ?

— გავიდეთ დერეფნებით შენობის იმ ნაწილში, სადაც დაბინავებულია ოთხმოცდა მეცხრე პოლკი. მოვეწყოთ ერთ კანტინაში. ჩინებული იქნება. გავაბოლოთ ყალიონი, მოვითხოვოთ თეთრი ღვინო... ჩვენ იქ შეგვიძლია ვისაუზმოთ აგრეთვე.

— რაპორტი?

— დღეს ყველაფერი უკუღმაა. ნუ თუ შენ ფიქრობ, რომ ყურადღებას მოგვაგცევენ?

— ყველაფერი ეს კარგი, მაგრამ შენი კეპის დანახვაზე ოთხმოცდა მეცხრე პოლკის უნტერები წაგვაბრძანებენ იქიდან.

— ეს მართალია. მე უნდა წავიდე და ჩემი ქული მოვიტანო, რომ მახეში არ გავება. დამიცადე.

მე ველოდები. ხუთი წუთის შემდეგ ის უკვე დაბრუნდა ქულით.

— ხელი არავის შეუშლია?

— მე წამოვიღე, რომელიც მომხვდა. არ გეხუმრები.

ჩვენ შევდივართ სრულიად უდანაშალო სახით ოთხმოცდა მეცხრე პოლკის მეორე კანტინაში. ჩვენ არავინ გვაქცევს ყურადღებას. აქ ბევრი უცხოელი მოსულეები. ჩვენ დავბინავდით ნეტად პოეტურ კუთხეში. მოგვჩვენეს კარტი.

ბნელდებოდა. იყო ხმაურობა და თუთუნის კვამლი. მიუხედავად ამისა ჩვენ განვიცდიდით უჩვეულო სიმშვიდეს და სრულ თავდავიწყებას. მე გულგრილად უცქერდი ყველაფერს, და თამაშიც კი არ მაინტერესებდა. ასეთი განცდა მქონია ხანდისხან სიხმარში. თქვენ გესიზმრებათ მრავალი ნივთები, რომელნიც იცვლებიან და ფარავენ ერთმანეთს; ჯიკავი, ყვირილი. და იმავე დროს თქვენი ტანი დამშვიდებული და გამთბარი, გამართულია ლოგინზე.

სალამოს ხუთ საათზე ჩვენ კანტინაში ვისხედით კიდევ. ჩვენ იქ დავრჩებოდით გამოძახებამდე, მაგრამ მოულოდნელად კანტინაში შემოდის ოთხმოცდა მეცხრე პოლკის ჯარისკაცი და ყვირის:

— მგონი, ხუთ საათზე ნებას მოგვცემენ წავიდეთ ყაზარმიდან. ჩვენ ვიგრძენით, როგორ მოგვეკუმშა სტომაქი. კარტი ხელიდან გაგვივარდა:

— „თუ ოთხმოცდა მეცხრეს უშვებენ, მაშასადამე ორმოცდა მეექვსესაც გაუშვებენ“.

ჩვენ ვდგებით და ფრთხილად მივდივართ თავანზე. ჩვენ იქ უნდა მივსულიყავით ისეთი სახით, თითქოს ჩვენ გასული ვიყავით მხოლოდ ხუთმეტე წუთით.

მაგრამ ამდენი თაღლითობა არ იყო საჭირო. ყველგან ჩქარობდნენ. წმენდავდნენ ფეხსაცმელებს, ფოლაქებს, ხიშტებს. ბევრს კიდევაც მოეგდო ზურგზე ფარაჯა. ანხანაგები კვირობდნენ: ჩვენ მოვდიოდით აუჩქარებლად ჩვენს ქულებში, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი.

— თქვენ, ალბათ, არც ისე გინდათ სასეირნოთ წასვლა?

— მოვესწრებით, მეგობარო. როგორ უნდა ჩავიცვათ?

— სალაშქროდ. ფარაჯა გადმოკეკილი კალთებით, კრაგი, პავონები.

— კიდევ რა? თოფი?

— არა. მაგრამ ყველაფერი ფორმის მიხედვით უნდა იყოს.

საჭირო იყო მხოლოდ აჩქარება.

ხუთ საათზე მრავალი ჯარისკაცი დაგროვდა საყარაულოსთან, როგორც თხები გასავალთან.

მე ვერ გეტყვით, სად წავედი, და რას ვაკეთებდი. მახსოვს, რომ გამოვეთხოვე ამხანაგს ექვს საათზე და შვიდზე სახლში ვიყავი, სადაც ჩვენები სუფრას უსხდნენ. მაგრამ ჩემს ხსოვნაში გარკვეულად აღიბეჭდა გრძნობები, რომელნიც მე განვიცადე.

პირველად მე მახლდა ამხანაგი. ვიწრო, სავაქრო ქუჩა, ძველი სახლები, დუქნები; მიკიტნები, მენახშირეები, მეხილეები, მეწაღეები; ლიმუზინცების და

ოვერსების მშვიდობიანი ტომი; ადამიანები, რომელნიც სხედან კარებთან, ან კიდობნის სიღრმეში; შუაქუჩაში—გამვლელები.

მე ვხედავ, როგორ მივდივართ ჩვენ პაგონებით, კეპშიც, ქუჩებშიც, სალაშქრო ფორმაში გადმოკეცილ კალთებით; დასაცავ ფერის შარავნებშიც, ხალხურ კაბებშიც, რომელნიც ფეხსაცმელებს გავდენ.

როდესაც ჩვენ გამოვედით შუა ქუჩაში, ჩვენ გავხდით საერთო ყურადღების ცენტრი. გამვლელები არაფერს ამბობდნენ, მხოლოდ გვაშტერებდნენ თვალებს, და თბიქოს დიდი გაჭირვებით ხდებოდნენ, რომ რაღაც არა ჩვეულებრივი ხდება. ჩვენც ვდუმდით. ჩვენ არ გვინდოდა მოგვეხდინა ჩვეულებრივ გამვლელთა შთაბეჭდილება, რომელნიც ეწევიან თავის ყოველდღიურ მოგზაურობას ხუმრობით და ლაყბობით. ჩვენ სახეზე იყო რაღაც ღიმილი, მოქანცული და ირონიული. ერთი შეხედვით ჩვენ ვზომავდით სახლს და ვანადგურებდით მას. მოქალაქეები მოელოდნენ ამ შეხედვას; ისინი წინდაწინვე მორჩილებით იხრებოდნენ.

ერთი სახლის კარებთან იდგა პატარა, მსხვილი კაცი, რომელიც განსაკუთრებით შესტგებოდა ორი ბურთიდან: მუცლიდან და თავიდან. მთელი მისი არსება იყო გაჩენილი მშვიდობიან პირობებისათვის. ყოველდღიურ ცხოვრებაში მას, ალბად, აცინებდა ყოველი წერიმალი. ის დაჟინებით გვიყურებდა ჩვენ და არ იცინოდა. მისთვის ჩვენ გაუგებარი ვიყავით. მას ჰქონდა თავისი წარმოდგენა გამოშვებულ ჯარისკაცზე: ეშხიანი ბიჭი, სადღესასწაულო ფორმაში, გაშლილ ხელებით. მაგრამ ეს წარმოდგენა არ შეეფერებოდა იმას, რასაც ის ხედავდა ახლა.

ექვს საათზე ჩვენ გავედით დიდ ბაღებში—ამბიგიუს მიმართულებით. ქვაფენილებზე დიდი ყრიაშული იყო; მოხელები გამოდიოდნენ თავის კოლოფებიდან. ამ დროს მეგობარმა მიმატოვა. მე მარტო მივდიოდი და უფრო მეტად ვგრძნობდი, როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა ბრბოზე ჩემი გამოჩენა. თქვენ იცით, როგორი დამცინავი არიან პარიზელები. თვითონ პაპა გახდება მსხვერპლი მსახური ქალის, თუ კომმის დაცივნისა. მაგრამ, არა! ქუჩის ბავშვებიც და მუშა ქალებიც კი ფართედ ახელდნენ თვალებს. მე მზომავდნენ თავიდან ფეხებამდე, მკამდნენ თვალებით, მაგრამ ჩემი მონღლება აღარ შეეძლოთ.

გამვლელები კიდევ იხედებოდნენ ჩემსკენ და ითვლიდნენ ჩემი ქუსლების ლურსმნებს, როდესაც მეზობელ ქუჩიდან გამოჩნდა ერთი ჯარისკაცი სალაშქრო ფორმაში, ის იკაფავდა გზას ბრბოში! ვერ მოასწრო ხალხმა ამოეკითხა მის საყულოზე პოლკის ნომერი, როდესაც მესამე ჯარისკაცი, მედიდური, როგორც სენატორი, გადმოვიდა გზატკეცილზე, თითქოს იმიტომ, რომ ენახა, თუ უკმთესია ამ მხარეზე ვიტრინები.

ბაღები გაქედილი იყო ჯარისკაცებით და ისინი უნებლიეთ ატყვევებდნენ ბრბოების ცქერას.

ყველა ნაწილებში გაცემული იყო ბრძანება: „გაუშვით ყაზარმები ხუთ საათზე; ჯარისკაცების ფორმა—სალაშქრო“.

ეს იყო გენიალური იდეა. კალონებმა მუსიკით გაიარეს ზოგიერთი უბნები. საღამოს კი პარიზს მოეფინა ოცდაათი თუ ორმოცი ათასი ჯარისკაცი სალაშქრო ფორმაში.

მოდიოდნენ ბავშვები და ეყრდნობოდნენ თავის პატარა ფეხებს. ისინი სერიოზულად გვათვალისწიებდნენ. მაგრამ ჩვენ უყვიროდით მათ და ვლღევნიდით.

ხანდახან მოდიოდნენ მუშები და მათი რიცხვი უფრო მეტი იყო, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში. ისინი ანელებდნენ ნაბიჯს, შემოდისდნენ ჩვენს ქვეყნულზე და დაუინებით უცქერდნენ ჯარისკაცებს და თოჯებს ხიშტებით. მათ სახეზე იყო ერთ და იმავე დროს დამცინავი და მეგობრული გამომეტყველება, რომელიც თითქოს ამბობდა: „რა ამბავში ხართ? რა საქიროა ამდენი ხმაურობა? საბედნიეროთ, ყოველივე ეს ხუმრობაა, ხომ?“

ჩვენ ვდუმდით, როგორც ძალღი, რომელიც მზადაა კბენისათვის.

მუშები უცბად შეკრთებოდნენ; მაგრამ ისინი ვერ ბედავდნენ პირდაპირ წასვლას; იმათ ჩვენს ახლო უნდა გაეარათ. ჩვენ კი ოდნავად ხელებს ვურტყამდით ჩანთებს.

ამ დროს პარიზის შუაგულში მზადდებოდა დიდი ამბები. ჩვენ ვფიქრობდით: „ახლა მიტინგების დროა. პარიზის ოცი დარბაზი გატენილია ხალხით, როგორც ოცი ბურლილი დინამიტით. ჩვენი ამოცანაა — შევაჩეროთ ეს აფეთქება“.

ჩვენ ყურს უგდებდით პარიზს. თქვენ, რასაკვირველია, გესმით. არ იყო საკმარისი, ყურები გვქონოდა გაღებულნი, როგორც გახსნილი აქვს მათხოვარს თავისი ყულაბი მოწყალეებისათვის. არა, ჩვენ უსმენდით ისე, როგორც ექიმი უსმენს თავის ავადმყოფს.

ჩვენ ვცდილობდით არ დაგვეკარგა კავშირი ნიადაგთან, არ გამოგვპაროდა მისი უმცირესი რყევა და ძვრა.

მოედანზე გამოჩნდება საპოლიციო აფიცერი ორი ჟანდარმით. ის სალამს აძლევს ჩვენს აფიცრებს და ანიშნებს მათ. ჩვენი ლეიტენანტი და დრაგუნის აფიცრები მიდიან მასთან: ჩვენ დაგვაფიქვდა პარიზი; მთელი ჩვენი სმენა და თვალთახედვა მიმართულია ამ ექვს ადამიანისადმი. ისინი შორს იდგენ ჩვენგან. მაგრამ ჩვენ ვფიქრობდით, რომ საკმაოა მათკენ მივიბრუნოთ პირი, რომ გავიგონოთ რაიმე სიტყვები.

ერთი წუთის შემდეგ საპოლიციო აფიცერი მიდის. ლეიტენანტი ბრუნდება ჩვენთან, უძახის სერჟანტს და ეუბნება:

— დააყენეთ ყარაული იმ ქუჩის კუთხესთან, მარცხნივ. ყოველი ერთი საათის შემდეგ გამოცვლით დარაჯს.

ჩვენ აგვიტანა თრთოლვამ. ჩვენ თითქოს ვიგრძენით საფანტის სუნნი.

ლეიტენანტი სრულიად ახლო იდგა. მე გავბედე და უთხარი:

— ბატონო ლეიტენანტო! ახალი ამბები... სერიოზულია?

მან ზრდილობიანად მიპასუხა:

— მგონი ორ საათზე იყო მცირე შეტაკება არხთან. ფიქრობენ, რომ ოთხ საათზე ისევ გაჩაღდება საქმე.

რამოდენიმე ხნის განმავლობაში ბალი ცარიელი იყო. ჩვენ ამას მნიშვნელობას არ ვაძლევდით; მაგრამ ახლა ამ ტიტველ ასფალტის დიდი სივრცეებისაგან ჩვენი ლოყები იყინებოდნენ. ჩვენ ნამდვილად ვგრძნობდით ასფალტის სიცივეს და სიმაგრეს. უცბად ბალში გამოჩნდა გაფანტული ხალხი. ვილაც უც-

ნობები მიდიან ჩვენს ახლოს, ერთმანეთზე დაშორებით და ოდნავად ეხებიან მიწას. უცნაური, რბილი ნაბიჯები, თითქოს ტკაცანი მსუქან კურტუმოზე. ისინი თითქოს მიეჩქარებოდნენ დაუყოვნებელ საქმის გამო. ყველსნი განმსდარი, მიმქრალი მუცლებით, მიწისფერ კანით. ისინი არც კი გვიყურებდნენ და თითქოს მიდიოდნენ თავის სურვილის გარეშე, თითქოს რაიმე ძალით დევნილები, გატაცებულნი ქარით, და მათ ენაცვლებოდნენ სხვები. განუწყვეტელი ნაკადი, რომელიც მიდის ერთი მიმართულებით, როგორც მზე საღებავიდან.

ლეიტენანტი მომმართავს მე:

— საიდან მოდიან ეს მუშები?

— ეს მუშები არ არიან, ბატონო ლეიტენანტო, ეს აპაშებია.

— თქვენ დარწმუნებული ხართ?

— ეს ცხადია. შეიძლება ისინი იყვნენ მუშები თხუთმეტი წლიდან ოცდაათ წლამდე. მაგრამ მუშაობა მათ არ მოეწონათ.

— რა ბლომად არიან! საიდან მოდიან?

— აღმოსავლეთ გორაკებიდან, სენ-ფარეოს ტბიდან, მენიმოლტანიდან, ბელვილიდან.

იმის მაგივრად, რომ ჩამოსულიყვნენ ბელვილის ქუჩით, ან რესპუბლიკის ავენიუთი, აპაშებმა გამოიარეს სენტ-ანტუანის წინა უბანი და ბასტილიის მოედანი. სხვები მოდიან ტრონიდან და შარონიდან. დანარჩენები, შეიძლება, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ბერსიდან, რაპედან, გამიდან. ისინი მოდიოდნენ პირველად სენის და შემდეგ არხის გასწვრივ.

აპაშების მსვლელობა გრძელდებოდა. უჩვეულო სურათი იყო. მე არაფერი ამდაგვარი არ მინახავს.

ლეიტენანტი გაფითრებული იყო. მე მგონია, რომ ჩვენ ყველამ გამოვცადეთ მაშინ შიში, რასაკვირველია, ეს არ იყო შიში საკუთარი თავისათვის.

არა, მე არასდროს არ მინახავს ბუნაგების მცხოვრებთა ასეთი ნიაღვარი. განა კომუნის შემდეგ იყო რამე ასეთი? ათასი სუბიექტი, რომლებზედაც არ ფიქრობენ, რომლებსაც არ ხვდებიან, რომელნიც იკარგებიან ბრბოში; ათასი ქერქვეშა მხეცი, რომელნიც ერთ მშვენიერ დღეს გამოდიან მზეზე მთელი თავისი ბროვით.

ისინი იცდიან ათი, ოცი წელი, იმათ აქვთ მოთმინება, ისანი თავს იტყევენ მცირე ქურდობით და ავაზაკობით; ისინი სცხოვრობენ პატარა ქუჩებში, ჩიხებში, შორეულ უბნების უკანა ეზოებში; სასტუმრო სახლების მანსარდებში: ციხის ზონის ბარაკებში და ქვის სატეხებში ბანიოლესთან. დადგება ეამი და ისინი ამოდიან ზევით დღის სინათლეზე.

მათ არავინ ეძახის; არავითარ ნიშანს არ აძლევენ. მომენტის მოახლოვებას ისინი გრძნობენ სუნით და ნიადაგის ხმაურით, რომელიც სკდება. მათი დრო დადგა. მათთვის არ არის საჭირო სწორი ცნობები. მათ არა აქვთ გარკვეული მიზანი, ხომ არის ძვირფასი ვიტრინები, საძებვეები მრავალ ლოკებით; დიდი ბოთლები ნავთით—საჭურჭლე მალაზიები; შეშა და ხე არის ყველგან. ისინი ნახავენ სამუშაოს.

რას ვიზამდით ჩვენ, რომ არ ყოფილიყვნენ აფიცრები, რომელნიც გვაკავებდნენ? ჩვენ ავიღებდით თოფებს, გავტენილდით მათ, დავიჩოქებდით და ვისროდით, დაუმიზნებდით, როგორც მონადირეები, რომელნიც აქვთ დრო და განგებ აგრძელებენ თავის სიამოვნებას.

მაგრამ თანდათანობით შენეულდა და შეთხელდა ეს მყრალი ნაკადი. ახლა მირბოდნენ ცალ-ცალკე და გაუბედავად. ისინი გვიცქერდნენ, იცქირებოდნენ ირგვლივ, თითქოს ეძებდნენ ხვრელს, რომ შიგ შემძვრალიყვნენ აუცილებელ შემთხვევაში.

შემდეგ ბალი ისევ დაცარიელდა და ჩვენ არაფერი არ ვიცოდით.

პარიზის გუგუნის არ იყო ჩვეულებრივი. ჩვენს ირგვლივ იყო მდუმარება.

პარიზში ხმაურობა ახლოა თქვენგან და ეს გამშვილებს თქვენ.

ხმაურობა მოდიოდა შორიდან, მეტად გარკვეული და არა ბუნებრივი.

მოდიოდა ღამე. ინთებიან ელექტრონის ფარნები. მათ სინათლეში ბალი თითქოს უფრო ცივია. ჩვენ უცქერდით განათებულ ასფალტის გაყინულ ზედაპირს და არაფერი ისმოდა, გარდა ამ გუგუნისა, რომელიც ტრიალებდა ჰაერში და მიწას იყო დაშორებული.

უცბად დრაგუნები, რომელნიც იდგნენ ჯიბეებში ხელებ ჩაწყობილი, ამოძრავდნენ და გასწორდნენ. ყოველ ცხენს მოახტება კაცი, როგორც ზამბარნი ტიკინა.

მთელი რაზმი აშიშვლებს იარაღს.

ჩვენი ლეიტენანტი ყვირის:

— თოფში!

ამ დროს გუგუნის იზრდება და ჩვენ ახლოს სკდება. ამ გუგუნისა და აფრინდება ჰაერში მთელი წყება გასროლებისა.

ბალი უცბად ამოუშვებს მძიმე ხვნეშას. დრაგუნები ატორტმანდებიან, ეწყობიან ორ რიგად და თოხარკით მიდიან რესპუბლიკის მოედნისაკენ.

როდესაც ისინი დაიმაღლნენ, იმ ხაზიდან, საითაც ისინი წავიდნენ, მოექანება პირველად ათი, შემდეგ ასი კაცი, ისინი ბლაგვიან და სცლიან რევოლვერებს. მათ უნდა გაეარათ დრაგუნების მწყობრი, როგორც საცერი. ფარნების სინათლე თითქოს ასფალტზე აკრავდა გამოქცეულებს, ისინი სტოვებდნენ დიდ ლანდებს.

მაგრამ მოისმის ქენება. დრაგუნებმა იბრუნეს პირი; ისანი მიჰქრიან ბაღში სხვა მიმართულებით. გაქცეულები კიდევ უფრო ყვირიან, კიდევ უფრო ჩქარა მიექანებიან, გაიქიმებიან ერთ ხაზზე; თითქოს ჰვარტლის ენები, რომლებსაც ცოფიანად ამოანთხევს ღუმელის მილი.

— წინ!

ჩვენ გადავდივართ შეტევაზე. დრაგუნები მიჰქრიან ქენებით, ამოღებული ხმლებით. მათი რიგები წინ მიდიან. უკან ისინი სტოვებენ წმინდა, ცარიელ ბაღს, გაბრწყინებულს ელექტრონის სინათლით.

ჩვენ ჯავრი მოგვდიოდა. რადგანაც ჩვენთვის არავითარი სამუშაო არ რჩებოდა.

ლეიტენანტსაც ჯაფრიანი ტონი ჰქონდა, როცა მან გვიბრძანა:
— გაჩერდი! თავისუფლად!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

უბრალო განვირგნება

ის, რაც თქვენ გვიამბეთ, მე არ მაკვირვებს მაინცადამაინც, სთქვა ერთმა ტვირთამწევმა, — რომელიც დადიოდა მადლენის ეკლესიაში, — მე ვიხდიდი სამხედრო ბეგარას სენ-კანტენში, ჩრდილოეთში ჩვენ გაგვაგზანეს მეშუშეების პატარა გაფიცვაზე შონში. პირველად მე მათ მხარეზე წვიყავი. მე ცოტა მაკლდა, რომ დამეყვირა: „გაუმარჯოს გაფიცვას!“ და „ხიშტები მიწაში“. მაგრამ როდესაც აგურები დაგვიშინეს, მე სწრაფად გამომეცვალა გუნება. მე მზათ ვიყავი დამეჩხება ბრბო. კიდევ კარგი, რომ აფიცრები გვაკავებდნენ ჩვენ!

— დიახ, — სთქვა მეორე ტვირთამწევმა, — ასეთ გარემოებაში ადამიანი სრულიად იცვლება. ეს რაღაც ტრანსია. თქვენ იტყვიეთ სრულიად სხვა ადამიანად. ბრუდიემ მოითხოვა კიდევ ერთი ბოთლი.

— მე, განაგრძო ტვირთამწევმა, არ მინახავს 1906 წლის პირველი მაისი, რომლის შესახებ თქვენ გვიამბეთ; მე ვნახე 1907 წლის პირველი მაისი.

— 1907? არაფერი შესანიშნავი მომხდარა, რამდენადაც მახსოვს.

— შესანიშნავი არაფერი ყოფილა. და მაინც იყო ზოგი რამ.

თქვენ გესმით, რომ შეუძლებელი იყო შარშანდელი ტრიუკის გამეორება. პირველი ის, რომ შემთბარი საჭმელი არაფრად არ ვარგა. ამის გარდა, უნდა გამოვტყდე, ჩვენ დავმარცხდივ. ბელადებს არ შეეძლოთ ეამაყნათ შედეგებით. ბურჟუები ამბობდნენ: „არც იმდენად საშინელია ეშმაკი“. ეს არ იყო ბრწყინვალე შედეგი!

ქკვიანი კაცი არ ამჟღავნებს მთელ თავის ძალას. ძალა უნდა გამოაჩინო მაშინ, როდესაც სრულიად დარწმუნებული ხარ გამარჯვებაში.

1907 წელში ჩვენ არ ვხმაურობდით. უკვე აღარ ნიშნავენ წინდაწინ დიდ ამბებს, წინდაწინ არ ამბობენ, როდის გავარდება მეხი. არა, ჩუმად, ჩუმად! არტურ მეიერს შეუძლია მშვიდათ იყოს. პირველი მაისი კი არა, — პირველი ზიარება.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ უფრო მცირე პროგრამას. რასაკვირველია, რამოდენიმე პატარა მიტინგი დილით, თუ შუადღით, ტემები სრულიად ჩვეულებრივი, უბრალო ლაყბობა, რომელიც კონ-სიერკეასაც ვერ გააჯავრებს; შეიკრიბებიან კარგი ბიჭები, რომელთაც ასეთივე წარმატებით შეეძლოთ შეკრებილიყვნენ რულეტკის ან ბურთის სათამაშოდ.

საუზმის შემდეგ? საუზმის შემდეგ იქნება სეირნობა. რა უნდა გააკეთონ, თქვენი ფიქრით, პატოსანმა მოქალაქეებმა, ამომრჩეველებმა და ოჯახის მამებმა გახაფხულის დღეს — ნაშუადღევს, როდესაც ისინი თავისუფალი არიან მუშაობისაგან და კარგი დარია? თუ თქვენ ზნეობის მომხრე ხართ, თქვენ არ გაგზავნით მათ ყავახანაში, ან კაბარეში. ისინი წავლენ სასეირნოთ. მაგრამ სად უნდა მოხდეს ეს სეირნობა? რასაკვირველია, არა საკუთარ უბანში და არა თავის ქარხნის კედლებთან: ეს არ არის საინტერესო; და არც დიდ ბალებში: იქ ძალიან ბევრი ხალხია. მაშასადამე სად? პარიზში ბევრია ლამაზი ადგილები: თუნდაც

ელისეის მინდვრები მათ მიდამოებით. იქ შეგიძლიათ ნახოთ ყველაფერი, რაც საჭიროა: ხეები, მინდვრები, სკამეიკები და მყუდრო ქუჩები, სადაც შეიძლება მშვიდი საუბარი, ისე, რომ არ დაატანო ძალა ხმას.

ამის გარდა, ეს არის ერთგვარი პატივისცემა მდიდრებისადმი. მათ ეშინიათ ჩვენთან მოსვლა მენილმონტანში და ლა-ვილლეტში; ალბად ისინი ერიდებიან ჩვენს შეწუხებას. მაშ გადაედგათ პირველი ნაბიჯი! ჩვენ მივდივართ მათთან, ვსაუბრობთ: „როგორა ხართ, მეგობრებო? როგორ მოეწყვეთ! ხომ მარჯვეთ ხართ!“ თქვენ იცით, რომ ეს დაახლოვებას და მეგობრულ ურთიერთობას იწვევს: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა.

აი, როგორ გავჩნდი მე ორ საათზე შეთანხმების მოედანზე, ელისეის მინდვრების ავენიუსთან. მე მახლდა ორი მეგობარი: ბირეტი და დეჟელარი. სამუშაო ტანისამოსში.

ჩვენ არ გვსურდა გაგვეოცებია ვინმე პირველი ვიზიტით. ჩვენ მოვედით უბრალოთ: კასკეტკაში და ბლუზაში.

ჩვენ დავდევით პირობა: არავითარი მსვლელობა, პირიქით; უნდა მოვერიდოთ მცირე დაჯგუფებასაც, რომ არ მივიპყროთ პოლიციის ყურადღება. ორი საათისათვის თითო-თითოდ უნდა შევიკრიბოთ თანხმობის მოედანზე, სულ ერთია როგორ: მეტროთი, ომნიბუსით, ფეხით; შემდეგ, ყოველი ნიშნის მიღებამდე უხდა დავიძრათ ავენიუსზე სრულიად მშვიდობიანი სახით. რას იტყვით თქვენ ამის წინააღმდეგ? ყველას შეუძლია ისეირნოს ელისეის მინდვრებში. მართალია, ჩვენ არ ვიყავით გამოპრანქული, მაგრამ ფრაკი ხომ სავალდებულო არ არის.

პოლიცია თითქმის არ სჩანდა. კიდევ ცოცხალი იყო მოგონება შარშანდელ შეტაკებაზე: ამიტომ ეშინოდათ რომელიმე მასსიური გამოსვლისა. მეორე მხრით არ უნდოდათ მდიდარი უბნების შეშინება. სააღყო მდგომარეობა ელისეის მინდვრებზე მოახდენდა ცუდ შთაბეჭდილებას. ეს კარგია წინა უბნებისათვის. ბოლოს და ბოლოს პოლიციას აკლდა ცნობები. „უბრალო სეირნობა?“ ეს საეჭვო იყო. შეიძლება ეს სეირნობა სხვა რამეს ფარავდა.

მერე რა მოიგონა ლეპინმა? მან მოიმარაგა უხილავი ძალები მეზობლად, სამინისტროების და ყაზარმების ეზოებში. მაგრამ გარეთ არავინ სჩანდა. არც სადარაჯოები, არც ჯგუფები. რალაც შემთხვევის გამო ჯაშუშებმაც მოინდომეს სეირნობა ელისეის მინდვრების ცის ქვეშ, ისინი დადიოდნენ ხეებს შორის მეოცნებე სახით, როგორც შეყვარებულნი. ბევრი მათგანი სამოქალაქო კოსტიუმში იყო.

ამ წვრიშალების გამოკლებით, ავენიუს ჰქონდა მისი ჩვეულებრივი სახემდიდრები არ კითხულობენ ჩვენ გაზეთებს; ბურჟუაზიულ ფურცლებმა კი გარკვეული ვერაფერი სთქვეს. იმათ სრულიად ვერ წარმოედგინათ, რომ ეს მოხდება მათ ქუჩებზე, მათ ქალაქში. ეს ხომ მეტის მეტად ეწინააღმდეგება ყველა ჩვეულებებს!

მართალია, მდიდრებს ეშინიათ ჩვენი, და ხშირად ფიქრობენ ჩვენზე, მაგრამ მათ ჰგონიათ, რომ ჩვენ შორსა ვართ, ოკეანების იქით, მეორე ქვეყანაში. მათთვის არაა სასიამოვნოა აზრი, რომ ჩვენ ვცხოვრობთ იმავე პარიზში, სადაც

სცხოვრობენ ისინი. მათ აქვთ წარმოდგენა ჩვენზე, მაგრამ ისინი ჩვენ არ გვიცნობენ; განსაკუთრებით მათი ცოლები და შვილები. ამ მდიდარ უბანში მათ ჰყავთ რამოდენიმე მოშინაურებული ღარიბები, ოცდა თექვსმეტი პირმოტნე მახინჯი, რომელნიც ესწრებიან წირვას, რადგანაც ითხოვენ მოწყალებას საყდრის კარებზე, და იმავე დროს მალავენ თავის საბნებში ობლიგაციების პაკეტებს.

მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენ იმათ არასდროს არ უნახავართ. მართალია, ისინი ხანდახან ჩამოიქროლებდნენ ავტომობილით შაპელის ან ფლანდრის ქუჩაზე, მაგრამ საშინელი სიჩქარე აბნელებდა ეტლის ფანჯრებს, და მშვენიერი ბანონები ასწრებდნენ მხოლოდ ამის თქმას: „ღმერთო, რა საზიზღრობაა აქ!“

მაშ წარმოიდგინეთ ელისეის მინდვრები ნაშუადღევს.

ძიძები, გამოპრანკულნი და უაზრონი, როგორც კომბოსტოს თავები; გაბერილი პრანჭიები თავის სკამებზე, რომლებსათვის ბავში მხოლოდ დამატებაა მათი ტუალეტის და რომელნიც ყოველი ხუთი წუთის შემდეგ ჰკივიან წვრილი ხმით: „როჟე, როჟე! მე ხომ დაგიშალე ხელი მოგეკიდა ქვიშისათვის!“ ახალგაზრდა ფრანტები ცილინდრებით, ვიწრო ფაკეტებში, მოპარსულ დინგებით, გატლექილი თმით და ცხენის თვლებით.

ყველა ეს მასხრები მხოლოდ მეზიზღებიან. მე არ მშურს არც მათი სიმდიდრე, და განსაკუთრებით—არც მათი ცხოვრება. ისინი მხოლოდ საშინელებას იწვევენ ჩემში. ისინი რაღაც საკლავი პირუტყვები არიან. თუ დაკვირვებიხართ როდესმე ამ მოხუცებულ ქალებს? სამიოდე შეღებილი თმის ღერით ისინი მიხტიან გეტრებში და სასაცილოდ ათამაშებენ ჯოხს ოქროს თავით, როგორც დასაკეცი ავტომატები საცვლების მაღაზიებში დიდ ბულვარებზე. მართალი გითხრათ, ძალდი რომ ვიყო, მე არ დავკარგავდი დროს და არ გავსვრიდი ფრანგების სვეტებს შარდით!

ბავშებიც კი! მე მიყვარს ბავშები. მაგრამ მე არ ვიცი, შემეცოდება თუ არა მათი ბავშვები. ისინი ეჩვევიან ზიზღით მოპყრობას უფრო ადრე, ვიდრე ისწავლიან კითხვას. უნდა ნახოთ, როგორ უცქერიან ისინი მხვეტავს! მოიგონეთ ის კილო, რომლითაც ისინი ელაპარაკებიან თავის გამდელს! და ყველაფერი ეს იმიტომ, რომ მათი ბაბუა ვაჭრობდა ზანგებით ან და მათი ბებია ყიდდა ფრანკფურტში სათვალეებს.

ერთი სიტყვით, ყველა ისინი იქ ბრძანდებოდნენ, ახალგაზრდები და მოხუცები. უმრავლესობას არც ახსოვდა, რომელი რიცხვი იყო მაშინ: პირველი მაისი, ორი, თუ ოცდა ათი. ისინი ნებას აძლევდნენ მზეს მოალერსებოდა მათ, მზეს კი თავი მოსწონდა ასეთი ყურადღებით.

მე დავწინაურდი ორი ჩემი ამხანაგით. ჩვენ არ მივსულვართ ყველაზე ადრე. თანხმობის მოედანი სავსე იყო ლურჯი ბლუზებით და ხავერდის შარვლებით. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ ასულან ავენიუზე. როგორც ნავთი ლამპაში: ის თანდათან ადის რეზერვუარიდან ფიტლისაკენ.

ამიტომ ჩვენ გავხდით იმის მოწმე, რაც მოხდა. მე ვეუბნები ამხანაგებს:

Коллекция
И.А. Вегес
185
Третьяков

სეირნობდენ ხეივნებში, უცდიდენ ღროს. მაგრამ ჩვენ ჩუმად ვიყავით, როგორც ცხვრები. ჩვენ უცქერდით აყვავებულ წაბლებს.

— რა კარგი ხეებია! დიდებული ხეებია!

ვისაც ესმოდა მებაღეობა, მიდიოდა გაზონებთან, ხეებთან, და კამათობდა. ერთი იწუნებდა მორწყვის სისტემას; სხვებს თავისი აზრი ჰქონდათ დამყნის შესახებ.

ავენიუ ვიწროვდება ელისეის მინდვრების რგვალ მოედანის შემდეგ. უკვე აღარ სჩანს გაზონები, ხეები, მათ ნაცვლად — ყვავილებით შემოსილი აივნები, ბრწყინვალე ავტომობილი შესავალთან, ან ყვავილების გამოფენა — მშვენიერი შროშანი, თაიგული ღირს ასი სუ!

შემდეგ მე ვხედავ, როგორ ვეშვებით ქუჩაზე, რომელიც ებჯინება ჩიხს. ალბად ჩვეულებრივ ღროს ამ ქუჩაზე არავინ არის. ჩვენ დავიფანტეთ ქუჩის მოედანზე. დინჯი სახლები, ქუჩის ორივე მხარეზე, როგორც პირველი კლასის მგზავრები; და ჩვენ თითქოს ხოქოები კუპეს კალორიფერზე.

ერთ ჰიშკართან იდგა ლაქია. ნურაფერს მეტყვიით ამ ტიპების შესახებ. მე შეხარება ისინი მდიდრებზე მეტად. მათი ხელობა ყველაფერზე უფრო საძაგელია; ეს ხელობაც არ არის: მდიდრები იყენებენ მათ ისე, როგორც მე ვსარგებლობ სკამით, და ფეხსაცმელის საწმენდი ჩოთქით. და ისინი ბედავენ იფიქრონ, რომ რამეს წარმოადგენენ. არავინ არ მიგიღებს თქვენ ისე ცუდათ, როგორც ასეთი ტიპი, რომელმაც ერთი წუთის წინად გაიტანა ლამის ჭურჭელი.

მე, სანამ ტვირთამწევი გავხდებოდი, ვეწეოდი ზეინკლობას. ერთხელ მე უნდა მემუშავნა მდიდარ უბანში. მე ვიცოდი სართული. ამიტომ მე ქვევით არაფერი მიკითხავს და ავედი კიბეზე. მე დიდხანს არ დამავიწყდება ლაქიის სახე, რომელმაც კარი გამიღო. იმან ამზომა თავიდან ფეხებამდე. შემდეგ დადუმებული იყო მთელი ერთი წუთის განმავლობაში, მოღუშული სახით და შეკრული წარბებით: იმდენად გააკვირა ის ჩემმა მოვლინებამ. ის იხედებოდა ირგვლივ, თითქოს ეძებდა მაშას, რომ აველე მე ნოხიდან და გადავესროლე ამყვან მანქანის გალიაში.

— აქ ცხოვრობს მადამ ეს და ეს?

ის გააღებს ტუჩებს.

— რად არ ამოდით უკანა კიბით. თქვენ არ უნდა შემომეშვით აქედან...

მაგრამ, რა გაეწყობა!

ო, ეს მხრების აწევა! ეს ოხვრა!

ლაქიამ ჰიშკართან უკვე მიიღო შესაფერი სახე. ალბად იმას ეგონა, რომ ჩვენ ვიყავით გაზის გამყვანი, ან გზატკეცილის მუშები. მაგრამ ჩვენ ვაგრძნობინეთ მისი შეცდომა.

— ეი, ჟოზეფ!

— გამარჯობა, ლიპიანო!

— რა ლამაზი ხარ შენი ძეხვებით!

— თუ გოჭები გეყოლება, ერთი მაჩუქე!

იმას დაეტყო გულის მოსვლა, ის თითებს იმტვრევდა.

ჩვენ შევჯგუფდით მის ახლოს. ვფიქრობ, მას უნდოდა ~~ქიშკარი დაეკეტა~~, მაგრამ ვერ ბედავდა. ბირეტი მიმართავს მას:

— ხომ არა გაქვთ თავისუფალი ბინა? პატარა ბინა? ჩვენი ოჯახი მუდროა: შვიდი ბავში, ძაღლი, კატა, სამი იაღონი. ეს უბანი და შენი გარეგნობა მე ძალიან მომწონს.

ბირეტი გვეუბნება:

მაშ, მეგობრებო შევიდეთ?

ის შედის. ჩვენ მივყვებით. ლაქია ხელებს შლის და ლამობს გზის დაკავებას.

— მე არ გაძლევთ ნებას აქ შემოხვიდეთ! არ გაძლევთ ნებას! მე პოლიციას დაუძახებ.

— ნუ ჯავრობ, ეოხეფ! რასაკვირველია, ლეზინი ახლოა. მაგრამ შენ ტყვილად მოგდის გული, ღიპიანო! მე ხომ არ შემიძლია ვიქირაო ბინა, სანამ არ დავათვალერებ მას. საჭიროა კეთილგონიერება!

ჩვენ უკვე ეზოში ვიყავით, ოცდაათი კაცი მაინც. დიდი ოთხკუთხედიანი ეზო, კარგად მოკირწლული. ფანჯრებში არც ერთი გაღია არა სჩანს, არც საცვლები, არავითარი ხმაურობა. კუთხეში სარწყავის სახელე, დანცობილი წყლის გამომყვან ონკანზე.

ჩვენ გამოვაცოცხლეთ ეს ეზო. იფიქრებდით, რომ თქვენ სკოლის ეზოში ხართ საარჩევნო კრების დღეს.

სახლში თითქო არავინ იყო. არავინ სჩანდა ფანჯრებთან. მაგრამ დაკვირვების შემდეგ, ჩვენ ვარჩევდით, რომ აქა იქ ფარდა ინძრეოდა. მოსამსახურე ქალები ატყობინებდენ:

— ქალბატონო! თქვენ რომ იცოდეთ! ეზო გატენილია ხულიგნებით და რევოლუციონერებით!

მაშინ ბირეტი გამოვიდა წინ:

არ შეიძლება, რომ უქმე დღეს ცოტა არ ვიცეკვაოთ. აბა! შეადგინეთ წრე. მოკიდეთ ხელები ერთმანეთს და ყური უგდეთ ტაქტს!

შემდეგ მან ასწია თავი:

— ბატონებო და ქალბატონებო! სანახაობა უფასოა. ეს არის პრემია პირველი მაისის გამო. მაშ ისარგებლეთ შემთხვევით, თორემ შემდეგ უფრო ძვირი იქნება.

ის იხედება ჩვენსკენ:

— თქვენ მზათა ხართ?

ჩვენ ხელი მოვკიდეთ ერთმანეთს. ჩავახველეთ, გადავაფურთხეთ და დავიწყეთ კარმანიოლა.

არასოდეს ჩვენ ასე არ ვცდილობდით. ჩვენი ხმაური აღწევდა კედლებამდე და უკან ბრუნდებოდა. ჩვენ ვბლაოდით, რომ ჩვენივე თავი გადაგვეყვირა.

ვეებერთელა სახლი მდუმარე იყო. მაგრამ მე მგონია, რომ ჩვენი ცეკვისაგან მისი სტომაქი ღმუოდა ისე, როგორც ჩხვლეტისაგან. შესაძლებელია, რომ ის ახლაც იგონებს ჩვენს კარმანიოლას.

ფერერის დასჯა



— ყველაზე უკეთესი მანიფესტაცია, რომელიც მე ვხედავ, სიკვდილმა ტვირთამწვემა, იყო მანიფესტაცია ესპანურ საელჩოსთან ფერერის სიკვდილით დასჯის შემდეგ. ახლა მე იშვიათად ვიღებ მონაწილეობას მანიფესტაციებში. უფრო ხშირად სახლში ვხივარ. მე არ მინდა დასახიჩრებელი ვიყო, ან მილიციაში გავათიო ღამე, რომ გამომიყვანო წონასწორობიდან, საჭიროა რამე ღირსშესანიშნავი. ფერერის დასჯამ ამაღელვა მე. თქვენ ეს გაკვირვებთ, ხომ? ფერერი, ესპანეთი, რა ჩვენი საქმეა ყოველივე ეს! ეს ხომ სხვა ამბავია! მიუხედავად ამისა, მე მთელი კვირა ბრაზისაგან ვერ ვისვენებდი. ყოველი დღე ხდება ისეთი რამ, რაც იწვევს ზიზღს და აღშფოთებას. მაგრამ ურიგდები. თუ ყველაფერი მეტის მეტად აგაღელვებს, ეს აუტანელია. მაგრამ ამ შემთხვევაში მე გამოაცა. ის რომ ციხეში ჩაეგდოთ, გადაესახლებიათ, ალბად, არავინ მიაქცევდა ყურადღებას. მაგრამ დახვრიტო კაცი იმიტომ, რომ მას აქვს თავისი მსოფლმხედველობა! მეოცე საუკუნეში! მაშინ ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ის, რომ პირუტყვისაგან გავწვეთ მიწაზე და მოვითხოვოთ თივა.

— ესპანური საელჩო, მგონი, არის კურსელის ბულვარზე?

— დიახ. მე წავედი ფეხით სხვებთან ერთად. პირველად გავიარეთ მეტროს ვიადუკის ქვეშ. პიკომ შემოიტანა წინადადება დაგველია თითო ჭიქა, მაგრამ ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ყველა ეს მოქეიფენი პიგალლის მოედნიდან და მონმარტრიდან მხიარულობდნენ ჩვეულებრივად. კაცი უმიზეზოდ დახვრიტეს, იმათ კი წარბიც არ შეხარეს. დედამიწაზე ბევრი არამზადებია, მაგრამ ისინი ყველაზე უარესი არიან. ღვდლებს მე უფრო მალლა ვაყენებ. ამბობენ რომ მოხდეს და შესაძლებელი იქნეს ანგარიშების გასწორება, მე დავიწყებდი ამ არამზადებიდან და კარგად გავამათრახებდი მათ.

— ეს იყო საღამოს?

— დიახ. და მე კიდევაც მიკვირდა, რომ გაზი ასე ცუდათ ანათებს. აი საკვირველი ამბავი! განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენ ჩავედით ვილიეს ავენუზე. თითქოს ამის მიზეზი იყო ბრბო, რომელიც ყლაპავდა სინათლეს.

— ხალხი ბლომად იყო?

— ბევრი ცდარობდა გასვლას, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგან გზა დაკავებული ჰქონდა პოლიციას. პიკო დაიკარგა. ელჩზე უნდა მოეხდინა შთაბეჭდილება ცარიელი ქუჩების სანახაობას საელჩოს ირგვლივ. — ერთი ეტლიც არ იყო! — და შემდეგ აღშფოთებული ხალხი: „უ! უ! მკვლელო! მკვლელო! გაუმარჯოს ფერერს. რასაკვირველია, ჩვენ ვერ გავაცოცხლებდით დასჯილს. მაგრამ ისინი დაინახავენ, რომ ასეთი ადამიანის გაქვლეთა კედტისტილასაგან არ შეიძლება. ჩვენ მიგვდენიდნენ ერთი ქუჩიდან მეორეზე. მე მოვხვდი რალაც ტომარაში. მე მიმაჭყლიტეს მალაზიის რკინის ფარზე. ვყვიროდი. მთელ ევროპაში იყვნენ ადამიანები, რომელნიც ჩვენსაგან ვვიროდნენ და გაბრაზებული იყვნენ ფერერის დასჯის გამო. ჩვენ ვაწვებოდით მთელი ძალღონით, რომ გაგვერეკა დამაკავებელი რაზმები. კიდევაც რომ ხმლები ამოეღოთ, და ესროლათ ჩვენთვის, მაინც არ

დავიხვედით უკან. ისინი აკავებდენ გზას, მაგრამ ვერ აკავებდენ ჩვენს ბრაზიან ყვირილს. შეიძლება ამ დროს ელჩი საუბრობდა მეგობრებთან და ნაცნობებთან, უ! უ! მკვლელო! ალბად ელჩს ხელიდან გაუვარდა ჭიქა ყაფნისა.

— მე, სთქვა ბენენმა, არ ვყოფილვარ პარიზში ფერერის დასჯის დღეს. მე ვიყავი ბრესტში. მე აღრე ვისადილე რესტორანში, თეატრის ახლოს და ქალაქში დავიწყე ხეტიალი. მაშინ, მგონი, ბრესტში იყო გზაჯვარედინზე პატარა საბანკირო კანტორა და იქ საღამომობით აკრავდენ პატარა დაფაზე უკანასკნელ მიღებულ დეპეშებს.

ჩვეულებრივად მე მივედი იქ შვიდის ნახევარზე. რამოდენიმე უმნიშვნელო ცნობა იყო დაფაზე. არც ლოდინი ღირდა და არც დაბრუნება ხელმეორედ. როდესაც დაფას გაავსებდენ, შემდეგ არ იწუხებდენ თავს. ხანდახან მე კიდევაც ვამბობდი: „საკვარველია, რომ რიცხვი შესანიშნავ ამბავთა, რომელიც ყოველდღიურად ხდება მსოფლიოში, ყოველთვის ეტევა ამ დაფაზე.“

მაგრამ ბრესტში, ისე, როგორც ბევრ სხვა ქალაქებში, სასეირნო ადგილები ცოტაა; და როდესაც თქვენ ქუჩაში გამოდიხართ, თქვენ შეგიძლიათ პირდაპირ წახვიდეთ. თქვენ არ გჭირდებათ ბევრი ფიქრი. ნასადილევს და სადილობამდე მე ვსეირნობდი ერთ და იმავე ადგილზე.

მივდივარ იმ ჯვარედინთან. მცირე ჯგუფი იდგა კანტორის წინ: იგივე ამბები ქიანჭველებივით ცოცავენ შავ დაფაზე.

მე იქ ვრჩები ორი თუ სამი წუთის განმავლობაში: მე არ მინდა უკან წავიდე. მოღრუბლული იყო: ჰაერი სოველი; თითქოს გაზის ალი მოწყალებას ითხოვდა გზაჯვარედინზე.

უცბად ხალხი ოდნავად შეტორტმანდა. დუქნიდან გამოდის ახალგაზდა კაცი საღებავის ქოთნით ერთ ხელში და ტაბურეტით მეორეში. ის დადგება დაფის წინ და ეძებს ზედ დაუკავებელ ადგილს. შემდეგ ის ბრუნდება კანტორაში და გამოდის იქედან ჩვართ. ხალხი მატულობს. ყველა გრძნობს, რომ მოლოდინი გამწვავდა.

ახალგაზდა ადის ტაბურეტზე, შლის თავიდან ბოლომდე ყველა ცნობებს და თავის ჩვარს დადებს. მე მომეჩვენა შავი დაფა დიდ და ღრმა გვირაბად. ფუნჯი ხაზავს მსხვილ ასოებს, ჩვენ ვკითხულობთ:

ფერერს მიუსაჯეს სიკვდილი და დახვრიტეს

სიჩუმე; არავინ განძრეულა. ჰაერის სისოველე გადაიქცა პატარა წვიმად, მაგრამ ქოლგა არავის გაუხსნია. ხალხი გაშეშდა და ვერ აშორებდა თვალს დაფას. ახალგაზრდა ისევ წავიდა და საბანკირო კანტორა აღად იძლეოდა სიცოცხლის ნიშნებს. რასაკვირველია, ახალი ამბები მეტი აღარ იქნება. მაგრამ ჩვენ არც მოველოდით ახალ ამბებს. ორი სტრიქონი შეიცავდა ხუთ სიტყვას:

ფერერს მიუსაჯეს სიკვდილი და

დაწერილი იყო პირველ სტრიქონში:

დახვრიტეს

ერთად ერთი სიტყვა მეორე სტრიქონში.

ეს ჩვენთვის საკმარისი იყო. ჩვენ თანდათან ვიქცენოდით ამ ხუთი სიტყვით. ისინი შედიოდნენ ჩვენს არსებაში; ისინი ახდენდნენ იმ თავის გავლენას, როგორც წამალი.

ხალხი არ იცვლებოდა; მე ვერ ვგრძნობდი ჯიკავს; ჩემს ჩვეულებას ის მეზობლები იყვნენ. მე ერთი წუთით შევეხე ჩემ შლიაპას; მისი კიდევები გაიბერენ წვიმისაგან.

ორი დღის შემდეგ მე ვსერილობდი შეღამებისას იმ კანტორის ახლოს. დავინახე პატარა ყრილობა; ათი კაცი, ესპანურ და ბალეარულ საქონლით მოვაჭრის დუქნის წინ. პატრონისა და ვიღაც მეზღვაურ შორის გაჩაღდა ჩხუბი. რამდენად მე გავიგე, ვაჭარი არ იღებდა ინგლისურ ფულს, მეზღვაური კი ცდილობდა მის გასაღებას. პირველიც და მეორეც ამტვრევდნენ ფრანგულ ენას თავისებურად; ძნელი მისახვედრი იყო, რას ამბობდნენ ისინი, მე მგონია, იმათ თვითონ არ ესმოდათ ერთმანეთი.

უცხად ყრილობა მატულობს. ხალხი მრავლდებოდა ჩემ თვალის წინ. ქუჩა გატენილია. ტრამვაი განუწყვეტლივ რეკავს, მაგრამ მას არავინ აქცევს ყურადღებას.

ხალხი ბუზღუნებს; პირველად ეს იყო გაურკვეველი გუგუნო. მაგრამ ხმაური თანდათან იზრდება: „ფერერი! ფერერი!“ ყვირის ბრბო: „ფერერი!“ მეც ვყვირი.

ყველანი ჩვენ განვიცდიდით მწუხარებას და გულისწყრომას. ტკივილს და გულისწყრომას. ჩვენ გვინდოდა სამაგიერო გადაგვებადა მტრისათვის და იმავე დროს ჩვენ უხმობდით მოკლულს. ბრბო იძახოდა „ფერერი! ფერერი!“

შემდეგ ჩვენ გვინდოდა სხვანაირად გამოგვეხატა ჩვენი გრძნობები. მივაშურეთ ესპანელის დუქანს. უკვე ისმოდა დარბევის ხმა, — ისროდნენ კალათებს, ტეხავდნენ ყუთებს. ესპანელი — მოკლე და მსუქანი ადამიანი, გაპარსული თმით და გამოყვლეფილი თვალებით გვიცქერდა თავზარდაცემული. იმას არაფერი ესმოდა, ის ყვიროდა წვრილი ხმით, სასოწარკვეთით და ექსტიკულიაციით.

— მე ხომ მივიღე ორი სუ! ხომ მივიღე! აი ის ფული!

ხალხი განაგრძობდა: „ფერერი! ფერერი!“ და იერიშით მიდიოდა. მაშინ ვაჭარი მიხვდა; მას გაუნათლდა სახე და ნიშნებით მოითხოვა, რომ მას მოუსმინონ. ყველა დადუმდა, ესპანელმა ასწია მარჯვენა ხელი და სთქვა:

— გაუხარჯოს დასჯილ ფრანცისკო ფერერს!

ამ სიტყვების შემდეგ ხალხში გაისმა თანაგრძნობის ხმაური. შემდეგ ის მოიბრუნებს პირს თავის დუქნისაკენ და იძლევა ნიშანს. მასთან მივარდება ორი ბავში, არაბებივით შავი. ის დაიყენებს ერთს მარჯვნივ, მეორეს მარცხნივ, მოხდის მათ ქუდებს და ეტყვის.

— იყვირეთ: „ჩვენ ვიძიებთ შურს ფრანცისკო ფერერისათვის!“

ბავშვები ასწევენ ზევით მარჯვენა ხელს და ყვირიან:

— ჩვენ ვიძიებთ შურს ფრანცისკო ფერერისათვის!

ერთი წუთის წინად ჩვენ გვინდოდა შევსულიყავით დუქანში, ახლა ეს სურვილი კიდევ უფრო გაძლიერდა. ყველას უნდოდა ხელი ჩამოერთმია ესპანელისათვის; ჩვენ ვკოცნიდით ბავშვებს და მზად ვიყავით გაგვესაღებია მთელი საქონელი, რომელიც დუქანში იყო.

აი რა მოხდა ბრესტში ფერერის დასჯის შემდეგ.



ქართული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა მხატვრობა
და
კუბლიცისტიკა



რუსთველიანაზე

პროფ. კორნ. კეკელიძის წერილის გამო.

ჩემმა ისტორიულ-კრიტიკულმა გამოკვლევამ „რუსთველიანა“, მას შემდეგ რაც იგი ჯერ მოხსენებათა სახით იყო წაკითხული, ხოლო შემდეგ პირველი წიგნი ბეჭდვით გამოქვეყნდა, გამოიწვია თავისი ლიტერატურული გამოხმაურება. დაიწერა, იწერება, ან მოხსენებათა სახით ითქვა მის შესახებ, ზოგი მართალი, ზოგიც—რასაკვირველია—მრუდე. ადგილი აქვს აგრეთვე ისეთ მოვლენასაც, რომ ზოგმა რუსთველის მკვლევარმა, ჩემ მოხსენებათა შემდეგ, შეაკეთა თავისი საკმარად შერყეული თეორია, ან საესებით შესცვალა იგი, შეუფარდა რა ჩვენს აღმოჩენებს (—რამდენად ნაყოფიერად, ეს სხვა კითხვაა).

რასაკვირველია ჩემთვის არაა სავალდებულო შევხვო ყოველსავე ამას ცალცალკე. ზოგი, რაც ჩემ წიგნზე ითქვა, ნოკლებულია მნიშვნელობას, რაც ყველა სპეციალისტისათვის აშკარაა. ხოლო ის, რაც ცოტად თუ ბევრად ანგარიშგასაწევი აღმოჩნდება, ამის შესახებ ბაასი გვექნება „რუსთველიანას“ შემდეგს წიგნში, სადაც, როგორც ეს უკვე დავპირდით მკითხველს¹⁾, ცალკე თავში განხილული გვექნება საგნის ლიტერატურა და რუსთველოლოგიის ისტორია.

მაგრამ ამ საერთო მიმოხილვიდან საჭიროდ მიმაჩნია გამოვყო ცალკე პროფ. კ. კეკელიძე. მან ჟურნალ „მნათობის“ წარსულ ნომერში მოათავსა დიდი წერილი რუსთველიანა-ს შესახებ. (იხ. მნათობი, 1927, № 2, გვ. 183—204). კ. კეკელიძის წერილი არაა ჩვეულებრივი კრიტიკა. პირუთვნელი მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ეს წერილი განსაკუთრებულის გაბოროტებით არის შეთხზული. ავტორს წონასწორობა დაუკარგავს და წერილის თვითველ გვერდზე გამოსქვივის გაუგებარი ღვარძლიანობა. ამასთან ავტორი მეტად იაფფასიან საშუალებებს მიმართავს; წერილი იწყება ასეთი ეპიგრაფით: „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია“. წერილი კიდევ ამ სიტყვებით თავდება: „გასრულდა მისი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა“. არა მგონია ასეთი განცხადებებით შესაძლო იყვეს რისამე დამტკიცება. ამასთან გონებამახვილობაც აქ ძალიან ცოტაა, ხოლო ვულგარობა ძალიან ბევრი.

¹⁾ იხ. რუსთველიანა, I, 377.

რასაკვირველია აქ იმდენად საინტერესო არაა, თუ რამ გამოიწვია ავტორის ამგვარი გამოსვლები და უფარგის საშუალებათათვის მიმართვა ისეთ წერილში, რომელსაც ვითომდა მეცნიერული განხილვის პროტექტებში აქვს. ეს პირადად კ. კეკელიძის საქმეა.

ყოველ შემთხვევაში, თუ რასმე ამტკიცებს ის გაბოროტება, რომელიც მოსჩანს კ. კეკელიძის წერილში, მხოლოდ ერთს: ცხადია ადამიანი, რომელიც ასეთის წინასწარი განწყობილებით სწერს, ვერ იქნება მიუდგომელი და მის კრიტიკას საექვოა რაიმე ფასი ჰქონდეს.

მაგრამ თუნდაც კ. კეკელიძეს თავისი წერილი უფრო მეტად დამშვიდებულს დაეწერა, მაინც მის აზრს პოეზიის პრობლემებზე არა მგონია სპეციალისტის თვალში დიდი მნიშვნელობა მინიჭებოდა. ვინც საქმეს ახლო იცნობს, მას რასაკვირველია კარგად მოეხსენება, რომ კ. კეკელიძე შემთხვევითი კაცია როგორც პოეზიისა და საერო მწერლობის საკითხებში, ისე საისტორიო მეცნიერების დარგში. კ. კეკელიძე სულ უკანასკნელ დრომდე ცნობილი იყო მხოლოდ როგორც ჰაგიოგრაფიის და ლიტურგიკის მკვლევარი. ხოლო აქედან პოეზიის მცოდნეობამდე, და მით უმეტეს რუსთველის-მცოდნეობამდე, საკმაოდ დიდი მანძილია.

კ. კეკელიძის წერილი სხვა პირობებში ჩვენ რასაკვირველია უპასუხოდ უნდა დაგვეტოვებინა, რადგან ჯერ თითონ ტონი წერილისა მართლაც რომ მეტად საექვო ღირსებისაა. და თუ ჩვენ მაინც ძალას ვატანთ თავს და პასუხს ვაძლევთ ამ წერილს, ამას გვავალებს მკითხველის პატივისცემა. კ. კეკელიძის წერილი ტენდენციურია იმდენად, რომ აქ ზოგჯერ ადგილი აქვს ფაქტების პირდაპირ ყალბ გადმოცემასაც. არა-სპეციალისტ მკითხველს რასაკვირველია არა აქვს საშუალება შეადაროს და შეამოწმოს ისტორიული დოკუმენტები, ზედმიწევნით გაერკვეს წყაროების განმარტებაში და ვეფხის-ტყაოსნის დედანთა ანალიზში. ამიტომ ზოგიერთი მკითხველი შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს კორნ. კეკელიძის ენერგიულმა ტონმა, რომლის იქით მხოლოდ საკითხების ტენდენციური და მცდარი განმარტება იმალება.

ამიტომაც ჩვენ საჭიროთ ვსცანით განვიხილოთ კ. კეკელიძის ეს წერილი და დაწვრილებით შევხვით მასში აღძრულ საკითხებს. ეს მით უფრო რომ კორნ. კეკელიძე, თავისი დღევანდელი მდგომარეობისა გამო, ერთგვარად ოფიციალური ოპონენტის როლს ჰკისრულობს.

1. ვეფხის-ტყაოსნის დედნები

პირველი კითხვა, რომელსაც ხვდება მკვლევარი შოთას პოემის განხილვის დროს ეს არის ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის პრობლემა. ვიდრე ტექსტის შესახებ ძირეული საკითხები გამორკვეული არაა, რასაკვირველია შეუძლებელია ვეფხის-ტყაოსნის დანარჩენ საკითხებზე მსჯელობა.

ამის გამო რუსთველიანას პირველ წიგნში, რომელიც ისახავს მიზნად ვეფხის-ტყაოსნის თარიღისა და პოეტის ვინაობის პრობლემის გადაჭრას, შესავალის სახით განხილულია ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის ისტორია (გვ. 1—98).

ტექსტის ისტორიასთან დაკავშირებულია ერთი კითხვა, რომელიც ეხება ვახტანგისეულ დედანს. საქმე შემდეგშია:

ვახტანგისეული დედანი, ტექსტის შედგენილობის მხრივ, განსაკუთრებულ ვარიანტს წარმოადგენს: იგი არის ყველაზე მოკლე რედაქცია ვეფხის-ტყაოსნისა. მართალია აქაც არის შემდეგი დროის ჩანართი ტექსტები, მაგრამ იგი საერთო მოცულობით უფრო ძველი რედაქციის სახეს ატარებს. აქ არაა შეტანილი მთელი რიგი ისეთი ეპიზოდებისა, რომელიც დამატებულია მე-16—17 საუკუნის ხელნაწერებში.

ამის გამო იზადება კითხვა, თუ როგორი ხასიათისაა ის ტექსტი, რომელსაც შეიცავს ვახტანგის გამოცემა: არის თუ არა იგი უცვლელი განმეორება რომელიმე ძველი ხელნაწერისა, რომელიც ვახტანგის დროს ჯერ კიდევ არსებულა. ან და იქნება ვახტანგის დაბეჭდილი დედანი წარმოადგენს ხელოვნურად შემოკლებულ ტექსტს? ამ მეორე შემთხვევაში, თუ ვახტანგის დედანი არის ხელოვნურად შემუშავებული რედაქცია, ცხადია მას ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის გენეალოგიის შესწავლის დროს.

კრიტიკული ანალიზი ვახტანგის ტექსტისა არ სტოვებს არავითარ ეჭვს აღძრული საკითხის შესახებ. ირკვევა, რომ ვახტანგისეული ტექსტი არაა ხელოვნურად შემოკლებული დედანი, არამედ ისეთივე ტრადიციული ტექსტი, როგორც დანარჩენი ხელნაწერებია. ვახტანგს უცვლელად დაუბეჭდავს ერთ-ერთი ძველი ვარიანტი ვეფხის-ტყაოსნისა.

კორნ. კეკელიძეს ეს დებულება შემცდარად მიაჩნია და სცდილობს მის დარღვევას.

მაგრამ კორნ. კეკელიძეს ჩვენთვის არ ემეტება ეს შემცდარი დებულებაც, და ამბობს, რომ თუმცა პავლე ინგოროყვა სცდება, მაგრამ თავისთავად ეს მცდარი დებულება არაა ორიგინალური, რადგან იგი პირველად 1914 წელს ი. აბულაძემ გამოსთქვაო.

ჯერ რამდენიმე სიტყვა ამ შენიშვნაზე. იგი არაა მართალი. ქეშმარიტების აღსადგენად, საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო აქ მოკლედ საკითხის ისტორია.

ვახტანგისეული დედანი პირველად ეჭვს ქვეშ დააყენა ს. კაკაბაძემ—1913 წელს. ს. კაკაბაძის დებულება ის იყო, რომ ვახტანგის გამოცემა ხელოვნურად არის შემოკლებული, და ის ზედმეტი ტექსტები, რომელსაც ხელნაწერები შეიცავენ ვახტანგის გამოცემასთან შედარებით, ნამდვილია და რუსთველს ეკუთვნისო. ამ ზედმეტ ტექსტებზე დამყარებით მან ვეფხის-ტყაოსნის თარიღი მე 14—15 საუკუნის საზღვარზე გადმოიტანა. ეს შეხედულება ს. კაკაბაძემ წამოაყენა თავის მოხსენებაში, რომელიც წაკითხული იყო 1913 წელს, მარტში, ქალთა უმაღლეს კურსებთან არსებულ ეთნოგრაფიის და ისტორიის საზოგადოების კრებაზე. (იხ. ს. კაკაბაძე, ვეფხის-ტყაოსანი, 1914, გვ. 3).

იმავე 1913 წელს, 5 აპრილს, ქართული კულტურის საზოგადოების საჯარო კრებაზე ჩვენ წავიკითხეთ პირველი მოხსენება ვეფხის-ტყაოსნის შესახებ, სადაც გამოვედით ს. კაკაბაძის დებულების წინააღმდეგ. ამ მოხსენებაში ჩვენ შევეხეთ ვეფხის-ტყაოსნის თარიღის კითხვას და იგი თამარის ეპოქას მივაკუთ-

ვნეთ. ჩვენ არ გავიზიარეთ ს. კაკაბაძის აზრი, თითქოს ვახტანგის გამოცემა ხელოვნურად არის შემოკლებული და ხელნაწერი მასალების ანალიზით შევეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ ის ზედმეტი ტექსტები, რომლებსაც უმეტებენ მე-16—17 საუკუნის ხელნაწერები, ყალბია და შენდევნი დროის პლასტებს წარმოადგენს.

ამ მოხსენებას დაესწრენ ჩვენი ლიტერატურის სპეციალისტები და ისტორიკოსები ¹⁾.

შემდეგ, იმავე 1913 წელს, 23 აპრილს, გაიმართა საჯარო დისპუტი ვეფხისტყაოსნის შესახებ ჩვენი სპეციალისტების მონაწილეობით. ამ დისპუტზე, სხვადასხვა მიზეზების გამო, მე მონაწილეობა არ მიმიღია. ჩვენი თეზისების დამცველად აქ გამოვიდა ისტორიკოსი ს. გორგაძე, რომელმაც გაიზიარა ჩვენი შეხედულებანი. პატივცემულმა მეცნიერმა ამ დისპუტზე გაიმეორა ჩემის თანხმობით ჩემი მოხსენების ძირეული დებულებანი, და მათ შორის დებულებაც ხელნაწერი ტექსტების ურთიერთობისა და ვახტანგისეული დედნის პირველადობის შესახებ. მოკლე ანგარიში ამ დისპუტისა აგრეთვე დაიბეჭდა იმ დროინდელ პრესაში ²⁾.

¹⁾ მოკლე ანგარიში ამ მოხსენების შესახებ დაბეჭდილი იყო იმ დროინდელ პრესაშიაც (იხ. საბ. გაზეთი, 1913, № 867, კლდე, 1913, № 16, თეძი, 1913, № 118).

²⁾ ს. გორგაძემ, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს წევრის—ი. სონღულაშვილის—თანდასწრებით, გადაწინა თავისი ძველი ხელნაწერები, რომელიც საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში აქვს დაცული, და აქ აღმოჩნდა თითონ ტექსტი (შავები) ს. გორგაძის მოხსენებისა, რომელიც წაკითხული იყო 1913 წელს 23 აპრილის დისპუტზე.

ამის გამო ს. გორგაძემ მოგვემართა ოფიციალური წერილით, რომელიც მოგვეყავს აქ სიმართლის აღდგენისათვის:

„ვიგზავნით ამასთანავე ამონაწერს ჩემი მოხსენებიდან ვეფხისტყაოსნის შესახებ, რომელიც წაკითხული იყო 1913 წელს, 23 აპრილს, ქართულ თეატრში, ს. კაკაბაძის მოხსენების გარჩევის დროს პოემის დათარიღების შესახებ. ჩემი მოხსენების დედანი საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმში მაქვს დაცული და, როგორც შესავალი სიტყვიდან ჩანს, მოხსენებას საფუძვლად დასდებია თქვენ მიერ გადმოცემული მასალები პოემის ნაბეჭდი და ხელნაწერი ტექსტების შემადგენლობის შესახებ.

„კერძოდ ვახტანგისეული დედნის შესახებ მოხსენებაში წარმოდგენილია შემდეგი დასკვნები (მოგვეყავს პირი მოხსენების ტექსტისა):

„1. ხელნაწერებიდან ნაბეჭდ ვეფხისტყაოსანში შეტანილი არაა მხოლოდ 300-ოდე ზანა, როგორც რეფერენტმა (— ს. კაკაბაძემ) ბრძანა, არამედ 500-სზე უმეტესი;

„2. ეს ხანები 1712 წლის გამოცემაში (— ვახტანგის დედანში) არ შეუტანიათ არა შემთხვევით, არამედ იმ უტყუარის ცნობის მიხედვით, რომ ვეფხისტყაოსანს არა ერთი და ორი ყალბის-მკმნელი გამოსჩენია. — ამასთანავე არსაიდან არა სჩანს, რომ ვითომც ვახტანგს 1712 წელს მართლ ამ უტყუარის ცნობით ვაგლმძღვანელებს, და ავლთ არ ჰქონოდა იმაზე უფრო ძველი და მოკლე რედაქცია პოემისა, რომელმაც მე-17 საუკუნის ხელნაწერებში ჩვენამდე მოაღწია. პირიქით, ის გარემოება, რომ უძველესი თარიღიანი ხელნაწერი (1646 წ.), რომელიც მე-17 საუკუნიდან ჩვენამდე შენახულა, სხვებთან შედარებით უფრო მოკლე რედაქციას წარმოადგენს, — საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ ორასი წლის წინად, ე. ი. ვახტანგის დროს, არა ერთი ორი უფრო ძველი და მოკლე რედაქცია უნდა ყოფილიყო ცნობილი, ვინმე დღემდე შენახული უძველეს ხელნაწერთა რედაქცია. მართალია ასეთა მოკლე ტექსტს ძველ ხელნაწერად არ მოუღწევია ჩვენ დრომდე, მაგრამ მან მოაღწია ვახტანგის გამოცემის სახით, ხოლო ვახტანგი კი არაა ამბობს, რომ მან შეამოკლა ხელნაწერი ტექსტები, და,

მაგრამ ეს აზრი ვახტანგისეული დედნის პირველადობის შესახებ არც მე არ გამომითქვამს. იმავე 1913 წლის 23 აპრილის დისპუტზე დაკვირვებულმა მკვლევარმა პატივცემულმა დ. კარიჭაშვილმა წაიკითხა მოხსენება ვეფხისტყაოსნის შესახებ, სადაც მან ვახტანგისეული დედანი აგრეთვე ძველ ტექსტად იცნო (ეს მოხსენება შემდეგ დაიბეჭდა ჟურნ. განათლებაში, 1913, № 4).

შემდეგ, 1914 წელს ეგვევ აზრი ვახტანგისეული დედნის შესახებ გაიმეორა აგრეთვე პატივცემულმა მკვლევარმა ი. აბულაძემ (იხ. მისი გამოცემა ვეფხისტყაოსნისა, 1914, გვ. LVI).

ამ რიგად 1913—1914 წლების განმავლობაში ოთხი მკვლევარი ერთსა და იმავე დასკვნამდე მოვედით. ის გარემოება, რომ ჩვენ თითქმის ერთდროულად ერთსა და იმავე შეხედულებას დავადექით, ერთი აზრი გავიზიარეთ, აქ დასაძრახისი არაფერია. თუ რასმე ამტკიცებს ჩვენი აზრების თანხმობა, მხოლოდ იმას, რომ ეს იდეა საფუძვლიანია.

რაც შეეხება ს. კაკაბაძის მოსაზრებას, რომ ვახტანგმა შეამოკლა ვეფხისტყაოსნის ტექსტი, ამ იდეას დღემდე არ ერთი მიმდევარი არ გამოსჩენია გარდა კ. კეკელიძისა.

ყოველსავე აქ აღნიშნულს უნდა დაემატოს აგრეთვე შემდეგი. საკითხი თავისთავად იმაში ხომ არ მდგომარეობს, რომ ვახტანგისეული დედანი შედარებით ძველია. დებულება ვახტანგისეული დედნის შედარებითი სიძველის შესახებ, მხოლოდ უბრალო ფაქტია, რომელსაც გამოყენება სჭირდება, ეს მხოლოდ ერთი ქვაა ჩვენი მთლიანი შენობისა. საჭირო იყო ამ ფაქტის ალაპარაკება, საჭირო იყო ერთგვარი არქეოლოგიური გათხრა ჩვენამდე მოღწეული დედნებისა, გამორკვევა მათი ურთიერთობისა, რეკონსტრუქცია ტექსტის ისტორიისა, თარიღის დადგენა, და აქედან გამომდინარე დასკვნების გამოყენება ვეფხისტყაოსნის სხვა ძირეული პრობლემების გადასაჭრელად. აი იმაშია ჩვენი გამოკვლევის არსი (იხ. რუსთველიანა, I, განსაკუთრებით გვ. 3—142). და არის თუ არა აქ სიახლე, ამას ალბად თავის დროზე იტყვის პირუთენელი მეცნიერება.

* * *

შევხვით ამის შემდეგ კ. კეკელიძის მოსაზრებას ვახტანგისეულ დედანზე. კ. კეკელიძე, როგორც ვნახეთ იმეორებს ს. კაკაბაძის ძველ შეხედულებას, რომ ვახტანგისეული დედანი არ არის ტრადიციული ტექსტი, არამედ შემოკლებული დედანი;

ცხადია, არავითარი უფლება არა გვაქვს გადაჭრით ვთქვათ: „ვახტანგის კომისიას ხელში ასეთი მოკლე ხელნაწერი არა ბქონიათ“. პარიქით, არის ერთი გარემოება, რომელიც საბუთს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ასეთი მოკლე ხელნაწერი ტექსტი „ვეფხისტყაოსნისა“ მე-17 საუკუნეში ცნობილი ყოფილა. საბედლოდ ხელნაწერში წ. კ. სახ. № 5006, ავთანდილ-თინათინის კორწილის შემდეგ, და ინდოელ ქარაყნის შეხვედრის წინ, დარჩენილია ორი სტრიქონის დასაწყისი, რომელიც ცხადად მოწმობს, რომ ხელნაწერის დედანში პოემის ტექსტი სწორედ იყვ თავდებოდა, როგორც 1712 წლის გამოცემა თავდება. მაგრამ გადამწერი (ან ის ვინც გადამწერს შეუქვეთა) ამ მოკლე ტექსტს არ დასჯერებია, და სხვა უფრო ვრცელი ხელნაწერიდან შემოოუტანია თავის მდიდროულს ხელნაწერში ყველა ის ჩამატება-დამატებანი, რომელიც პირველ დედანში არ ყოფილა და სიყალბის უტყუარს დაღს ატარებს.

ეს არის კ. კეკელიძის ერთ-ერთი ცენტრალური თეზისი, რომელსაც იგი უბრუნდება თავის წერილის თითქმის ყოველსავე გვერდზე. ეჭვი მას სჩანს შეურყვეველ არგუმენტად მიაჩნია, და თითქმის ყოველი სიტყვა მისი განხილვის დროს იგი უკანასკნელად ამას მიმართავს, როგორც საბოლოო სააპელაციო ინსტანციას. ასე, ამ დებულებით ფიქრობს იგი დაარღვიოს ის რეკონსტრუქცია ტექსტის ისტორიისა, რომელიც წარმოდგენილია ჩვენს გამოკვლევაში; ამავე არგუმენტით იყო ვითომ აბათილებს ჩვენს მოსაზრებებს ვეფხის-ტყაოსნის თარიღის შესახებ; ამის მიხედვითვე იგი სცდილობს შეარყიოს ზოგიერთი გამოსავალი ჩვენი დებულება ავტორის ვინაობის შესახებ.—

ამიტომ ვახტანგისეული დედნის კითხვაზე ჩვენ ცოტა მეტ ხანს შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, მით უფრო, რომ, ვფიქრობთ, საკითხი თავისთავადაც არაა მოკლებული ინტერესს.

საკითხავია, საიდან სჩანს რომ ვახტანგმა ვითომდა შეამოკლა ვეფხის-ტყაოსანის ტექსტი? კ. კეკელიძეს აქ მოჰყავს ერთად-ერთი ანგარიშ-გასაწევი მოსაზრება, თითქო ამას ადასტურებდეს თითონ ვახტანგ მეფის ცნობა. კ. კეკელიძე სწერს: „ვახტანგის ბოლოსიტყვაობა ექვს არ სტოვებს, რომ გამომცემელს ხელთა ჰქონია სწორედ ვრცელი ხელნაწერი, რომელშიაც ჩანართებიც იყო და გაგრძელებანიც. ის ამბობს: „რაც რუსთველისაა, იმას გარდა არა მითქვამს რაო“. ესე იგი, ჩემს ხელნაწერში ისეთიც რამ იყო, რაც რუსთველს არ ეკუთვნის, მაგრამ მე მხოლოდ ის „ეთქვი“, ანუ გამოვეცი, რაც რუსთველისააო“ (იხ. კეკელიძის წერილი, გვ. 184).

ყველა სპეციალისტი, რომელიც გადაიკითხავს კორნ. კეკელიძის ამ განცხადებას, არ შეიძლება უაღრეს განცვიფრებას არ მიეცეს. აქ არის დაშვებული აშკარა სიყალბე ვახტანგის სიტყვების განმარტებაში.

საქმე შემდეგშია. ვახტანგმა მის მიერ გამოცემულ ვეფხის-ტყაოსანს დაურთო ვრცელი კომენტარიები, სადაც იგი იძლევა ვეფხის-ტყაოსნის შინაარსის განმარტებას. ასეთი კომენტარიების დართვა იმით იყო გამოწვეული, რომ ვეფხის-ტყაოსანს სამღვდელოება და საერთოდ კლერიკალური წრეები მტრულად უყურებდნენ და სდევნიდნენ კიდევ. ვეფხის-ტყაოსნის ავტორი არ იყო ქრისტიანი, მან გარყვნა ქრისტიანობა, და თითონ შინაარსითაც ვეფხის-ტყაოსანი სამეძაო წიგნიაო. ამდროინდელი კლერიკალური წრეების აზრის გამომხატველია მაგ. ტიმოთე ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსი, რომელიც ეკამათება სწორედ ამ ვახტანგის კომენტარიებს, და ამბობს შოთაზე: „**ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ახწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა**“ (იხ. მიმოხილვა წმიდათა ადგილთა, გვ. 154).

ვახტანგი, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მტრული განწყობილება არსებობდა შოთას პოემის მიმართ, მაინც არ დაერიდა ვეფხის-ტყაოსნის დაბეჭდვას. როცა ვახტანგმა საქართველოში 1709 წელს პირველად მოაწყო სტამბა, რამდენიმე საეკლესიო წიგნის დაბეჭდვის შემდეგ, 1712 წელს, მან დაბეჭდა ვეფხის-ტყაოსანი. მაგრამ რასაკვირველია ასეთ პირობებში ამ დევნილი წიგნის გამოშვება შეუძლებელი იყო კომენტარიების გარეშე; და ვახტანგმა, როგორც აღვ-

ნიშნით, ვეფხის-ტყაოსანის დამატებად მოათავსა თავისი ვრცელი კომენტარები, სადაც იგი სცდილობს გააბათილოს შოთას საწინააღმდეგო ბრალდებანი.

ამ კომენტარიების წინ მოთავსებულია შესავალი, სადაც ვეფხის-ტყაოსანი გადმოგვცემს, თუ რამ აიძულა იგი ამ კომენტარიების შედგენა. აი ამ შესავალიდან ამოუგლეჯია კ. კეკელიძეს ზემოთ-მოყვანილი ფრაზა. მოგვყავს ამიტომ მთავარი ნაწილი ვახტანგის კომენტარიების შესავალისა, რომ მკითხველმა თითონ წარმოიდგინოს საქმის ვითარება.

ვახტანგის კომენტარიები ატარებს ასეთს სათაურს:

„თარგმანი პირველი წიგნისა ამისა ვეფხის-ტყაოსნისა“.

(მოვაგონებთ მკითხველს, რომ „თარგმანი“ „თარგმანება“ ძველქართულად ნიშნავს კომენტარს, რომლისაშვე ნაწარმოების შინაარსის განმარტებას).

კომენტარის შესავალში ვახტანგი შემდეგს სწერს:

მე ვსწერ ძმის-წული მეუფის გიორგისა და ძე ლევანისა, განმგებელი ქართლისა ვახტანგ—წიგნსა ამას ამისათვის: უცოდინარობითა და სოფლისა ნიჭითა შემსჭვალვითა სამუქაოდ სთარგმნიდნენ მის რიტორისა და ბრძენ-მეცნიერისა კეთილად ნამუშავეისა სამუშაოსა; მსგავსად თვალთა,—რომელთა ვერა სცნობენ მცნობელნი, და ჭაქსა—ქვად შატოსხად სახელსდებენ, და მარკალიტთა—მძივად შატოვ სცემენ...

აწ მე ამისათვის დაუშევრ. ეს სომ უოფელთა მეცნიერთაგან საცხაურ არს, რომ ესეუთარი მეცნიერი კაცი არცა დაშურებოდა წარსაწმუმედელად, და რადგან ქრისტიანი იყო, არცა აღუდგებოდა ესოდენსა ხანსა ამას წინ რომელი იტყუას „რომელმან მიხედოს დედაკაცს გულისთქმად“ შემდგომითურთ...

და აწ ასე მისმინეთ, ვეფხის-ტყაოსანი მე ასე მითარგმნია, და თუცა უწესოდ იუოს, და ანუ უკეთ სცნოთ ვინმე, თქვენცა სთარგმნეთ. მრავალთა, ერთთა და სამთა უთარგმნია, ერთი მე ასე მივხვდი და მითქვამს. რაც რუსთაველასა, იმას გარდა მე არა მითქვამს რა. და ვინც ვინდა იმან სთარგმნეთ, სხვის ნათქვამს როგორც სთარგმნით უველა ეკადრება, მაგრამ ამისი უკადრისი მკადრე თავს გამობს. აწ ასრე უთარგმნე ვითა მას მითქმელსა ეთქუა.

და თუცა ვინმე ამ თარგმნისას ამას ბრძანებს, არა ისრე არისო, მე უგბალობაში ჩამომირთმეუია; ამისთვის,—თავათ რუსთაველის დროს ქალი ბატონობდა, და ამგვარი მეძაობის სიტყუა იმის წინ სირცხვილიც იყო და უკადრისიცა და როგორ არ უწუენდა. და მეორედ, მრთი კათალიკოზი, რამდენი სამდღელო წმიინდა და დარსნი კაცნი იყვნენ, და ამთონი უდაბნო ამენებულა იყო, ისინი თუცა რუსთაველს ექმნა, როდის აქნევიანებდენ და ნათქვამს დაუხეველს როდის გაუშეებდენ“.

ყველა ვისაც კი აქვს ელემენტარული ცოდნა ძველი ქართულისა, მისთვის

ამ შესავალის შინაარსი სრულებით ნათელია და შეუძლებელია მისი რჩინაირი განმარტება. აზრი ამ შესავალისა ასეთია:

„ვეფხისტყაოსანს, ამ ბრძენი მეცნიერის კეთილად ნამუშავეს“ ვეფხისტყაოსნის მიზნით, ისე სთარგმნიდენ (ე. ი. ისეთს კომენტარის უკეთებდენ, ისეთს განმარტებას აძლევდენ მის შინაარსს), თითქო იგი სამეძაო წიგნიაო. ეს იმას ჰგავსო, რომ პატიოსანი თვალი (ე. ი. მარგალიტი) ვერ იცნას ადამიანმა, კიქას—პატიოსანი ქვა დაარქვას, ხოლო მარგალიტს—მძივი უწოდოსო.

აი მეც ამისთვის გავსწიე ეს წრომა („დავშვურ“) და კომენტარიები შევადგინეო. ვეფხისტყაოსანის ავტორი ქრისტიანი იყო (—პოლემიკური წინააღმდეგ, ვინც შოთას ქრისტიანობიდან განდგომილობას ამტკიცებდა), ასეთი მეცნიერი კაცი წასაწყმენდელ საქმეს როგორ იკისრებდაო.

მოისმინეთ ეხლა ჩემიც, ვეფხისტყაოსნისათვის მე ასეთი კომენტარი დამირთავს, და თუ ჩემი კომენტარი-განმარტება უწესოა, ანუ უკეთესად გაიგეთ ვეფხისტყაოსნის შინაარსი, თქვენც შეადგინეთ თქვენი კომენტარი; მრავალთა, ორთა და სამთა შეუდგენიანთ ვეფხისტყაოსნის კომენტარი-განმარტება, ხოლო მე ვეფხისტყაოსნის შინაარსი ამ-როგად გავიგე და ასე გადმოვეცი ჩემს კომენტარიებში მისი აზრი („მე ასე მივხვდი და მითქვამსო“). ჩემი კომენტარიები სწორია, რადგან ვეფხისტყაოსნის პირდაპირ შინაარსს არ დაეშორებოვარ, მე მხოლოდ იმას ვამბობ განმარტებაში—რაც რუსთველის სიტყვებშია მოცემული („რაც რუსთველისაა, იმას გარდა მე არა მითქვამს რაო“); და ვინც გინდა იყვეთ ვეფხისტყაოსნის კომენტატორი, სხვა ვინმე მწერლის სიტყვებში შეგიძლიათ როგორც გინდა შინაარსი დაინახოთ, ხოლო ვინც შოთას სიტყვებში უკადრის შინაარსს ხედავს, იგი თავის თავს ჰგმობსო. მე შოთას სიტყვების პირდაპირ აზრს ვემყარები, ჩემს განმარტებაში იგივეა ნათქვამი—რასაც თითონ ავტორი ამბობსო („აწ ასრე ვთარგმნე, ვითა მას მთქმელსა უთქვაო“).

ხოლო ვინც ამ კომენტარიების შესახებ იტყვის, რომ მე ვსცდები ვეფხისტყაოსნის შინაარსის განმარტებაში, უმყვრებაში ჩამომირთმევია; ჯერ ერთი, რუსთველის დროს ქალი მეღობდა, სამეძაო წიგნის დაწერა იმის წინ სირცხვილი იყო და როგორ არ უწყუნდა; და მეორედ რუსთველის დროს ორი კათოლიკოზი იყო, რამდენი წმინდა და ღირსნი კაცი იყვნენ, ამოდენა მონასტრები (უდაბნოები) იყო გაშენებული, და ისინი, თუნდაც რუსთველს უღირსი წიგნი დაეწერა, არ დაანებებდენ, და მის ნათქვამს დაუხვეველს როდი გაუწევდენო“.

აი ასეთია ერთად-ერთი აზრი ამ შესავლისა, რომელიც წინ უძღვის ვახტანგის კომენტარიებს. (თითონ კომენტარიებში, რომელიც მოთავსებულია ამ შესავალის შემდეგ, და 70 გვერდამდე შეიცავს, ვახტანგი, თანახმად ამ შესავალის დაპირებისა, იძლევა ვეფხისტყაოსანის შინაარსის განმარტებას, და აქ საღმრთო აზრებსა და ადამიანის სულის ამამალლებელ შინაარსს ხედავს).

როგორც ვხედავთ აქ მხოლოდ და მხოლოდ ვეფხისტყაოსნის შინაარსის განმარტებაზეა საუბარი, და აქ არაფერია ნათქვამი ტექსტის შეცვლის შესახებ. პირიქით ვახტანგი იცავს ტექსტის პიეტეტს. იგი ეკამათება ვეფხისტყაოსნის მოწინააღმდეგებს და ამბობს, რომ თქვენი ბრალდება, თითქო შოთა არ იყო ქრისტიანი და თითქო მისი თხზულება ადამიანის სულის წამწყმედელია, — არ შეეფერება სინამდვილეს, რადგან თითონ შოთას სიტყვებიდან ეს არა სჩანს, თქვენ მარგალიტი მძივად მოგეჩვენათ, თქვენ ისეთ რამეს ხედავთ მის სიტყვებში რაც შოთას არ უთქვამსო; განმარტების დროს ტექსტის პირდაპირ მნიშვნელობას ნუ დაშორდებითო; ჩემი განმარტება სწორია, იგი შოთას ნათქვამის პირდაპირ მნიშვნელობას ემყარება („რაც რუსთველისაა, იმას გარდა მე არა მითქვამს რაო“); ვეფხისტყაოსანი მისი პირდაპირი შინაარსით— ადამიანის სულის ამამალლებელია, ხოლო ვინც შოთას სიტყვების

ნამდვილს აზრს ამახინჯებს, და აქ უკადრისს შინაარსს ხედავს იგი თავის-თავს ჰგმობსო.

გარდა იმისა, რომ ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის შეცვლაში მისი მხარეა ნათქვამი, თითონ კამათის ხასიათიდან სჩანს, რომ ტექსტის შეცვლის შესახებ ება აქ თავისთავად გამორიცხული იყო. მართლაც, თუ ვახტანგს შეეცვლა ვეფხის-ტყაოსნის ტექსტი, მაშინ ხომ მის მოწინააღმდეგეთ საბუთი ეძლეოდათ — გაებათილებით მისი კომენტარიები, და ეთქვათ, რომ შენი განმარტება ვეფხის-ტყაოსნისა არაა სწორი, რადგან შენ პოემის თითონ დედანი თავის ნებაზე გადააკეთაო.

რომ აქ მხოლოდ და მხოლოდ შინაარსის გაგების შესახებ იყო კამათი, და არა ტექსტის შესახებ, ეს სჩანს არა მარტო თვით ამ ვახტანგის კომენტარიებიდან, არამედ მის მოწინააღმდეგეთა საპოლემიკო სიტყვებიდან. ასე, ტიმოთე ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსი, როგორც აღნიშნული გვქონდა, შოთას შესახებ სწერს: „ესე იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბოროტი ბილწება და განწყენა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩუენთა საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“ (იხ. მოხილვა წმ. ადგილთა, გვ. 154). უკანასკნელი ფრაზა მიმართულია სწორედ ვახტანგის კომენტარიების („თარგმანის“) წინააღმდეგ. ვახტანგმა საღმრთო ხასიათის განმარტება მისცა ქრისტიანობიდან კანდგომილ შოთას ბოროტ ლექსებსო.

ჩვენ ამაზე შეგვიძლია დავასრულოთ ვახტანგის კომენტარიების შესახებ საუბარი.

როგორც ვხედავთ კორნ. კეკელიძის განცხადება, თითქო ეს კომენტარიები „ექვს არ სტოვებს“ რომ ვახტანგმა შესცვალაო ვეფხის-ტყაოსნის ტექსტი, — უცნაურობას წარმოადგენს. ვახტანგის კომენტარიების ნამდვილი აზრი აქ იმდენად ნათელია, რომ კორნ. კეკელიძის განმარტებაში ორი რამ შეგვიძლია დავინახოთ: ან უმეცრება, ან სიყალბე.

* * *

გადავიდეთ ამის შემდეგ საწინააღმდეგო საბუთებზე, რომლის მიხედვითაც მტკიცდება, რომ ვახტანგს არავითარი ცვლილება არ შეუტანია ვეფხის-ტყაოსანში, და მას უცვლელად დაუბეჭდავს მის დროს არსებული ძველი ხელნაწერი.

ამის ცხად-საყოფად საკმაოა აქ აღვნიშნოთ შემდეგი ფაქტები:

1. ვახტანგის ტექსტის მსგავსი რედაქცია შენახულა, გარდა ვახტანგის გამოცემისა, ერთ ხელნაწერში, რომელიც ჩვენ აღმოვაჩინეთ წერა-კითხვის საზ. მუზეუმში (A¹ = №1727). მართალია ეს ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგის გამოცემის შემდეგ, მაგრამ როგორც ამას გვიჩვენებს ტექსტუალური ვარიანტები, იგი გადმოღებულია არა პირდაპირ ვახტანგის დედნიდან, არამედ სხვა ძველი ამავე ტიპის ხელნაწერიდან.

ეს ხელნაწერი უდგება ვახტანგისეულ დედანს — ძირეულ ნაწილში ვიდრე

უკანასკნელ თავამდე (1568 სტროფამდე¹⁾), რომლის შემდეგ იწყება / შემდეგი დროის დანართები.

რომ ეს ხელნაწერი (ძირეული ნაწილი, ვიდრე 1568, ^{ქართულიდან} გადმოღებულია არა პირდაპირ ვახტანგის დედნიდან, არამედ სხვა ძველი ამავე ტიპის ხელნაწერიდან, ამას ადასტურებს შემდეგი განსხვავებანი:

ა) სტროფების რიცხვი; ხელნაწერს აკლია ორი სტროფი, რომელიც არის ვახტანგისეულ დედანში, და ამავე დროს აქ არის ზედმეტი სამი სტროფი;

ბ) ხელნაწერის ტექსტი ვახტანგის გამოცემასთან შედარებით შეიცავს ზოგიერთ სტილისტიურ სხვაობას ცალკე სიტყვების წაკითხვაში. ეს სხვაობა ისეთი ხასიათისაა, რაც უეჭველს ხდის, რომ დედანი, საიდანაც გადმოუწერია ტექსტი ჩვენ გადამწერს, მცირეოდენად განსხვავდებოდა ვახტანგის დედნიდან. რამდენიმე სხვაობა ცალკე სიტყვების წაკითხვაში უფრო არსებითი ხასიათისაა და მას აქვს პარალელები სხვა ტექსტებში; ზოგიც სრულებით უმნიშვნელოა, და მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ გადამწერს უპრეტენზიოდ და სწორად გადმოუღია ამ ძველი დედნის პირი.

გ) რომ გადამწერის დედანი არ იყო ვახტანგის გამოცემა, არამედ რომელიღაც ძველი ხელნაწერი, ამას სხვათა შორის ადასტურებს ის ნიშნეულობაც, რომ გადამწერს ზოგიერთი სიტყვები ვერ ამოუკითხავს და გაურჩეველი სიტყვების მაგიერ ცარიელი ადგილები დაუტოვებია. (ეს ადგილები შემდეგ არის შეესებულნი, სხვა დროს, სხვა ხელით და სხვა მელნით). ცხადია აქედან, რომ ის დედანი, რომლიდანაც გადმოუწერია ტექსტი ჩვენს გადამწერს, სიძველის გამო დაზიანებული ყოფილა და ზოგან ცალკე სიტყვები აღარ გაირჩეოდა.

ეს მაშასადამე ერთი მტკიცე საბუთი, რომელსაც იძლევა A¹- ხელნაწერის ანალიზი. ამის შესახებ საუბარი გვაქვს რუსთველიანაში (I, გვ. 13). მაგრამ კ. კეკელიძემ ასეთ უაღრეს მნიშვნელობის საბუთს მორცხვად გვერდი აუარა.

გადავიდეთ ამის შემდეგ სხვა ხელნაწერებზე.

2. ვახტანგის გამოცემის დაბეჭდვის ბევრად უფრო წინ ასეთივე ხელნაწერი ხელთ ჰქონია ორს მე-17 საუკუნის მწერალს, რომელთაც შეუსრულებიათ ხელნაწერები B და C (წ.-კ. სახ. მუზეუმისა № 5006 და 4988). კ. კეკელიძემ ჩემი აზრი ამ ხელნაწერთა შესახებ სრულებით გადაამახინჯა. კ. კეკელიძე სწერს: „რაც შეეხება მეჩვიდმეტე საუკუნის დასახელებულ ხელნაწერებს, თუ რამდენად უცვლელადაა მათში განმეორებული ვახტანგის გამოცემა, ჩანს შემდეგიდან: ორსავე ხელნაწერში ჩვენ ვპოულობთ პოემის ყველა გაგრძელებას, რაც ვახტანგის გამოცემამ არ იცის, ამას გარდა შიგ ტექსტში, ვახტანგის გამოცემასთან შედარებით № 4988-ს აკლია 9 სტროფი, გადასხმულია 2 სტროფი, და ზედმეტად აქვს 133 სტროფი, ხოლო ხელნაწერს № 5006 აკლია სამი სტროფი ვახტანგისა, ზედმეტად კი აქვს 90 სტროფი“. (—იხ. კ. კეკელიძის წერილი, გვ. 183-184). ამასთან კ. კეკელიძე გვარიგებს ერთ ალაგას, რომ „საჭიროა ხელნაწერებში ჩახედვაო“.

1) 1568 სტროფი ვახტანგის გამოცემით (—1572 სტროფი დ. ჩუბინაშვილის გამოცემით. 1860 წლისა).

ეს შენიშვნა ხელნაწერებში ჩახედვის შესახებ ცოტა არ იყო ~~ზღერხულია~~. კორნ. კეკელიძე და მე საისტორიო საზოგადოების ძველი წევრები ვართ, და მან კარგად იცის, რომ მე ორწლოვანი შრომა მოვანდომე ~~წიგნების წავლა~~ ვეფხის-ტყაოსნის ყველა ხელნაწერები, არა მარტო სტროფების ზედმეტობა და ნაკლებობა, არამედ ყველა ცალკე სიტყვების წაკითხვის განსხვავება, რომელსაც კი შეიცავს ესა თუ ის ხელნაწერი; და ეს ბევრად ადრე ვიდრე სხვები ვეფხის-ტყაოსნის სტილისტიურ ვარიანტების შესწავლას შეუდგებოდნენ. რომ მე ხელნაწერ მასალებს ახლო ვიცნობ, ამას ვერც კ. კეკელიძე უარყოფს, და სხვა ადგილას თვითონ კ. კეკელიძე იძულებულია აღიაროს: „პ. ინგოროყვა ჩვენი ძველი მწერლობის ფაქტებსა და მოვლენებზე ზეპირად კი არ მსჯელობს ხოლმე, როგორც ეს ზოგიერთებს სჩვევიათ, არამედ პირველ წყაროების დახმარებით“ (იხ. გვ. 181).

მაშ როგორ მოხდა რომ მე B და C ხელნაწერებში უამრავი დამატებანი და გაგრძელებანი ვერ შევამჩნიე და მკითხველი შეცდომაში შევიყვანე, თითქო ამ ხელნაწერებში „**უცვლელადაა** განმეორებული ვახტანგის გამოცემა“.

მაგრამ შეცდომაში მკითხველი მე კი არ შევიყვანე, არამედ კ. კეკელიძემ. მე სრულებით ის არ მითქვამს, რაც კორნელი კეკელიძემ მომაწერა. მომყავს სათანადო ადგილი რუსთველიანადან; აქ მე ვამბობს: „ვახტანგის გამოცემის დაბეჭდვის ბევრად უფრო წინ, ასეთივე რედაქცია ხელში ჰქონიათ ორს მე XVII საუკუნის მწერალს; რომელთაც შეუსრულებიათ ხელნაწერები B და C (№ 5006 და 4988). საკმაოა ამ ორი ხელნაწერის შედარება სხვა ვარიანტებთან, რათა დავრწმუნდეთ შემდეგში: გადამწერნი ხელმძღვანელობენ **ორის დედნით**: ერთია ვახტანგის დედნის მსგავსი, ხოლო მეორე ვრცელი ხელნაწერი მე-17 საუკუნის ტიპისა. ძირეული ტექსტი პოემისა გადმოწერილია ვახტანგისეულის მსგავსი დედნიდან, ხოლო პოემის დამატებანი და გაგრძელებანი ამოღებულია მეორე ვრცელი ხელნაწერიდან“ (იხ. რუსთველიანა, გვ. 13).

ორი დედნით სარგებლობა ხელნაწერთა გადაწერის დროს, ეს როგორც ცნობილია ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ხოლო რით მტკიცდება, რომ ერთი დედანი ამ ხელნაწერთა უდგებოდა ვახტანგისეულ ტექსტს?

ამას ადასტურებს ცალკე სტრიქონების სტილისტიური ანალიზი. საქმე ის არის, რომ ვახტანგისეული დედანი განსხვავდება ყველა დანარჩენ უამრავ ხელნაწერთაგან არა მარტო სტროფების რიცხვით, არამედ, რაც არა ნაკლებნიშანდობლივია, **ცალკე სტრიქონების და სიტყვების წაკითხვით**. და როდესაც ჩვენ ვადარებთ B და C ხელნაწერებს ერთის მხრით ვახტანგის დედანთან, ხოლო მეორე მხრით დანარჩენ ხელნაწერებთან, ჩვენ ვხედავთ, რომ B და C ხელნაწერების ძირეულ ნაწილში ცალკე დამახასიათებელი სტრიქონების წაკითხვა, ცალკე სიტყვები, და ზოგჯერ ორთოგრაფიაც კი, უდგება სწორედ ვახტანგისეულ დედანს, და არა სხვა ხელნაწერებს. ასეთი შეხვედრა სტილისტიური ვარიანტებისა გვიჩვენებს, რომ პირველი, ძირეული დედანი, რომლითაც უსარგებლნიათ ამ ხელნაწერის გადამწერთ, ყოფილა ვახტანგისეული რედაქციის ტიპისა.

ეს მაშასადამე მეორე საბუთი.

3. ზემოდ განხილული ორი ხელნაწერიდან, რომ კერძოდ B-ხელნაწერის გადამწერი ორის დედნით ხელმძღვანელობდა, და რომ ვახტანგისეული დედნის მსგავს ტექსტს შეიცავდა, ამას, გარდა სტილისტური ანალიზისა, ადასტურებს აგრეთვე შემდეგი ერთი დეტალი B-ხელნაწერისა*). როგორც ცნობილია, ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერებში 1567 სტროფის შემდეგ**) ჩამატებულია ერთი დიდი დამატება, „ინდო-ხატაელთა ამბავი“, რომელიც 64 ხანას შეიცავს. ვახტანგისეულ დედანს განსაკუთრებით ის ახასიათებს, რომ მასში არ არის ეს დიდი დამატება.— და როგორც ირკვევა, ეს დამატება არ ყოფილა არც B-ხელნაწერის პირველს ძველს დედანში, საიდანაც მას გადმოუწერია ძირეული ტექსტი. მართლაც გადამწერს, 1567 სტროფის შემდეგ ჯერ დაუწერია პოემის ტექსტის ჩაწერა ისე, როგორც ეს ვახტანგის რედაქციაშია (—ე. ი. ინდო-ხატაელთა ამბავის გამოშვებით), და დაუწერია ეს ორი სტრიქონი:

„[ტარიელს] და ცოლსა მისსა მიხვდა მათი საწადელი,
შვიდი ტახტი სა...“

მაგრამ მერმე გადამწერს შეუმჩნევია, რომ მეორე დედანში აქ არის ზედმეტი ტექსტი, შეუწყვეტია სიტყვა შუაზე, და ამის შემდეგ დაუწერია ჩაწერა ამ დიდი დამატებისა „ინდო-ხატაელთა ამბავისა“.— ეს მაშასადამე შესამე საბუთი.—

4. რომ ვახტანგს არავითარი ცვლილება არ შეუტანია მის მიერ გამოცემულს უძველეს ხელნაწერში, ეს სხვათა შორის განსაკუთრებით ხაზგასმით მოსჩანს ვახტანგის კომენტარიების ცალკე ადგილებიდან. ამ მეტად საგულისხმო ფაქტსაც ჩვენ პირველად მივაქციეთ ყურადღება რუსთველიანაში, და კ. კეკელიძე ამაოდ ჰფიქრობს ამ საბუთის შემოვლას. საქმე შემდეგშია. კომენტარიებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ვახტანგისათვის მიუღებელია პოემის ზოგ ადგილას დაცული ცნობები. ასეთია მაგალითად მე-16 ხანა ვეფხის-ტყაოსნისა, სადაც ნათქვამია, რომ ვეფხის-ტყაოსნის ამბავი არაა ორიგინალური:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“...

ვახტანგისათვის ეს სტროფი მიუღებელი იყო ორნაირად: ჯერ ერთი — მას სურდა დაემტკიცებია პოემის ორიგინალობა; და მეორე — ვახტანგის კომენტარიების საერთო ტენდენციისათვის არ იყო მაინცა და მაინც ხელსაყრელი ეს სტროფი, რადგან ამით ცხადდებოდა პოემის კავშირი სპარსულ მსოულიოსთან, მაშინ როდესაც იგი მიზნად ისახავდა პოემის რეაბილიტაციას სარწმუნოების თვალსაზრისით — და მას საღმრთო შინაარს აძლევდა. ამიტომაც თუ ვახტანგს მართლაც შეემოკლებინა პოემის ტექსტი და რამდენიმე ასეული ხანა გამოეგდო პოემიდან როგორც ყალბი, მით უფრო ამ ერთ ხანასაც ყალბად გამოაცხადებდა და გამოორიცხადებდა:

მაგრამ არაფერს ამის მსგავსს ჩვენ არ ვხედავთ. ვახტანგი, მიუხედავად

*) ამ დეტალს 1913 წელს ყურადღება მიაქცია დ. კარიჭაშვილმა (იხ. განათლება, 1913, № 4), და აგრეთვე ჩვენც (იხ. ზვეთ. გვ. 197, შენიშვნა).

**) 1567 სტროფი ვახტანგის გამოცემით (— იგივეა რაც 1571 დ. ჩუბინაშვილის გამოცემით, და 1554 სტროფი წ. კ. სახ. გამოცემით 1920 წლისა).

მთელი უხერხულობისა, ამ ხანას სტოვებს ტექსტში, და მხოლოდ კომენტარი-ებში სცდილობს თავისებურად განმარტოს ეს ადგილი. ტექსტის საწინააღმდეგოდ—ვახტანგი გვარწმუნებს, რომ შოთამ ვეფხის-ტყაოსნის „სამაჟი“-სკვითონ გააკეთა“, იგი ორიგინალურია, აქ მხოლოდ საერთო ლექსთ-წყობის მიბაძვა არისო. განმარტება როგორც ვხედავთ ნაძალადევა, რადგან ტექსტში სწორედ „ამბავზეა“ საუბარი და არა ლექსთ-წყობის მიბაძვაზე.

5. ვახტანგის კომენტარიებიდან ირკვევა მეტიც. ვახტანგს არ შეუცვლია არათუ სტროფების რიცხვი, არამედ ცალკე სიტყვების შეცდომებიც კი, თუმცა კარგად სცოდნია, რომ ესა თუ ის სიტყვა დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი მის დედანში. ასე, მაგალითად ერთი დამახინჯებული ადგილი. ვახტანგს, თითონ პოემის გამოცემაში უცვლელად დაუტოვებია დამახინჯებული წაკითხვა „საროს ტანისა“ (სტროფი 1318), თუმცა კარგად სცოდნია, რომ აქ უნდა იყოს არა ორი სიტყვა „საროს ტანი“, არამედ ერთი სიტყვა „საროტანი“, რაც მზის ეტლს (კირჩხიბის ზოდიაკოს) ნიშნავს; თითონ პოემის ტექსტში იგი ბეჭდავს ხელნაწერის თანახმად „საროს ტანი“, ხოლო კომენტარიებში იგი ასე განმარტავს ამ ადგილს: „საროტანი კირჩხიბსა ჰქვია“ (იხ. გვ. 349¹).

6. დასასრულ კიდევ ერთი შენიშვნა. როდესაც რაიმეს ამტკიცებს ადამიანი, უნდა არსებობდეს ამისთვის საბუთი. ხოლო არსებობს განა თუნდაც ერთი საბუთი, რომ ვახტანგმა შეამოკლა და შესცვალა ვეფხის-ტყაოსნის ტექსტი? არა, არ არსებობს²). ეს არა სჩანს არც თვით ვახტანგის კომენტარიებიდან, და ამის შესახებ არას ამბობენ არც სხვა თანამედროვე მწერლები, მისი მომხრე ან მოწინააღმდეგე²).

¹) კ. კველიძე სცდილობს თავი დააღწიოს ამ საბუთს, მაგრამ მეტად უცნაურის საშუალებით, ვახტანგის ტექსტის ციტატების დამახინჯებულად მოყვანით! კ. კველიძე სწერს: „ვახტანგი აქ ორ სიტყვას კი არ კითხულობდა და გულიანობდა, არამედ ერთს „საროს-ტანისა“, და მეორედ მას კირჩხიბის შესატყვისად მიიჩნია „საროს ტანი“, და არა „საროტანი“. (იხ. კ. კველიძის წერილი, გვ. 184); და იქვე მოჰყავს ციტატა ვახტანგის კომენტარიების 349 გვერდიდან, სადაც ვითომ სწერია: „საროს ტანი კირჩხიბსა ჰქვია“.

მკითხველი, რომელსაც საშუალება აქვს შეადაროს მუხეუმში თვით ვახტანგისეული დედანი, დარწმუნდება რომ აქ კორნ. კველიძე ვახტანგის ტექსტი არ მოჰყავს სწორად. ვახტანგის კომენტარიებში, 349 გვერდზე, რომელსაც უჩვენებს კ. კველიძე, სწერია „საროტანი“, როგორც ეს ჩვენა გვაქვს აღნიშნული რუსთველიანაში (იხ. გვ. 14) და არა „საროს ტანი“, როგორც ამას კ. კველიძე ასწორებს. ეს ერთი ამას გარდა: თითონ პოემის ტექსტში ეს ადგილი ვახტანგს დაუტოვებია როგორც ორი სიტყვა „საროს ტანი“ (იხ. ვახტანგის გამოცემა 1318 ხანა).

აქ საკითხავი რჩება მხოლოდ, რაში დასტორდა კ. კველიძეს ვახტანგის გამოცემის ციტატების ასე დამახინჯება?!

²) თავისი საბუთიანობის უმწუბრეს კ. კველიძე სჩანს თითონვე გრძნობს, და ამიტომ იგი ბოლოს გადადის ზეპირ განცხადებაზე: „ვახტანგისეულ დედანში არის ისეთი კონტრეტები, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ვახტანგს „ამოუგლეჯია“ ვეფხის-ტყაოსნიდან ცალკე სტროფები, რაც სჩანს იქიდან, რომ ისინი მოთხრობის მიმდინარეობისათვის საჭირო არიანო. ჯერ ერთი უცნაურია, რისთვის უნდა „ამოგლეჯია“ ვახტანგს ის სტროფები, რაც აზრის მიმდინარეობისათვის საჭირო იყო? (—ეს ვთქვით ზეგვეძლო დაგვეშვა მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ აქ

ჩვენ ამით შეგვიძლია დავასრულოთ საუბარი ვახტანგისეული დედნის შესახებ. რომ ვახტანგს უცვლელად დაუბეჭდავს ძველი, მის დროს არსებული ხელნაწერი, ამას, გარდა ზემოთ-აღნიშნული ფაქტებისა, ამტკიცებს აგრეთვე საზოგადო ხასიათი ვახტანგისეული დედნისა, რომელიც თავიდან ჩამოყალიბებული ისტორიულად ჩამოყალიბებული ტექსტის სახეს. მაგრამ ვფიქრობთ ჩვენი დებულების ცხად-საყოფად საკმაოა ისიც, რაც აქ იყო აღნიშნული. როგორც ვხედავთ, კ. კეკელიძის მოსაზრებას ვახტანგისეული დედნის შესახებ არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან, და მისი ცდა, რომ ამ მხრით შეარყიოს ჩვენი თეორია, ამაო შრომაა.

2. ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის გენეალოგია.

ვახტანგისეული ტექსტის განხილვის შემდეგ ჩვენი კრიტიკოსი ეხება ვეფხის-ტყაოსნის სხვა-და-სხვა ეპოქის ფენებს და მათ თარიღებს.

მოვაგონებთ ჯერ მკითხველს, თუ რაში მდგომარეობს ხელნაწერების განსხვავება, როგორია ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის გენეალოგია, როგორის თანდათანობით განვითარდა და შეივსო პოემის ტექსტი.

ქრისტიანობის საწინააღმდეგო აზრები ყოფილიყო გამოთქმული; მაგრამ ის სტროფები, რომელსაც კ. კეკელიძე უჩვენებს, სრულებით არ შეიცავს საერთოდ რაიმე სარწმუნოებრივ აზრს).

მაგრამ რასაკვირველია ვახტანგს-ვეფხის-ტყაოსნის ტექსტიდან არაფერი „ამოუგლეჯია“ და მას უცვლელად დაუბეჭდავს მის ხელში ქონებული ძველი ხელნაწერი; არც ერთი კონტექსტი, რომელსაც უჩვენებს კ. კეკელიძე, ამის საწინააღმდეგოდ არ ღაპარაკობს:

1) სტროფი: „გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა“ — სრულებით არ შეიცავს იმ შინაარსს, რომელსაც მას კ. კეკელიძე აძლევს; (იხ. ამის შესახებ განმარტება რუსთველიანაში, გვ. 95—96).

2) სტროფები 1568—1572 (ვახტანგის გამოცემით; ვისაც ვახტანგის გამოცემისადმი ხელი არ მიუწვდებოდა, ამ სტროფებს იპოვის წ. კ. საზოგადოების გამოცემაში 1920 წლისა, სტროფები 1555—1559). ამ სტროფებში ფრაზა — „ამბობდიან ჭირთა მათთა“ ეხება არა ინდოელებს, არამედ ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს. ისინი მოუთხოვრებდნენ თავის თავგადასავალს, (ე. ი. თუ როგორ გამოიხსნეს ნესტან-დარეჯანი ტყვეობიდან). ამის გამო ინდონი ავთანდილსა და ფრიდონს „შწედ ხადოდიან“, ე. ი. შემწეს, დამხმარე-მხსნულს უწოდებდნენ. ასეთია პირდაპირი აზრი ამ ადგილისა, და კ. კეკელიძე ამაოდ სცდილობს აქ ნამდვილი შინაარსის დაბნელებას.

3) სტროფები 1577—1578 (ვახტანგის გამოცემით; იხ. იგივე სტროფები წ. კ. საზოგად. გამ. 1920 წლისა, 1564—1565). ტარიელ საჩუქრებს ატანს არა ფრიდონს, არამედ ავთანდილს, რაც სწავს 1578 სტროფის მეოთხე სტრიქონიდან. აქ არის ჩვეულებრივი ლაკონიზმი, რომლის ანალოგია მრავლად მოიპოვება ვეფხის-ტყაოსნის სხვა-და-სხვა ადგილას.

4) რომ „ინდო-მატაელთა ამბავი“ (—ე. ი. მოთხოვნა ხატაელთა მიერ ინდოეთში ხელმეორედ შემოსევისა და მათი განდევნა ტარიელის მიერ მეგობრების დახმარებით), — რომ ეს ამბავი არ იყო არც ვახტანგის ხელნაწერში და არც საერთოდ უძველეს დედნებში, ამას სრულის უეჭველობით ადასტურებს ის გარემოება, რომ ეს ტექსტი არ ყოფილა აგრეთვე იმ ძველ დედანში, რომლითაც სარგებლობდა B-ხელნაწერის გადამწერი, ე. ი. ვახტანგზე უფრო ადრე (იხ. ამის შესახებ ზეით, გვ. 204 და 197, შენიშვნა).

ამ რიგად არც ერთი ეს ზეპირი განცხადება კ. კეკელიძისა, როგორც ვხედავთ, არ შეეფერება სინამდვილეს.

უნდა აღინიშნოს ანასთანავე, რომ კ. კეკელიძის ეს შენიშვნები ახალს არაფერს შეიცავს, იგი აქ უცვლელად იმეორებს ს. კაკაბაძის ძველს შეხედულებებს (იხ. ს. კაკაბაძე, ვეფხის-ტყაოსნის გამოცემა, 1914, გვ. 21—22). კ. კეკელიძე მორცხვად შენიშნავს, „შეადარეო“. მაგრამ აქ „შეადარეო“ კი არ არის, არამედ აზრების პირდაპირი განმეორება.

ხელნაწერების შედარებითი ანალიზიდან ირკვევა რომ პოემის არსებულ დედნებში წარმოდგენილია სამი თანდათანო პლასტი პოემის ტექსტისა, რომლებიც თანდათანობით წარმოიშვა: სახელდობ: არსებულ ტექსტისა, რომლებიც

1. ჯერ ვეფხის-ტყაოსნის ტექსტმა საუკუნეთა განმავლობაში მისი სახე, რომელიც მას დღეს აქვს ვახტანგის დედანში. ეს არის პირველი პლასტი. (პირველი პლასტი ამ შემთხვევაში სრულებით არ ნიშნავს, რომ ვახტანგის დედანში არ იყოს ჩანართი ადგილები. პირიქით, ვიდრე ვახტანგის დედანი გადაიწერებოდა, შოთას პოემაში უფრო ძველ დროს უკვე შეტანილი ყოფილა მეტად მნიშვნელოვანი დამატებანი. მაგრამ იმ ხელნაწერთა შორის, რომლებიც ჩვენამდე მოღწეულა, იგი უძველესია. ყველა დანარჩენი ხელნაწერები წარმოადგენენ ვახტანგის დედნის უბრალო ვაგრძელებას და შეესებას).

2. ამის შემდეგ პოემაში თანდათანობით შეიტანეს. სამი დამატება, რომლებიც შეიცავს სამს სხვა-და-სხვა ციკლს: 1) ინდო-ხატაელთა ამბავი, 2) ხვარაზმელთა ამბავი, 3) პოემის გმირთა შემდეგი თავადასავალი, მათი მოხუცება და გარდაცვალება. ეს არის მეორე პლასტი.

3. კიდევ უფრო გვიან პოემას თანდათან ჩაუმატეს თორმეტი დამატება, რომლებიც შეიცავენ სხვა-და-სხვა ეპიზოდებს ან პოემის ცალკე დეტალების განვითარებას. ეს არის მესამე პლასტი.

ასეთია პოემის ტექსტის თანდათანო განვითარება, რაც უეჭველობით ირკვევა თითონ ხელნაწერების გრადაციიდან (იხ. უფრო დაწვრილებით რუსთველიანა, გვ. 16—21).

კორნ. კეკელიძეც ვერ უარყოფს ამ გენეალოგიურ შტოს. მან სცადა მხოლოდ ვახტანგისეული დედნის გამორიცხვა ამ გენეალოგიურ შტოდან, იმ მოსაზრებით, რომ აქ ჩვენ გვაქვს ვითომცდა ვახტანგის მიერ ხელოვნურად შეცვლილი ტექსტი. მაგრამ სრული უსაფუძვლობა ამ მოსაზრებისა ჩვენ უკვე ვნახეთ. ხოლო რაც შეეხება პლასტებისა და ცალკე დამატებათა ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას—ამის უარყოფა კორნ. კეკელიძეს არ შეუძლია და ამაში არც გვეკამათება. კამათია მხოლოდ თარიღების შესახებ.

მკითხველმა შესაძლოა იფიქროს, რომ არა აქვს დიდი მნიშვნელობა, თუ რა დროს მივაკუთვნებთ ვეფხის-ტყაოსნის ნაგვიანევ დამატებებს, მეორე და მესამე პლასტს, რომ აქ მთავარია მხოლოდ პირველი პლასტის ანალიზი.

მაგრამ მეორე და მესამე პლასტების ქრონოლოგია იმ მხრით არის ჩვენთვის საგულისხმო, რომ მათი მიხედვით ირკვევა terminus post quem non, დროს რომლის უგვიანეს არ წარმოშობილა პოემის პირველი პლასტი. იქედან კი გამომდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი დებულებანი, რომელიც გვაძლევს საშუალებას მკვიდრ ნიადაგზე დავაყენოთ როგორც პოემის დათარიღება, ისე ავტორის ვინაობის კითხვა.

კ. კეკელიძე კერძოდ ამ მხრითაც ფიქრობს ჩვენი თეორიის აღებას და ამ ნაგვიანევ დამატებათა თარიღებს ექვს ქვეშ აყენებს.—ამიტომაც ჩვენ მოგვიხდება შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება ვეფხის-ტყაოსნის ამ ნაგვიანევ დამატებებზე. დავიწყებთ უახლესი დამატებებიდან, ე. ი. მესამე პლასტიდან.

3. მესამე პლასტი



მესამე პლასტი, როგორც აღვნიშნეთ, შეიცავს 12 სხვა-და-სხვა დამატებას, რომლებიც თანდათანობით ჩაუმატებიან ვეფხის-ტყაოსანში.

ჩვენ გვაქვს ორი უძველესი ფაქტი, რომელიც ადასტურებს, რომ ყველა ამ მესამე პლასტის დამატებათა შეტანა ვეფხის-ტყაოსანში დამთავრებული არა უგვიანეს მე-16 საუკუნის დასასრულისა:

1. ეს დამატებანი, და მათ შორის ყველაზე ნაგვიანევი მეთორმეტე დამატება (რომელიც ეხება სარიდანს), უკვე სცნობია ერთ ძველ ქართველ პოეტს, ქაიხოსროს, „ომინიანის“ ავტორს, რომელიც სცხოვრობდა მე-16-17 საუკუნეთა საზღვარზე, 1600 წლის ახლო.

2. მეორე ნაგვიანევი ტექსტი მესამე პლასტისა, სახელდობ მეთერთმეტე დამატება უკვე შეტანილია პოემის ერთ ძველ ხელნაწერში მე-16 საუკუნის დასასრულისა (ხელნაწერი II).

მაშასადამე აქედან ცხადი ხდება, რომ მე-16 საუკუნის დასასრულისათვის ყველა დამატებანი მესამე პლასტისა უკვე შეტანილი ყოფილა ვეფხის-ტყაოსანში.

ამის შემდეგ გამოსაოკვევი რჩება, თუ რა დროიდან დაიწყო მესამე პლასტის დამატებათა ვეფხის-ტყაოსანში შეტანა. ტექსტუალური ანალიზიდან ირკვევა, რომ ამ დამატებათა შეტანა უნდა დაწყებულიყო არა უგვიანეს მე-15 საუკუნისა.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მესამე პლასტი როგორც აღვნიშნული გვქონდა შეიცავს 12 სხვა-და-სხვა ფენს, 12 სხვა-და-სხვა პოეტის ნაშრომს. ტექსტების ხასიათი გვიჩვენებს, რომ ეს პოეტები სხვა-და-სხვა სკოლის, და ხანის მწერლებია. — ხელნაწერთა გრადაციაც თავის მხრივ ადასტურებს რომ ეს დამატებანი თანდათანობით ჩაურთავთ ვეფხის-ტყაოსანი, სხვადასხვა დროს. — ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ეს დამატებანი ხშირად არაა მოღწეული ერთგვარისა ხით, ხელნაწერები ტექსტის ვარიაციას იძლევა, რაც გვიჩვენებს, რომ ეს დამატებანი ამაზე ადრე მრავალჯერს გადაწერილა, სხვადასხვა ხელნაწერების გზა გაუვლია ვიდრე დღევანდელ სახეს მიიღებდა. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ცალკე დამატებას შემდეგ ხანაში განუცდია არსებითი გადამუშავებაც და აქ ჩამატებულია ახალი ინტერპოლაციები.

ყოველივე ამის გამო, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მესამე პლასტის ყველა ამ დამატებათა შეტანა ვეფხის-ტყაოსანში უკვე დამთავრებული ყოფილა მე-16 საუკუნის დასასრულზე ადრე, რომ აქ გვაქვს 12 დამატება სხვადასხვა დროისა, და რომ ამ ტექსტებს ხანგრძლივი ისტორია ჰქონია, — ყოველივე ამის გამო ვერც ერთი ფილოლოგი ვერ დაასკვნის, რომ ამ დამატებათა უძველესი ფენის ჩართვა ვეფხის-ტყაოსანში მე-15 საუკუნეზე გვიან დაწყებულიყოს.

ამასთან დაკავშირებით — თარიღის საკითხისათვის შესაძლოა გამოყენებულ იქმნეს ერთი ადგილი, რომელიც მესამე პლასტშია დაცული. მესამე პლასტის ერთ უძველეს დამატებაში (— რიგით მეორეში), როგორც ცნობილია არის ასეთი სტროფი:

იყო არაბეთს მეფობა მეფისა როსტევანისი,
 მას ჰქონდა სპარსთა ქვეყანა, მართ ვითა შანშეს ანისი!
 უძრწის და მონებს ყოველი, ხელთა აქვს მას საბრძანისი
 თქვეს თუ ხამს ხმელთა პატრონად ან ალექსანდრე, ან ისი!

ამ სტროფით იწყებს ინტერპოლატორი თავის დამატებას. დასაწყისშივე, პირველ სტროფში, იგი იგონებს ანისსა და შანშე ანისის მფლობელს. აქ უნებლეთ იქცევეს ჩვენს ყურადღებას ამ მელექსის ეს ანისური პატრიოტიზმი, და განდიდება შანშე ანისის მფლობელისა. როსტევან მეფე თავისი ძლიერებით შედარებულია ერთის მხრით ალექსანდრე მაკედონელთან და მეორეს მხრით შანშე ანისის მფლობელთან.

შანშე ანისელი მე-14 საუკუნის მოღვაწეა¹⁾; ხოლო თვით ანისი უკვე მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში აოხრდა და დაიკალა მცხოვრებთაგან და შემდეგ იგი მივიწყებულ მხარეს წარმოადგენდა. ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ლექსი დაწერილია არა უძრეს მე-14 საუკუნისა, როცა ცხოვრობდა შანშე ანისელი, და არა უგვიანეს მე-15 საუკუნის მეორე ნახევრისა, რომლის შემდეგაც ანისი აოხრდა.

უფრო საფიქრებელია, რომ ეს ლექსი მე-15 საუკუნეშია დაწერილი, რადგან შანშე უკვე გარდაცვალებულად იგულისხმება და მასზე როგორც წარსულის გმირზეა საუბარი, თუმცა ცხოველი გადმოცემა მის შესახებ ჯერ კიდევ არ ყოფილა გამჭრალი.

კორნ. კეკელიძე არ ეთანხმება ამ დათარიღებას და ეს ლექსი მას აღორძინების ხანაში, ე. ი. მე-16-17 საუკუნეში გადმოაქვს. რისთვის? იმიტომ რომ ეს მისთვის ხელსაყრელი არაა. საჭმე შემდეგშია: თავის ლიტერატურის ისტორიაში კორნ. კეკელიძემ ვეფხისტყაოსნის მეორე პლასტის დამატებანი მე-16 საუკუნეს მიაკუთვნა, ხოლო რაკი ირკვევა, რომ უფრო ნაგვიანევი ფენი, მესამე პლასტი, მე-15 საუკუნეს ეკუთვნის, ამიტომ მთელი მისი უშნოდ აგებული შენობა ინგრევა (იხ. კორნ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., ტ. II, გვ. 218).

მაინც რა საბუთი მოჰყავს კორნ. კეკელიძეს, როცა შანშე ანისელის შესახები ლექსი მე 15 საუკუნიდან მე-16-17 საუკუნეში გადმოაქვს. არავითარი საბუთი. და ასეთი საბუთი არც არსებობს. ზემოთ-მოყვანილ ლექსში, რომელითაც ინტერპოლატორი იწყებს თავის შრომას, აშკარად მოსჩანს გაზვიადებული ანისური პატრიოტიზმი; ნაძღვილად კი ანისი არ წარმოადგენდა რაიმე ნნიშვნელოვან სუვერენულ სახელმწიფოს, არამედ უბრალო ვასსალური პროვინცია იყო საქართველოსი. ამასთან არც შანშე იყო განსაკუთრებით დიდად სახელოვანი მოღვაწე. თითონ ანისი უკვე მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში აოხრდა და დაიკალა მცხოვრებთაგან და მის შემდეგ მივიწყებულ მხარეს წარმოადგენდა. რასაკვირველია არსაიდან არ გამომდინარეობს, რომ შემდეგი დროის ქართველ მელექსეს ასე თავი გამოედო ანისური პატრიოტიზმისათვის, და ამით აეჭრელე-

¹⁾ იხ. ყაშითა-აღმწერელი (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტით), გვ. 784.

ბია ვეფხის-ტყაოსანი, მით უფრო რომ უკვე აოხრებელი ანისი ადარავის ახსოვდა.

ეს რაც შეეხება ამ ლექსის განმარტებას. მაგრამ ჩვენს დასაბუთება ვეფხის-ტყაოსნის შესამე პლასტისა მარტო ამ ლექსის ჩვენებრივ მარტო მტკიცდება; ეს თარიღი გამომდინარეობს ტექსტის ისტორიის მთლიანი ანალიზიდან, რომელიც გვიჩვენებს, რომ შესამე პლასტის დამატებათა ჩართვა ვეფხის-ტყაოსანში უკვე მე-15 საუკუნისა პირველ ნახევრიდან დაწყებული და დამთავრებულია მე-16 საუკუნეში. და როგორც ვხედავთ ამ ლექსის თარიღი არათუ არ ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ წარმოდგენილ ტექსტების გენეალოგიას, არამედ საესებით ეთანხმება მას და მისი სინამდვილის ზედმეტ საბუთს იძლევა.

4. ვეფხის-ტყაოსნის მეორე პლასტი.

შესამე პლასტის საკითხის განხილვას შემდეგ ჩვენი კრიტიკოსი გადადის მეორე პლასტის დამატებათა თარიღზე.

რომ მეორე პლასტის დამატებანი უფრო ძველია ვიდრე ზემოთ განხილული შესამე პლასტი, ეს უეჭველი დებულებაა, რადგან ეს ხელნაწერთა გრადაციიდან ხედმიწევნით ირკვევა. კორნ. კეკელიძეს ამის უარყოფა არ შეუძლია და არც უარყოფს.

მაგრამ რაკი ეს გენეალოგიური თანამიმდევრობა ტექსტებისა კორნ. კეკელიძემ ვერ შეარყია, მან აქაც შეეცადა თარიღების შემცდარად გამოცხადება.

როგორც აღვნიშნეთ კორნ. კეკელიძემ უფრო ნაგვიანევი შესამე პლასტი მე-16-17 საუკუნეში გადმოიტანა; მეორე პლასტს კიდევ მე-16 საუკუნით ათარიღებს.

ჩვენ უკვე ვნახეთ თუ რა ღირებულებისა იყო კორნ. კეკელიძის მიერ შესამე უფრო ნაგვიანევი პლასტის მე-16-17 საუკუნეში გადმოტანა. როგორც გამოირკვა შესამე პლასტის დამატებანი შედგენილია არა მე-16-17 საუკუნების განმავლობაში, როგორც კ. კეკელიძე ჰფიქრობს, არამედ ეს დამატებანი თანდათანობით ჩაურთეს ვეფხის-ტყაოსანში მე-15 საუკუნის პირველი ნახევრიდან დაწყებული ვიდრე მე-16 საუკუნის დასასრულამდე.

მაშასადამე, რაკი ყველაზე უგვიანესი (შესამე) პლასტის ვეფხის-ტყაოსანში ჩართვა მე-15 საუკუნის პირველი ნახევრიდან დაწყებული, ცხადია უფრო ძველი მეორე პლასტის დამატებანი ამაზე ადრე უნდა შეედგინათ, ყოველ შემთხვევაში მე-14 საუკუნიდან—ვიდრე მე-15 საუკუნის პირველ ნახევრამდე.—ეს სრულიად ცხადი დებულებაა, რაც გამომდინარეობს თითონ ხელნაწერი ტექსტების გრადაციიდან.

და რომ ჩვენი თარიღი ამ მეორე პლასტისა სწორია, ამას სხვათა შორის ადასტურებს ბიბლიოგრაფიული ცნობები ამ დამატებათა ერთი ავტორის შესახებ.

მოვავონებთ ჯერ მკითხველს, თუ რას შეიცავს ეს მეორე პლასტი. ამ მეორე პლასტში წარმოდგენილია სამი ტექსტი, სამი ცალკე ამბავი, რომლებიც შემდეგის თანდათანობით შეუტანიათ ვეფხის-ტყაოსანში: 1) ინდო-ხატაელთა

ამბავი; 2) ხვარაზმელთა ამბავი; და 3) პოემის გმირთა გარდაცვალების ამბავი. რომ ეს სამი დამატება დაწერილია სამი სხვადასხვა ავტორის მიერ, და სწორედ იმ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, როგორც ეს აქ არის ჩამოთვლილი, ეს ჩვენ დამტკიცდეთ ტექსტების ანალიზით (იხ. რუსთველიანის გვ. 271-281) კვ-კელიძის ჩვენი საბუთიანობა ამ საკითხის შესახებ მისაღებად მიაჩნია და ამ ჩვენ დებულებას თითონვე იმეორებს.

საკითხავია ამის შემდეგ, თუ ვინ იყვნენ ამ დამატებათა ავტორები?

მეორე დამატებას ანუ „ხვარაზმელთა ამბავს“ როგორც ცნობილია წინ უძღვის ასეთი პროლოგი:

„აწ, გონიერხო, სიტყვანი მოსმენით შეიწყნარენით,
ძველი ნარჩომნი ამბავნი ლექსად სთქვენ, გაიხარენით.
სარგისს დაურჩა უთქმელად, მას ესე დავაბარენით.
ლექსნი მიქენით, ამისთვის ენანი შამახმარენით“.

ეპილოგში განმეორებულია მსგავსივე ცნობა:

„ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობ-
ლად,
აგრევე თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა
ობლად.“

მე ვნახე და მას უჩვენე, ვინ სჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად,
მან მიბრძანა: ლექსად თქვიო, მკვერ-ქართულად, დაუშრობლად!“

ამ ცნობიდან სჩანს, რომ რაღაც ტექსტი, რომელიც მოთავსებულია ამ მეორე დამატების (ე. ი. ხვარაზმელთა ამბავის) წინ, გაუღეჭავს ვინმე სარგის თმოგველს. ზემოთ მოყვანილი ეპილოგის აზრი ასე უნდა გავიგოთ: როგორც „თმოგვი თმოგველთაგან დარჩა ობლად“, ისე სარგისსაც თავისი შრომა ობლად დაურჩა, ე. ი. შრომის დასრულება ვეღარ მოასწრო და პოემის ეს უკანასკნელი ეპიზოდი—ხვარაზმთა ამბავი—ლექსად შეუწყობელი დარჩომოდაო.

რას წარმოადგენდა ეს უკანასკნელი ეპიზოდი—რომლის „ლექსთა შეწყობა“ სარგისმა ვეღარ მოასწრო, რომელიც სარგისს „უთქმელად დაურჩა“, — ჩვენ ქვევით ვეხებით ცალკე. ჯერ კი გამოვარკვიოთ, თუ რა მოუსწრია სარგისს, რა „შეაწყობ ლექსად“ სარგისმა.

რაკი კონტექტიდან ცხადია, რომ ეს სარგისის მიერ „ლექსად შეწყობილი“ ტექსტი მოთავსებულია ამ მეორე დამატების წინ, მაშასადამე აქ შესაძლებელია დაუშვათ ორი მოსაზრება:

1. ან სარგის თმოგველმა „ლექსად შეაწყობ“ მთელი ვეფხის-ტყაოსანი, ე. ი. იგი არის ავტორი მთელი პოემისა;

2. ან სარგის თმოგველი არის ავტორი არა მთელი ვეფხის-ტყაოსნისა, არამედ მხოლოდ პირველი დამატებისა „ინდო-ხატაელთა ამბისა“, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის ამ მეორე დამატებას.

პირველი მოსაზრება თითქო სარგის თმოგველი იყოს ავტორი მთელი ვეფხის-ტყაოსნისა, — რომ ეს პირველი მოსაზრება არ შეეფერება სინამდვილეს, ეს ჩვენს გამოკვლევაში ზედმიწევნით გამორკვეული გვაქვს. ტექსტის ისტორია არა-

ვითარ ექვს არ სტოვებს რომ ავტორი პოემისა არის რუსთველი, და არა სარგის თმოგველი. მართლაც უნდა გვახსოვდეს რომ ეს ცნობა სარგის თმოგველის შესახებ ეკუთვნის პოემის მეორე პლასტს, რომელიც წარმოადგენს პირველი პლასტის ე. ი. ძირეული დედნის გაგრძელებას. მეორე პლასტის ინტერპოლატორები უცვლელად სტოვებენ ამ პირვანდელ დედანს—პირველ პლასტს, ისინი მხოლოდ აგრძელებენ და ავსებენ მას;

ხოლო პოემის ამ პირველ უძველეს პლასტში—ვეფხისტყაოსნის ავტორად დასახელებულია რუსთველი, და ეს სისტემატიურად, პოემას სხვა-და-სხვა ალაგას. ამნაირად რაკი მეორე პლასტის ინტერპოლატორი უცვლელად სტოვებს ამ პირველ ტექსტს, იმეორებს ამ პირველი ტექსტის ჩვენებას, რომ პოემის ავტორი რუსთველი არის, აქედან ცხადია, რომ ეს ინტერპოლატორი—სარგის თმოგველს სთვლის არა მთელი პოემის ავტორად, არამედ მისი ერთი ნაწილის, დამატების გამლექსავად. და ასეთი დამატება მართლაც არსებობს: ეს არის პირველი დამატება „ინდო-ხატაელთა ამბავი“, რომელიც ჩართულია პოემის ტექსტში სწორედ ამ მეორე დამატების წინ. მაშასადამე ამ ცნობის თანახმად სარგის თმოგველი არის ავტორი არა მთელი პოემისა, არამედ მხოლოდ პირველი დამატებისა „ინდო-ხატაელთა ამბისა“.

ეს არის პირველი და ურყევი დებულება.

რაკი გამოირკვა, თუ რა „შეუწყვია ლექსად“ სარგისს, შევეხოთ ამის შემდეგ იმ მეორე ამბავსაც, რომელიც სარგისს „ლექსთა შეუწყობლად დარჩომოდა“, ე. ი. ხვარაზმთა ამბავს.

კორნელი კეკელიძე სრულებით მართალია, როცა ამბობს რომ ეს მეორე ეპიზოდი „ხვარაზმთა ამბავი“ თავდაპირველად პროზაულად იყო ნაწერიო. მაგრამ ეს განა ეწინააღმდეგება ჩვენს თეორიას? სრულებით არა. პირიქით ჩვენი თეორია ამ მოსაზრებას თავისთავად იგულისხმებს.

მართლაც რას გადმოგვკემს ამ მეორე ამბავის პროლოგი და ეპილოგი. ამ ტექსტებიდან სჩანს, რომ სარგისს თმოგველს თავისი შრომის ნაწილი, ე. ი. როგორც გამოირკვა პირველი ეპიზოდი „ინდო-ხატაელთა ამბავი“, რომელიც თითონ პოემის ტექსტშია ჩამატებული, —ლექსად დაუწერია, ხოლო მეორე ეპიზოდი „ხვარაზმთა ამბავი“, რომელიც პოემის გაგრძელებას წარმოადგენს პროზის სახით დაურთავს. ასეთი ჟანრი ამ ეპოქაში მართლაც არსებობდა და ამას აქვს ანალოგიური ტექსტი. ასე არის ნაწერი მაგ. იმავე ვეფხისტყაოსნის ციკლის სხვა ნაწარმოები „ომინიანი“, სადაც ერთი ნაწილი ლექსით არის დაწერილი, ხოლო მეორე ნაწილი პროზით.

სარგის თმოგველის აი ეს შრომა, უნახავს ინტერპოლატორს თმოგვის დათვალეირების დროს, როდესაც თმოგველთა გვარი უკვე გადასული იყო. სარგისის ეს შრომა—როგორც თითონვე ინტერპოლატორი გადმოგვკემს—მას უჩვენებია ვიღაც წარჩინებული პირისათვის (—არა ჩანს ვინ იყო ეს პირი, მეფე თუ მთავარსარდალი; ინტერპოლატორის მას მოიხსენებს ასეთის ეპითეტით: „ვინ სჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად“; შესაძლოა აქ მთავარსარდალი იგულისხმება, ან სამცხის ათაბაგი, თუმცა ასეთი ეპითეტი მეფესაც მიემართება). ამ წარ-

ჩინებულ პირს უბრძანებია ინტერპოლატორისათვის, რომ ის, რაც სარგისს ლექსთა შეუწყობლად დარჩომია, ლექსად თქვიო. ინტერპოლატორსაც გაუღიქსავს ეს მეორე ეპიზოდი „ხვარაზმთა ამბავი“.

ასეთია წარმოშობა ამ ორი ეპიზოდის „ინდო-ხატაელთა ამბავისა“ და „ხვარაზმთა ამბავისა“ თითონ ტექსტის ჩვენების თანახმად.

საკითხავია ამის შემდეგ, თუ ვინ იყო და როდის ცხოვრობდა ეს სარგის თმოგველი. ესეც ცხადია ტექსტიდან. ინტერპოლატორის ცნობის თანახმად — ეს სარგის იყო უკანასკნელი მფლობელი თმოგვისა, და მის შემდეგ თმოგვი „თმოგველთაგან დარჩა ობლად“, ისინი თმოგვიდან აიყარნენ. ხოლო მეორეს მხრით ისტორიული წყაროების ანალიზიდან ირკვევა რომ თმოგვის უკანასკნელი მფლობელი მართლაც სარგისის სახელს ატარებდა. ეს უკანასკნელი სარგის თმოგველი მე-14 ს. ნახევარში სცხოვრობდა, და მის შემდეგ თმოგველთა გვარს დაუტოვებია თავისი სამფლობელო — მე-14 საუკუნის სამოციან წლებში. ამის შემდეგ თმოგველში სხვა გვარეულობანი დამკვიდრებულან: ღარიბასძენი და რჩეულასძენი. უძველესი წარმომადგენელი თმოგვის ამ ახალ მფლობელთა მურვან ღარიბასძე მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში სცხოვრობდა. (იგი მოიხსენება ერთ ისტორიულ დოკუმენტში — „ვაჰანის ძეგლში“ — უკვე ხანში შესული 1393 წელს). — ასეთი შეხვედრა სხვა-და-სხვა გზიდან მიმდინარე გამოკვლევისა, არ სტოვებს არავითარ ეჭვს ამ უკანასკნელი სარგის თმოგველის ვინაობის შესახებ, რომელსაც დაუწერია ზემოთ-განხილული ჩანართი ვეფხის-ტყაოსნისა; ეს უკანასკნელი სარგის თმოგველი მე-14 საუკუნის მოღვაწე ყოფილა, და აღნიშნული ჩანართიც ვეფხის-ტყაოსნისა მე-14 საუკუნის ნახევარში ყოფილა დაწერილი.

კორნ. კეკელიძე ამ დათარიღებას, როგორც ვთქვით, არ ეთანხმება, და მას ზემოთ-განხილული ჩანართი მე-16 საუკუნეში გადმოაქვს.

მაგრამ რა საბუთით? ამ თარიღის შერყევა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კორნ. კეკელიძე დაამტკიცებდა, რომ სარგის თმოგველი არ იყო უკანასკნელი მფლობელი თმოგვისა, და რომ თმოგველთა გადმოსახლება თმოგვიდან მე-14 საუკუნეზე გვიან მოხდა. მაგრამ მას ამის დამტკიცება არ შეუძლია; რომ თმოგველნი უკვე მე-14 საუკუნის ბოლოში გადასული იყვნენ თმოგვიდან, და რომ აქ შემდეგ უკვე სხვა გვარეულობანი მკვიდრობდნენ, ამას დოკუმენტალურად ადასტურებს მურვან ღარიბასძის ხელმოწერა 1393 წლისა.

ეს ერთი. ამის გარდა, რომ „ინდო-ხატაელთა“ ამბავი შეუძლებელია მე-16 საუკუნეს ეკუთვნოდეს, ეს სრულის უეჭველობით სჩანს ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის საერთო ისტორიიდან. მართლაც ჩვენ ვნახეთ, რომ ვეფხის-ტყაოსნის ყველაზე ნაგვიანევი ფენი (მესამე პლასტი) უკვე მე-15 საუკუნიდან შეუტანიათ ვეფხის-ტყაოსანში. მაშასადე მეორე პლასტი, რომელიც ინდო-ხატაელთა ამბავით იწყება — ცხადია უფრო ადრინდელ დროს ეკუთვნის (ე. ი. როგორც გამოირკვა მე-14 საუკუნის ნახევარს). ეს მეორე დებულება ისეთს უდავო საფუძველს ემყარება, როგორცაა თვით ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერთა ჩვენება, ტექსტების გრადაცია ხელნაწერებში; მაშასადამე ეს დათარიღება, გამომდინარე თითონ ტექსტის ისტორიიდან, სრულებით უცილობელ არგუმენტად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ კორნ. კეკელიძე სხვა მხრივ ფიქრობს თარიღის გაზიარებას; იმან ვითომ აღმოაჩინა ისეთი ანაქრონიზმი „ინდო-ხატაელთა“ ამბავში, რომელიც შეუძლებელს ხდის რომ იგი მე-16 საუკუნეზე გვიან დროს შედგენილია. კეკელიძე სწერს (იხ. მისი წერილი, გვ. 188):

„მე უკვე მქონდა შემთხვევა აღმენიშნა ერთხელ, რომ პირველი ამბავი ამ პლასტიკა ინდო-ხატაელთა შესახებ დაწერილია არა უადრეს მე-16 საუკუნისა. ამ „ამბავში“ ნათქვამია, რომ როდესაც ტარიელმა გაიგო ფარსადანის გარდაცვალება, საშინელი ტირილი მოართო, და მას ამ აუტანელ სევდაში ავთანდილი და ფრიდონი ექმნეს სულის-მღებლად, კათალიკოზ—მაწყვერელად, ე. ი. მანუგეშებლად როგორც კათოლიკოზი და მაწყვერელი. აქ კათოლიკოზი და მაწყვერელი დაპირისპირებულნი არიან როგორც სწორ-უფლებიანი და სწორპატივიანი იერარქები; მაშასადამე ეს იმის მაჩვენებელია, რომ როდესაც ეს ადგილი იწერებოდა, სამცხის ეკლესია უკვე ფორმალურად და საბოლოოდ იყო ჩამოშორებული მცხეთის საკათოლიკოზოს და მის სრულ-უფლებიან თავად, როგორც მცხეთაში კათოლიკოზი, ითვლებოდა უკვე მოწყვერელი; ეს კი მოხდა მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს, მზეჭაბუკ ათაბაგის დროს (1516), რომელმაც მაწყვერელად განაწესა სიმონი“. (იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 218).

ჯერ ერთი საგულისხმოა აღვნიშნოთ, რომ კ. კეკელიძემ თავისივე ციტატა სწორად არ მოიყვანა. ლიტერატურის ისტორიაში მას ნათქვამი აქვს:

„პროცესი სამცხის ეკლესიურად ჩამოშორებისა მცხეთისაგან, დაწყებული ჯერ კიდევ მე-14 საუკუნის გახულიდან (იხ. თ. ჟორდანიას, ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები, გვ. 184), ძლიერდება მეხუთმეტეში და დამთავრდა მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს, მზე-ჭაბუკ ათაბაგის დროს (+ 1516), რომელმაც მაწყვერელად განაწესა ტრაპიზონელი ბერძენი სიმეონი“. აი ამას სწერს კორნ. კეკელიძე თავის ლიტერატურის ისტორიაში (იხ. ტომი, II, გვ. 218).

ეხლა კი, როდესაც ჩემი თარიღის გაბათილება დასჭირდა, კ. კეკელიძე არაფერს ამბობს მე-14 და მე-15 საუკუნეზე და მხოლოდ მე-16 საუკუნეს აღნიშნავს!.. კ. კეკელიძე, როგორც ვხედავთ, აყალბებს არა მარტო სხვის აზრებს, არამედ თავის აზრსაც...

მაგრამ დავტოვოთ გვერდზე კ. კეკელიძის ასეთი წინა-უკმოობა. გადავიდეთ საგანზე. საიდან გამოიყვანა კორნ. კეკელიძემ, თითქო ინდო-ხატაელთა ამბავში კათალიკოზი და მაწყვერელი „სწორ-პატივიანი და სწორ-უფლებიანი იერარქები არიან“?

მოგვყავს აქ სათანადო ადგილი „ინდო-ხატაელთა“ ამბავისა. აქ მოთხრობილია შემდეგი (იხ. ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1913 წ. გვ. 206—207):

როდესაც ტარიელმა და ნესტანმა გაიგეს ფარსადანის (ნესტანის მამის) სიკვდილი, მათ ტირილი და მოთქმა დაიწყესო; მათთან ერთად ტირილად დასხდნენ ყველა მათნი მხლებლებნი; ავთანდილ და ფრიდონიც აგრეთვე გულმართლად სტიროდნენ, მაგრამ მაინც ნუგეში სცეს და სული მოაბრუნებინეს სევდით მოცულს ტარიელსა და ნესტანს, თითქო ისინი (ე. ი. ავთანდილ და ფრიდონ) კათალიკოზი და მაწყვერელი ყოფილიყვნენო.—აი თითონ მელექსის სიტყვები:

„ავთანდილ და ფრიდონ ტირან, გულსადაგად, არა კრელად, მაგრამ ექმნეს სულისმღებელ კათალიკოზ—მაწყვერელად“.

აი ეს ერთად-ერთი სტრიქონია, რომელსაც ემკარება კ. კეკელიძე. მაგრამ საიდან ამტკიცებს ეს სტრიქონები კორნელი კეკელიძის შემდეგს კატეგორიულ განცხადებას: „მაშასადამე (sic!) ეს იმის მტკიცებულებაა, რომ როდესაც ეს ადგილი იწერებოდა, სამცხის ეკლესია უკვე ფრანკო-კათოლიკობის საბოლოოდ ჩამოშორებული იყო მცხეთის საკათოლიკოზოს და მის სრულუფლებიან თავად, როგორც მცხეთაში კათოლიკოზი, ითვლებოდა უკვე მაწყვერელიო“ (იხ. კორნ. კეკელიძის წერილი გვ. 188).

რასაკვირველია არაფერი ამის მსგავსი არ გამომდინარეობს „ინდო-ხატელთა“ ამბავის ზემოთ მოყვანილი სტრიქონიდან; განა შედარებაში ორი პირის ერთად დასახელება იმას მოასწავებს, რომ ისინი „სწორ-უფლებიანი და სწორ-პატივიანი“ არიან?

ავიღოთ თუნდ ასეთი უბრალო მაგალითი. საქართველოში წინად როგორც ცნობილია ექსარხოსობა იყო; უკანასკნელ ექსარხოსად იყო პლატონი. მის დროსვე იყო ერთი წარჩინებული დეკანოზი, სახელით, თუ არ ვცდები, პანტელეიმონ. რასაკვირველია ჩვენ — შეგვეძლო გვეხმარა ასეთი შედარება: „პავლე და სვიმონი ისეთივე მეგობრები არიან — როგორც პლატონ (ექსარხოსი) და პანტელეიმონ (დეკანოზი)“. ან და კიდევ: „პავლე და სვიმონ ისევე კარგად ატარებენ კოსტიუმს, როგორც პლატონ და პანტელეიმონ ანაფორას“. განა აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ პლატონი და პანტელეიმონი ერთსა და იმავე საეკლესიო „ჩინ“-ს ატარებდნენ, რომ ისინი „სწორ-უფლებიანი და სწორ-პატივიანი“ იერარქები იყვნენ? თუმცა პანტელეიმონ წარჩინებული დეკანოზი იყო, და შემდეგ — როგორც ამბობენ — მიტროფორიანობაც მიიღო, მაგრამ რასაკვირველია ექსარხოსი საეკლესიო ხარისხით მალლა იდგა.

თუ მაინცა-და-მაინც ჩვენ ასე კაზუისტურად გამოვეყიდეებით ვეფხის-ტყაოსნის ინტერპოლატირის ზემოთ-მოყვანილ სტრიქონს, მაშინ ამ ადგილში უნდა დავინახოთ არა კათოლიკოზისა და მაწყვერელის „სწორ-პატივიანობა“, — არამედ, თუ გნებავთ, წინააღმდეგი, ის რომ კათოლიკოზი მალლა იდგა მაწყვერელზე. მართლაც რას გადმოგვცემს აქ მელექსე? იგი ამბობს: ავთანდილ და ფრიდონი თუმცა თითონაც გულმართლად სტიროდნენ, მაგრამ მაინც ნუგეში სცეს და სული მოაბრუნებდეს ნესტანსა და ტარიელს, თითქო ისინი (ე. ი. ავთანდილ და ფრიდონ) კათოლიკოზი და მაწყვერელი ყოფილიყვნენო“. ფრაზა აქ ისეა აგებული, რომ ავთანდილი აქ შედარებულია კათალიკოზთან, ხოლო ფრიდონ — მაწყვერელთან. მაგრამ იყვნენ განა ავთანდილ და ფრიდონ „სწორ-პატივიანი“? სწორედ რომ არ იყვნენ. ვეფხის-ტყაოსანში ტარიელ და ავთანდილ უფრო ბრწყინვალე გმირად არის წარმოდგენილი, ვიდრე ფრიდონ. როდესაც ვეფხის-ტყაოსნის სამივე გმირი ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონ — ერთად შეიყრებიან, პოეტი ასეთს შედარებას ხმარობს (იხ. ვეფხის-ტყაოსანი, წ.-კ. სახ. გამ. სტროფი 1358):

„ჭგვანდა თუმცა შეყრილიყვნეს, ორნი მზენი, ერთი მთვარე“.

ტარიელ და ავთანდილ აქ შედარებული არიან ორ მზესთან, ხოლო ფრიდონ, როგორც ნაკლებ ბრწყინვალე გმირი, მთვარესთან.

ამრიგად, რაკი ინტერპოლატორის შედარებიდან გამოდინარეობს, რომ ავთანდილ კათოლიკოზთან არის შედარებული, ხოლო ფრიდონ მაწყვერელთან, ამის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი „სწორ-პატივმანტი“ კერძო ყოფილან, როგორც ამაში კორნ. კეკელიძეს სურს დაგვაჯეროს, არამედ კათოლიკოზი მალლა მდგარა ვიდრე მაწყვერელი.

ასეთია პირდაპირი შინაარსი ამ ადგილისა, რაც კორნ. კეკელიძემ ასე გააყალბა და დააბნელა, და საიდანაც „თანტაზის აღძვრებით“ უცნაური დასკვნა გამოიყვანა; თუ კი რასმე ლაპარაკობს ეს ადგილი, ეს არა კორნ. კეკელიძის, არამედ სწორედ ჩვენი დებულების სასარგებლოდ.

მიუხედავად ამისა — თუმც ამ ადგილს ჩვენც მივაქციეთ თავის დროზე ყურადღება და რუსთველიანაში მას სათანადო განმარტება მივეცით (იხ. ვვ. 34, შენიშვნა), მაინც ამ ადგილზე რ დავამყარეთ ჩვენ თარიღის საკითხი. ჩვენ არც გვჭირდება ასეთი მერყევი და საეჭვო საშუალებანი თარიღის გამოსარკვევად, რადგან, როგორც ვნახეთ, ბევრად უფრო მტკიცე და პირდაპირი საბუთები ადასტურებენ, რომ ვეფხის-ტყაოსნის ეს ჩანართი ტექსტი „ინდო-ხატაელთა ამბავი“ დაწერილია სარგის თმოგველის მიერ მე-14 საუკუნის ნახევარში.

მაგრამ ეს ადგილი საინტერესოა არა იმ მხრივ, თითქოს აქ საუბარი იყვეს კათოლიკოსისა და მაწყვერელის სწორ-უფლებიანობაზე, არამედ მეორეს მხრით; იგი ერთს ზედმეტს დამხმარე არგუმენტს იძლევა — რომ „ინდო-ხატაელთა ამბავი“ სარგის თმოგველის დაწერილია;

მართლაც მკითხველი უკვე შენიშნავდა, რომ თუ რასმე არკვევს ეს ლექსი, ეს მხოლოდ ავტორის მესხობას. იგი ზემოთ-განხილულ ვულგარულ შედარებაში, როგორც ვნახეთ, ავთანდილს კათოლიკოზთან აღარებს, ხოლო ფრიდონს აწყურის (ე. ი. მესხეთის) ეპისკოპოსთან. აქ უნებლიეთ გამოსჭვივის ამ ინტერპოლატორის მესხობა. თუ ეს ასე არ არის, მაშ რაღა ეს მესხეთის ეპისკოპოსი მოაგონდა მას კათოლიკოზის გვერდით. მესხეთის პირველი ეპისკოპოსის — მაწყვერელის მოხსენება არაა გამოწვეული რითმით: ავტორს ნაცვლად ფრაზისა „ქათოლიკოზ — მაწყვერელად“ — შეეძლო თავისუფლად ეხმარა: „ქათოლიკოზ — ჭყონდიდელად“, „ქათოლიკოზ — ქუთათელად“, „ქათოლიკოზ — ქისიყელად“, და სხვანი. კერძოდ თქმა „ქათოლიკოზ — ჭყონდიდელად“ უფრო ბუნებრივიც იქნებოდა, რადგან კათოლიკოზს შემდეგ უდიდესი საეკლესიო პატივი სწორედ ჭყონდიდელ მთავარ-ეპისკოპოსს ეპყრა. და თუ მიუხედავად ამისა ჩვენს ინტერპოლატორს თავის უხეირო შედარებაში კათოლიკოზის გვერდით მაწყვერელი, მესხეთის ეპისკოპოსი აგონდება, ეს მხოლოდ მისი მესხობის მაჩვენებლად უნდა ვიცნათ.

ამნაირად ეს დეტალი აგრეთვე ეთანხმება ჩვენს დასკვნას სარგის თმოგველის ავტორობის შესახებ; სარგის თმოგველი, რომელსაც ეკუთვნის ეს დამატება „ინდო-ხატაელთა ამბავი“ — მართლაც მესხი იყო.

5. ვეფხის-ტყაოსნის უკველესი დედანი (პირველი პლასტი)

ზემოთ-წარმოდგენილი ანალიზი ნაგვიანევი მეორე და მესამე პლასტისა ჩვენს გამოკვლევა რუსთველიანაში წარმოადგენს მხოლოდ შესავალს ტექსტის

ისტორიისა; ჩვენ ამით მოვასუფთავებთ კვლევის ნიადაგი, გამოვარკვევთ რომ ეს ორი ნაგვიანევი პლასტი ეკუთვნის საკმაოდ გვიან დროს, მე-14-16 საუკუნეს, და ამის შემდეგ გადავდივართ პოემის უძველეს ტექსტზე, რომელიც თავისუფალია ამ შემდეგი დროის ჩანართებიდან, ე. ი. პოემის პირველ პლასტზე, რომელიც წარმოდგენილია ვახტანგისეულ დედანში.

რაკი ნაგვიანევი მეორე და მესამე პლასტის თარიღები გამოვარკვეულია, აქედან თავისთავად ცხადი ხდება *terminus post quem non*, ე. ი. დრო, რომლის უგვიანეს შეუძლებელია ჩამოყალიბებულიყო ეს პირველი პლასტი. მართლაც მეორე პლასტის დამატება დაწერილი ყოფილა უკანასკნელი სარგის თმოგველის მიერ მე-14 საუკუნის ნახევარში; ხოლო რაკი ეს მეორე პლასტი არის შემდეგი დროის გაგრძელება ვახტანგისეული დედნისა, აქედან ირკვევა ვახტანგისეული დედნის თარიღი: **ვახტანგისეული ტექსტი მე-14 საუკუნის ნახევარზე უფრო ძველ დროს ეკუთვნის. ვახტანგისეული ტექსტი დღევანდელის სახით უკვე ჩამოყალიბებულიყოფილა და იგი უკვე არსებულა მე-14 საუკუნის ნახევარში.**

აი ეს არის პირველი და ურყევი დებულება რომელიც გამომდინარეობს არსებული დედნების გენეალოგიის შესწავლიდან.

კორნ. კეკელიძემ ეს გამოსავალი დებულება ერთის იოტითაც ვერ შეარვიდა. მთელი თავისი წერილის მანძილზე მან მხოლოდ ორი დებულება წამოაყენა ჩვენს წინააღმდეგ:

1) მეორე პლასტი და კერძოდ ინდო-ხატაელთა ამბავი მე-14 საუკუნის ნახევარს კი არ ეკუთვნის, არამედ მე-16 საუკუნესო. ეს აზრი, როგორც ვნახეთ, მან დაამყარა მაწყვერელის და კათალიკოზის სახელის მოხსენებაზე „ინდო-ხატაელთა ამბავში“. ჩვენ უკვე განვიხილეთ სრული ფანტასტიურობა ამ მოსაზრებისა და დავამტკიცეთ რომ ინდო-ხატაელთა ამბავი მე-14 საუკუნის ნახევარს ეკუთვნის.

2) მეორე მოსაზრება, რომელიც გამოსთქვა კ. კეკელიძემ არის ის, რომ ვითომც ვახტანგის დედანი ხელოვნურად არის შეცვლილი, და ამის დასასაბუთებლად იგი დაემყარა ვახტანგის კომენტარების სიტყვებს. ჩვენ უკვე განვიხილეთ კ. კეკელიძის ეს მეორე მოსაზრებაც და ვნახეთ, რომ ვახტანგის სიტყვების განმარტებაში მას გასაოცარი სიყალბე ჩაუდენია. არაფერს ამის მსგავს ვახტანგი არ ამბობს. პირიქით ტექსტის შედარებით ანალიზმა ჩვენ დაგვიმტკიცა რომ ვახტანგს არავითარი ცვლილება არ შეუტანია პოემაში, და მას უცვლელად დაუბეჭდავს მის დროს არსებული ძველი ხელნაწერი.

ამ რიგად ვახტანგისეული დედნის თარიღი—რომ იგი მე-14 საუკუნის ნახევარზე უფრო ადრე დროს ეკუთვნის, შეურყეველი რჩება. აი ეს არის როგორც აღვნიშნეთ, გამოსავალი წერტილი ჩვენი შემდგომი ანალიზისა.—და ვინც იცნობს ჩვენს ნაშრომს რუსთველიანას, მას კარგად მოეხსენება, რომ მთავარი ნაწილი ტექსტის ისტორიისა სწორედ ამის შემდეგ იწყება. ის, რაც მეორე და მესამე პლასტზე იყო ნათქვამი, მხოლოდ შესავალს წარმოადგენს, ხოლო კარდინალური საკითხები ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესახებ ამის შემდეგ არის გან-

ხილული. ჩვენ მოვახდინეთ ერთგვარი არქეოლოგიური გათხრა ამ პირველ პლასტიკა—ვახტანგისეული დედნისა, რომელიც მე-14 საუკუნის ნახევარზე აღრე ჩამოყალიბებულა; გამოვარკვიეთ, როგორი იყო პოემის პირვანდელი სახე და შემადგენლობა; გამოვარკვიეთ თარიღიც—რომ ვეფხის-ტყაოსანი, ტექსტის ისტორიის თანახმად, შეუძლებელია წარმოშობილიყო მე-13 საუკუნის დასაწყისზე უფრო გვიან. (ყოველივე ამის შესახებ იხ. რუსთველიანა, გვ. 41—101).

აი ამ ცენტრალურ ნაწილს ტექსტის ისტორიას—კ. კეკელიძე გვერდს უვლის, რადგან მას, სჩანს, ამის დარღვევა არ შეუძლია.

იმ მრავალი და კარდინალური საკითხებიდან, რომელიც გამოკვლევის ამ ნაწილშია განხილული, კ. კეკელიძე ეხება ერთად-ერთ წვრილმან კითხვას. იგი ამბობს: სტროფი „გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზძარი ღამისა“ (რომელშიაც მოხსენებულია „ვინმე მესხი“) არ ეკუთვნის პოემის პირველ პლასტსო.

ამის შესახებ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი. კრიტიკოსის მოვალეობას შეადგენდა, გაერჩია არსებითი და არა არსებითი. იმ გარემოებით, თუნდაც „ვინმე მესხის“ შესახები სტროფი არ ეკუთვნოდეს პოემის პირველ პლასტს,—განაღიარდებოდა თუნდაც ერთი დებულება ჩვენი თეორიისა? რასაკვირველია არა. იგი შედარებით წვრილმანი საკითხია. ვეფხის-ტყაოსნის პირველი პლასტის თარიღი ირკვევა არა იმის მიხედვით, რომ აქ მოხსენებულია „ვინმე მესხი“, არამედ სულ სხვა და ბევრად უფრო მკვიდრ საბუთზეა დამყარებული, სახელდობ ტექსტის ანალიზზე (იხ. რუსთველიანა, I, გვ. 41—101). ყველა, ვისაც კარგად აქვს გათვალისწინებული ჩვენი გამოკვლევის მაგისტრალური ხაზი, იგი რასაკვირველია დაგვეთანხმება, რომ თუნდაც ეს სტროფი მეორე და მესამე პლასტის კუთვნილება ყოფილიყო, და არა პირველისა,—ამას არა აქვს ისეთი ორგანიული კავშირი ჩვენ თეორიასთან, და ამით ერთი იოტიც არ შეიცვლება ჩვენი დასკვნები.

ეს ერთი, რაშიაც კრიტიკოსი უნდა გარკვეულიყო.

ეხლა შევხვით საკითხს არსებითად. კ. კეკელიძე რასაკვირველია, ჩვეულებრივ სცდება, როცა ამბობს, რომ ეს სტროფი არ ეკუთვნის პირველ პლასტს. რა საბუთი არსებობს ამისი? ის საბუთი, გვეუბნება ჩვენი კრიტიკოსი, რომ იგი არისო მხოლოდ ექვს ხელნაწერში (№ 4988 *, 5006, 4732, 757, 461 და 54). ასე რომ იგი თითქოს სხვა ხელნაწერებში არ მოიპოვება.

კ. კეკელიძის ამ ცნობის შესახებ საჭიროა შევნიშნოთ შემდეგი:

1. ჯერ ერთი ხელნაწერების ჩამოთვლა არ არის სწორი და სრული. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ექვსი ხელნაწერისა, ეს სტროფი მოიპოვება აგრეთვე შემდეგს სამს ხელნაწერში: 1) უძველეს თარიღიან ხელნაწერში № 599 (ტფილისის საისტ.-საეთნ. მუზეუმისა); 2) ხელნაწერში № 78 (—ქუთაისის საისტ.-საეთნოგრ. მუზეუმისა); 3) ხელნაწერში № 15/1259 (ყოფ. მოსკოვის გარეშე საქმეთა არქივისა; ეხლა დაცულია ტფ. საისტ.-საეთნ. საზ. მუზეუმში № 2074).

2. რისთვის არ მოიპოვება ეს სტროფი სხვა ხელნაწერებში? იმ უბრალო

*) კ. კეკელიძის წერილში დაბეჭდილია № 4999, მაგრამ აქ ცხადი კორექტურული შეცდომაა. ასეთი ხელნაწერი ვეფხის-ტყაოსნისა არ არსებობს, არამედ № 4988.

გარემოების გამო, რომ ეს დანარჩენი ხელნაწერები დაზიანებულია¹⁾. ამ ხელნაწერების ბოლო ნაწილი, სადაც ეს სტროფი უნდა ყოფილიყო მუთავსებული, დაკარგულია. უცნაურია სწორედ! ამ დაკარგული ფურცლებიდან ერთი სტროფი ხომ არ გამოეთიშებოდა და მიეკერებოდა ვეფხის-ტყაოსანს!

3. არსებობს მხოლოდ ერთად-ერთი ხელნაწერი, № 2829, რომლის ბოლო თუმცა შენახულია, მაგრამ სადაც ეს სტროფი არ მოიპოვება. ხოლო რით აიხსნება ეს გარემოება? მხოლოდ იმით, რომ იგი დეფექტი დედნიდან მომდინარეობს, დაზიანებული ხელნაწერიდან არის გადმოწერილი. ეს მტკიცდება იმით, რომ აქ აკლია არა მარტო ეს სტროფი, არამედ აკლია აგრეთვე პოემის დასაწყისის სტროფები, და თითონ ტექსტის შუაგულშიაც ადგილ-ადგილ სხვა სტროფებიც. ცხადია ის პირველი დედანი, საიდანაც მიმდინარეობს ეს ხელნაწერი, დაზიანებული ყოფილა, მას, დეფექტობის გამო, ჰკლებია პოემის სხვა-და-სხვა ადგილები.

ამ რიგად მთელი ეს ვითომდა ფაქტიური შენიშვნა ჰკარგავს თავის ძალას²⁾.

და თავისთავად ყველა ფილოლოგიისათვის ცხადი უნდა იყვეს, რომ ასეთი მექანიკური მიდგომა ტექსტების გენეალოგიის გამორკვევის დროს ყოველად დაუშვებელია. ის გარემოება, რომ ესა თუ ის სტროფი შემთხვევით არის გამოჩენილი შემდეგი დროის ხელნაწერებში—სრულებით არ ნიშნავს, რომ იგი არ ეკუთვნის პირველ პლასტს. ეს აიხსნება იმით, რომ შემდეგი დროის გადამწერს სახელმძღვანელოდ დაზიანებული დედანი ჰქონდა³⁾. თუ რა ეკუთვნის პირველ პლასტს, ეს ირკვევა არა იმის მიხედვით, რომ ესა თუ ის თითო-ოროლა სტროფი გამოჩენიათ შემდეგი დროის გადამწერლებს დედნის დაზიანების გამო, არამედ იმით, რომ ეს სტროფები არის უძველეს ვახტანგისეულ დედანში.

ამ რიგად, ეს ერთად-ერთი ვითომდა ფაქტიური შენიშვნა, რომელიც კ. კეკელიძემ გააკეთა პირველი პლასტის ანალიზის შესახებ, როგორც ვხედავთ სრულიად უნიადაგოა.

* * *

ჩვენ ამით ვასრულებთ ტექსტის ისტორიის შესახებ საკითხების განხილვას. ჩვენ დაწვრილებით გავშინჯეთ ჩვენი კრიტიკოსის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებანი, და ვფიქრობთ მკითხველმა დაინახა, რომ კ. კეკელიძის ცდა ამ მხრით

1) არსებითად ესევე ებება ხელნაწერს A¹, რომლის ბოლო მთლიანად დეფექტ ტექსტს წარმოადგენს.

2) კ. კეკელიძე, როდესაც საბუთები არ ჰყოფნის, ჩვეულებრივ მიმართავს ზემოთ განცხადებებს კონტექსტის შესახებ, და კერძოდ ამ სტროფის შესახებაც ამბობს: „ვინმე შესხის“ შესახებ სტროფი ეწინააღმდეგება პირველი პლასტის ტექსტსო. რომ აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის, იხ. ამის შესახებ განმარტება რუსთველიანაში, I, გვ. 95—96.

3) ვეფხის-ტყაოსანის პრეციზული შესწავლიდან სჩანს, რომ ზოგიერთ დედანში, რომლითაც უხელმძღვანელოა გადამწერს, ჰკლებია ესა თუ ის ფურცელი, ზოგჯერ კიდევ შენახულ ფურცლებშიაც დაზიანებული ყოფილა ცალკე სტროფები, ზოგჯერ სიძველის გამო არ გაირჩეოდა ცალკე სიტყვებიც (—რადგან არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის სიტყვა ჩაწერილი არაა და მის მაგიერ ცალიერი ადგილია დატოვებული).

შეარყოს ჩვენი თეორია მართლაც რომ სიზიფის შრომას წარმოადგენს და ამას გარდა: რაც განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, კ. კეკელიძის ბევრე მტკიცება, როგორც გამოირკვა, დამყარებული ყოფილა ფაქტების ტენდენციურ გადმოცემაზე.

ტექსტის ისტორიის საკითხების განხილვის შემდეგ კვლევის ნიადაგი ერთგვარად მოსუფთავებულია და ამის შემდეგ აღარ მოგვიხდება ასე ხშირად გაესაჯოთ მკითხველი ვიწრო-სპეციალური ექსკურსებით ხელნაწერების ურთიერთობის შესახებ. ამის შემდეგ განსახილველია ორი საკითხი: პოემის თარიღი და ავტორის ვინაობა. და ჩვენ ვნახავთ, რომ ჩვენი კრიტიკოსის შეხედულებანი ამ საგანზე კიდევ უფრო შეუწყნარებელია ვიდრე ტექსტის ისტორიაზე, აქ მართლაც რომ მწვალებლური (ერეტიკული) აზრებია გამოთქმული, რასაც არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან.

(დასასრული იქნება)



თანამედროვე სამეურნეო პოლიტიკის სანსკრალო რიკი

პირველი პროლეტარული სახელმწიფოს სამეურნეო განვითარება შეურყევლად და სწრაფი ტემპით მიდის წინ მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რომელიც გამომდინარეობს კაპიტალისტური გარემოცვისა და ქვეყნის ჩამორჩენილობისაგან. ჩვენ უკვე დავამთავრეთ ჩვენი განვითარების ალდგენითი პერიოდი და შეუდევით მთელი სახალხო მეურნეობის ძირითად გადახალისებას, ამ მეურნეობის უფრო მაღალ, განვითარებულ ტექნიკურ საფუძველზე გადაყვანისა და ამ საფუძველზე სოციალისტური საზოგადოების აშენების გზით. სამეურნეო განვითარების დარგი წარმოადგენს გაპარჯვებულ და სახელმწიფოებრივ მთლიანობაში ჩამოყალიბებულ მუშათა კლასის კლასობრივი ბრძოლის იმ მთავარ ასპარეზს, რომელზედაც გაიმართება გადამწყვეტი ბრძოლა სოციალისტურ და კაპიტალისტურ სამეურნეო სისტემებს შორის.

სოციალისტური სამეურნეო აღმშენებლობა თავის განვითარების პროცესში სპობს იმ წინააღმდეგობას, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი ეკონომიკის გარდამავალი ხასიათიდან.

ესპობთ რა მთელ რიგ წინააღმდეგობებსა და დაბრკოლებებს, რომლებიც დღეს-დღეობით წამოპრილია ჩვენი მეურნეობის წინაშე, ჩვენ ვალწევთ განვითარების ახალ საფეხურებს, რომლებიც კვლავ აყენებენ ჩვენ წინაშე ახალ დაბრკოლებებს.

ეს დაბრკოლებანი გამომდინარეობენ ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის ახალ, უმაღლეს საფეხურის თავისებურ ხასიათისაგან.

ჩვენი სამეურნეო განვითარების უმთავრესი შედეგი ახალი ეკონომიური პოლიტიკის წინა წლების განმავლობაში გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ—ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებთან შედარებით, სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლის აღმშენებლობის მხრივ—მივალწიეთ უფრო მაღალ საფეხურებს და გადაუდებით განვითარების ისეთ ფაზისში, რომელიც აყენებს ახალ უფრო რთულ ამოცანებს, ან და ძველ ამოცანებს აძლევს ახალ სახეს.

სამეურნეო მშენებლობის არსებულ ფაზისში ცენტრალურ ღერძს, რომლის გარშემო თავმოყრილია სოციალისტური რევოლიუციის ყველა ძირითადი ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემები, წარმოადგენს ფასების პოლიტიკა.

ჩვენი ფასების პოლიტიკის კონკრეტული შინაარსი და მისი მიმართულება სხვა და სხვა პირობებში სხვა და სხვა გვარია და განისაზღვრება იმ სამეურნეო მდგომარეობით, რომელშიაც ის ხორციელდება.

ჩვენ გვაქვს ორგვარი საშუალება ფასების დინამიკაზე ზემოქმედებისა: პირველი — ფასები სასოფლო სამეურნეო პროდუქტებზე და მეორე — ფასები მრეწველობის პროდუქტებზე. ნხოლოთ ამ ორ საშუალებათა სწორ შეთავსებას შეუძლია უზრუნველყოს ის შედეგები, რომელიც შეადგენს ფასების საბურთო პოლიტიკის მიზანს.

ის ახალი, რაც ჩვენ გვაქვს ამჟამათ ფასების გამომუშავების პროცესში, ელემენტებში, რომლებიც განსაზღვრავენ ფასების მოძრაობას, რაც ჩვენ არ გვქონია ორი-სამი წლის უკან, გამოიხატება იმაში, რომ წინათ ფასების დამყარების პროცესში ბაზრის სტიქიური კანონები თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს, **ახლა კი**, რამდენადაც სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებრივებულმა სექტორმა — კოოპერაციამ და სახელმწიფო ვაჭრობამ — დაიკავა უმთავრესი ადგილი სასოფლო-სამეურნეო და მრეწველობის პროდუქციის გამსაღებელ ბაზარზე და უკვე ბაზრის **გადამწყვეტ**, **გამსაზღვრელ** ფაქტორს წარმოადგენს, — სტიქიური კანონების ძალა და მისი მოქმედების ასპარეზი საგრძნობლად შეზღუდულია.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა ორგანიზაციულათ მოწესრიგებულ სამეურნეო სექტორს.

გეგმითი საწყისი, რომელსაც ანხორციელებს პროლეტარული დიქტატურა, კოოპერაციისა და სახელმ. ვაჭრობის სახით, იპყრობს ბაზარზე ისეთ პოზიციებს, რომელიც საშუალებას აძლევს მას გახდეს ფასების შექმნის პროცესის გადამწყვეტ ძალათ, კაპიტალისტურ ტენდენციების გავლენის შეკვეცისა და **შევიწროების გზით**. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვაღწევთ ისეთ სიმაღლეებს, როდესაც **შესაძლებელი ხდება** გაცვლა-გამოცვლითი ნორმების **შეგნებული** რეგულამენტაცია. ჩვენ ეხლავე ვაწარმოებთ ფასების სახელმწიფოებრივ მოწესრიგებას სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის უმნიშვნელოვანეს პროდუქტებზე.

ამის გამო პროლეტარულ სახელმწიფოს ფასების პოლიტიკის მნიშვნელობა თანდათანობით უფრო ღრმავდება.

სახელმწიფოს ამჟამათ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ხვდება ფასების ფაქტიური დონის და მათი დინამიკის გამო ვიდრე წინად. ვინაიდან ამჟამათ კონკურენტის მნიშვნელობა ბაზარზე, როგორც ისეთი ფაქტორის, რომელსაც შეაქვს შესწორება, კორექტივი ჩვენ მიერ წარმოებულ ფასების პოლიტიკაში, ძლიერ შემცირებულია.

აქედან აუცილებელი ხდება ფასების პოლიტიკის უფრო ზედმიწევნით დამუშავება, მეურნეობის სხვა და სხვა დარგების პროდუქტებზე ფასების უფრო სწორი პროპორციის დაწესება სამეურნეო განვითარების პერსპექტივებისა და გეგმების თვალსაზრისით, ქვეყნის სხვა და სხვა რაიონების და მეურნეობის სხვა და სხვა დარგების გათვალისწინებისა და აღრიცხვის გზით; ვინაიდან ბაზარი და ფასების პოლიტიკა — წარმოადგენენ სახალხო მეურნეობის და განსაკუთრებით გლეხური მეურნეობის ყველაზე უმნიშვნელოვანეს **სახელმძღვანელო** იარაღს.

ამაჟამათ არსებული შეფარდება ფასებისა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქონელზე იმდენად არა ხელსაყრელია სასოფლო მეურნეობისათვის, და გლეხობისათვის, რომ შეუძლებელია ჩვენი პოლიტიკა **ხანგრძლივად** დავამყაროთ ამ შეფარდებაზე, თუ ჩვენ გვსურს მომავალში კიდევ უფრო გავაძლიეროთ ქალაქისა და სოფლის კავშირი და უზრუნველყოთ სასოფლო მეურნეობის, და განსაკუთრებით მისი ნედლეულობის მომწოდებელ დარგების, სწრაფი ტემპით განვითარება.

გლეხობისათვის არახელსაყრელი ფასების შეფარდება კიდევ უფრო ღრმავდება იმის გამო, რომ წარმატებით დავუფლეთ რა სასოფლო-სამეურნეო საქონ-

ლის ბაზარს და დავაწესეთ მათზე სახალხო მეურნეობისათვის მისაღები ფასები, ჩვენ ვერ შევსძელით პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის დირექტივების თანახმად, შესაფერისად დაგვეკლო საცალო ფასები სამრეწველო საქონელზე. ამან გამოიწვია „მაკრატლის“ პირების კიდევ უფრო დაშორება და უფრო მწვავე ხასიათი მისცა სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების ამოცანას.

რომ შევადაროთ მიმდინარე 1926-27 წ. წ. პირველი მეოთხედი წარსული სამეურნეო წლის შესაფერ მეოთხედს, მაშინ დაეინახავთ, რომ ამ წელში სასოფლო-სამეურნეო ფასები დაკლებულია 9%-ით, ხოლო საცალო ფასები სამრეწველო საქონელზე აწეულია 4,2-ით. თუ 1925-26 წ. სასოფლო-სამეურნეო საქონლის ინდექსი, სახელმწიფო დამამზადებელთა ფასების მიხედვით, რომის წინა დროსთან შედარებით უდრიდა 1,267, მიმდინარე წლის იმავე მეოთხედში მან დაიწია 1,153-მდე. ხოლო სამრეწველო საქონლის ინდექსმა საცალო ფასების მიხედვით (ც. სტ. სამმ. ცნობით) აიწია 2,16-დან—2,25-მდე. სხვაგვარათ, გლეხობისათვის სამრეწველო საქონელი ორჯერ უფრო ძვირია, ვიდრე ომამდე იყო.

აი, რატომ გახდა ამაჟმათ ფასების პოლიტიკა ჩვენი პოლიტიკის ცენტრალურ პრობლემათ. პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების და მრეწველობის შემდეგი განვითარების ინტერესები მოითხოვენ ფასების შეფარდების შეცვლას სასოფლო-მეურნეობის სასარგებლოთ.

ამ ამოცანის განხორციელება შესაძლებელია ორი გზით:

ან ფასების აწევით სასოფლო-სამეურნეო საქონელზე იმ პირობით, რომ სამრეწველო ხარჯზე ფასები უცვლელად დარჩება;

ან ფასების დაკლებით სამრეწველო საქონელზე იმ პირობით, რომ დაცული იქნება სასოფლო-სამეურნეო ფასების არსებული დონე.

ჩვენ არ შეგვიძლია წავიდეთ პირველი გზით, რადგან ეს ნიშნავს ჩერვონეცის მსყიდველობითი უნარის შემცირებას, სიძვირის გაძლიერებას, რეალურ სამუშაო ხელფასის დაკლებას და სხვა. ეს გზა ქმნის დიდ დაბრკოლებებს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის და იძლევა საშიშ, არა სწორ სასოფლო-სამეურნეო ორიენტროვკას, არარაობათ აქცევს იმ წარმატებას, რომელსაც ჩვენ მივალწითეთ უკანასკნელ წელს პურის დამზადების დარგში. პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმი სრულიად მართალი იყო, როდესაც დაადგა სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების უცვლელად შენარჩუნების გზას.

ც. კ-ის პლენუმის დირექტივა შეიცავს არა მარტო დირექტივას—დაკლებული იქნას 1-ლ იენისამდე ფასები სამრეწველო საქონელზე საშუალოთ 10¹/₁₀-ით, შედარებით ფასების იმ დონესთან, რომელიც არსებობდა მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის, საბითუმო ფასების დაკლების აღრიცხვით ის განსაზღვრავს აგრეთვე უახლოეს წლების განმავლობაში მთელი ჩვენი ფასების პოლიტიკის—**როგორც სამრეწველო ფასების სისტემატიური დაკლების ამოცანის შინაარსს**

ეს სახალხო-სამეურნეო ორიენტროვკა სამრეწველო ფასების დაკლებაზე, რომელიც დაკავშირებულია სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაკლების ამოცანასთან, გამომდინარეობს ჩვენი პარტიის პოზიციიდან ამ საკითხში, პოზიციიდან, რომლის წინააღმდეგაც სისტემატიურათ ილაშქრებდა ოპოზიცია.

პარტიამ, რომელიც მიისწრაფოდა საბითუმო ფასების დაკლებისაკენ, წარსული წლის გაზაფხულზე თავის ყურადღების ცენტრი მიაპყრო საცალო ფასების დაკლებას, რადგან საბითუმო და საცალო ფასების დონე დიდათ და-

სცილდა ერთი მეორეს, რაც გამოაშკარავა საბითუმო-საცალო „მაკრატლის“ გამწვავებამ.

ოპოზიცია კი მოითხოვდა საბითუმო ფასების აწევას და თავის გამოჩენილ ეკონომისტების სახით ჯერ კიდევ ზაფხულზე—წერილებში და არაპოპულარულ ფურცლებში—ასაბუთებდა საბითუმო ფასების აწევის აუცილებლობას. მალაღი ფასების პოლიტიკა წარმოადგენდა 1923 წ. და 1926 წლის გაერთიანებული ოპოზიციის ეკონომიური პროგრამის ძირითად ნაწილს.

პარტიამ ერთსულოვნად უკუაგდო ოპოზიციის შემოტევა და უარყო მისი ანტი-ლენინური, დამლუპველი პოლიტიკა.

თუმცა დირექტივა საცალო ფასების დაკლების შესახებ სრულიადაც არ იყო შესრულებული, მაგრამ ჯერ კიდევ წარსული წლის დეკემბერში ც. კ-ის პოლიტბიურომ დაადგინა შესდგომოდა საბითუმო ფასების დაკლებას, და ამასთანავე ერთად კიდევ უფრო მეტი ენერგიით განეგრძო ბრძოლა საცალო ფასების დაკლების მიზნით. ხოლო ც. კ-ის თებერვლის პლენუმის სავსებით დროული და აუცილებელი დადგენილება საცალო ფასების დაკლების შესახებ, ადასტურებს პოლიტბიუროს გადაწყვეტილებას და იძლევა ფასების პოლიტიკის დარგში პარტიის მოქმედების ფართო პროგრამას.

ამ პლენუმზე ერთხელ კიდევ გამოაშკარავდა ჩვენი პარტიული პოლიტიკის მთელი სისწორე და ოპოზიციის სიკოტრე: ოპოზიცია, რომელმაც დაჰკარგა თავის პოლიტიკური კაპიტალი და იძულებული გახდა ხმა მიეცა პოლიტბიუროს მიერ წარმოდგენილ წინადადებისათვის ყოველივე შესწორების გარეშე, სცდილობდა თავის გუშინდელი პროგრამის უარყოფას. მან განაცხადა, რომ მხოლოდ „ციებ-ცხელების ბოდვის“ დროს შეიძლება „მიაწერო“ ოპოზიციას მალაღი ფასების პოლიტიკა. ეს მაშინ, როდესაც ოპოზიციის ლიდერები—პიატაკოვი, პრეობრაჟენსკი, სმირნოვი და სხვები—თავის მრავალ გამოსვლებში ილაშქრებდნენ პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ და იცავდნენ საბითუმო ფასების მომატებას. პრეობრაჟენსკი ეხლაც კი ეწინააღმდეგება საბითუმო ფასების დაკლებას. ის მხოლოდ საბითუმო ფასების მომატების პოზიციიდან გადავიდა არსებულ მალაღი ფასების დაცვის პოზიციაზე.

და ამის შემდეგ ოპოზიციას ყოფნის „განბედაობა“ ილაპარაკოს იმაზე, რომ ეს არ წარმოადგენდა მის პროგრამას და რომ მას ეხლა არაფერ არ იცავს.

თავის უპრინციპო და დემაგოგიური პოლიტიკით, ოპოზიცია ფიქრობს შეიმოსოს ახალი იარაღით. წინათ ის მოითხოვდა ფასების მომატებას, ხოლო ამჟამათ ჰპოვა რა წინააღმდეგობა მუშებში, იცვლის ორიენტაციას, და ამ გზით ფიქრობს მოიპოვოს პოლიტიკური კაპიტალი. მაგრამ ვერაფერითარც ახალი ორიენტაციის მიღება, ვერაფერითარც ფრონტის გამოცვლა ოპოზიციის მხრივ, ვერ გამოიყვანს მას სრული გაკოტრების მდგომარეობიდან, ვერ გააცოხლებს ოპოზიციის ლეშს.

სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების ამოცანა მოითხოვს ჩვენი პარტიის და მუშათა კლასის ძალღონის კონცენტრაციას ბრძოლის ორ პუნქტზე. პირველი—სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაკლებაზე და მეორე—საცალო ფასების დაკლებაზე—საქონლის გამტარებელ აპარატის ხარჯების შემცირების გზით.

ისეთ პირობებში, როდესაც მრეწველობამ მიაღწია ომამდე არსებულ ნორმას და გადავიდა რეკონსტრუქციის პერიოდში, მხოლოდ თვითღირებულების სისტემატიური დაკლების გზით შეიძლება სამრეწველო საქონელზე გლახობისათვის მისაღები ფასების უზრუნველყოფა, ქალაქსა და სოფელს შორის ურყევი კავშირის ეკონომიურად გაძლიერება და სოციალისტური ინდუსტრიისათვის

ხელმძღვანელი როლის მინიჭება სასოფლო მეურნეობის მიმართ, იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს სასოფლო მეურნეობის ტენიკური გადახარისხვა და წვრილ მესაკუთრე გლეხური მეურნეობის ჩამოყალიბება მეურნეობის განსახორციელებრივებულ ფორმაში. სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაკლებას და სამრეწველო საქონლის გაიაფებას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თვით მრეწველობის განვითარებისათვის, ვინაიდან მხოლოდ მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის გაძლიერებას და სამრეწველო საქონლის გაიაფებას შეუძლია შინაგანი ბაზრის ტევადობის გაფართოება სამრეწველო საქონლის გასაღებისათვის, ე. ი. ამით გაძლიერდება ჩვენი მრეწველობის გაზრდის საფუძველი. ეს ამოცანა აქტუალურ ხასიათს იღებს, რადგან მრავალ სამრეწველო საქონლის გასაღებას წინ ეღობება დაბრკოლებანი, ან იმის გამო, რომ თავის ხარისხით და ასორტიმენტით ისინი არ შეეფერებიან მომხმარებელთა მოთხოვნნილებებს, ან და ეს პროდუქცია უფრო ჩქარი ტემპით იზრდება, ვიდრე მასზე არსებული მოთხოვნნილება. ჩვენ რომ თავის დროზე არ მიგველო ზომები ფასების დასაკლებათ და ჩვენი მრეწველობის ბაზრის მოთხოვნნილებებისადმი შესაგუებლად, მაშინ გასაღების დარგში არსებული და აუცილებელი დაბრკოლებანი წარმოშობდენ კრიზისის ელემენტებს სახალხო მეურნეობაში და შესაძლებელია მათი გაერთიანება ჩვენ მიგვიყვანდა ნამდვილ კრიზისამდე. გეგმიანი მეურნეობის მთელი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ ის საშუალებას იძლევა თავის დროზე აცილებულ იქნას კრიზისის საშიშროება, და ამრიგად ხელი შეეწყოს სახალხო მეურნეობის წინსვლას მინიმალურ დაბრკოლებითა და შეფერხებით. ჩვენ რომ ამჟამათ არ დაესდგომოდით სისტემატიურ ღონისძიებათა გზას ფასების დაკლებისა და სამრეწველო პროდუქციის გაუმჯობესების დარგში, ჩვენ ვერ ავცილდებოდით კრიზისს. ც. კ-ის თებერვლის პლენუმის დადგენილება და მის მიერ მოცემული სახალხო მეურნეობის ორიენტროვკა ნიშნავს, რომ ჩვენ მიუდივართ კრიზისის ტენდენციების წინააღმდეგ, არ ვაძლევთ რა მას აკუმულიაციის და გაძლიერების საშუალებას. ამოცანა გამოიხატება ამ დაბრკოლებათა ლოკალიზაციაში და მათ ნაწილობრივ მოსპობაში.

ცხადია, რომ ჩვენ ფასების პოლიტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობისათვის ეკონომიურად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან, რომლებიც გარს არტყია საბჭოთა კავშირს. ფასების მაღალი დონე საბჭოთა წარმოების პროდუქციაზე მსოფლიო ფასებთან შედარებით ქმნის „მაკრატელს“ საბჭოთა და მსოფლიო ფასებს შორის სამრეწველო საქონელზე. ეს შეფარდება წარმოადგენს დიდ დაბრკოლებათა და საფრთხეთა წყაროს ჩვენი სამეურნეო განვითარებისათვის, ასაზრდოებს ტენდენციებს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ. ერთის მხრივ ის აძლიერებს ზემოგების მოტრფიალე დასავლეთ-ევროპიულ და ამერიკანულ კაპიტალისტების ინტერვენციონისტურ შემოტევას, (ეს ზემოგება შესაძლებელია წარმოიშვას საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო ფასების დაცილების საფუძველზე), აძლიერებს საგარეო კაპიტალიზმის შემოტევას საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ფოლადისებურ მტკიცე საფუძვლების წინააღმდეგ, რომელიც იცავს საბჭოთა ინდუსტრიას და სოციალისტურ სამეურნეო მშენებლობას, და მეორეს მხრივ, ასაზრდოებს საბჭოთა კავშირის შიგნით ტენდენციებს, რომლებიც მიმართულია საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის დაშლისაკენ. საგარეო ვაჭრობის მონოპოლიისათვის ამ ორგვარი საფრთხის მოსასპობათ აუცილებელია სამრეწველო საქონელზე ფასების სისტემატიური დაკლება.

ფასების დაკლების ამოცანას აქვს აგრეთვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენ საგარეო სავაჭრო ურთიერთობაში აღმოსავლეთთან. მუშათა კლასი-

სა და გლეხობის კავშირი რუსეთის რევოლუციის პირველ პერიოდში ემყარებოდა უმთავრესად პოლიტიკურ პრობლემათა მოგვარებას, რომლის შემდეგ ქალაქისა და სოფლის კავშირის სიმძიმის ცენტრი გადაიხარა ეკონომიკურ-ურთიერთობისაკენ. დაახლოებით ასევე უნდა მოგვარდეს ერთადერთი პრობლემატარულ სახელმწიფოს დამოკიდებულება განთავისუფლების გზაზე მდგომ აღმოსავლეთის გლეხობასთან. თუ ამჟამად საბჭოთა კავშირი სარგებლობს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბნულ აღმოსავლეთის მშრომელთა მასების სიმპატიით, ამ ამოცანის განხორციელების შემდეგ, პირველ პლანზე წამოიჭრებიან ეკონომიური ხასიათის საკითხები. პროლეტარიატმა, რომელიც აშენებს სოციალიზმს, კიდევ უფრო მეტად უნდა განამტკიცოს მჭიდრო კავშირი საბჭოთა კავშირის გლეხობასთან, უზრუნველყოს სოციალისტური მრეწველობის ხელმძღვანელობით როლი ჩვენი გლეხური მეურნეობის მიმართ, — და ამავე დროს უნდა ემზადოს იმისათვის, რომ განახორციელოს ს. ს. რ. კ-ის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობითი როლი გლეხურ აღმოსავლეთის მიმართ, უნდა გაუწიოს მას დახმარება იმპერიალიზმის კაპიტალისტური უღლისგან განთავისუფლების საქმეში და ხელი შეუწყოს აღმოსავლეთის ჩამორჩენილ ქვეყნების არაკაპიტალისტურ განვითარებას. თეორიულად ცხადია, რომ მოწინავე ქვეყნებში რევოლუციის გამარჯვების შემდეგ — აღმოსავლეთის ქვეყნების სამეურნეო განვითარების ისტორიის ბორობალი არ გაივლის კაპიტალისტური განვითარების მთელ გზას, არამედ, მოწინავე სოციალისტურ ქვეყნების დახმარებით შესძლებს მეურნეობის სოციალისტური ფორმებისკენ წინსვლას უფრო მოკლე გზით.

სამრეწველო საქონლის გაიაფების ამოცანა ვერ გადაწყდება მარტო-მარტო საბითუმო ფასების დაკლებით, რადგან ჩვენი საქონლის ბრუნვისა და საქონლის გამტარებელ ქსელის არსებულ მდგომარეობის გამო მოსალოდნელია, რომ საბითუმო ფასების დაკლება სავსებით ვერ გატარდება, ე. ი. ის ვერ მიადწევს თავის მიზანს.

საბითუმო საცალო „მაკრატლის“ არსებობა, ე. ი. საცალო ფასების არანორმალური მაღალი დონე საბითუმო ფასების წინააღმდეგ, საცალო ფასების დაკლებას საქონლის გამტარებელ ქსელის ხარჯზე აქტუალურ პოლიტიკურ და ეკონომიურ პრობლემის ხასიათს აძლევს. საბითუმო-საცალო „მაკრატელი“ ნიშნავს იმას, რომ ბრუნვის სფეროში უძიზნოთ იხარჯება და გროვდება გაცილებით უფრო მეტი ღირებულება, რომელსაც ქმნიან მუშები და გლეხები, ვიდრე ეს საჭიროა იმისათვის, რომ ბრუნვის აპარატი ნორმალურადასრულებდეს თავის სახალხო სამეურნეო ფუნქციებს.

საბითუმო-საცალო „მაკრატლის“ მოსპობა კერძოთ ვაჭრობის სფეროში საზღვრავს კერძო კაპიტალისტურ დაგროვების ფარგლებს, ხელიდან აცლის კერძო პირს ზემოგებას, რომელიც იქმნება საბითუმო-საცალო ფასების დამორების საფუძველზე.

საბითუმო-საცალო „მაკრატელი“, რომელიც იფურჩქნება საქონლის ნაკლებობის ნიადაგზე და გასაოცარ ხასიათს იღებს წამგებიან საქონლის გასაღების დარგში, შესაძლებელია მოისპოს შემდეგი გზით:

1) საქონლის გამტარებელ ქსელის რაციონალიზაციითა და საქონლის მწარმოებლისაგან მომხმარებლისაკენ მოძრაობის გზის გამარტივებითა და შემოკლებით.

2) სავაჭრო აპარატის ხარჯების შემცირებით და

3) იმ დაგროვებათა შემცირებით საქონლის გამტარებელ ქსელში, რომელიც ამ ბოლო წლებში არანორმალურად გაიზარდა.

ფასების დაკლების და საქონლის ბრუნვის მოწესრიგების ამოცანა უშუა-

ლოთ ემყარება საქონლის ბრუნვის ისეთი აპარატის შექმნის პრობლემას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედვას პროდუქტების სოციალისტური განაწილების აპარატის შექმნას. ლენინის სტრატეგიული გეგმა, რომელშიც მოხსენიებულია ჩვენი ქვეყნის მოძრაობის გზა კაპიტალიზმისაგან — ახალი ეკონომიური პოლიტიკის საშუალებით — სოციალიზმისაკენ, შეიცავს იმ რგოლსაც, რომელიც გაცვლა-გამოცვლის დარგში წარმოადგენს სოციალისტური მეურნეობის აშენების სისტემას ახუ ფორმას.

ძირითად დასაყრდენს, რომლის საშუალებითაც ჩვენ, სოციალისტურ ინდუსტრიაზე დამყარებით, პირველ რიგში უნდა გავაერთიანოთ გლეხობა და წავიყვანოთ ის სოციალისტური გზით, წარმოადგენს კოოპერაცია. საჭირო არ არის სოციალისტურ სამეურნეო მშენებლობის დროს გაცვლა-გამოცვლის აპარატის ახალი ტიპის ძიება. კოოპერაცია წარმოადგენს ყველაზე უფრო რაციონალურ სამეურნეო სისტემას, რომლის საშუალებითაც ჩვენ ვაწარმოებთ სოციალისტურ მეურნეობის მშენებლობას.

ჩვენმა საქონლის გამტარებელმა ქსელმა, მიუხედავად იმისა, რომ თავის ტიპით ყველაზე უფრო მოწინავე და რაციონალურია განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებითაც კი, ჩვენი უკულტურობის, ტექნიკური და ორგანიზაციული ჩამორჩენილობის გამო, ჯერ კიდევ ვერ მოგვცა ის უდიდესი სახალხო-სამეურნეო ეფექტი, რომელიც შეუძლია მოგვცეს საქონლის ბრუნვის რაციონალურად დაყენებულმა განსახოგადოებრივებულმა სისტემამ. ჯერ კიდევ მარქსი აღნიშნავდა, რომ კაპიტალიზმი, რომელიც ზედმიწევნით დიდ ეკონომიას იცავს წარმოების დარგში (მართალია, სამუშაო ძალის დაუნდობელი და მტაცებლური ხარჯვის პირობებში), გაცვლა-გამოცვლის დარგში ყველაზე უფრო გამფლანგველ წყობილებას წარმოადგენს. კოოპერაციის შემდეგ გამაგრებას, მის ორგანიზაციულ, ტექნიკურ და ფინანსურ ძლიერების განმტკიცებას, ყველაზე უფრო მოწინავე კაპიტალისტური ტექნიკის შეთვისებას ვაჭრობის დაყენების მხრივ — შეუძლია ბოლო მოუღოს კაპიტალისტურ ფლანგვას, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენშიაც, რამდენადაც ჩვენში გასაქანი აქვს კერძო კაპიტალსა და სტიქიურ კონკურენციას. საქმის რაციონალური და ეკონომიური დაყენება წარმოადგენს უდიდეს დაგროვებათა წყაროს სახალხო მეურნეობაში და უზრუნველყოფს სოციალისტური დაგროვების უფრო ინტენსიურ ტემპს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. ამის გამო, ჩვენ კოოპერაციის მიღწევათა შეფასების დროს, მიღწევების, რომლებიც ჩვენ აუცილებლად გვაქვს უკანასკნელ წლების განმავლობაში, არ უნდა ვემყარებოდეთ შედარებას 1923 წ. ონის წინა დროის, ან კაპიტალისტურ ქვეყნების კოოპერაციის მდგომარეობასთან. კოოპერაცია მხოლოდ მაშინ გამოააშკარავებს თავის უპირატესობას კაპიტალისტურ ვაჭრობის წინაშე, როდესაც:

1) ახიური წესით ვაჭრობის მაგივრად მოაგვარებს კულტურულ ვაჭრობას და უზრუნველყოფს ბრუნვის უფრო ნაკლებ ხარჯებს, ვიდრე ამას ადგილი აქვს კაპიტალისტურ ვაჭრობაში,

2) დასძლევს ბაზრის სტიქიას და მასთან დაკავშირებულ ფლანგვას,

3) შესძლებს მოწინააღმდეგეების მილიონიან მასების ჩაბმას კოოპერატიულ აღმშენებლობაში და შექმნის განათლებულ კოოპერატორების წყობილებას.

მივალწიეთ რა უდიდეს წარმატებას საქონლის ბრუნვის უმეტესი ნაწილის კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის ხელში კონცენტრაციის მხრივ, ჩვენ ავიწიეთ რამოდენიმე საფუძვლიან ძალსა და შევეჯახეთ ახალ დაპრკოლებებსა და საფრთხეს, რომლებიც გამომდინარეობენ ამ ახალი მდგომარეობიდან, ახასიათებენ მას. კოოპერაციას და სახელმწიფო ვაჭრობას მონოპოლური მდგომარეობა აქვს მოპოებული ბაზარზე, რაც შემდეგ წარმატებასთან ერთად სულ უფრო

ღ უფრო გაძლიერდება. მაგრამ ყოველგვარი მონოპოლური მდგომარეობა ორგანიზაციების მონოპოლური ტიპი შეიცავს თავის სპეციფიურ საფრთხეს. კაპიტალისტური მონოპოლია, რომელიც წარმოადგენს უმაღლესსა და უმეტესწილად ფორმას, როგორც კი შეიძლება მიღწეულ იქნეს კაპიტალიზმის ფუნქციონირების ბელ დაღობის პირობებში აყენებს სახალხო მეურნეობას. სახალხო მეურნეობის გადარჩენა დაღობისაგან შეუძლია მხოლოდ სოციალიზმს, რომელიც ემყარება რა მიღწეულ უმაღლეს ფორმას, წაიყვანს მეურნეობას შემდეგი განვითარების გზით.

საბჭოთა ეკონომიკის ფარგლებში არსებული მონოპოლია მითი განსხვავდება კაპიტალისტური მონოპოლიისაგან, რომ დაღობის ბედი ჩვენთვის არ წარმოადგენს აუცილებლობას. მაგრამ, შესაძლებელია განსახიფრული, ცალკე პუნქტების მონოპოლისტური სიდაძლე. ლაპარაკია ჩვენი სამეურნეო ორგანოების ბიუროკრატიზაციის საფრთხეზე, მათი შემდეგი განვითარებისა და გაუმჯობესების სტიმულის შესუსტებაზე, მასებისაგან ჩამოშორებაზე და მათი მოთხოვნილებისადმი უყურადღებობაზე. არსებითად, სამეურნეო ორგანოების ბიუროკრატიზაციის საფრთხე წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოს ბიუროკრატიულ გადაგვარების საფრთხის უმთავრეს ნაწილს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა შეადგენს ჩვენი პარტიისა და მუშათა კლასის ძირითად ამოცანას.

ჩვენ ყოველი მხრიდან უნდა უზრუნველვყოთ თავი ჩვენ სამეურნეო სისტემაში ჩართულ ამ საშიშ მოვლენებისა და ტენდენციების გაძლიერებისაგან.

პირველ, ძირითად და ყველაზე უფრო საიმედო დაზღვევას წარმოადგენს მასების ნამდვილი, ცოცხალი ჩაბმა სამეურნეო მშენებლობის საქმეში, სამეურნეო ორგანოების მოქმედების შემოწმებაში.

ბიუროკრატიზმის ყველაზე უფრო საშიში მხარე გამოიხატება არა „ვოლოკიტაში“, ნელ მუშაობაში, რომელიც გამოწვეულია ჩვენი უკულტურობით, ტექნიკური ჩამორჩენილობითა და სიღარიბით, ბიუროკრატიზმის უმთავრესი სოციალური საშიშროება გამოიხატება მასებისაგან ჩამოშორებაში. მოწინავე ქვეყნების კაპიტალისტური საწარმოებები და სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც მუშაობენ ხშირად უფრო სწრაფად, უფრო კულტურულად, ვიდრე ჩვენი სამეურნეო ორგანოები, უფრო ბიუროკრატიული ხასიათის არიან, რადგან მათი ორგანოები სრულიად დაცილებულია მასებისაგან და შექმნილია მასების წინააღმდეგ. კაპიტალისტური სისტემის პირობებში, როგორცაა დიდი არ უნდა იყოს წარმატება საქმის რაციონალიზაციის მხრივ, ისინი ვერასოდეს ვერ შესძლებენ ბიუროკრატიზმის დაძლევას, რადგან ბიუროკრატიზმი ბურჟუაზიული წყობილების ორგანიზაციულ თვისებას შეადგენს. საბჭოთა სამეურნეო და სახელმწიფოებრივი სისტემა კი იმის გამო არის მოწინავე თავის ტიპით, რომ იგი თავის გაუმჯობესებასა და განვითარებასთან ერთად უარყოფს ბიუროკრატიზმს და გულისხმობს მასებთან დაახლოებას, ხოლო შემდეგში სახელმწიფოებრივ და სამეურნეო აპარატის მთლიანად მასებთან შედუღებას. აი, რატომ წარმოადგენს კათეგორიულ და აუცილებელ ამოცანას მასების აქტიური მონაწილეობა სამეურნეო მშენებლობაში საერთოთ, ხოლო ამჟამათ ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში.

მეორე დაზღვევა—უნდა გამოიხატებოდეს მთელი სამეურნეო აპარატის ისეთ მოწესრიგებაში, რომ იგი თავის შინაგანი კონსტრუქციით უზრუნველყოფდეს სამეურნეო აპარატის სხვადასხვა რგოლთა ურთიერთ შემოწმებას, რაც აადვილებს არსებულ ნაკლის მოსპობას და ქმნის საქმის გაუმჯობესების სტიმულს.

მესამე დაზღვევა—პროლეტარულ სახელმწიფოს მხრივ სამეურნეო სისტემაზე ხელმძღვანელობის გაძლიერება, მის ცალკე რგოლთა მოქმედების დამორჩილება პოლიტიკის საერთო ამოცანებისადმი. ეს ნით უფრო საჭიროა, რომ ხში-



რათ ცალკე სამეურნეო ორგანოების და მათში მომუშავე ხელმძღვანელოთა მოქმედებაში, ლოკალური, ადგილობრივი, ამა თუ იმ ორგანოს ან დაწესებულების კერძო ინტერესები სძლევენ სამეურნეო პოლიტიკის საერთო-ამოქმედებულ და პარტიის საერთო დირექტივებს. გეგმიანი ხელმძღვანელობის გაძლიერებამ სამეურნეო მოქმედებაზე და განსაკუთრებით ბაზარზე უნდა უზრუნველყოს სამეურნეო ორგანიზმის ცალკე ნაწილების მოქმედების გეგმიანი შეთანხმება მთელ საერთო პოლიტიკასთან, რათა პროლეტარულ სახელმწიფოს ყველა სამეურნეო სახელმძღვანელო სიმალღეები, ყველა მისი მამოძრავებელი ძალები მოქმედებდნენ ერთი და იმავე მიმართულებით, სახელდობრ, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მიმართულებით.

მხოლოდ ყველა ამ **სამ დასაზღვევ** საშუალებათა ერთდროული და სრული გამოყენებით შევსძლებთ ჩვენ არამც თუ საშიშ ტენდენციების მოსპობას, არამედ წარმატებით წინსვლას სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის გზით.

საცალო ფასების დაკლების ამოცანა ამაჟამად უშუალოდ დაკავშირებულია დაგროვების პრობლემასთან საქონლის გამტარებელ ქსელში. კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა, რომლებიც სარგებლობდნენ ბაზარზე არსებული ხელსაყრელი კონიუნქტურით, და ამავე დროს განიცდიდნენ ძირითად და საბრუნავ კაპიტალის ნაკლებობას, წინააღმდეგობას უწყევდნენ ფასების დაკლებას, იცავდნენ საცალო ფასების მაღალ დონეს და მით უარეს პირობებში აყენებდნენ მშრომელთა მასებს, მაშინ როდესაც სავაჭრო აპარატის ხარჯებს შესაფერად არ ამცირებდნენ. ამის გამო უკანასკნელი წლის განმავლობაში ისინი აგროვებდნენ უდიდეს მოგებას. ეს მოგება არანორმალურად დიდია არა მარტო წარსულ წლებთან შედარებით, არამეთ თავის საკუთარ კაპიტალთან და ბრუნვასთან შედარებითაც. მაღალი კონიუნქტურული მოგება—ყველაზე უფრო საშიში მტერია, რომელიც წინ ეღობება დანართ ხარჯების და წარმოებისა და ბრუნვის ხარჯების შემცირებას. ფასების დაკლებისა და მუშებისა და გლეხების მომხმარებელთა მასების კოოპერატიულ მშენებლობაში ჩაბმის ამოცანამ უნდა გამოიწვიოს იმ უდიდესი და გასაოცარი დაგროვების შემცირება, რომელსაც ადგილი აქვს საქონლის გამტარებელ ქსელში. მხოლოდ მაშინ, როდესაც ძლიერ შემცირდება მოგების ის ნორმა, რომელიც შეტანილი იქნება სავაჭრო ორგანიზაციების საქონლის კალკულიაციაში, ჩვენ შევძლებთ ფასების დაკლებას. მეორე—საჭიროა კოოპერაციას და სახელმწიფო ვაჭრობას მიეცეს რეალური სტიმული, რომ მათ დაგროვება ფასების მაღალი დონის საშუალებით კი არ აწარმოონ, არამეთ საქონლის გამტარებელ ქსელის რაციონალიზაციისა და ხარჯების შემცირების გზით.

ეს დაგროვება უნდა განისაზღვრებოდეს მინიმალური ნორმით, რომლის მიზანი იქნება ჯერ ერთი—კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის საჭირო კაპიტალით შევსება მათი ბრუნვის შემდეგი გაძლიერების უზრუნველსაყოფათ, და მეორე, საშუალებათა მობილიზაციისათვის სავაჭრო აპარატის ტექნიკის გაუმჯობესების მიზნით, როგორც არის: მაღაზიების და საწყობების გადიდება, დამტვირთავ და განმტვირთავ ოპერაციების მესანიზაცია, პურის ქარხნების, საყინულეების, რძის სადგურების აგება და სხვა და სხვა. ეს მუშაობა,—ჩვენი ვაჭრობის უფრო მაღალ ტექნიკურ ბაზისზე გადაყვანის მიზნით,—უნდა სწარმოებდეს გეგმითი წესით იმ საშუალებათა ფარგლებში, რისი გაღებაც შეუძლია ამ ამოცანათა განსახორციელებად სახალხო მეურნეობას. ამ ღონისძიებათა გატარება უნდა ხდებოდეს იმავე გეგმითი წესის მიხედვით, როგორც კაპიტალური მშენებლობის წარმოება მრეწველობის დარგში.

ფასების დაკლების ამოცანა წარმოადგენს ისეთ პრობლემას, რომელიც უფრო, ვიდრე სხვა ამოცანა, დაკავშირებულია მუშათა და გლეხობის ყველაზე



უფრო ჩამორჩენილ ფენების ყოველდღიურ უშუალო მოთხოვნებზე. ამიტომ მასების ჩაბნა ბრძოლაში ფასების დაკლებისათვის განსაკუთრებით აუცილებელია და მას სწრაფი წარმატების უდიდესი შანსები აქვს ამ საქმეში. ამიტომ უნდა ეს ამოცანა დაევალება უნთავრესად პარტიულ ორგანიზაციებს, კერძოდ კი საბჭოებს, ქალაქში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს პროფესიონალურმა კავშირებმა, რომელიც მუშათა ფართო მასებს აკავშირებს ჩვენს პარტიასთან. ფასების დაკლება ნიშნავს ბრძოლას რეალური ხელფასის მომატებისათვის, — ამოცანა, რომელიც წარმოადგენს პროფკავშირების მუშაობის ორგანიულ და უმთავრეს მიზანს. წარსული-წლის საცალო ფასების მომატებამ ფაქტიურად შეამცირა მუშათა ხელფასი და ამით საგრძნობლად დაუკარგა მნიშვნელობა ჩვენ მიერ ჩატარებულ ნომინალურ ხელფასის მომატებას. წარსული წლის მაისიდან ბაზარზე მოხდა გარდატეხა — რამაც არამც თუ შეაჩერა მუშათა საბიუჯეტო ანაწყოების ღირებულების მომატება, არამედ საგრძნობლად შეამცირა იგი იმის გამო, რომ დაკლებული იქნა ფასები სასოფლო-სამეურნეო საქონელზე. პირველ მაისიდან I/X-ამდე საქ. პრ. კავ. საბ. ცნობებით (უფრო ახლო ცნობები არ მოგვეპოვება) ნომინალურმა ხელფასმა აიწია 9% -ით, რეალურმა კი 19% -ით. ჩვენ რომ სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების დარგში უფრო წარმატებით შეგვესრულებია პარტიის დირექტივა, მაშინ ხელფასის რეალური მომატება უფრო საგრძნობ ხასიათს მიიღებდა. ც. კ-ის პლენუმის დადგენილების შესრულება სამრეწველო საქონელზე 10% -ის დაკლების შესახებ საშუალებას მოგვცემს არამც თუ დაუბრუნოთ მუშებს მათ მიერ წარსულ წელში თავის რეალური ხელფასის დაკარგული ნაწილი, არამედ შევსძლებთ სავსებით გადავსცეთ მუშებს რეალურად ხელფასის ის მომატება, რომელიც გატარებულ იქნა ჩერვონცებით. ამ ამოცანის გარშემო პროფკავშირებმა უნდა აამოძრავონ მუშების ცოცხალი აქტივობა, მიიზიდონ ამ საქმეში არამც თუ აქტიური მუშები, არამედ დასძრან ჩამორჩენილ მუშათა მასის ახალი ფენები ბრძოლისათვის ფასების დაკლების მიზნით. ფასების დაკლება კიდევ უფრო მეტათ შეამჭიდროებს მუშათა მასას და მშრომელ გლეხობას საბჭოთა ხელისუფლების და მის სამეურნეო ორგანიზაციების ირგვლივ, ხელს შეუწყობს ჩვენს წინაშე წამოჭრილ დაბრკოლებათა დაძლევას, სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას, სამრეწველო საქონლის თვითღირებულების დაკლებას და სავაჭრო აპარატის ხარჯების შემცირებას. ამრიგად ამჟამათ წარმოებულ საბითუმო ფასების დაკლება სავსებით მიაღწევს მომხმარებელთა მასებამდე და უზრუნველყოფს სამრეწველო საქონელზე მუშებისა და გლეხებისათვის უფრო ნაკლებად მისაღებ საცალო ფასების დაწესებას.

ც. კ-ის პლენუმის დადგენილება საცალო ფასების დაკლების შესახებ არა ნაკლებ 10% -ისა 1-ლ ივნისისათვის ყოველ მიზეზს გარეშე უნდა შესრულდეს და ამ ამოცანის სრულ და თავის დროზე შესრულებისაკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი პარტიის, მუშათა კლასის და ჩვენთან ყველაზე უფრო ახლო მდგომ გლეხობის მთელი ძალ-ღონე. ამ დავრითი ამოცანის წარმატებით განხორციელება მოკლე დროის განმავლობაში უზრუნველყოფს ჩვენი მეურნეობის უფრო გეგმა-შეზომილ ზრდას, შეასუსტებს მის წინაშე წამოჭრილ დაბრკოლებებს და მუშათა კლასისა და სამეურნეო მუშაკების ყურადღებას მიაპყრობს სამრეწველო საქონელზე ფასების სისტემატიურად დაკლების ამოცანისაკენ, ხოლო სამრეწველო საქონელზე ფასების სისტემატიური დაკლება წარმოადგენს ჩვენი ინდუსტრიის შემდეგი ზრდისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ძირითად პირობას.

ხალხის ოსტატი

ნიკო ფიროსმანაშვილი

ქართული ხელოვნებით ოდნავ დაინტერესებულმა ც-კი იცის, თუ ვინ იყო ნიკო ფიროსმანაშვილი. ამიტომ აქ უადგილოდ მიმაჩნია მისი ბიოგრაფიის მოყოლა. საკმარისია ვთქვათ, რომ ნიკო იყო კახელი გლეხის შვილი. იცოდა წერა-კითხვა და შეყვარებული იყო მხატვრობაში. ტრიალებდა საქართველოში, უმთავრესად ტფილისში და ტფილისის მდაბიო ხალხში. ხატავდა იმას, რასაც ხედავდა, უმთავრესად-კი რაც ფანტაზიით ეჩვენებოდა.

მისი ხედვა და ფანტაზია ორ რკალში ტრიალებს: ერთია ქალაქის სარდაფები და ორთაქალის უदारდელობა და მეორე სოფლის ყოფა. ორივე რკალი შევსებულია ფრინველებისა და ცხოველების თანახლებით.

მისი შემოქმედებიდან სჩანს რომ, ხშირად ქართულ ისტორიასაც უწვავლებია.

დადიოდა ყველასგან შეუმჩნეველი. მხოლოდ სამარის კარზე მისულს მიუსწრო დაფასებამ.

მოკვდა ისე რომ, ფასი ვერ მიიღო იმ უმაგალითო ტანჯვისათვის რომელიც განიცადა მხატვრობაში შეყვარებით.

მისი სამარე დღესაც არ ვიცით სად არის.

სიკვდილის შემდეგ ნიკოს სახელი როგორც მხატვარის გაიზარდა და ისე გადიდდა რომ სახელგამის გამოცემებში უძვირფასეს გამოცემად ნიკოს მონოგრაფია ითვლება.

აღმოჩენის პირველ პერიოდში დიდათ აღტაცებული წერილები იწერებოდა ნიკოს შემოქმედების შესახებ.

აღტაცებამ თითქმის გატაცების ხასიათი მიიღო და ბევრი არა მხატვარი აღლუმში ჩაერია. ეხლა გატაცება მინელდა, გამოფენა კიდევ გაიხსნა და თვალთ ვხედავთ იმას, რაც წერილებიდან ვიცოდით.

ამ წერილებს თუ საქმისათვის უშინაარსო სიტყვებს გამოვაკლებთ ვნახავთ რომ შემოქმედებაზე არსებითად თითქმის არაფერი არ ბქნულა.

ამიტომ სრულიად სამართლიანია დაინტერესებული ხალხის და განსაკუთრებით ახალგაზრდობის საყვედური. მრავალსიტყვაობის მიუხედავად ამ ხალხს ჯერ კიდევ ვერ გაუგია თუ რიოია ნიკო დიდი ან და გენიალური.

ეს წერილი ამ სიდიდის გამოსარკვევად იწერება. სურათების ^{გალ-ცალკე} შეფასებას არ შეუდგები და ფიროსმანაშვილის მთლიან ^{სახეს არ დაეანა-} წილებ.

ჯერ-კი მინდა ვისარგებლო მდგომარეობით და აღვნიშნო ის დაუშვებელი ამბავი, რომელიც დამართეს ნიკოს გვარს სიტყვის ფონეტიური ესტეტიზმით დაავადმყოფებულმა ხალხმა. ნიკოს გლეხური გვარი **ფიროსმანაშვილი** არ მოიწონეს და „გაარისტოკრატეს“ **ფიროსმანიშვილად** გადააკეთეს. რატომ? ალბათ სიმბოლიურ სმენას ეხამუშებოდა. ნიკო მუდამ ფიროსმანაშვილად გვაცნობს თავს. ამასთანავე არც ერთი ქართული **გლეხური** გვარი, რომელიც ადამიანის სახელიდან არის წარმოებული „ა“-ს „ი“-თი არ სცვლის: ამაშია დიდი თავისებურობა. ეს შეცდომა უნდა გამოსწორდეს. ნიკოს „გათავადებაზე“ ხელი უნდა ავიღოთ. სახალხო მხატვარი ნამდვილი გვარით უნდა დარჩეს.

ეხლა თვითონ შემოქმედებაზე.

* * *

ხელოვანთა წრეებში ორი აზრი ტრიალებს. ზოგი ნიკოს არა სცნობს მხატვრად, ზოგი მის გენიალობას ამტკიცებს.

ჩემი აზრით მართლაც ნიკოს შემოქმედების ღირებულებაზე საშუალო აზრით დარჩენა შეუძლებელია. ან უნდა მიიღო როგორც ჩვეულებრივი მღებავი აბრების და სამიკიტნოს კედლების, ან დაინახო მასში დიდი ოსტატი ხეღვის და მხატვრობის.

ფიროსმანაშვილში ვხედავ დიდ ოსტატს. ის არ არის პრიმიტივისტი და მარტო ერთი კუთხის (კახეთის) გადმომცემი.

ფიროსმანაშვილის შემოქმედება უფრო პანტეისტურია და მეტაფიზიკას მოკლებული. ხატვას საკუთარი მეთოდით მოგვაგონებს საფრანგეთის რევოლუციონურ ოსტატებს (1910-1917 წ.) და მისი შემოქმედების ტექნიკა, განსაკუთრებით საგნების ორკესტროვკის დროს—რამოდენიმედ არის კინო ტექნიკის განვითარების ერთ-ერთი პრობლემა.

ხშირად ნიკოს მხატვრული გემოვნება შემკვეთელის გემოვნებით იცვლებოდა რადგან ამას მოითხოვდა მისი გასაწყლებული მდგომარეობა.

„ნიკო-ჯან ჩემი ხატრისათვის ერთი კურდღელიც მიახატე აი აქ, კარგი იქნება“ ურჩევს მიკიტანი. ნიკომ იცის რომ, კურდღელი არ არის საჭირო ამ სურათისათვის, ზედმეტია, უკურდღლოთაც შეუძლია ამ აბრას სარდაფში ჩატყუებული მუშტარი გაართოს, მაგრამ რა გაეწყობა, ეს არის სურვილი ფულზე მადა გახსნილი მიკიტანის და იმ ხალხის, რომელიც ხელოვნებაზე მაშინ ფიქრობს, როცა ღვინოს დაღევს და სურათს შეხედავს. კურდღელი აქ უთუოდ საჭიროა. ეკონომიაა ფანტაზიის, გარდა ამისა ეს არის „ხმა ერის“, რომელიც მიკიტანს, ნიკოს და სარდაფს აცოცხლებს და აცხოვრებს.

მხატვრობაში ყველაზე ძნელია სინამდვილის გადმოცემა. მრავალი მხატვარი სინამდვილის სწორი გადმოცემისათვის თვალებს იბრმავეებს და კუჭს იჭლეჭებს სურვილი მაინც არ უსრულდება. ნამდვილ შემოქმედისათვის შემოქმე-

დებიითი ნიჭი ხშირად „ბოროტ სულად“ გადაიქცევა ხოლმე. ამ დროს ჩირვულობს და სცდილობს მოიცილოს მოწოდებული შემოქმედებითი ენერჯია. ზოგჯერ გაქცევამდის მიდის. აქ აშკარაა ვიღაცა თუ რამდენ შემოქმედებითი ბუნებრივობას იტევს ტალანტი. ნიკოც ასეთ შემოქმედებს ეკუთვნის. სცადა გაქცეოდა „ბოროტ-სულს“, მაგრამ სადაც წავიდა თან გაჰყვა: ვერც მეისრეობამ უშველა რკინის გზაზე და ვერც მერძეობამ ბაზარზე. საბოლოოდ ისევ თავის თვალებს მიენდო. ანალოგიურ მოვლენას ვხედავთ პოეზიაშიაც, ნოიგონეთ პოეტი ბარათაშვილი. ა. ყაზბეგმაც სცადა ამნაირი „გაქცევა“. ერთ დროს პეტერბურგის მთავარმა პერსონამ სადღაც მთიულეთის სოფელთან, — აჩხოტში, გამოაკრა აბრა :

„Торговля Алек. Казбева здесь продается водка и вино“.

ფიროსმანაშვილი საქართველოს მიწაზე სურათებათ იცლებოდა. აქ არის რასსიული თავისებურება ფორმით და ფერებით.

სურათებს, დიდ უბრალოებასთან ერთად, ატყვია კომპოზიციის მონუმენტალური შეგრძნობა, აღნაგობოს გასაოცარი რიტმიულობა და სურათის მკვეთრი და სადა მოხაზვა.

ნიკოს სურათებს რომ უყურებთ გრძნობთ მთლიან საქართველოს. ერთნაირად გაცოცხლებულია და მთავარ ასახული კახელი თავადი და გლეხი. საჩხერელი მელვინე, ყანწი და ტიკი, ინტელიგენტი და გასაქცევად მომზადებული ჩოხოსანი იმერელი, მამალი და ცხენი, წყნეთელი მენახშირე, რაჭველი მეკურტნე, ზარმაცი კამეჩი, უთვისტომო მეეზოვე, ორთაქალის როსკიპი, მალაკანი კოლონიიდან, „აღდგომის ბატკანი“, არღანი და ყარაჩოღელი, ლაქია და ფრაკი. მისთვის კახეთის სინოყივრე არის მასალა, საქართველო-თემა. თვალ გადგმულია შავი ზღვიდან აზერბაიჯანის საზღვრებამდე.

დიდი ოსტატი ხედვის, ფუნჯის ერთი მოსმით სჭრის გეომეტრიზაციის პრინციპებს. ეს არის განსაკუთრებული თვისება ტალანტის, ამიტომ ფიროსმანაშვილი უბირველეს არის მხატვარი, შემდეგ ქართველი. სხვაგან და სხვა თემით ასეთივე ძლიერი დარჩებოდა. ამის საბუთია მისი პორტრეტები და ცხოველების სურათები.

ნიკო საგანს იქერს სწორედ იმ მომენტში, როცა ის (საგანი) ყოველ მომენტზე უფრო ააშკარავებს თავის თავს. ასეთ მომენტში მარტო ქართველი აღამიანი არაა დაქერილი, მისი ტალანტი „ქართველობაზე“ უფრო მაღლა დგას, პატრიოტულ ხედვიდან საერთაშორისო მხატვრულ მიღწევებში გადადის.

ზოგიერთი უცნობი ქართული კულტურის და საქართველოს ცხოვრების ისეთი აზრის არის ფიროსმანაშვილზე, თითქოს ის იყოს საუკეთესო გადამომცემი საქართველოს ცხოვრების. ეს არ არის მართალი. საქიროა მეტი დაკვირვება რომ ასეთი აზრის არ იყო ფიროსმანაშვილზე:

ფიროსმანაშვილი მოხვედრილია მიკიტნებში, სარდაფებში, „აღდგომის ბატკნებთან“, ორთაქალის როსკიპებთან, თავადის გამუდმებულ ქეიფთან, კახე-

თის ვენახებთან და კურტნიან მუშებთან. რასაც ხედავს იმას განიცდის, — განიცდის და ხატავს.

როცა ასე შევხედავთ თითქოს ერთი კიქა არაყისათვის კეღლების მომხატავს ცხადია „გაგიჟებულ“ ხელოვანთანა გვაქვს საქმე.

ბევრსა ჰგონია რომ ნიკო არის პრიმიტივისტი მხატვარი. პრიმიტიული კულტურის ხატვა არ ნიშნავს მხატვარის პრიმიტივიოსტობას. საქმე იმაშია თუ როგორ ხმარობს მხატვარი მასალას, საღებავს და ხაზებს. როდესაც ასე შევხედავთ ფიროსმანაშვილს — სურათები პრიმიტივისტ კრიტიკოსებს დასცინიან.

პრიმიტიული მხატვრობა, ფორმალი ძიება და ძიების შედეგი საგნის ცოცხლად გადმოცემისათვის სულ სხვა და სხვა მოვლენაა.

ნახატს პრიმიტიული დაერქმევა სამ შემთხვევაში:

1. ბავშვის ნახატს; 2. უნიჭო მხატვარის ნახატს; 3. განზრახ გაუბრალოებულ ნახატს.

ბავშვის ნახატი მოკლებულია საგნის ცოცხლად და თავის დამახასიათებელ მომენტში გადმოცემას, (გეომეტრიზაციის დაცვით). უნიჭო მხატვარის ნახატი მოითხოვს ცნობილ წარწერას: „ეს ლომია და არა ძაღლი“. განზრახ გაუბრალოებული სურათი ტენდენციურია გამიზნულად. ასეთ შემთხვევაში შემომქმედი მოწყვეტილია პირველყოფილ სიცხადეს.

არც ერთი აქ დასახელებული დამახასიათებელი თვისება პრიმიტივისტობის ფიროსმანაშვილის სურათებს არ მოადგება.

ფორმალი ძიება მხატვრობაში შეუძლია მხოლოდ იმას, ვის ნიჭსაც ებრძვის ფილოსოფიური კვრეტა. ფიროსმანაშვილი-კი იყო ერთი „უკულტურო“, თანაც პოეტი. ზედმეტია მის ფორმალ ძიებაზე ლაპარაკი.

ფიროსმანაშვილის სურათები არის ნატურიდან მხატვრობასთან მისვლა და არა მხატვრობიდან ნატურასთან.

ნიკოს სურათებში არის ცდა დახატოს საგანი ისე, როგორც მას იცნობენ და არა ისე როგორც მას ხედავენ.

აქ არის ფიროსმანაშვილის გენიალობის ერთ-ერთი ხაზი რადგან ასეთი მიდგომა საგნისადმი საფუძვლად დაედო კუბისტურს და საერთოდ თანამედროვე მხატვრობის გაგებას. ამ შემთხვევაში კონგენიალობასთან გვაქ საქმე.

რომ ნათქვამი ნათელი გახდეს გადავხედოთ ძიების ქვეყანას — საფრანგეთს.

ფიროსმანაშვილის სურათებზე ამბობენ: „დიდის კომპოზიციით არის გამართული“ „ირემი... უმძაფრესი სიცხოველით შეკუნთული ცხოველ არსებათ“... „ფიროსმანის ნატიურ-მორტები... არ ჩამოუვარდება არც ერთ ნატიურ-მორტს სეზანისას“ ან კიდევ „все (ფიროსმანაშვილის სურათებზეა ლაპარაკი) напоминает достижения мастеров Дерена и Матисса“. ცხადია ასეთი ზოგადი თქმა ფიროსმანაშვილზე, არაფერს ამობს არსებითად. რას ნიშნავს „დიდის“ „უმძაფრესი სიცხოველით შეკუნთვილი“. რატომ არ ჩამოუვარდება სეზანს, რათ გვაგონებს დერენს ან მატისს.

კრიტიკოსების ღუმილი კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებს მკითხველს.

სპარსეთის მხატვარი მაშინ მიიღებს მხატვარის წოდებას თუ ქახრაცს.

სისწორით გადმოსცემს. ჭახრაკში ერთმანეთს უკავშირდება „შარი“ „კონუსი“ და „ცილინდრი“.

ფორმის განმარტებისათვის შეხვედრის ასეთი ფორმულაა: $\frac{1}{2} \pi r^2 h$ — გვეცა და ამით დაამტკიცა, რომ ხელოვანი უნდა იყოს კარგი ხელოვანი. $\frac{1}{2} \pi r^2 h$ შემოქმედებაში სეზანი, ფორმის გადმოცემის დროს, ამ ფორმულას ამტკიცებს. ფიროსმანაშვილი ამ ფორმულას ინსტიქტიურად გრძნობს (საგნის ერთი ნახით ან შინაგანი ჭკრეტით). ფორმის გადმოცემის დროს ეს გრძნობა სხეულდება და საგანი გვეჩვენება „უმძაფრესი სიცხოველით შეკუნოვილი“. სეზანი ფერებშიაც ამტკიცებს ამ ფორმულას და თავის ნატიურ-მორტების ყოველ მილიმეტრს ფერით ავსებს. ფიროსმანაშვილი-კი ნატიურ მორტებში, დეკორატიორად რჩება.

ნიკოს სურათებში ხშირად შეხვედებით ვან-გოგის დინამიურობას ორკესტროვკის დროს. შეყვარებული მაყურებელი გოგენის მზიურობასაც იგრძნობს. მაგრამ ორი უკანასკნელი მთავარი არ არის.

როდესაც დაწვრილებით გავეცანი საფრანგეთის თანამედროვე მხატვრების ორიგინალებს, დაკრწმუნდი რომ, ფიროსმანაშვილი უთუოდ დიდი მოვლენა არის.

პიკასოს შემდეგ განსაკუთრებით დამაინტერესა მატისმა და მისმა მიმზადველებმა. (ჯგუფი „ველურები“). მატისში ვნახე ის უბრალოება და ძალ უტანებელი შემოქმედება, რომელიც ასე ახალისებს ფიროსმანაშვილის მნახველს.

მატისისათვის სურათი არის ერთი მთლიანი დეკორატიული ზეგანი. ყოველი ფერი საკუთარი სიცოცხლით არის ანთილი. მთლიანათ-კი შეხამებას არ ართულებს ტექნიკური ვირტოუზობით.

ხშირად ფიროსმანაშვილისებურად მასალა ნახმარია ფერის მაგივრად. გარეგანი ილიუზია არ არის მთავარი მატისისათვის. მატისი მუდამ ცდილობს გამოჩაბოს რიტმი შინაგანი წონასწორობის, ფერების გარმონიის, და ამითი აცოცხლებს ტიპიური ფორმის ჩონჩხს.

თითქმის ასევე მოქმედობს ფიროსმანაშვილიც, მხოლოდ ნაკლებ მნიშვნელობას აკუთნებს ფერს, ხედვითი მთელი ძალა გადააქვს ტიპიური ფორმის, — ჩონჩხის ასაშენებლად.

ასე ხორციულად ენათესავენა ფიროსმანაშვილი იმ მხატვრობას, რომელზედაც ფეხი მოიდგა შემდეგ იმპრესიონიზმა, ფუტურიზმა და კუბიზმა.

ნათესაობის იქით ფიროსმანაშვილს რჩება საკუთარი ფერები და ტექნიკური მიღწევანი სიუჟეტის ორკესტროვკაში.

ფიროსმანაშვილის საღებავები მოითხოვს სპეციალურ შესწავლას და შეხამების ანალიზს. ამისათვის საჭიროა ცალკე გაღერვია მისი სურათებისა. ასეთი გაღერვია არ არსებობს. უნდა იქმნეს მიღებული ყოველი ზომა, რომ გამოფენაზე თავ მოყრილი სურათები არ გაიბნეს ისევ კერძო პირების ოჯახებში.

თუ ამ სურათებისათვის არ აღმოჩნდება საკუთარი ბინა, ეროვნული გაღერვის ერთი კუთხე მაინც უნდა დაეთმოს, მით უმეტეს, ეს გაღერვია არავითარ „ეროვნულს“ არ წარმოადგენს და ნიკოს სურათები რამოდენიმეთ მაინც გააეროვნულებს ამ მოუწესრიგებელ და გაუმართლებელ გაღერვის არსე-

ბობას. ეს არის გადაუდებელი ინტერესი ქართული მხატვრობის შესწავლისა და განვითარებისათვის.

ფიროსმანაშვილის ფერების შესწავლა მოითხოვს დიდ დასწრებას მუშაობას. ამაში დამარწმუნა გამოცდილებამ. რამდენად უფრო ვსწავლობდი საქართველოს ბუნებას დღის სხვადასხვა დროს, იმდენად ღირებულნი მეჩვენება ფიროსმანაშვილის ფერები. ამ ფერებში დიდ უბრალოებასთან ერთად უნდა იყოს დიდი სინამდვილე. მუდამ საკუთარია და გამძლე ყოველგვარი შემოქმედება, რომელიც მოდის ხალხიდან. ფიროსმანაშვილი-კი უთუოდ არის პირველი ქართველი სახალხო მხატვარი.

შეტად დამახასიათებელია რომ ფიროსმანიშვილს შემოქმედების მთავარი ცენტრი სახეების გადმოცემის დროს გადააქვს თვალებში. ისეთი ოსტატობით აქვს შესწავლილი თვალების მოძრაობა და ამ მოძრაობით შექმნილი სხეულის გეომეტრიული მდგომარეობა, რომ მაყურებელს შეუძლია მარტო თვალების ნახვით საგანი მთლიანად წარმოიდგინოს. ზოგჯერ გასაცვიფრებელ მიღწევამდე მიდის და გაჯერებს, რომ ამაზე დიდი განცდა მთავარის გადმოსაცემად შეუძლებელია. მაგალითისათვის: „ბავშვებიანი დედაკაცი წყალზე მიდის“ „მეფეოვე“. მატისიც ასე განიცდის გარემოს: წერტილებს ჩასვავს თვალებათ, მხოლოდ ისე მოხერხებულად, რომ ვერც ერთი კლასიკი წლობით რომ წვალობს თვალების გადმოცემაზე მატისის სურათის სიცხოველემდე ვერ აღწევს.

ნიკო ხშირად ხატავდა იმ სოციალურ მდგომარეობას რომელიც ფეოდალური და კაპიტალისტური წყობილებით იყო შექმნილი. ეს სურათები საუკეთესო პლაკატებია იმ დროის „სამართლობის“ წინააღმდეგ. ნიკო კედლებიდან გაჰყვიროდა არსებულ უსამართლობაზე და ხალხიც „ნიკოლა“-ში ხედავდა ერთ-ერთ ძმას. (თუმცა ნიკოს „აგიტატორობა“ არ იყო ტენდენციურად გამიზნული).

ნიკოს მრავალი მიმდევარი ჰყავს, განსაკუთრებით ისევ იმ წრეში საიდანაც მოგვევლინა, მაგრამ მისი მხატვრული თვალი ჯერ არავის აღმოჩენია.

ესტეტ მხატვრებიდან ყველაზე ძლიერ გავლენაშია ლადო გუდიაშვილი, რომელიც ხალხოსნობამდის არ წიდის. მისი თემა უფრო პირველყოფილი კულტურის (ქართულის) არის, ვიდრე ფიროსმანიშვილის. უმთავრესად გადმოგვცემს ეტნოგრაფიას საკუთარი განცდებით. გუდიაშვილის ხედვა რასსიულად გამართულია და გამართლებული. ფიროსმანიშვილს სჭარბობს უფრო შეგნებული (მოფიქრებული) ოსტატობით, მაგრამ აქ უკვე აღარ არის ნიკოს მზიურობა. გუდიაშვილის სურათებზე ყველა თვალებში ნაღველია ჩაქცეული. ამ თვალებით იგრძნობ ერის ბრძოლებით მოღლილობას და ისტორიულ განცდებით შექმნილ სპლინს.

ფიროსმანიშვილის შემოქმედება გაუგებარი დარჩება თუ კარგათ არ იქნა შესწავლილი მისი რეჟისორული კინო-თვალი.

სადაც დადის ყველგან ხედავს იმას, რაც მთავარია, როცა შინაგანი კვრევით არის საჭირო ხატვა, — ასეთსავე სიმახვილეს იჩენს ფანტაზიით შექმნილ საგნებისადმი.

შემოქმედების დროს მისი ტვინის ლაბორატორიიდან ისე გადმოდინ

საგნები ტილოზე (უფრო ხშირად მუშაობაზე და თუნუქზე), როგორც კარგი ოპერატორისაგან გადაღებული სურათები. ყველა გამოსულ ნეგატივს თავის ადგილზე ათავსებს გასაოცარი პროპორციით. არღვევს ყოველსავე მკაცრ მხატვრულ კანონებს და ქმნის საკუთარს. ამით განსხვავდება ფოტოგრაფიის კლასიკებიდან. საბოლოოდ ქმნის მონტაჟით შეკრულ საგნების სურათ-სანახაობას.

როგორც კინო სურათში ვერ ვაიგებ თუ საიდან არის აპარატით გადაღებული ესა თუ ის საგანი—ისე არ სჩანს თუ მხატვარი რომელი წერტილიდან ხედავს საგნებს. სანიმუშოდ დააკვირდით სურათს: „ქალო ქართლის სოფელში“: აქ მხატვარი სხვადასხვა წერტილიდან უყურებს საგნებს. თვითონ ტრაპეზს კალოსავით და ზედმიწევნითი გეომეტრიზაციით და მთავარის ასახვით (ამით განსხვავდება ფოტოდან) ქმნის საგნების მთლიან ილიუზიას. ან კიდევ სურათი: „თავად ბარიატინსკის შეთე გზას უჩვენებს შამილის დასაქერად“, წინა ხაზზე დახატულია მთელი „როტა“ და მათი ცხენოსანი ოფიცერი ისე, როგორც ეს უნდა ყოფილიყო უკანა ხაზზე პერსპექტივის დაცვის დროს, თვითონ ბარიატინსკი და შეთე უკანა ხაზზეა წინა ხაზის სახით. მაგრამ ეს ისეთი ოსტატობით არის გაკეთებული, რომ არამც თუ შეუსაბამობას—დიდ მხატვრულ მიღწევას ააშკარავენ. ამავე ოსტატობით არის გაკეთებული სხვა მრავალი სურათიც.

ფიროსმანაშვილმა ფუნჯის ერთი მოსმით ახალი პრობლემები დასახა მხატვრობაში. ამ პრობლემების დამუშავებაში უმთავრესად კინო მხატვარი უნდა დაინტერესდეს. ამ მხრივ ფიროსმანიშვილი ჯერ კიდევ მომავალშია.

ქართული მხატვრობის განახლება უკვე დაიწყო. ყველა დამწყებს შეაჩერებს ნიკოს თვალები.

P. S. სურათი „ბავშვი ბურთით“ ყურადღებას იპყრობს იმ მხრივ რომ ფიროსმანიშვილის არ უნდა იყოს, თუმცა გვარი მოწერილი აქვს.

როგორც ხაზებით, ისე ფერებით და ფორმით შესამჩნევად განსხვავდება ყველა სხვა სურათებიდან.

სურათს ძალიან ეტყობა განზრახ გაუბრალოება.

მით უფრო საეჭვოა, რომ იგი გამეორებაა იმ საუკეთესო სურათის, რომელიც მოთავსებულია მონოგრაფიაში იმავე სახელით—და არაფრით-კი გავს მას, არის მხოლოდ გარეგნული მსგავსება.

ნიკოს ნაყოფიერ შემოქმედებაში ეს სურათი კენტათ მოსჩანს და ამით უფრო იზრდება მაყურებლის ეჭვი.



ჩინათის რევოლუციის კალთა გადაჯგუფება

კომინტერნის აღმასკომის მე-VII-ე პლენუმმა, ჩინეთში კლასიურ უთანხმოებებთან გამწვავების გამო, აღნიშნა: „ამჟამად მოძრაობა იმყოფება მესამე სტადიის საზღვარზე, კლასთა ახალ გადაჯგუფების წინ. განვითარების ამ სტადიაში მამოძრავებელი ძალა მიეცემა კიდევ უფრო რევოლუციონური ხასიათის ბლოკს— პროლეტარიატისა, გლეხობისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისას. ეს გამოიწვევს კაპიტალისტური მსხვილი ბურჟუაზიის უმრავლესობის ჩამოშორებას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ვითომ მთელი ბურჟუაზია, როგორც კლასი, ჩამოშორდეს ეროვნულ—განმათავისუფლებელ ბრძოლის ასპარეზს. გარდა წვრილი და საშუალო ბურჟუაზიისა, მსხვილ ბურჟუაზიის ზოგიერთ ფენებსაც შეუძლიათ კიდევ რამდენიმე ხანს იარონ რევოლუციასთან ერთად. მაგრამ მოძრაობის ჰეგემონიას ამ სტადიაში, თანდათანობით, უკვე ხელთ იგდებს პროლეტარიატი.“ ამ ძალთა აუცილებელ გადაჯგუფებას კომინტერნის აღმასკომის რევოლუციური უკავშირებდა თავდაპირველად გლეხთა მოძრაობის ზრდას. ამის გამოც რევოლუციური ამაბობს: „ეროვნულ—განმათავისუფლებელ მოძრაობის პროგრამაში აგრარული რევოლუციის საკითხის თვალსაჩინო ადგილას დასმაზე უარის თქმა, კაპიტალისტურ კლასის ზოგიერთ ფენებს გაუბედავ და მერყევ თანამშრომლობის დაკარგვის შიშით, უნდა ჩაითვალოს შეცდომად. ეს არ არის პროლეტარიატის რევოლუციონური პოლიტიკა. კომუნისტური პარტია თავისუფალი უნდა იყოს ასეთი შეცდომებისაგან“.

პლენუმის შემდეგ, მის მიერ აღნიშნული კლასობრივი გამწვავება ქალაქში და სოფლად, მნიშვნელოვანად გაიზარდა მუშათა და გლეხთა მოძრაობის შემდეგი განვითარებით, განსაკუთრებით ხუნანში და ხუბეიში, და იმპერიალისტების გაძლიერებული შეტევის ამჟამად ინტერვენციის საფრთხის გადიდების მეოხებით. ერთი და მეორე უკარნახებს მოძრაობის მარჯვენა ფრთას, რომ დაადგეს დათმობასა და კომპრომისების გზას იმპერიალისტების მიმართ. ეს გარემოება იწვევს მრავალ დავასა და კონფლიქტებს პროვინციალურ ხელისუფლებათა ზოგიერთ წარმომადგენელთა ერთ, მხრივ, და მასებს შორის, რომელთა განწყობილების გამოხატველია გომინდანის მარცხენა ფრთა—მეორე მხრივ.

მარცხენა ფრთა შეადგენს გომინდანის მნიშვნელოვან უმრავლესობას. 1926 წიანვარში, გომინდანის მეორე ყრალობაზე 278 დელეგატიდან 168 ეკუთვნოდა მარცხენასა და კომუნისტურ ფრთას; ცენტრის მხარეზე იყო 66 დელეგატი, მარჯვენა ფრთას ემბრობოდა მხოლოდ 45. გომინდანის 250,000 წევრთაგან, 70.000 ჯარისკაცის გარდა, მარცხენა და კომუნისტური ფრთა აერთიანებდა 150.000 წევრს, ხოლო მარჯვენა ფრთა და ცენტრი, ერთად აღებულნი, აერთიანებდნენ მხოლოდ 30.000 წევრს. ცხრა მუათედი პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციე-

ბისა იმყოფება მარცხენა ფრთისა და კომუნისტების ხელმძღვანელობის ქვეშ. მიუხედავად ამისა, ცენტრს, რომელიც ეყრდნობა სამრეწველო ბურჟუაზიას, ჰყავს თავისი წარმომადგენლები. ეროვნულ მთავრობაში და ჯერჯერობით ხელმძღვანელები. მოწინააღმდეგეთა არმიაში განხეთქილების და საგარეო ურთიერთობების რევოლუციონური არმიის მხარეზე გადმოსვლის შემდეგ — მის გენერალიტეტში ძლიერდებიან მემარჯვენე ელემენტები.

ცენტრისა და მემარჯვენე გომინდანელების მთავარ იდეოლოგიათ ითვლება დაი-ჩი-ტაო. მისი იდეოლოგია გამოიხატება შემდეგში: 1) ის უარჰყოფს კლასთა ბრძოლას — საზოგადოების დაყოფას კლასებად — და მას სანაცვლოდ უპირდაპირებს საზოგადოების შეგნებულ და შეუგნებელ ნაწილებათ დაყოფას. შეგნებული, გაბატონებული ელემენტები მოწოდებულნი არიან წარმოადგინონ და დაიცვან შეუგნებელ მასის ინტერესები; 2) კლასობრივი დიქტატურის საწინააღმდეგოთ მას გამოაქვს „რევოლუციონური დიქტატურა“. პროლეტარიატის კლასობრივი დიქტატურა კი არ მიგვიყვანს კლასთა გაუქმებამდე, არამედ „რევოლუციონური დიქტატურა“ სახელმწიფოსი, რომელიც აერთებს ყველა კლასებს; იგი მიგვიყვანს „სახალხო რევოლუციის“ პროცესში „სოციალიზმის განხორციელებამდე“ — თანახმად სუნ-იატ-სენის მოძღვრებისა; 3) ის გვერდს უხვევს კომუნისტურ ინტერნაციონალს, როგორც მსოფლიო რევოლუციის ცენტრს და ისახავს მიზნად განახორციელოს ნაციონალური რევოლუცია. ე. ი. ფაქტიურად ბურჟუაზიული რევოლუცია. ამის და მიხედვით ის მომხრეა ბრძოლისა, წინააღმდეგ მხოლოდ აგრესიულ ინგლისის იმპერიალიზმის, რომელიც აწარმოებს ჩინეთის ეროვნულ რევოლუციაზე აშკარა თავდასხმას.

ამ იდეოლოგიასთან ზოგჯერ შეთანხმებულია ნაციონალური მთავრობის გენერალიტეტის პრაქტიკაც, განსაკუთრებით პროვინციებში: ერთი სიტყვით, ისინი სცნობენ მემარცხენე გადაწყვეტილებებს გომინდანისას, რომელშიაც უმრავლესობას შეადგენს მარცხენა ფრთა, საქმით კი ყოველთვის არ ასრულებენ ამ გადაწყვეტილებებს, გვერდს უხვევენ მათ და მხოლოდ მასის აქტიური ჩარევით ხდება გამრუდებული ხაზის გამოსწორება.

როცა ჩან-კაი-შიმ გაილაშქრა ჩრდილოეთისაკენ, გუანდუნში ხელისუფლება შერჩა ცენტრს. მაგრამ ამ ხანს მარცხენა ფრთა შიგ გომინდანში და მის გარეშეც ძლიერ გაიზარდა. მისი გავლენა გავრცელდა მუშების, გლეხების, ვაჭრებისა და სტუდენტების ფართე მასებზე. ვამპუს სამხედრო სკოლაში მემარცხენე ფრთის მომხრე კურსანტები 90% შეადგენდნენ. მასები უკმაყოფილონი იყვნენ გუანდუნის მთავრობის ზოგიერთი მოქმედებით. ეს იყო მიზეზი, რომ ოქტომბრის შუა რიცხვებში მოწვეული იქნა გომინდანის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი, რომელსაც დაესწრენ ცეკას წევრები და საოლქო ორგანიზაციების წარმომადგენლები. დელეგატების დიდი უმრავლესობა ამ კონფერენციაზე ეკუთვნოდა მემარცხენე ფრთას და კონფერენციაზე მიღებულ იქნა გარკვეულად მემარცხენე დადგენილებები. კონფერენციამ მხარი დაუჭირა მემარცხენე ფრთის წინანდელ ბელადას — ვან-ტან-ვეის თანამდებობაზე დაბრუნებას. მან მხარი დაუჭირა დისკრპლინარულ ზომებს, და იქამდინაც კი მივიდნენ, რომ მოითხოვეს სანშაის კონფერენციაში მონაწილე მემარჯვენე გომინდანელების პარტიიდან გამოორიკვა. კონფერენციამ დაადასტურა საბჭოთა კავშირთან კავშირის შენარჩუნების აუკალეულობა და შეიმუშავა მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველი პოლიტიკის პროგრამა. მემარცხენე ფრთის ერთმა ახალგაზრდა ბელადთაგანმა, გან-ნე-განგმა, გამოუშვა ბროშიურა, რომელშიაც ამტკიცებს, რომ კლასიურ დასაყრდენ ძალას უნდა წარმოადგენდეს გლეხობა.

ცია. მათ წრეში ადგილი აქვს ფრიად ნიშანდობლივ მოვლენებს. მაგალითად, მემარჯვენე გომინდანელი ჯინგ ვეი ფენ ამბობდა: „ჩვენი უმნიშვნელო განხილვის ამოცანაა — ჩრდილოეთის ექსპედიცია; ლოზუნგი — ძირს იმპერიალიზმი — ვალდებს ჯერ საჭირო წამოვაყენოთ“. მეორე მემარჯვენე გომინდანელი ბაი-ლინგ-ჩენ ამბობდა: „როგორც სჩანს, დიდი სახელმწიფოები მზად არიან იცნონ ნაციონალური მთავრობა. ამიტომ საჭიროა შეჩერებულ იქნას ანტი-იმპერიალისტური მოძრაობა, რათა თავიდან ავიშოროთ დაბრკოლებანი ამ ცნობის საქმეში“. ეს განცხადებები მეტად დამანასიათებელია. ისინი ამტკიცებენ, რომ მემარჯვენე ფრთის გამოცოცხლება მჭიდროდ არის შეკავშირებული იმპერიალისტების შემოტევასთან, რომელნიც აგზავნიან შანხაიში თავის კრეისერებს — ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ ადგენენ ლიბერალურ ნოტებს, სცდილობენ ანაირად შეიტანონ განხეთქილება ნაციონალურ-რევოლუციონურ მოძრაობაში და გადაიყვანონ თავის მხარეზე ჩინეთის ბურჟუაზია.

ჩვენს ჩინეთის კომპარტიას საერთოდ და მთლიანად გაქყავს სწორი ხაზი, მას აქვს პოლიტიკური მდგომარეობის სწორი ორიენტაცია; მაგრამ განსაკუთრებით ძნელი და რთული ამოცანები, რომელნიც წამოჭრილნი არიან მის წინაშე, ჩინეთში კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავების გამო, იწვევენ ამა თუ იმ ამხანაგებში ხან მემარჯვენე, ხან მემარცხენე გადახრებს. მაგალითად, ზოგიერთი ამხანაგები იცავენ მთავრობის საარბიტრაჟო კომისიების პრინციპებს მუშათა და დაქირავებულთა კონფლიქტების შემთხვევებში, ყოველგვარ პირობებში. მთავრობის საარბიტრაჟო კომისიები მართლაც მისაღები იქნებოდა მუშათა ინტერესების დაცვის საკმაო გარანტიად, რომ მთავრობაში შედიოდნენ კომუნისტები და პქონდეთ იქ გადამწყვეტი გავლენა. მაგრამ ეს ჯერ არ არის, ამიტომ, რევოლუციის შიერ საბრძოლველად გამოლევძებულ მუშებს არ შეუძლიათ ხელი აიღონ გაფიცვების უფლებებზე და ფართოდ არ გამოიყენონ ეს უფლება, რამდენადაც იგი არ უშლის ხელს წარმოებულ რევოლუციონურ ბრძოლის ინტერესებს.

ამის გამო ზოგიერთი ამხანაგებს ემჩნევათ მარცხნივ გადახრა. ჩინეთის კომუნისტურ პარტიის განსაკუთრებულ კონფერენციაზე 1926 წ. 13 დეკემბერს აღნიშნულ იქნა, მაგალითად, ასეთი ფაქტები: ერთმა კანტონელმა ამხანაგმა განაცხადა: „20 მარტს, 1926 წ. გომინდანი მოკვდა და 15 მაისიდან ის გაიხრწნა. რად უნდა გვეჭიროს ჩვენ ხელში ეს გახრწნილი მძოვრი?“. ამ სიტყვებში მკლავნდება ფრიად საშიში გადახრა მარცხნივ. ჯერ ერთი, მართალი არ არის, ვითომ გომინდანი მომკვდარიყოს ზე გახრწინილიყოს. როგორც დავინახეთ, მისი გავლენა მასაზე იზრდება და თვით მასში იზრდება მემარცხენე ფრთის გავლენა. ამიტომ ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ კომუნისტებმა დასტოვონ გომინდანი, რაც ჩინეთის რევოლუციის მტრებს მხოლოდ გაახარებდა, არამედ მემარცხენე უმრავლესობის მთავრობასა და არშიაზე გავლენის გაძლიერებაში. ასეთსავე საშიშ შეცდომას სჩადის ჩვენი კანტონის სარაიონო ორგანიზაცია, რომლის ანგარიშში ნათქვამი იყო: „რაც შეეხება მემარცხენე ფრთას, ასეთი ფრთა საზოგადოდ არ არსებობს“. პარტიის ცეკას ანგარიშში სწორედ არის აღნიშნული, რომ ეს განცხადება გამოწვეულია „არასწორი მაშტაბით“, რომლითაც კანტონის სარაიონო ორგანიზაცია ზომავს ცნებას „მარცხენა ფრთა“. კანტონელ ამხანაგებისათვის მემარცხენე გომინდანელებს აგრარული რევოლუციისათვის ბრძოლა, რომელიც არც ისე შორს მიდის, უკვე საკმარისია იმისათვის, რომ უარპყონ მემარცხენე ფრთის არსებობა. ეს მართალი არ არის. არ შეიძლება ერთი საზომით გაიზომოს მემარცხენეები და კომუნისტები. რამდენადაც მემარცხენეები მზად არიან განაგრძონ ბრძოლა იმპერიალიზმისა და რეაქციონური მილიტარიზმის წინააღმდეგ, და რამდენადაც ისინი მზად არიან იმ-

რძილონ გლახთა უახლოეს მოთხოვნებთანათვის შემამულეთა და ჯენტრის წინააღმდეგ, საიჯარო გადასახადის შემცირებისათვის, პროცენტების დაკლებისათვის, გლახთა ფართე ოგანიზაციისათვის, შათი შეიარაღებული თავდაცვისათვის შემამულეთა და მილიციის წინააღმდეგ და სხვა და სხვა, რომლებსაც არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ მათ, როგორც რევოლუციის მომხრეები დალას.

გომინდანის ასეთი შემცდარი შეფასების მეოხებით იმ ამხანაგებს, რომელნიც დაავადებულნი არიან შემარცხენე განხრით, გამოჰყავთ შემცდარი დასკვნა, ვითომ „ჩვენ ვიდგეთ მასის მხარეზე, ნაციონალური მთავრობის წინააღმდეგ... ვითომ მასასა და ნაციონალურ მთავრობის კონფლიქტის დროს აშკარად დებოდეს კონფლიქტი კომუნისტურ პარტიასა და გომინდანის შორის“. ამ სიტყვებიდან ლოდიკურად შეიძლება გამოგვეყვანა, ვითომ კომუნისტური პარტიის ამოცანას ამჟამად, ნაციონალურ მთავრობაზე გავლენის მოპოება და მასში შესვლა კი არ შეადგენდეს, არამედ მისი დამხობა. ასეთი თვალსაზრისი რომ გავრცელებულიყო ჩვენს პარტიაში, ჩინეთის რევოლუციის მტრებს ეს მხოლოდ გაახარებდა. შემდეგ ცეკას ანგარიში აღნიშნავს, რომ ჩვენ გომინდანის საშუალებებით სწორედ ვერ ვატარებდით შეთანხმების პოლიტიკას ხელოსანთა და მოსამსახურეთა ერთის მხრივ და საშუალო და წვრილ ვაჭართა შორის — მეორე მხრივ, ჩუნგ-ნაში და ბუხანაში, რომ ბუხანაში გადაქარბებულნა მოთხოვნებიდან, რომელიც წააყენეს ხელოსნებმა, და მოსამსახურებმა გამოიწვიეს საშუალო და წვრილ ვაჭრების საეაქრო პალატებთან ერთად პროფკავშირების წინააღმდეგ გამოსვლა. რამდენადაც ასეთ ფაქტებს შართლაც ჰქონდათ ადგილი, აქაც საჭიროა ხაზის გამოსწორება: რადგან ჩვენ გვინდა შევქმნათ პროლეტარიატის, გლახობის და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის ბლოკი პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, ცხადია, რომ ჩვენ მტკიცედ დავიცავთ ხელოსანთა ინტერესებს და ფრთხილად მოვექცევით წვრილ ვაჭართა ინტერესებსაც, რომ ქალაქის წვრილი ბურჟუაზია არ ჩამოსცილდეს რევოლუციონურ ბლოკს, რომ ის არ ჩაუვარდეს ხელში კონტრ-რევოლუციონურ მსხვილ ბურჟუაზიას.

შემარჯვენე და შემარცხენე განხრები, რომელნიც ემჩნევათ ჩვენი ჩინეთის კომპარტიის ზოგიერთ ამხანაგებს, აიხსნება ჩინეთის რევოლუციის ნიშანდობლივობისა და ხასიათის არა საკმარისად ჩამოყალიბებული გაგებით. ამის გამო ამხანაგების ცალკე გამოსვლები ნაკარნახევია გაუთვალისწინებელი განწყობილებით, რასაც ობიექტიურად მიჰყავს პრინციპიალურ გამძლე პროლეტარულ ხაზისაგან გადახვევამდე, მიუხედავად ამ ამხანაგების საუკეთესო სუბიექტიური განზრახვებისა.

კომინტერნის აღმასკომის მე-VII პლენუმზე ჩინეთის საკითხის გარშემო კამათის დროს და რევოლუციებში, აღნიშნავდენ, რომ ჩინეთის რევოლუცია წარმოადგენს რამოდენიმედ 1905 წ. რუსეთის რევოლუციის ანალოგიას, მაგრამ ამასთან ერთად მას აქვს ფრიად დამახასიათებელი თავისებურობანიო.

პირველი მისი თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ ის მიმართულია იმპერიალიზმის წინააღმდეგ: რომ ის მიმდინარეობს კაპიტალიზმის დაცემის ხანაში, რომ ამიტომ მას შეუძლია გაიმარჯვოს მხოლოდ მაშინ, თუ შეუკავშირდება საბჭოთა კავშირს და მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციონურ მოძრაობას. იმპერიალიზმთან ბრძოლის პირობებში პროლეტარიატის, გლახობის და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის დიქტატურა, რევოლუციის დემოკრატიული მიზნების განსახორციელებლად და ჩინეთის ეროვნული განთავისუფლებისათვის, თავისი წარმატების შემთხვევაში, უთუოდ უნდა გადაიქცეს სოციალისტურ რევოლუციად. ჩინეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ამრიგათ, არის ნაწილი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის, წინანდელი ნაციონა-

ლურ-განმათავისუფლებელი მოძრაობანი კი შეადგენდნენ საერთო დემოკრატიულ მოძრაობის ნაწილს. არა საკმარისად გარკვეული კოდნა ჩინეთის რევოლუციის ამ თავისებურობისა და მისგან გამომდინარე ჩინეთის კომპარტიის სტრატეგიისა არის მიზეზი სოციურთი ანაბანაგების შემარჯვენე განხრებში. მისი განხრები არასაკმარისად ენერგიულ ბრძოლაში წინააღმდეგ დაიბნევიდა რევოლუციისა და გომინდანის შემარჯვენე ფრთის შესაფერ პროქტიკისა და აგრეთვე ხელისუფლების იმ წარმომადგენელთა წინააღმდეგ, რომელნიც იმყოფებიან შემარჯვენეთა გავლენის ქვეშ.

იმავე მიზეზისაგან ე. ი. იმის გამო, რომ ჩინეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიმართულია წინააღმდეგ იმპერიალიზმისა და ჩინეთში უცხო კაპიტალის გაბატონებისა, გამომდინარეობს ჩინეთის რევოლუციის მეორე განსხვავებაც რუსეთის 1905 წლის რევოლუციისაგან — განსხვავება, რომლის გვერდის ახვევა იწვევს შემარჯვენე განხრებს. თანამედროვე ჩინეთს მეფის რუსეთისაგან ანსხვავებს ის გარემოება, რომ ჩინეთი განიცდის უცხო კაპიტალისგან ყოველმხრივ შევიწროებას, ის იმყოფება ნახევრად-კალონიის მდგომარეობაში. სწორედ ამიტომ ჩინეთის რევოლუციის პირველ ეტაპებში უფრო ფართეა რევოლუციონური ფრონტი, ვიდრე იყო რუსეთში 1905 წელს. რუსეთში რევოლუციონურ მოძრაობის ინციატივა და ხელმძღვანელობა 1905 წელს გამომდინარეობდა პროლეტარული პარტიისაგან. ის იყო მთავრობის პირველი საწინააღმდეგო პარტია, რომელიც განმტკიცდა სხვებზე უფრო ადრე და მის ხელთ იყო უდაო პეგემონია რევოლუციონურ მოძრაობაში. რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია დრომდე მისდევდა მას უკან, და მოძრაობის შეფერხების ყოველ შემთხვევებში ისწრაფოდა მოეხდინა შეთანხმება მეფის თვითმპყრობელობასთან. ჩინეთში მდგომარეობა ასეთი არ არის.

უცხო კაპიტალის ჩაგვრის მეოხებით, რომელიც ჩინეთში სტანჯავს არა მარტო ძუშებ და გლეხებს, არამედ ახალგაზრდა სამრეწველო ბურჟუაზიასაც, რომელსაც უცხო კაპიტალი გზას უღობავს ჩინეთის ძრწველობას განვითარების საქმეში, რევოლუციონურმა მოძრაობამ ჩინეთში თავის პირველ ეტაპში ჩაიკოლია თართე ბურჟუაზიული წრეებიც. თუ რუსეთში 1905 წ. რევოლუციის ინციატორი იყო პროლეტარული პარტია, ჩინეთში 1919 წ. რევოლუციის ინციატორი ეკუთვნის სამრეწველო ბურჟუაზიას და ბურჟუაზიულ ინტელიგენციას. ამის მეოხებით და აგრეთვე ჩინეთის დაქვემდებებული მდგომარეობის გამო იქ შესაძლებელი შეიქმნა რევოლუციონური ომი გენერალიტეტის მეთაურობით, რომელიც შქიდროთ შეკავშირებულია ფეოდალებთან, ჩოდილოელ ბილიტარისტებისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ბურჟუაზიასთან. აქედან გამომდინარეობს შემდეგი: ჩინეთის კომპარტიას ნაციონალური მთავრობისა და რევოლუციონური არმიის ხელმძღვანელთა მიმართ დამოკიდებულებაში არ შეუძლია ინელმძღვანელოს იმ ტაქტიკის უბრალო ასლით, რომელსაც ბოლშევიკები აწარმოებდნენ 1905 წ. რუსეთის ლიბერალურ ბურჟუაზიის მიმართ. ჩინეთის კომპარტიის წინაშე, როგორც 1905 წ. ბოლშევიკების წინაშე, სდგას გადაუღებელი პრობლემა — პროლეტარიატის და გლეხობის (და ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიის) რევოლუციონური დიქტატურის შექმნისა, რომლის დროსაც პეგემონი უნდა იქნეს პროლეტარიატი. მაგრამ გზა ამ დიქტატურისაკენ ისეთია არ არის. როგორც ჰქონდათ ბოლშევიკებს 1905 წ. ჩინეთის კომპარტიამ ისე უნდა იმოქმედოს ამ მიზნის მიღწევისათვის. რომ არ დააბრკოლოს ბურჟუაზიულ გენერლების ხელმძღვანელობაში მყოფ რევოლუციონური არმიისა და ნაციონალური მთავრობის ხარხის ტრიალი და, პირიქით, მხარი დაუჭიროს მათ რევოლუციონურ მუშაობას. ამ თავისებურ მდგომარეობიდან გამომდინარეობს აგრეთვე ისიც, რომ ჩინეთის

კომპარტია, რომელიც ისახავს მიზნად პროლეტარიატის, გლეხობისა და ქალაქის წვრილ ბურჟუაზიის დიქტატურის შექმნას, ჯერ-ჯერობით, ხანაჲ კომუნისტები უშუალოდ არ მონაწილეობენ მთავრობაში, სცდილობენ, ექვემდებარებოდნენ ნაციონალური არმიის ამა თუ იმ ჯენერლის დიქტატორული გლეხურ-ბურჟუაზიული დემოკრატიული თავისუფლების განმტკიცების საშუალებით, და არა ამკარა ბრძოლით გენერალური შტაბის დიქტატურის დანხობისა და მის მაგიერ ჩაგრული კლასის დიქტატურის გამეფებისათვის.

ჩინეთის რევოლიუციის ამავე თავისებურობისაგან— იმისაგან, რომ ის მიმართულია წინააღმდეგ იმპერიალიზმისა, რომელიც ავიწროებს ჩინეთის მცხოვრებთა სხვადასხვა კლასებს და ნაწილობრივ ჩინეთის ეკონომიური სტრუქტურის თავისებურობისაგანაც— გამომდინარეობს ის, რომ რევოლიუციონური კლასების დიქტატურამ, რომლისაკენაც უჭირავს კურსი ჩინეთის კომპარტიას, იმ დიქტატურისაგან განსხვავებულად, რომლისაკენაც ეჭირათ კურსი რუს ბოლშევიკებს 1905 წ., უნდა გააერთიანოს პროლეტარიატი არა მარტო გლეხობასთან, არამედ ქალაქის წვრილ ბურჟუაზიასთანაც, ე. ი. ხელოსნებსა და წვრილ ვაჭრებთან, რომელთა წონაც ჩინეთში ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან მათი რიცხვი აღწევს 10 მილიონამდე. რამდენადაც ამ კავშირს ექნება ხანგრძლივი ხასიათი, იმდენად ჩინეთის პროლეტარიატი იძულებული იქნება დაუთმოს ქალაქის წვრილ ბურჟუაზიას, წვრილსა და საშუალო ვაჭრებს. ასეთი დათმობა არ წარმოადგენდა საჭიროებას 1905 წ. რუსეთის პროლეტარიატისათვის.

ჩინეთის რევოლიუციის იმავე თავისებურობისაგან, იმისაგან რომ ის უშუალოდ ეჯახება პირისპირ ძლევაშის მსოფლიო იმპერიალიზმს, რომელიც ემუქრება ჩინეთს ამკარა ინტერვენციით, გამომდინარეობს შემდეგი: ჩინეთის კომპარტიამ ამ ფრონტზედაც უნდა გამოიჩინოს დიდი ხერხი და ეცადოს, რომ გამოიყენოს სხვადასხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებული უთანხმოებანი. ამით აიხსნება, კერძოდ, ის მდგომარეობა, რომ ჩინეთის კომპარტია ამ დამად მხარს უჭერს ბურჟუაზიულ ავტონომისტურ მოძრაობას, სამ პროვინციაში— კიანგსუში, უანხოიში და ჩეკიანგში, რომელნიც შესაძლოა ბუფერებათ იქნენ გამოყენებულნი იმპერიალისტების მანხაიში დაგროვილ უმთავრეს სამხედრო ძალებთან შეტაკების დროს.

ჩვენ ვხედავთ, რომ ჩინეთის კომპარტიამ, ჩინეთის რევოლიუციის თავისებურობის გამო უნდა გამოიჩინოს უდიდესი ხერხი, მაგრამ მობრუნება მაინც უნდა მოხდეს. რევოლიუციის ძალთა გადაჯგუფება აუცილებელია და გადაუდებელი. ბურჟუაზიასთან ბრძოლა ჰეგემონიისათვის არის უშუალო და გადაუდებელი ამოცანა. პროლეტარიატის, გლეხობისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის რევოლიუციონური ბლოკის შექმნის ამოცანა არ უნდა იქნეს დავიწყებული არც ერთ წამს: მისგან არის დამოკიდებული ჩინეთის რევოლიუციის მთელი აწინდელი პერსპექტივა, — მიიღებს თუ არა ჩინეთის რევოლიუცია განვითარებას არაკაპიტალისტური გზით, იქნება თუ არა ჩინეთის რევოლიუცია მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ერთ-ერთი რგოლთაგანი, თუ ჩინეთში დამყარდება ბურჟუაზიული წესწყობილება მსოფლიო იმპერიალიზმთან ეკონომიურად ვასალურ დამოკიდებულების შენარჩუნებით. როგორ უნდა ვიაროთ ამ მიზნისაკენ? ამ საკითხზე პასუხი გასცა ალმასკოვის მე-VII-ე პლენუმმა: რევოლიუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის განმტკიცებისათვის კომუნისტები გააფართოებენ თავის ღუშაობას მასებში. შეჭქნნიან მასიურ მუშურ-გლეხურ ორგანიზაციებს, დაეყრდნობიან მათ და თავდაპირველად შევლენ ნაციონალურ მთავრობაში: მეორე: მათ უნდა გაამაგრონ თავიანთი პოზიციები არმიაში და ისწრაფონ დაიკავონ ესა თუ ის ხელმძღვანელი თანამდებობა, რათა გააბან მჭიდრო კავშირი რევოლი-

უციონურ არმიასა—ერთის მხრივ და მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებს შორის—მეორე მხრივ. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება გაატაროს ნაციონალურმა მთავრობამ თანდათანობით ისეთი პოლიტიკა, რომელიც უზღვევს მუშების, გლეხების და ქალაქის წვრილ ბურჟუაზიის ინტერესებს. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება შესაძლებელი განმტკიცდეს ჩინეთში რევოლუციონური წესრიგი, რომელიც ფრიად მნიშვნელოვანია რევოლუციის წარმატებისათვის და ბევრ შემთხვევაში მაშინ შესაძლებელი იქნება გადაწყდეს მთავრობის საარბიტრაჟო კომისიების და მთავრობის დეკრეტების საშუალებით ისეთი საკითხები, რომელნიც დღეს სწყდებიან მუშათა გაფიცვების და გლეხთა სტიქიურ მოძრაობათა საშუალებებით.

საკითხავია: შესაძლოა თუ არა მიღწეულ იქნას ეს მიზანი? შესძლებენ თუ ვერა კომუნისტები ისე შევიდნენ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში, რომ არ მოხდეს არსებულ ხელისუფლებისა და მათ შორის მეტაკება და გამწვავებული ბრძოლა, არ მოხდეს მეორე რევოლუცია? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი შესაძლებლობა არსებობს. კომუნისტები და ის კლასები, რომლებთანაც ისინი უშუალოდ არიან შეკავშირებულნი, ესლაც თამაშობენ ისეთ როლს, რომ მათ დაუხმარებლად, როგორც ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, უკვე მიღწეულ რევოლუციონური წარმატებები შეუძლებელი იქნებოდნენ. თუმცა არმია ჩინეთის რევოლუციაში თამაშობს უდიდეს როლს, გულუბრყვილობა იქნებოდა ფიქრი, თითქოს ის მოქმედებდეს უპაეო სივრცეში და რომ მისი წარმატებები არ არიან დიდად დამოკიდებულნი რევოლუციონური მასის მოძრაობასა და მათ ხელმძღვანელთაგან. არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ კანტონის მთავრობის ძალაუფლების განმტკიცება და კანტონის არმიის ძალთა შექმნა შეუძლებელი შეიქმნებოდა, რომ არ მომხდარიყო გონგკონგელ მუშათა გაფიცვა. არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ კანტონის არმიის ჩრდილოეთის ექსპედიცია შეუძლებელი იქნებოდა, რომ შანხაის მუშათა გაფიცვას არ მიეცა ჩინეთის რევოლუციონური მოძრაობისათვის საერთო—ნაციონალური ხასიათი. უნდა გვახსოვდეს, რომ ხანკოუს კონცესიის ხელში ჩაგდება მოხდა მუშების მეობებით. არც ის უნდა დაგვიფიწყოს, რომ რევოლუციონური არმიის ჯარისკაცები, თუმცა დაქირავებულნიც არიან, შესდგებიან გაპროლეტარულ გლეხებისაგან და რომ მათი სიმტკიცე დიდად დამოკიდებულია გლეხთა რევოლუციონურ მოძრაობის გაფართოებაზე, და მეორეს მხრივ, დაუკმაყოფილებელ გლეხთა ჩამოშორება რევოლუციისაგან უთუოდ გამოიწვევდა მის დამარცხებას, როგორც ეს დაგვანახვა სახალხო არმიის მარცხით დამთავრებულმა მეტაკებამ უ-პეი-ფუსთან, ვინაიდან უკანასკნელმა გამოიყენა გლეხთა უკმაყოფილება. ამის შემდეგ, არც კი არის საჭირო იმის მტკიცება, რომ ჩინეთის რევოლუციის გაძლიერება და გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა მისი საბჭოთა კავშირთან და პროლეტარიატის მსოფლიო მოძრაობასთან შეკავშირების გარეშე. ბოლოს ჩინეთის რევოლუციონურ არმიის გენერლების სამხედრო სტრატეგიაზედაც კომუნისტები ახდენდნენ სასარგებლო გავლენას, მათ შორის წინააღმდეგობათა მოსპობისა და მთლიანი მებრძოლი დრონტის შექმნის საშუალებით. ჩინეთის რევოლუციონურ არმიას, მაგალითად, შესაძლებელი იყო კიანგში განეცადა სასტიკი დამარცხება, რომ შემარცხენე ელემენტების დახმარებით მათ დროსე არ მიშველებოდათ ორი საარმიო კორპუსი.

სწორედ იმიტომ, რომ ჩინეთის ეროვნული განთავისუფლება და მისი გაერთიანება და მისი დახსნა მსოფლიოს იმპერიალიზმის ძალადობისაგან შეუძლებელია მუშათა კლასის და მისი კომპარტიის უხელმძღვანელოდ და მსოფლიო



პროლეტარიატთან კავშირის გარეშე, სწორედ ამიტომ კომუნისტების უმტკივნეულოთ შესულა ხელისუფლების უნაღლეს ორგანოებში, შესაძლებელ გახდა თვალის შესაძლებლად.

ჩინეთის რევოლუციის მტრებმა კარგათ იციან, თუ რა როლს თამაშობენ კომუნისტები, ურომლისოდაც რევოლუციის ზურგის ხერხემალი დიდი ხანია გადატეხილი იქნებოდა. ამიტომ, როცა ებრძვიან კანტონის არმიას, რომლის სათავეშიაც თუმცა არ არიან კომუნისტები, ჩრდილოეთელი მილიტარისტები თავის უმთავრეს და უშუალო მიზნად ისახავენ ჩინეთში კომუნისტური გველვეშაპის აღმოფხვრას. მეტად დანახასიათებელია ამ მხრივ პოლიტიკური დეკლარაცია, რომელიც გამოაქვეყნა 26 დეკემბერს სუნ-ჩუან-ფანმა. ეს დეკლარაცია იწყება შემდეგი სიტყვებით: „ჩემი პროვინციის დასაცავად მე გავილაშქრე კიანგსზე. სამწუხაროდ, მე ეს პროვინცია დავკარგე. რომ საქმე შეეხებოდეს მხოლოდ ჩემსა და ჩემი გვარუფლობის ინტერესებს, მე ვიპოვნიდი ბევრ გამოსავალს, მაგრამ ეხლა მე გადავსწყვიტე განვაგრძო მუშაობა ჩვენი მტრების წინააღმდეგ იმიტომ, რომ ვიხსნა ჩვენი მხარე საბჭოთა კომუნისტების გავრცელებისაგან. რომელიც ემუქრება მას“. და დაასკვნის, რომ როგორც-კი ეს მიზანი მიღწეული იქნება, როცა ის ეღიროება ჩინეთის კომუნისტურ გველვეშაპის თავის მტკვეთას, გენერალი მზად არის უარი განაცხადოს თავის ყველა თანამდებობებზე.

თუ რევოლუციის ამკარა მტრები აღიარებენ, რომ მისი ჩახშობა შეიძლება მხოლოდ კომუნისტების მოსპობით, მეორე მხრივ, ჩინეთის რევოლუციის ნაკლებათ საიმედო მეგობრებსაც აეხილებათ ხოლმე ხანდახან თვალები და აღიარებენ, რომ უკომუნისტებოთ ჩინეთის რევოლუცია ვერ გაიმარჯვებს. ფრიად ნიშანდობლივია, რომ თვით დაი-ცი ტაომ, გომინდანელების შემარჯვენე ფრთის იდეოლოგმა, გომინდანის ცეკას უკანასკნელ კონფერენციაზე, წარსული წლის ოქტომბერში, სუნ-იატ-სენის სახელობის კანტონის უნივერსიტეტის სტუდენტების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში, განაცხადა (შესაძლოა, რამდენიმეთ, ტაქტიკური მოსაზრებითაც): „გომინდანის შიგნით კომუნისტები ასრულებენ ლოკომოტივების როლს; ჩვენ კი გომინდანელები, წარმოვადგენთ სამგზავრო ან საბარგო ვაგონებს. თუ ეს ლოკომოტივები არ იქნებიან, ვაგონები ადგილიდან ვერ დაიძვრიან; უკომუნისტებოთ ჩინეთის რევოლუცია ვერ ეზიარება მსოფლიო რევოლუციას“.

აი, სწორედ ეს დიდი როლი კომუნისტებისა ჩინეთის რევოლუციაში, რომელსაც ერთნაირად აღიარებენ როგორც მისი მტრები, ისე მისი მომხრეებიც, თუნდაც მერყევენი და გაუბედავნი, დამტკიცებულია, რომ ჩინეთის კომპარტიის სტრატეგია, რომელიც დასაბა კომინტერნის აღმასკომის მე-VII-ე პლენუმმა. შესაძლებელია განხორციელდეს, თუ ჩინეთის კომპარტია კვლავაც მთელის — ენერჯით იმოქმედებს მის განსახორციელებლად.

გიგლიოგრაფია



ეროვნული
გიგლიოგრაფია

შიო არაგვისპირელი. „გაბზარული გული“. რომანი. გამოცემა სახელგამისა

შიო არაგვისპირელს ქართველი მკითხველი იცნობს უმთავრესად როგორც ნიჭიერ ავტორს მოკლე, პატარა მოთხრობებისა და ესკიზებისა. („ჩემო შინადავ“, „მიწა“ და სხვ.) უნაკლო შინაგანი და ფორმალური სიძარბით არიან შესრულებული ისინი. საქართველოში შიო არაგვისპირელს ამ მხრივ თითქმის ბადალი არა ყავს. მხოლოდ ნიკო ლორთქიფანიძის საუკეთესო ესკიზებს თუ დაუყენებთ გვერდით.

რომანი „გაბზარული გული“ საუბედუროსთ მოკლებულია ამ ღირსებებს. ვერ არის სათანადოთ დამუშავებული, შესრულებული იგი არც ფორმის, არც—განსაკუთრებით შინაარსის მხრივ.

დაიწყებ რომანის კითხვას გასაგები ინტერესით; მაგრამ რაც უფრო შორს მიდიხარ—გეკარგება ეს ინტერესი. გაკვირვებული რჩები—რომანის „იდეას“, „მიზანს“ ვერ იტყვ, იბნევი—რადგან იბნევა თვითონ ავტორიც. ძხელია, — შეუძლებელიც—იმის თქმა, თუ რა უნდა და ეთქვა არაგვისპირელს ამ რომანით.

უცნაური ამბავია მოთხრობილი შიგ. ოდესღაც—ძველ დროის საქმეა ეს—საქართველოში მეფობდა მეტად პატიოსანი და ხალხის მოყვარული მეფე. ყავდა მას ორი შვილი. ტახტის მემკვიდრე ვაჟი ნადირა და ქალი მარუხი. ამავე დროს ამ მეფის ერთ-ერთ საბატონოში ბატონობდა ვინმე კაცია, აგრეთვე მეტად პატიოსანი, ხალხის მოყვარული და, ერთი სიტყვით ყოველივე ამ ქვეყნიურ ღირსებებით დაჯილდოებული ადამიანი... — ეს რა ამბავია, რომ კაციას ყმა ერთიც არ შინახავს ჩემს კარს და სხვებისას კი ვერ ავღივარ?! — შეეკითხა მეფე მთხოვნელთ და მომჩივრებს. — იკურთხოს შენი სახელი დიდებულს მეფე! — უპასუხეს ერთ-ხმად, — კაციას ყმები, დიდებულო მე-

ფევე, ჩვენს ბატონებზედ უკეთ ცხოვრობენ და ვილას უნდა შეჩვილონ თავიანთი ბედნიერება?! — აი, ასეთი უნაკლო ადამიანი იყო კაცია, მაგრამ მართლამით არ იყო განთქმული იგი. „კაციას ყავდა მზეთუნახავი ასული ეთერი. იმის სახელი მთელ სამეფოს ბატონებში იყო განთქმული, თუმცა კი იმას მნახველი არავინ იყო“. ბევრ ბატონიშვილს ეცადა ეთერის ცოლად შერთვა, მაგრამ ამაოდ. ეთერი მხოლოდ მეფის შვილ ნადირაზე ფიქრობდა—დედოფალობა სწყუროდა. ღამ-ღამობით გადმოდგებოდა სარკმელზე და სასიმღერო სიტყვებით უბობდა მეფის შვილს.

კაციას კოშკის ახლო—საოქრომქედლო იყო. მუშაობდნენ იქ ცნობილი ოქრომქედელი, უკვე მოხუცი მამისა და მისი შვილობილი მახარე. და აი ერთ ღამეს მახარეს მოესმა ბატონის კოშკიდან უცნაური მიმზიდველი ხმა—ეთერისა. თვით ეთერიც დაიხახა მახარემ, რადგან მთავარიანი ნათელი ღამე იყო. შეუყვარდა მახარეს ეთერი, ფიქრობს დღე-ღამ მასზე. გადასწყვეტა მახარემ დაიქროს ეთერის ხმა ლითონში; ისეთი რამ გამოსქედოს ლითონიდან, რომელიც ისევე იმღერებს, როგორც ეთერი; მართლაც შესძლო ეს მახარემ. ისეთი „ხარი“ „ბაგე“—ჩამოასხა, რომ იტყვი, ეს უთუოდ ეთერი მღერისო, როდესაც ეთერიმ გაიგო ეს უცნაური ამბავი, მოინდომა ამ „ხარის“ ხელთ ჩაგდება. მაგრამ მახარე არ ელევა თავის „ლითონის ეთერს“. ეს ამბავი თავდება იმით, რომ მახარე და ეთერი ერთი მეორეს შეხვდებიან. ეთერი აგრეთვე შეიყვარებს მახარეს და ღამეს ერთად გაათევენ. მახარეს „ხარი“ ეთერს მიაქვს. ამავე დროს ეთერს და კაციას მიიპატიებებს თავის-

თან მეფე, თავისი შვილის შთაგონებით, რომელსაც სურს ცოლად შეირთოს ეთერი. დიდი ყოყმანის შემდეგ, ეთერი თანხმდება. მეფის შვილი ჯვარს იწერს ეთერზე. ეთერს მეფის სასახლეში თან აქვს ხარი რომლის ხმას აღფრთოვანებაში მოყავს ნადირა და მარეხი. ნადირას ხარი ხელიდან გაუვარდება. ხარი გაიბზარება და ხმას დაკარგავს. ეთერი ცოლობას არ უწყევს ნადირას. ღამე არ რჩება მასთან. შემდეგ სთხოვს თავის ქმარს ერთი წლით გაუშვას ის მამასთან. ნადირა თანხმდება. ამ ამბებში მახარე — რომელმაც ცხადია გაიგო ეთერის „ლალატი“ — გადიკარგა, ტყუთ გაიჭრა. მეჯოგეებთან ცხოვრობს. ამრიგათ ამბავის კვანში ჯერ-ჯერობით ამრიგათ არის დახლართული: ეთერი ნადირას ცოლად ითვლება, მაგრამ მასთან არ ცხოვრობს, თავის სახლშია: ნადირა უკვე მეფეა. მახარეს ხარი გაბზარულია და არავინ არის მისი შემკეთებელი; მარეხი, რომელიც შეყვარებულია ამ ხარის გამკეთებელში — დასტირის გატეხილ ხარს. მახარე კი ტყეში დაძრწის რე ნადირობით და მწყემსების დახმარებით თავს ინახავს. მოხუცი მამისა და მისი ცოლი დასტირიან მახარეს დაკარგვას...

— სად იყო და სად არა, მეფის სასახლეს ეწვევიან ჩრდილოეთის მეფის წარმომადგენელი, რომლებთაც თან მოყავთ არ ნახული ძალის მქონე რაში. „ულტიმატუმს“ უყენებენ მეფეს — ან ეს ცხენი გაგვიხედნე და გავვატანე ჩვენს მეფესთან, ან და შენი ცოლი მოგვეციო. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან — ქვეყანას გავანადგურებთო. ჩრდილოეთის მეფე ძლიერია. მას ადვილათ შეუძლია თავისი მუქარა სისრულეში მოიყვანოს. მაგრამ ვინ არის, რომ გახედნის ამ რაშს?! მეჯოგეთ უხუცესი მიუთითებს ერთს მეჯოგეებთან შემოხიზნულ ქაბუკზე; ეს არის მახარე. მართლაც მახარეს მოიხმობენ. ის რაშს გახედნის. ქვეყანას ვადაარჩენს. მარეხი იცნობს მას. გაბზარულ ხარსაც ვაანთვლებს. ყოყმანის შემდეგ ცოლად შეირთავს მარეხს. ამ ამბებში ეთერს

ეყოლება ვაჟი. იგი არ ხალავს, რომ ვაჟის მამა მახარეა და არა ნადირა. ერთ დღეს ეთერი ^{საქმებულში} შეეფეთება მახარეს, რომელსაც ^{სახლში} დაბრუნებულია და ნაცნობ გვირაბის საშუალებით ეთერის სადგომში შესულა. გადასწყვიტეს არ მოსცილდენ ერთმანეთს. თავის ამხანაგს ძმად-ნათიცი რუმას დააბარა სასახლეში, რომ მასარე ცხენმა გაიტაცა და უფსკრულში გადიჩენაო. — მეფის სასახლეში კი ამ დროს ცუდი ამბებია. ჩრდილოეთის მეფე კვლავ მოეთხოვს მეფის ცოლს. ნადირა თანახმაა თავის ცოლად გამოაცხადოს თავისი და მარეხი და გაუგზავნოს ჩრდილოეთის მეფეს. ყოფილი მეფე — ნადირას მამა — არ თანხმდება ამაზე, მარეხს მალულად გააპარებს. საომრადაც ემზადდება. მტერი ქვეყანას შემოესევს. ნადირა ლაჩრულად ტყეში იმალება. ამ დროს იკრიბებიან კაცობის მეომრები. მახარე გამოუძღვება ჯარს მტრის წინააღმდეგ. ჯარის ნაწილით ცალკე ისტუმრება — ირუმას გზა მოუჭრას მტერს.

ჩრდილოეთის მეფე დაშარცხებულია. ირუმას გმირათ გამოყავს თავისი თავი. გამარჯვებულ ჯარს იგი მოუთხოვს თავის საგმირო საქმეებს. ამ ამ დროს გამოჩნდება ტყიდან გამოსული მეფე თავის მხლებლებით. ირუმა მოუწოდებს ხალხს ჩაქოლონ იგი. ნადირას კლავენ. მახარე იცავს ნადირას, მაგრამ გვიანდაა. ირუმა მახარეს წინააღმდეგაც მოუწოდებს ხალხს. ამ დროს კაცობა ასეთი სიტყვებით მიმართავს მახარეს: „წავიდეთ აქედან შეილო, ეხლა ყველაფერი ვიცი.“

— მამავ, მამავ — ქვითინებდა მახარე — ძმად ნათიციმა ხალხის მოლალატეთ გამომაცხადა.“

— ამ სიტყვებით თავდება რომანი. რა უნდა ერჩენა ავტორს ჩვენთვის ამ ამბით, ჩვენ არ ვიცით, ვერ გავიგეთ. ერთი ცხადია — რომანს სინამდვილესთან, ცხოვრების საკითხებთან არაფერი აქვს საერთო. შეიძლება ავტორი მიზნად ისახავდა, დაეწერა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური რომანი, რომელიმე საკაცობრიო საკითხზე.

რომანის დასაწყისი ვითომც ამართლებს ამას; იფიქრებ, რომ აქ ავტორს წამოუყენებია შემოქმედების პროცესის საკითხი. ოსტატი მახარე თავისი შემოქმედებითი ნიჭით იჭერს საყვარელ ადამიანის ხმას და ამით შეაყვარებს მას თავს. მაგრამ შემდეგი განვითარება თუ დაშლა რომანის ამ კვანძისა — ისეთ არეუ-დარევას იძლევა, რომ ეს იდეაც სრულებით იკარგება და ქრება. ცხადია არაგვისპირულმა ვერ დასძლია დასახულ იდეას; მიზანს ვერ მიაღწია. რომანი დაუშთავრებელ შთაბეჭდილებასაც სტოვებს. ჩრდილოეთის მეფე ისე უხერხულად არის შეპარული ამბის სულაში, რომ პირდაპირ სახტათ რჩები.

რომანის დაბოლოება კი გაუი-

ქრებანებს: ალბათ ბოლო დაკარგულა, ან შემდეგი იქნებაო.

— რასაკვირველია, შემოქმედებაში ცალკე ადგილები დასძინებულ შემოქმედებებზე დიდი მხატვრული ოსტატობით არიან შესრულებული. მაგ. მახარეს მიერ „ზარის“ გაკეთების პროცესი, მელიქეთ უხუცესის ზღაპარი, რომელსაც იგი უამბობს მახარეს და ირემას ტყეში, რ სხვ... რომანის ენაც, ზოგიერთ ადგილების გამოკლებით, სანიშნოდ შეიძლება ჩაითვალოს. ასეთია საერთოდ ჩვენი შეუასება არაგვისპირელის „გაბზარული გულის“. ობიექტიური მკითხველი აუცილებლად გვეთანხმება ამაში.

მკითხველი

ნიკო თარიშვილი „მეფე“ გამ. სახელგამი.

ვერაფერს სასიხარულოს და საიმედოს გამოიტან ბარიშვილის ამ ოცდაათ ლექსიდან. უხალისოთ, მოსაწყენათ იკითხება ეს პატარა კრებული ასეთი მყვირალა სათაურით „მეფე“. საქართველოში გრიშაშვილმა, — შემდეგ ზოგიერთ ყანწელების დამატებით, — ამოწურა საკმაოდ ეს გაცვეთილი თემა ვნებიან სიყვარულზე, კოცნაზე, თვალების ქუთუთოებზე, გახელებაზე და „ცხელ პოეტებზე.“ აქ რაც სათქმელი იყო თითქმის ყველაფერი ითქვა და ისიც როგორ? გრიშაშვილის ლექსით, სიტყვით!! და როდესაც დღეს ამავე თემას — თარიშვილი ნინო - ხდის თავის „შემოქმედების“ ერთად ერთ საგნად — სრულებით ზედმეტი, არავისათვის საჭირო, გამოდის იგი.

ნით უმეტეს მაშინ, როდესაც თარიშვილის ტეხნიკა ამ თემის, საგნის ლექსათ აწყობისა — შესაბრალია გრიშაშვილის ოსტატობასთან შედარებით. გრიშაშვილი ნამდვილი მავსტროია ეროტიულ ლექსის — მეკაზმვაში. ალექსანდრე ჭავჭავაძესა და ბესიკის შემდეგ მას ბადალი არა ყავს საქართველოს

პოეტთა შორის. ამ თემის — კვლავ პოეზიის უშთავრეს საგნად გამოცხადება შეუძლია ისეთ პოეტს, რომელიც გრიშაშვილზე მაღლა თუ არა, მისი ტოლი მაინც იქნება ლექსთა წყობის ოსტატობაში... თარიშვილი კი — შორს არის, ძალიან შორს... გარდა ამისა, იგი როგორც სჩანს მისი ამ 30 ლექსიდან — საკმაოდ დიდ გავლენას განიცდის ფორმალური მხარეებში თავისი მელექსეობისა ყანწელებისაგან. გრიშაშვილის თემა — მას უნდა გამოაწყოს ყანწელების სამოსში. მით უფრო უბადრუკი და უაზრო ხდება მისი ცდა, იმიტომ, რომ ეროტიული ლექსები ჩვენში — შეიძლება დაიწეროს მხოლოდ ბესიკოს და გრიშაშვილის ენით. ვალერიან გაფრინდაშვილის და გრიგოლ რობაქიძის ლექსთა წერის ტეხნიკა — აბა რა გამოსადეგია „ვნებიან“ ეროსის შესაქებათ გრიშაშვილის და ბესიკოს — სასიმღერო ენათწყობის შემდეგ!! — იმიტომ ვიმეორებით ასე მოსაწყენია და დროის დაკარგვა თარიშვილის ლექსების კითხვა. აი მაგ. ერთ მის საუკეთესო ლექსიდან: „თითები დაჩხვლიტეს



მაყვილის კუნწულებმა
ფერმკრთალი ატმები ჩავიწყვე
უბეში. (?)

ჩიტები უვლიან
ჩვენს ვიწრო მოედანს, (?)
მზე დამალულია
ყველაფერს მოიტანს. (?)
არ ვიცი როდემდის,
როდემდის ვიცადო
აივსო ვნებებით მკერდების
ხეობა. (!?)

არც ერთი მოსწრებული შედარება,
არც ერთი „გრიშაშვილისებური“ სიტყ-
ვების ათანაშება, რომელიც გარეგნულ,
წუთიერს, მაგრამ მაინც ქმნის სილამა-
ზის ეფექტს... არამც თუ ეს—არაფერი
აზრი პოეტურათ გახსნილი—ამ ამონა-
წერში არ არის... მერმეთ როგორ შთა-
ბეჭდილებას იძლევა ეს უწმაწური გა-
მოთქმა: „აივსო ვნებებით მკერდების
ხეობა“... ავტორს კი იგი ისე მოსწონე-
ბია რომ მეორეთ იმეორებს მას და შით
ათავებს ლექსს, რომელსაც სახელათ
„როდემდის“ ეწოდება. ეს „როდემდის“
გამონაკლისი არ არის... პირიქით უფ-
რო უარესი ლექსები შეგხვდებათ ამ
„მზეში“. ლექსიდან „სურვილი შემო-
კლებით“:

„ვნებით შემოკლდება გზები გუ-
ლისაკენ
როგორ მიხარიათ შენთან უმე-
ტესათ! (?)
მინდა აელვარდეს ოქროს კული-
სებით (?)
მზე და სიხარული, როგორც
პოეტესა“. (?)

— ვერ გაგვიგია რა არის აქ საპოე-
ზიო და საერთოთ რა აზრია აქ?
კიდევ: ლექსიდან „ექსენტრიკა“

„დავუნთე ალი ტუჩები ნაპრაღს,
მძიმდება ყოფნა, როცა დედაფრონ.
მსურს ვუთხრა ყველას, მტკიცებით
დამთვრალს,
რომ ვნება წელზე შემოიკერონ.“
და ასე თითქმის ყველა ლექსში...

— „კოცნის უფლება“ — როგორც არ
უნდა იყოს იგი, თუ გინდ „ვნებიანიც“
— ჩვენს ქვეყანაში ყველას აქვს მინიჭე-
ბული — მათ შორის იმითაც, რომლებმაც
იციან ლექსების წერა. მაგრამ — რატომ
მაინც და მაინც საჯაროთ უნდა
ხდებოდეს ეს... ან და რატომ მაინც
მაინც და მაინც ყველას ვასაგონათ —
მით უმეტეს გალექსილი სიტყვებით უნ-
და გაუყვიროდეთ ამაზე...

ბევრ ჩვენ მწერალს — განსაკუთ-
რებით რითმების მცოდნეთ — ავიწყდე-
ბათ ხშირათ, თუ სად ცხოვრობენ, რო-
მელ წლებში, ვინ კითხულობს მათ ნა-
წერს და საერთოთ რა ხდება მათ
გარშემო... ამის დავიწყება კი სიკვდილს
უდრის, რადგან ქალაქი მართალია
ყველაფერს აიტანს, მაგრამ მკითხვე-
ლის თვალები, გონება და გრძნობა
კი ვერა... ნინო თარიშვილს საქართვე-
ლოში მკითხველი — რომელსაც უკრის
გონება და გრძნობა — არ ეყოლება; ამი-
ტომ მოკვდება იგი... ცოდვა კია რად-
გან პოეტური ნიჭის ნიშნები არის მის
ლექსებში. ახალგაზრდაა ავრეთვე...
ერთი რამ უშველის მას: „ვნებიან კო-
ცნას“ თავი ანებოს და თავის საზოგა-
დო მოღვაწეობას (პოეტობაც საზოგა-
დო მოღვაწეობაა) საგნად დაუდგას ის,
რაც საზოგადოებას ოდნავ მაინც აინ-
ტერესებს. შეძლებს კი ამას ნინო თა-
რიშვილი?! ვინ იცის!! უსურვოთ კი.

მ — ი

მ. გოგიბერიძის რეცენზიის გამო

მ. გოგიბერიძის რეცენზია ¹⁾ ჩემს წი-
გნზე „ანტიკური ფილოსოფია სოკრა-
ტის წინ“ ცდილობს საში რამ დაამტკი-
ცოს: 1. ჩემი წიგნი ანგარიშს არ უწევს

დილაქტიკურ მეთოდს, 2. ის ჩვენს მი-
კრობობას: ამცირებს მატერიალიზმს,
რათა განადიდოს იდეალიზმი. 3. ჩემს
წიგნში ჩადენილია მეცნიერული შეცდო-

¹⁾ იხ. უფრო „მნათობი“, 1927 წ. № 1.



მები, რომლებიც მ. გოგიბერიძემ აღმოაჩინა. არც ერთი ეს დებულება, ჩემის აზრით, არ არის სწორი.

1. რომ ჩემი წიგნი არ სტოვებს უყურადღებოდ დიალექტიკურ მეთოდს, ეს იქიდან ჩანს, რომ ის არის ცდა ანტიკური ფილოსოფია სოკრატის წინ დიალექტიკური თვლსაზრისით დააღაგოს. „მთელი წინა სოკრატული აზროვნების ვითარება“, სწორია ამ წიგნში: „შეიძლება სამ მომენტად გავანაწილოთ. ეს მომენტებია იონიური ფიზიკა, ელვატური მეტაფიზიკა, უმცროს ფიზიკოსთა კოსმოლოგია... შემოაღნიშნული სამი მომენტი წინა-სოკრატული აზროვნების ევოლუციისა ადვილად თავსდება დიალექტიკური ვითარების ფორმულაში. იონიელთა ფიზიკა გვაძლევს ამ ფორმულის თეზისს, ელვატური მეტაფიზიკა ანტი-თეზისს, ხოლო უმცროს ფიზიკოსთა კოსმოლოგია სინთეზისს, რომელიც არიგებს იონელთა ფიზიკას ელვატელთა მეტაფიზიკასთან.“ (ანტიკ. ფილოსოფია, გვ. 51). ეს დიალექტიკური თვლსაზრისი გატარებულია მთელს წიგნში.

2. განვიხილოთ მეორე დებულება, რომ ჩემი წიგნი ამცირებს მატერიალიზმს, რათა განადიდოს იდეალიზმი. ამის ნიშანი რეცენზენტის შეხედულებით ის არის, რომ ჩემს წიგნში მატერიალისტი დემოკრიტე განხილულია იდეალისტს ანაქსაგორზე ადრე. რეცენზენტის მოსაზრებით, თუ წიგნის ავტორი ჯეროვან პატივს სცემდა დემოკრიტეს, მას მისი მატერიალისტური მოძღვრება, როგორც უკვე ღირებულნი მოვლენა, ანაქსაგორის იდეალიზმის შემდეგ უნდა განეხილა. მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის სწორი მოსაზრება. მიკერძოება იდეალიზმისადმი და უპატივცემლობა დემოკრიტესადმი ჩემს წიგნში არ არის. აი, მაგალითად, რასწერია დემოკრიტეს შესახებ 174 გვერდზე: „არ დაოჩენილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა იმ დროინდელი მეცნიერებისა, რომელსაც ეს დიდი მოაზროვნე არ შეხებია თავისი ბასრი მსჯელობით. ასტრონომია,

ფიზიკა, ბოტანიკა, ზოოლოგია, ანთროპოლოგია, ესთეთიკა, ეთნოგრაფია, ყველა ამ დარგში დემოკრიტემ შექმნა მნიშვნელოვანი გამოკვლევები დაუტოვა კაცობრიობას. მაგრამ ატომიზმის წარუვალი მნიშვნელობა მხოლოდ ამ კერძო ხასიათის გამოკვლევებში როდი იყო, არამედ უმთავრესად ფილოსოფიურ საფუძვლებში, რომელიც სარჩულად ედვა შემოჩამოთვლილ მეცნიერულ გამოკვლევებს“. ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ უპატივცემლობა დემოკრიტესადმი ჩემს წიგნში არ არის ჩადენილი. ის გარემოება კი, რომ იქ ჯერ განხილულია დემოკრიტე და შემდეგ კი ანაქსაგორი, აიხსნება არა იმით, რომ მე ვიჩენ მიკერძოებას ანაქსაგორისადმი, არამედ იმით, რომ განხილვის ასეთ წესს მოითხოვდა თვით საქმის შინაარსი: ანაქსაგორის თეორია გაუგებარი იქნებოდა ნკითხველისათვის რომ ის წინასწარ არ გასცნობოდა ატომიზმს, ვინაიდან ანაქსაგორეიზმი შეიქმნა ატომიზმთან წინააღმდეგობაში. მეც ისე დავსწერე წიგნს, რომ მისი გაგება შესაძლებელი ყოფილიყო. რაც შეეხება ლევკიპეს, ამ ნახევრად ლევკიპარული პიროვნების გამო, ატომიზმს ვერ ვაგვაპობდი შუაში, როგორც გვიჩვენებს მ. გოგიბერიძე, რომ ამ რჩევას ვავეყოლოდი, მაშინ ატომიზმზე სრულიად არ უნდა მელაპარაკა ჩემს წიგნში, რომელიც ენება ბერძნულ ფილოსოფიას სოკრატის წინ. ეს მართლაც უყურადღებობა იქნებოდა ატომიზმის მიმართ, რომელსაც დიდი ადგილი ეკუთვნის ბერძნულ ნატურფილოსოფიის განვითარებაში.

3. შევეხოთ ესლა იმ მეცნიერულ შეცდომებს, რომელნიც მ. გოგიბერიძემ აღმოაჩინა ჩემს წიგნში. მისი აზრით ვინაიდან პითაგორი ცხოვრობდა დემოკრიტეზედ ადრე, ჩემს წიგნშიც პითაგორეიზმი უნდა ყოფილიყო განხილული ატომიზმზედ ადრე. რაკი ეს ასე არ მოხდა, ჩემს წიგნშიც ამიტომ „ქრონოლოგიური შეცდომა“ ყოფილა თურმე ჩადენილი. — ეს არ არის მართალი: ამ მუხლში მე არ მაქვს ჩადენილი არც „ქრონოლოგიური შეცდომა“ და არც



საზოგადოდ რაიმე შეცდომა. ქრონოლოგიური შეცდომა მექნებოდა მე ჩადენილი მაშინ, რომ რომელიმე ფაქტი უმართებულოდ დამეთარილება. არის ასეთი შემთხვევა? არ ყოფილა. მაშ, რატომ არის „ქრონოლოგიური შეცდომა“ ის, რომ მე პითაგორეიზმზედ ატომიზმის შემდეგ ვლაპარაკობ? განა ისტორიკოსი ვალდებულია თავისი მასალის დალაგების დროს კვალ და კვალმისდნოს ფაქტების თანამიმდევრობას? რა თქმა უნდა, არა, იმ წარმოდგენის მიხედვით, რომელსაც ამჟღავნებს რეცენზენტი, ისტორია არასოდეს არ დაწერილა და ვერც დაიწერება, ისტორია არ არის ფაქტების აღნუსხვა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. ასეთი წარმოდგენა ისტორიაზე ჰქონდათ ძველად მემატთანე ბერებს, მაგრამ დიდი ხანია, რაც ეს პრომიტიული წარმოდგენა გადალახულია, და დღეს ყველამ იცის, რომ ისტორია არის ფაქტების დალაგება არა აუცილებლად ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, არამედ ისეთი თანამიმდევრობით, რომ გასაგები გახდეს კავშირი ამ ფაქტებს შორის.

ერთად ერთი საყურადღებო საბუთი, რომელიც მოყავს რეცენზენტს იმის სასარგებლოთ, რომ ჩემს წიგნში დემოკრიტე უნდა ყოფილიყო პითაგორელთა შემდეგ განხილული. ის არის, რომ „დემოკრიტეზე უკიდურესი გავლენა უნდა ჰქონებოდა პითაგორის რიცხვის მეტაფიზიკას.“ ამ რეცენზენტის წინადადებაში ორი შეცდომაა დაშვებული

ა. „პითაგორის რიცხვის მეტაფიზიკა“, რომელზედაც ასე დარწმუნებულად სწერს რეცენზენტი, *„Πυθαγόρας“* კი არსებობდა. რიცხვის *„Στοιχειώδης Πυθαγόρας“* პითაგორს მიაწერეს ნეო-პითაგორელებმა. მაგრამ ოთხმოციოდე წელიწადი გადის, რაც დამტკიცებულად ითვლება, რომ ნეო-პითაგორელებს საკმაო საბუთის გარეშე უნდა მიეწერათ პითაგორისათვის რიცხვის მეტაფიზიკა. ბ. მეორე შეცდომა, დაშვებული პატივცემული რეცენზენტის მიერ ზემოყვანილ წინადადებაში შეეხება დემოკრიტეს. მ. გოგიბერაძე სწერს, რომ რიცხვის მეტაფიზიკას „დემოკრიტეზე უდიდესი გავლენა უნდა ჰქონებოდაო. ეს არ არის მართალი. მთავარი თავისებურობა, დემოკრიტეს ატომიზმისა, თავისებურობა რომელიც განასხვავებს მას თანამედროვე მათემატიკური ბუნებისმეტყველების წიაღში წარმოშობილი ატომისტური პიპოტეზისაგან. ის არის, რომ დემოკრიტეს არ ჰქონდა კარგად გათვალისწინებული რიცხვის მნიშვნელობა ბუნებისმეტყველობაში¹⁾. ამიტომ იქ, სადაც თანამედროვე ქიმია კმაყოფილდება ელემენტთა განსაზღვრული რიცხვით, დემოკრიტეს კონცეპციით ელემენტთა რიცხვი უსაზღვროა (DV 5418). მე ვფიქრობ, რომ რეცენზენტის წარმოდგენაში ანტიკური ატომისტური მეტაფიზიკა საკმაოდ არ არის გამოჯნული თანამედროვე ატომისტური პიპოტეზისაგან. თუმცა მათ შორის დიდი განსხვავებაა.

ს. დანელია

განმარტება

პირველი ორი აქ დასახლებული, ვითომც და ჩემს მიერ ს. დანელიას საწინააღმდეგოდ წაყენებული, დებულება მე არ შეკუთვნის. მე ჩემს რეცენზიაში სრულიადაც არ შევხებივარ დიალექტიური მეთოდის მოხმარების საკითხს და არც ის მიმტკიცებია, ვითომც ს. დანელია

„ამცირებდეს მატერიალიზმს, რათა განადიდოს იდეალიზმი“. მე მგონია არც მესამე საკითხია ჩემს რეცენზიაში იმ რედაქციით გადმოცემული, რა რედაქციითაც ის სერგო დანელიას ამოუკითხავს. სერგო დანელიას მიერ ჩადენილ მეცნიერულ შეცდომებზე კი არ არის

¹⁾ იხ. ჩემი „ანტიკური ფილოსოფია სოკრატის წინ“, გვ. 179.

იქ ლაპარაკი, არამედ სავსებით გარკვეულად სწერია, რომ მე სარეცენზიო წიგნის ავტორს არ ვეთანხმები „ისტორიულ-ფილოსოფიური პრობლემების ინტერპრეტაციის საკითხში“. („მნათობი“ № 1, 1927 წ. გვ. 248). და ეს ინტერპრეტაციის საკითხი ჩემის აზრით შეეხება არა მარტო მატერიალისტებს, არამედ იდეალისტებსაც, ასე მაგალითად მე მიუღებლად მიმაჩნია ავტორის მიერ მოცემული ინტერპრეტაცია „იდეალისტი“ ძეგონის ნააზრებისა, მაგრამ რეცენზიის ფარგლებში ხომ ყველაფერზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. დემოკრიტი მე ავიღე სანიმუშოთ და ს. დანელიას პასუხის შემდეგაც ჩემთვის ურყევი რჩება ჩემს მიერ რეცენზიაში წამოყენებული დებულება. რეცენზიაში მე ვაპოვებდი, რომ დემოკრიტის ატომისტიკაში პირველად წარმოიშვა სიმძიმის შექანაჟა, ეს კი არის მისი ბუნების იმ მეთოდით შესწავლისა, რომელსაც სახელად ქვანტიფიკატიური მეთოდი ეწოდება და ამიტომ დემოკრიტე მამამთავარია გალილეი-ნიუტონის მსოფლგაგების მეთქი. ეს დებულება ურყევია. ქვანტიფიკაციის მეთოდის ჩასახვა გარეშე სიმძიმის შექანაჟისა წარმოუდგენელია და რადგან დემოკრიტე პირველი ავტორია ამ შექანაჟისა, ამიტომ ის პირველი მამამთავარია ქვანტიფიკაციის მეთოდისა. ეს არის და ეს. ბუნების კერძო მოვლენების განსაზღვრული რიცხვის ფუნქციებით გამოხატვა რომ დემოკრიტემ არ იცოდა, მგონია ამაზე დავა ხედმეტია. ჩემს რეცენზიაში გარკვეულად სწერია ეს იმ წინადადებაში, რომელიც ამბობს, რომ ანტიურ ქვეყანას აკლდა ქვანტიფიკაციისათვის საჭირო ანალიტიური გზა, თუმცა არქიმედის გენიამ ესეც გამოასწორა მეთქი და სხე. მიუხედავად ყოველივე ნაკლისა ქვანტიფიკაციური მეთოდით მომუშავე ორივე მეცნიერების — ფიზიკის და ქიმიის — თეორიული საფუძვლები დემოკრიტეს მიერ სავსებით მოცემულია და ამით განსხვავდება დემოკრიტი სხვა წინასოკრატელი ფილოსოფოსებისაგან. მე მგონია, რომ სერგო დანელიას მოცხსე-

ნება, რომ ეს შეხედულება მარტო მოსე ვოგობროვიძის ტვიზის ნაყოფს არ შეადგენს, არამედ ის მეცნიერებაში განმტკიცებული დებულებაა, რომ დემოკრიტეს ფილოსოფიის სისტემა ინტერპრეტაცია ყველა დანარჩენზე უფრო ძლიერი და ღრმათ მოფიქრებულია. მაგ. ისეთი ავტორიტეტი, როგორც არის ჰერმან კოჰენი სავსებით ანალოგიურ აზრს იხიარებს დემოკრიტეს შესახებ. აი რას სწერს ის: — „არსის საფუძველს დემოკრიტი იძლევა ატომებში... ატომები თუმცაღა ჯერ კიდევ არსის არეში რჩებიან, მაგრამ მის საზღვარზე არიან მოთავსებული. ამით იძლევიან არსის საფუძველს და წარმოადგენენ ნაწ. ეს ჰიპოთეზი ქიმიის საფუძველად გადაიქცა. მაგრამ ის იმ თავითვე ისე იყო გაგებული, რომ ქიმიის ვიწრო ფარგლებში არ უნდა დარჩენილიყო. მეორე სახე „ქეშმარიტად არსებულისა“, რომელიც დემოკრიტმა ატომების გვერდით მიიღო იყო ცალიერი. ცხადია, ეს ჰიპოთეზი მოფიქრებულია მოძრაობისათვის, ე. ი. ფიზიკისათვის. და მან ფარადეის მიერ ფიზიკის განახლების დროს დაამტკიცა თავისი სრული ნაყოფიერება. ფიზიკა კი წავიდა მათემატიკის გზით, რამაც დაუბოლავებელის ჰიპოთეზამდე მიგვიყვანა“ — დაკ სხვა...
 „იხილე Her. Cohen: „Logik der reinen Erkenntnis“ გვ. 33.
 ასევე შეიძლება ითქვას ანაქსაგორას და დემოკრიტეს დამოკიდებულების შესახებ. ჩვენ ვამბობთ, რომ ანაქსაგორა არამც თუ დემოკრიტეს ქრონოლოგიურათ უსწრებს წინ, არამედ სისტემატიური მოსაზრებითაც მისი მოძღვრება დემოკრიტისას წინ უნდა უსწრობდეს, ე. ი. ჩვენ ანაქსაგორას სწავლა გვესმის, როგორც ქვანტიფიკაციური ატომიზმი და უარყოფთ ლევკიპოსის არსებობის ფაქტს. მგონია ნათელია ეს გარეპოვებაც. ისიც უდავო უნდა იყოს, რომ უამრავი სახელგათქმული ძკლევარი ამავე აზრისა არის, მაგ. იუბერვეგი, ჰაინცე, ვინდელბანდი, კორლენდერი და სხვ. ეს უკანასკნელნი ხომ პირდაპირ სწერს:

„ანაქსაგორას სწავლა არის ერთგვარი სახე ქვალიტეტური ატომიზმისა, ერთგვარი გადასასვლელი დემოკრიტიკისაგან.“ დასასრულ რამდენიმე შეცდომის დაშუებას მაწერს მე ს. დანელია ჩემი განცხადებისათვის, რომ დემოკრიტზე პითაგორელთა მოძღვრებას ვავლენა უნდა მოეხდინოს შეთქი. დანელიასათვის, რასაკვირველია, მიუღებელია ასეთი რაიმე, ის პრინციპიალურად უარჰყოფს იმას, რომ ანტიური ატომისტიკა ახლო ენათესავებოდეს თანამედროვე ქიმიასა და ფიზიკის ატომისტურ თეორიებს. ჩვენი აზრით კი ეს უკანასკნელი ისეთივე პი-

რმშო შვილია პიროველისა, როგორც თანამედროვე გეომეტრია ევკლიდის პრინციპების“ და თანამედროვე სტატიკა არქიმედის სტატიკის. მაგონე სკინტერესთა მართო მე რადე „მანქანის“ ასეთი შეცდომების ჩადენას ს. დანელია და არა იმათ, ვინც პიროველად გამოსთქვეს და დაასაბუთეს ეს აზრი. სახელდობრ პერ. კოპენს, რომელიც თავის წიგნში Platons Ideenlehre und die Mathematik ყველა საჭირო საფუძვლების მოყვანით ამტკიცებს, რომ პითაგორელებმა დიდი ვავლენა მოახდინეს დემოკრიტზეო.

მ. გოგიბერიძე

ბუღალტერი — მ კახიანი.

შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო



ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. კარლო კალაძე — მოვდივართ!	5
2. ტიცოან ტაბიძე — არ შეეწერდები მე ამ მოტივზე	6
3. კ. ლორთქიფანიძე — მონადირის თქმული	7
4. ალ. აბაშელი — ფიქრები	8
5. კალე ფეოდოსიშვილი — „ბელადს“	11
6. ლეო ქიაჩელი — სისხლი (გაგრძელება)	13
7. დემნა შენგელაია — ტფილისი (დასასრული)	36
8. იონა ვაკელი — მეწისქვილე. პოემა (დასასრული)	71
9. ლევან მუტრეველი — მტრობა და სიყვარული	86
10. ანახტ. ერისთავ-ხომტარია — სალი (გაგრძელება)	104

რუსეთი

11. თედორე გლადკოვი — ცემენტი (გაგრძ.) თარ. დ. შენგელაიასი	129
--	-----

დასავლეთი

12. ეიულ როშენ — თეთრი ღვინო ლა-ვილლეტისა. თარგ. ვ. გაფრინ- დაშვილისა	157
--	-----

კრიტიკა მხატვრობა პუბლიცისტიკა

13. პავლე ინგროყვა — რუსთველიანაზე (პრ. კორნ. კეკელიძის წე- რილის გამო)	193
14. ა. მიქოიანი — თანამედროვე სამეურნეო პოლიტიკის ცენტრალუ- რი ღერძი	221
15. ა. მარტინოვი — ჩინეთის რევოლუციის ძალთა გადაჯგუფება. თარგ. გ. ცეცხლაძისა	238

ბიბლიოგრაფია

16. მკითხველი — შიო არაგვისპირელი. „გაბზარული გული“	247
17. მ-ი — ნინო თარიშვილი. „მზეში“	249
18. ს. დანელია — გოგიბერიძის რეცენზიის გამო	250
19. მ. გოგიბერიძე — განმარტება	252

სახელმწიფო გამომცემლობა



გამოვიდა და იყიდება სახელგამის ყველა მალაჩიასი
შემდეგი ახალი წიგნები.

დ. ფურკანოვი—წითელი დესანტი	30 კ.
ნ. ბუხარინი—კაპიტალისტური სტაბილიზაცია და პროლეტ. რე- ვოლიუცია	1 მ. 20 კ.
რ. კალაძე—ეგნატე ნინოშვილი (ბიოგრაფია)	1 მ.
ა. გიგინეიშვილი—ამინდი საქართველოში	70 კ.
ქ. ორაბველიძე—საქ. მენშევიკების აგრარული „რეფორმა“	50 კ.
ი. მჭედლიშვილი—საბავშვო ლექსები და მოთხრობები	1 მ.
ი. ლიბადინსკი—შვიდი დღე	70 კ.
ბ. რამიშვილი—პიესები	1 მ. 50 კ.
ვ. ქუთათელაძე (ხამსონიძე)—ლექსები	1 მ. 50 კ.
ი. დისაშვილი—ლექსები	1 მ. 40 კ.
ჰარვუდი—განახლებული დედაშიწა	1 მ. 20 კ.
გ. მაზნიაშვილი—მოგონებანი	1 მ. 50 კ.
ნ. ბუხარინი—საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა	50 კ.
ა. შანშიაშვილი—დრამები	3 მ.
ა. შანშიაშვილი—ჭერეთის გმირები	30 კ.